ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნა

2

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

367

გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი

2

თებერვალი

1988

თბილისი

სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიმურაზ ბენდელიანი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
გურამ გეგეშიძე
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ალიკო შარაშიძე
ნუგზარ შატაიძე

ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შინაარსი

პროზა და პოეზია

3. გულო კოგიაშვილი — მოთხრობები
13. გრიგოლ ჯულუხიძე — ლექსები
16. ლადო სულაბერიძე — ლექსები
19. ნოდარ წულეისკირი — აფთარი. რომანი. გაგრძელება
49. გიორგი ჩარკვიანი — ლექსები
54. ბადათერ არაბული — ლექსები
57. მანანა სანადირაძე — მოთხრობები
63. გურამ გიორგოგიანი — ლექსები
64. რევაზ დანელია — ლექსები
67. ლეილა ცომაია — სათავე. მოთხრობა

ახალი თარგმანები

85. ესპანური ეპიგრამები. თარგმნა შოთა ქავთარაძემ

პუბლიცისტიკა

90. გურამ ფანჯიკიძე — არ გვაქვს შეცდომის უფლება

წერილები

128. ნოდარ ნათაძე — აქტუალურიც და მხატვრულიც
136. თენგიზ ჩხაიძე — „ჟურუმი მზისა“
141. პარმენ ზაქარაია — ეგრისის სამეფოს დედაქალაქი
147. მაკა მაისურაძე — „მსოფლმხედველობა და პოეტიკა“ უილიამ ბლეიკის ციკლში „უმანკოების ჰანგები“
153. ალექსი ბინდარაული — „მეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გაგებისათვის
156. აგესალომ ტულუში — ერთი ქართული წარმართული ღვთაების სახელის გამო

159. ქრონიკა

გულო კობიაშვილი

ძნელი პროფესია

სამზარეულოს მაგიდას ცოლ-ქმარი უზის და სადილობს. კაცი დაბნეულია, ნირწამხდარი და დარცხვენილი. ქალი პირიქით, აღგზნებული და მხიარული, ყველაზე ლამაზი საგარეო კაბა აცვია, ფრთხილად ილუქება და მალი-მალ დაჰყურებს საათს.

„შენმა მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი, შენმან მზემან, ვერვის მიხვდეს მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი!“... ისმის ოთახიდან გოგონას საყვარელი, წკრიალა ხმა. მერვე კლასშია და ხმამაღლა სწავლობს „ვეფხისტყაოსანს“.

„როგორ გინდა უთხრა, — ფიქრობს აწრიალებული კაცი და ყველის მაგიერ პურს ისევ პურს ატანს. — პირველი შემთხვევა მაინც იყოს. უკვე მეორედ მივდივარ სახლიდან. მართალია, ახლა სამუდამოდ, მაგრამ... აჰ, ცუდი და საძაგელი რომ იყოს, ასე კი არ გამიჭირდებოდა თქმა და გაყრა... ამ გულს რა ვუთხარი, თორემ... — კაცი მაღლა სწევს თავს და ქალს უყურებს, ქალი ლამაზ, თვინიერ სახეს სწორედ მაშინ ხრის თეფშისკენ, — უკვე ამხანაგივით, მეგობარივით მიყვარს, — ფიქრობს გულაჩუყებული კაცი — ახ, ეს მოუსვენარი, გაუმაძღარი გული, რა გინდა, გულო ჩემო, რა?! ჯერ ერთხელ ამაწეწინე ცხოვრება, ჯერ ერთხელ გამაქციე სახლიდან, ახლა მეორედ... მართალია, ეს უკვე ნამდვილი სიყვარულია... არა, არა, ლინა უკვე ნამდვილი სიყვარულია, — თავის თავს უმტკიცებს კაცი. — მაგდა უბრალოდ გატაცება გამოდგა... რაც არის, არის, მეტი გზა არცა მაქვს, ხვალ დილას უკვე მივფრინავთ სოჭში, დღეს რომ არ ვუთხრა, არ გამოვა... თანაც, ხომ იცის, ყურადღებას არ მოვაკლებ, ალიმენტი რა სალაპარაკოა და, საერთოდ, ღმერთო, რა საშინელებაა სიყვარული, როგორ გიფლეთს გულსა და სულს, როგორ გავიწყებს ყველაფერს... ლინა რომ არა...“

კაცი ხელებს იწმენდს და გულის ტკივილით ათვალიერებს ნაცნობ, მშობლიურ სამზარეულოს — „ვინ იცის, კიდევ როდის მომიწევს აქ შემოხედვა, სწორედ რომ შემოხედვა... რა დროს სამზარეულოა, მეც, ერთი, — ბრაზობს თავის თავზე, ხელს საფეთქელზე იჭერს, სწორედ იმ ადგილას, სადაც გარკვევით ეტყობა ლინას პომადიანი ტუჩების მოხაზულობა და ახველებს, — ხმას იწმენდს.

— ბესიკ! — თავს მაღლა იღებს, თეფშს განზე სწევს და მოულოდნელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყებს ქალი, — არ შემიძლია, არ გითხრა, მით უმეტეს, ვხედავ, შენ თვითონ რა დღეში ხარ, როგორ ნერვიულობ...

ბესიკი მორცხვად ქინდრავს თავს, ხელებს მუხლებშუა იწყობს და დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით აწვალებს თითებს.

— ძნელია, ძალიან ძნელია, მაგრამ... ღმერთო ჩემო, რა სულგრძელი ადამიანია, თვითონვე ამბობს ჩემს სათქმელს... ახ, სიყვარული რომ არა, ამ ქალის მიტოვება შეიძლებოდა? უკვე სცოდნია, რა არ ეცოდინებოდა, თბილისში ვინმეს რამეს გამოაპარებ?.. — კაცი უხერხულად იშმუშნება და საფეთქელს იზელს.

— ხომ გახსოვს, სახლიდან რომ წახვედი, მაგდას გამო?

კაცი უხმოდ, დამნაშავის ირით აქნევს ჩაქინდრულ თავს.

— რამდენადაც მახსოვს, მაშინ მითხარი, რომ სიყვარული, ეს არის რაღაც უმძიმესი და უსასტიკესი სენი, რომლის დროსაც ადამიანი იმყოფება თითქმის შეურაცხ მდგომარეობაში, რომ აღარ ახსოვს არავინ და არაფერი, აღარავითარი მოვალეობა, აღარავითარი პასუხისმგებლობა... რომ ამ სენით შეპყრობილი ადამიანის ერთადერთი მიზანი საყვარელ ადამიანთან სამუდამოდ შეერთებაა და... თუ ეს ასე არ მოხდა, იგი დაიღუპება!

— ის გატაცება იყო მხოლოდ... — ლუღლუღებს კაცი და სუფრის ფოჩს აწვალებს, — მე ნამდვილ სიყვარულზე ვამბობდი...

— მეც ნამდვილზე გეუბნები! გატაცებას არც მე ვგულისხმობ, — ჯერ მკაცრად ამბობს ქალი, მერე ისევ არბილებს ხმას. — სიმართლე გითხრა, მაშინ არ მესმოდა შენი... ახლა კი... ახლა მინდა გითხრა, რომ შენ სწორი ყოფილხარ.

— ნამდვილი სიყვარული, მართლა... — კაცი მოწყვეტილ ფოჩს ძიძგნის გამეტებით.

— ჭეშმარიტი სიყვარული მართლა საოცარი და უმშვენიერესი რამ ყოფილა, ბესიკ! არ ვიცი, სხვა დროს რას ვიზამდი, როგორ მოვიქცეოდი, რას მაიძულებდა მოვალეობა, მაგრამ შენ იმდენი რამ გაქვს ჩემთვის მოყოლილი ნამდვილ სიყვარულზე, იმდენი გაკვეთილი მიმიღია შენგან ჩვენი ერთად ცხოვრების მანძილზე... უკვე თავისუფლად შემიძლია გითხრა... შენზე უკეთ ამას ვერავინ გამიგებს... მე შეყვარებული ვარ, ბესიკ, უფრო მეტიც, — გათხოვებას ვაპირებ და, იმედია, როგორც მე არ გადაგდგომივარ წინ და შენთვის ხელი არ შემიშლია, შენც ისევე მოიქცევი და... გაყრაზე თანახმა იქნები!

სახტად დარჩენილი, გაოგნებული კაცი თავს მაღლა სწევს და გიჟივით უყურებს ქალს. ქალი ზის ამაყი, მშვიდი და ცივ მზერას არ აშორებს კაცს.

— მე... მე... შენ... შენ... — ადგილზე ირწევა კაცი და გამალებული პუტავს სუფრის ფოჩებს. — რა მითხარი?

— ჩემს სიცოცხლეში პირველად და, ალბათ, უკანასკნელადაც მეწვია ეს უსასტიკესი და უმშვენიერესი გრძნობა... ვერ გაიგე? მოკლედ და კონკრეტულად გიმეორებ: მიყვარს! ვთხოვდები! განცხადება უკვე შევიტანე დღეს დილით, გთხოვ, გაყრაში და ახალი ოჯახის შექმნაში ხელს ნუ შემიშლი.

კაცს ყურები უწივის. სასაგამშრალ პირში ენას ვეღარ ატრიალებს, ხელის კანკალით იღებს ჭიქას, წყალს სვამს და შეძრწუნებული ათვალიერებს მეუღლეს.

— დედა, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, — სამზარეულოში შემოდის თვალებბრიალა, ლამაზი გოგონა. — ხვალ, ორ საათზე მშობელთა კრებაა. არ დაგავიწყდეს.

— ჰმ! დედა... — ქირქილებს მოულოდნელად კაცი. — დე-და...

— რა იყო, ბესიკ? — გაკვირვებით უყურებს ქალი კაცს. — რა გაქირქილებს? მე არ მცალია, შვილო, მამაშენი წამოვა, ალბათ... და საერთოდაც... შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ახლა, ისწავლე გაკვეთილი, ჩვენ აქ ცოტა ხანს სალაპარაკო გვაქვს და ხელს ნუ შეგვიშლი.

გოგონა ჯერ მამას შეჰყურებს, მერე დედას და უხმოდ გადის სამზარეულოდან.

კაცი გამტკნარებული სახით დაჰყურებს საკუთარ მუხლებს.

— ჰო, — მშვიდად განაგრძობს საუბარს ქალი. — სწორედ დროზე შემოვიდა ნინო, — „იმას“ არ სურს, რომ ბავშვი, რომელსაც ცოცხალი მამა ჰყავს, ჩვენთან იზრდებოდეს. სიმართლე გითხრა, არც მე მინდა, მამინაცვლის ხელში დაიჩაგროს... სასამართლო, ალბათ, ისედაც არ მომცემდა ბავშვის წაყვანის უფლებას,— ქალი ცხვირსახოცს ჭმუჭნის, თვალებთან მიაქვს და მხრები უთრთის. — ისე, რა თქმა უნდა, ყურადღებას არ მოვაკლებ.

— უხსენებელი... — ზიზღით ჩურჩულებს კაცი. — აი, თურმე როგორი ყოფილხარ... სათნო, საყვარელი, ერთგული მეუღლე, ერთგული დედა... არც მოვალეობა, არც სინდისი... ცხოველივით მიყვები ვიღაცას, ტოვებ ქმარს, შვილს...

— კი მაგრამ, სიყვარული?.. შენ თვითონაც გამოგიცდია...

— გაჩუმდი! — ყვირის გაფთრებული კაცი. — ერთხელ წავედი სახლიდან, ერთხელ და აღარ უნდა მაპატიო?! მთელი ცხოვრება ეს შეცდომა უნდა მაძახო? იმის შემდეგ ხომ აღარ ჩამიდენია მაგნაირი სისულელე?! იმის შემდეგ ხომ მოვედი გონს და გემსახურებოდით ერთგულად ცოლსაც და შვილსაც... როგორ, როგორ ბედავ და სიყვარულს უწოდებ მაგ აცუნდრუკებას... სიყვარული... იცი კი, რა არის სიყვარული? სიყვარული რჩეულთა ხვედრია მხოლოდ, ნიჭია, რომელიც მილიონობით ადამიანში მხოლოდ ერთს ან ორს შეიძლება ხვდეს წილად... როგორ, რა უფლებით აუფასურებ ამ სიტყვას? მაშ, ნესტანსაც უყვარდა და შენც გიყვარს?! ჯულიეტასაც უყვარდა და შენც გიყვარს?! დეზდემონასაც უყვარდა და შენც გიყვარს?!

— მაშ, ტარიელსაც უყვარდა და შენც გიყვარს?! — კივის სახეშეშლილი ქალიც. — მაშ, რომეოსაც უყვარდა და შენც გიყვარს?! მაშ, ოტელოსაც უყვარდა და შენც გიყვარს?!

— მე არც ვამბობ, ბატონო! — მუშტს მაგიდაზე არახუნებს კაცი, — მე უკვე დიდი ხანია აღარც ვახსენებ მაგ სიტყვას. კარგა ხანია მივხვდი, რომ ამ სიტყვის თქმის უფლება არა გვაქვს ჩვენ, ჩვეულებრივ ადამიანებს, დღეს ერთზე რომ ვკარგავთ ჭკუას და ხვალ მეორეზე... ყველანაირ ქვენა გრძნობას სიყვარულს რომ ვარქმევთ... მაგ საზიზღრობას სხვა სიტყვა მოუძებნე თუ შეიძლება... ჰა-ჰა-ჰა... უყვარს!.. გიყვარს კი არა, გინდა... მასთან ყოფნა გინდა და, წესით და კანონით, ეს საუბარიც ყოველგვარი მაღალფარდოვნების გარეშე, ასე უნდა დაგეწყო: „ჩემო კარგო, რადგანაც სხვა კაცთან კოტრიალი მსურს, გთხოვ გამეყარო!“ დედა შვილს რომ უღალატებს, ან თუნდაც მამა, იმან შეიძლება სიყვარული იცოდეს? მიპასუხე, მიპასუხე, ძროხავ! — კაცი აკანკალებული ხელებით ეძებს ცხვირსახოცს ჯიბეებში, ცხვირსახოცთან ერთად ამოყოლილ თვითმფრინავის ორ ბილეთს ერთხანს გაშტერებული დაჰყურებს, ხოლო შემდეგ გაშმაგებით ანაკუწებს. — სიყვარული, ოჰ- სიყვარული! ხვალ მივლინებით ვაპირებდი წასვლას, არსადაც არ წავალ! ან გამოიტან შენს სულელურ განცხადებას უკანვე, კეთილ ინებებ და წაეთრევი მშობელთა კრებაზეც. ან... ან... მე გასწავლი შენ სიყვარულს!.. ხმამაღალი ლაპარაკი თუ შეგეძლო, ისიც კი არ მეგონა, დამიწყო აქ ამან სიყვარულობანა... იმიტომ დადიხარ ამ ბოლო დროს გამოპრანჭული, არა? რომელი პატიოსანი ქალი იტყეპებს მაგდენ პომადას ტუჩებზე, იმიტომ დაჰყურებ საათს მალიმალ, სატრფოსთან გეჩქარება? მე თვითონ წამოგყვები იმ შენ რომეოსთან დღეს და, ვანა-

ხებ ერთი, როგორ უნდა სხვის ცოლთან კურკური.

— რა უფლებით დასცინი ჩემს საქმროს?! დღეიდან შენ აღარავითარი უფლება აღარა გაქვს ჩემზე, შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ, გესმის? მე ნებას არ გაძლევ ასე დაამცირო და შეურაცხყო ჩემი მომავალი მეუღლე, მით უმეტეს, შენთან შედარებით მართლაც რომეოა და მართლაც ტარიელი, შე საწყალო, შენ... შეხედე ერთი შენს თავს, შეხედე!

— ქალო!

— ქალო, ქალო!.. — ქალი ზიზღით მანჭავს სახეს, სამზარეულოს კარს იჯახუნებს და თავზე ხელებშემოჭდობილი მიემართება საძინებლისაკენ.

კაცი ცოფიანივით წრიალებს ერთ ადგილზე, გულზე მარწუხივით უჭერს რაღაც, ჰაერი არ ჰყოფნის... აღელვებული იჯახუნებს ინტერიერის კარს, ბორძიკ-ბორძიკით ჩადის კიბეზე, ქუჩაში გადის და პირდაპირ ტროტუარის ბორდიურზე ეშვება უღონოდ, — ვერ გადაუწყვეტია, ჯერ ცოლისძმას მიმართოს საშველად და მერე ცოლს, დას, თუ პირიქით.

ქალი გულალმაა გადასვენებული საწოლზე. თვალებბრიალა, ლამაზი გოგონა ცივ საფენებს ადებს შუბლზე, თმაზე ეფერება და მხიარულად კუჭკუჭებს:

— რა კარგი რამე მოვიფიქრეთ, დედიკო, რა კარგი! ნამდვილი მსახიობი ხარ, ოღონდ ასე კი არ უნდა შეჭრილიყავი როლში, კინაღამ მართლა დავიჯერე.

— რა მექნა, შვილო, — კვნესის ღონემიხდილი ქალი: — რა მექნა, ბილეთები უკვე აღებული ჰქონდა, ის ქალიც, ვიკითხე და ერთი გაქნილი ვინმე ყოფილა. თვითონ ეს სასიკვდილე გაიტანჯებოდა მთელი ცხოვრება, თორემ ჩვენ ჯანდაბას... ვაი, ღმერთო, რა სულელია, ბავშვის ჭკუა აქვს, ბავშვის... აღარ მორჩა მაგისი სიყვარულობანა. ახლა კი ვისწავლე მაგისი წამალი, მაგრამ რაღა დროს... ციტრამონი მომიტანე, შენ შემოგეკლე, მისკდება თავი... რა ძნელი ყოფილა მსახიობობა!

გაზაფხულის საღამო

გაზაფხულის მშვიდი საღამოა. მეზობლის მაღალი, გამხდარი, ცისფერთვალა ბიჭი ციალას ხავერდგადაკრულ სავარძელში ჩაფლულა და ტელევიზორს უყურებს. ციალაც იქვე ზის. ფრჩხილებს იქლიბავს და ხანდახან ცალი თვალით იყურება ეკრანისკენ.

— ლევან, შვილო, ვინ და ვინ თამაშობს?

— არ ვიცი, ციალა დეიდა, — თავაუღებლად პასუხობს ბიჭი.

— რა ანგარიშია?

— არ ვიცი, ციალა დეიდა, — ოხრავს ბიჭი.

— ბიჭო, ერთი საათია თვალი არ მოგიცილებია ეკრანისთვის და არაფერი იცი? — კითხულობს გაოცებული ციალა და ხელს ჯამში დებს ნუნების დასალბობად.

ბიჭი არ პასუხობს. თვალის დაუხამხამებლად, გაშტერებით შეჰყურებს ეკრანს.

— რა ვქნა, ცუდად ხომ არაა ეს ბიჭი?! — მხრებს იჩეჩავს ციალა. — ლევან, რამე ხომ არ გაწუხებს, შვილო?

ლევანი შემკრთალი იყურება ციალასკენ და უნიათოდ ცდილობს გაღიმებას.

— გაწუხებს რამე?

— გული, — მკერდზე ხელს იდებს ლევანი და კარისკენ გაჭრილ ფეხბურთელს შეჰყურებს.

— სახუმარო არაა გული, ლევან, — დამრიგებლურად ამბობს ციალა. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულს უნდა გაუფრთხილდე. მოიცა, ახლავე დავუძახებ ეკას და დაგალევინებს რამეს. ეკა! ეკუნია! მეცადინეობს, ეტყობა, ხომ იცი, სადიპლომო თემა აიღო უკვე, მე მოგიტან.

ციალა დგება. დასველებულ ხელს მაღლა სწევს, რომ იატაკი არ დაიწუწოს და ცალი ხელით აღებს კარადას, მერე სამზარეულოში გადის და იქიდან უკვე წყალში გაზავებული წამალი გამოაქვს.

— დალიე, ლევან, ერთ წუთში გაგივლის. დედაშენი მეორე ცვლაა?

ლევანი მინდორზე დამხობილ მეკარეს უყურებს, ვერ ხედავს თავზე წამომდგარ ციალას.

ციალა თვალებს ჭუტავს, რაღაცას ფიქრობს, ეჭვობს... მერე იდუმალი სახით იხრება ლევანისკენ და ხელით ანჯღრევს.

ლევანი შეშინებული სწევს თავს მაღლა.

— დალიე, ლევან, ეს წამალი. რაღაცა ამბავია შენს თავს. შეყვარებული ხომ არა ხარ?

ლევანი წითლდება, წამალს სულმოუთქმელად ყლუნწავს და უხერხულად ახველებს.

— მაშინვე როგორ ვერ მივხვდი, — უკვირს ციალას, ეცინება, ჭიქას მაგიდაზე დგამს და ხელს ისევ ჯამში ჰყოფს. ცოტა ხნის შემდეგ შემპარავი ხმით კითხულობს:

— ლამაზია, ლევან, შენი შეყვარებული?

ლევანი ფეხსაცმელებს ითვალიერებს და თავს უქნევს.

— შე ეშმაკო, შენ! — კისკისებს ციალა. — აი, თურმე რაშია საქმე... იმასაც უყვარხარ?

— იმასაც,— ოხრავს ლევანი.

— მერე რაღას ოხრავ, — უკვირს ციალას და ფრთხილად იჭრის ცერის ნუნას. — შენ, ჩემო ძმაო და მეგობარო, ბედნიერი ადამიანი ყოფილხარ. სიყვარული! სიყვარული... ეს ხომ... — ციალას შემდეგი ფრაზა ავიწყდება, მაკრატელს მაგიდაზე დებს და ოცნებით გაჰყურებს სივრცეს. ო, ღმერთო... აღარც კი მახსოვს, იმდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მიყვარდა... სწავლობს?

— სწავლობს, — თავს უქნევს ლევანი.

— მერე რა! — ცხარდება უეცრად ციალა. — შენც მოეწყობი. თუ არ მოეწყობი და არც მაგას უჭირს რამე მთავარი სიყვარულია. სიყვარული და ურთიერთგაგება. ჭეშმარიტ სიყვარულს ვერაფერი დაუდგება წინ!

— დაუდგება, — თითქმის გმინავს ლევანი და ხელებზე იყურება.

— ღლაპი ხარ ჯერ, ღლაპი! რა გელაპარაკო! რა უნდა დაუდგეს, მე შენ გეკითხები?!

— დედამისი... — ჩურჩულით ამბობს ბიჭი და თავს ლამის იატაკამდე ქინდრავს.

— დედამისი... ჰა-ჰა-ჰა... — კარგი ერთი, ნუ გამაცინე, ვინ ეკითხება დედამისს... რა, ცუდი ქალია?

— არა, ცუდი არაა, მაგრამ...

— უნამუსო! რაო, ვითომ რაო? — გაკაპასებული ციალა ტელევიზორს თიშავს, რომ უფრო კარგად გაარკვიოს თავისი უბედური მეზობლის ამბავი. — რაო, ბიჭად ბიჭი არ მომწონხარო, თუ? შენმა მზემ, ბევრი არ იპოვო ჩემნაირი-თქო: თვალ-ტანადი, ჭკვიანი, ზრდილობიანი, წესიერი, მშრომელი... რა ჭირი მინდა მეტიო, რაო, რას ამ-ამბობს?

— ღარიბი რომ ვარ... თანაც მუშა... — განწირული ხმით ამბობს ლევანი და ცისფერ თვალებს სევდიანად ახამხამებს.

— ფუი, ვერ ვიტან მეშჩანებს! მერე რა, რომ ღარიბი ხარ? მოიცა, მოიცა, რა ვუქნათ მაგ საძაგელს... მოვიფიქრე! ჩუმად უნდა მოაწეროთ ხელი! დღესვე წაიყვანე! დღესვე წაიყვანე, გაფიცებ! ოჰო-ჰოო... დედა, დედა, რა სპირი იქნება?! მერე რაღას იზამს?

— გადაირევა, — უარობს ლევანი და ისევ ოხრავს.

— გადაირიოს! — სიხარულით ეთან-

ხმება ციალა. — დიახ, დიახ, ახია მა-გაზე, გადაირიოს! მეშჩანი! კუდაბზიკა! ბადუმაეშ?! ქონებაზე ათხოვებს შვილს თუ ბიჭზე?

ლევანი დუმს.

— ლევან, შვილო, გეხვეწები, — როლში შედის ციალა. — გემუდარები, ოღონდ იმისი ჯავრი ამომაყრევინე... წაიყვანე, დღესვე, ამ საღამოსვე... წაიყვან, ჰა?!.

— აბა როგორ, ციალა დეიდა, კაპიკი რაა,' ისიც კი არა მაქვს, — გაფართოებული თვალებით აჭყურებს ლევანი. — ხელფასამდე რომ მოვიცადო, კიდევ ჰო...

— კაპიკი! რა კაპიკი, რის კაპიკი! მოიცა შენ, სანამ მე ცოცხალი ვარ, ნურაფრისა შეგეშინდება, ხუთას მანეთს გაჩუქებ ახლავე, ამ წუთასვე!

ლევანი თავს აქნევს უარის ნიშნად, რაღაცის თქმასაც აპირებს, მაგრამ ციალა არ აცდის.

— დედას გაფიცებ! ის შენი გულით საყვარელი მოგიკვდეს თუ დღესვე არ გააქანო სადმე. ხუთასი რაა, ხომ იცი, არ გვჭირს... ბოლოს და ბოლოს მეზობელი ხარ, შორეული ხომ არა. სამაგიეროდ დაისჯება! დაისჯება და მერე როგორ, — ის ქაჯი, ის სიყვარულის ჯალათი! ა, ლევან, საყვარელო, კარგო... ხომ გააკეთებ ამას ციალა დეიდას ხათრისათვის? არ გააკეთებ და, არც იქნები კაცი.

— მაშინ სხვა ვინმეს გამოვართმევ... სიმონისგან ვისესხებ, სიმონსაცა აქვს ფული, — ლუღლუღებს ლევანი.

— არავითარ შემთხვევაში! სი-მო-ნი! სიმონზე ნაკლები ცხოვრება და ქონება მაქვს მე?! — ბრაზობს ციალა. — თანაც მე უფრო დიდხანს დაგაცდი. წაიყვან მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ფულით!

ლევანი თავს ქინდრავს.

— ასე, შემოგევლე, ასე. პირადი კეთილდღეობისათვის არაფერს არ უნდა დაერიდო, არაფერს! მეშჩანი დედიკოსი შეგეშინდა, ბიჭო? მეშჩანის? აი ნახავ, რა ოინს მოვუწყობთ იმ კუდაბზიკას.

ციალა საძინებელ ოთახში შერბის, ცოტა ხნის შემდეგ გამოდის და ლანგარზე დადებულ ხუთმანეთიანების მოზრდილ დასტას საზეიმო იერით უწვდის ლევანს.

ლევანი არ უყურებს ფულს, ზურგზე ხელებშემოწყობილი, ღრმად ჩაფიქრებული ფეხსაცმლის წვერით რაღაცასა ხაზავს იატაკზე.

— ღმერთო ჩემო, ბოლოს და ბოლოს კაცი ხარ თუ ჩვარი?! — ციალა შეკვრას იღებს ლანგრიდან და ბრაზით უტენის ჯიბეში ლევანს. — რისა გერიდება, ვიცი, არ შეირჩენ. შენ ჯერ იმაზე იფიქრე, რაც მთავარია. მერე შემოგირიგდება კიდევაც ის ქონების მოყვარული სიდედრიკო და ფულის მეტი რა გექნება. აი, მაშინ შეგიძლია გადამიხადო. თუ გინდა, მანქანასაც გიშოვი? მოიცა, ბარემ მადლს ვშვრები და ზედ მარილსაც მოვაფრქვევ.

ციალა ყურმილს იღებს და ნომერს კრეფს. დიდხანს წვალობს. ბაგემოკუმული ლევანი ამასობაში უბედური სახით ათვალიერებს ჭერს და აქეთ-იქით ირწევა.

— დასწყევლოს ღმერთმა, ტელეფონი კი არა, ქვაა. არ გადის. არა და, იაფად წაგიყვანდათ. ხალტურისტია ერთი, „ზაპოროჟეცი“ აქვს, მაგრამ, მერე რა, სამაგიეროდ კაპიკებს გამოგართმევს. დარჩენილი ფულით იმ შენი გულის მურაზსაც უყიდი რამეს. შენთვისაც შეიძინე ახალი შარვალ-კოსტიუმი... აბა, მაშ მაგ ტანსაცმლით ხომ არ წარუდგები სიდედრ-სიმამრს. სულ დამავიწყდა მეკითხა, სიმამრიც გყავს?

დაბნეული ლევანი თავს უქნევს.

— როგორი კაცია, ისიც ისეთია, აი... — ციალა ზიზღით მანჭავს სახეს, — მეშჩანი?

ლევანი ცალ მხარს იჩეჩავს და ისევ ოხრავს.

— ხმა! კრინტი! აღარ გამაგონო შენი ოხვრა-გოდება. დღეიდან ბედნიერი ადამიანი ხარ. ან კი როგორ იფიქრე,

შე სულელო, რომ იმ მეშჩანებისთვის შეგეწირა სიყვარული? ტრა-ლა-ლა! წინასწარ ვტკებები და ვზეიმობ, მოიცა ერთი, ტელეფონი, ტელეფონიო, აგვიჩემებია. შორს კი არაა ის სახლი. უბრალოდ, ქუჩა არ მახსოვს და ახსნით იქნებ ვერ გაიგო. ეკას გამოგაყოლებ და მიგასწავლის ეკა! ეკუნია!

ეკა წიგნით ხელში გამოდის და დედას შეჰყურებს.

— შვილო, ეკა, დედაშენმა უკვე ჩაიდინა სამადლო საქმე. ახლა შენი ჯერია. დადე ეგ წიგნი აქ, მაგისი დროა ახლა და სასწრაფოდ წაჰყევი ლევანს. გზაში მოგიყვება რაშიცაა საქმე. ნათელა ხომ იცი, ავთოს ძმის ცოლი, იმის კარის მეზობელია შოფერი ლადო. ჰოდა, ძალიან ეჩქარება ლევანს იმ ლადოს ნახვა. „ის“ სახლში იქნება? — შეთქმულივით უღიმის თავისი სულგრძელობით აღფრთოვანებული ციალა ლევანს.

— კი... სახლშია... მე არ შემიძლია ასე... ეს ხომ მოტყუება გამოვა... — აღელვებული ლევანი ფულს მაგიდაზე დებს, ეკას ხელში ხელს ჰკიდებს და მუდარით ეუბნება ციალას: — მე და ეკას ერთმანეთი გვიყვარს, ციალა დეიდა... ნება მოგვეცით, გთხოვოთ...

გაშეშებული ციალა ერთხანს გიჟივით ათვალიერებს ორივეს, მერე იატაკზე ფეხებს აბაკუნებს და ისტერიულად კივის:

— რაო? არავითარ შემთხვევაში... მათხოვარო! შეენ? ჰა-ჰა-ჰა... ჩემ შვილი, ერთადერთი... გაეთრიე ახლავე, გაეთრიე აქედან... თაღლითო, თანაც ჩემი ფულით გინდოდა წაგეყვანა, არა? ტყუილია, ტყუილი! როგორ შეიძლება ეკას შენ უყვარდე, ეკა, შედი ახლავე შენს ოთახში, გაუშვი ხელი ამ მონტიორს და შედი შენს ოთახში!

●

მესამე დღეა. საავადმყოფოში მისულ მნახველებს ეკმი აფრთხილებს:

— ბევრი არ ელაპარაკოთ, ერთი წუთით შეიძლება შესვლა, ესეც ხათრით, თანაც ყველას კი არ შეგიშვებთ. სერიოზული ამბავია, გული! გული! გულთან ხუმრობა არ შეიძლება, მეგობრებო!

გაფითრებული, გულზე ხელებდაკრეფილი ციალა გაუნძრევლად წევს საწოლზე და მილეული, გულის ამაჩუყებელი ხმით ერთსა და იმავეს უმეორებს მასთან თითო წუთით შესულ ნაცნობ-მეგობრებს:

— რა უსწავლელმა... რა ღარიბ-ღატაკმა... შვილო, ეკა, როგორ წაყევი... როგორ წაყევი!..

პალატის წინ ჩასუქებული, ნაპატივები მეუღლე გადი-გამოდის და დროდადრო იცრემლება.

ნეკნი

ორმოციოდე წლის მამაკაცი დარდიმანდულად მორთხმული სავარძელში, ფეხი ფეხზე შემოუდვია, ხელში გიტარა უჭირავს და თვალებმილულული, ხავერდოვანი და გულის მომკელელი ხმით დაჰღეღუნებს ზედ: „ენს ხმას რომ გა-ვი-გონებ, გენაცვალე, მკვდარი ვიყო, ავდგებიი...“

მამაკაცი თვალს ახელს, ჯერ ლამაზად გაწყობილ სუფრას გაჰყურებს, მერე საათს, და გიტარას კედელზე აყუდებს — ქალი, რომელიც მოსვლას დაჰპირდა, აგვიანებს.

მამაკაცი სარკესთან მიდის, მღელვარე კმაყოფილებით ათვალიერებს წარმოსადეგ ორეულს და უტექსტო ღიღინით მიემართება ფანჯრისკენ: „შეიძლება არც მოვიდეს, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მომცა პირობა, რომ როგორმე მოვეშორებინე,

საკმაოდ გვიანი იყო, თანაც მეზობლებსაც ღია ჰქონდათ ფანჯრები. გიას აღარ ვჯობივარ? ოჰ ოღონდ კი მოვიდეს... ოჰ, რა ქალია!"

ტელეფონის გაბმული ზარი ფიქრს აწყვეტინებს მამაკაცს, იგი სწრაფად მიდის აპარატისკენ, ყურმილს იღებს და ¡დინჯი ხმით ამბობს:

— დიახ.

— სახლში ხარ, ბესო? — კითხულობს ქალის გახარებული ხმა.

— არა! — შეკავებული ბრაზით პასუხობს მამაკაცი.

— როგორ, ბესო არა ხარ? — იბნევა ქალი.

— ბესო კი ვარ, მაგრამ სახლში არა ვარ, — დასცინის მამაკაცი. — როდის უნდა ისწავლო ლაპარაკი, შე საწყალო?

— რა მოგივიდა, ბესო, — ხმა ეზარება ქალს. — ისევ დაიწყე?

— არაფერიც არ დამიწყია, სახლიდან გავდივარ ამ წუთას. მეჩქარება. საქმე გქონდა?

— საქმე კი არა... მოსვლა მინდოდა, — გაუბედავად ამბობს ქალი.

— მაგაზე ბოდიში, გავდივარ უკვე და მთელი საღამო სახლში არ ვიქნები, — ხმა უმკაცრდება მამაკაცს. — თუ მოვახერხე, მე თვითონ დაგირეკავ ამ დღეებში... ალო, ალო... ცირა! ოჰ, რაღა მეშველება! — ყურმილს ბრაზით ახეთქებს მამაკაცი. — ვეღარ მიპოვია შენს გარდა ქალი. ქალი კი არა, მე მგონი, მთლად ანგელოზი ვიპოვე, ანგელოზი... ღიღინით აგრძელებს იგი და კვლავ საათს გაჰყურებს.

ისევ ისმის ზარის ხმა, ამჯერად კარიდან. მამაკაცი მწეváრივით კისერწაგრძელებული მიემართება კარისკენ, აღებს და ღიტაცებით შეჰყურებს ფერხორცით სავსე, მკერდმოღიავებულ ქალს, რომელსაც ჩალისფრად შეღებილი თმა წინდანაც გადაუვარცხნია, უკნიდანაც წამოუკრეფია და ზედ შუა თავზე ბატიბუტივით აქვს გადაფურჩქნილი.

— აახ! — ხელებს განზე შლის აღფრთოვანებული მამაკაცი. — მარტო ერთს კი არა, ყველა ნეკნს დავთვლიდი... ყველას, — უკლებლივ!

— რ-რ-ა-ა? — წრთხლს ეყრდნობა შემცბარი ქალი — რა თქვი, ბესო?

— ეგა ხომ ადამიანის ნეკნიდან წარმოიშვა, არა? — სიცილით უმარტავს მამაკაცი. — მე კიდევ, ადამის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ყველა ნეკნს დავთმობდი, თუკი, რა თქმა უნდა, მეცოდინებოდა, რომ ამით შენ წარმოიშობოდი, — ასეთი უმწეო, ასეთი მშვენიერი, ასეთი კარგი...

— აჰ, შენ რა გითხარი, — კეკლუცად იცინის ქალი. — მე კიდევ ვიფიქრე...

— გიჟი ხომ არაარ, არა? — არა, ძვირფასო, არა, სრულიად ჯანსაღი გახლავარ და ერთადერთი, რაც ზოგჯერ მაგიჟებს ხოლმე, ესაა სილამაზე!

— გმადლობ მშვენიერი ქათინაურისათვის... ოო, შენ უკვე სუფრაც გაგიწყვია... მეც მოვიტანე რაღაც-რაღაცები... ეს რა არის, „სამვარსკვლავიანი"?, მე, გენაცვალე, ვარსკვლავიანების სმას არა ვარ მიჩვეული, ნახე, ეს, ფრანგული კონიაკია, დაგილევია?

ბესო მხრებს იჩეჩავს და უხერხულად იღიმება.

— ესეც ხიზილალა, ესეც ზუთხი... თევზეული გიყვარს საერთოდ?

— როგორ გითხრა... კი, რა თქმა უნდა, — თავს უქნევს ბესო. — მაგრამ...

— რა მაგრამ... — ეცინება ქალს. — რატომ დავიხარჯე, არა? — მე, გენაცვალე, ისეთ ადგილას ვმუშაობ... ესეც ფინური ძეხვი, ესეც...

— რატომ წუხდებოდი, ეს... ეს...

— კარგი, ერთი, მე არ ვიცი მარტოხელა მამაკაცების ამბავი? ალბათ, მთელი დღეები ამ საძაგელ კონსერვებსა და ძაღლის საჭმელ ძეხვზე გადადიხარ, არა? ბესო, შემოგევლე, თუ ღმერთი გწამს, მოაშორე აქედან ეს ყველაფერი... ნუ გეშინია, აწი არ მოგაკლებ არაფერს.

ბესო უხმოდ იღებს მაგიდიდან და-

წუნებულ საჭმელ-სასმელს, გააქვს სამზარეულოში, აწყობს იქ მაგიდაზე და სწრაფადვე ბრუნდება უკან.

— ცოლი საერთოდ არ გყოლია, თუ გაშორებული ხარ, ბესო? — „მარლბოროს“ უკიდებს ქალი.

— არ მყოლია, — ქალის მოშიშვლებულ მხარ-მკლავს ხარბად ათვალიერებს ბესო. — შენ, მგონი, გაშორებული ხარ, ხარ?

— ხუთი წელია, — ქალს სიგარეტი მარცხენა ხელში გადააქვს და ჭიქებს ავსებს. — ქაჯი, უხასიათო, ეჭვიანი... იცოცხლე, სამაგიერო გადავუხადე, იჯდეს ახლა ოთხკლიტულში ზოოპარკის მაიმუნივით და იკვნიტოს ტუჩები. ფუჰ, გახსენებაც აღარ მინდა... მოდი ამ ჭიქით გაგებას გაუმარჯოს, გაიგე? გამიგებ, — გაგიგებ! არ გამიგებ, — არ გაგიგებ და ნუღარც დამემდურები მერე ნურაფერზე, გამიგე?

ბესო ვერაფერსაც ვერ გებულობს ამდენი „გამიგე-გაგიგებდან,“ მაგრამ მაინც მხურვალედ პასუხობს, გავიგეო და თვითონაც ბოლომდე ცლის ჭიქას.

— მშვენიერია! ყონიაკის მისამართით ამბობს ქალი. — სხვათა შორის, სამი ჭიქა წამოსვლამდე დავლიე, სტუმარი მყავდა და... მიატანე რამე, რას ზიხარ ბერივით, ხიზილალა ჯობია კარაქთან ერთად, კალორიულიცაა და ენერგიასაც შეგმატებს. თუმცა, ენერგიას, მე მგონია, არ უნდა უჩიოდე, არა? ხარივით გამოიყურები. გიას საიდან იცნობ, ერთად სწავლობდით?

— კი. თანაკურსელები ვართ. გამაგებინე, ერთი, რა სჭირს გიას, რაღაც ვერ იყო ხასიათზე.

— შენს მტერს სჭირდეს, რაც მაგას სჭირს და, საერთოდ, ჯერ სადაა, ესე იგი, შენც ფილოლოგი ხარ, არა? კაი უცნაური ხალხი კი ხართ ეს ფილოლოგები, ხომ იცი...

— რამე სერიოზულია?

— გიაზე მეკითხები? როგორ გითხრა... კია სერიოზული... და, საერთოდ, რას გეტყვი, იცი? ღორის ტილს ფეხზე რომ დაისვამ, თავზე აგაცოცდება, შემოიყრის მერე დოინჯს, გადაიდებს ფეხს ფეხზე და აქეთ დაგიწყებს ჭკუის სწავლებას... რას უზამ მერე შენ ასეთ ტილს?— მკაცრად კითხულობს ქალი და თავზე გადაფურჩქნილ ბატიბუტს აქანქარებს — დგები და ისე დაანარცხებ ძირს, შემოყრილი დოინჯი ცალკე დარჩება და ერთმანეთზე გადადებული ფეხები ცალკე... ვაჭმევდი, ვასმევდი, ვაცმევდი... არ უნდოდა კარგად ყოფნა? კი, ბატონო! იკითხოს აწი! გამიგე?

ბესო ისევ ვერაფერს გებულობს, მაგრამ დაბნეული და ნირწამხდარი მაინც პასუხობს, გაიგეო, და თვითონაც წრუპავს ყონიაკს.

— ძეხვს რატომ არ ჭამ, არ გიყვარს?

— როგორ არა, — უნიათოდ იღიმება ბესო და ძეხვის ნაჭერს იღებს.

— თემურა ინწკირველი რა არის შენი? — ახალ სიგარეტს უკიდებს ქალი. — ახლობელია, თუ მხოლოდ მოგვარე?

— თემური? თემური... სად მუშაობს?

— აღარსად, — ბოლს რგოლებად უშვებს ქალი. — აღარსად და, სულ ცოტა, ცხრა წელი კიდევ ვერ იმუშავებს, იმიტომ, რომ ადამიანის დაფასება ვერ შეძლო, ჩემი, — მკერდზე თითს იდებს და აზუსტებს ქალი,—ბენზინის გაცემაზე მუშაობდა, რქიანი... ცოლი მომივარდა მაგისი, გაიგე? ცოლი, და ხმაც არ გასცა, მელასავით ამოიძუა კუდი და თავჩაქინდრული გაჰყვა უკან ტირილ-ტირილით... ხომ ვიძიე შური... ყველა საიდუმლო დავუფქვი და ციხეში ამოვაყოფინე თავი. სადაც თავისი დაიკვეხოს, ჩემიც იქა თქვას, შენი გიასი არ იყოს. რა ვქნა, გენაცვალე, ხასიათი მაქვს ასეთი, გამიგებ, — გადაგყვები თან, არ გამიგებ და, — გაგასწორებ მიწასთან... ჩემისთანა ქალს რომ კაცი არ დაფასებს... ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს! მე არა ვარ ხელწამოსაკრავი ქალი, თუ არა და, აგერ ცხოვრება წინაა და ნახავ. გაგიმარჯოს, ბესო!

— გაგიმარჯოს! — ჭიქას ჭიქაზე

უჭახუნებს და სულმოუთქმელად ყლურწავს კონიაკს ბესო.

— ეს ოთახი გასარემონტებელია... ჯერჯერობით მარტო შპალერი გამოვცვალოთ. მერე თანდათან სამსახურიც მინდა შეგიცვალო, მოიფიქრე, სად გირჩევნია, ვაჭრობის სისტემაში, თუ? რა მოგვიდა, ლუკმა გადაგცდა? კონიაკი დააყოლე, კონიაკი!

ბესო მიწოდებულ ჭიქასაც ბოლომდე ცლის და ღრმად ისუნთქავს.

— უჰ, კინაღამ არ დავიხრჩვი?

— ხვალ-ზეგ მუშას გამოვაგზავნი. შპალერი ფინური გირჩევნია თუ გერმანული?

— აჰ, რას ამბობ, — ხელებს ასავსავებს ბესო. — რას ამბობ, მაგაზე შეგაწუხებ? მე... მე სხვებივით დაუნახავი კი არა ვარ, ან წამგლეჯი... მოდი, ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს, შენს ალალ და გამგებ გულს გაუმარჯოს... როგორც შენი მონაყოლი ამბებიდან გავიგე, ჯერ ცხოვრებაში კაცი არ შეგხვედრია, რომელიც შენს მოსიყვარულე გულს დააფასებდა, მაგრამ ნუ გეშინია, დღეიდან შენ... ვაი... უკაცრავად... მე... — ბესო ნელ-ნელა ცურდება სკამიდან, იატაკზე იშოტება და თვალებგადმოკარკლული და მუცელზე ხელებმოჭერილი უცნაურად ხრიალებს.

— ბესო, შენ რა, დათვერი? — ჩასძახის განცვიფრებული ქალი. — ბესო, ასე მალე და უაზროდ თვრები?

— მე არ დავმთვრალვარ... მაპატიე... მე, მე... დაგიმალე შენ და მაპატიე... დღეში სამჯერ ასე მემართება... ეპილეფსია... ძალიან გთხოვ, არ დარეკო სასწრაფოში... სულ ცოტა, ორი საათი მაინც უნდა... მერე გამივლის, თავისით... წარმოგიდგენია, რა უბედური ვარ? დღეში სულ ცოტა რვა საათი... ვაი, მაპატიე, რომ თავიდანვე არ გითხარი... მით უმეტეს, დავლიე... ოღტიე, წადი, კარი გაიკეტე... ღღღ.

— ბესო, ბესო! უიმეე, რა ყველა გიყს და ავამდყოფს მე უნდა გადავეყარო, — თითებს იმტვრევს სასოწარკვეთილი ქალი. — ბესო, წყალი გინდა?

— არაფერი, სანამ თავისით... მაპატიეთ, წადი, კარი გაიკეტე... ღღღ.

ალეწილი და შეშინებული ქალი ზიზღით დაჰყურებს პირზე დუქმომდგარ და ტკივილებისაგან დაგრეხილ ბესოს, ჩანთას იღებს და სწრაფად მიემართება გასასვლელისაკენ. ორიოდე წამის შემდეგ ისმის კარის ჯახუნი.

ბესო ფართოდ ახელს თვალებს, ერთხანს გაუნძრევლად წევს, მერე ფრთხილად დგება და თითის წვერებზე აწეული ნახატი ფილმის ცბიერი მგელივით მიიპარება კარისკენ.

უკან შემობრუნებული ბესო მძიმედ ეშვება სავარძელში, პირს იწმენდს, შვებით იზმორება, ფეხებს ბოლომდე წვართავს და თვალებდახუჭული, კმაყოფილი და ბედნიერი სახით ითვლის ნეკნებს.

გრიგოლ ჯულუხიძე

დუელი

რევაზ მიშველაძეს

საკითხავია:
ასე სანამდე?
უფრო მთავარი:
როგორ? ღმერთმანი...
სამშობლოს ჩვენსას როგორ ამაგრებს
გულები შვილთა,
ტყვიით შემთბარი!

ამ ყიამეთში ფეხი ავიდგით,
იმედს დავეძებთ
ხელის ფათურით,
ღამეს დუელში იწვევს რაინდი
და უსიმებოდ კვნესის ფანდური.

ჭოტი დაჰკივის მრევლის კვესაბედს,
წამისმზომელად დაჯდა სატანა,
ერთი ნაბიჯი რჩება ზეცამდე
და ქვესკნელამდე — უფრო პატარა,

ნაბიჯს სიცოცხლის ფასად განიცდი
შენი სიცოცხლე
ბეწვის ხიდია...
ესროლო უნდა!
დღეს სიმართლისთვის
საკუთარ ხორცს და პერანგს ჰყიდიან!

მჯერა, ქართველის წმინდა ვალია
ედგეს ქვეყანას ქედით უღელში
და თუ სიკვდილი გარდუვალია
სჯობს რაინდულად მოკვდე დუელში!

საით

საით,
სტრიქონის ბულულო?
ვით არ შემახმა მარჯვენი —
რად იშვი,
ქარის არჩევად, —
ფიქრისთვის ვინ თქვა სასჯელი!

საით, შენ,
ჩემო კურცხალო?
გამშრალი გული მოგკვის...
კურცხალი
კურცხალს
ანათებს, —
სევდისთვის ვინ თქვა ბორკილი!

საით, შენ ჩემო ოცნებავ?
ბინდდება სარკმლის ნაჭერი...
ჩქარა: ცა,
სივრცე!
ვინა თქვა
ოცნებისათვის სასჯელი?!

ვით ჩატეხილი სტრიქონი

ყვავილი ანთებს
ატმის ტოტს,
როგორც ცოცხალი სტრიქონი...
ჩავლილო გაზაფხულებო,
დღეს
ლექსებივით
გიგონებთ.

ლექსი ვინა თქვა
უვარდოდ,
ვინ თქვა
ულექსოდ აპრილი?
ჩავლილო გაზაფხულებო,
რამდენ
სიხარულს
დამპირდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაპყვა წარსულს
კვირტების
წამოფეთება რამდენი...
ირევა წლები,
ტრიალებს
ლექსების კორიანტელი.

თოვს,
ლექსის თეთრი ფიფქები,
წარსულს
ლექსივით ვიგონებ...
და მტკივა, სიყრმე, ჩავლილი
ვით ჩატეხილი სტრიქონი!

მიყვარს ნატვრა

სხვაზე მეტი მევალე მყავს,
სხვაზე. მეტი —
დარდი...
დღეს თუ არა...
ხვალის ფიქრით
ეს ცხოვრება გადის.

მე ვინ მომცა
მთვარის ტახტი,
ან სასახლე ბროლის,

მიყვარს ნატვრა,
ამ ნატვრაში
იმდაგვარიც არის.

რაც უცხოა ბევრისათვის
და ვერასდროს
იგრძნობს, —
მიწაწყარილ სხვათა ოქროს
ჩემი
დარდი მიჯობს.

იმედი

(ირონიული)

დიდი რამეა იმედი! —
მაქვს ლატარიის ბილეთი...
გულში იმედი არ შრება,
სანამდე გათამაშდება.

მერე კვლავ ახალს ვყიდულობ,
ცუდი რა არის ამაში?
და მიდის ჩემი ცხოვრება
სულ ასე თამაშ-თამაშით.

უთქმელი ლექსი

სისხლის და ნერვის ყოველი ქალა,
ჩემი სიცოცხლე
და გულის ფეთქვა
ეკრძალვის,
როგორც ყმაწვილი მამას,
იმ ლექსს,
რომელიც მე უნდა მეთქვა.

დაღლილ იდაყვზე
მთრთოლვარე ფიქრი,
წვიმა და თოვლი მოსული ჩემთვის
ეკრძალვის;
როგორც სიცოცხლე სიკვდილს
იმ ლექსს,
რომელიც ვერაფრით ვერ ვთქვი.

მარად ეფხიზლობდი
ვარსკვლავთა ქარში
და ვდარაჯობდი
რიჟრაჟის სარკმელს,
სიკვდილი რაა?
ტკივილი დამშლის
რომ უთქმელობის
ტკივილი გამყვეს.

ნოემბრის თოვლის შრიალი მიქროს
ოქტომბრის ფერით
მოჩითულ ეზოს
ახლოდან უფრო იგრძნობა სითბო —
სადა ხარ ჩემო უთქმელო ლექსო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ქახილი

ტელეფონის ზარს ველოდები,
ზარი არ არის,
წერილი რაა, წერილსაც კი
არ მწერს არავინ,
მზე კი ანათებს,
მაგრამ დღეა გულისმზარავი,
უკაცრიელი და ყრუ გახდა
ჩემი კარავი.

იქნებ
ამაო წანწალია ქვეყნად გაჩენა? —
ჭერსა და კედლებს
დავიწყება ფიფქებს მიაშლის ..

ვიკეტავ კარებს
და გბრუნდები გადასარჩენად
სიყმაწვილეში —
ერთგულების ორომტრიალში.

ბოდიში ყველას,
ვისაც აწი გაგახსენდებით,
მივდივარ,
უკვე მიმაქანებს ჩემი მარხილი...
მივდივარ უკვე,
მთავარია აღარ ვჩერდები
და მათრახივით ბეჭებს მიწვავს
თქვენი ძახილი.

თუ გესიზმრებათ?

თუ გესიზმრებათ
იმ ღამეთა თეთრად თენება?
სითბო, სიცივე,
ჟრუანტელი,
იმ მზის, იმ ქართა?
ცრემლი, ღიმილი,
აღტაცება
და გახელება,
როცა უყვარდით,
ტკივილამდე როცა გიყვარდათ?

ჩვენ არ ვიქნებით
მთვარის ლანდი
ქვებზე დაღვრილი,
ან საგუბარი
გამოფიტულ
აზრთა,
სიტყვათა,
კვლავ იყვავილებს სული ჩვენი
წლებით დაღლილი
და გვეყვარება იმავ ძალით
როგორც გვიყვარდა.

იქნებ დამიწდა
ჩვენი ფრთები ცაში საფრენი
და ეს ჩვენება
მიწაყრილთა
უცხო ნისლია,
გარდავიცვალეთ სიყვარულში
და ყველაფერი
არ ვიცით, მაგრამ
ძველებურად
ისევ ისეა?

და გვესიზმრება
იმ ღამეთა თეთრად თენება,
სითბო,
სიცივე,
ჟრუანტელი,
იმ მზის,
იმ ქართა,
ცრემლი,
ღიმილი,
აღტაცება
და გახელება
როცა ვიყავით,
ტკივილამდე როცა გვიყვარდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანის გახსენება ჟამუშთან

1.

შენ ბედნიერი კაციც ყოფილხარ,
რომ არ დაუხვდი ამას, რევაზო.
იტყოდი, ნეტა არ მოვსწრებოდი
ამ უმოწყალო მეწყერ-ნგრევასო.
შენი სვანეთი შეძრეს ზვავებმა,
გლოვის ზარები ძგერენ მულახთან.
ვოიო, ვოი...
ზოგი მონახეს,
ზოგს ეძებენ და ჯერ არ უნახავთ.
ვოიო ვოი...
მულახელები
მანდაც მოგივლენ...
ვოი, ვოიო...
ნაპრალებშია ჩამეწყრილიო
და მირანგულას სად იპოვიო?!
იტყოდი, ნეტა არ მოვსწრებოდი
ამ უმოწყალო მეწყერ-ნგრევასო...
შენ ბედნიერი კაციც ყოფილხარ,
რომ არ დაუხვდი ამას, რევაზო.

2.

უშბას კიდესთან ზეცა გამუქდა,
მზე დაბინდა უშბას კიდესთან.
აქ შენახული გქონდა მარადის
რაც მოგიმკია, რაც დაგითესავს.
სიკვდილსაც უგვემ-უტირებიხარ,
წკვარამს აოცვეედი მირანგულასკენ.
ზვავიც მრავალი ჩამოსხლტილა,
ელვა-მეხითაც მირაგვულა კლდე.
საცა დაიძარ, მულახს ეძებდი,
გხმობდა, გეძახდა მზე მულახისა.
მაგ კლდეებს ახსოვთ ავი საწუთროს
შუბთა ძგერა და ცემა ლახვრისა.
სვანური კოშკის ხერხემალზეა
დაძარღვებული ლილე დიადი.
ჰა, იმ ღრუბელში ჰქრის შენი ეტლი, —
იქ აელვარდი, იქ გახმიანდი.

3

ვიგონებ იმ წლებს,
ყრმობის მწარე წლებს, —
ხელში შეგაკვდა შენ ალიოშა.
ღრუბელში მისი სული აბორგდა,
დააჩნდა შავი შრე ალიონსაც.
ძმა, რა ძმა, —
შიშველ კლდეებზე ჯიხვებს
და ტყეში ირმებს მოგიშენებდა.
ვოი, ვოიო...
გლოვით სვანებმა
ჩამოიყვანეთ ოდიშელებთან.
მერე სტრიქონებს ცრემლი
მოსწვეთდათ,
ვით მზეზე შემთბარ ყინვის
ლოლუებს.
ადნო და ადნო დრომ ყინულები,
მაგრამ შენს გულში ვერ გამოლია.

4

შენ სულ გესმოდა დედის გოდება,
კლდიდან კლდეებზე მიხეთქებული.
დუმდა ბილიკი მონადირისა,
საჯიხვეების დუმდა ქვაბულიც.
სად დაუღამდათ დაკარგულ შვილებს,
ველურ ნადირთა კვალ-კვალ
მადევართ?!
ვეღარ შესძახეს ღილის ლილეო,
აღარ დასცალდათ ღამის გათევა.
თოვლქვეშ ეძინათ უშბას ბილიკებს,
მონადირეთა სიზმრის ქამანდებს.
— შენ თუ მოგძებნე, მზისკენ ამიყვან,
მზისთვის შეწირულ სანთლად
ამანთებ! —
თოვლქვეშ ისევე სძინავთ ბილიკებს,
დედის გოდება ეხლება ლილეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად გაიტყუეს ლაღმა ჯიხვებმა,
სად დაუღამდათ დაკარგულ შვილებს?!

5

მახსოვს,
უშბასთან მზის ამოფრქვევა,
მულახთან ამოკაშაშება მზის...
ასეა მუდამ, გაილუმპები
ცვარში და მერე აგაშრება ძლივს.
მახსოვს,
ლექსების ფრთებით ნავარდი,
უშბას მოსკდარი ღრუბლის მეწყერი,
ჩიტების ფრთებზე შეჩერებული
და ხმელ ზვინებზე დაულეწველი.
მახსოვს,
სვანებთან შენი გალობა
და ჯადოსნური ჰანგი ჭუნირის.
ქარაფებს გაჰყე,
სამონადირეოდ
აღზევებული და აღფურვილი.
დიდ წინაპართა მახვშის აჩრდილი
საგვარეულო საკარცხულში ზის.
მახსოვს,
უშბასთან მზის ამოფრქვევა,
მულახთან ამ'კაშაშება მზის.

6

უშბას კალთებთან ცრემლგაუმშრალი
კვლავ გოდებს დედა მირანგულასი.
სვანების ცრემლი შენივთებულა
ცაჩამონგრეულ ზამთრის მულახში.
მანდაც დამძიდი, ვიცი, ზვავებით,
მეწყრებმა მანდაც, ვიცი, გიწია.
ზე ამოანგრევს შენი აჩრდილი
დიდუბის მიწას სვანურ მიწიანს.
გადაევლები მთებს და ხეობებს,
კოშკები გლოვის ქარში იძრიან.
არ შეგიძლია შენ უსვანეთოდ,
შენ უმულახოდ არ შეგიძლია.
მულახელები ბარში მიდიან,
მულახელები იხიზნებიან.
ვაი, გაექცნენ უშბას ჭიუხებს,
თოვლიანსა და ჯიხვის გზებიანს.

7

ხატებიანი საყდრები დგანან,
ისე, ვით იდგნენ ძველისძველადა.
კოშკი კვლავ წველის ღრუბლების
ჯიქნებს,
ისე, მარადის როგორც წველავდა.
ზღაპრულ შუბებად ზვავებს ჩხვერავენ,
ღვთიურ ცელივით ჟამთა მთიბველი
კოშკები, —
მთების მეხამრიდები,
კოშკები, —
ცის და მიწის კიბენი.
დახორცებიან კლდეებს ლიბოთი,
კედლებში გასჩქეფს სისხლი ლიბოთა.
სვანი მარადის სვანობს კოშკებთან,
ისე, ხალიბი ვით ხალიბობდა.
არა, არ დასთმობს ამ ცხოველ სვეტებს,
ჯიხვთა წყარონო, არ ამოშრებით.
კვლავ მკლავებივით აქვს აშვერილი
სვანეთს მზისაკენ თეთრი კოშკები.

8

ვოიო, ვოი...
მთელი სვანეთი
ახლა აჰბღავის ზეცას ჟამუშთან.
აგრე სიკვდილი არ ახსოვთ ამ მთებს,
წარბებშეკრულთა და მოჟამულთა.
ვოიო, ვოი...
შენი აჩრდილიც
ამ გოდებაში აკანკალდება,
ვოიო...
გმინავს პირქუში უშბა,
ღრუბლიანი და თოვლის კალთება.
აქ მირანგულას ბედშავ დედასაც
გადაეიწყდა თავის ვარამი.
აგრე ულმერთოდ სოფლის დაქცევა?!
აგრე ულმერთოდ მოსვლა წკვარამის?!
შენ ბედნიერი კაციც ყოფილხარ,
რომ არ მოესწარ წარღვნას ჟამუშთან.
შენს ლანდსაც ზარავს გოდება მთათა,
წარბებშეკრულთა და მოჟამულთა.

9

ვოი, დამეწყრილო სოფელო,
ვოი, დაქცეულო სახლ-კარო.
ვოი, გაგუდულო ბიჭებო,
თოვლქვეშ დალეწილო აკვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად არ გაედევნეთ ნადირებს,
რად არ გაათიეთ ჯიხვებთან?!
თქვენს მკერდზე ქარი ქარაშოტი
თოვლის ნამქერებს მიხვეტავს.
ბიჭი, საქორწილო ჩოხაში,
გოგო, საქორწილო მზითევთან.
მზეზე გახურებულ ლილეოს
ხვალ-ზეგაც ააგიზგიზებდა.
ეი, შეწყვეტილო სიმღერავ,
ეი, შეწყვეტილო ზმანებავ.
რათა ლილეოში გვეცოცხლა,
მიტომ გავჩენილვართ სვანებად.
ეი, დაქცეულო სოფელო,
სულო, ამოშრეტილ წყაროთა.
მზის საგალობელი დაგვიშრა,
ახლა ცრემლი უნდა ვღვაროთ.
სოფლის საგლოვი და სატირალი
შავი ღრუბელივით გასივდა.
— ეი, შვილებო, რაღა გასვათ
აწ წუთისოფლის თასიდან?!
— ეი, დაო ჩემო, ძმაო ჩემო...
— ეი, თვალისჩინო ჟამუშის.
— ეი, აწ უცელო მთიბავებო,
რაღასღა გათიბავთ მამულში?!
— ეი, ეგ თოფებიც ჩაჟანგდება,
აღარ გაგეჭცევათ არჩვები.
— ეი, გაგიცურავთ ლეთას გალმა,
აწ აქ ლანდებათღა დარჩებით.
— ეი, შვილებო, რაღა გასვათ
აწი წუთისოფლის თასიდან?!
. . . . . .
სოფლის საგლოვი და სატირალი
შავი ღრუბელივით გასივდა.

10

მიდიან ბარში შენი სვანები,
ძმებს ქართველებმა კარი გაუღეს,
გაუყვეს ლუკმა და კარ-მიდამო,
დიბა-ფარჩა და ხარი საუღლე.
კიდევ გვქონია გული ქართული,
არ დაწყვეტილა სიმი ჩონგურის.
არ დაქცეულა სულის ტაძრები,
მამაპაპათა ციხის ქონგური.
მადლობა უფალს, ერთიანია
კვლავ საქართველო იმერ-ამერი.
გვცოდნია ფასი კვლავ ერის თასის,
ერის ხმლისა და ერის სამელნის.
ახლა მიდიან ბარში სვანები,
ავსებულია ცრემლით სურები.
მიდიან წინაპართა ელვებით
მაღალ კოშკებზე მითასმულები.

ნოდარ წულეისკირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲤᲘᲐᲠᲘ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

— დირგია გაგიგონიათ? — იკითხა ხმადაბლა.

— ტყის კაცი ხომ?.. გაუხარდა დუროს, სტუმარმა ხმა რომ ამოიღო.— იქით, მთებში ცხოვრობს... — ხელი თავს უკან გადაიქნია და სტუმრის პირდაპირ, რბილ სავარძელში, საბოლოოდ მოკალათდა.

— ჰო... — მიუგო მოსულმა. შეყოვნდა. ზომაზე მეტად შეყოვნდა, კაცი იფიქრებდა, მეტის არაფრის თქმას არ აპირებსო. დუროს მოთმინება დაკარგა:

— მერე?..

— მე ის ვარ!.. — ნამდვილი სახელი და გვარი ჯეგე ხალდანია!.. უთხრა პირდაპირ, მკაცრი კილოთი და თვალები შეანათა. დუროს სავარძელში შეიშმუშნა, ვერ გაუძლო სტუმრის ელვარე მზერას. მსხვილი შავი თვალები ავად კიაფობდნენ, გრძლად ჩამოშვებული ულვაშები, ოდნავ შეჭაღარავებული, გადახოტრილი თმა, გრძელი, მსხვილი მკლავები წინ დალაგებულნი, კარგს არას უქადდნენ მასპინძელს. ის ვარ მეო, „დირგია ყოფილა“ — გაუელვა თავში დუროს და უსიამოდ შეიშმუშნა. დირგია თითო-ოროლა მონადირეს თუ ენახა შორიდან წვარნებზე მიმავალი, ან კლდეებზე ფრჩხილებით დაკიდებული. არავსა და არავიძეთში დირგიაზე ლეგენდები ითხზვებოდა. ჰიმალაისთვის რაც თოვლის კაცი იყო, არავის მხარისთვის დირგია გახლდათ.

დუროს კარგად ახსოვდა არავის მთებში მისი გამოჩენა. მწყემსებმა ჩამოიტანეს ამბავი — არავის მთებში ტყისკაცი გამოჩნდა — არჩვებს ხელით იჭერსო. მაშინ ვარლამ არავიძე ჯერ კიდევ განაგებდა არავს და დამჭირველთა რაზმები შეუსია მთებსა და ტყეებს. ვერას გახდნენ, ვერსაიდან ვერ მიუდგნენ იმ მთას, სადაც მწყემსების თქმით ტყისკაცი ბუნაგობდა.

ახალმა ხელისუფლებამ უფრო ეშმაკური ხერხი იხმარა, მონადირეები მოისყიდა და შეუჩინა. ვერც მონადირეებმა შეძლეს შეპყრობა. ბოლოს თავი მიანებეს. კაცი არაფერს აშავებდა, სოფელს არას აკლებდა, თავისთვის მარტოკა ცხოვრობდა ხან ერთ მღვიმეში, ხან მეორეში. ზოგჯერ მიუვალ ადგილას კარავს დაიდგამდა, საქონელს გაიჩენდა და იმით ცხოვრობდა. „დირგია“ მეგრელმა მწყემსებმა დაარქვეს თურმე, იმის გამო, რომ დღეს თუ ამ ტყეში ტუცავდა თავს, ხვალ სხვა ტყეში მიშლიგინებდა, თავისი ორი ძროხითა და სამი დეკეულით. მეგრული სიტყვა „დირგია“ სრულად გამოხატავდა ტყისკაცის საქციელს, — სწრაფ გადასვლას ერთ ადგილდან მეორისაკენ, მიუვალ-გაუვალ ტყეებსა და კლდე-ღრეებში მომთაბარეობას.

ვინ იყო ეს კაცი? საიდან მოვიდა? რატომ ცხოვრობდა ტყეში? — არავინ არაფერი იცოდა. ერთ ხანს ხმა გავარდა დირგია ოისიმეს ფუნდუკში ღამღამობით ჩამოდის და პურს ყიდულობსო. გააქანეს ოისიმე არავში, ერთი კვირა დამწყვდეული ჰყავდათ, დაჰკი-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხავდნენ და ოქმებს სწერდნენ, ყველაფერი ათქმევინეს რაც იცოდა, დურო ამ საქმის მონაწილეც კი იყო, დამჭირველებს ეხმარებოდა ოისიმეს გამოტეხვაში. გაირკვა, რომ უბედურმა ოისიმემ დამჭირველებზე მეტი არაფერი იცოდა. უცხო ადამიანი, კვირაში ერთხელ მოდის ფუნდუკში და პურს ბლომად ყიდულობსო — სხვადასხვა სიტყვებით ამბობდა ერთსა და იმავეს მთელი კვირის განმავლობაში და შენიშნებული ყველას ეხვეწებოდა, არ დამღუპოთ, არ გადამასახლოთო.

ადამიანი ლეგენდად ქცეული იჯდა დუროს წინ და თანდათან იპყრობდა შიში: რისთვის მოსულა ამ შუა ღამით? ნუთუ მართლა მანქანის დასაქირავებლად?..

— ხვალამ, ამ დროზე, შენი ემცხრა მჭირდება, — თითქოს დუროს ფიქრს მიუხვდაო, თქვა კუშტად ხალდანმა.

— ასე გვიან? — გაიოცა დურომ. — საშარო საქმეებზე მე უკვე აღარ დავდივარ... — მტკიცე უარი სტკიცა.

— ფულს გააკეთებ! — მიუგო მოსულმა გოროზად.

დურო სტუმარს მიაშტერდა: თუ ეს კაცი მართლა დირგიაა, ფულს არ მომცემსო — გაუელვა გონებაში. ყაჩაღებსა და „კანონიერ“ ქურდებს მანქანის მფლობელნი უფასოდ უნდა მომსახურებოდნენ, — წესად შემოეღოთ ეს. დურო, რასაკვირველია, არავის მოემსახურებოდა უფასოდ. არავის არაფერს შეარჩენდა, სამაგიეროს უსათუოდ გადაახდევინებდა მთლად ჯიბიდან გავარდნილი ჯიბგირიც რომ ყოფილიყო, მაგრამ ნისიად გაკეთებული საქმე მაინც არ მოსწონდა, მაინც გული ეთანარღებოდა.

— ფულს მე წინასწარ ვიღებ! — ყინჩად შეხვდა სტუმრის გოროზობას.

ხალდანი შეირხა, ჯიბიდან უცბად ამოიღო ასმანეთიანები და დასტად მაგიდაზე დაუყარა. დურო ამას არ მოელოდა, წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, ფულს დააშტერდა, მერე მზერა სტუმრისკენ მიმართა.

— გნებავთ, ყოველ ღამე მოგცემთ ნაწილ-ნაწილ, გნებავთ ერთად აიღეთ... — შეაგება გაკვირვებულ მზერას სტუმარმა.

— რა საქმეა ასეთი? — ამდენი ფულის მაგიდაზე დაყრა არ მოეწონა დუროს, სტუმარს დაეჭვებული მიაჩერდა.

— ვარლამ არავიძე უნდა ამოვთხარო საფლავიდან და წაღებაში მომეხმარო!.. — არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ მიახალა ხალდანმა.

დურომ იფიქრა, მომესმაო, სავარძელში ხომ იყო ჩაშვებული და საზურგეს მიყრდნობილი, წამოიწია ცნობისმოყვარედ, წინ გადაიხარა და სტუმარს ყური ახლოს მიუტანა, რა მითხარი, ვერ გავიგეო. ამას ნიშნავდა დუროს სავარძელში აწრიალება, სიტყვა არ უთქვამს, ელდას სიტყვის დაძვრის, ხმის ამოღების ძალა წაერთმია.

ხალდანმა ცივად, მოურიდებლად გაუმეორა წეღან ნათქვამი.

დურომ ვერასგზით ვერ მიიტანა სულთან და გულთან საკვირველი, ჯერ არსმენილი და არგაგონილი სიტყვები: ვარლამ არავიძე უნდა ამოვთხარო საფლავიდან და წაღებაში მომეხმაროო.

იფიქრა: ალბათ მძინავს, არ წამოვმდგარვარ ლოგინიდან, ყველაფერი ეს მესიზმრება, გავიღვიძებ და სიზმარიც დამთავრდებაო.

— რა გაგიკვირდა? — შემოესმა დუროს კვლავ ის საზარელი ხმა, — ვარლამ არავიძე ხომ იცი, ვინც არის!..

მიწაში მის გვამს არ ჩაგამარხიებთ, არ არის მიწის ღირსი ვარლამ არავიძე. შვილმა, აბია არავიძემ, თავისი ხელით უნდა გადააგდოს ყორნისხევში, — ასეთია განაჩენი!

დურომ ხალათის ჯიბეში ჩაიყო ხელი და რევოლვერს ტარი მოუძებნა. ასეთ სულელურ ყოფაში არასდროს ჩავარდნილა. რა ექნა ახლა? იმ პატარა რევოლვერით, ჯიბეში რომ ედო, დუროს ათასი ბანდიტი-მამაძაღლი შეუ-

შინებია, უცებ ამოუღია, შუბლზე დაუდვია და აქეთ წადი, იქით წადიო უბრძანებია. ახლა ხელი უკანკალებდა. ამოეღო თუ არ ამოეღო რევოლვერი? დუროს აზრით, მოსული ის ადამიანი ჩანდა, ვისაც რევოლვერს რომ ამოუღებ, უნდა მოკლა, თუ არა და, წაგართმევს.

— მე არ მესმის თქვენი, — გაოცებით წამოიძახა დურომ, — ახლა უნდა წავიდეთ მე და თქვენ და ვარლამ არავიძე ამოვთხაროთ საფლავიდან? ამას მთხოვთ?

— ამას არა, — უცებ მიუგო ხალდანმა, — ამ საღამოს ვარლამ არავიძე მე უკვე ამოვთხარე და გადავუკიდე ციტრუსებზე აბიას. ხვალ ხომ დამარხავენ? ხვალ საღამოს უნდა მომეხმარო, მძიმეა გვამი, მანქანა მჭირდება.

— უკვე ამოთხარეთ! — შესძახა დურომ, — ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა რატომღაც, ყოჩაღ, ძმაო! ამასაც მოვესწარით?..

— თქვენი მანქანა მე მჭირდება ნაშუაღამევის სამი საათიდან ოთხ საათამდე. ხომ შეიძლება ხვალ არ დამარხონ მკვდარი? — იკითხა ხალდანმა, — მაშინ ზეგ დამჭირდებით...

„მოვატყუებ, შევუთანხმდები და დავაჭერინებ“ — გადაწყვიტა უცებ დურომ და ჯიბეში რევოლვერსაც ხელი უშვა. შვება იგრძნო, რომ სხვა გადაწყვეტილება მიიღო. მან არ იცოდა შეიძლებოდა თუ არა ამ საკვირველი ადამიანის, — „დირგიას“ მოკვლა. დამჭირველებისაგან უნდა ჰქონოდა ნებართვა.

შეთანხმება, მოლაპარაკება ამ საღამოს ერთადერთი გამოსავალი უნდა ყოფილიყო, — ამას ალღო კარნახობდა. ხვალ კი, როცა დირგია შორს იქნებოდა დუროს სახლიდან, გაიკითხავდა, გამოიკითხავდა და სწორ გადაწყვეტილებასაც ხვალ მიიღებდა.

— რას მომცემთ იმ ერთ საათში? – ჰკითხა ვითომ გულგრილად.

— ას მანეთს.

— არ ეყოფა.

— ორასი იყოს!..

— არც ორასი ეყოფა.

— სამასზე რას იტყვი? — ჰკითხა ხალდანმა.

— ხუთასი — უთხრა დურომ.

— თანახმა ვარ — თქვა ხალდანმა უყოყმანოდ, მაგიდაზე დაყრილი ფული მოხვეტა, ხუთი ასმანეთიანი დუროს გაუწოდა, დანარჩენი დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და დუროს უთხრა:

— ოღონდ იცოდე, თუ ღალატი გიდევს გუნებაში, შვილებს დაგიხოცავ!..

ხალდანი წამოდგა. როცა მან დუროს უთხრა შვილებს დაგიხოცავო, თვალის თეთრი ბადურა, ყურუმივით შავ გუგებს თითქმის სულ მთლად დადაეფარა და უძინარ წითელ თვალთა ბუდეებში თეთრმა მსხვილმა თვალის კაკლებმა იწყეს ვარვარი.

კარისკენ გაემართა. შეჩერდა კართან, დუროს მოხედა და უთხრა:

— მე კარგად ვიცი, რომ ვერაგი ხარ. ვყიდულობ შენს ვერაგობას, უფრო დიდი ვერაგის საფლავის ამოსათხრელად... ღამის სამ საათზე, სასაფლაოსთან!..

პასუხს არ დალოდებია, გატრიალდა და ღამეს მისცა თავი.

შეშინებული, დაბნეული, არეული დურო უკან ცოცხალ-მკვდარი შებრუნდა.

●

დუროს ფიქრი და დარდი არ შეეძლო, დილით ხომ მოემსახურა თავის პატრონს, საფლავიდან ამოთხრილი მამა დილითვე ჩუმად დაამარხვინა. საღამოს რა ექნა? სარისკო ხუთასი მანეთი აეღო და მკვდარი კვლავ ამოეთხარათ, თუ ეცნობებინა სადაც ჯერ არს? ან იქით უნდა გადაეჭრა, ან აქეთ. იმ გზას დაადგა, რაც მისი აზრით, მისთვის და მისი ოჯახისათვის უკეთესი იყო. „ნაშუაღამევს, ღამის სამ საათზე, სასაფლაოსთან...“ — ჩაბეჭდოდა გონებაში.

დუროს ათასნაირი ყაჩაღის, ბანდი-

ტის, მკვლელის შეპყრობაში მიუღია მონაწილეობა, ვარლამ არავიძე ხან რას ავალებდა და ხან რას, — მსგავსი ვინმე, ვინც წუხელ სიზმარივით გამოეცხადა, არასდროს შეხვედრია. ვარლამის წყალობით შორეულ პყრობილებაშიც ყოფილა, ათასი ჯურის დამნაშავე უნახავს, ათასგვარი დანაშაული გაუგონია, მაგრამ ვინმეს მკვდარი საფლავიდან ამოეთხაროს იქაც არ სმენია.

დუროს აზრით, ბედმა გაუღიმა, შეეძლო ისეთი საქმე გაეხსნა, დამჭრელებსაც კი რომ არ დაესიზმრებოდათ. შურისმაძიებელი აქეთ რომ არ მოსულიყო, იქით ალბათ ისევ მას თუ მიაგზავნიდნენ, ასეთ საქმეში დუროს დიდი გამოცდილება ჰქონდა, შემთხვევა მიეცა და ეს შემთხვევა უნდა გამოეყენებინა.

მკვდრის საფლავიდან მეორედ ამოთხრა

ნოვეს აზრიანმა გადაწყვეტილებამ დილითვე დაემარხათ მკვდარი, ნაყოფი გამოიღო, მოისვენა მკვდარმაც და ცოცხალმაც.

აბიამ შვებით ამოისუნთქა. დილიდანვე შეუდგა საქმეს. რახან მთელი დღე წინ იყო, თუ იყოჩაღებდნენ, დღესვე შეიძლებოდა სახლ-კარის მილაგებ-მოლაგება, დარეცხვა-დასუფთავება, მორჩენილი ხორაგის სამეზობლოდ ჩამორიგება. ხვალ დილით კი გამოკეტავდა სახლსა და სამზადს, ჭიშკარს დიდ ბოქლომს დაადებდა და არავის გზას დაადგებოდა. ასე ფიქრობდა, ამიტომ ეჩქარებოდა.

დუროს და ნოვეს დილიდანვე ახმობინა მეზობელი ჭირისმოზიარენი, კაცებიცა და ქალებიც. ორმოცამდე კაცი და ქალი ხელად შეიკრიბა ვარლამ არავიძის ეზოში, სადურგლო საქმის მცოდნე მამაკაცები, პატარა კვაღაიებით სეფისკენ წავიდნენ, ქალებმა ჭასთან ახლოს, ისე რომ ჭისთვის არ ევნოთ, სამრეცხაო გამართეს... გახურდა მუშაობა; ზოგს ნათხოვარი სკამი და მაგიდა გადაჰქონდა ჭიშკარში, ზოგი ხალიჩას ეზიდებოდა...

მთელი დღე მუშაობდნენ, საღამო ხანს ქელეხიდან მორჩენილ ჭირის სუფრას მიუსხდნენ, ლოცავდნენ ცოცხლებს, მკვდრებს იმ ქვეყანაში ნათელ სუფევას უსურვებდნენ. გვიან ღამით შექეიფიანებულები წამოიშალნენ და თავიანთი სახლებისაკენ გზას გაუდგნენ.

ცისმარემ, თანგულიამ და აბიამ კვლავ ნაშუალამევს დაიძინეს. მთელი კვირის უძინარებს მკვდარივით ჩაეძინათ, დილით მგელიას ყეფა ამჯერად ვეღარ გაიგეს.

ძაღლი მიდგომოდა ტრიფოლიატის ღობეს, თავი მაღლა შეემართა და ყეფდა, თითქოს ცას შეყეფსო. ჭიშკრიდან ორი-სამი მეტრის დაშორებით ციტრუსებზე კვლავ რაღაც საეჭვო საგანი იდო.

ჯერ ისევ ბნელოდა ეზოში, მხოლოდ ცის თაღს შედგომოდა მურუჟღი ნათელი, ალბათ რამდენიმე წუთში ჩამოვიდოდა დედამიწაზედ ის მურუჟღი შუქი და ფართოდ გათენდებოდა. მანამდე კი კაცი ვერ გაიგებდა იქ, ტრიფოლიატის ღობეზე, რა იდო, თითქოს სიბნელე იდო სხვა არაფერი.

შარა-გზაზე დომენტიე მოდიოდა, ძროხა მოჰყავდა. დომენტიე არავიძეების კარის მეზობელი იყო, „კარის“ ერქვა, ვინაიდან მათ შორის სხვა არავინ ესახლა, თუმცა საკმაოდ შორს ედგა თავისი ოდა არავიძეთა სამოსახლოდან.

აქეთ დომენტიე და მისი ძროხა იშვიათად ჩაივლიდნენ. ნაკრძალის ზონა სიბაკართი იყო ჩაკეტილი. დომენტიეს ძროხა სოფლის ნახირში ერია. სოფლის ნახირი სიბაკარს აქეთ არ გადმოჰყავდათ, სბალახო არავისწყლის ჭალებში ჰქონდათ. დომენტიეს გეზი დიდი სამწყემსურისკენ აეღო. იქ ჯიშიანი ბუღა ეგულებოდა და იმასთან მიჰყავდა ძროხა. გზა დიდი სამწყემსურისკენ სწორედ სიბაკარს გადაღმა, არავიძეების სახლის წინ გადიოდა, არავიძეთა სასაფლაოს ჩავლის

შემდეგ, ნაკრძალის ზონაც უნდა გაევლო და იწყებოდა დიდი სამწყემსური, ვრცელი ზეგანი — ზენიაქვათა, სადაც თავს იყრიდნენ შორი მხარეებიდან და კუთხეებიდან ჩამორეკილი ჯოგები.

დომენტიე ვარლამის ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, მგელიას ყეფამ დაიეჭვა და ტრიფოლიატის ღობეს დააკვირდა, რაღაც იდო ღობეზე, ძაღლი იმას უყეფდა, ახლოს მივიდა, ძროხაც მიიყვანა. უყურა, უყურა... თვალები გადმოეკარკლა, ვერ დაუჯერა თვალებს.

— უიტიოვო! — შესძახა — დომენტიე არ მოვტყუვდეო! უიტიოვო! ფუი ეშმაკსაო! ციტრუსებზე ვარლამი გადმოუკიდიათო?..

აწრიალდა ბერიკაცი. ჭიშკარს მიადო თავი და ყურება დაიწყო ეზოში, აბიას დავუძახებო — იფიქრა. მგელიამ ფილაუთენია ჭიშკართან მომდგარი კაცი რომ დაინახა, მთლად გააფთრდა, აეტოტა ჭიშკარს და ყეფას უმატა. დომენტიეს შეეშინდა, მოშორდა იქაურობას. ძროხა ხელს უშლიდა, იქვე, გზის პირას, დაბა და სამეზობლოში წავიდა საკვირველი ამბის საუწყებლად.

დომენტიე შარა-გზაზე ასაკისათვის შეუფერებლად გარბოდა, ტანდაბალი, მოკლეფეხება კაცი იყო, ხელებს მაგრა იქნევდა, მაგრამ ნაბიჯმოკლე სწრაფად მაინც ვერ გარბოდა.

— გვაჯი, გვაჯიო, — ყვიროდა და კი არ მირბოდა, მიხტოდა თითქოს.

გვაჯია თურქიას ეძახდა საშველად. გვაჯია ჭის თავზე იდგა ჭიდან წყალი ამოჭქონდა. კარს მომდგარი დომენტიე საეჭვოდ გაჰყვიროდა. რა უნდა ამ დაბდურს დილა-ადრიანად, რა გასჭირვებია. გვაჯიმ წყლით სავსე სათლი უკან ჩაუშვა ჭაში და დომენტიეს შესახვედრად გაემართა. დომენტიემ ჭიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა, შუა ეზოში დადგა, ხელებს და ფეხებს იქნევდა აღგზნებული, ნარბენი ხშირ-ხშირად სუნთქავდა და ისედაც ენადაბმული, ჩასუნთქულ ჰაერთან ერთად ენის წვერზე მომდგარ სიტყვებს ყლაპავდა.

— უიტიოვო!.. ძროხა მიმყავდაო... ჯიშიანი ბუღაო... ვერლამ არავიძის ჭიშკარიო... უიტიოვო!..

— რა იყო დომენტიე, რა? კიდო მოკვდა ვინმე?..

— უიტიოვო, კი არ მოკვდაო...

— აბა, რას გამიხეთქე გული დილაადრიანად!.. — გაჯავრდა გვაჯია, ზურგი აქცია დომენტიეს და სამზადისაკენ წავიდა.

— წამოდი, დავჯდეთ ეგერ და მითხარი რა გინდა...

— უიტიოვო რა დროს დაჯდომაო!.. — შესძახა დომენტიემ უკან გამოუდგა გვაჯიას და სახელოზე მოქაჩა.

— რა ვქნათ აბა, ვიდგეთ აქ, შუა ეზოში, და უიტიო ვიძახოთ?..

— უიტიოვო, მკვდარია ციტრუსებზე გადაკიდებულიო! — ამოიხრიალა დომენტიემ როგორც იქნა, თვალები გადააბრიალა და მიწას დაუშინა ხელისგულები.

გვაჯია გაოცებული დასცქეროდა მიწაზე დამხობილ ჭაღარა თმა-წვერით შემოსილ, გამხდარ-გაძვალტყავებულ ბერიკაცს, რომელსაც აღშფოთება ადამიანურად ვერ გამოეხატა, ნდირივით მიწას ეღრენდა და ფეხჭნიდა.

— მკვდარიო? — გაოცა გვაჯიამ, ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რაც აწუხებდა დომენტიეს, — სად არის მერე ის მკვდარი?..

— უიტოვო, წამოდიო! — შესძახა გახარებულმა დომენტიემ, ჩაავლო მკლავში ხელი და ხელათ ჭიშკარში გადაიყვანა.

ვარლამის სახლისკენ შუკას რომ დაადგნენ, წინ პისტინე შემოხვდათ, ჭრელი თავსაბური ეხურა, ნიკაპთან გამონასკვული.

კაცები ზომაზე მეტად დაჩქარებულნი მოდიოდნენ, დომენტიეს ბურტყუნი და ქშენა პისტინესთვის შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა.

— კაცებო, ამ დილაადრიანად საით გაგიწევიათ? — იკითხა.

— უიტიოვო... — დაიწყო დომენტიემ. პისტინემ იცოდა დომენტიეს

მოყოლის ამბავი, ვერ მოითმინა, ვიდრე ამოღერღავდა, გვაჯიას მიაპყრო მზერა, შენ მითხარი — რა ამბავიაო.

— რა ვიცი, ასე აბოჟირებული მოვარდა, — მკვდარია გადმოკიდებული ციტრუსებზეო და მივყავარ... — უთხრა გვაჯიამ.

— მკვდარიო?.. — შეჰკივლა ქალმა და ლოყაზე იტკიცა ხელი.

— ვინ მკვდარიო, დომენტიე, მითხარი ჩქარა! — ჩაჰკივლა პისტინემ ყურში დომენტიეს.

— უიტიოვო, ვარლამ არავიძეო! — თითქოს გონება გაუნათდაო, პირდაპირ მოუჩრა სათქმელი დომენტიემ.

— ვარლამიო?.. — შეჰკივლა კვლავ პისტინემ, — დიდუჰ, დიდუჰ!..

ნამდვილი ჭირისუფლური კივილი ასტეხა შუკაში პისტინემ და კაცებს წინ გაუძღვა ვარლამ არავიძის ჭიშკრისაკენ.

— დიდუჰ, ვარლამიი!.. ეს რა მოგსვლია, ვარლამიიჰ!..

მიდიოდა პისტინე და მიჰკიოდა. პისტინეს კივილი მთელმა სოფელმა გაიგო, გამორბოდნენ ჭიშკრებისაკენ და ქუჩაში მიმავალთ ეკითხებოდნენ რა მოხდაო. პისტინემ პირველ შემხვედრ ქალს კივილ-კივილით უთხრა ვარლამის ციტრუსებზე გადმოკიდების ამბავი, იმ ქალმა სხვას გასძახა, იმ სხვამ კიდევ სხვას და მთელ სოფელში ხელად გავარდა ხმა: ვარლამ არავიძე საფლავიდან ამოუთხრიათო.

აბიამ რომ გარეთ გამოიხედა, ჭიშკართან უკვე მეზობლებს შეეყარათ თავი და ხმამაღლა ყაყანებდნენ: ზოგი ამბობდა ადგილობრივ ხელისუფალთ შევატყობინოთო, ზოგი მოითხოვდა ჯერ ჭირისუფლები გავაღვიძოთ, ისინი როგორც იტყვიან, ისე მოვიქცეთო. მგელია კი ჭიშკარს ატოტებული შეუჩერებლად ყეფდა. ხალხის ხმას ყეფითა და ღრენით ფარავდა.

აბია აივანზე გამოვიდა, რა ამბავია ჩემს თავსო — ერთი ეს გაიფიქრა და მოკვდა. იქ, აივანზე, გათავდა კაცი!.. მამამისი კვლავ ციტრუსებზე ეკიდა და ამას მთელი სოფელი საკუთარი თვალით უმზერდა. უფრო დიდი სიფაფრეში ალი, თავის მოჭრა, თავს ლაფის გადასხმა ალბათ არც ახსოვდა არავსა და არავიძეთს.

წუხელ დამარხული მკვდარი, სახელგანთქმული ადამიანი, მთელი ამ კუთხისთვის საპატივცემლო კაცი, მიწიდან ამოგდებული, აგერ, ეზოში, ციტრუსებზე ეკიდა! მის შვილს ასეთ დროს რა ეღონა: ჭიშკართან მოჯარული ხალხისთვის რა პასუხი მიეცა?..

ერთი მკვდარი ხომ ციტრუსებზე იდო, მეორე, მისი შვილი, აბია, ახლა კიბეზე ჩადიოდა და ჭიშკრისკენ მიემართებოდა. კი მიდიოდა, მაგრამ ნამდვილად მკვდარი იყო, მკვდარს აედგა ფეხი და ციტრუსებიდან მკვდრის ჩამოსაღებად მიდიოდა.

აივანზე მალე ცისმარეს შეშფოთებული სახეც გამოჩნდა და შიშველტიტველი თანგულიაც გაილანდა ფანჯრებში, ბიჭი სწრაფად იცვამდა, თან ღია ფანჯრიდან ჭიშკრისკენ იყურებოდა.

აბიამ მგელიას ჯაჭვი შეაბა და დინჯად წაიყვანა დასაბმელად...

ჭიშკართან მომდგარ მეზობლებს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდათ აბიას საქციელი, კაცმა საფლავიდან ამოთხრილი მამის გვამს ერთი გახედა, თითქოს მოელოდაო — ციტრუსებზე მის გადმოკიდებას და ძაღლი წაიყვანა ჯაჭვის ყღარუნ-ყღარუნით.

ამასობაში ცისმარემაც ჩაიცვა და თანგულიამაც. თანგულიამ უმალ ჩაირბინა კიბე და ჭიშკრისკენ გაემართა, ცისმარეს საქციელი წაუხდა, ვერ გაებედა ეზოში ჩასვლა. აივანზეც კი არ გამოსულა, ფანჯრიდან გასცქეროდა ღობეზე გადმოკიდებულ მკვდარს და ჭიშკართან მოჯარულ სოფელს. გამოსულიყო გარეთ და მოთქმა და წივილ-კივილი აეტეხა, თუ აღშფოთება გამოეხატა — დამუქრებოდა შურისმაძიებლებს, მოეწოდებინა მეზობლებისათვის, მოეძებნათ მტერი და სამაგიერო მიეზღათ. თანგულია ჭიშკრისკენ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკარდა, მაგრამ გაახსენდა, რომ ჭიშკარი ბოქლომით იყო ჩაკეტილი, ხოლო გასაღები მამამისს ედო ჯიბეში, სწრაფად გამობრუნდა უკან. როგორც ერთადერთი საშველი, გაჭირვების ტალკვესი, დუროს მანქანა მოადგა ჭიშკარს და ცისმარემაც, აბიამაც და თანგულიამაც შვებით ამოისუნთქეს.

დურო მანქანიდან შეშფოთებული გამოვარდა, ვითომ პირველად ხედავდა ციტრუსებზე გადმოკიდებულ ვარცლამ არავიძეს, ღობეს მიადგა და, პირველ ყოვლისა, შეიცხადა მკვდარი.

— ვაიმე, მამა! ამას რას ვხედავ, მამა! მამა იყავ შენ ჩემი!.. მამა! მამა!.. — თავზე წაიშინა ხელები ხალხის დასანახად. შემდეგ ვითომ გონს მოგო, ტრიფოლიატის ღობეს ახლა სხვა თვალით მიადგა.

— ააჰ, ნამდვილია ეს ვითომ?.. — აქედან გახედა მკვდარს, იქიდან გახედა. დურო მოძრავი, მოქნილი ადამიანი იყო. მოკლე, კუნთოვანი მკლავები თოჯინასავით გაშლილად დაჰქონდა.

— როგორ მოხდა ეს ამბავი, საღ არის აბია, ვინ ნახა პირველად? — პასუხს აღარ დაელოდა, ჭიშკრისკენ გაემართა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო, გაღებას და შიგ შესვლას აპირებდა.

— უიტიოვო, — ხალხიდან თითქოს გამოხტაო, გვერდით აესვეტა დომენტიე და მონდომებულად შეუდგა მოყოლას.

— ა, აგერ მოვდიოდიო... — გზას უჩვენებდა, — ეე, ის ძროხა მომყავდაო, — გადავიდა შარა-გზის გადაღმა, სადაც წეღან ძროხა დააბა, ხელი მოკიდა ძროხას, შორიდან უჩვენებდა, — ვხედავო, ციტრუსებზე შავი დევსო... უიტიოვო, დომენტიე, არ შეშინდეო! — ჩემს თავს ვუთხარიო...

დურომ ერთი მიხედა დომენტიეს, მისთვის, რასაკვირველია, არ ეცალა, სწრაფად გაიღო ჭიშკარი და ეზოში შევიდა.

აბიას ძაღლი დაება, სამზადიდან კიბე გამოეტანა და მოჰქონდა. დურო სირბილით გაემართა მის შესახვედრად, კიბე გამოართვა, თვითონ წამოიღო, თან ხმადაბლა ეკითხებოდა, როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათო.

აბიამ ცოცხალ-მკვდარი მოდიოდა, არ იცოდა, რა მოემოქმედა, რა ეღონა, „არ ვიცი, არ ვიცი, — ბურტყუნებდა, ხალხი რასაც იტყვის, ის გავაკეთოთო“.

კიბე ტრიფოლიატის ღობეზე მიადგეს, დურო პირველი ავიდა კიბეზე. ჭიშკართან მოჯარული მეზობლები ეზოში შემოსულიყვნენ და ყველანი იქ შეკრებილიყვნენ, სადაც დურომ კიბე მიადგა.

ცისმარეც ჩამოვიდა ოდა სახლის კიბეზე შავთავშალმოხურული, პისტონი და რამდენიმე მეზობლის ქალი ვიშ-ვიშით მიადგნენ ცისმარეს, უთანაგრძნეს, მხარში ამოუდგნენ და ისიც იქით წაიყვანეს, სადაც ხალხი ირეოდა.

— შენ აქ დადექი, შენ იქ დადექი! — დურო კიბის თავზე იდგა და ძირს დამხმარეთ — მკვდრის ციტრუსებიდან გადმომღებთ ანაწილებდა.

— აქ მაღალი მინდა, გვაჯია, გვაჯიას დამიძახეთ!.. — იძლეოდა ბრძანებებს.

— კაცო, ხელისუფლებას არ შევატყობინოთ? — იკითხა ხალხიდან ვიღაცამ.

— არა, არ არის საჭირო, — მიუგო აბიამ, — მე დამნაშავეს აღარ ვეძებ, სამაგიეროს არავის ვუხდი...

— თქვენი საქმე არ არის, ვის შევატყობინებთ და რას ვიზამთ, — კიბის თავზემოდან გადმოსძახა ხალხს დურომ — თქვენ ის მითხარით, მკვდარს რა ვუყოთ: პირდაპირ სასაფლაოზე წავიღოთ თუ ჯერ სახლში დავასვენოთ.

— ზალაში დავასვენოთ! — გაისმა ხალხიდან, — ცოტა ხანს ვამყოფოთ თავი სსახლში, უბედური...

— ოჰ, კარგი ერთი, კაცო! — ნუ გავაწვალებთ ოჯახს, წავიღოთ პირდა-

პირ სასაფლაოზე, — მიუგეს ხალხიდანვე.

— თქვენს აზრებს კი ნუ ამბობთ, — გაცხარდა დურო, — წესი მითხარით, წესი როგორიცაა, ისე უნდა მოვიქცეთ.

უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ეზოში. ერთმანეთს შესცქეროდნენ და მხრებს იჩეჩავდნენ.

— რა წესს მოითხოვს ეს ეშმაკის მოციქული ჩვენგანო, — ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

— რა წესს მოითხოვ, დურო, ბატონო, — ასძახა ზემოთ გვაჯიამ, — ასეთი წესი და ადათი ჩვენ არა გვაქვს და არც გაგვიგონია... საფლავიდან მკვდრის ამოთხრას და მერე მის დასაფლავებას არაფერი წესი არ სჭირდება.

— ეს აფთრების წესია, აფთრებს უნდა ჰკითხოთ! — ღობის გადაღმიდან ჩაიქირქილა ვიღაცამ. ღობის გადაღმაც, შარა-გზაზეც შეკრებილიყო ხალხი, მეზობლები, ახლობლები ეზოში შემოსულიყვნენ, უფრო შორებელნი, ცნობისმოყვარენი, სეირის საცქერლად მოსულნი, ეზოში შესვლას ვერ ბედავდნენ და შორიდან უმზერდნენ ღობეზე გადაკიდებულ მკვდარს და კიბით ზედ მიმდგარ არავიძეთა მძღოლს — დუროს.

— შენ, ეი, მასხარავ! — დაუღრიალა დურომ, — მოშორდი აქაურობას თორემ, ამის გვერდით დაგაწვენ ხელათ! — ჯიბეზე იტაცა ხელი, ვითომ აქ იარაღი მიდევსო.

ბევრი იკამათეს, იყაყანეს... ცისმარესა და აბიას ერჩიათ დროზე წაეღოთ, მოეშორებინათ გვამი, მაგრამ მეზობლებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ვარლამ არავიძე იმის ღირსია, ერთი საათი მაინც ვამყოფოთ თავის სახლში, მოვიტანოთ სასახლე, შიგ ჩავასვენოთ და ადამიანურად დავმარხოთო. ეს აზრი ყველას მოეწონა, ასეც გადაწყვიტეს. გაჭირვებით გადმოღეს ციტრუსებიდან ვარლამის გვამი, როცა ძირს ნელ-ნელა უშვებდნენ, ას მკვდრის სუნი ეცა, გვამი ერთი კვირა ხომ ყინულებში იდო, ორი დღე და ღამე მიწაშიც იყო ნამყოფი, ხრწნა დაეწყო...

როგორ უნდა დამსხდარიყვნენ ასეთი ამყრალებული ცხედრის გარშემო ჭირისუფლები?..

მიცვალებიდან დიდი დრო არ იყო გასული, მაგრამ ვინაიდან ზაფხულის ცხელი დღეები იდგა, გვამს სუნი ეკრა, შვლის გარდა, სხვა ვერავინ მოითმენდა ამ სუნს.

ცისმარე ასეთ ამყრალებულ ცხედარს არ მიუჯდება და შვილსაც არ დააჯენსო, — ნაღვლიანად ფიქრობდა აბია და გვამის წამღებთ შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა.

გვამის დასასვენებლად ფიცრის ტახტი მოეძებნათ სარდაფში და იმ ფიცრის ტახტით მიჰქონდათ ზედა სართულისაკენ, კიბის ორი-სამი საფეხური რომ აიტანეს, კაცების ზურგს უკან პისტინემ შეჰკივლა:

— მკვდრის უკან მიბრუნება ვაშინერს!..

მოლიტანიენი წამით შეყოვნდნენ. მაღლა შემართული ტახტიც ჰაერში შეაჩერეს და პირი უკან იბრუნეს, გზა განვაგრძოთ თუ დავბრუნდეთო.

— რაო? — იკითხა ცისმარემ, მოეწონა პისტინეს ნათქვამი, კიდევ თქვიო, — თვალით ანიშნა.

— ნამდვილად ვიცი, ვაშინერს! — ახლა უფრო დაბეჯითებით თქვა ქალმა, ბებიაჩემი თეოლინე იტყოდა. მკვდრის მიბრუნება უკან, თავის სახლში ვაშინერსო — ესე იგი ავის მომასწავლებელია, არ შეიძლებაო. მოაბრუნეთ მკვდარი და წადით პირდაპირ სასაფლაოზე...

მართლაც ისე გააკეთეს, როგორც პისტინემ ბრძანა.

— აა, ხომ გვქონია წესი! — გაუხარდა დუროსაც — ავაშენე შენი მახორობა! მოსათავებელი საქმე, დროზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოვათავოთ!.. — თვალისდახამ-ხამებაში შემოიყვანა ეზოში „ემცხ-რა“, ცხედარი ტახტიანად მანქანაში ვერ ჩაეტეოდა, როგორც გუშინ, შავ სუდარაში გაახვიეს და უკან „ჩააჯი-ნეს“, ორი გულმაგარი ბიჭიც აქეთ-იქით მიუჩინეს და სასაფლაოს გზას დაადგნენ.

როცა ვარლამის გვამი მიწას მიაბა-რეს, დურომ აბია გვერდით გაიხმო და უჩურჩულა:

— კიდევ რომ ამოთხარონ?.. ბიჭებს მოვიყვან და ღამეს გავუთევთ...

აბიას ჭკუაში დაუჯდა დუროს რჩე-ვა. მოიყვანეს სანდო კაცები და საფ-ლავს დარაჯი მიუჩინეს. შენიღბულად, ჩუმად, ისე რომ არავის გაეგო, მთელ სასაფლაოზე გაფანტულად, თოფ-იარაღში ჩამსხდარნი დარაჯობდნენ. პირ-ველ ღამეს არავინ მოვიდა, არც მეო-რე ღამეს გამოჩენილა საფლავის შემ-ბილწავი.

აბიასაც რა ექნა? სანამდე დალოდე-ბოდა როდის ამოთხრიდნენ მესამედ მამამისს საფლავიდან, ათასი საქმე ჰქონდა არაგში, უკვე მეორე კვირა გა-დიოდა, რაც არავიძეთიდან ვერა და ვერ გაეტია. მართალია, სამსახურში არავინ არაფერს ეტყოდა, ვარლამ არ-ავიძის სიკვდილი იმხელა ამბავი იყო ამ კუთხისათვის, ორი კვირა კი არა, ორმოცი დღე მის შვილს შინიდან გა-მოუსვლელად უნდა ეგლოვა, კუთხე-სამეზობლოში, ასე ფიქრობდნენ, მა-გრამ აბია ასე არ ფიქრობდა, თუ არ საფლავიდან მკვდრის ამოგდება, მეო-რე დღესვე აპირებდა არაგში წასვლას.

აბიამ არაგში წასვლის წინ, თავისი ახლო მეგობრები, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე „სანდო კაცები“: ნო-ვე, დურო, ზენონი და კიდევ რამდენი-მე მეზობელი მოიწვია და ჭკუა ჰკი-თხა:

— რა ვქნა, სამსახური მივატოვო, თუ საფლავს დარაჯად დავუდგეო.

ვინ ეტყოდა სამსახური მიატოვეო, გამოკეტა არავიძეთა სასახლე და არ-ავს წავიდა. ვინიცობაა შურისმაძიე-ბელი კვლავ ამოთხრიდა საფლავიდან მკვდარს, მაშინ ხელისუფლებას შეა-ტყობინებდა და დამჭირველთ გამოგ-ზავნიდა შურისმაძიებლის შესაპყ-რობად. კაცმა რომ თქვას, ხელისუფლ-ება თვითონ იყო. ვისთვის უნდა შეე-ტყობინებინა? მასზე უფროსი ერთი ადამიანი ივსიხი ნესტორის ძე ბრძა-ნდებოდა, იმას ვერა ვერ ეტყოდა მა-მაჩემი საფლავიდან ამომითხარესო. თვითონ უბრძანებდა დამჭირველთ და შურისმაძიებელს ხელათ შეიპყრობდ-ნენ. არავიდან უკეთ უხელმძღვანელ-ებდა საფლავის დაცვას — რომელიმე მთავარ დამჭირველს თხოვდა და სულ მთლად მუდმივ ღამის დარაჯს მიუჩენდ-ნენ ვარლამ არავიძის საფლავს.

მკვდრის საფლავიდან მესამედ ამოთხრა

ისევ პისტინე და დომენტიე გადაყ-რიან საფლავიდან ამოგდებულ, არავი-ძეთა ციტრუსებზე გადაკიდებულ მკვდარს. ამჯერად დილაადრიანად თხები გამოერეკათ შარაზე ნაკრძალის ზონაში შესაშვებად. მართალია, სიბა-კარს იქით არავიძეებს ეკრძალებოდათ საქონლის ძოვება, მაგრამ ჩუმ-ჩუმად თურმე გადენიდნენ ხოლმე თხებს. თხების საძოვარი სხვაგან არსად იყო და რა ექნათ...

ჰოდა, დომენტიე და პისტინე ქურ-დულად რომ მიიპარებიან თურმე შუ-კაში, კვლავ დომენტიეს მოუკრავს თვა-ლი ვარლამ არავიძის ჭიშკართან ღო-ბეზე გადმოკიდებული მკვდრისთვის.

— უიტიოვო, პისტინეო, არ შეში-ნდეო, — უთქვამს ჩურჩულით პისტი-ნესთვის დომენტიეს, — იქ, ციტრუსე-ბზე რაღაც დევსო!.. — თითით უჩვე-ნებია. პისტინე იმ წამს მიმხვდარა რაც იყო, კივილი აუტეხია და სოფლისკენ გაქცეულა. თხას მოაკონწიალებს თუ-რმე თოკით და კივის...

— პისტინე, პისტინე, რა ამბავიაო, — ოდის აივანზე გადმომდგარ მეზო-ბელს შორიდან დაუძახნია.

— ვარლამ არავიძე გადმოუკიდიათ, ისევლეეო, — უპასუხნია პისტინეს შორიდანვე.

პისტინეს მკივანა ხმა იმ მეზობლის მეზობელს გაუგონია და იმას სხვისთვის პისტინეს სიტყვებით შეუტყობინებია ახალი ამბავი:

— ვარლამი გადმოუკიდიათ ისევლეე!..

ის მეზობელი თურმე მეტად ცნობისმოყვარე და ჭორების მოყვარული ქალი ბრძანებულა, კარის მეზობელს რომ გადასძახა, ამით არ დაკმაყოფილებულა, თავის ოდის უკანა აივანზეც გადამდგარა და შორს მცხოვრები მეზობლებისთვისაც შეუტყობინებია. მთელი ხმით ნაყვირება, როგორმე ხმა რომ მიეწვდინა.

— ვო, ვახტანგია, უუუ!... ვარლამი გადმოუკიდიათ ისევლეეე!..

ეს სიტყვები არავიძეთს დილაუთენია ელვისუსწრაფესად მოდებია.

— ვარლამი გადმოუკიდიათ ისევლეე! — სოფლის ერთი კუთხიდან მეორეში გასძახოდნენ თურმე ერთმანეთს თანასოფლელები.

მთელმა სოფელმა ხელათ გაიგო ვარლამ არავიძის საფლავიდან მეორედ (სინამდვილეში მესამედ) ამოთხრის ამბავი და ფეხზე დადგა.

შეატყობინეს დუროს ოჯახს, მართალია თვითონ დურო, თავის პატრონთან ერთად, არავში იყო წასული, მაგრამ სახლობა აქ, — არავიძეთში ჰყავდა, თვითონაც აქ ცხოვრობდა და სამუშაოდ ყოველ დილით აქედან მიდიოდა არავში. ასევე — ნახევრად არაველ ნახევრად არავიძელები იყვნენ ნოვეცა და ზენონიც, სახლები აქ, არავიძეთში ედგათ, მაგრამ იქ, არავში, მუშაობდნენ და დროებითი საცხოვრისი იქაც ჰქონდათ. როცა მოპრიანებოდათ აქ, სოფელში ათევდნენ ღამეს, როცა არა, იქ, ქალაქში — არავში.

ნოვეც ხელათ გაჩნდა ვარლამ არავიძის ჭიშკართან და ზენონიც...

მთელი სოფელი შეყრილიყო „ვარლამის შუკაში“ და ბოქლომდადებული ჭიშკარს უტრიალებდნენ, ეზოში უნდოდათ შესვლა, მაგრამ ვარლამის რკინის კარიბჭეს, ვერც სხვა გასაღებს მოარგებდით, ვერც ძალით გახდებოდით რაიმეს, ძალიანაც რომ მოგეწადინებინათ ვერ შეაგრავედით, ზევიდან გადასვლაც ძნელი იყო, ვინაიდან ჭიშკარს ბეტონის თაღი ადგა თავზე.

შურისმაძიებელს ყველაფერი ძველებურად მოემოქმედა: ვარლამი ფეხებით ეზოსკენ, პრიალა თავით შარაგზისკენ იდო ტრიფოლიატის ღობეზე, სიახლე ის იყო, რომ ცალი ხელი გულზე ედო და იმ ხელში, ძალით შეკრულ მუჭში, ქაღალდი ჩაეჩურთათ. აი, იმას უტრიალებდნენ ნოვე, ზენონი, გვაჯია, დომენტიე, პისტინე და სხვა მეზობლები, გზისპირიდან ვერ წვდებოდნენ, აქედან ვარლამის პრიალა თავს ხელს თუ მიადებდა ყველაზე მაღალი კაცი, — გვაჯია. უფრო ახლოს, ცხედართან, ტრიფოლიატის ეკლიანი ღობე არავის უშვებდა.

ვიღაცამ კიბე მოიტანა, ღობეს მიადგეს და ზედ ნოვე ავიდა. ბოლო საფეხურზე შედგა, ცხედართან დაიხარა, ცხვირზე იტაცა ხელი და ძირს ხალხს ჩამოსძახა:

— ნაწერი უჭირავს ხელში, ნამდვილად წერილია!.. — ცხვირიდან ხელი არ მოუშორებია, ისე იწყო ძირს ჩამოსვლა.

— ამიას მოსვლამდე მკვდარს ხელს ნუ შეეხებთ. ვინ იცის, ეგებ ექსპერტი დაგვჭირდეს — თქვა ბოლოს, როცა კიბიდან ჩამოვიდა.

ხალხი უკვე აღარ ეტეოდა ვარლამის ჭიშკრის ახლო-მახლოს და შუკაში გრძლად გაჭიმულიყო. შემცხადებლებივით მოდიოდნენ, უსათუოდ მისწევ-მოსწევდნენ, ღობესთან ჯგროდ მისულთ, ახლოდან შეხედავდნენ ვარლამის პრიალა თავს, შემდეგ თავისუფალ ადგილს მოძებნიდნენ, ჯგუფად დადგებოდნენ და ჭორაობდნენ. ეჭვადაც კი არავის შეეძლო ეთქვა თუ ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო შურისმაძიებელი. სოფელმა ყველაფერი იცის. იციან ვინ ვის მტრობს, ვინ ვის ყვარობს, ვისი ვალი ვის მართებს, ვინ გადამხდელია და ვინ არა, ვინ ქურდია, ვინ თაღლითი, ვინ წესიერი და პატიოსანი ადამიანია.

ვარლამ არავიძის ამომთხრელი სოფელში არავინ ეგულებოდათ.

— ესო, ჩვენებური კაცი არ არისო, — დაბჯითებით უმტკიცებდნენ ერთმანეთს იმ დილით არავის ძენი, — ჩვენებური კაცი ამას ვარლამს და აბიას ოჯახს არ უზამდაო. — მართალია, ვარლამი ყველაფრის ღირსია, მაგრამ ასეთი შურისძიება ამ კუთხეში ჯერ არავის სმენიაო.

სჯა-ბაასში, სოფლის გზაზე, დუროს შავი „ემოცდაცხრა“ გამოჩნდა. ყველამ იქით დაიწყო ცქერა. „ემოცდაცხრას“ ორი სხვა მანქანაც მოჰყვა. დამჭირველთა მანქანები შორიდანვე იცნეს არავიძეთელებმა და ღობეებს აეკვრნენ, გზა დაუთმეს მანქანებს. დამჭირველთა თეთრზოლებიანი მანქანები განგაშის ნიშნად წითელ შუქს აფრქვევდნენ და წივილა ხმას გამოსცემდნენ.

მანქანებიდან პირველები დამჭირველნი გამოხტნენ, ვარლამის ჭიშკარს, ტრიფოლიატის ღობეს წრედ ზედ მიეკვრნენ და არავინ ახლოს არ მიუშვეს, ხელიხელჩაკიდებულები დადგნენ, ვითომ ვინმე ძალით მიეჭრებოდათ. თვითაბია და დუროც კი დამჭირველთა უფროსმა გვერდით გაიყვანა. ჩემს კაცებს აცალეთ, ისინი ყველაფერს ისე გააკეთებენ, როგორც საჭიროა, მართლაც ათასი აპარატით მიადგნენ იმ ადგილს, სადაც მკვდარი იყო გადაკიდებული. დიდხანს სანტიმეტრებით ზომავდნენ ტრიფოლიატის ღობეს ბოლოს ხელთათმანებიანი ხელით, უფრო უკეთ ორი თითით, ცერითა და საჩვენებლით ფრთხილად გამოაძვრინეს მიცვალებულის მუჭიდან ქაღალდი, ძირს, მიწაზე, განათებული ადგილი მოძებნეს, დაგორგლილი ნაწერი გაშალეს, დააფინეს მიწაზე და სურათი გადაუღეს. იმ ქაღალდს დიდხანს უღებდნენ სხვადასხვა კუთხიდან სურათს, დიდხანს უტრიალებდნენ, ბოლოს აბიას დაუძახეს და წააკითხეს: „ვარლამ არავიძეს მიწაში არ დაგამარხიებთ, იმდენჯერ ამოვთხრი, რამდენჯერაც დამარხავთ, თავს დავანებებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შვილი, აბია და შვილიშვილი თანგუნელა თვითონ ამოთხრიან უწმინდურ გვამს და ყორნისხევში ყორნებს მიუგდებენ საჯიჯგნად. შურისმაძიებელი“.

აბიამ წერილი ცივად დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. დუროს, ნოვეს, ზენონს და სხვა მეზობელ-ახლობლების ცნობისმოყვარედ მიჩერებულ თვალებს მოარდა, მთავარდამჭირველი გვერდით გაიყვანა, დიდხანს ეთათბირებოდა, შემდეგ ის ოთხად გაკეცილი წერილი ამოიღო და გენერალურ დამჭირველთან გაატანა.

დამჭირველთ გვამის შესწავლა დაემთავრებინათ და ახლა იმათ დაჰკითხავდნენ, ვინც პირველად ნახა გვამი. დაკითხვასაც არ სჯერდებოდნენ, ვინც იმ დილით ვარლამ არავიძის გვამს ჰკიდა თვალი, ყველას გვარებს იწერდნენ და იბარებდნენ არავში, ამ და ამ სამსჯავროს, მე-9 ოთახში.

ბოლოს, გვამის დასაფლავების თადარიგიც დამჭირველებმა ითავეს. სასაფლაოზე მანქანით გაგზავნეს კაცები, სამარიდან ამოიღეს სარქველაგლეჯილი სასახლე, მოიტანეს და ვარლამ არავიძის ჭიშკარს ბალდახინი ზედ მიაყენეს. ფრთხილად გადმოიღეს ცეტრუსებიდან ცხედარი და კუბოში ჩასვენეს, თავსარქველიც დაარქვეს, პატიოსნად წაასვენეს სასაფლაოზე.

როცა სასაფლაოდან გამოდიოდნენ, აბიამ ნოვე გვერდით გაიხმო დ ჩუმად, ისე რომ არავის გაეგო, ჰკითხა: სად არის ეს ყორნისხევი?

აბია წარმოშობით, ჯიშითა და ჯილაგით აქაური იყო, აქ ემარხნენ ვარლამ არავიძის წინაპრები, როგორც აქ ამბობდნენ: ირიდის თური არავის ძენი აქაურები იყვნენ, აბიაც მათი ნაშიერი

იყო, მაგრამ ამ კუთხეს არ იცნობდა; არავის წყალი, არავის მთა, არავის ჭალა, არავის ტყე, მხოლოდ გაეგონა. შორიდან თუ ენახა არავის მთა, არ უბანავია არავის წყალში, არ შესულა არავის ტყეში... ყორნისხევი რა გასაკვირია არ ცოდნოდა.

ნოვე და ყველა, ვისაც იმ დღეს თავი მოეყარა ვარლამის ცხედართან, ცნობისწადილს შეეპყრო — ვარლამს რომ ხელში წერილი ეჭირა, იმ წერილს შინაარსი აღძრავდა ცნობისწადილს, მაგრამ რახან აბიამ წერილი ცივად დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო — საშინელი რამ უნდა წერებულიყო, შეკითხვაც კი უხერხულად ჩათვალეს აბიას ახლობლებმა. ნოვე მიხვდა, რომ ეს „ყორნისხევი“ იმ წერილში ეწერა, მაგრამ რისთვის ეწერა, რას ნიშნავდა ვერასგზით ვერ ამოხსნა.

— ყორნისხევი იქით არის, — ხელს იშვერდა ნოვე, — არავისაკენ იზოლატორის ზონაში... რად გინდა ყორნისხევი?..

— არაფერი, ისე... — მიუგო აბიამ.

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ „ᲓᲘᲓᲛᲠᲔᲧᲕᲔᲚᲗᲐᲜ“ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

დურომ ერთი ხუთასი მანეთი ხომ გაიკრა ჯიბეში, მეორის აღებაც არ გაჭირვებია. თანდათან მოსწონდა კიდეც ეს საქმე, ფულსაც იჯიბავდა, თან იმ ხუთას მანეთად შურისმაძიებლის ნდობას ყიდულობდა. შევიდოდა მტრის ბანაკში და ბოროტმოქმედთა ბანდას სრულად გამოავლენდა — გულში ედო ასეთი განზრახვა. ციდან ჩამოგდებული შემთხვევა გონივრულად უნდა გამოეყენებინა. ორიათას-სამიათას მანეთამდე ფულს დაუბრკოლებლად გამოსძალავდა შურისმაძიებელს, შემდეგ დამჭირველებს მიუსევდა და ჰაიდა, ლიკვიდაცია!..

დუროს დამჭირველებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება უფლებას აძლევდა თამამად ემოქმედა. ბოროტმოქმედთან დროებითი შეკვრა, ქრთამის აღება და მისთანანი, სწორედ-დამჭირველთა ნაცადი ხერხი გახლდათ. ამგვარ მეთოდებსა და ხერხებს დურო მარჯვედ ფლობდა, მაგრამ ნათქვამია, კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო, დუროს ზედ წყაროს პირას გაუტყდა კოკა...

თურმე ვარლამ არავიძის მესამედ ამოთხრა კუნაპეტ, უკუნ ღამეში მომხდარა. დურო, წესისამებრ, სასაფლაოს კართან მდგარა თავისი ემცხრათი. ჯეგე ხალდანს ნალოდინარა. ერთი საათი უნდა დალოდებოდა, — ასეთი ყოფილა შეთანხმება. დგას თურმე და ელოდება. არავინ ჩანს. წინა მოსვლაზე, — არავიძის მეორედ ამოთხრისას, უცებ გამოსულა სიბნელიდან ხალდანი, მანქანის წინ ჩაუვლია, დანახვებია დუროს — ამით უთქვამს მოვედიო, სასაფლაოს ალაგაზე გადაულაჯებია, საფლავის ამოსათხრელად შესულა. ამჯერად ხალდანს სხვა ხერხისთვის მიუმართავს; არ დანახვებია დუროს, პირდაპირ საფლავის თხრას შედგომია. ამას თავისი მიზეზი ჰქონია. თურმე დუროს უარი უთქვამს საფლავიდან მკვდრის ამოღებაში დახმარებოდა, ვინაიდან ძალზე საშიშ საქმედ მიუჩნევია. დაუმტკიცებია კიდეც ხალდანისათვის თავისი სიმართლე. ვინმემ, შემთხვევით გამვლელმა, ჩემი მანქანა სასაფლაოს კარზე რომ დაინახოს, უსათუოდ შემოყოფს თავს მანქანაში, მე შიგ უნდა დავხვდე, რომ საფრთხე აგაცილო, თორემ შემოვა სასაფლაოზე და თავზე დაგვადგებაო.

ამის გამო, დუროსაგან მალულად, ჯეგე ხალდანს დამხმარედ თავისი ბიძაშვილი ჯვებე ხალდანი წამოუყვანია.

ქვეყანაზე ორად ორი ხალდანი დარჩენილა, ჯეგე და ჯვებე ხალდანები, დანარჩენები — მთელი საგვარეულო ვარლამ არავიძეს ამოუწყვეტია. ზოგი ციხეში მოუკლავს, ზოგი გადასახლებაში, ზოგი თავის ეზოში ფეხსალაგისკენ ღამით მიმავალი...

ჯეგეს არ ნდომებია ამ საქმეში ჯვე-

ბეს გასვრა, მე ვიღუპები, ვიღუპები, ერთი ხალდანი მაინც დარჩეს ქვეყანაზეო, მაგრამ ჯვეგე შინ ვერ დაუმაგრებია და წამოჰყოლია.

ამოუთხრიათ მკვდარი, ჯეგეს ზურგზე მოუგდია და საფლავებს შორის ვიწრო ბილიკით სასაფლაოს გასასვლელისაკენ გაუწევია. ჯვეგე სასაფლაოს ღობეზე გადამხტარა და ტყისთვის მიუცია თავი, ტყე-ტყე გადგომია გზას შინისაკენ. ჯეგე ხალდანი კი დუროს მანქანისკენ წელში მოხრილი წამოსულა. სიბნელეში, საფლავებს შორის, გზას გაჭრივებით მიიკვლევს, აჰა, მიადგა სასაფლაოს გასასვლელს, ჭიშკარი ჩაკეტილია, ზედ ბოქლომი ჰკიდია და გასაღები დომენტიეს უდევს ჯიბეში. დომენტიეა ამ სასაფლაოს კარის ჩამკეტი, სასაფლაოების დირექტორიც ცალკე თანამდებობაა.

მიდის ჯეგე ხალდანი, მიათრევს ვარლამ არავიძის გვამს, როგორც საკუთარ ჯვარს და უახლოვდება სასაფლაოს ჭიშკრის ძმას — ალაგეს. იმ ალაგეს გადაატარებს და დუროს მანქანაც იქა დგას...

შედგა ფეხი ალაგეზე, მორკალული ვარლამ არავიძის გვამი სიბნელეში მაღლა და მაღლა წავიდა და... სწორედ ამ დროს, თავჩაკიდული ჯეგე ხალდანის ვიწრო თვალსაწიერზე, ალაგის წინამოზე, მიწის იმ პატარა ნაჭერზე, რასაც ჯეგეს თვალები დასცქეროდა, საიდანღაც შუქი არ შემოიჭრა?! შემოიჭრა და მანქანის ხმაურიც მიუვარდა სასმენელთან, გაოცდა კაცი, ზედ ალაგეზე შედგა, ჯერ იფიქრა, ალბათ დურომ წინასწარ ჩართო ფარები, ძრავაც აამუშავა და დუროს მანქანის ხმაური ჩამესმაო. გვამის ქვემოთ დადრეკილი ქედის ცოტათი აწევა და გახედვა სცადა...

უცხო ხმა ყურში გარკვევით ჩაესმა.

თავზარი დაეცა. არ მოელოდა, აქ, ამ დროზე, ვინმეს გამოჩენას, ხომ იდგა მკვდარაკიდებული ალაგეზე, ნელა ჩადგა ძირს ფეხი, ელვისუსწრაფესად შებრუნდა უკან და საფლავებს შორის გაუჩინარდა სიბნელეში...

დურომ მოახლოებისთანავე იცნო ზენონის მანქანა, მაგრამ არ აპირებდა შეხვედრას, მანქანიდან გადმოსვლას, ფიქრობდა: მოფარებულში ვდგავარ ჩამქრალი მანქანით, ეგებ ვერ დამინახოს და ჩამიქროლოსო. თურმე ზენონიც აქ, სასაფლაოზე სადარაჯოდ მოსულა. მიანათა, მიანათა ფარები დუროს ემცხრას და გააჩერა.

დურომ მძღოლის კარი გამოაღო, გადმოვიდა თავისი მანქანიდან და ახალმოსულ მანქანას მიადგა. მძღოლის გვერდით ზენონი იჯდა, უკანაც ნაცნობი სახეები ისხდნენ, ზენონის მრეული იყო; „დიდმრეწველებს“ ეძახდა დურო ამათ დაცინვით, — სინამდვილეშიც მრეწველები იყვნენ, არავის ადგილობრივ წარმოებებს ხელმძღვანელობდნენ. რისთვის მოსულიყვნენ? აქეთ სამანქანო გზა სხვაგან არსად მიდიოდა. მაშ, სასაფლაოზე მოვიდნენ?.. — დურო შიშმა შეიპყრო..

— მაშდამე, აქა ვართ? — ასეც ვიცოდი! — ქშენა-ქშენით გადმოვიდა ზენონი მანქანიდან, — სხვა ვინ არის კიდევ?..

— არავინ. — მიუგო ცივად დურომ.

— არავინ? მარტო შენა ხარ?.. ყოჩაღ ძმაო, შენ ამ ოჯახის მძღოლი კი არა, შვილი ხარ, ნამდვილი, ღვიძლი...

ზენონი გულწრფელად აღფრთოვანდა. ღამის სამ საათზე ვარლამ არავიძის საფლავს მისი ყოფილი მძღოლი დარაჯობდა, განა ეს სამაგალითო საქციელი არ იყო! მთვრალზე მეტისმეტად იმოქმედა მძღოლის ერთგულებამ და სიყვარულის ნიშნად დუროს ხელიც მოხვია, გვერდით გაიყვანა და საიდუმლოსავით უთხრა:

— ბიჭები დათვრნენ, ბოლო ჭიქა აბიას სადღეგრძელო იყო, — აბია არავიძის გულისთვისო მკერდს ტყვიას შევუშვერთო, ერთი ღმე ჩვენც გავუთიოთო და აყ!..

ზენონმა ხელი გაიშვირა მანქანისაკენ, ვითომ ა, ბატონო, აგერ ვართ, მოვედითო.

— ჩაბრძანდით ახლავე მანქანაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წადით უკან! — მოურიდებლად უბრძანა დურომ. სწრაფად უნდა აღეკვეთა გაუთვალისწინებელი ხიფათი, — არ არის ეს საჭირო! თქვენ მთვრალები ხართ, სახიფათოა თქვენი აქ ყოფნა!.

— მეც მაგას ვამბობდი, არ დამიჯერეს!.. — ხელები გაშალა ზენონმა.

— ახლავე მანქანაში, აქ შეიძლება სროლაც ატყდეს!.. — დურო ზენონს მანქანისაკენ უკვე ძალით მიათრევდა.

უცებ ზენონი შეჩერდა, დუროს ხელი წაართვა და სიბნელეს გაუშტერა თვალი. მომეჩვენაო, ფიქრობდა, მაგრამ სასაფლაოს ჭიშკარსა და ალაგეს თვალს არ აშორებდა, გახევებული, გაქვავებული იდგა ჯორივით ერთ ადგილას, დურო უკვე მოურიდებლად ეჭიჩებოდა მკლავზე, ზენონი იქით იყურებოდა, საიდანაც ხილვას ფეხის ხმაც მოჰყვა... ხილვა იყო წამიერი, — ალაგეზე ადამიანის ლანდი იდგა, თითქოს ზურგზეც რაღაც მოეკიდებინა... თუ თავზე ედო ეს რაღაც. ორმეტრიანი სიშავე აღმართულიყო ალაგეზე. საოცარი მოჩვენება მუქ შავად იკვეთებოდა ისედაც ყურუმ ღამეში. საზარელი ორსართულიანი სიშავე ნელა წავიდა უკან-უკან...

ზენონს შიშისგან ენა წაერთვა ამის დაჯერება მას არ შეეძლო. დუროს ვეღარც კი ჰკითხა. ალაგეზე ვიღაც რომ დგას იმას ვერ ხედავო? მორჩილად დაჰყვა და მანქანისაკენ გადადგა ნაბიჯი. თან უკან-უკან იყურებოდა. მართლა მომეჩვენა თუ არაო. ანგარიშმიუცემლად ჩაჯდა მანქანაში. მანქანაში არავინ იყო. „ბიჭები“, როგორც ზენონი ეძახდა მათ, გადმოსულიყვნენ, დრო ეშოვათ, სიბნელეში ცალ-ცალკე გადამდგარიყვნენ მოსაშარდავად. ზენონიც უმალ მოეგო გონს, კვლავ გადმობობღდა მანქანიდან და დუროს ხმადაბლა ჰკითხა:

— კაცო, ახლა, ამ წუთას, შენ აქ, ალაგეზე, არაფერი გინახავს?..

— ეჰ, — ვითომ ჩაიცინა დურომ და ზენონი კვლავ წაიყვანა მანქანისაკენ. — ერთხელ აი, ამ ჩემი ორი თვალით ვნახე, ნამდვილად აქ, თუ როგორ დადენრონობდნენ საფლავებს შორის, ეგარლამ არავიძე და ბაბუაჩემი ნესტორი, აქამდე ჰქონდა წვერი ბაბუაჩემს, ა!.. აჰ, აჰ, აჰ, ხა, ხა!.. — გულისგარეთ გადაიხარხარა დურომ და ზენონი მანქანაში ჩასვა.

„ბიჭებიც“ მალე ჩასხდნენ თავთავიანთ ადგილებზე, ერთმანეთს ჩუმად რაღაც ჰკითხეს, გადაულაპარაკეს და წავიდნენ. დურომ ამოისუნთქა.

— უსაქმურები! — მიაძახა ბრაზიანად და მანქანის ფარები აანთო, ამით ანიშნა ხალდანს წავიდნენო.

სიბნელიდან ორსართულიანი სიშავე მალე გამოვიდა და ალაგეზე კვლავ აიყალყა. დურომ მანქანის კარები ორივე მხარეს გააღო, ხალდანს მიეხმარა მკვდრის ზურგიდან გადმოღებაში. ცხედარი შავ სუდარაში იყო გახვეული, სუდარა ხალდანს დაჰქონდა ჩანთით. სუდარაში გახვეული მკვდარი უფრო მოხერხებული აღმოჩნდა ზურგზე მოსაკიდებლად, წასაღებად, მანქანაში ჩასადებად. ცხედარი უკანა საჯდომზე „დააჯინეს“ და ღამის გზას გაუდგნენ. ჯეგე ხალდანმა თავისი საქმე აღასრულა, — ვარლამ არავიძე კვლავინდებურად გადაუკიდა აბიას ციტრუსებზე, დუროს ფული იქვე, მანქანაში, ჩაუთვალა და სავარაუდო ახალი შეხვედრაც დაუნიშნა.

ეს შეხვედრა არ შედგა სწორედ ზენონის იმღამინდელი მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი, უეცარი სტუმრობის გამო.

ბრძოლა საფლავისათვის, თანგულიას ამგზახება

ვარლამ არავიძის საფლავზე მორიგეობა დაწესდა.

ღამღამობით არავიძეთის სასაფლაოზე თითო თოფიანი დამჭირველი ყოველთვის მიდი-მოდიოდა სამარეთ შორის. საფლავის მცველი ამჯერად აღარ იმალებოდა, პირიქით, გამვლელ-გამომვლელთ თავს აჩვენებდა, არ გაბედოთ და ახლოს არ გაეკაროთ ვარლამის

საფლავს, თორემ ხომ ხედავთ შეიარაღებული ვარ, ტყვია არ აცდებათო.

ძნელია სოფლის სასაფლაოზე ღამეების თევა.

შეიძლება ერთი და ორი ღამე გაათიო, მაგრამ მთელი თვე საფლავის დარაჯობა დამჭირველთ არც ერთ წესდებაში არ ეწერათ. ვარლამისა და აბიას ხათრით არღვევდნენ წესდებას. თუ ამ საქმეს დასჭირდებოდა, სულ მთლად ახალ წესდებას შეიმუშავებდნენ, ვარლამზე დიდი კაცი ამ კუთხეში, ამ საუკუნეში, ალბათ არც გარდაიცვლებოდა (ასე ფიქრობდა ბევრი). მაინცა და მაინც ასეთ პატიოსან გვამს არ ასვენებდნენ საფლავში.

ნათქვამია, მთელი ღამე კაცს კი არა, წყალს დაეძინებაო, ხომ ასე გულმოდგინედ დარაჯობდნენ ვარლამის საფლავს, ერთ დამჭირველს მაინც ჩაეძინა თურმე, ჩაეძინა და ხვრინვაც ამოუშვა... დილით რომ გამოეღვიძა, საფლავი მუხლამდე ჩათხრილი დახვდა, დამჭირველმა განგაში ატეხა: შურისმაძიებელი ჰუმანოიდი ყოფილა, ციური თეფშით მოფრინდა, იმ ხუთ წუთში მე რომ ჩამთვლიმა, ა, ეს ამოთხარა და უკან ისევ თეფშით გაფრინდაო,

დამჭირველი დიდხანს ბეჯითად უმტკიცებდა აბიას და მთავარდამჭირველს ჰუმანოიდის მოფრენის ამბავს. შეწუხდა აბია, აფორიაქდნენ უფროსები, საფლავის მცველს ღამე შიში უჭამია და ჭკუაც თან გაუტანებიაო.

შეიქმნა მისვლა-მოსვლა აბიასას, მთავარდამჭირველს ეს ამბავი გენერალური დამჭირველისათვის მოუხსენებია. ღამით, აბიას თვითონ გენერალური დამჭირველი ეწვია შინ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

ვარლამის საფლავის შებილწვა მარტო აბიას სირცხვილი როდი იყო. დამჭირველობა ვარლამ არავიძემ მოიტანა არავში. გენერალური დამჭირველიც მისი გამოგონილი თანამდებობა იყო...

ილანძღებოდა გენერალური დამჭირველიც.

ცოცხალ-მკვდარი შემოვიდა აბიასას. ისინი ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ზედა სართული გენერალურ დამჭირველს ეკავა, ქვედა—აბიას. გენერალური დამჭირველი ერთადერთი ადამიანი იყო ხელისუფლებაში, ვისაც უცხოტომელად რაცხდნენ. თუმცა არავში იყო დაბადებული და გაზრდილი. რაც ვარლამ არავიძე ხელისუფლებას ჩამოსცილდა, არავს ჯერ ივსიხი ნესტორის ძე დაეპატრონა, შემდეგ გენერალურ დამჭირველად გრიგოლო გრიგოლოვი გამოგზავნეს და ივსიხი ნესტორის ძის ძალაუფლება ამ გამოგზავნით შეზღუდესო, — ასე ამბობდნენ, მაგრამ ასე არ მომხდარა, ივსიხი ნესტორის ძემ და გრიგოლო გრიგოლოვმაც საერთო ენა გამონახეს და შეთანხმებულად ამუშავდნენ.

გრიგოლო გრიგოლოვის სტუმრობა დიდი მოვლენა იყო აბიასათვის. გრიგოლოვი ვარლამის დაკრძალვაზე არ მოსულა, რახან ივსიხი ნესტორის ძე არ ყოფილა, გრიგოლოვსაც არ ჰქონდა ნება მისულიყო. მაგრამ დარეკა აბიასთან და ელსმენით მიუსამძიმრა. ესეც არ მიიჩნია საკმაოდ, ვრცელი დეპეშა გამოუგზავნა დასაფლავების დღისათვის.

აბია გენერალური დამჭირველის შეწუხებას არ აპირებდა, თვითონ მოვუვლი მამაჩემის საფლავიდან ამომთხრელსო, — ფიქრობდა. მაგრამ გრიგოლო გრიგოლოვი მთელს ამ კუთხე-მიდამოში ცნობილი დამჭირველი, თავისი ფეხით მივიდა არავიძეებთან და აბიას მხარში ამოდგომა შესთავაზა. ეს ამბავი ვარლამ არავიძის ძველი დიდების ახალი აღიარება იყო, — ასე გაიფიქრა იმ საღამოს აბიამ.

გრიგოლო გრიგოლოვი არავიძეების კარის მეზობლად ითვლებოდა. მაგრამ არ მეზობლობდნენ. აბიას და ცისმარეს მეზობლად ქვედა სართულის ბინადარნი მიაჩნდათ.

გრიგოლოვი ამ სახლში ახალშემოსახლებული იყო, ამიტომ ჯერ შორიდან

ნოდარ ფულეისკირი
ა ფ თ ა რ ი

ზომავდნენ თვალით ერთმანეთს მეზობლები, გარდა ამისა, გრიგოლოვს მმართველობაში ისეთი თანამდებობა ეკავა, გაშინაურება და თვითნებურად გადაპატიჟება-გადმოპატიჟებაც მეზობლებს ეკრძალებოდათ. მას თვითონ უნდა გადაედგა ნაბიჯი, თუ საჭიროდ ცნობდა ვინმესთან მეზობლობას, ასეთი წესი დაედგინათ ამ სახლში და ამ წესს არავინ გადადიოდა.

ეს სახლი არ იყო ჩვეულებრივი, ქალაქური რიგითი სახლი, — საკუთარი თავგადასავალი, საკუთარი ისტორია გააჩნდა. დღეს ის არავის მხარის ხელისუფალთა სახლი გახლდათ, ოდესღაც კი ამ სახლში უბრალო მოქალაქენი ბინადრობდნენ თურმე. სახლისთვის თვალი დაუდგამს ვარლამ არავიძეს, შიგ მცხოვრებნი ზოგი გადაუსახლებია, ზოგი გამოუსახლებია და არავის მხარის იმდროინდელ ხელისუფალთა საცხოვრებლად უქცევია.

იმ დროიდან მოყოლებული ამ სახლს არავის მხარის მმართველობა დაპატრონებია.

სახლი სამსართულიანი იყო, წითელი აგურით ნაშენი, ორი სადარბაზოთი, ერთი სადარბაზო სამივე სართული მხარის მმართველის ოჯახისთვის იყო განკუთვნილი, დღეს ის ივსიხი ნესტორის ძეს ეკავა. მეორე სადარბაზოში სამ სართულზე ორი ოჯახი, — ივსიხი ნესტორის ძის მოადგილეები და არავის მხარის გენერალური დამჭირველი გრიგოლო გრიგოლოვი სახლობდნენ.

გრიგოლოვის მისვლა აბია არავიძის ოჯახში, რა თქმა უნდა, სამეზობლოდ გადადგმული ნაბიჯი არ იყო.

საგონებელში ჩავარდნილიყო გენერალური დამჭირველი. შემოვიდა კატასავით ფრთხილი, აქეთ-იქით გაფაციცებული, თითქოს ვიღაცის თუ რაღაცის ეშინოდა ამ სახლში. აბიას გვერდით სავარძელში ჩაჯდა მწუხარე სახით.

— რა ვქნათ, რა ვიღონოთ, აბელ ვარლამის ძევ, — ამოოხვრით ჰკითხა გრიგოლოვმა.

— მთავარმა დამჭირველმა ალბათ გადმოგცათ დამნაშავის გამოგზავნილი წერილი. — უთხრა ცივად აბიამ, ჩვეულებრივ გრიგოლოვს ტიტულებით მიმართავდნენ: დამჭირველთა უპირველესო, გენერალურო დამჭირველო... — ყორნისხევში მოითხოვს გადაგდებას! — მწარედ ჩაიცინა აბიამ, — აფსუს ვარლამ არავიძევ!.. — ამოგმინავსავით ალმოხდა.

გვერდით ოთახში ვიღაც ახმაურდა, აბიას აზრით, იქ თანგულია უნდა ყოფილიყო. ხმას დაუწია, მაგრამ გვიანღა იყო. ყმაწვილმა საშინელი ამბავი გაიგო: ბაბუა ყორნისხევში გადაადგეთო. თურმე კარს მოფარებული უსმენდა საიდუმლო თათბირს.

თანგულიამ იცოდა, რომ შურისმაძიებელმა წერილი დატოვა, მაგრამ რა ეწერა იმ წერილში, არავინ უთხრა.

— დიახ, გადმომცეს, ჩატარებულია გამოკვლევა, — უთხრა გრიგოლოვმა, — მაგრამ მე თქვენი იმედი უფრო მაქვს, ვიდრე ხელის ანაბეჭდების...

— ჩემი? — გაიოცა აბიამ.

— დიახ, თქვენი და თქვენი ოჯახის! არ შეიძლება ეჭვად მაინც არ იცოდეთ, ვინ გმტრობთ...

— არა, არ ვიცით, ნამდვილად, პატიოსნად გეუბნებით, არაფერი არ ვიცით. მამაჩემს ბევრი მტერი ჰყავდა, — მხოლოდ ამის თქმა შეგვიძლია.

გრიგოლოვი ჩაფიქრდა. აბიაც დამუნჯებული დასცქეროდა იატაკს, არ იცოდა რა ეთქვა, რა ეთხოვა გენერალური დამჭირველისათვის.

— მირჩიეთ მაინც რა გავაკეთო! — ერთხელაც შეევედრა გრიგოლოვი.

აბიამ მოსაწევს მოუკიდა. არ უპასუხნია გრიგოლოვისთვის. თავჩაღუნული აბოლებდა და დუმდა. სიტყვა ახლა ზედმეტად ეჩვენებოდა. თვითონ გენერალური დამჭირველი გამოიყურებოდა უსასოოდ, შეშინებულად, წამხდარად. აბიას ისღა დარჩენოდა, იქით დაემშვიდებინა, ენუგეშებინა, იმედი მიეცა. ვიდრე სანუგეშო სიტყვებს ეტყოდა, უცებ თანგულიას ოთახიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ მოისმა გაურკვეველი ხმაური, თითქოს თოფის საკეტმა გაიჩხაკუნა, შემდეგ ცისმარეს შეშფოთებულმა ხმამაც გამოაღწია იქიდან:

— ხელი გაუშვი, თორემ გავგიჟდები!.. მამაშენს დავუძახებ ახლავე!..

აბიას წამით ფითრისფერმა გადაუარა სახეზე, ცისმარეს ასეთი საქციელი არ შეეფერებოდა, ეს მოულოდნელი იყო, — ნეტა რა ხდება თანგულიას ოთახშიო — გაიფიქრა, მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომც არც გაუგონია, გრიგოლოვს მიაპყრო საქმიანი მზერა და თავშეკავებული სიმშვიდით უთხრა:

— უნდა გავაძლიეროთ დაცვა, სხვა რა დაგვრჩენია...

— რაღა თქმა უნდა, დაცვასაც გავაძლიერებთ და დაცვის მეთოდსაც შევცვლით, შენიღბულად დავიცავთ საფლავს, ვითომ იქ არა ვართ... მაგრამ ნუთუ თქვენ არ იცით ვინ ჰყავდა მტერი მამათქვენს, რამდენიმე მაინც ჩამითვალეთ...

— ვერ ჩამოგითვლით... — ნაღვლიანად უთხრა აბიამ, — ისინი ძალზე ბევრნი არიან...

თანგულიას ოთახიდან კვლავ მოისმა ხმაური, კვლავ გამოაღწია ცისმარეს ხმამ.

— აბია მიშველე!.. თოფი მიაქვს!..

აბიას კვლავ გადაუარა სახეზე ფითრისფერმა. ცისმარეს სუფრა უნდა გაეშალა ზალაში და სტუმარი თავისი მომხიბლავი ღიმილით მიეწვია მაგიდასთან. რა თოფი, რის თოფი! ცისმარე აბიას ყოველ ღამე ეჩიჩინებოდა, გრიგოლოვთან მიდი, გზაზე ის დაგვაყენებსო, ღვთის წყალობით თვითონ, თავისი ფეხით ესტუმრათ შინ. სტუმარს საკადრისად უნდა დახვედროდნენ, რა დროს ბავშვთან დავა-კამათი იყო! ცისმარე არ იყო ასეთი უგნური ქალი. პირიქით, მოსამსახურე, ჯან-ღონით სავსე ქალი, ვარდიკო, გვერდში ამოიყენა და თვალის დახამხამებაში ხაჭაპურიც გამოაცხო, სხვა რამ საჭმელ-სასმელიც გააჩინა, გაავსო სუფრა, ის-ის იყო, გაემზადა სტუმართან შესახვედრად, ტანთ გამოიცვალა, კოხტად და მიმზიდველად ჩაიცვა და აბიას ოთახში გასასვლელად გადგა ბიჯი, რომ თანგულიას ოთახიდან საბედისწერო ჩხაკუნი და ბრაგუნი მოისმა, უცებ შეტრიალდა და შვილის ოთახისაკენ გაეშურა ქალი.

გრიგოლოვის მოსვლა თურმე თანგულიასთვისაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი, ბიჭი მშობლების გავლენით იმედის თვალით შესცქეროდა გენერალურ დამჭირველს. როცა გრიგოლო გრიგოლოვს აბიასთან უიმედო საუბარი გაუბამს, ბიჭს ეს საუბარი წვრილად მოუსმენია გამოღებული კარიდან, უცებ გადაუწყვეტია, ბაბუაჩემის საფლავს მე თვითონ ვუდარაჯებო, ვარლამის ნაჩუქარი თოფი კედლიდან ჩამოუხსნია, საკეტი გაუჩხაკუნებია, შეუმოწმებია შიგ ტყვია ხომ არ დევსო. აი, ამ დროს ხელიდან გავარდნია, პარკეტზე ბრაგვანი იმას მოუდენია.

ცისმარე თანგულიას ოთახში რომ შევარდა, ბიჭს თოფი უკვე ხელში ეკავა, თვალები ანთებოდა, უცნაურად უელავდა, ცისმარეს მოეჩვენა, რომ მისი თანგულია იმ წუთებში სწორედ ბაბუამისს ვარლამ არავიძეს ჰგავდა.

— მე მოვკლავ მაგას! — უთხრა დედას ბიჭმა თვალების კვესებით და კარისკენ გაიწია.

ცისმარე წინ გადაუდგა და შვილს ჩურჩულით ჰკითხა:

— ვის, შვილო, ვის კლავ?.. — თან იმ ოთახისაკენ იყურებოდა, საიდანაც აბიასა და გრიგოლოვის საუბარი მოისმოდა...

— ვის და იმას, ვინც ბაბუას თხრის საფლავიდან!.. — მტკიცედ უთხრა დედას ვაჟმა.

— რას ამბობ, ბიჭო! — გაიცინა ცისმარემ და შვილს დაუყვავა, შენ კი არა, ხომ ხედავ, მთლად გრიგოლოვია ჩარეული ამ საქმეში, — მომეცი ეს თოფი აქ, თოფი არ არის შენი საქმე.

— თოფია სწორედ ჩემი საქმე!.. — დაბეჯითებით უთხრა ბიჭმა, თოფი დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დას არ დაანება და ხელიდანაც გაუსხლტა.

ცისმარე თოფის კონდახს მისწვდა, თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა მიაძახა.

— ხელი გაუშვი, თორემ გავგიჟდები!.. მამაშენს დავუძახებ ახლავე!.. — ეს სიტყვები აბიამაც გაიგონა და სტუმარმაც, მაგრამ მათ საუბარი განაგრძეს, ვითომ იქ, ოთახში, არაფერი ხდებოდა.

„აბია მიშველე, თოფი მიაქვსო...“ — უფრო ხმამაღლა წამოცდა ცისმარეს, ამის მოყურისებაც აღარ შეიძლებოდა, აბიამ თვალი და ყური შვილის ოთახს მიაპყრო და ის იყო, უნდა წამომდგარიყო, სტუმრისთვის ბოდიში მოეხადა, შესულიყო თანგულიას დასაშოშმინებლად, რომ უცებ კარი ხეთქებით გაიღო და ცისმარე და თანგულია თოფით ხელში სასტუმრო ოთახში ყაჩაღებივით შემოვარდნენ.

უფრო საზარელ სურათს აბია, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა. საქციელწამხდარი, გაფთრებული იდგა იმ საკარძელთან, საიდანაც წეღან წამოდგა, მოულოდნელ ელდას ხელ-ფეხი დაებორკა, ვერ გადაედგა ნაბიჯი ცისმარეს დასახმარებლად, აჯანყებული ბიჭის დასაშოშმინებლად. გრიგოლო გრიგოლოვის გაოცებულ მზერას გრძნობდა მხოლოდ და ცოლის ჭაჭყანა ხმა ჩაესმოდა:

— დიდი ბოდიში, ბატონო, ეს რა მოგვივიდა... გვაპატიეთ... — ცისმარე ხომ შვილს ეჭიდავებოდა, თოფს არ ანებებდა, ბიჭი ხომ დედას თოფიანად მიათრევდა კარისაკენ, ცისმარეს, უკან, სტუმრისკენ მიეღრიჯა თავი და პატიებას თხოვდა, შეუფერებელი საქციელისათვის.

მსგავსი რამ აბიას არასდროს შემოხვევია, არც არავინ უნახავს ამ ყოფაში. ისეთ საპატივცემულო სტუმარს. როგორიც გრიგოლო გრიგოლოვი იყო, ასეთი შეხვედრა ეკადრებოდა? სჯობდა მიწას პირი ეყო და მისი ოჯახი შიგ ჩაეტანა.

— წავიდეს, ცისმარე, არა გრცხვენია? წავიდეს სადაც უნდა! ბოდიშს აუწია აბიამაც — სტუმარს ბოლოდეთ!..

— ბოდიში, ბატონო, გვაპატიეთ, ბატონო!.. — აცრემლებული ცისმარე სწრაფად გაეცალა მამაკაცებს და ზალაში შეიმალა.

აბია და გრიგოლო კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ საკარძლებს, მაგრამ საუბრის გაგრძელება გაუჭირდათ. ენით გამოუთქმელი იყო არავიძეთა ყოფა, გრიგოლოვი წამოდგა და აბიას დამშვიდება დაუწყო:

— ყმაწვილის დარდი თქვენ ნუ გექნებათ, მას გაჰყვებიან, გნებავთ უკან დააბრუნებენ, გნებავთ შორიდან უდარაჯებენ...

აბია ისე იყო შეძრული ცოლისა და შვილის საქციელით, სტუმრისთვის გულისგარეთაც არ უთქვამს: სუფრა თქვენთვის გაშლილია, თითო ჭიქა ავიღოთო. ჩქარი ნაბიჯებით მიმავალ გრიგოლოვს უკან დაბნეული მისდევდა და არ იცოდა რა ეთქვა. მადლობაც კი არ გადაუხდია, თანაგრძნობისთვის, სტუმრობისთვის.

წყეული ღამე სოფლის სასაფლაოზე

აბია გაფთრებული იყო ცისმარეზე, წასულიყო თანგულია ჯანდაბას იქით, ოღონდ სტუმრისთვის არ ეჩვენებინათ ვარლამ არავიძის მოდგმის დაუძლურება.

ადვილი სათქმელია წასულიყო. სად უნდა წასულიყო ბიჭი ღამით, თოფით ხელში, შორტებით და მოკლე მკლავიანი თეთრი მაისურით? მართალია, ზაფხული იყო, მაგრამ თუ მართლა სოფელში აპირებდა წასვლას და სოფლის სასაფლაოზე ღამის თევას, განა ეს თანგულიას შეეძლო?.. სკოლაშიც კი დუროს დაჰყავდა მანქანით.

საკუთარი სახლის გარდა, ბიჭს ჯერ ღამე არსად გაეთია. სოფლის სასაფლაოზე ღამეს როგორ გაათევდა მარტოკა. ცისმარეს აზრით, ბავშვს, შიშით გული გაუსკდებოდა.

სტუმრის მოერიდა თორემ თანგულიას ის არ მოშორდებოდა, ბოლოსდაბოლოს მალულად გაჰყვებოდა უკან. ახლა, რაკი სტუმარი უცებ წავიდა. ცისმარეც გაემზადა წასასვლელად. ვინ დაჰკავებდა, აბია?..

— არსად არ არის წასვლა საჭირო, მოვა თავის ფეხით უკან, თუ არა და ძალით მოიყვანენ, — გააფრთხილა აბიამ ცოლი.

— თუ გინდა დაურეკე დუროს, თუ არა და მივდივარ!.. — მიუგო პასუხად ცისმარემ ქმარს და აივანზე გავიდა, გზას გასცქეროდა, გზა ღამის შუქით იყო განათებული, მაგრამ იქ არავინ ჩანდა. მხოლოდ-ღა ერთი მანქანა მოდიოდა შორიდან თვალების პაჭუნ-პაჭუნით ნეტავ დურო იქნებოდესო — გულში ინატრა ცისმარემ. მანქანამ თვალების პაჭუნ-პაჭუნით ჩაუარა მათ სახლსაც და მოსახვევში მიიმალა.

ვარდიკოსაც ჩაეცვა, აბიას დაენახვა და ისიც გავიდა აივანზე, თავის ქალბატონთან ერთად აპირებდა არავიძეთში წასვლას. აბიას ჩაეცინა, სხვა გზა არ იყო და ყურმილს მიწვდა.

მძღოლს დაურეკა. დურო ძალზე სწრაფად მოვიდა. მოაგრიალა თავისი „ემოცდაცხრა“ და ამბავიც მოიტანა: სასაფლაოზეც გამოვიარე, გზაზეც ხან აქეთ მივაშუქე ფარები, ხან იქით, მაგრამ ვერავინ ვიპოვეო. სამაგიეროდ, გრიგოლოვის გამოგზავნილი კაცები შეხვედრია გზაზე. იმპთაც ვერ უნახავთ ყმაწვილი გზად მიმავალი. ასე სწრაფად თანგულია გზას არავიდან არავიძეთამდე ფეხით ვერ გაივლიდა, ალბათ გამვლელი მანქანა შეხვდა და იმას გაყვაო — უმტკიცებიათ გრიგოლოვის კაცებს დუროსათვის.

რახან მანქანა მოვიდა, ვარდიკო უკვე აღარ იყო საჭირო, შინ დატოვეს. ცისმარე და აბია ჩასხდნენ მანქანაში და არავიძეთის გზას დაადგნენ. ბნელი ღამე იყო. მთვარიანი ღამეების რიგი დამთავრებულიყო და ბნელს ჩაენთქაცა და მიწა. მანქანის ფარების შუქი მიანათებდა გზას და იმ შუქზე თუ გაიელვებდა შემხვედრი მანქანის დაელვებული თვალები.

ცისმარე წინ, დუროს გვერდით, იჯდა. აბია უკანა საჯდომის საზურგეს იყო მისვენებული. სად უნდა წასულიყო თანგულია?.. — ფიქრი ჭამდა აბიასაც და ცისმარესაც.

— სად მივდივარო, სად? — დალაგებით მიამბე ახლა მაინც, — ჰკითხა აბიამ ცოლს.

— დალაგებით! — ტუჩი აიბზუა ცისმარემ, — გეტყვის რამეს დალაგებულად... მე მოვკლავ მაგასო, — დასტაცა თოფს ხელი და წავიდა.

— ვისო! — შესძახა დურომ.

— აი, იმას, ბაბუაჩემის ამომთხრელსო.

— შენ გენაცვალე, ბიჭო! — გაუხარდა დუროს, — რა ვაჟკაცი გაგვიზრდია და არ ვიცოდით!..

— კი, კი. ვაჟკაცი! — ჩაიცინა აბიამ, — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, სამივეა ერთად!

— მაგი არ თქვა, აბიავ, თუ ჩემი ხათრი გაქვს, არ ვიცით ჩვენ თოფიანი ბავშვი რას იზამს! — უთხრა ცისმარემ.

— ტყვია იმ თოფში არ იდო და რას იზამს?.. უტყვიოდ თოფი არავის კლავს...

— თოფში არ იდო, მაგრამ უჯრაში ხომ ჰქონდა ჩაკეტილი მამაშენს.

— მერე? ამოიღო?..

— რა ვიცი, ეგებ ამოიღო...

დადუმდნენ. მანქანაში სულისშემხუთველი სიჩუმე ჩამოწვა. სოფელში ჩასვლამდე ხმა არ ამოუღიათ.

— გასაღები წამოიღე? — იკითხა ცისმარემ, როგორც კი სოფელში შევიდნენ. ვარლამის სასახლის გასაღებს კითხულობდა. მართლა სასაფლაოზე ხომ არ გაათენებდა? მოძებნიდა თანგულიას, დააწყნარებდა, დააშოშმინებდა და წაიყვანდა შინ...

ცისმარეს ეგონა, შვილი ერთ წამს გაუსხლტა ხელიდან, სტუმრის ყოფნით ისარგებლა და მოერია, თორემ ახლა რომ ენახა?.. დასტაცებდა ხელს, არც ჰკითხავდა ბიჭს რა უნდოდა, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულით იყო წამოსული არავიდან, შინ წაათრევდა ძალით და ჩაკეტავდა. მორჩა და გათავდა!

— მე მაქვს გასაღები, — უთხრა დურომ.

— გასაღები კი არა, თავი არ მახსოვდა აქეთ რომ მოვდიოდით, — ჩაიდუდუნა აბიამ, — რად გინდა გასაღები, აქ აპირებ დარჩენას? — ჰკითხა ცოლს.

— აბა? — გაიკვირვა ცისმარემ, — შვილი სადაცაა, მეც იქ არ უნდა ვიყო?..

— ეგებ სულ არ წამოსულა აქეთ, შეგაშინა და კინოში წავიდა...

— თოფიანად?..

— თოფი ამხანაგთან დატოვა და შევიდნენ ბოლო სეანსზე... არ შეიძლება?

— ვერ გრძნობ რა გჭირს, აბიავ, მამას საფლავიდან გითხრიან, შვილი დაგეკარგა, შენ კიდევ ხუმრობის გუნებაზე ხარ!.. მეტი არ შემიძლია, არა! — ტირილი წასკდა ქალს, მოურიდებლად ტიროდა...

ამასობაში მანქანა სოფლის შუაგაში შევარდა, მიუხვია, მოუხვია, ხან ერთ ჭიშკარს მიანათა, ხან მეორეს და სწორ გზაზე გავიდა. გავიდა და მანქანის ფარების შუქზე ბიჭი არ გაილანდა? თანგულია იყო. ცისმარეს თვალებზე ცხვირსახოცი აეფარებინა და სლუკუნებდა. გზად მიმავალი ბიჭი არ დაულანდავს. დურომ რომ დაამუხრუჭა, მაშინ-ღა მიაპყრო ფანჯრებს თვალი.

— უმე, ჩემი თანგულია! — შესძახა გახარებულმა ქალმა, — შენ შემოგევლოს დედაშენი!..

მანქანიდან პირველი დურო გადმოხტა, დუროს აბია მიჰყვა, ცისმარე სულ ბოლოს გადმობობდა მანქანიდან, სიბნელე იყო და გაუჭირდა გადმოსვლა.

თანგულიამ როგორც კი იცნო მამის მანქანა, იმ წამს გადავიდა გზიდან და სიბნელეს მისცა თავი. ფერდობზე არბოდა. წამით შედგა და უკან მიიხედა, დარწმუნდა, მართლა მშობლები გადმოვიდნენ მანქანიდან თუ არაო. დურომ იფიქრა გამოვუდგები, თანგულიას როგორ ვერ დავიჭერ და ისიც ეშვა სიბნელეში, პირველივე გზისპირა ორმოში ჩავარდა, არ მოელოდა იქ ორმოს, არც ისე ღრმა ორმო იყო, მაგრამ სიბნელეში ბრმად გადადგმული ნაბიჯი, როცა ორმოში ჩაეშვა, ეგონა უფსკრულში ჩავარდა. შეეშინდა რატომდაც, შეჰყვირა: უ, შენიო! ამობობდა ბებერივით, მუხლს იზელდა და მანქანის ფარისკენ, სინათლისკენ მოდიოდა. აბია იმ ორმოს მარჯვედ გადაახტა, მაგრამ ეკლის ბუჩქში გაეხირა და გზა იმანაც ვეღარ განაგრძო, შეჩერდა, თავი აიღო და ღამეს მიაყურა, ბიჭი საით გაიქცაო.

ყველაზე წინდახედულად ისევ ცისმარე ირჯებოდა. მანქანა ფარების შუქს იქით ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს. იქიდან ეძახდა შვილს:

— თანგული, დედა, რაც გინდა, ის გააკეთე, ოღონდ ნუ გარბიხარ, ყაჩაღივით, ერთ წამს მოდი ჩემთან, ორი სიტყვა გითხრა დალაგებულად, რა მოგვიდა, ბიჭო, არ გრცხვენია?..

— კარგი, გაჩუმდი, — უთხრა აბიამ ცოლს, — მომასმენინე ნაბიჯების ხმა, გავიგო საით გარბის...

— გამოდი აქეთ, კაცო, დაეწევი თუ რა, რად გინდა გაიგო საით გარბის, რამე შენც არ აიტეხო, ა, შეხედე ამას რა მოსვლია! — ცისმარე დუროს მიადგა. დუროს ძიქვა აეკარწახებინა, მუხლი ზედ მანქანის ფარზე მიედო, გაგლეჯილი მუხლიდან სისხლი ბანჯგვლიან წვივზე წვრილ ხაზებად ჩამოწურწურებდა.

— თანგულია, ბიჭო! შეხედე რა მოუვიდა შენს დუროს, შენი გულისთვის.

აბიაც მოვარდა დუროსთან. დურომ არაფერია, არაფერიაო, არც აჩვენა აბიას ხეირიანად, რაც დაემართა, მანქანაში შეჰყო თავი, მოძებნა ჩანთა-აფთიაქი, ხელათ მოიწმინდა, შეიხვია და ცისმარესა და აბიას კვლავ ამოუდგა მხარში, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

— წავიდეთ სასაფლაოზე, იქ მო-

ვა... — თქვა აბიამ დაჯერებულად და მანქანაში ჩაჯდომა დააპირა.

— ერთხელაც დავუძახებ, გევედრები... — თხოვა ცისმარემ ქმარს.

— ის უკვე სასაფლაოზე იქნება, აქედან სასაფლაო ორ ნაბიჯზეა, — თქვა დურომ.

— აქ არის, გული მეუბნება, — აიჩემა ცისმარემ, — თანგული, შვილო, თანგული! — გასძახა ღამეს, — გესმის ჩემი? ხომ იცი როგორ გვიყვარხარ ყველას! ჩვენ ყოველთვის იმას ვაკეთებდით, რაც შენ გინდოდა, გამოდი მაგ სიბნელიდან და ერთ წამს დამენახვე, გაცვიან?.. გახურავს?! ღამე, მტერთან შესახვედრად რაც საჭიროა, ყველაფერი გაქვს?.. ბიჭო, ახლა ჩვენ ყველა ერთად უნდე ვიყოთ, ერთმანეთს ჭკუას უნდა ვეკითხებოდეთ, რა დროს განდგომა და გაქცევაა!..

მცირე ხნის დუმილის შემდეგ, თითქოს ცამ დაიქუხაო, ხმა მაღლიდან მოისმა, ბექის თხემზე გადმომდგარიყო, მაგრამ სიბნელეში აღარ ჩანდა, მშობლებს სიბნელიდან ელაპარაკებოდა:

— რა ვქნა აბა, თქვენ უძლურნი ხართ მშობლის საფლავი დაიცვათ, სოფელი უძლურია მისი მკვდრის საფლავი მტერს არ შეაბილწინოს, ხელისუფლება უძლურია რამე იღონოს... მე, შვილიშვილი, ერთადერთი მემკვიდრე ნამდვილ არავიძეთა, შინ გულხელდაკრეფილი ვიჯდე? ვცდი ბედს, დაე, მოვკვდე ბრძოლაში!

თავზარდამცემი იყო ამ სიტყვების გაგონება! მოულოდნელიც — მშობლებისათვის ყმაწვილის ასეთი უეცარი დავაჟკაცება. ერთმანეთს შესცქეროდნენ სიბნელეში და რა ეთქვათ, რა ემოქმედათ უკვე აღარ იცოდნენ.

— სად ხარ, დაგვენახე მაინც, შვილო!.. ამოიკვნესა ცისმარემ.

— ვიდრე ბაბუაჩემის ამომთხრელს არ გავაგორებ, არავის დავენახვები!.. არ წახვიდეთ სასაფლაზე, იქ ვერ მიპოვით... მორჩა, მეტს ჩემს ხმას ვერ გაიგონებთ, წადით არავში!..

მძიმე დუმილი ჩამოწვა ღამეში, სოფლის შარაზე სულიერი არ ჭაჭანებდა, გვიანი ღამე იყო, სოფელს ეძინა.

— ქე მაინც ეცვა რამე? თუ მომეჩვენა?.. — ჰკითხა ცისმარემ კაცებს.

— კი ეცვა, ბაბუამისის სამონადირო სამოსი ეცვა... — უთხრა აბიამ, — ეტყობა, გასაღები წამოიღო, მომზადებული წამოვიდა...

— თანგული! — გასძახა ცისმარემ ღამეს.

აბია მანქანაში ჩაჯდა, დურომაც გამოაღო მძღოლის კარი, მაგრამ არ ჩამჯდარა, ცისმარეს დაელოდა.

— თანგული! — ერთხელაც ამოიკვნესა ქალმა და როცა არავინ უპასუხა, მანაც შეჰყო მანქანაში თავი და აბიას ჰკითხა:

— რა ვქნათ, კაცო, მართლა მინდორში დავტოვოთ ბავშვი?..

— კარგი, კარგი, ჩაჯექი... — უთხრა ცივად აბიამ.

დურომ გასაღები გადაატრიალა და ძრავა ჩართო, ჩართო თუ არა, იმ წამს მანძილზომის გვერდით შორმხედის პატარა ეკრანი აინთო და... ჯერ გენერალური დამჭირველის ხმა გაისმა, შემდეგ თვითონ გამოჩნდა ეკრანზე.

— ნუ წუხართ, ქალბატონო ცისმარე, თქვენს ვაჟს უპატრონოდ მინდორში არავინ დატოვებს... მიიხედეთ უკან!..

სამივემ უკან მიიხედა... აინთო ფარები და ჩაქრა. თუმე მათ უკან, სიბნელეში, დამჭირველთა მანქანა მდგარა, ფარების ანთებით ცისმარესა და აბიას ანიშნეს: ჩვენ აქ ვართ და ვმუშაობთო.

დურო უმალ გადავიდა მანქანიდან და ჩამქრალ მანქანას მიადგა.

— ჩვენი მუშაკები გაჰყვნენ, — უთხრეს ჩურჩულით დუროს, — ნუ გეშინიათ!..

—„ნუ გეშინიათ“, — დამცინავად ჩაიქირქილა დურომ, —ბავშვი არ მოგვიკლან, თორემ ცოცხლად ტყავს გაგძარობთ!.. — კბილების ღრჭიალით შესძახა მანქანაში.

დამჭირველებმა ითაკილეს დუროს დამუქრებული კილო, უკმაყოფილე-

ბის ნიშნად მანქანა ადგილს მოწყვიტეს, შურდულივით ჩაუქროლეს დუროს მანქანას და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

აბიას არ მოეწონა დუროს საქციელი და მანქანაში რომ დაბრუნდა, დატუქსა:

— ამდენის უფლებას თავს რატომ აძლევ, დურო!.. არ შეიძლება ეს!

„გაუგონიათ“ — გაუხარდა დუროს. ცისმარესა და აბიას გასაგონად გამოიდო თავი და დამჭირველებს გაუბედა ტყავს გაგაძრობთო, თორემ ძალიან კარგად იცოდა, რომ ამის ნება არ ჰქონდა.

— ბატონო აბიავ, ეგენი თუ არ შეახურე, თვით გენერალურ დამჭირველს გაკაცურებენ.

დურომ მანქანა დაძრა. აბიას მეტი არაფერი უთქვამს, დუროსთან საუბრის გაგრძელება საჭიროდ არ მიიჩნია. გაჩუმებულები მიჰქროდნენ სოფლის შარაზე.

— სად მივდივართ, რას ვაპირებთ? — იკითხა ცისმარემ.

არავინ უპასუხა.

— კარგი, ოღმე უდარაჯა საფლავს, დღისით?.. — განაგრძო ცისმარემ თავისთავთან დავა-კამათი. — დღისითაც ხომ ვერ დარჩება სასაფლაოზე? ვიღაცა დაინახავს. უსათუოდ უნდა მოვიდეს სახლში.. ყველაფერს თავი დავანებოთ, ჭამა ხომ უნდა?.. ხვალ დილით უნდა წამომიყვანო, — უთხრა ცისმარემ დუროს, — საჭმელს წამოვუღებ და იმ დაწყევლილ სახლში დაველოდები... აბა, რა ვქნა, ეგებ მოვიდეს...

მანქანა სოფლის შუკაში რახან მიდიოდა, დუროს ნელა მიჰყავდა, სასაფლაოს გადასახვევთან დურომ კიდევ უფრო შეანელა სვლა და უკან, პატრონს მიხედა.

— რა ვქნათ?.. — ჰკითხა.

— ბარემ მივიდეთ... — თქვა აბიამ, ნაღვლიანი კილოთი, სევდა მოსწოლოდა, სინამდვილეში არ იცოდა მისულიყო თუ არა.

სასაფლაოს შესასვლელთან გადაურეს მანქანა. მანქანიდან არ გადმოხტნ ელან. დურომ მანქანის ფარები ანთებული დატოვა და დაელოდა, მისი ვარაუდით, მორიგე დამჭირველი უნდა მოსულიყო მანქანასთან.

სამარისებურ მდუმარებას ბუკიოტის კივილი არღვევდა, სასაფლაოს გადაღმა, ტყიდან მოისმოდა ფრინველის ხმიანობა, სასაფლაოზე სწორედ მკვდრული სიჩუმე ჩამოწოლილიყო. შუაღამე იდგა, ეგებ მორიგესაც ეძინა?.. ღამის სტუმრებს თავები გადაეყოთ მანქანის ფანჯრებიდან და ჩაყურუმებულ სასაფლაოს გასცქეროდნენ. სიღრმეში ერთი ნათუნა ენთო და სასაფლაოს ის ერთი ბეწო კუთხე იყო განათებული, სწორედ აქ გაილანდა ლაბადაშემოხვეული კაცი, დამჭირველს ჰგავდა. ის არისო — ჩაიდუდუნა დურომ. გაილანდა და სიბნელეში გაუჩინარდა. შემდეგ კარგა ხანს ისმოდა ნაბიჯების ხმა, როგორც იქნა მოადგა ჭიშკარს. დურო გადავიდა მანქანიდან და სიბნელეში შეთქმულივით, ჩურჩულით იკითხა:

— მოვიდა?

— კი, მოვარდა. საფლავთან იჯდა კარგა ხანს, გამოველაპარაკე, ერთად ვუდარაჯოთ-მეთქი. არაო, წამოხტა და გაიქცა, მე მარტო უნდა ვუდარაჯოო, სასაფლაოს გადაღმა გადავიდა, იქვე ღობესთან ჩასაფრდა.

— წამოდი, მაჩვენე! — დურომ ჭიშკარში შესვლა დააპირა.

— ნუ შემოხვალ, უარესია, გაიქცევა, — უჩურჩულა მორიგემ, — იყოს იქ, მე თვალს არ მოვაცილებ. ბოლოს მობეზრდება და შემოგვიერთდება, აბა რას იზამს...

დურო მანქანაში შებრუნდა. ცისმარეს და აბიას მშვიდი კილოთი უთხრა: მოსულაო. ძრავა ჩართო და გაზს ნელა დაჭირა ფეხი. კისერი უკან მიღრიჯა და აბიას გადაულაპარაკა: ბიჭებმა შემოგითვალეს, თანგულიას ნიავს არ მივაკარებთო.

მანქანა არავის გზას დაადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორნისხევი

ცისმარეს ვარაუდი გამართლდა; თანგულია სასახლეში დღით მივიდა, თუმცა ჭიშკარი ბოქლომდაუდებელი რომ დაუხვდა, უმალ უკან გამობრუნდა, ეზოშიც კი არ შესულა. ბიჭი მართლაც აპირებდა დღით შინ ყოფნას, საწოლში ადამიანურ ძილს, ღამით ფხიზლობას და საფლავის დარაჯობას, მაგრამ მშობლებთან შეხვედრა არ უნდოდა, სასახლეში თუ ისინი დახვდებოდნენ, რაღა თქმა უნდა, იქაურობას არ მიეკარებოდა, განაზრახს შემაცვლევინებენო, ფიქრობდა და ამიტომ გაურბოდა მათ. წავიდა, სოფლის მაღაზიაში პური იყიდა და ნაკრძალის ზონისკენ გზას დაადგა.

როგორც კი სოფელს გაეცალა, ტყის პირას, ბებერი წიფლის ფესვებზე გადაჯდა, ხმელა პურს გემრიელად შეექცა და კვლავ განაგრძო გზა. ყორნისხევისკენ მიდიოდა, თავისი თვალით უნდა ენახა ყორნისხევი. რა იყო ეს ყორნისხევი, რატომ მოითხოვდა შურისმგებელი ცხედრის ყორნისხევში გადაგდებას, რატომ მაინცა და მაინც ყორნისხევში? ხევები ხომ უფრო ახლოსაც იყო?.. განა ყორნები იმ ხევებსაც არ დაჰყრანტალებდნენ თავზე?

ნაკრძალის ზონა ერქვა, თორემ უდაბური ტყე იყო, წიფლნარს, ფიჭვნარი სცვლიდა, ფიჭვნარს ბუჩქნარი და ბოლოს დიდ საძოვრებზე გავდიოდით. ყორნისხევი აქვე, არავის ჭალაში, — ქალაქის პირას იყო, ოღონდ აქედან, ტყიდან, უნდა ჩასულიყავით, ქალაქიდან იქ ჩასვლა არაველებს ეკრძალებოდათ. გორაკებს შორის იყო მოქცეული. ამიტომ არ ჩანდა. მონდომებული კაციც კი ძნელად თუ მიუდგებოდა ყორნისხევს.

თანგულია ტყის ბილიკს მიჰყვებოდა. არ იცოდა, სად მიდიოდა, სად მიიყვანდა ეს ბილიკი. გაეგონა, რომ ყორნისხევი სადღაც აქეთ იყო, ნაკრძალის ზონაში, ამიტომაც, ტყე-ტყე დაეძებდა, ეგებ ვინმე აქაური შემხვდეს, ვკითხავ, მიმასწავლისო — ფიქრობდა.

ტყის ბილიკით მწყემსები მიდიოდნენ საძოვრებისკენ და ჩამოდიოდნენ კიდეც, როცა შაბათ-კვირას აუცილებელ საქმეზე ბარს ეწვეოდნენ. გრძელ გზას მოკლეზე ჭრიდნენ. ნახირს სხვა გზით მიერეკებოდნენ, მოვლითი გზით. იმ გზით მანქანებიც კი ადიოდნენ ოისიმეს ფუნდუკამდე.

ოისიმეს ფუნდუკი! ეს არ იყო უბრალო დუქანი ტყის გზაზე. მწყემსთათვის, ტყის მჭრელთათვის, ეგერთათვის, მონადირეთათვის, მგზავრთათვის ბარიდან ალპიური საძოვრებისაკენ, მიმავალ-მომავალთათვის სასტუმროც იყო, სასადილოც, შესასვენებელი, სულის მოსაბრუნებელი, კეთილ და ბნელ საქმეთა გასარიგებელი ადგილიც. მუშა კაციც აქ შემოდიოდა სასაუზმოდ, ტყის ყაჩაღიც.

ტყის ბილიკი ამ ფუნდუკისკენ მიდიოდა, ტყე-ტყე, წიფლნარის საამო ჩეროში უნდა გევლოთ, მაგრამ გზა მაინც დამღლელი იყო, სულ აღმართ-აღმართ, ფერდობ-ფერდობ ადიოდით, ჩამოჯდომაც კი ჭირდა ციცაბოზე, მუხლის გასაშლელი ადგილი აღარსად იყო, გადაქანებულად უნდა დამჯდარიყავით.

თანგულიას ჩანთა მხარიღლივ ეკიდა, კაცი ვერ იფიქრებდა, თუ შიგ თოფი ედო, ბაბუამისის, ვარლამის ნაჩუქარი თოფი შეგეძლოთ ისე დაგეშალათ, კოლოფშიც კი ჩაგედოთ. საგანგებოდ ვარლამისთვის დამზადებული თოფი იყო, პრიალა ლულაზე ეწერა ინიციალები ლათინურად, თანგულია თვალისდახამხამებაში აწყობდა და შლიდა, უცხო ხელი თოფს საერთოდ ვერ გაუგებდა თავსა და ბოლოს, ხერხი უნდა გცოდნოდა, ბიჭი ამ ხერხს ფლობდა. ახლა სჭირდებოდა თოფი, სწორედ რომ ულრან ტყეში მიდიოდა, განა არ სჯობდა აეწყო, მხარზე გადაეკიდა და ნამდვილ მონადირესავით ევლო, ასეთ ულრან ტყეში, ვინ იცის წინ რა შეეფეთებოდა.

ბაბუასთან ერთად, ტყისპირებზე ბევრჯერ უვლია, მწყერზე სანადიროდ ბევრჯერ წაჰყოლია ვარლამს. ასე

შორს, ასე ღრმად ტყეში არასოდეს შესულან.

შუაგულ ტყეში შედგა თანგულია. ჩანთა გახსნა, თოფი ააწყო, მხარიღლიგ ახლა თოფი გადაიკიდა და გზა განაგრძო. კიდევ დიდხანს იარა. ალბათ ტყეში გზა დამებნა, უკან უნდა გავბრუნდეო,— გაიფლო გუნებაში და ოსიმეს ფუნდუკიც გამოჩნდა. გაუკვირდა და გაუხარდა შუა ტყეში, ადამიანის ნახელავის დანახვა. ჯერ შორიდან უყურა, კარგად მიათვალ-მოათვალიერა, შემდეგ წინკარს მიეყუდა და თავი ფუნდუკში შეჰყო. ფუნდუკის გარეშემო ხეები გაეკაფათ და ველობი შეექმნათ ნახირისთვის. შემოექართათ კიდეც ეს ველობი, ფუნდუკში ღამის გამთევნი ნახირს ამ ქართაში შემორეკავდნენ და ასვენებდნენ.

თანგულია ფუნდუკს რომ მიადგა, შიგ ოთხი კაცი იჯდა, ერთი გაუპარსავი კაცი განმარტოებულიყო ცალკე მაგიდასთან, ორნიც ერთად ისხდნენ, ერთს პერანგიც კი გაეძრო და ტანშიშველი ელაზღანდარებოდა მეფუნდუკეს.

— ოი, ოისიმე, ხომ ვიცი, რომ გაქვს!... მოიტა!

— პური არა მაქვს, ბიჭო, პური, არ მოუტანიათ...

— იყოს მარტო არაყი.

— უპუროდ?

— რა იყო? რა გაიკვირვე?

— გაგაცოფებთ მშივრებს და მერე მე რა გიყოთ!..

ოი ანუ ოისიმე სულაც არ ჰგავდა მეფუნდუკეს, ცარიელ ღვინის კასრზე იჯდა და გაუპარსავ ჭაღარა წვერს იქექავდა, ჩია ტანის ძვალ-ტყავა ბერიკაცი იყო.

თანგულია ფუნდუკში შევიდა და ცარიელ მაგიდას მიუჯდა. ცალკე მჯდარმა კაცმა უმალ თანგულიას მაგიდისკენ გადმონაცვლა, თითქოს უცნობი ჭაბუკის დანახვა გაუხარდაო, სკამი მოაჩოჩა და საიდუმლოდ უთხრა:

— ჰე კონდრატე ვარ, თქვენ იცით, რომ მაფურთხებენ, მშრომელ ადამიანს ხელებზე მაფურთხებენ, ეს შეიძლება? ზოგჯერ ღამითაც, როცა ძილში მოვლენ და ხელებზე მაფურთხებენ. აბა!..

თანგულია შეცბა. ნეტა არ შემოვსულიყავიო, ერთი ეს გაივლო გუნებაში. რა ეპასუხა? გაწითლდა ბიჭი.

— მე, იცით?.. — დაიბნა ბიჭი, — ყორნისხევი გაგიგონიათ? ყორნისხევს დევეძებ?.. ვერ მივაგენი და ა... აქ ამოვიჩნდი...

— ყორნისხევი?.. ყორნისხევი როგორ არ გამიგონია?.. იქ ძველ დროში მოღალატეებს სიკვდილით სჯიდნენ და გვამს ხევში ჰყრიდნენ ყორნების საჯიჯგნად. ამიტომ ჰქვია ყორნისხევი! ძველისძველი ამბავია... ეჰ, ნეტა დღესაც გვქონდეს ეს წესი, ვინც მე ხელებზე მაფურთხებს, ის ადამიანი სწორედ ყორნისხევის ღირსია. რას მერჩის, რა დავუშავე? მუშა კაცი ვარ, სადგურში მატარებელს ვხვდები, ვეხმარები ხალხს, ზოგს ბარგი აქვს წასაღები, ზოგს ავადმყოფი მოჰყავს საკაცით, ზოგს რა უნდა და ზოგს რა... ჩემი შრომით ვცხოვრობ, ის მოდის და ხელზე მაფურთხებს... შეიძლება ეს?.. აი, იმ კაცმა სადგურიდან წამომიყვანა, — კონდრატემ თანგულია გვერდით მაგიდაზე მსხდომებისკენ გაახედა, — აი, იმ შიშველმა, ჯვებე ჰქვია იმას, წამომიყვანა, მუშა მჭირდებაო, ხეების გადმოტვირთვაში მოვეხმარე, ახლა უკან აღარ მიეყავარ, ერთი კვირაა აქა ვარ და ხელებზე მაფურთხებენ, რა მინდა მე აქ, ამ ტყეში. ჩემი სამუშაო, იქ არის, რკინიგზის სადგურზე, სამუშაო ერთგან არ იქნება, სხვაგან ვიპოვი, მატარებელი სხვაგან წამიყვანს. აქ რა ვქნა, ვზიავარ ოისიმესთან და რამდენი კაციც შემოვა ამ დუქანში, ყველა მაფურთხებს.

— თქვენ ამბობთ, რომ ყორნისხევში მოღალატეების გვამებს ჰყრიდნენო?..

ბიჭი სულ მთლად გათეთრებულიყო, ტუჩებსაც კი დაჰკარგოდათ ფერი, თეთრად უთრთოდა... საზარელი ამბავი აუწყეს! — ყორნისხევში მოღალატეთა

გვამებს ჰყრიდნენო, აი, თურმე რას მოითხოვდა შურისმაძიებელი! ბიჭი კონდრატეს წირპლიან თვალებში შესცქეროდა, მაგრამ არაფერი, არც ერთი სიტყვა არ ესმოდა...

— კი, საშობლოს მოღალატეების... — ჩაესმა როდის-როდის თანგულიას.

— საით მხარეს არის ყორნისხევი, საით უნდა წავიდე? — აფორიაქდა ბიჭი.

— წამოდი, გაჩვენებ! — უთხრა კონდრატემ და თმა-წვერის ქექვით წამოდგა.

— ეს რა არის, ეს! — გაისმა უცებ ფუნდუკში ზარივით მჭექარე ხმა და ფუნდუკის მეორე თვალიდან ნახევრადშიშველმა კაცმა, კონდრატემ რომ ჯვებედ შერაცხა, ტომარა შემოათრია.

— ფქვილია, რა იქნება, — მშვიდად მიუგო მეფუნდუკემ.

— მერე?.. — დაეკითხა ჯვებე, — მოგვიხარშე ღომი შენებურად, ყველიც გექნება და ჰაიდი ცხელი ღომი და არაყი! მეტი ჩვენ არაფერი გვინდა!... კაცი არა ხარ, დავიხოცეთ შიმშილითა.

— სხვისია ფქვილი, მომაბარეს.. — უთხრა მეფუნდუკემ. ღვინის კასრზე იჯდა, მოკლე ფეხები უსასოოდ ეკიდა, თითქოს საერთოდ არ აპირებდა იქიდან ძირს ჩამოსვლას.

— ეს კაცი ამ ბოჭკაზე დაჭედებული ხომ არ არის! — შესძახა ჯვებემ, დასტაცა ოსიმეს ხელი და მაღლა ბაგშვივით შეაგდო. ბერიკაცმა ჰაერში ფეხები აიქნ-დაიქნია და ძირს უხერხულად, ძაყუნით ჩაჯდა.

კაცი, რომელიც ჯვებესთან ერთად მაგიდასთან იჯდა, თანგულიას მიჩერებოდა. საიდანაც ჯვებემ ტომარა შემოათრია, იქით არც იყურებოდა, არც ოსიმეს მიწაზე დანარცხება მიუჩნევია არაფრად. თანგულიას არ აშორებდა თვალს, გაოცებული და გაბოროტებული უმზერდა, ნუთუ ის არის, აქეთ თოფიანად რისთვის წამოსულაო. — ფიქრობდა. როცა თანგულია და კონდრატე მაგიდიდან წამოდგნენ, ისიც წამოიჭრა ფეხზე და უკან გამოუდგა.

— ჯვეგე, სად მიდიხარ! — დაუძახა ჯვებემ, — ჯერ ეს კაცი მომაკვლევინე აქ! — ცალ ფეხზე ფეხი დაადგა, მეორეს ხელი დასტაცა და ვითომ შუაში უნდა გავგლიჯოო — თვალებს უბრიალებდა ოსიმეს.

— კარგი, ჰო, კარგი, — უთხრა მშვიდად ოსიმემ, — მოგიხერხებთ რამეს, გამიშვი ხელი!..

ხომ ბობოქრობდა ჯვებე, ხომ ამდენს ხმაურობდა, ყვიროდა და კაცს გახლეჩასაც კი უპირებდა, ოსიმეს წარბიც კი არ შეტოკებია, ზლაზვნით წამოდგა. ჩაჩაჩული ძოქვა ჩაიფერთხა, ჩანდა შეჩვეოდა ასეთ მოპყრობას. შავ ქვაბუნას წამოავლო ხელი, კუთხეში მიდგა და რეცხვას მიჰყო ხელი.

ჯეგემ ჯვებე და ოსიმე ფუნდუკში დატოვა და თანგულიასა და კონდრატეს გასდია გარეთ. რა უნდოდა, რატომ მისდევდა?..

ჯეგე ხალდანმა იცნო არავიძეთა უმრწემესი და ერთადერთი მემკვიდრე. როცა ვარლამ არავიძის სასახლეს გარს უვლიდა მტრული მიზნით, ვარლამის მოკვლა ედო გუნებაში და ხელსაყრელ შემთხვევას ვერ პოულობდა, ბევრჯერ ჩავარდნია ხელში ეს ყმაწვილი, ახლაც თავისი ფეხით, როგორც კრავი, მობაკუნდა სიკვდილთან, მაგრამ ჯეგე ხალდანი ამგვარ შურისძიებას არ ელტვოდა, უდანაშაულო სისხლის დაღვრა მას უფრო დიდ დანაშაულად მიაჩნდა, ვიდრე ყოველი დანაშაული. პირიქით, შიშს შეეპყრო ყმაწვილისა გამო, ვინმემ არ მოკლას ამ ულრან ტყეში და მე არ დამბრალდესო.

— ყმაწვილო, — დაუძახა ხმადაბლა, — თოფიანად ამ ტყეში გაგლა საშიშია...

თანგულია შედგა. გულუბრყვილოდ მიაჩერდა ხალდანს, ვერ გაიგო რას ეუბნებოდა. ჯეგე მიუახლოვდა, თოფს დაკვირდა, ხელიც კი შეახო.

— ასეთი თოფისთვის აქ ადამიანს

კლავენ... შეიძლება, უცებ, საიდანღაც გაიწუილოს ტყვიამ და თქვენ დაყვირებასაც ვერ მოასწრებთ. ვერც ვერავინ გაიგებს თქვენს სიკვდილს — ასეთია ტყის კანონი.

— მე ყორნისხევი უნდა ვნახო! — უთხრა მტკიცედ თანგულიამ და სწრაფად გაეცალა უცნობს, თითქოს გულმა რაღაც უგრძნოო, უნდობლად მოხედა და დააკვირდა არამკითხე მზრუნველს. ეს თავხედური გამოხედვა ეცნო ხალდანს და ტანში გასცრა. აწოწოლი, გამხდარ-გალეული ყრმა ვარლამ არავიძე იდგა ოსიმეს ფუნდუკის წინ. „საძაგელი გენი“ — გაუელვა თავში და ფუნდუკში ისე შებრუნდა, თითქოს ლოყაზე სილა გააწნესო.

ოსიმეს ფუნდუკთან არავისხევი ჩამოდიოდა, იმ ხეში ძაფივით მოიკლაკნებოდა არავისწყალი, თანგულია ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ეს ძაფივით ღელე ის მშფოთვარე არავისწყალი იყო, ქალაქ არავს რომ შუაში ჰყოფდა, ზედ ხიდი რომ იყო გადებული და იმ ხიდქვეშ ზოგჯერ ნავებითაც კი დაცურავდნენ.

კონდრატემ ხევისპირას ჩაიყვანა თანგულია, იმ ხევის გაყოლებით იშვერდა ხელს და ყმაწვილს გზას უჩვენებდა ყორნისხევისკენ.

თანგულიამ კონდრატეს მადლობა გადაუხადა და არავისწყლის ხეობას დაღმა და დაღმა არავიძეთისაკენ ჩაჰყვა.

თავქვეზე დაეშვა, ხევ-ხევ ბევრი იარა, არავიძეთი გვერდით დარჩა, ლამის პირდაპირ არავს მიადგა. გასაოცარ ხევს წაადგა თავზე; კაცი ვერ იფიქრებდა თუ აქ ხევი გადიოდა, თითქოს საგანგებოდ, მოფარებულში ქალაქის პირას ჩაეთხარათ ღრმა ხევი. ხალხი ეძახდა ყორნისხევს, თორემ სინამდვილეში აქ იზოლატორის ზონა იყო. იმ ხევის პირას არც ერთი ხე არ ხარობდა, მშრალი ხევი ყოფილა ყორნისხევი, თურმე არავისხევს უერთდებოდა. თანგულია ხევის პირს რომ მიადგა, მართლაც იმდენი ყორანი ამოფრინდა ხევიდან, ცა გადააშავეს. ისეთი ყრანტალ-ყივილი მორთეს, თითქოს ყორანთა მარადიულ ვარამს ანთხევდნენ ციდან. უცებვე დაშოშმინდნენ, სადღაც ხევს გადაღმა, ხეებზე გადაეფინენ შავად.

თანგულიას ხევში ჩახედვისას კი ეშინოდა, ხევი კი არა, ალბათ, უფსკრული უფრო ეთქმოდა. კარგად უნდა დაკვირვებოდით, რომ ხევის ფსკერისთვის ჩაგეწვდინათ თვალი. კრატერს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხევს! მცენარე, ბალახიც კი არ ხარობდა ხევში, ფშვნადი კლდეები ოვალურად ჩადიოდნენ იმ უფსკრულში, საიდანაც ცოცხალი არსება, ნადირიც ვერ ამოდიოდა თუ შემთხვევით შიგ ჩავარდებოდა. ამიტომაც ყორნებიც მუდმივად შიგ ისხდნენ. ხომ ამდენი შავი ყორანი ამოფრინდა ხევიდან, იმდენივე შიგ ჩარჩა. იმ ერთ წამს იხუვლეს ერთად და ამოფრინდნენ, ქვა ჩაგორდა ხევში — თანგულიას ქვის ჩაგორება არ შეუმჩნევია, ხევიდან ამოვარდნილმა შავმა ქარიშხალმა გააოგნა. ბოტასის ჭვინტი უნებურად ჰკრა ქვას, ქვა გახტა და ხევში ჩაგორდა. ასეთ უნებურ ქვის ჩაგორებას მთებში ზვავი მოჰყვება ხოლმე, ზვავისებურად იგრიალა ყორანთა გუნდმა და ყორნისხევიდან შავი ქარიშხალივით ამოვარდა, მაგრამ ძალიან სწრაფადვე ჩადგა ეს ქარიშხალი. ყივილ-ყრანტალიც თანდათან მიწყდა და ხევმა განაგრძო ჩვეულებრივი, ყორნისხევური ცხოვრება.

თანგულია თანდათან ივსებოდა შურისძიებით, ყორნისხევმა კიდევ უფრო აუშალა იარები, უფრო გააავა და გააფთრა. თოფი გადმოიღო მხრიდან, ტყვია პირში მისცა. თითქოს ბრძოლას იწყებდა, თითქოს ბაბუამისის საფლავიდან ამომთხრელის ბედი აქ ყორნისხევში გადაწყდა, — თანგულიას თოფის ტყვიის წერა უნდა გამხდარიყო ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასმენა

ჯეგე ხალდანი დუროსთან დახმარების სათხოვრად შემთხვევით არ მისულა. მანქანის დაქირავება სხვაგანაც შეეძლო, მაგრამ დურო აირჩია, — ეს იყო ღრმად მოფიქრებული, წინასწარ მრავალგზის გააზრებული ბრძოლის პროგრამა. დუროსთან მისვლა და უწყება — ვარლამ არავიძე საფლავიდან ამოვთხარეო, დამჭირველებთან მისვლას და ჩაბარებას უდრიდა.

დუროს კაცი ვერ ენდობოდა, უსათუოდ დაასმენდა, — ეს მისი ხელობა იყო. ისიც კარგად იცოდა, დუროს დაიხმარდა თუ არ დაიხმარდა, მაინც დაიჭერდნენ, ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელს თავისუფლად არ აპარპაშებდნენ. ამიტომ ისევ დუროსთან შეკვრა არჩია. ფულისთვის დურო ვარლამ არავიძეს კი არა, შვილებს გაყიდდა. მართლაც დუროს შემწეობით ამოთხრა ისე წარიმართა, როგორც ხალდანი ვარაუდობდა. მკვდარი უკვე სამჯერ იყო ამოთხრილი, სოფელმაც გაიგო და ქალაქმაც — არავსა და არვიძეთს პირზე ეკერა: ვარლამ არავიძეს საფლავში არ აჩერებენო. ეს უნდოდა, ყველას უნდა გაეგო არავიძის ავკაცობის ამბავი.

ზენონთან შუალამით მოულოდნელმა შეხვედრამ არივ-დარია ხალდან-დუროს წინასწარ გაანგარიშებულ-გათვლილი გეგმა.

ზენონი იმღამინდელ ამბავს უსათუოდ ეტყოდა აბიას. დუროს სხვადასხვაგვარი, დამაჯერებელ-დამარწმუნებელი პასუხებიც მზად ჰქონდა, აბიას კიდეც დაიყოლიებდა და დააჯერებდა, მაგრამ დამჭირველებს არაფერი გამოეპარებოდათ. სჯობდა ფულს არ დახარბებოდა და დროზე გაეცა ხალდანი, თორემ საქმე თუ გასკდებოდა, დუროს სამსახურსაც დაატოვებინებდნენ და ქრთამისთვის ციხესაც გაიკრავდა. ხალდანმაც უმალ იყნოსა საფრთხე და დურო გააფრთხილა: ავი გაწზრახვა რომ გიდევს გულში, აღსრულება როცა გა- ეროვნული ბიბლიოთეკა დაწყვიტო, წინასწარ მაცნობე, მშვიდობიანად ჩაგბარდებით, თქვენთვისაც საჭიროა და ჩემთვისაც. დურო შეჰპირდა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მორიელივით უმუხთლა.

ჯეგე ხალდანს თუ ხუთას მანეთად მიეყიდა, თვით ხალდანი ძვირად გაყიდა. გენერალურ დამჭირველთან მივიდა და მხოლოდ იმას უჩურჩულა ჯეგე ხალდანის, მეტსახელად „დირგიას“ საკვირველი ამბავი. ვითომ დიდმა გამოცდილებამ, ალღომ და საზრიანობამ, საქმისადმი ერთგულებამ შეაძლებინა შეუძლებელი, გაეგო შურისმაძიებლის ვინაობა. რაც მთავარია, მისი ნდობა მოიპოვა და შეუძლია რომელ წუთსაც მიიღებს ბრძანებას, იმ წუთსავე „ლიკვიდაცია უყოს...“

გენერალური დამჭირველი გრიგოლო გრიგოლოვი გაოცდა, არ დაიჯერა, აბიას დაურეკა და სასწრაფოდ იხმო. ორჯერ, სამჯერ მოაყოლა დუროს, როგორ-და მიაკვლიე, ვინ გითხრა, ვინ მიგასწავლოო.

დურომ სინამდვილე გრიგოლოვს დაუმალა, ვითომ მწყემსებისგან გაიგო ხალდანის ვინაობა, მწყემსებში ჩემი კაცები შეეგზავნე, სასურველ შედეგს დამსმენთა დიდი ქსელით მივაღწიეო.

— ის რაც თქვენ, ერთმა ადამიანმა, შესძელითო, ვერ შეძლო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილმა დამჭირველთა მთელმა ლაშქარმა! — გულწრფელად აღიარა გრიგოლოვმა.

— აი, ვინ იყო ვარლამ არავიძე! — თქვენსავით პირველი კლასის დამჭირველები მძღოლებად და კარისკაცებად ჰყავდა!.. იმუშავეთ ჩვენთან, საგანგებო განყოფილებაში დაგნიშნავთ! — შესთავაზა პირდაპირ.

— დამჭირველთა უპირველესო, გენერალურო დამჭირველო! — მაგოგის ენაზე გადავიდა უცებ დურო და უფროსს გამოეჭიმა.

— მე თქვენთან დიდი ხანია ვმუშაობ! ოღონდ თავმდაბალი კაცი ვარ, არ გეჩხირებით თვალში, — ბოლო წინადადება შინაურულად უთხრა მშობლიურ ენაზე. მაგოგის ენაზე გრიგოლოვის ტიტულების ჩამოთვლა იმას ნიშნავდა, რომ დურო მართლა მათი მუშაკი იყო.

— დაბრძანდით! — უთხრა გრიგოლოვმა დუროს, — მთხოვეთ რაც გინდათ!..

— დამჭირველთა უპირველესო! გაუმეორა ტიტული დურომ, — ბინა მინდა შვილისთვის...

დურომ იცოდა, რომ ამ დაწესებულებაში ასეთ საქმეთა გახსნა გულუხვად ჯილდოვდებოდა. შემთხვევით უნდა ესარგებლა და თავისი უკანონო შვილისთვის ბინა ეშოვა.

დუროს ერთი უკანონო ვაჟი ჰყავდა. მისი არსებობა კანონიერმა ცოლ-შვილმა არ იცოდა, არც აბიამ იცოდა, არც ცისმარემ, არც არავინ დუროს ახლობელმა და მეგობარმა. ბიჭი რომ წამოიზარდა, დუროს გამოძალვა დაუწყო. ღვთისგან გაძულებული, ავარა ვინმე გამოვიდა. დუროს მისი ეშინოდა. ბიჭს კი დურისგან გამწარებული დედა აქეზებდა და აქეზებდა, ხან რას თხოვდნენ უკანონო მამას და ხან რას. თუ ბინას უშოვიდა, ამით საბოლოოდ დააშოშმინებდა დედა-შვილს და მოიცვენებდა.

დამჭირველთათვის ბინის მიცემის დადგენილ-დაკანონებული წესი არსებობდა: მათთვის საგანგებო ბინებს აშენებდნენ, ორსართულიან, ცეთილმოწყობილ საკუთარ სახლებს თავისი ეზო-კარით და პატარა ბაღით. ასეთ სახლებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის იძლეოდნენ, მაგალითად შეთქმულების აღმოჩენისათვის, ან სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა ბანდის ბუნაგის მიკვლევისათვის და სხვა...

დუროს აზრით, მის მიერ აღმოჩენილი დამნაშავეც არ ჰგავდა ჩვეულებრივ ქურდსა და ბანდიტს, სახელმწიფოს საზღვრის დამრღვევეიც არ იყო, რასაკვირველია, მაგრამ თუ ცოტათი აბიაც ხელს წაჰკრავდა, თუ გრიგოლოვის კეთილგანწყობაც დაემატებოდა, შეიძლებოდა ამ საქმის გაგვარება.

გრიგოლოვი მზად იყო არამც თუ ბინა, საკუთარი სახლიც კი მიეცა იმ ადამიანისათვის, ვინც ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელს აპოვნინებდა. არავის მხარე შეძრული იყო ამ ამბით. თუ დროზე ვერ აღმოაჩენდა დამნაშავეს, თანამდებობიდან უნდა გადამდგგარიყო. თუ არ გადადგებოდა, სულერთია, გადააყენებდნენ, თვით ივსიხი ნესტორის ძესაც არ ეტყოდნენ მადლობას, აბია არავიძის მხარის მმართველის მოადგილედ ყოფნაც საეჭვო ხდებოდა. მამის საფლავისთვის ვერ მოგვლია, მხარეს როგორ მოუვლია, არ ეტყოდნენ?.. საგონებელში იყო ჩავარდნილი დიდ-პატარა.

გენერალურ დამჭირველთან დილაადრიან დურის სტუმრობა ციდან ჩამოვარდნილ ღვთის წყალობას ჰგავდა. ბინას დაიშურებდნენ დუროსათვის?!

— ამოირჩიეთ, რომელი ბინა გნებავთ, — უთხრა გრიგოლოვმა საქმიანად, — ჩემი საქმეთა მმართველი მოგართმევთ გასაღებს...

დურომ მადლობა გადაუხადა გრიგოლოვს და ხალდანის შეპყრობის გეგმა შესთავაზა. გრიგოლოვმა უმალ გამოიძახა მთავარდამჭირველი დემურ რიკტაფელოვი და საიდუმლო ოპერატიული ჯგუფის შედგენა დაავალა.

— თქვენ გენოს შვილი ხართ. არა? — ჰკითხა დურომ რიკტაფელოვს, — ჩვენი მამები ერთად მუშაობდნენ ვარლამთან. მეც მივუსწარი მათ. ვიდრე დახვრეტდნენ, ერთი ორი თვე ვიმუშავეთ ერთად. აი, ვინ იყო ნამდვილი დამჭირველი! გენო რიკტაფელოვი! მას შეეძლო მთელი არავისათვის ერთ დღე-

ში... ვშიტ! — ლიკვიდაცია ეყო!.. ჩვენ კიდევ ერთი კაცი ვერ დაგვიჭერია!.. — ჩაიხითხითა დურომ. — ღამის სამ საათზე, — უცებ პირდაპირ საქმეზე გადავიდა, — მე, ჩემი „ემცხრათი“, დავდგები არავიძეთის სასაფლაოს ჭიშკართან, დამნაშავე ამოთხრის მკვდარს საფლავიდან, გაიდებს ზურგზე და მოიტანს მანქანასთან...

დურომ იცოდა, რომ აქ მისი ყოველი სიტყვა იწერებოდა, მან თვალი ჰკიდა კედელში ანთებულ წერტილს... „გადამღები კამერაც ჩაირთო“ — გაიფიქრა.

— გინდათ საფლავის თხრის დროს უყავით ლიკვიდაცია, გინდათ მკვდარს ზურგზე რომ გაიდებს და მოკაკვული რომ წამოვა მანქანისაკენ, ამოუდექით იქით-აქეთ!..

გრიგოლო გრიგოლოვი თავის გადაპრიალებულ მაგიდასთან იჯდა, ქაღალდის ნაგლეჯიც კი არსად ეგდო ამ მაგიდაზე. არ უყვარდა ქაღალდები. სამაგიეროდ ელსმენების, სხვადასხვა აპარატების ნაირსახეობანი ელაგა მარჯვნივ და მარცხენივ, ზურგს უკან, კედელზე, კედელში, მაგიდის ქვეშ, მაგიდის უჯრებში ათასგვარი მოწყობილობანი ჩაედგათ. გამოუცდელი დამჭირველი ამ მაგიდას ალბათ, ვერც მიუჯდებოდა, ერთის მაგივრად შემთხვევით თითს თუ სხვა ღილაკს დააჭერდა, მოსალოდნელი იყო ათასი ხიფათი, ათასი ეხერხულობანი.

გრიგოლოვის გადაპრიალებული მაგიდის წინ, მიდგმულ მაგიდას უსხდნენ: მარჯვნივ რიკტაფელოვი, მარცხნივ დურო.

დემურ რიკტაფელოვი ერთ-ერთი მთავარდამჭირველი იყო ამ დაწესებულებაში. მრავალი მთხობელისა (დამსმენის) და დამნაშავისთვის მოესმინა, მსგავსი რამ არასოდეს გაეგონა:

— თქვენ ამბობთ, რომ... — დაიწყო დინჯად რიკტაფელოვმა, — ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელი, გაიდებს მკვდარს მხარზე, მიადგება ვარლამ არავიძის „ემცხრას“, ჩაჯდება შიგ, ვარლამ. არავიძის ყოფილი მძღოლი, ე. ი. თქვენ, მიაგრიალებთ ვარლამ არავიძის ჭიშკართან მანქანას, ბოროტმოქმედი გადმოვა ვარლამ არავიძის გვამით და ტრიფოლიატის ღობეზე გადაკიდებს?..

— კი, ამას ვამბობ... — მიუგო წარბშეუხრელად დურომ.

— პარადოქსი სწორედ ეს გახლავთ! — წამოიძახა გრიგოლოვმა მაგოგის ენაზე. წამოდგა, მიატოვა თავისი მაგიდა, თითქოს საცეკვაოდ ეპირებაო, შუა ოთახში დადგა და დემურ რიკტაფელოვს დაუწყო შეგონება.

მაგოგის ენა სასამსახურო ენა იყო. გრიგოლოვმა აქაური ენაც მშობლიურივით იცოდა და მაგოგის ენაც, ოღონდ მღელვარების, მრისხანების ჟამს უნებურად გადახტებოდა მაგოგის ენაზე.

— თურმე დარწმუნებულია, რომ ბატონი დურო გასცემს, მაინც მიდის!.. — ააჭ?.. — თითქოს რიკტაფელოვს ჰკითხაო, მიაჩერდა და გადაიხარხარა.

— ასეთი რამ პირველად მესმის ჩემს პრაქტიკაში...

— დამჭირველთა უპირველესო და გენერალურო დამჭირველო! — ფეხზე წამოდგა რიკტაფელოვი და უფროსს წესისამებრ მიმართა მაგოგის ენაზე.

— ოპერატიული ჯგუფი დემურ რიკტაფელოვის მეთაურობით მზად არის ღამის სამ საათზე არავიძეთის სასაფლაოზე ოპერაციის შესასრულებლად!

რიკტაფელოვი ფეხზე წამოდგა თუ არა, დუროც წამოუდგა ფეხზე გრიგოლოვს.

— ყველა მოსალოდნელი შემთხვევა

წინასწარ დაამუშავეთ და საღამომდე მომახსენეთ, — ბრძანა გრიგოლოვმა, — მაგალითად, დავუშვათ, რომ ბოროტმოქმედმა გაიგო ჩვენი განზრახვა და აღარ მოვიდა დანიშნულ დროს, ჩვენ რას ვაკეთებთ? — ჰკითხა გრიგოლოვმა რიკტაფელოვს, პასუხს არ დაელოდა და განაგრძო... — ან მოვიდა, მაგრამ სასაფლაოს აღარ გაეკარა, მიხვდა, რომ გაცემულია... ჩვენ რას ვაკეთებთ?..

მოვიდა, ამოთხარა მკვდარი, არ დაგვემორჩილა და სროლა აგვიტეხა... რას ვაკეთებთ?

მოვიდა, მაგრამ მარტო კი არა, მოიყვანა შეიარაღებული რაზმი... რას ვშვრებით?! და ა. შ. ყველა ამდგვარ კითხვაზე საღამომდე უნდა გასცეს პასუხი. მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებით საქმეს!..

— პირველად მე უნდა დამაპატიმრონ! — უთხრა დურომ გრიგოლოვს,— ბოროტმოქმედს ეჭვი არ უნდა შეეპაროს, რომ გაცემულია. მე მგონი, გენო რიკტაფელოვის შვილს ჩემგან ეს არ ესწავლება...

— რა საკვირველია! — თქვა გრიგოლოვმა და რიკტაფელოვს შეხედა.

— არის! — დამჭირველთა წესისამებრ გამოეჭიმა უფროსს რიკფატელოვი და მხედრული ნაბიჯებით დასტოვა გენერალური დამჭირველის უფროსისკარი.

დუროც უკან მიჰყვა რიკტაფელოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენვენუტო ჩელინი

არ გქონდათ მბრძანებელთა რიდი,
იცოდით ფასი წამთა...
ხალხს კლავდით, ოქროს ხელოვნებას ქმნიდით
და ქრისტე სულით ხორცამდე გწამდათ.
პაპმაც და მეფემაც მოკეტონ —
რომის და პარიზის შავი კატებია...
ბენვენუტო, კიდევ ერთხელ მოყევით,
როგორ გაათხოვეთ კახპა კატერინა.
სახელოსნოში ბრინჯაო დუღდა,
ეყარა მოდელები და მაკეტები,
სნეული, პირქუში — თითქმის მუქთად —
მოკვდავი უკვდავ ქანდაკს აკეთებდით.
რამის შექმნა — ყოველთვის გამოცდა,
მტრებს ერთი სული აქვთ — ჩავარდნას უცდიან...
რატომ დაგვიტოვეთ მზარავი გამოცანა,
რომელიც ვერავის გამოუცნია.
დიახ, სხვა გქონდათ მიზანი სანუკვარი,
ფული თქვენს ჯიბეს ხშირად გვერდს უვლიდა,
ფეხებზე გეკიდათ შვილები საკუთარი,
სატრფოს კინწისკვრით აგდებდით გულიდან.
ნუთუ მართალი ხართ ღმერთთან და ერთან,
ამას ვინ დაადგენს, რომელი მისანი?
კაცია მკვლელი და გენიოსი. ერთად.
ეს უბედურება გამოიცანი!

სანთელი

ისევ ქრის მოგონებების ნიავი...
ეს სხვისი ბინაა. პირველი სართული.
გარეთ ხავსიანი ღამე იანვრის,
ოთახში — ერთი მბეუტავი სანთელი.
ექვსნი ვართ. მაგიდა. ჭიქები მომცროა.
ნეტა სად მივყევართ ბედის გიჟ ვარსკვლავს.
მე მაშინ მხოლოდ ცოტათი მომწონხარ,
შენ კი, ვგრძნობ ამას, უკვე გიყვარვარ.
ბნელი ღვინო არა გავს ზედაშეს.
კედლიდან მძიმე საათის რეკვა.
სანთლიან ბინდში მარტო მე და შენ
ტანგოს თუ რაღაცას ვცეკვავთ და ვცეკვავთ.
სიყვარულს სისხლი ჯერ არ გაუშრა,
არ გვჯერა მწარე ბედისწერის...
ჩაბღუჯეთ ხელი, არსად არ გაუშვათ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა ძველი ახალი წელი.
...შავმა ზღვამ ჩაძირა გემი და ნავები,
უნდა მოვიხურო კარები.
რადგან შენ უკვე არ გეპიტნავები,
მე კი დაუცხრომლად მეყვარები.
მაგრამ... ჯერ ბინაა. პირველი სართული.
ჯავრი და ჭირი ჯერ არ მხუთავს...
ჩამოღვენთილი ეული სანთელი
უძლური სიყვარულივით ბჟუტავს.

ქვაღამე

ნაჯახის ყუით ქვაღამეს ვტეხავდი.
რადიო. გულისგამგლეჯი ჰანგები.
ქრებოდა ოთახი. აქ იყო ტეხასი,
გმინავდნენ ჩამოსაღრჩობი ზანგები.
ფანტაზიავ, საით მიექანები?
მოჩანს უცხოური მონასტერი,
ძირს დამხობილი კივიან ქალები,
მღვდლები დგანან, როგორც მინისტრები.
...ვაი შენ, მძვინვარე უილაჯობავ,
შურისძიების წადილს მიქელავენ...
ჭირიან გოგომ როგორ მაჯობა,
გამისხლტა, როგორც ცხენი მიმქროლავი.
წარსული ლოდივით მტკვარში ჩაძირულა,
ნეტავი მისი დავიწყება მაღირსა...
ქვის ღამეშია გოგო ჩაკირული,
ვისთანაც ვერ ვისიყვარულე მაძღრისად.
ის ალბათ ახლაც როიალზე უკრავს,
სულაც არა აქვს გული ნამეწყრალი
...გრანიტის ღამეს ნაჯახს ვურტყამ,
ცვივა სისხლისფერი ნაპერწკალი.

ხაში

წუხელ დათოვლილი ჭადრები წუხან,
რომ გქონდეს, კი დაანთებდი ბუხარს...
ხუთზე გაიღვიძე, ძილში მოგშივდა.
ადექი. მიხვდი — ხაშის ხოში გაქვს.
სადაა ტრანსპორტი, ფეხით იარე.
ზევით ნარიყალა, ქვევით — მოედანი...
მედუქნეს ეტყვი — პირის ზიარებავ,
ერთი მბთლაფა ხაში მოიტანე.
კედელი ნივრის ძველ სუნს ინახავს,
არღანი ჭყვიტინებს. მიდი, წინა ხარ...
ჭიქაში იმ გოგოს ვერ დაინახავ,
არცაა საჭირო, რომ დაინახო.
კაცი ხარ. ხაშს სჭამ. ვინ გეტყვის საყვედურს.
(მეარღნე გადაირია სულმთლად)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას აქნევ რაღაც ჭლექიან სიყვარულს,
დალაქულს, როგორც ეს მუშამბის სუფრა.
რა მოხდა, თუ თავს დაგატყდა მეხივით,
მაგრამ მეხივით არ იყო ხანმოკლე...
(ვიღაც მექუდე და ვიღაც მეხილე
ხელებს იქნევენ და ბილწად ანგლობენ).
თითქოს თეფშში ჩაგიყარეს ბელტები,
გულს მოგაწვება ბოღმა და სინანული...
იგრძნობ, რომ შეუჩერებლად ბერდები,
გაფუჭდა ხაში და... ჩაძაღლდა სიყვარული.

ხარკი

ამ დილით მოვიდა ძველი საცოლე
(ატმისფერია ატმოსფერო),
ხმაურით გავარდა შამპანურის საცობი,
გინდა ტუჩებით ჭიქას მოეფერო.
ჯერ კიდევ შეგრჩა სიყვარულის მარაგი,
ჯერ არწივები მძლავრ ფრთებს იქნევენ
გსურს ასე იყოს აწ და მარადის,
ასეც იქნება.
ატმისფერია ძველი საცოლე,
გაზის სანთებელით კელაპტრებს ანთებს...
(სახლის სახურავზე რა საცოდავად
ხელები გაუშლიათ ტელეანტენებს).
რას შფოთავ, რას ღელავ, რატომ შლეგიანობ
ატმისფერ ქალწულს აცალე...
თითქოს გეუბნება — არ არის გვიანო
და მაინც გტოვებს ყოფილი საცოლე.
ზიხარ მაგიდასთან წელში მოხრილი.
გაზეთი, საფერფლე, ასანთის კოლოფი...
ელი — ატმისფერი მოვა და მოხდენილი.
არც ჩალის ფასი აქვს ამგვარ მოლოდინს.
ასეთი ხვედრი გარგუნა ღობალმა —
მტარვალურ სიყვარულს ხარკი უხადო.
ვერც უნდა იყვირო, ვერც უნდა იბღავლო,
უნდა ძველ საცოლეს ტყუილად უცადო.

ჭრელი ტორები

ადრე ამას ვერც სიზმარში ვნახავდი,
ვერც წარმოვიდგენდი ალბათ ვერასდროს;
ვერ დამაჯერებდა ჭაჭა ორნახადი,
წინათ ბაზარში რომ ყიდდნენ ვერაზე.
წარსულო, დამტორე ჭრელი თათებით,
აღარ შემიძლია ვეფხვის ხედნა...
ტარდება რაღაც სოლიდური თათბირი,
მე და შენ სკამებზე გვერდიგვერდ ვსხედვართ.
ორიოდ სიტყვა და ნერვების დაწყვეტა.

ვერა, ვერ შევძელით თავის აშვება...
ხმა ჩაგვივარდა... კვლავ ალბათ დაგვწყევლეს
არგაჩენილმა ჩვენმა ბავშვებმა.
არც გაჩნდებიან. გზა გვაქვს შეკრული.
ახია ჩვენზე ეს შეჩვენება...
თუმცა... გიყურებ მოკლედ შეკრეჭილს
და ამ ხნის ქალი გოგოდ მეჩვენები.
იმ გოგოდ, ვინც არ აცდენდა კონცერტებს,
და ყველა საგანში ჰქონდა ხუთები,
ვისაც სადარბაზოში ვკოცნიდი
და მთელი ძალით გულში ვიხუტებდი.
მერე სიყვარულმა დაუშვა ღუზა,
ნეტავ ერთმანეთთან რა გვაქვს სამტრო,
შენ, ჩემო ჩხირივით გამხდარო მუზა,
ჩემო სულ მარტოდ დარჩენილო სატრფო.
დადიხარ მანქანით, მიიღე ორდენი,
მაგრამ დავიჯერო, ყოფილო საბედოვ,
ბნელი სადარბაზო არ გაგონდება,
როგორც დაკარგული ოქროს საბადო?
ყალბი სიმაყე მუდამ დაგვაშორებს,
თუმცა გვატრიალებს ერთი მორევი...
მითხარ, კლანჭებიანს რა ვუყო ტორებს,
გულს მიფლეთს ვეფხვის ჭრელი ტორები.

გაზაფხული

ბეტონში მომწყვდეული მტკვარი მოდიდდა.
კაცია გალუმპული, ბეღურა გაზუნზლული...
ქარი და წვიმა.
წვალებით მოვიდა
გაზეპირებული გაზაფხული.
ეს ჩხავანა ფრთოსნები ყვავებია.
(არ ჰყვავის ნუში იმიტომ გეყვავება?)
არასდროს არავინ ყვარებიათ
და მერეც არავინ ეყვარებათ.
არვისგან ითხოვენ დაყვავებას,
არვის არ აგდებენ აინუნშიც...
(ხომ არ ისურვებდი გაყვავებას
ან იქნებ გახდები ბაიყუში?))
კმარა სიტყვების უნიჭო თამაში,
სასტიკ სიბრძნისკენ ისწრაფე.
ჭაღარა გაგიჩნდა დარჩენილ თმაში
და ჭკუა მაინც ვერ ისწავლე.
ვერ ხედავ, როგორც ქალი გალახული,
ტირილით ნერვებდაწყვეტილი
კლდეებს და კედლებს თავს ახლის გაზაფხული,
ჩამოსდის სისხლის მწვანე წვეთები.
რა შემზარავად აყეფდა ქოფაკი,
კნავიან კატები მკვახედ და მქისედ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდები ნაცემი ქალის ქმაგი?
ახლავე, ამ წუთას, მყისვე?
სხვისთვის არა გაქვს გული გაბზარული,
სჭამ არხეინად მსუყე ნაზუქებს...
არ არსებობს გაზუთხული გაზაფხული,
არ იქნება
ფეხშიშველი სიყვარულის გაზუთხვა.
იქნებაო — მოგჩხავის სული ბოროტი...
ჯვარი გეწეროს, ვაზის ჯვარი...
ვაითუ, ხელიდან წახვედი ბოლომდე,
იყავი პოეტი და გახდი...
ჩვარი.

სარდაფი

იქ ყიდდნენ ცხელ კერძებს, წიწმატს და ბოლოკს,
ჭიქები ბზინავდნენ, როგორც სადაფი...
ხომ გახსოვს ოდესღაც ამ ქუჩის ბოლოს
იყო საკმაოდ მოზრდილი სარდაფი,
მალე მზე სხივებს შენობებს დააფრქვევს,
რაც ააგო ადგილობრივმა კორბიუზემ...
გახსოვს სტუდენტებმა იმ სარდაფს დაარქვეს
უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსი.
ცხელ სადღეგრძელოებს ცვლიდნენ ლექსები,
ყვირილით აფრთხობდით გვერდზე მსხდომ ბემურაზებს.
იქ შენ ისმენდი მაგარ ლექციებს
ქართულ და მსოფლიო მწერლობაზე.
„და ალიონზე თეთრ დუქანთან ტირის არღანი...“
ეს იცოდი... მეტი გინდოდა გცოდნოდა...
ლოცავდით თბილისს, მთაწმინდას, ამ ღამეს,
ყველა კაცს, ვისაც უჭირს და ცოდვაა.
თქვენ ხართ პოეტები, სხვებია — ნოლები,
ბაჯაღლო ოქრო დაიწყებს პრიალს...
მიდით, მოიტანეთ ღვინო რვა ნომერი,
სიგარეტი — მეორე ფაბრიკის „პრიმა“.
დავურტყათ, ჯიგრებო, ღმერთი არ გაწყრება,
ვაშა სიყვარულს — ნადღსა და უნეტარესს..
ამ სარდაფში ამჟამად საწყობია.
აქ ინახავენ უცხოურ...
უნიტაზებს.
ასფალტს კვლავ გვიან ქალები ცოცხებით,
ქუჩა ძველებურად მხნე და სწორია.
ბიჭებიდან ზოგი არ არის ცოცხალი,
ზოგი კი თითქმის პროფესორია.
საწყობის კარებზე ხედავ ორ ბოქლომს,
რისი გატეხვა ალბათ გაძნელდება...
ქალაქი ხმაურობს, ქალაქი ბობოქრობს.
ცხოვრება გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ კვლავ ვბრუნდებით
ღამის დერეფნით
ქალაქში,
სადაც მკრთალად დაფენილ
სინათლეს ისევ მოუჩანს ტერფი
და მდუმარეა სუყველაფერი...

სდუმან ვარდები
და ზამბახები,
სად მოუცვია ღამე იდუმალ
დუმილს
და სდუმან ირგვლივ სახლები
და ჩათვლემილი ქუჩებიც სდუმან...

და ჩვენ ვბრუნდებით
თითქოს უხილავ,
ჯერაც გაუვალ გზებით ვბრუნდებით
და უძოს თავზე უცხო წუხილად
ჩამოძენძილი ჩანან ღრუბლები...

ლომი

თამაზ ხმალაძეს

სალამი, ლომო,
ჩვენ შევხვდით კიდევ,
მდუმარედ წევხარ გალიის შიგნით,
დაღლილი თავი თათებზე გიდევს
დამძიმებული დარდით და ფიქრით...

სევდით იხსენებ დროს უნეტარესს, —
ტყეებს მოხატულს ფერად
ღრუბლებით,
ახლა კი ჩუმად ვუმზერთ ერთმანეთს,
ერთმანეთს ჩუმად ვესაუბრებით...

ჩვენ ერთნაირი გვერგო სვე-ბედი; —
მეც მიმჯაჭვეს დროის გალიას
და ამ დღეების გისოსებიდან
გაქცევას ვცდილობ, დიდი ხანია...

შენც შორ სივრცეებს იმედით ზვერავ,
ზოგჯერ მოგივლის ბრძოლის სურვილი,
უდაბნოსავით მცხუნვარე მზერას
კედლებს მიაბჯენ ორლესულივით...

სიბრაზით ბრდღვინავ ფაფარაშლილი
და ელვასავით უვლი გისოსებს,
მაინც არ არის შენი საშველი,
მაინც არავინ არ შეგიცოდებს...

ბრუნდები უკან ლომის აჩრდილი
(ვინ განუგეშებს ბედის მომჩივანს?!)
განწირული და მწარედ დასჯილი
ისევ კუთხეში წვები მორჩილად...

სალამი, ლომო,
ჩვენ შევხვდით კიდევ,
მე — გარეთ,
შენ კი — გალიის შიგნით,
დაღლილი თავი თათებზე გიდევს
დამძიმებული დარდით და ფიქრით...

ღამე

ირგვლივ არა ჩანს შუქის ნასახი
და ჩვენ მორჩილად, როგორც ბუები
ამ შიშით მოცულ ღამის სასახლეს
უკვე ვეჩვევით და ვეგუებით...

შორს, სიბნელეში თქრიალებს თერგი,
მაღლით ვარსკვლავი ბრწყინავს იმედად,
ვზა კი ჩაშლილი და ჩახერგილი
კვლავ გვეგრძელება და გვემძიმება...

ო, განთიადო, კვალის გამგნებო
და მოწყალეო ბინდით დაღლილთა,
სხივთა მსხვრევით და ბრძოლის
ჰანგებით
შენ ერთადერთი გვიხმობ გაღმიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შენ ჩემში ისე შემოხვედი,
როგორც უკვე დაცლილ ბინაში,
საიდანაც დიდი ხანია გაიტანეს
ყველაფერი,
რითაც იგი ადრე სუნთქავდა:
მზე,
ყვავილები,
აკვარიუმი
და ოთახის მოხატულობაც,
დაიტაცეს წმინდა წიგნები,
წაიღეს ჭაღი,
დახსნეს ფარდები,
დაამსხვრიეს ფერადი ბროლი...
და ახლა დგახარ
შემკრთალი და შეშინებული
გაძარცული კედლების ჩრდილში...

ნოემბერი

ეტიუდი

მწვანე სამოსი გაიხადეს
ქართლის ველებმა,
ყვითელ ფოთლებით
დანისლული ტყე იცრემლება...

გადაჭიმულა
ხეობაში
მდინარე
სიმად,
მდინარის სიმზე სევდიან ხმას
გამოსცემს წვიმა...

სოფლის ბოლოზე დამშეული
ბრუნავს ნახირი,
შორს კი ქედებზე
თოვლის ფრთები მოჩანს
დახრილი...

●

ნ-ს

თქვენ მოდიოდით
როგორც ღრუბელი
ბედნიერების ღიმილით სავსე,
გატრუნულიყო მთელი უბანი
მაგ ნაბიჯების ღვთაებრივ ხმაზე...

ქუჩას სხვაგვარი ედო ელფერი,
თრთოდნენ ხეები
ფერად ჩრდილებად, —
თითქოს რაც იყო სუყველაფერი
თქვენ გეკრძალოდათ
და გმორჩილებდათ...

ჩამოსულიყო ციდან მზის სხივი
და ათასფერად გზაზე ეფინა,
ვინც ვერ გხედავდათ, ახლა ისინიც
თქვენს დაბრუნებას გრძნობდნენ
ზეპირად...

და მოდიოდით,
როგორც ღრუბელი
ბედნიერების ღიმილით სავსე,
გატრუნულიყო მთელი უბანი
მაგ ნაბიჯების ღვთაებრივ ხმაზე...

ზემოდგომა

მოადგა ნისლი მთათა გალავანს, —
ნისლი — ცის ცვარი,
ნისლი — ცის ცრემლი,
სადაც უღრანებს დაუფარავად
მკერდზე კერტები უჩანს ცირცელის...
მოდგა ღრუბელიც — შავი ფასკუნჯი
შეფარებული ცათა გუმბათებს,
მეხჩამქრალი და დამუნჯებული
შემოდგომიდან გაზაფხულამდე...
და მთვარის ფერი გადაჰკრავს
მთაველს.
ალვებსაც —
დღეს რომ ქარში ცხოვრობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნეკერჩხლები ცეცხლისფრად
რთავენ
მთებზე შეფენილ ტყეთა კორომებს...

იქ ქედის კუზზე
ნისლის შრეებით
დამძიმებული ტყეები სდუმან
და მახსენებენ ფოთლების შრიალს, —
მეც — წუთისოფლის ფოთოლს, და
სტუმარს...

მოადგა ნისლი მთათა გალავანს, —
ნისლი — ცის ცვარი,
ნისლი — ცის ცრემლი,
სადაც უღრანებს დაუფარავად
მკერდზე კერტები უჩანს ცირცელის...

ევა

ევა,
შენ ახლა სახლში ბრუნდები,
სად ბალიშებზე სევდით ციმციმებ
და შენი კაბა — თეთრი ღრუბელი,
ბნელ კარადაში ჩუმად იძინებს...

ათასი ფიქრი გეხვევა დარდად,
წევხარ და
თრთოლვით სასთუმალს ავსებ,
კვლავ ეფერები ოცნებით ადამს
და მთვარის შუქი დაგნათის თავზე...

ხოლო ადამი (საბრალო, ევა!)
სხვისი ვაშლით და
ალერსით ტკბება
და მოღალატის შხამი ერევა
იმ პირველყოფილ ბედნიერებას...

ციკლიდან „დაუმთავრებელი ესკიზები"

●

ისევ მესტუმრნენ,
დარდებსა და
მარტოობას გაგიქარვებთო!..
და დაავიწყდათ:
მათთან უფრო მეტად ვფიქრობ
დარდებზე და მარტოობაზე...

●

კიდევ ამოხდა მზე გორის პირზე,
ისეთი შუქით
და ჩიტების ჟივილ-ხივილით,
თითქოს პირველად დაიბადა
და ამ სამყაროს ტკივილ-წუხილს
არც მოსწრებოდეს...

●

შენ როცა მტოვებ
ამოუვსებ სიცარიელეს ვხედავ ჩემს
ირგვლივ
და როცა მხვდები —
მთელი სამყარო საოცარი შუქით
ივსება...

●

ვინც წავიდა ჯერ არავინ
დაბრუნებულა,
ამბის მომტანიც
არავინ ახსოვთ...

ისე კი... ყველა
სამოთხეში მოხვედრას ვცდილობთ...

ქალი

...როცა კაცმა უთხრა: გტოვებო,
მთელი ქვეყანა შეიძრა მისთვის,
ყველაფერი გაფერმკრთალდა,
გაუდაბურდა,
თითქოს ჩიტებმა შეწყვიტეს სტვენა,
და ტყეებმა ფოთლის შრიალი,
თითქოს სამყაროს კუპრის ღვარმა
გადაუარა...

ო, იგი იმ წამს
ძალზე ჰგავდა უდაბნოში გასაწირად
დაჩოქილ ყვავილს...

ძაფები

მანკიანი გული და კუზიანი სხეული ჰქონდა. სანამ პატარა იყო, კარგად ვერ ხვდებოდა, რატომ არ უნდა ეთამაშა, რატომ არ უნდა ეხტუნა... ცრემლიანი თვალებით გასცქეროდა ხოლმე ფანჯრიდან ეზოში აჟრიამულებულ თანატოლებს და სირბილზე ოცნებობდა დაუსრულებლად... როცა წამოიზარდა, მხოლოდ მაშინ დაინახა თავისი უბედურება.

გული კი, თითქოს, წვრილ ძაფებზე ეკიდა. პირველი მაშინ გაწყდა, როცა ზურგსუკან ბავშვების ჩუმი, დამცინავი ხითხითი ჩაესმა. მეორე — მაშინ, როცა შუახნის ქალმა ავტობუსში ადგილი დაუთმო და ოხვრას დარდიანად ამოაყოლა, დაჯექი, შვილო. მესამე — როცა ლამაზმა, ცისფერთვალა გოგომ მის ვნებიან მზერას ზიზღით აარიდა თვალი. მერე მიჰყვნენ და მიჰყვნენ ძაფები ერთმანეთს... წყდებოდნენ და წყდებოდნენ...

ერთ წვიმიან საღამოს ბავშვობის დროინდელი ოცნება მოეძალა, ველარ მოითმინა, ქუჩაში მალულად გამოვიდა და, როგორც შეეძლო, გაიქცა... გაიქცა თავდავიწყებით...

მერე აღარც კუზი ჰქონდა და აღარც მანკიანი გული, დიდი სითბო და ნეტარება ეხვია გარშემო და უზომოდ ბედნიერი ცისკენ მიილტვოდა...

ქურდები

დეიდა ფენია თითქმის ასი წლისაა, ბეჭებშიც მოიხარა, სიარულისას ჯოხსაც იშველიებს, აი, მძივებს კი მაინც ვერ ელევა, მთელი სოლოლაკი იცნობს, ყველას ესალმება და რვა მარტს მეზობლები და ახლომახლო მცხოვრები ქალები უსათუოდ მძივებს ჩუქნიან. ერთადერთი შვილი სხვა ქალაქში ცხოვრობს და არის აქ, მართლაცდა, სოლოლაკის ამარა. ყველაფერი კარგად ახსოვს, საზარელი წლებიც საკუთარ თავზე გამოსცადა, მაგრამ მაინც მხნე და ასაკისათვის შეუფერებლად მხიარული დააბიჯებს საყვარელ ქუჩებში, სადაც თითოეული ხის ძირი და თითოეული ფანჯარა ნაცნობია მისთვის.

ამ ბოლო დროს ხშირად ჰყვება:

— მიკაკუნებენ კარებზე, ვეუბნები, მობრძანდით, მე ხომ კარს არ ვკეტავ, მეშინია, რომ მოვკვდე, გატეხვა დასჭირდებათ, ღამე სკამს ვადგამ მხოლოდ. დღის 12 საათია და რომელიმე მეზობელი მეგონა, ალბათ, პური მომიტანეს-მეთქი. შემოდის ორი ახალგაზრდა, ვერ ვიცანი და სათვალე მოვიმარჯვე. კარი შიგნიდან რომ ჩაკეტეს, ცოტა კი გამიკვირდა. ერთი მეუბნება:

— ბებია, ყვირილის გარეშე, რაც ფული და ძვირფასეულობა გაქვს, მაგიდაზე დააწყვე.

ვეუბნები:

— შვილო, ძვირფასი აღარაფერი დამრჩა, ავბედით დროს გავყიდე, პენსია

ზეგ უნდა მომიტანონ, ხუთი მანეთიღა მაქვს და აიღე.

ამ დროს მეორე მთელ სახლს აქოთებს, ეძებს, ეძებს... გულში ვამბობ: „რა ტყუილა იხვითქები და იღლი თავს?! ისე, თუ მომკლავთ, კია დრო, აღარავის დასწყდება გული“ .

მერე რომელიღაცა მიყვირის:

— ბებერო, მაშ ყელზე მარგალიტი არ გიკეთია?! — და სამმანეთიან მძივს უხეშად მხსნის, მანეთნახევრიან უბრალო საყურეებს ჩემით ვიძრობ და გამოწვდილ ხელში დაღონებული სახით ვუდებ. საფულიდან ხუთმანეთიანსაც ვიღებ და ვაძლევ.

— ასე! — ჩაილაპარაკა მრავალმეტი შვნელოვნად არც თუ ისე ნასიამოვნებმა.

კარი გააღეს და ჩუმად გავიდნენ.

მე გაოცებული დავრჩი. ჯერ სიზმარი მეგონა, მაგრამ მძივი და საყურეები რომ აღარ მქონდა, დავრწმუნდი, მართლა მოხდა-მეთქი. ნეტა, საიდან მოვიდნენ ასეთი ბრიყვები? ან ჩემთან რა უნდოდათ, ან უბრალო ძვირფასისაგან როგორ ვერ გაარჩიეს? თან ხუთი მანეთიც რომ წაიღეს?!.

დეიდა ფენია თითქმის ასი წლისაა...

ნაძვისხე

ახალწლის დადგომას ერთი კვირაღა უკლდა.

ბავშვები მთელი ღამე წუხდნენ. გამთენიისას თვალებდაწითლებულმა ნანამ ქმარს დაღლილი ხმით უთხრა:

— იცი რა, მოდი, ნუ დავდგამთ ნაძვისხეს სასაფლაოზე, მეშინია, ბებიაჩემისგან გამიგონია, როცა ოჯახში ბატონები მობრძანდება, მკვდარს არც ახსენებენო...

— კარგი, კარგი, — დაიჩურჩულა ლადომ.

კუკიის სასაფლაოზე მათი სიყრმის შვილი, ორი თვის ზაზა ესვენა. დედამამამ ამოიჩემა, სიცოცხლეში ახალწლის შეხვედრა არ ღირსებიაო, და ყოველ 31-ში, საღამოს, სასაფლაოზე ნაძვისხე მიჰქონდათ, იქვე რთავდნენ და ტოვებდნენ. პირველში ისევ ამოდიოდნენ...

ჯერ დათო და მერე ირინე რომ შეეძინათ, ნანა ვეღარ იცლიდა ხოლმე და ლადოს მარტოს უწევდა ასვლა. მეორე დღეს კი ბავშვებიც მიჰყავდათ...

კაცს ენით აუწერელი გრძნობა ეუფლებოდა ღამის ბინდბუნდში სასაფლაოზე ნაძვისხის მორთვისას. შვილები რომ წამოიზარდნენ, მერე უფრო შეეცოდა მიწას ამოფარებული თავისი პირველი სიხარული.

— ჰო, კარგი, არ წავალ, არ დავდგამ! — გაიმეორა და გული უცნაურად შეეკუმშა.

31 დეკემბერი გათენდა. შუადღეს გადაცილებული იყო, ცოლმა სთხოვა, დედაჩემთან გავიქცევი და მალე მოვალო. ბავშვები უკვე კარგად იყვნენ და ლოგინში ძლივსღა ჩერდებოდნენ. ლადომ ნაძვისხე მორთო, ღვინო დოქებში გადმოასხა, ერთხანს კიდევ იფუსფუსა, მერე ტელევიზორს მიუჯდა...

ნანა აგვიანებდა.

კაცი ვეღარ ითმენდა, თავისთვის გადაწყვიტა, ჩუმად ასულიყო სასაფლაოზე. „ნანა ხვალაც ვერ მოახერხებს, ბავშვებს არ დატოვებს, რა სისულელეა, — ბატონები არ გავანაწყენოთო, ჩემმა პატარა შვილმა რა დააშავა...“

როგორც იქნა, ქალი გამოჩნდა, უკვე ჩაცმულმა ლადომ კარებთანვე მიაყვირა:

— სადა ხარ აქამდე, ქალბატონო, სად?! ვეღარ მოათავე დედაშენთან ლაქლაქი, არა?!

— კარაქის რიგში ვიდექი! — ძლივს გადაყლაპა ყელში მობჯენილი ბურთი ნანამ.

ლადომ მაშინვე ტაქსი გააჩერა, „ბავშვთა სამყაროსთანო“, უთხრა და შვებით ამოისუნთქა.

მაღაზიაში ბევრი ხალხი აღარ იყო.

— ნაძვისხე არა გაქვთ? — იკითხა ნერვიულად.

— არა, გათავდა.

— აი, თაროზე რომ გიდევთ?

— ის არ იყიდება!

— გეხვეწებით, მომყიდეთ ერთი ნაძვისხე, ძალიან მჭირდება!

— ღმერთო ჩემო, არ გესმით, აღარა გვაქვს, არც ერთი ცალი.

— მომეცით ერთი ნაძვისხე! — იყვირა ბოლოს.

ხმაურზე მაღალი კაცი მიუახლოვდათ.

—რაშია საქმე?

— რა ვიცი, შალვოვიჩ, გადამეკიდა, ნაძვისხე მომყიდეო.

კაცმა ლადოს შეხედა.

— სასაფლაოზე წასაღებად მინდა... — გამოსცრა გაფითრებულმა.

— გაატანეთ, — თქვა ახალგაზრდა კაცის თვალებით შეძრულმა შალვოვიჩმა.

— ახლავე, ახლავე, — შეხტა სკამზე გამყიდველი და ნაირფერი წვიმებით მორთული ნაძვისხე ჩამოიღო.

„ტაქსი, ალბათ, აღარ მომიცდიდა“.

— გაიფიქრა ლადომ, მადლობის თქმაც ვეღარ მოახერხა, ისე გამოვარდა მაღაზიიდან.

მანქანა ელოდა, სუნთქვაშეკრულმა გახსნა კარი.

— კუკიის სასაფლაოზე, უფროსო! — მიაძახა და არც შეუმჩნევია, როგორ შეეცვალა სახე მძღოლს.

უსაშველოდ გაგრძელდა გზა...

— დამიცადე, მალე მოვალ! —

სათუთად გადმოიტანა ძვირფასი ტვირთი და სირბილით აუყვა ბილიკს.

თითქმის ბნელოდა. ცოტაც და შვილს საფლავიც გამოჩნდა...

ლადოს ტკივილისაგან გული შეეკუმშა — ჩვეულ ადგილას პატარა, ფერადფერადი სათამაშოებით მორთული ნაძვისხე იდგა...

„საწყალი ნანა, როგორ ვუყვირე... როგორ ვუყვირე... როგორ...“

„არა შეჯდა მწყერი ხესა...“

წარმოიდგინეთ ოჯახის და სამსახურის საქმეებში ყურებამდე ჩაფლული ოცდათხუთმეტი წლის ქალი, კარგა ხნის გათხოვილი, მთელი დღე გამოთვლილი რომ აქვს: ორი წუთითაც რომ გაუგრძელდეს თმის ვარცხნა, სამსახურში დაგვიანდება, სამსახურში თუ შეფერხდა, შვილებისთვის გაკვეთილების გამოკითხვას ვეღარ მოასწრებს, საღამოს სადმე თუ წავიდა, მერე ღამე უნდა ათენოს, ტელევიზორს თუ მიუჯდა, სადილი რჩება გაუკეთებელი... კითხვა უყვარს ძალიან, მშობელთა კრებაზეც წიგნი მიაქვს, იქნებ წაკითხვა მოვახერხოო.

ასეთი ქალი, როგორც წესი, ხმამაღლა აცხადებს: „სამსახური რომ არ მქონდეს, რა მეშველება!“ თუმცა, იქიდანაც სულ რეკავს (თუ ტელეფონი აქვს, რასაკვირველია): „საჭმელი ჭამეთ?“ „მათემატიკა დაწერე?“, „მუსიკა იმეცადინე?“ „მამაშენი ხომ არ მოსულა?“

თმაში უკვე ერევა ჭაღარა და ყოველ შაბათს მტკიცედ ამბობს: „მომავალ კვირას აუცილებლად შევიღებავ!“ ფრჩხილებზე ლაქს ქუჩაში გასვლის წინ, ზოგჯერ პალტოჩაცმულიც, ფართხა-ფურთხით ისვამს. თვალებს სამუშაო მაგიდასთან იხატავს, თან კარების-

კენ შეშინებული იყურება, დირექტორმა არ შემომისწროსო.

როგორც წესი, ქმარი სამსახურიდან იგვიანებს — კრება გვქონდაო, ან საგანგებოდ გამოწკეპილი საღამოობით სადღაც მიდის, თან ზედმეტად თვითდაჯერებული სახით ამბობს: „საქმეზე მეძახიან!“ ცოლმა მშვენივრად იცის, რა არის ეს „საქმე“, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს.

ნინიკოს ზუსტად ასეთი ცხოვრება ჰქონდა:...

ყოველ დილით თავდაღმართზე უნდა დაშვებულიყო. ახლოს მუშაობდა, მაგრამ ტროლეიბუსში მაინც ჯდებოდა, სულ ეჩქარებოდა და, აბა, რა ექნა?

ერთ თბილ, მზიან შემოდგომის დღეს აღმართში ამომავალ საშუალო ყიმაღლის, შავგვრემან, საოცრად სიმპათიურ კაცს მოჰკრა თვალი. ნინიკოს უცნობი სახე თვალში მოხვდა და ყურადღებით დააკვირდა.

მეორე დღესაც იგივე განმეორდა. ქალმა გაიფიქრა: „ალბათ, ასე ორმოცორმოცდასამი წლისა იქნება, რა მამაკაცური სახე აქვს! თვალებიდანაც უცნაურ შუქს აფრქვევს!“

მესამე დილას ცოტა ადრე ადგა, თვალების დახატვა რომ მოესწრო და უცებ მიხვდა, ამას „იმისთვის“ აკეთებდა, თმაც უფრო ლამაზად დაივარცხნა. ქმარს არ შეუმჩნევია — ყოველთვის ადრე გარბოდა და არც აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა მისი ცოლი სამსახურში. თუკი ერთად წავიდოდნენ სტუმრად ან კინოში, ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობდა: „რა დათხაპნილი გაქვს თვალები, არ გრცხვენია ამხელა ქალს?“ ნინიკო ყურადღებასაც არ აქცევდა, თვალებსაც იღებავდა და ტუჩებსაც.

უცნობი ისევ შეხვდა. ქალს ისე გამოხედა, თითქოს ცვლილება შეამჩნიაო. თან მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა. ნინიკომაც ვეღარ დაფარა სიხარული და შესცინა. „სასიამოვნო ხმა ექნება. ალბათ, მღერის კიდეც. ნეტა დამელაპარაკოს, ნეტა!“

მეოთხე დილას კაცი მიუახლოვდა. მართლაც გულიჩამწვდომი ბანერვალი ნით მიმართა:

— გამარჯობათ, მე ნიკა ვარ, გავიცნოთ ერთმანეთი! — და ხელი გაუწოდა.

„სახეზე მეწერა, გაცნობა რომ მინდოდა, სახეზე!“

— ნინიკო! — დაბნეული ქალი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, — ადრე არასდროს შემხვედრიხართ...

— მანქანა გამიფუჭდა და ახლა ფეხით დავდივარ.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — კაცი შემობრუნდა და დიდხანს გასცქეროდა თავდაღმართში ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ქალს.

ნინიკომ თითონაც ვერ გაიგო, რატომ ჩაწერინა სამსახურის ტელეფონის ნომერი, რატომ ელაპარაკებოდა ქუჩაში და აგვიანებდა სამუშაოზე (საყვედურიც მიიღო უფროსებისგან), თმა მაშინვე შეიღება და საქმეს სულ ღიღინით აკეთებდა. ბავშვებს, ისწავლეთო, აღარ ჩასჩიჩინებდა, ქმარსაც აღარაფერზე ეჩხუბებოდა. მოკლედ, იმდენი ქნა, სანამ ოჯახის წევრებმა ცვლილება არ შეამჩნიეს. ბიჭებს უხაროდათ, ქმარს ვერ გაეგო, რა ხდებოდა და ზოგჯერ გაოცებული წამოიძახებდა: „რა დაგემართა, ნინიკო, შენ, რა?!“ „არაფერი!“ — უბრალოდ პასუხობდა ქალი.

„რა მეშველება, ყველაფერი მეტყობა. ეს ვერც წარმოიდგენს ჩემზე ვერაფერს. მაინც რა დამემართა?!“

და აი, ნიკამ დარეკა...

—ნინიკო, გამარჯობა, მოდი, დღეს შემხვდი, სადმე დავსხდეთ...

— არა, სახლში მეჩქარება, ვერ დავიგვიანებ, — აშკარად დაიბზარა ხმა...

— ძალიან გთხოვ, ექვსი საათისათვის სამსახურთან დაგელოდები.

ქალმა ვერაფრის თქმა ვეღარ მოასწრო.

ხუთ საათზე ქმართან დარეკა, პანაშვიდზე მივდივარ და, იქნებ, ადრე მოახერხო გამოსვლაო. ვერ გამოვალ, სასწრაფო სამუშაო გვაქვსო. მერე ბიჭებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაელაპარაკა, რვამდე ვერ მოვალთ და ჭკუით იყავითო.

ნინიკოს ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. გულათრთოლებული გავიდა ქუჩაში. გაღიმებული ნიკა შემოეგება და, რა კარგი გოგო ხარო, უთხრა.

—რესტორანში წავიდეთ?

— არა, რას ამბობ?!

„ისე რა ქნას, აბა, კინოში ხომ არ წამიყვანს?!“

— მაშინ კაფეში მაინც შემომყევი.

— კარგი.

ნელა გაუყვნენ ქუჩას, მიწისქვეშა გვირაბში გავიდნენ და...

„ღმერთო, ნაცნობი არ შემხვდეს, აქ სხვა დროსაც ვყოფილვარ, მაგრამ ასე ერთი-ერთზე უცხო მამაკაცთან...“

ნიკა უკვე ოფიციანტს აძლევდა შეკვეთას.

ლაპარაკის მოყვარული ნინიკო (ახლობლები, ხუმრობით, შენთვის წერტილ-მძიმე არ არსებობსო, რომ ეუბნებოდნენ) ენაჩავარდნილი დაშტერებოდა მაგიდას.

„ნეტა, რა უნდა ამ კაცს ჩემგან?! რა ენდომება, ისედაც ჩანს, თვალებში ეტყობა, მე რაღამ გამასულელა?!“ უცებ მიხვდა, ერთფეროვნება მობეზრდა, ნიკა მოჯადოებული წრიდან თავისდასაღწევად უნდოდა. არადა, ის წრე ძალიან მტკიცე იყო...

— ნინიკო, მოდი, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! ალბათ, ღმერთის ნებით გამიფუჭდა მანქანა, შენ რომ მენახე, — ასწია შამპანურით სავსე ჭიქა კაცმა.

„როდის აქეთია, შენობით მელაპარაკება?!“

— გაგვიმარჯოს!

„ახლა ეს რომ დავლიო, სასმელის სუნი მექნება, მერე რა ვთქვა, პანაშვიდზე დამალევინეს-მეთქი?“

— ცოტა მაინც მოსვი!

„ამ კაცს რაც უნდა... თუმცა, რატომ „ამ კაცს“, „იქნებ, მეც... რომ არ შემიძლია?!“

ნიკა რაღაცას გატაცებით უყვებოდა, ცალკეული სიტყვები ესმოდა... დამუნჯებული, გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა და თავისას ფიქრობდა:

„ვაიმე, მგონი, ხვალ ლევანს საკონტროლო აქვს ქართულში, თემები უნდა შემემოწმებინა, რა ვქნა! კახა ტანვარჯიშზეა წასასვლელი, „მაიკა“ რომ გავურეცხე, გაფენილი დამრჩა, მიხვდება ჩამოხსნას?“

— ნინიკო, რატომ მიყურებ ასეთი თვალებით?

— გისმენ, გისმენ, ნიკა!

„სოსო მოვა სამსახურიდან, ვინ იცის, დაღლილი და მშიერი იყოს. რა ხშირად სვამს ამ ბოლო დროს გულის წვეთებს, რა დაემართა?“

— ნინიკო, შენ შვილებს რა ქვიათ?

— ლევანი და კახა. რატომ მეკითხები?

— იმათზე ფიქრობ ახლა და იმიტომ.

— იცი რა, ნიკა, მე უნდა წავიდე, მეტი აღარ შემიძლია, მაპატიე, გთხოვ, მაპატიე...

არც დაელოდა, სანამ კაცი დანახარჯს გადაიხდიდა, გამოიქცა, ფეხით ირბინა სახლამდე.

„ხვალიდან სხვა ქუჩით ვივლი, მერე მანქანასაც გააკეთებს და აღარც შემხვდება...“

კიბეზე რომ ადიოდა, უცნაურად აეკვიატა:

„არა შეჯდა მწყერი ხესა...“

„არა შეჯდა მწყერი ხესა...“

ხსოვნა

სოფელში ჩავიდოდი, „ზალაში “გამოფენილ ფოტოსურათებს მივაჩერდებოდი და ცხონებული ბებიაჩემი ყოველ წელიწადს ერთი და იმავეს იწყებდა:

— ეს ბაბუაშენის მამაა, წარმოსადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი კაცი იყო საცოდავი, ისე, კი იცოცხლა კარგა ხანს. ეს ბაბუაშენის დედაა, ოთახში რომ შემოვიდოდა, მოწიფული შვილები ფეხზე წამოუდგებოდნენ, თვალების გადაბრიალება იცოდა, რძლებს შიშისაგან ტანში გვცრიდა! ეს ბაბუაშენია — ეყურებინა შენთვის კიდევ ცოტა ხანს, მადლი იქნებოდა. ეს ბაბუაშენის ძმაა — კარგი ვაჟკაცი იყო, ომში დაიღუპა. სანამ დედამისი ცოცხალი იყო, მაგის ცოლი შავებს იხდიდა და ისე ჩამოდიოდა, შვილის დაღუპვას ვუმალავდით უბედურს... რას მიშტერებიხარ, ბებია, ბაბუაშენის ერთადერთი დის დასაფლავებაა, ოცი წლისა თბილისში ფილტვების ანთებამ მოკლა. ლამაზი იყო ძალიან, საწყალი...

მე მაინც მივშტერებოდი და მიკვირდა, რა ესურათებოდა შვილისა და დის დამკარგავ დედ-მამასა და ძმებს. ბაგრეს ხმას ვერ ვიღებდი, მახსენდებოდა, ბებიაჩემმა, ერთხელ, ფოტოგრაფს დიდი ამბით დაუძახა, ბაბუაჩემის სურათი გვერდით დაიდო და შავებით მობურუ ლმა ობიექტივს ამაყად გაუსწორა თვალი...

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ბებიაჩემი, სანამ ბოლოში გავიდოდა, მერე შუბლზე მაკოცებდა და მეტყოდა:

— არასდროს არ დაივიწყო ამათი სახელები, არ მოშალო აქაურობა და არ გაახარო მტერი, ბებია!..

ახლა ჩავდივარ შვილთან ერთად, კედელზე მხოლოდ ჩემი ორმოცი წლის მამისა და მოხუცი ბებიის სურათებიღა ჰკიდია, დანარჩენები ყუთშია შენახული. ვიწყებ ამოლაგებას და ვამბობ:

— ეს შენი ბაბუის ბაბუაა...

გურამ გიორგობიანი

მთვარის ზმანება

ოქროსფერ სივრცეს
ოქროსფერი მთვარე დაჰნათის,
სავსეა მთვარე,
მისი ზმანება ჩემში გადმოდის.
მოულოდნელად მიახლოვდება,
ვინაც მიყვარდა თავდავიწყებით,
და ისევ ისე მომნუსხველია
ოქროს კვეთი მისი ნაკვთების.
ნებიერდება ირგვლივ ყოველი
და აღვსილი ვარ,
ო, სავსე მთვარევ,
ცხადსა ჰგავდა თვითონ სიზმარი.

გუნებრივობასთან დაბრუნების განცდა

განვიწმინდე,
გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმით განვიბანე,
ბალახივით ღილის ნამი შევიგრძენი
და ციური ცვარიც მზის სხივებში
ბროლად წარმოჩნდა.
ო, ბუნებავ, შობილმა შობე
ანკარა წყარო,
ჩანჩქერის წვეთებივით კრიალებ,
მშვენიერება გამოკრთის შენგან
და მე გითვისებ.
მაგრამ, თუკი თვითონ სული ვეღარ
კამკამებს,
სარდაფში მირჩენილი ქანდაკივით
განვმარტოვდები, გავინაპირებ.
რა მწადია? საით მივილტვი?
მსგავსი მსგავსს რატომ
გავურბივარ?
მსურს, განვიცადო ღვთაებრივი,
რითაც განგებამ უპირველესად
მოგვიცვა და განგვასხვავა,
და მივყვე იმ გზაჯვარედინამდე,
საიდანაც იწყება დაცარიელება
ჩვენივე არსის.

ზეშთაგონება

ო, ზენაარის სივრცევ,
ლივლივებ სულის საოცარ სამყაროში,
სმენად ქცეული მზის სხივებიც
სხდებიან მათთვის განკუთვნილ
ადგილებზე
და მათი ციმციმი ხილულს ხდის
აგრერიგად გადმოღვრილსა
და განფენილ უსაზღვროებას.
ის, რაც უმოქმედო ჩანდა,
უმალ შეიცვალა ამაღლებული
განწყობით
და ვერაფერი აღუდგება სივრცის
კამკამს.
ო, მოზღვავებულო გრძნობავ,
შენით სულდგმულობს, ვინც მოწიწებით
შეაღო ზეცის კარი
და იხილა საკვირველება:
თვითონ ღმერთები შეეგებენ
თაყვანისცემით
და ზეცაში ჰანგებად დაიღვარა
ყველაზე თავმდაბალი
ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი,
რომელიც ჩასწვდა სულის საუფლოს
და ჰპოვა სიდიადე — არსობის აზრი.
ო, ზენაარის სივრცევ,
რა საოცრად ლივლივებ
სულის უკვდავ და წარმტაც სამყაროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხშიშველი სიმღერა

მდინარეს გულისპირი
შინდისფრად ამოეთრო, —
იდგა სურნელი პურის,
მიდამო ჰგავდა ეთერს —
ზღაპრულს და ამომთვარულს,
ველს მოარღვევდა, ღმერთო,
ყაყაჩოს ცეცხლი მთვრალი!

ველს ცა უკვირდა, ცას კი,
ცას, ცას უკვირდა ველი.

თბილ და ლურჯკაბა ასკილს
მთვარეს უგავდა ყელი!

სიმღერა ფეხშიშველი
მიუჰყვებოდა აღმართს.
ცა — შრიალა და შველი
კოცნიდნენ ერთურთს, ღმერთო!..

მდინარეს გულისპირი
შინდისფრად ჩამოეთრო.
იდგა სურნელი პურის,
მიდამო ჰგავდა ეთერს!

მელიტა... — გაზაფხული

ცა ამოთენდა ბროლის ყელიდან,
აუთამაშდათ ფრთები ბეღურებს.
გულზე ფიქალი ადევს მელიტას.
მელიტა ფიქალს ზე ამოჰყურებს.

მიმოშრიალებს ტოტებზე შინდის
ეს გაზაფხული — ყელივით მთვრალი.
ღმერთო, ო, ცოდვა შაორს შეუნდე, —
ცა აღარ უყვარს შაორს უბრალოდ!..

მელიტა ფიქალს ზე ამოჰყურებს,
ხოლო შაორი ამ ცას, ამ შინდებს!
მე მახსოვს შენი მთვრალი საყურე!
შენს ფიქალს, შენს ცას რა
დაამშვიდებს!

ცა ამოთენდა ბროლის ყელიდან,
აუთამაშდათ ფრთები ბეღურებს.
შენ აღარ გახსოვს, არა, მელიტა
და არც მელიტას მთვრალი საყურე?!

წამოფრინდება ისევე ლურჯად
ეს გაზაფხული — ყელივით მთვრალი.
ამოფეთქდება, როგორც ალუჩა,
ჩვენს საფლავებზეც ეს ცა უბრალოდ!

ცა ამოთენდა ბროლის ყელიდან,
აუთამაშდათ ფრთები ბეღურებს.
გულზე ფიქალი ადევს მელიტას.
მელიტა ფიქალს ზე ამოჰყურებს.

საღამოს საგალობელი

ტყაშმაფას საწყალი საღამო,
საწყალი
საღამო
თან
მიჰყავს.
ცირები „ჩე ვოლას“ ამბობენ.

საცაა, მთვარეც ამოვა.
ქარს საცოდავად აბოდებს.

ტყეს წავა, გაიხიზნება
საღამო — ხოხობი, გათავდა.
ქარი მთლად ამოსიზმრდება,
ქარი — თავთუხის თავთავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციისფერ ღამეს ყელზე შენ
ყელითვე გადაეჭდობი!
მთვრალ თითებს გადაგიმშვენებს
მთვარის ლამაზი ბეჭდები.

მდინარემ ხმა ცირებს აუწყო, —
რა ცის,
რა ფერის,
რა სულის!..
გალობენ: „არ დამივიწყო
შენი მზე, მთვარის ასული!..“

მოედინება მდინარედ
მათი მღერა და სიცილი.
ჰყვავის ცა, როგორც დინარა,
უსათნოესი, უცვლელი.

ტყაშმაფას საწყალი საღამო,
საწყალი
საღამო
თან
მიჰყავს.
ცირები „ჩე გოლას“ ამბობენ.
საცაა, მთვარეც ამოვა?
ქარს ცა ათრობს და აბოდებს!

მზე. მინდორი

თამაშობს მზე მინდორში თავისთვის.
ნიავი არ ასვენებს თივას.
მე მკლავს შენი სურვილი,
სურნელი,
სურნელი
მზის და თივის.

თამაშობს მზე მინდორში თავისთვის.

ღიმილი წყურგილეს ბაგეებს
აღარ შორდება, აღარ!
წყურვილი შემომაგებე,
მე
მზის
წინ
ვდგავარ,
აგერ!

თამაშობს მზე მინდორში თავისთვის.
ნიავი არ ასვენებს თივას.
სული ფართქალა ცით უნდა აგივსო,
მოგიწევს ღამის თევაც!

თამაშობს მზე მინდორში თავისთვის.
ნიავი არ ასვენებს თივას.
მე მკლავს შენი სურვილი,
სურნელი,
სურნელი მზის და თივის!

აგვისტოს სოფელი

აგვისტოს შუადღე წელს ითრევდა.
წასვლას
არ
ჩქარობდა
სოფლიდან.
ლურჯ ზღვაზე სიმინდის ცურავდა
ნიავი.
მინდორში ცეცხლის გველები
ცეკვავდნენ,
ხოლო სადღაც შორს, ჭალაში,
მდინარე მოთქვამდა.
ყველაფერს ამას უმზერდა ლამაზად
ცა თბილი,
ცა ლურჯი
ცა კეთილშობილი.

მე მწამდა შენი და მდინარის,
ამიტომ ორთავე მინდვრისკენ
წამოგიყვანეთ,
სიყვარულს,
სიარულს ვასწავლი მე-მეთქი!..

აგვისტოს შუადღე წელს ითრევდა.
სიცხისგან ძლივს სუნთქავდა
სოფელი.
მინდორში იწვა ქარი ცისფერი —
ურჯულო, ყოვლის უარმყოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგება ქრისტეშობისთვე

შენ — სიცილისთვის მოცლილი,
მე — კიდევ შენი ქებისთვის.
დადგება ქრისტეშობისთვე,
თოვლი შეგათრობს უცილოდ.

შენსავით გაიხარებენ
თეთრად მორთული მინდვრები.
ცა არ იქნება ღარიბი
არც ფერით, არცა ვედრებით!

შენ — სიცილისთვის მოცლილი,
მე — კიდევ შენი ქებისთვის.
დადგება ქრისტეშობისთვე, —
ტანს კვლავ აიყრის სიცილი!

ცაა ძალზე ახლოს აქედან

ვანის ქვაბები უსაოცრესი... —
ცაა ძალზე ახლოს აქედან.
მთვრალი ნისლები ბარბაცით მიდიან.
ფრთებს მინდობია ხოლო ქედანი.

ვანის ქვაბები უსაოცრესი,
ვანის ქვაბები თბილი და ძველი.
თვით ამ ქვაბებზე ცაა უმცროსი.
ო, აფრინდება საცაა ველი,
ცას აფრინდება და შენ უცილოდ
გადაამშვენებ ამ ველს ფერებით.
მიმოფრიალებს შენი სიცილი,
ვხედავ,
ცისაკენ,
მზის
სიმღერებით!

ვანის ქვაბები უსაოცრესი... —
ცაა ძალზე ახლოს აქედან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავე

(მოთხრობა)

ხაფეხურებზე დაჭანდა და მიწიხსვეშა გა-ხახელელში ჩაიკარგა. შეზღუდული თავისუფ-ლება. სწრაფვა სინათლისკენ. სუნთქვის მოგუდ-ვა /შმორი/. ხასწორი /ცოცხალი ხორცი/. სპორ-ტლოტო /ბრმა სპორტი/. მოპურეკეული გზაფე-ნილი /ბიკები/. ჭუკეკიანი ხელისგულები. იგი-ენები: „ლეზვა „ეუკვაჩკა“, „სიგარეტი!“, „გა-დაკ!“:

ქაოსი.

— ახლავე მოსცილდით აქაურობას:

გადაადგილდენენ: „პედრო!“ „გეტრი!“

ტროლეიბუსში ვიღაცას ააკრეს. მთლად და-კარგა ფერი.

— ჩანთა გულში ჩაიხუტე. ხომ იცი ამ დროს... ხამსახური /ხაკანი/. დაეგდო.

— ისევ დაიგვიანე?!

ახედა /გამოუსწორებელი/.

— სამაგიეროდ სინდისიერად ვმუშაობ...

— ა რ რ მაინტერესებს! გა ნ-რ დ ა დ რ ო-ზ ე ე მოსვლისა და დ რ ო-ზ ზ-ე წასვლისა. „დისციპლინა!“ „დისციპლინა!“ — შეაგონა. და „ითესა“ /პირადი ხაქმეები/. დღის ბოლოს გამოჩნდება /კოტროლი/. და თუ ვინმეს მოი-ხაკლისებს, კვლავ დაიქნევს თითს: „დისცი-პლინა! დისციპლინა!“ /მძღავრი/.

ქაოსი.

ზუილი: უგერგილო ხუმრობა. უგულო თანა-გრძნობა (ვის გააკვირვებ წუხილით!). ჭორი — გართობა. შური — ჩვენი ნესტარი და ელეკნა-რი. ჭიშპის და მტრობის გამორჩეული ნიგი. ურთიერთთა /ქართველო, ნუ ღვრი ქართველის სისხლს!/, ითაბაბინდელი ცოდვა. ამპარტავნო-ბა — სიღატაკე სულის /ფულის ყოველგვარი სიღატაკის ხაწინდარია/. გულკეთილობა — ჩვენი. ვაჭრობა — უცხო. ერთგულება — ჩვე-ნი /შენი ხმალი, ჩემი კისერი/. გულუბრყვილო-ბა — ჩვენი. მიმნდობლობა — ჩვენი. ნები-ერი ბუნება — ჩვენი. უყაირათობა — ჩვენი /ყაირათიანად ვხარჯოთ ხაკვები პრო-დუქტები/. ფაჰჰ!! შესხენება /ზრუნვა სტომა-ქისთვის/: აი მიზანი, შენი ჯილაგის ურიცხვი ჯოგის. თავის მოწონება დიპ. /დიპლომიანი ხეპრე/. სისხლი. სისხლი. ბაბუა გიცხონდა, აი! მაშ ვინ იყავი? მიცხონდა, ამინ! ვინ ვიყავი მე, ანუ ჩემი პაპის პაპა? — არისტოკრატი. ჭლე-ხი. დიახ, ჭლეხიც არისტოკრატი. მერე? ვცხოვ-რობ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყა-ნაში (ჩემი ერის უბედურების დასაბამი). ოო, სილაღეივ ჩემო! შურით გახკდა მთელი ქვეყანა. და იღვრებოდა უცხოთა სისხლი ჩემს მიწაზე. მერე იმ ურჯულოთა სისხლი ჩემს ძარღვებში გადმოვიდა, ახლა რომ მამღვრევს და მანთებს უცხო ენებებით.

ნაკლი?

ნაკლიც გვქონდა, როგორ არა! მუყაითობა გვაკლდა, რომელიც, აგრეთვე გაბდა ჩვენი ეროვნული უბედურების მიზეზი. სხვამ გამოო-ჩინა მუყაითობა. და დაბნა ჩვენი დახახნავი მიწები. გამრავლდნენ, ჩვენ მხართეძოზე ვიზე-ქით ჩიროში. ნუ, რას ვიზამთ, თითო ნაკლი ყველას აქვს! მ ხ ო ლ ო დ ერთი? ნუ... უუ... /მახვილი/. აღიარა მეორეც (მაინც). შორსგამ-ვეტრეტელობა გვაკლდა. ნუ... უუ... ეგ ოვიხება რომ გვქონოდა, ხომ აღარც პირველი ნაკლი გვექნებოდა. ამოვძირკვავდით. მაგრამ მაინც ხომ ვერ ამოგვძირკვეს, მაინც! /ფეხვები. ფეხ-ვები. განდ-ტოტვილი. ძვე-ლი. უძველესი/. მე-ტი? მეტი... ტრაბახაკაც ვართ, ცო-ტა. მარიამ ღვთისმშობლის მადლითა და მფარველობით გა-ნეხიერებულნი. ვენაცვალე მის ხახელს. მისით გვიდგას ხული, სწორედ! თორემ, რა გაგვაძ-ლებინებდა, ამდენი გოლიათის ხელში. სისხლი. სისხლი. ახლა?.. /დრაკონი/. ჰმმ, წმინდაო მა-რიამ!..

კრება. გამოვიდა უფროსი და თქვა რაღაც კარ-გად! ხხვებმაც ილაპარაკეს /პათოსი/. „ბევ-რნი, რომელნიც სამარცხვინო საქმეებს სჩადი-ან, ლამაზ სიტყვებს ლაპარაკობენ“. რაც არ ითქმება, ის არის საქმე — დასძინა ფერმკრ-თალმა.

სულელური სახეები. აქა-იქ ჭკვიანი /ნაკ-ლი/. პრიმიტიული აზროვნება. და სული: ბორ-ცი. ერბო. ავეჯი — ანტიკვარი — რემონტი — ჩახაცმელები — ოქრო — ბრილიანტები — ხა-ლაროს — წიგნაკები = ღირსებას. მეშჩანობა — უცხო /ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთ-ან ერთად იზრდება ადამიანის მოთხოვნილეე-ბაც/. ქაოსი. ბბორტი. გაძვირდა. ზრუნვა ერნე, შეეწნე. ჭანმრთელობისთვის მავნებელია. დიპ-ლომი — მიზანი № 1. კუდაბზიკობა — ჩვენი. კარიერიზმი — ჩვენი. გარყვნილობა — უცხო.

ამათია — ჩვენი. მაღალფარდოვან სიტყვათა რახარუნი, გულზე ხელების ბრაგუნი: „მე მიყვარს ჩემი სამშობლოს მთები, ველ-მინდვრები, ჩემი ერი და ჩემი ენა“ /ჯრძნობის პატრიოტები/. სოლიდარობა — ჩვენი. ხარეცნი: „რა ძნელი გასარეცია ჯინსები, გადამიტყავა თითები“. ინტერნაციონალიზმი — ჩვენი /საქართველო ყველაზე ინტერნაციონალური ქვეყანაა მთელს მსოფლიოში, ჩვენს რესპუბლიკაში ოთხმოცი ეროვნების ხალხი ცხოვრობს/. წუწუნი: **რა ვაჭამო ბავშვებს არხეინობა — ჩვენი უკიდურესი გულმოწყალება** — ჩვენი. უკიდურესი დაუნდობლობა — ჩვენი /ქართველითა ქართველისა დამთრგუნველი/. წამლეკავი უგუნურობა.

— ჩვენს მეზობლად ათშვილიანი ოჯახი ცხოვრობს...

— მართლა?... ყო-ჩაღ! ქართველია?...

— კი.

— ბ ი-ჭ ო ხ!

— ...სამოთახიანში. ახლახან ვიღაცის დაკეტილ ბინაში შეეიდნენ, მაგრამ კინწისკვრით გამოყარეს „წესრიგის დამცველებმა“. საწოლები მეცხრე სართულის ფანჯრებიდან გადმოუყარეს.

— მერე, რას აჩენდა ათს, ორი არ ეყოფოდა?!

— ჰმ!

„გამრავლდით“! სიკეთე /მანტია/.

— თქვენ რა აზრის ხართ?

— მე მგონი, სიმრავლეში არ უნდა გავიაზროთ ამბოლუტური ძლიერება. ორასი მ ი ლ ი ო ნ ი ინდოელი დამორჩილებული მყავდა ოცი ა თ ა ს ინგლისელს... მონათა სიმრავლეს მე, შუმერებივით გადაშენებული ერი მირჩევნია. ტკივილით დახძინა ფერმკრთალმა.

— ხელფასია!

— ხელფასი? უჰ! ალიკლდა /ერთი დღის სიამოვნება/.

— რეკვიზია მოვიდა. დოკუმენტები სრულ წესრიგზე გაქვთ? გადახედეთ!

დაფაცურფნენ. შარიშური. გაკაღალდნენ.

მობრძანდით! შემოკლით დაკმაყოფილდებით, თუ?...

— დოკუმენტაცია! /ბეჭედი/.

აჰ, გული არ გაუხეთქეს? ეგრეც იცოდა. გაიძვერა. რაში გამოიჭერ. უკმაყოფილოდ წავიდნენ.

უჰჰჰ! ძმიმე დღე იყო (მაინც). ეს დღეც წაიკნატა. გამოფიტვა უაზრობამდე. ჭკვიანად იყავი! ჭკვიანნი ე-ბერეთ წოდებულნი კი, ოო, ბ ლ ო-ბ ა დ! კატეგორიებად: მონები, ლაქიები და მოხერხებულნი: „მეორედ კი არ მოვალ ამქვეყნად (რა იცოდნენ თუმცა /ცოცხალნი შობენ მკვდართა და მკვდარნი ცოცხალთა ჰბადენენ/. პითაგორა, იოანე ლაზი და პლატონი **ბოძ... ბეეეე! ბოდ, სანამ ვარ, უნდა გამოვწერო** ამ ცხოვრებას ჩემი წილი სიამე. უნდა დავტკბე. უნდა გავძღე“ /მოისთვლი დღე? მეორეოდ ჭედონისტები. „გიუებს“ ბოლტავდნენ (აკი შეურაცხადიაო?). სიმართლეს ყვარულნენ და... /ყვინილი შიზოფრენიის სახეობაა/. ალ! /H_2O+1/.

რიგი. თმენაალჭურვილი სახეები. რაღაც არის. მიფამფალდა. ვიღაცაც მოგორდა. ზანტად მიმოძრაობს /ამეენ/. ვერ ითმენს რიგს. თვალები დაჭაჩა და კისერწაგრძელდა:

— ძმაკაც, რა ღირს ყუთიანად?... წაკმაყოფილდა.

— ორი კილო... დაიჩურჩულა ფერმკრთალმა.

პიონერთა ბანაკს უახლოვდებოდა. იხილა უგრძესი პლანით: რკინის მესერი. მწვანეში დროშების ტყე. ფერთა კონტრასტი. თეთრი ცა დაჭკეთკეთებდა ბანაკის ბარაკს /ბანორამა/.

— რად მოგიწყვნია, ბიჭი?

— სასლში მინდა.

— რატომ, არ მოგწონს?

უხორცუმწვანილოუცხიმო: სუპ-ბორშჩი, ბორშჩ-სუპი. უმინო კარ-ფანჯრები და ფერმისდარი შენობები? გულში გაიკლო. ონკან(ებ)ს ეძებდა...

— ეზოში გვაქვს დ ი დ ი. საერთო /თებრონე მიდის წყალზედა/. აფსუს, კოკა! ლიკ. ლიკ. ანტიხანტარია. ფერმკრთალმა, დირექტორ-ამღზრდელთ (ოჯახური დინასტია) მიმართა თხოვნით (თუმცა სიგნალი ედო ჯიბეში): ნუ წარსტაცებთ ბავშვებს კარაქს, რა! ნურც ხორცს, მოზ...

— რა?!!! /ცოფი/.

/ბმაენი და მძვინვარება/. კუდით ქვის სროლი იყო მიზანი, მაგრამ ფერმკრთალია არ იძვროდა? იდგა. და უსმენდა. ათვალიერებდა სახეებს: „დაჩაგრულნი“, „შეურაცხყოფილნი“. საბუთს ითხოვდნენ. ფერმკრთალი კი შეგნებულად არ უჩვენებდა.

— მტერი კი არ ვარ (რა აზრი აქვს, დავწერო თუნდაც. მოხსნიან და იგივე მოვა — ჭამისტი). მინები ჩასვით. ბავშვები კარში გაცოცდებიან.

— გიუია? რა უნდა! ინტრიგანი! /იარლიყი მართალთა ზედა/.

— ძვირი ხომ არ ღირს...

— ტ ე ხ ე ნ, ბატონო!

აი, მიზეზი!

— ესთეტიკური გრძნობების ნაცვლად, ამ ბარაკებში ნადირებად მოქცეულ ბავშვებს, ხო (რა თქმა უნდა), აღეძვრებათ მტვრევისა და მსხვრევის სურვილი. ბავშვის ფაქიზი ბუნება ებძვის თავის სულიერ მტერს — მახინჯ ინვენტარს...

დუმილი და ნაკვთების უსიამოვნო ზელა.

— ტელევიზორში რა კარგი ჩანდით...

ო, გესლი არა (არ სჩვეოდა ჩვენს ფერმკრთალს გესლი). ესეც რბილად თქვა და მიტევებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბანაკის რემონტი ჩვენს ბიუჯეტს აღემატება, ამას ზემდგომში უნდა სირბილი.

მოოო, საფეხურები, საფეხურები, ქანცის განლევა და ხელის ჩაქნევა. ყოველზე /ბორევი/.

ქუდი.

მზერადახრილი მოდიოდა. თუმცა, რა სასიამოვნო იყო ყურება ნაგვის. ზინზლი. სიჭრელე. დიდი მოედანი. სავაჭრო ცენტრი. „ფარული" ვაჭრობა: პედრო. ლილა. კოსმეტიკური ფანქარი. დახლსქვეშა ვაჭრობა /საწყობი/. შავი ბაზარი /ციცხლი/. ვაგზლის მოედანი. საერთოდ ეს მოედნები, ფეხბურთის (ივით), რიგ-რიგ. ვაკე. ვაკე — ამოსუნთქვა /ინტელიგენცია/. მაგრამ არ ხედავდა ბუჯეს. ფიქრს ჩამბზერდა და გარშემო ვერავის ამჩნევდა. ვიდრე ისინი. ბოლო იგი იყო უკვე იო საყვედური: რა თვალს მარიდებ /ხატი! რჯული!/. გამარჯობა მაინც... თვალბილულს ხედავდნენ და მიტომ. მზერა კი ჭერნდა ნაღვლიან-რბილი. თვალები ლურჯი. სიამოვნება იო ყურება მისი, ურუანტელი გივლიდა თბობის, შემოგხედავდა თუკი.

ის კი დაინახა და: აციმციმდა. აჩჭოლდა. აწრიალდა. მეგობარი იყო უუპირველესი. თუმცა იმან, მეგობრობის გარდა, ყოველგვარი უსიამოვნება მყო, მაგრამ (დალაბეროს ეშმაკმა!) უყვარდა (მაინც). „შევჩერდე?" აფოფინებული სურვილი. გულს გადაადიჯა. ყოჩაღ! ზურგიდან გაექცა. მოთოკა. ყოჩაღ! ახლა თვალები გაიკაჩნენ. ბრძოლით მისავთდა. შეჩერდა. და უმზრა.

იგი მიდიოდა: არაფერი. და ამას მანძილი კაწრავდა. უყვარს ის არაადამიანი. სიძულვილი არ შეუძლია, რადგან. მიუტევა ყოველი სიავე და, წარმოსახვაში განეშენდნელი უყვარს ჩუმად. რომ შეატყონ დასცინებენენ, რადგან. ჩუმადვე ლოცულობს: ღმერთო, შენ გაუნათე გონება და სული და დაანახე ყოველი კეთილი.

ვიღაც ჩამოუდგა /ფეხმძიმე მამაკაცი/. ცბუნებით ახედა. ამხანაგი. დამტკბარ ღიმილით იდგა.

— როგორა ხარ...

— ვარ... ხელოვნური სიმშვიდით და ილუზიით, რომ ყველანი კარგებია. და მტერიც მიყვარს... შენ კი როგორ ხარ.

— მე კარგად!

— გეტყობა. მუცელს მზერა მოაცილა ფერმკრთალმა. რა წიგნი გიკერავს?...

— საინტერესოა...

— რამდენი გვერდია.

— ექვსასი.

— ოპუ! /დროის ფაქტორი/.

— დისერტაციას წერ?

— აღარ!... არა ვარ მე ტიტულების მაძიებელი, უნივერსიტეტიდანაც წამოვედი.

— შეშლილხარ! პურის ფული? გარდა ამისა, ტიტულები საჭიროა, აუცილებელი. თორემ, თავში ჩაგარტყამენ... ბავშვო, ამ ცხოვრებაში ან ფული უნდა გკონდეს ან ტიტული. თუმცა პირველი ყველაფერია... მსუყედ გაიღიმა.

ფერმკრთალმა მზერა მოგლიჯა მის ღიმილს. უმალ მიუგო:

— მოსუსტო ელემენტებს სჭირდებათ ტიტული. თუმცა, დამსახურებული ტიტულების წინააღმდეგი არა ვარ.

— ჩემი ჭკვიანი ბავ-შვი. დაგირეკავ ხოლმე. რა! ნომერი?..

— დარეკე სადღაც და მოხვდები ჩემთან (სასწაულებრივი ტელეფონი)... მაინც რამ გაგახუკა ასე?

ამხანაგი წაიხარა და წასჩურჩულა:

— წა-გლი-ჯ!...

— იჰ-ჰ! — შეცება ფერმკრთალი. არა! არ იცხოვრო ასე! აა...

— პატიოსნება?... ხა, ხა, ხა...

ფერმკრთალი დაკვირვებით შეჰყურებდა: მოგრძო თავი და გრძელი კისერი. ვიწრო, მომცრო შუბლი. შეერთებული წარბები. თვალებიც მომცრო. შავგვრემანი სახე, ოფლიანი. გრძელი ცხვირი. დიდი, ფართო პირი. პატარა და მოკლე ნიკაპი. ხორციანი მკერდი. მაღალი ხმა. ლაპარაკის დროს მკლავებს იქნევდა... არ იყო ასეთი? ფერმკრთალმა თავი ჩაქინდრა. მძიმედ დაიძრა. მიდიოდა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე. მბრძანებლობდა გონი: არ დაჯდე იმ სკამზე თორემ, შენც გადორდები და მერე?... შევდა დიდ შენობაში. მუშაობდნენ დევიზით სადაც: ვემსახურები საკუთარ თავს, მუუ-ცელს, ოჯახს.

გალურსული სიმყუდროვე. გაატარეს /საშვი/. გაიარა მარმარილოს ფილებზე. მიჰყვებოდა კიბეს. ჩრდილი დაეწვა. შეკრთა-ანხედა. პოეტი იყო. ჩამოდიოდა კიბეზე მაძღარი. ქმაყოფილი. თავი ჩაექინდრა ფერმკრთალს. გულში მიეგგამარჯობა პოეტს ცნობილს /შენაც, ბრუტუს?/. ნაღველი და უნებლიეად მომსკდარი ცრემლი /ეჰ, რა გატირებს ამ აყვავებულ ქვეყანაში!/. ჩაიბრუნა /ბურთი/. განაგრძო სვლა ზე-ვით, ზე-ვით. გალია გრძელი პრიალა დერეფანი. შედგა. კაბინეტი! მოხაცდელში შეიცადა. მძიმე კარიდან გამოდიოდნენ. შედიოდნენ. დადიოდნენ უფლებით, რაღაც (თანამდებ... (მაპაღიეთ) ობმ (ოჰ! ...ობა.) მერე თვითონაც შეაღო კარი ის გრანდიოზული. ხიღრმე. სივრცე. სიცივე. უუგრძესი მაგიდა. ყავისფერი ლაპლაპი. სიმშვიდე. სახტად იდგა.

— გადაწყვიტეთ?... მოსწვდა ხმა როაიო.

— დიახ, ამხანაგო, არ გამოვდგები... თანამდებობისთვის.

ამხ. ეკგრაფს სახე ჩამოუგრძელდა. წარბები აეზიდა. და გაეცინა. მაგრამ წამში დაერღვა ის სიცილი. ქსოვილი, როგორც სამამულო. თავი წამოაგდო.

— ქალები არასოდეს გამოირჩეოდით დიდი ჭკუით... ამბუჩად აიგდო.

ფერმკრთალს ღიმილი აესახა სულგრძელი. გამოემშვიდობა. შთაბეჭდილება დაგოვა ამხანაგზე — გიე. ამოტრიალებული ტვინი. მახინჯი აზროვნება, მახინჯი.

— გოგოჯან, ბინის ქირა როდის უნდა მამცე? მეორე თვე იწყება...

— მოგცემთ, აშხენა დეიდა, ორ დღეში მოგცემთ. უთხრა. გაალიზიანა გახსენებამ — ხიზანი. შინ, გარეთ. მისი იყო და არაფერიც არ იყო მისი. ყველაფერში ეცილებოდნენ /ჯიქნი/. მას კი ერქვა დამჭირავებელი /სამოკალაკო უფლება/. ქაოსი.

„ცალამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ უანგი უანგმა თოფი, თოფმა მგელი, მგელმა თხა. თხამ ვენახი...“ /ჯაკვი/. სქელდება. სკოლაში ეს ერთი სიმარილე მაინც გვახწავლეს.

სარდაფში ჩაძვრა. გაკეცილი ლიტერატურული გაზეთი გაშალა. ფოტო შემოეფეთა /მოწინავე/. აქაც. ბეზრებით გადაკეცა წერილიც იყო /დედა/. გაობა. განთადა. ესიუვარულებოდა დედა: „თავს მიხედე“, უმეორებდა, უმესამებდა. რა გულუბრკვილია. ჩემია რო-ო? დაკოცნა.

ნაცნობთა ხმიანობა. ამდგარა ზანტი. მადლობა უფალს! სამი დღეა სძინავს. სარეცი თუ დარეცხა? ისევ იქ დევს. ახალ მდგმურს საყვარელი ჰყოლია. ოცის თუ იქნება. ურცხვად დადის. სექსის თავისუფლება? ბოდიში. ჩვენ არ ვართ ევროპა, გვიტევს ვიდეო /ბუში/, გადაარჩინეთ ზნეობა! დედა თუ ჰყავს?.. სიბრალული მოასკდა: ცუდი შვილის ყველა დედა ეცოდებოდა.

— უუპ!

— რა მოხდა?!

ზანტს ცხელი წყალი გადმოღვარა. ეხე იგი, რეცხავს /განწყობა/. მაინც რა იყო ამდენი ძილი? „,ოპ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი“/ გაუთავებელი სიცილი. ფერმკრთალს მოშივდა. წაუყრია. არ ანებივრებდა კუჭს. მაგრამ მონა იყო მაინც /მოკვდავი/. აღიზიანებდა კუჭი. ფუ-უ /კანალიზაცია/. რაც მაკნინებს, რაც შე ურაცხმყოფს. სადილს იშვიათად აკეთებდა /თვითგვემა/. სამაგიეროდ, დაითრევდა ვაზიდან ვაშლს, შოკოლადს და ხარბად ჭამდა. დამშეული უჭრედები. აკოცდა კუჭი. აქტივობისაკენ მიმსწრაფი. ამბოხით გამოიწვია: ყურადღება. მეხსიერება. წარმოსახვა... შინაგანი აქტები. წყალს დაეწაფა. იმპულსი. თავის თავზე მზრუნავი კუჭი. ჯიბეში ედგა ფერმკრთალი, მაგრამ /მოთხოვნილებები პიროვნების ნებას არ ემორჩილებიან/. წიგნი დადო და გაიხურა კარი.

კიფეში შეეცდა და ერთი ხაკაპური იყიდა ფენ ოვანი. ახალგაწმენდილ მაგიდას მიუჯდა. ჩვრა ს სუნი. გული აერია. სითბე მოსვა რაღაცმაგვარი. ხაკაპურსაც ჩაავლო კბილი /პური/. უგემურად ღეჭავდა. შესვლა არსად შეიძლება. კვლავ მშიერი გამოდიხარ+გულარძნილობა.

ახალი რიგი. რა ჰქნან (მოსწონდა ფერმკრთალს ასონიშანი ჰ. ზეადმავალი ბგერა. ეთაუვანებოდა). ვიღაცამ ათი ცალი გაიხადა. ჩემმა ქმარმა რომ მომიტანოს, ვიკოვლებ! უგემური სახეები. თუ არ მოგწონს, რესტორანში შედი. ოპ, იქ ხომ... იღმურძლებოდა.

ეს მზარეულები რამ დაასუქა ასე???

მოსწავლეები ხაკაპურის დასორსოლებულ გუნდებს ისვრიან.

გ ა უ ფ რ თ ხ ი ლ დ ი თ პ უ რ ს!

— მორჩით ცელქობას! გადით აქედან!

ჯიკადით გავიდნენ. ხაკაპურის გუნდა ფიბებში ჩაიგდეს /„დიდი ფიბბურთი“/. შეძრწუნდა ფერმკრთალი.

— ბავშვებო, ეს პ უ რ ი ა!

ქირქილი.

შუბლი შეეკმუხნა ფერმკრთალს /შეგონებითი ვერაფერს გახდები/. ჭეშმარიტად, სოკრატე! ჩაიქნია ხელი. ჯიბეს უსწორდა. კაცები რიალებდნენ /ხარინტი/. ღარიბთა აზარტი, ქაღალდების გზაფენილი.

— მოიგე რამე?... მე, ერთი სარინტი.

ხიიჰ3, გემო /კაფე/. გული ყელთან. ვაშლის ყუთებში ჩაკარგული გამყიდველი. მიმართა უცნაური თბოვნით:

— ეს ერთი ცალი ამიწონეთ...

აჩუკა ინან /ქართველი/. იქვე ჩაკბიჩა. დალოცვილი.

აი, ვინ მოდის! განთადა გული, სადღა ახსოვდა თუნდ ერთი წყენაც. სამაგიეროდ ის იყო გულლრძო, თავი დაბარა და ჩაუარა. ფერმკრთალის გულში ვარდი ცეკვავდა. ვერ დაეოკა აცეტებული და...

— გი — ა! ამოსკდა.

ვაჟი შედგა. არ იჩხეოდა. ზურგით ელოდა. გაფრინდა ესეც. ზურგს შემოეკლო. და, მონატრებულმა, ხარბი მზერა აღავლინა იმის სახეზე. მერე კი... თვალები თვალებს მზის სხივს სტაცებდნენ. უსაზღვროდ ენთნენ. თეთრი ღიმილის ნათება იდგა.

— შენ კარგი ხარ. ზედმეტად კარგი. მე არ შემეძლო ამ ტვირთის ზიდვა... მე სხვა შევირთე.

დაჭკნა ყვავილი. ღიმილი გატყდა. გზას მიპყრობილი იდგა ფერმკრთალი ბაგეთა რხევით: ბედნიერ იყავ. ცისკენ იწევდა.

— ქალიშვილო, გაგვაცანით თქვენი თავი და გვიპასუხეთ, როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? მიადეს პირზე მიკროფონი /სიცრუის მოცემული/.

უნდოდ შეხედა.

— სადაა თავისუფალი დროო?..

ნირი წაუხდა ინტერვიუერს. ხალიხი დაეკარგა.

ჩამოდგა ავტობუსის შემადგენლობა. მიტაუუპებული სახეები. გაბშირებული სუნთქვა. მოეწონა. შენ, არა? აბა! აბა! მიეხიყვარულე ათას ფერთას! ფუუუ... აპ! /ძმობა-მეგობრობა/.

ჰუუუუ. ტყავებისა და ტყაპუჭების სუნი. საწყალი ცხოველები. გული ულონდებოდა.

— ძალიან სუსტად ხარ, ჭამე კარგად და არ იქნები ასეთი ნაზი, სიფრიფანა და ფაქიზი.

— როდესაც მაძღარი ვარ, მეზიზღება თავი. მიუგო.

ხალონის ხიღრმეში კი მუცელი ეხვეხა სკამზე და პირი სიამოვნებით ფშვინავდა.

ავტობუსი გაჩერდა. შეიხსნა კარები და გადმოჯგრიალდნენ. ოი, თქვენც ამათში ბრძანდებოდით, სათაყვანებელო ადამიანო?! მაპატიეთ, გადაგიყოლეს? ფრთხილად, ფეხი არ მოიტეხოთ! თვითონ კი ჩაეკიდა სახელურს სკამის. წალეკვის თანამდევი შიში. ლოდნითი ჩამფრენოდა. ჩამოვიდა /უკანასკნელი მგზავრი/, ფეხით მოდიოდა. ჰაია /სუბიექტური გრძნობა/.

კორპუსები. ¿განათებული სამზარეულოები. ფაციფუცი. მოდის ვიღაც სასწაული. შარვალში უთამთამებს ქონი. ჭაამ თუ ავადა ხარ? /ჭარბ სიმსუქნეს იწვევს ნივთიერებათა ცვლის მოშლა ორგანიზმში/. ¿ანმრთელად მოთამთამებდა. ფერმკრთალმა განზე გადაადგო თავი და აქეთაც ქალი: ფუნთუშას მოიგამს. ამას კიდევ ჭამა უნდა? /ბუთხუზების პარტია/.

— ნუუჭ, დედიკო! სულ მე უნდა შევჭამო ამდენი ხორცი?!

— ჰო, შემოგვევლოს დედა. ჭამე, ჭამე, რომ მალე დავაყაკცდე და **უ ვ ე ლ ა ს** მოერიო /ეთიკა/. გაილოკე თითი!

ხ ო რ ც ი! —

ლტოლვა ხაწინააღმდეგო სქესის ძეხორციელისაკენ. ოოხხ, ადამ! ადამ! და ევა, შე ეშმაკო! ფაქიზ ნენატოში სუნი ეძგერა. იის, მუდამ რომ გაურბოდა. წრიალით დაძვრენა. აგერ, პატარინი! სუონელ. სუნამ. მიჰკონდა დამშალი ხორცი. ჭამოს უნდა? ნუთუ. ცხვირი მოენაოჭა. იგი კი მიდიოდა კმაყოფილი. ფიუპპ... ფერმკრთალი იწამლებოდა. გასწრაფდა. გაასწრო. მოიგუდა (მაინც!) ჰშ! — ცხვირის ნესტოდან სუნს დევნიდა. ჩამორჩა. მოიგუდა (მაინც!). ჰშ! — დევნიდა. ვერსად გაექცა. გადაიქნია უზომოდ შეწუხებული სახე. და აღმოაჩინა მაღალია — ძძე. კარგია. მოწამლულზე. შექანდა.

— მაშ, ეს არის არაკანი?! ხმა დაუხვდა მგზახე.

— აბა რა არის?... იკუანებოდა გამყიდველი.

— წყალია.

— სულელი.

— ა, გადაფოთრდა მომხმარებელი. აიქნია ხელი /ბარალთა ბარალი, ანუ აბსოლუტური/. გაიქნია ქილა.

აუუუ, შეარაფუნდა გამყიდველი. სასაცილო იყო იგი ასე სანაბავი და გაეცინა ფერმკრთალს ცო-ტა. სხვებს წასკდათ სიცილი, ახარხარდნენ.

— შენის!.. წამოჭარხლდა /ენენვა/.

„რა ამის ბრალია“. „ამას რას ერჩი“. „როგორიც მოუტანეს, ისეთსა ყიდის“. აყაყანდნენ.

— შე მ ძ ა რ ც ე ლ ო! ა-ფაკუნაში ხომ კარგად ხარ დასპეცებული...

— ა-რა, ბი-ჭო! შენი მ ო მ ს ა ხ ა ს ი ა ს ა ვ ი ს ვდგავარ დილიდან საღამომდე აქ. მათხოვარი /ბურდა/.

უუჰ! ატყდა ისევ მუშტების ქნევა. ქილების მტვრევა /აურაზური არაფრის გამო/. სპეკტაკლი.

— ხალხნო, რისთვის იბარკებით!.. სინანულით და შეგონებით შეპყვარა ფერმკრთალმა. დაენანა: პროტესტი. აფსუს!..

გამძლავრდა ხმები გულის შემძვრელი. ვერმოსასმენი. ფერმკრთალმა თავი მოარიდა მოსროლილ ქილას და იქ, კედელზე წაეწყდა სურათს — სავარძელი. ჩუქუთმოვან-ბავერდოვანი. ალისფერი პანორამა, სხვა არაფერი /ძალა სკამშია/. კი, ბეკონ (ეზო)! უმზერდა სპექტაკლს. თვალსაჩინოებას. ეს სურათი ვისია, ნეტავ? ან აქ რა უნდა? აწვალებდა ცნობისწადილი. გულუბრყვილო. „მე ყველგანა ვარ“, მანუგეშა-გრეხით გაეპასუხა სავარძელი. რომელიც, თავების გაქნევ-გამოქნევის შესაბამისად, ჭინკასავით დახტუნავდა მძიმე ჩარჩოში. ფერმკრთალს ღიმილით ეძალებოდა. რა უადგილოდ! ფარდა! ფარდა!! ვიღას ესმოდა. ამ გაცეცხლებულ ღრიალ-ბრიალში. ქილების გასროლ-გამოსროლაში. ყველას და ყველაფერს რომ ხვდებოდა, ნახატის გარდა. ჰ! სიცილით იფაკებოდა სავარძელ-ჭინკა. „წესრიის დამცველი“ უხმობდა ვიღაც.

მოდიოდა ფერმკრთალი წუხილით. ჩაუარა იდეოლოგიურ კიოსკებს. მრავალად გამოეფინათ ბრელა-ბრული ჟურნალები, გაზეთები /მაღალი ბეჭვდა/. ნუ მიბნელებთ გონებას! უტია თავისი მსოფლმხედველობისაკენ /მე ვარ თვით მე!/.

უძლურობის მძიმე გიდელი. სიმწარე. გზა უნიეობას /ბობოქარი მდინარეები/. ქაოსი. პრემიებს უხვად არიგებდნენ. გაბერილი ავტორიტეტები. ქაოსი. ბობოლა ტიპები.

შეაღო ხარდაფის კარი. შემოეგება გრილი სიმშვიდე. წეგნებში ჩაიკარგა. ერთადერთი სიმდიდრე. იატაკზე ელაგნენ. ეეეს, როგორ უდიერად გეპყრობით! ხელი გადაუსვა მწკრივებს, ბერამდე რომ მრავლობდნენ. არც ფული ჰქონდა თარიღის და არც დასაკიდი ადგილი მათი. ოხშპ, აწუხებდა წეგნების ასეთი უპატივო ყოფა. მაგრამ უკლიდა (სამაგიეროდ). მტვერს არ აჩერებდა. დაღლილი ტახტზე დაესვენა. თვალები დახუჭა. ფხაკუნ-ი! და ყურიც ცქვიტა. აშლილი მზერა. ვ ი რ თ ხ ა! ტახტისკენ ფორთხვით მოიწევდა. ა�ა, თავხე-დი! წამოვარდა. სინათლე აღარ ენთო (**Фо-кус**). „დავზოგოთ ელექტროენერგია“. „გადასწეიეთ ისრები ერთი საათით წინ“ /სასარტყელო დრო/. სად მიდის ამდენი ბესები? აპ, ინტერიგანნ! /ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი/. ბინდბუნდში დააბარახუნა. ბრაგ!-ბრუგ! — გულის ახლეჩილ სარქველიდან, მხეცი! კარი მიხურა. ფშპპ... დასცა-

ხა. სიანელეშიც მოიცვა. ბარბაცი. ვერაფერს ხედავდა /ქოთამი/ ჰემერალოპსია. წრრ... ჩრხ... დდეს რამ გაამწარაო! ხაშინლები. ხაკვარლებიც. წრუწუნა. თაგვის რუნი ფერი. ნეიტრალური. მარტივად შეგრძნებადი. ვერ იტანდა მაძღარ ფერეხს. ძოწეულის. ღრმა წითელს. პურის ნატეხი აიღო, გავიდა ეზოში და ბრმასავით მიმაბინა. ებრძოდა, ბნელ სარდაფიდან ამოყოლილ, შავი და თეთრი ფერების ფარფალს. ფერთა ველების ბრძოლა, რბოლა.

— რატომ ყრი?.. ზურგს უკან ჰკითხეს.

ალწერა. სიმართლე ალრრ. დააჭირე კბილი! რატომმმ.?

— ისე... /ხაზრისი/.

ა, ვ ი რ-თ ხ ა!!! ფეხებშუა გაუშვა /მესერი/. შეუკანდა გული ისევ.

— ეს გასაწყვეტები, ესენი. მთლად დაკარგეს ჩვენი შიში. მომაწოდე ეგ გაჯი! მაგათ ვაჩვენებ!...

— რაას? რად გინდათ გაჯი?... /გუმანი/.

— დამპალი ხორცი მაქვს. გავფრენ ამაში და...

— და ისევ ცოდვა.

— ...ვირთხების?.. დაიკუანა ქალი.

— დიახ. რომ იცოდეთ, თაგვები ადამიანთა ცოდვების შედეგად მოაღლინა უფალმა. მათი სიმრავლე კი, უკვე ჩვენს ცოდვათა სიმძიმეზე მეტყველებს.

— ბავშვი ხარ და ტყიპინებ რაღაცას! მაშ, რა ვქნათ...

— ჩვენ-ჩვენს ცხოვრებას მივხედოთ. ჩავფღრმავდეთ.

— და არ უნდა მოვსპოთ ვირთხები?

— თქვენი შეკმნილია, რო-ო? მათაც ისევე დაუწესა სიცოცხლე მამაზეციერმა, როგორც ჩვენ.

— შენ ყვავილების დაკრეფაზეც ერთი ამბავი დააწიე ეზოს ბავშვებს...

— დიახ! ისინიც ცოცხალი ორგანიზმია და ჩვენზე სუფთები და სასარგებლონიც არიან...

— მაგალითად?...

— მაგალითად, მცენარეების ოფლისაგანაც კი — „ცვარტკბილასაგან“ — ფუტკრები თაფლს ამზადებენ. ბუნებამ, ყოველივე იმიტომ ამოზარდა მიწიდან, რომ თავის საოცრებაში ჩაგვაღრმაოს, მშვენიერების გრძნობა გაგვივითაროს. ჩვენ კი ვგლეჯთ და მუქაში ვიმწყვდევთ, მუცელში ვინთქავთ ყველაფერს. თითქოს მარტო ნთქვისთვის ვიყოთ გაჩენილნი /ბილწნი! დახე, როგორ თქვლეფენ, ხვრეპენ, მრუშობენ... ბილწნი! და მერე როგორ ზვაობენ, მრისხანენებენ ან რა ზიზღით დაგეყურებენ მათი ბრიყვული სიმაღლიდან შენ. ბილწნი!/.

— ცხოველებიც და მწერებიც ერთმანეთით არ ალწერდოობენ?...

— თუ გგონიათ, რითიმე განსხვავდებით მათგან... არასწორად გვაქვს შემეცნებული ჩვენი არსი. ამიტომაც ვისჯებით. ის ატომებიც და ნეიტრონებიც უგუნურობის ნაყოფია... გვიანი იყო. მაინც წრიალებდა. ქუჩაში ფიღაც ამბობდა: აიიიიიიიიიიიაი... ვაივაივაივაივაი... უუუუუუ!..

ეცნო — შეშლილადწოდებული. ყოველ ნაშუალამეს რომ ფხრეწს სიჩუმეს. ათასთა კრულვა. ფერმკრთალს კი გაელიმა. გვერდი იცვალა. მოოლდნელად ახალი ხმა. ქნავილი. დაიძახა. ორი ხმა ისმოდა: ვაფი /მუქარა/. ქალი /მუდარა/. შიშით მოიკუნტა. მაჯლაჯუნამ იმძლავრა. დაიმინა.

— ვაი, ვაი, მიშველეთ!

წამოხტა.

— ძია ნოდარ! ძია ანზორ!.. ფანჯრებს ასძახა.

— რა გინდა!... — შეტეკვით გაეხმიანენ.

— არ გესმით?..

— მერე, ჩვენ რა ვქნათ!

— თქვენ?.. — დაიბნა. — მივეხმაროთ... — აზრი მიაწოდა.

— კი მაგრამ, რა იცი, ვინ ოხერია! — გაურისხდნენ და ისევ ფარდებთან მიეუფდნენ.

— მიშველეთ! — კვლავ მოეკრა ხასოწარკვეთილი ხმა. გაქანდა.

— ხად მიდიხარ!., — ფარდებიდან მზრუნველად დააწიეს.

— ლაჩრებო! ქვისგულიანებო!... — ცრემლით მოაძახა.

ხმაურზე ჩიხიდან ვიღაც გაშეა. ფერმკრთალი გაეკცხლებით გამოედევნა.

— გარბიხარ, მშიშარა?! ნამეცეცავ! პირუტყვო! — მისძახოდა.

ქუჩა გაივსო.

— ვინ იყო? რა მოხდა?.. — იმატა ხალხმა.

— შედით სახლებში! შეიძურწეთ! — აღშფოთდა ფერმკრთალი. ახლა რაღა საკირონი ხართ, დალუპეთ გოგო... — ხმა უკანკალებდა.

— ჩვენ რა გვექნა... იქნებ იარაღი ედო...

/მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი.../. ფერმკრთალი გლოვით უმზერდა დაჩიავებულთ.

— მე მხოლოდ ახლა გავიგე... — თავს იმარილებდა ერთი მავანი.

— ამ შეაღამეს რა უნდოდა გოგოს ქუჩაში!..

— იქნება რა უჭირდა! — გაცხარდა ფერმკრთალი.

— „რა უჭირდა...“ — უგულოდ გამოაჯავრეს. მკაცრნი.

წამომძიმედა.

ტრაგედიის მძიმე ბორბალი გულიდან ვეღარც ღილით გადაიგორა. მეზობელი კაცები სძულდა. მხდელი. ლაჩრები. ცოლის ზურგებს აფარებულნი. ზიზღმა გული ამოუზიდა. ეს ვინ ყოფილანს!.. როგორ გაშიშვლდნენ. ფუუ... დალუპეს გოგო. შეკმნილი შიშით... იმ პირუტყვმა კი, ჩემს სუსტ ხმაზე ელეფოძელეთი დიამართა. ოთხით გარბოდა. მშშხამული კაკუნის ხმამ მიაქცია. კარს ცივად შეეხედა. არავინ სურდა. კაკუნი განმეორდა. ჯიუტი ნებით. შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რხეულად გასძახა მიდმელს:

— მობრძანდითო!.. — მეკვე ხმა /ძმარი/.

კარი გაიღო. შემოვიდა კლასელი /ბადრი მოვარე/.

— „სვბბოდა!“ ქმარი მივლინებაშია, ბავშვი — სოფელში, მანქანის გასალები აქ! — აკონწიალა. მთელი ქალაქი შემოვიგრიალოთ.

ბბბბბბ, — ფერმკრთალმა გრძლად ამოისუნთქა. გამარჯობა უთხრა.

— გულის საშუალება არაფერი გაქვს? თავიც მტკივა...

— რა მოგივიდა? მართლა რა ფერი გადევს! რა მოხდა?

— წუხელ... ჩვენს ჩიხში... გოგო.... გააუპატიურეს...

— ვა. ზეზეურად?! — თვალებში ეშმაკუნები აუცეცვდა. — მერე შენ... მის ქალწულობას მისტირი?.. სიცილს ძლივს იკავებდა.

ფერმკრთალს ფერი მოასკდა. ოიიიი, რა ლაშაზი იყო /მძვინვარე ქალი/.

— ჰო, „რა ჩემი საქმეა, რა ხდება“, არა? ჰო. მთავარია, შენი, პირადი უშფოთველი და მყუდრო ცხოვრება არ შეიროყეს. ჰო. კვლავ ძალაში რჩება ადამიანთა პირადი უსაფრთხოების იდეალი. ჰო. მავანნიხა და მავანნიხათვის კვლავ არსებობს მონახტრული სიმშვიდის იდეალური სამოთხე...

— დამშვიდდი! აბა, შენ გულის საშუალება, ეხეკ თავის. ხომ ტრიალებს დედამიწა შენს გულზე, შველი რამეს?.. ასეა! ალღო უნდა აიღო ამ ცხოვრებას, გენაცვალე. ალ ღ ო! ყველას თავისი გზა აქვს, თავისი სვე-ბედი.

„ეკვიანთა“ ურყევი მორალი.

— მოუსმინე ჰაიდეგერს: ადამიანი სამყაროს მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვშია ჩართული და ყველაფერი, რაც მის ირგვლივ ხდება, აუცილებლად ეხება მას, რადგან მისი ყოფიერების არსებას გამოხატავენ.

— რატომ არ თხოვდები?

მოულოდნელმა კითხვამ დაადინა ფერმკრთალი.

— ვის გავყვე....

— ჭ კ ვ ი ა ნ ს, ვ ა ფ კ ა ს...

— ...ეკვიანი ჰო, მაგრამ ვაფკაცი სად უნდა ვიპოვო?.. /X X/ ხაუკუნე/.

— რად გინდა ეკვიანი... — უარყო თავის წინადადება კლასელმა. — ფუფიანი და მოშტერო სჯობია, დამიჯერე! — ურჩია.

— ჰო-ო?! ბ-ბ-ბ..

— ყოველთვის დამცინი მე — ეკიმს, ჩემი „პრიმიტიული“ ანუ „მეშჩანური“ აზრებით და „დაბალი“ მორალით. მაგრამ შენ, რამდენიც უნდა მიმტკიცო — ეკიმს სინდისიც ისეთივე სუფთა უნდა ჰქონდეს, როგორიც ხელებია, — მაინც არ იქნები მართალი. რადგან, ავადმყოფობა, თავისი მდგლობა ეკიმის სამსახურის მიმართ, აუცილებლად უნდა გამოხატოს. თუმცა ჩვენ მაინც ვეუბნებით, არ არის საჭიროო...

— ნამდვილად! პირადად ჩემთვის, ეკიმისა სამსახური შეუფასებელია. მაგრამ მადლიერება მე შეიძლება მცირედი ღირებულებით გამოვხატო. ხოლო თუ ეკიმს ეცოტავა იგი, მაშინ ნასში ანგარება დომინირებს. ჩემს ცნობიერებაში კი ვერაფერით თავსდება ანგარებიანი ეკიმი და მასწავლებელი. რადგან ერთს ადამიანის რწმენასთან აკვს საქმე, — მეორეს ხულთან.

— პრეტენზიები დიდია, ხელფასი ცოტა... რატომ გვაძლევენ?

ოჰო, შეეცვა!

— ...ისევე, როგორც ჩვენ არ უნდა ვიკადროთ ფულის აღება, არც ავადმყოფებმა უნდა იკადრონ მისი მოცემა. ჩვენ ხომ არ ვთხოვთ... გარდა ამისა, ადვილი არ არის კოლექტივში პატიოსნების დაჩემება...

მიზეზი.

— ნუ მიღიმი, როგორც საბრალოს... ერთ ინციდენტს გიამბობ: ამას წინათ ამხანაგი მეწვია საავადმყოფოში. გავსინჯე, დავაწვინე, ვუმკურნალე. გეფიცები, უანგაროდ ვმოკმედებდი. მან კი, გაწერის დღეს, ფული ჩამიდო ჯიბეში. მეხი დამეცა, მოვიშმაგე...

მომკილი. ეცოდებოდა ფერმკრთალს, მაგრამ ეურჩებოდა გული /სიმართლის აღმართი/. ნაღვლიანად შეუყვა.

— გულწრფელად გითანაგრძნობ, მაგრამ ის ხომ რწმენაშერყეული მოვიდა შენთან, როგორც ეკიმთან. შენ უნდა აღგედგინა რწმენა, განგემტკიცებინა...

— რო-გორ!

— ფულის დაბრუნების. ისევე როგორც მისი გამოძალვის ათასგვარი ხერხი არსებობს, მაგრამ... შენ ვერ გაიმეტე ფული დასაბრუნებლად. მ ა ი ნ ც ანგარებას ეთაყვანე /ბოროტების ხატება/. ვიცი, რის თქმასაც აპირებ: მან ახე ჩათვალა საჭიროდ. ერთხელ დედას ოპერაცია დასჭირდა. ქირურგი სიძის ნათესავი იყო და გავაფრთხილე — თუ ფული არ აიღო, ჯიბეებს ნუ ჩამოიფხრეწ, არ შეურაცხყო-მეთქი. მან კი სიცილით მომიგო: დარდი ნუ გაკვს, ესენი ისე არიან გაწეწეკებულნი, ფულს მგონი შვილისგანაც კი აიღებენო... ხასტიკი სიტყვებია.

თავი ჩაქნდრა ფერმკრთალმა. მძიმედ დაილაპარაკა:

— ამდენი იმიტომ ველაპარაკე, მიყვარხარ და მენანები...

— გმადლობთ, მაგრამ მე ვერ გავიგე, შენ რას ქადაგებ. შენი მორალით ადამიანმა უარი უნდა თქვას: კარგად ჩაცმაზე, კარგად ჭამაზე, კარგად ცხოვრებაზე? შენი აზრით, ადამიანებს ყოველივე ეს არ სჭირდებათ?..

— მე არაფერს ვქადაგებ. ჩემი სურვილია, შენს მიერ ჩამოთვლილი ყველა სიკეთე, ადამიანს, პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ი თ ჰქონდეს მოპოვებული.

— მორალი კარგია, მაგრამ საფუძველი?..

ფერმკრთალმა ტუჩები გადმოკრუნჭა. გაიცინეს.

— ფული რომ შემომაკლდება, პანიკაში ვვარდები. მეშინია... უფულოდ ვერაფერს გაკეთებ, არაფერი ხარ, სულ არაფერი. გენიოსიც რომ იყო. მაგრამ შენ მაინც გაგიდგები, ბოლომდე წმინდას. მე ვერ შევძლებ. შენ სხვა ხარ ჩემთვის, არამწიერი. შენთან ჩსუბიც მამაღლებს. არის წუთები, როდესაც ყველა და ყველაფერი მეჯავრება, შვილის ხმაც მაღიზიანებს და ამ დროს შენკენ მოვილტვი, სიმშვიდისთვის, განსაწმენდელად. შენი დანახვა სულს მიამებს.

განაგრძო:

— ვიცი, გულს გატკენ, მაგრამ უნდა გაუწყო, რომ განწირულია შენი მამაკაცის იდეალი. არ არსებობს...

„ყოველ მეხუთე მამაკაცში
დღეს დედაკაცის პორმონია!"

ამის მთქმელი პოეტი მამაკაცია და უთუოდ დაინდო თავისი ჭილაგი, თორემ, მეტია... მაინც უნდა გათხოვდ...

მაინც!

ფერმკრთალმა ბაბოს კარს გახედა /მარადიული სიბნელე/. ფარდა ფრთხილად გადასწია.

— ბაბო... როგორა ხართ, ხომ არაფერი გნებავთ...

— აღარაფერი, შვილო... სიკვდილის გარდა. არ ჩანს... იცი, რა საშინელებაა სიბერე?..

— პური ხომ არ მოგიტანოთ... — არ უნდოდა ბაბოს პური. — თუ რამე დაგჭირდეთ, დამიძახეთ. სინათლე აანთეთ, ნუ ხართ სიბნელეში.

ფეხდაფეხ შემომყვა ახალი მეზობელი.

— ბებინოში მივდივარ. ტრისტანა თუ მოვიდეს...

— შენ რა გქვია?

— მარინა.

— სად მუშაობ მარინა? თუ სწავლობ?..

— არსად არ ვმუშაობ. ახი მანეთისთვის მოვიკლა თავი?..

— იფ! ალბათ, მშობლები გეხმარებიან.

— მშობლებს, ჩემს გარდა, კიდევ ხუთი ბუთი ყავთ.

— ხუთი?.. — გაიბადრა ფერმკრთალი. — მერე?.. იმუშავე, რა! ხომ უნდა იმათ დაზრდა. შენ, ალბათ, ყველაზე უფროსი ხარ.

— არა. უფროსი ძმა ციხეშია. დანაარჩენები უმცროსები �.

— უფ! — შეწეხდა ფერმკრთალი. — მშობლები რა დარდში იქნებიან. შენ კი უნდა ეხმარებოდე. იმუშავე და პატარა და-ძმების სარჩენებს ფუყდი. იცი, რა კარგია, როცა — ვინმეზე ზრუნავ? სხვანაირი ხდები... ხომ გამაცნობ შენს და-ძმებს?..

„ოცის იმან /ასუბი/. „ვიტყვი, რომ მეც მყავს შვილი". აღარავის უმხელდა თუმცა! ყველანი ბკუის დამრიგებლად ან განმეკიებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევლინებოდნენ. ფერმკრთალს კი გულწრფელად უამბო...

— ესე იგი, შენც დედა ხარ. ეოჩაღ. ბედნიერება. ჩამოიყვანე, გამაცანი.

— შენისთანა ჯერ არავინ შემხვედრია.

— შეგხვდება. ყველესებიც. თანაც რამდენი! — თბილად გაუღიმა.

— შემიყვარდით!

ფერმკრთალს გაუხარდა. მთავარია სიყვარული. იგი კი სიკეთე ყოველგვარი. ბარობდა.

მოვიდა კიდევ სტუმარი იგი. თემური /თემურ ლენგი/. რა სიმპათიების საფუძველზე გავრცელდა იმ პირსისხლიანის სახელი ჩვენში? თუ ადრეულია, ჰო. მაგრამ თუ მერმინდელი?.. ამ, სიძულვილს მოკლებული ჩემო კართველობავ!

თემური მდუმარედ იჯდა. ფერმკრთალს უყვარდა სიტყვაძუნწი კაცები. ხოლო ქალები სულ არ უნდა ლაპარაკობდნენო, მიაჩნდა /ინა მომაკვდინებელი ზზამითაა ხავსე. ადამიანთაგან არავის შეუძლია მისი მოთვინიერება/.

— როგორა ხარ? — გამახვილდა ფერმკრთალი.

— რა ვიცი... შენ რა კარგ გუნებაზე ჩანხარ...

— ხდება ხოლმე, უუაზვიათესად... სამსახურიდან მოხვედი?

— ხო, — მეკვე ხმით დაუდასტურა. — სამსახური, თორემ... გუშინ ხელფასი ავიღე, დღეს ხურდებს ვითვლი. ჰმ, სული ამომხადა ამდენმა უფულობამ.

— ...ახალი მითხარი..

— ბინის თაობაზე ვიყავი იმასთან...

— მერე?.. გაფაციცდა ფერმკრთალი.

— ეჰ!... ღატკაკის შვილის დაწინაურებას უცხოტომელი ბელადი გერჩივნოს... ჰმ! ფული რომ მჭონდეს, ნორმალურ სამსახურს ვიშოვნიდი, ცოტას მოვითქვამდი სულს. ბინასაც ავიშენებდი. ახე კი არასოდეს მეღირსება... ზოგჯერ ისე გავბოროტდები, მზადა ვარ ყოველგვარ დანაშაულზე წავიდე!

— თე-მ! შენ — დამნაშავე? ასეთი პატიოსანი და კეთილშობილი. — მიეფერა. — ცოლი რომ მოგეყვანა?..

— ცოლი?! რო-გორ! სად!? ალელდა. გაღიზიანდა. ამხანაგს ხამშობიაოოდან თავისი შვილის გამოყვანა სამსახი მანეთი დაუჯდა, — გაავებით თქვა.

პირკატა (პრველად გაეგონოს, თითქოს!). ვაეი კი იჯდა წაშლილი. მწუხარება ღვენთავდა ცხვირის ფერდობზე. ფერმკრთალი გამალებით ეძებდა სიტყვებს, ალაპარაკდა:

— „შენ, ნებისყოფა დაგკარგვია, ჩემო კარგო. ვაეი კი, უნებისყოფო, საშინელი სანანავია. თქვენ, თემო, უზენესმა უმაღლესი მისია დაგაკისრათ — ყოველად ძლიერების. შენ კი როგორ დაშლილხარ და დაძაბუნებულხარ.

— დავიღალე! /ინტელიგენტი/... ბოდი, ზურგზე დამაწერე: მათხოვარი /ნარლიყი/. და თუ სხვაგვარად მოვახერხე ცხოვრე-

ბა, მაშინ — უსინდისო. გაღიმება სცადა. დაეჯღანა სახე.

ფერმერთალს კი მზერა გაეყინა /მახვილი/. თანაგრძნობამ დააზრო. გადაიხარა. და ზურგს შეეხო ტუჩებით თბილით.

— რა სიმშვიდეა შენთან... — ნეტარებით ამოოთქვა ვაეშმ.

ბიძაშვილთან მიდიოდა. სადარბაზოში ელდით შედგა. გათიშული სახეები. დაცლილი შარიკი. უაზრო მზერა.

— შემო, შემო. იცი, რა კარგია ჩვენთან?.. არა, დათო?

— მაშ!.. — სავსე ქმაყოფილება. მიმკლკანი სულის ლაბირინთებში. მანვე განაგრძო: არა, ბიჭო! ის შენი დუნე ცხოვრებაა კარგი: ჯამა — სამსახური — სახლი — ძილი. მკვდარი სიცოცხლე. ჰი, ჰი, ჰი... ერთი ჭკოსე ამას, თუ იცის ვინ არის, საიდან მოვიდა.

— მაიმუნიდან, ჰრრ. არადერიც არ იცის. მისი სახელისა და გვარის მეტი /სავლავის ეთიკეტი/. ჰრრრ. მონა ხარ, მონ!

— სად მიდიხარ? რა უნდა გააკეთო?

— იკითხოს გაზეთები. უყუროს ტელევიზორს... მოიცა, როგორა თქვა ის, რომელიღაც გენიოსმა? „ტელევიზორი მსოფლიოს ას მილიარდ ლენჩად აქცევსო“ (ჰრრ). ჭკვიანო, თავი არ გტკივდება?

— თქვენ უაზროდ ხართ... — შენიშნა ფერმერთალმა.

— არა, გათიშული, — დაუკონკრეტა პირველმა. თუმცა, ზოგი თვითონ ითიშება, ზოგს თიშავენ: „თიშ!“ რ ო - გ ორ მ ე-ზ ი ზ-ლ ე ბ ით!

— მე. ...გაოცდა ფერმერთალი. გული აუჩუდა. დაუმსახურებელი წყენა.

— ხ ა ლ - ხ ი!

ფერმერთალი თვალებში ჩაამზერდა.

სულები. სულები. დატყვევებული მათ ცოდვილიან ხორცში. ქვაბი. სიმყრალე. ფუაააა! მაწამებლები. გულს ურევთ მათივე ყოფა+მათ მსგავსთაც. აი, მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭი, როგორც ულრის სიძულვილს ორკეც... იდგა ჩამომტრალი. და (რაღა თქმა უნდა) ხელებდაშვებულიც. როგორც თანამემამულე ყველა /თავისუფალი მონა/.

ფერმერთალი ბრალდებით მისჩერებოდა მათ უბალნო შუბლს. ჭკიცხავდა: ჰო, თქვენ მორფი იკეთეთ, ილოთეთ, სოროში შეძვერით. მანქანებით კი თავაწყვეტილი იქროლეთ („ვაეკაცობა“), თავი გასწირეთ და სხვაც ბევრი შეკმენით ამოსაცმობ გვამად. თქვენ, გულის გამგლეჯი ყიეინით, მოედნებზე ინფარქტი დიმართეთ („პატრიოტიზმი“). უაზრო კინკლაობაში ერთმანეთი დახოცეთ. უსაკმო ლაყბობაში ალმ-ათენეთ. სკამის ჭიად და ფუფუნების ჩრჩილად იქეცით და სხვებს უთხარით: მეზიზღებით!

თქვენ ოჯახები დაანგრიეთ, უნუგეშოდ დაჯდეთ ცოლ-შვილი. ჯაბასა და დროსტარებაში ჰპოვეთ მიზანი. დადონდლოვდით. აზრები კი გაწუხებთ, ალბათ, ნათელი, მაგრამ ვაეკაცობა და თავგანწირვას სხვისგან მოითხოვთ. თქვენ კი უსამართლობას ზურგი შეაქციეთ /რა ჩემი საქმეა/. უდარდელებმა, თქვენი მაკინაციური ყოფა ასე განსაზღვრეთ: შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრე /პრინციპი/. მერე „პლანი“ მოსწიეთ და მთი ამოიავეთ ქოსი („პროტესტი“). მგზავრებს ჯიბეში ჩაუძვერით. მოქალაქეთა ბინები გატეხეთ. მარტოხელა ქალი თუ მოიხელთეთ, ნაბუსი ახადეთ და მერე მოკალით /„ქვალი ნათელი“/. მორფის ფულისათვის მშობლები დაეწიოკეთ. საოჯახო ნივთები გაყიდეთ და, გათიშულებმა, ხოჭოსავით მუცელზე იბოხეთ, იბანდალეთ. და სხვებს უთხარით: მეზიზღებით.

თქვენ საკუთარი სახლ-კარი მოიძულეთ; უცხო მხარეში ჰპოვეთ ბედი. სხვად გამრავლდით. საკუთარს უმტრეთ. ახე დაიხარჯეთ...

უცხოელს ჰგავხარ. კომლიმენტი.

ფერმერთალი მწუხარედ დაიძრა. მიადგა კარს. რკინის ჯაჭვნი. ასწია გრძელი ხელი. შავი სიცივე. გაზნიქა თითი. პუმ-პუმ! სტუმარი! „მკვდარი სიცოცხლე“. მზერა დაეფლითა. სათვალთვალოდან დაზვერეს. შეიხსნა კარი. „მკვდარი სიცოცხლე ჰი...“

სათვალთვალო. უზრდელნი. სტუმრობას აჯავრებდა. დიპლომიანი ქურდები. და ყაჩაღები. ბაცაცების ეშინიათ /ქურდის ქურდი ცხონებულია/. ანცი ღიმილი მოადგა. მასპინძელმაც შეჭღიმა /ბრიყვი/.

— როგორ მოხდა!.. გამონახე დრო-ო? ალბათ, ძალიან მოგენატრეთ... აკოცა. შემოდი. არ გაიკვირვო, ოღონდ. ერთი „უცხო“ სტუმარი გვყავს, დედას შორებელი ნათესავი. ახლახან გამოვიდა ციხიდან, მ ე რ ვ ე დ /ტიტული/. საინტერესო კაცია.

ფერმერთალს სული გაეკქცა „საინტერესო კაცისკენ“.

დიდ ოთახში ისხდნენ /პატივი/. „საინტერესო კაცი“ ლაპარაკობდა. ფერმერთალი შეთავაზებულ სავარძელში ჩაჯდა და თვითონაც გასაინტერესოვდა.

— ციხეში უკეთესად ვარ: ყომარი. ჩხუბი (ენერგიას ვხარჯავთ). არც ქალებს ვხაკლისობთ... მოკლედ, ჩემს სტიკიაში ვარ. ვცხოვრობ, როგორც მინდა. — გაიზმორა. განგარძო: — ჭვეყნიერებას განმგებელი მაინც არა ბყავს /ყველაფერი ნებადართულია/. გარეთ, დანაშაულის მეტი რა უნდა გავაკეთოო... /გადახრიოკებული გული/.

ბრტყელთავა, თმიანი შუბლი. გაბიერი, სქელი და გრძელი წარბები. მოუსვენარი, სხვადასხვაგვარად მობრიალე თვალები. ჩაღრმავებული სახე. მრეგდე, გაბიერი და პატარა ცხვირი. დიდი, გადაშლილი ყური (ფერმერთალი ცალ ყურს ხედავდა). სქელი, ხორციანი კისერი. უფერული, მოკუმული ტუჩები. მრგვალი ნიკაპი. მოკლე მკლავები. კოტიტა და მსხვილი თითები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე ფრჩხილებით. წითური სახე. წმინდა ხმით ლაპარაკობდა /მოწყენილობა, ეკვი/.

— თქვენ „ფედონი“ წაკითხული გაქვთ?..

— არა. რა არის?.. — ხმამ გამოაცოცხლა. მოლურჯო თვალებში გულკეთილობა და ერთგულება ეკითხებოდა.

— გითხოვენ, თუ წაიკითხავთ...

— თქვენ ვინა ხართ?..

— არავინ... — დაიმორცხვა ფერმკრთალმა.

— ეს ჩემი ძმიშვილია... ხომ გაგაცანი...

— კი, მაგრამ... — შესცქეროდა კაცი და ამაღლებდა რაღაც. უჩინარი სიწმინდე. სული უნათდებოდა. ხამად განიცდიდა. გადახვეწილი.

— ადამიანები სიკეთისათვის ვართ გაჩენილნი... — თქვა ფერმკრთალმა. და კაცს ირონია აუსხმარტალდა. ქალიშვილს ცერად გახედა. ხედავდა: გამეკრილვალე სიწრფელეს. სუფთა, კრიალა თვალებს... ის ირონია განქარდა. მთლიანად მოიცვა ამ სახემ.

ფერმკრთალმა თმაზე შეხედა. არ ჰქონდა თეორია. იმედი. სახე ღიმილმა გაუნათა. ციმციმი.

„საინტერესო კაცსო“ პირველად ჯოჯოხეთად წარმოედგინა ციხე. და როცა პირველი დანაშაული ჩაიდინა, გაქცევა სცადა.

— ..არც ისე საშინელი ყოფილა... შეგუებით თქვა კაცმა.

ერთი და ჰაკვე. არასდეს აზსენებს. გულის გულში კი მარად უკრთის უმწუხრესი ფიქრი. მისი ციხეში ყოფნის დროს, ცამეტი წლის გოგო, უპატრონოდ დაიგულა უბნის პირუტყვმა და...

მიუზღა. მესამედ, სწორედ მის გამო მოხვდა იქ. მკვლელობა კი პირველი საქმე იყო. მეორედ გაუადვილდა, — მილიციის მუშაკი მოკალა.

— ამ ცხოვრებაში ან მხეცი უნდა გახდე, ან — მონა.

თქვა კაცმა. და, მოულოდნელად, სინანულმა ყურებამდე ღრმად ჩაუხაზა სახე. მარჯვენა ლოყაზე ნაკვთი ოტოკდა. ნაფელილი ჩამოქცდა. უნებისყოფობის გამო. მოუთმენლობის გამო. სუსტი გონების გამო. უხერხემლობის გამო. დატირება.

ფერმკრთალი შეძრული მისჩერებოდა. გული თანაგრძნობით აევსო.

გეცოდებოდეთ დამნაშავე!..

ცრემლით ითხოვდა.

/ბუნება ყველა ადამიანს ქმნის კარგებად და თავისუფლად. საზოგადოება, შემდეგ აქცევს ზოგიერთ ადამიანს ბოროტად. უბედურად, სხვაზე დამოკიდებულად. მონად/.

...

— აბა, დათო, რა გვაქვს გაკვეთილად დღეს?

— „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთის სოფლის მეურნეობაში“, — ამოღერღა და ჩამაკიდა თავი.

— ესე იგი, არ იცი. მიუხედა მასწავლებელი. რაც იცი, ის მომიყევი, ბატონო. — კოშმარი. მესამე მეოთხედი იყო.

— რაც ვიცი-ი?! — გაბრწყინდა მოსწავლე. — ახლინძის ომზე მოგიყვებით. ან კრწანისის...

— დაეგდე! მომინდომა აქ ზღაპრების მოყოლა.

მოღუშული სახით დაჯდა. დაიბოღმა. აღარც მომდევნო გაკვეთილზე ელოდა უკეთესი.

— ლექსი „რკინიგზა“ ნეკრასოვმა დაწერა 1...8...64... წელს. ლექსის თემაა.. თემაა... რკინიგზის პირველი მშენებლობა... პეტერბურგ... მოსკოვის მაგისტრალზე.

— განაგრძე! გაბედავ, მორჩი კარნახს!.. შეაცოდავო, იცოდე მაინც, წიგნიდან რომ კარნახობ. დახურე წიგნი!

აღარ კარნახობდნენ და აწრიალდა. მერხის უჯრიდან წიგნი გადმოუვარდა. უმალ დასწედა.

— მაჩვენე! მიეახლა მასწავლებელი. დახედა. აჰ, „დ ა თ ა თ უ თ ა შ ხ ი ა!“ ამის ბაკითხავად კი გცალია, ხომ? (მართლა დიდი დრო სჭირდებოდა. მართალმასწავლებელი). თუ შენი დამრიგებელი ვარ, არ მოგასწრებ მეცხრე კლასს... პროფტექნიკურში გაგამწესებ, პროფტექნიკურში!.. ქრისტესაშვილი, აბრძანდი ერთი! — მიუბრუნდა გოგონას ლიუდმილა ვასილევნა. — რა არის ეს?!...

— ეს... აღელდა მოსწავლე. ჯვარი... — გაუბედავად ამოთქვა.

— აჰ, ჯ ვ ა-რ ი! ეკლესიაშიც დადიხარ, ალბათ. ლოცვებსაც ბუტბუტებ. ს ა-ც ო-დ ა ვ ო! დღეხვე მოვახსენებ კომკავშირის მდივანს. დიეგდე!

ფერი წაუვიდა გოგონას. რეჩხი.

— მასწ., მართალია, რომ ჩვენ მაიმუნისაგან ვართ წარმოშობილნი?

— დ ი ახ, ზურაბ! დარვინის ეს შეხედულება, კაცობრიობის მეცნიერული აზრის საუკეთესო მონაპოვარია. ამ მონაპოვარს თავგამოდებით ებრძვიან ეკლესიის უბადრუკი მსახურნი და, ამის საწინააღმდეგოდ, აცხადებენ, ღმერთმა შექმნაო ადამიანი. მაიმუნის გაადამიანებს...

— ღრნნნ... ღღნღღ... — დაიძრა მოსწავლე.

— ნადირაძე, რა მოგვიდა! გადი გარეთ... გადი გარეთ.

აფუზუკუნდნენ მოსწავლეები.

მასწავლებლები და მოსწავლეები წიოლელ კუთხეში შეკრებილიყვნენ. გოგონა, შემჩნეული რწმენის მცდელობაში, უკანასკნელ ხკამზე მიუყუღლიყო და დათრგუნვილი სახით უსმენდა პროპაგანდისტს, რომელიც „ადაგგებდა“ ახე:

— ბავშვებო, ძველად ადამიანებს არ შესწევდათ უნარი გაეგოთ სინამდვილე. და ამიტომ, მათ მიმართეს რწმენას, რელიგიას. შეთხზეს მითი-ზღაპარი ღმერთის არსებობის შესახებ.

(ბატონო, ბატონო, ბატონო ვენორ?!).

— მაგრამ სულ სხვაა დღევანდელი ადამია-

ნი... — განაგრძობდა ორატორი. — იგი გაერკვა თავის თავში, მიხვდა, რომ თვითონაა თავისი ცხოვრების შემოქმედი. დარწმუნდა ღმერთის აბსურდულობაში.

— რელიგია, ბავშვებო, ერთ-ერთი სახეა სულიერი ჩაგვრისა. რელიგია ხალხის ბანგია. ღმერთი გამოგონილი ზღაპარია (სხვათა შორის პროპაგანდისტს, ბალნიანი ბეჭები ჰქონდა). მოსწავლეთა ერთ ნაწილში, სამწუხაროდ, დღეს-აც გვხვდება რელიგიური განწყობილების მქონე ბავშვები. ზოგი მათგანი ფარულად ატარებს ჯვარს, ეხვრება წირვებს, მონაწილეობს საეკლესიო დღესასწაულებში და ასე შემდეგ. ეს გარემოება ხელს უშლის სკოლაში მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდის საქმეს, მათ შეიარაღებას მეცნიერული მსოფლმხედველობით. რელიგიის მახინჯ, ფანტასტიკურ წარმოდგენებს არაფერი აქვს საერთო მარქსისტულ მატერიალიზმთან.

და იმზირებოდა მოსწავლე წარხოცილი. წითელი ფერი უცხო.

. . .

ტაკსში სამნი ისხდნენ: ვაჟი, დედა და ქალიშვილი. შვილები მძიმედ დუმდნენ. დედამ დავადების საშინელება არ იცოდა და იჯდა უშფოთველი.

— დღეს მთელი დღე გვიჩერებენ, ჩქარა დადიხართო. გაწყალდა გული! მაშ, გეგმას რა ვუყოთ?.. სულ მინისტრის ბრალია, აი! მაგას რა, ჩვენს ხარჯზე პრემია მიიღო; 60 ტონა ბენზინი დაზოგა, ჩვენ კი დღეში ოც ლიტრას გვაძლევს და ორმოცდაათს ვხარჯავთ... ეეე, არ ღირს მუშაობა...

დადუმდა. მოსახვევი. ისევ ალაპარაკდა.

— ერთი ტვინიკოხი მეზობელი მყავს. ნიჭიერი კაცია, აი! უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს, მაგრამ რა!.. ვაჟაო სიმამრის ხელებს შეჰყურებს. მა, ფული არა აქვს და რა ქნას!..

რკინის კარებთან შეჩერდნენ. ვრცელი. მაღლივი შენობა. უსაშველოდ გრძელი. მკაცრი.

კითხვა-კითხვით მივიდნენ მრავალთან. ერთი ადგილი აღმოჩნდა. ძლივს. ბედი. ათასმეერთეში გაამწესეს. პალატაში შელასლასდნენ. დედა საწოლის ძაღიდეზე ჩამოჯდა დაღლილი. კვლავ ლოდინი. როგორც იქნა, ჭუჭყეული დაანყო ხელებმა. მანვე გაშალა.

— ნესტანია ცოტა... — ბოდიშით თქვა.

დაგლეჯილიც... — ქალიშვილმა ავადმყოფებზე მიმოატარა მზერა /ბოგანობი/. აგლეჯილ ლინოლეუმსაც დახედა. დედა ხვედრით დუმდა.

სანიტარი ლოგინის გასწორებას მორჩა. შვილებმა მადლობა გადაუხადეს. იგი კი ფეხმოუცვლელად იდგა. შვილებს უკვირდათ. უვიცნი.

— ფული უნდა... ავადმყოფებმა ჩურჩულით უკარნახეს. შეატყვეს, გამოუცდელნი იყვნენ, რადგან. „გაანათლეს“ სულ: „ფული უნდა“ „ფული უნდა“. „ფული უნდა, ყველას!“ ახა!

გაკვირდნენ: „აკი უფასოაო?..“

— ამდენი სადა გვაქვს... — ქალიშვილს ალმოხდა.

— მამას ვთხოვ. საშველი. გაჩქარდა ვაჟი. მამა შინ დაუხვდა. გაუხარდა. მღელვარედ ამცნო გასაჭირი. მამამ უსიამოვნო დუმილით უმინა. მერე თქვა:

— რა ვქნა... მე ჩემი ოჯახი მაქვს... ბავშვების მუსიკის ფული... ბინის ქირა... ის ბინა ხომ თქვენ დაგიტოვეთ. ალიმენტსაც გიხდით...

ვაჟმა კარი გამოიღეწა. ქუჩაში იწრიალა გულგაგლეჯილი. რა უნდა იქნა?!.. სასოწარკვეთა. რაა? „ბიძია...“ /ბავსი/. გასწია მაინც. ალუღლუღდა იქ. კაცი გაიხსენა (ცოლი). ბიცოლამ კი უთხრა ასე:

— სადა გვაქვს... რომც მოგცეთ, როგორღა უნდა ჩაგვასესხოთ?..

მკვდარივით მოდიოდა. ქუჩის ხმაურმა დაძაბა. მთლად აირია. გზები. თვითონ კი იდგა /ბორკილები/. არსად ჰქონდა გზა. არც საავადმყოფოში. არც სახლში. რა გააძლებინებდა იქ? სად უნდა წასულიყო?. სად?..

უაზროდ იდგა (სხვათაშორის ნაცნობი თანატოლის სახლთან). ვერ ამჩნევდა. აღარც დრო იცოდა. გვიან გამოიხედა აზრით. უჰ! ქუჩა გადაჯვრა. რამდენიმე კერძო ბინა გაიარა. ბელეტაჟიან სახლთან შეჩერდა, ფიცრის ჭიშკარი ჭრიალით შეაღო. ქვის მოკლე კიბეზე ავიდა. მარტო იყო ამხანაგი. გაუხარდა. მოიკითხა. დივანზე დაჯდა. დასვენების სასიამოვნო გრძნობამ გული აუჩვილა. ამხანაგს შეკითხვაზე მძიმედ გაეპასუხა.

— რა უგუნებოდ ხარ... — შენიშნა ამხანაგმა.

— დედა მყავს ავად...

— ავად?... მერე, რა. კარგად იქნება...

უვიცურმა პასუხმა ბრაზი მოაგვარა. დასუხული მზერით შეხედა. და უცემ, თაროზე ყულაბა შენიშნა. მზერა მიასო. წრიალი. აცეცდა. მღელვარება დაიოკა. ჰკითხა:

— ფული არა გაქვს? მასესხე...

— მე, სიდადს!..

ქოშინით მორბოდა. ყულაბა უბედან ამოაძვრინა და სწრაფად გადაატეხა. მღელვარედ ითვლიდა.

ხუთასი მანეთი!

გაკაცდა. შიშიც უკრთობდა გულს. მონანიებაც. მაგრამ, დ ე ვ ა!... მოდიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. ჩაგლეჯამდე, გაყინული შუბლით.

— ...ჯერ სითხე უნდა ამოვჭაჩოთ. მერე, ქიმოთერაპიას დავუნიშნავთ... ვფიქრობთ ოპერაციასაც. — უთხრა პალატის ექიმმა.

შეიყვანეს დედა /ოფთონ შუასკენელი/. „ნუ გეშინიათ“, ბაცი ღიმილით მოხედა შვილებს. კარი მიხურეს და შიშიც აფფრფვინდა /ფრფლები/. კარს მოკრული წყვილი თვალები. ბუნ-

დოვანი სარკე. ნისლი. ნისლი. გული ელეოდათ. ექიმს ანდეს დედა /პაციენტი/.

საპროცედურო ოთახში უცხო ხმამ მარცხით შეჰკივლა. და შვილები აწრიალდნენ. შვენითაც გააქტიურდნენ. ნაბიჯებისა და ინსტრუმენტების ოპერატიული ხმაური.

ნაწილავი გაეხვრიტა ექიმს.

წითელი ნაკადული. განგაში. ოპერატიული ზომები. პროფესორს მოუხმეს. შვილებმა, რა შეიტყვეს, მაშინვე დაცხრნენ. დამშვიდდნენ. მაგიური ფარდა. გაცინებაც შეეძლოთ. გაუცხოება. მოძრაცი ხალათები. შვილები მარტივი ცნობისწყდილით იმზირებოდნენ. გულის-გულის ულრმეს კუნჭულში კი ჩაჭრილ შიშს იგრიებდნენ, ,,აარრ ჭმონებდნენ.

გამყინავი სიჩუმე. სასწრაფო გადაწყვეტილება — ოპერაცია /რისკი/.

მაგიდაზე გარდაიცვალა.

უმწეოდ და ობლად იდგნენ. თავებზე ლბილი შეხება იგრძნეს. სიამე. მწუხარებით თავჩაბრილებმა კვირვებით ამოიხადეს. უცნობის ღვთიური მზერა. სახე სათნო და სიკეთით სავსე. ფერმკრთალი.

ხელის გულით ცრემლი მოსწმინდა. და ობლების თავს მიადო თავი.

— ნუ გეშინიათ... /ხიდი/.

— ოპერაცია, ტექნიკურად, მაღალ დონეზე ჩატარდა. ჩვენ ვეხსწრებოდით გვამის გაკვეთას. არავითარი დარღვევა. ჩვენ არაფერი დაგვიკლია.

— იმდენი სითხის დაკარგვის შემთხვევაში, რამდენად დასაშვები იყო ოპერაციაზ?..

— ნუუ... საკირო იყო.

სხვა გზა არ იყო.

— ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ ხოლმე ავადყოფთა გადასარჩენად. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ხად მოვიგებთ და სად წავაგებთ.

,,არ ვიცით სად... სად...'' (??). პროფესორი. განთქმული, თანაც! სახელი. ტიტულებით განმტკიცებული /ზურგი/. სახელმწიფო პრემიის ლაურ. /ლა-უ-რაააა!.. არ ატერო, რაფაელ/. აღიარებული ოპერნიკით. მავნებლობა, აქ.

— ესე იგი, ჯერ კიდევ ,,ბნელი ტყეა'' ონკოლოგია.

ხოლო, ვიდრე განათდება: დისერტაციები. დისერტაციები. ექსპერ. ეკსპერ. (შენც უშველე, ღმერთო!). ცენტრები. ცენტრები. ინსტიტუტები.

ხოლო, ვიდრე არ განათებულა: ხელის მოთბობა დაავადების ენერგიაზე (დაფასებულია ქირურგია). ენერგია კი მძლავრი, მასშტაბური. თუ გაუმართლდათ ერთი წლით, ან მეტით, ან თუ არც ერთი დღით, მაშინ? ასე: ხომ იც (ოდ)ით დიაგნოზი... შემოშავებული პასუხი. მოსაკეტი.

— ოპერაცია რომ არ გაგეკეთებინათ?..

— სხვა რა საშუალება გაგვაჩნია: ოპერაცია-ქიმიო-სხივური თერაპია.

— მაგრამ, რამდენადაც პრაქტიკულად დასტურდება, ამ ორმა უკანასკნელმა მეთოდმა არ გაამართლა. რადგან ესენი, არა თუ [illegible] სიმსივნეს, არამედ ვერ აფერხებენ მის პროგრესირებასაც. ამასთანავე, სპობენ მთელ დასმცავ უჯრედებს ორგანიზმში. ხოლო ოპერაცია, მიუხედავად მისი ,,ლოკალურობისა'', ავთვისებიანის შემთხვევაში აჩქარებს სიკვდილს. უმრავლესი შემთხვევა.

— ჯერჯერობით, მთელი მსოფლიო ამ მეთოდებით მკურნალობს. საერთოდ კი, დადებითი ეფექტი დამოკიდებულია ავადმყოფის ორგანიზმზე და დაავადების ხასიათზე, რამდენად დაემორჩილება იგი მკურნალობას.

/თეთრი ლაჯა/.

— კეთილი. ახლა რაც შეეხება ექიმის მორალს...

— ჰმმ... შეგაძულებენ მუშაობას. — ჩაილაპარაკა ექიმმა. — ჩვენ ა დ ა მ ი ა ნ ი სიცოცხლე გვაბარია. ა მ-ხ ე ლ ა პასუხისმგებლობა გვაკისრია, იგულისხმა.

— მაგრამ, ვთქვათ, მე მინდა უფრო ღირსეულად დავაფასო ექიმის სამსახური, ვიდრე ის სამარცხვინო ხაზღაუური... ახეც რომ არ იყოს, რამდენად მორალურია ისეთი უიმედო ავადმყოფებისაგან ფულის აღება, როგორიც კიბოთი დაავადებულნი არიან?..

— იმაზე უხერხული და შეურაცხმყოფელი არაფერია ჩვენთვის, ვიდრე ავადმყოფებისაგან ფულის აღება...

ჰოოოო. — ფერმკრთალმა მზერა აიაცა მაღლა. სხივი ჩამოადნა. მოეახლა ფიქრი: კუჭი რომ არ გვქონდეს, რა კარგები ვიქნებოდით! ან, კუჭის მაგივრად, რომ, აპარატი რაიმე... /ყოველი სიკეთის საწყისი და ფუძე არის კუჭის ნიამოვნება (თითი დაუქნია ეპიკურემ). სიბარძნეცა და ყველა სხვა სათნოებას მასთან აქვს კავშირი/. ჰო. კარგი, კარგი. ფერმკრთალმა გაუღიმა მედეას და ეხუტა. ნახვამდის, თქვა და უეცრად აუჩვინდა გული. რომელსაც მოჰყვა არასტრიოზულობა ფრიადი. თავზე ხელი დაუკავებინო გადაუსვა ბატონ პროფესორს. და მერეც (გზაზე რომ მოდიოდა) უკვევინებდა სურვილი, გაეჩერებინა ყოველი ჯერის თანამედროვე და მათთვისაც ასე გადაეხვა ხელი.

არასტრიოზულ გუნებაზე იყო ფერმკრთალი.

...ნაძირალა არ უნდა იყო. შეცდომა ან უცოდინარობა, თუნდაც, დასაძრახ-გასაკილი არ არის (წინ გრძელი გზა ედო და თავის თავთან ბაასობდა ფერმკრთალი). სინდისი უნდა გაგაჩნდეს, უ ნ დ ა! გეკნაჭნიდეს მაინც! გადაკეკვითო, იკვედრებიან და არაფერი, ისეთი. მოვალეობა მოისროლეს და ამიტომ. ფულს უხდი და მაინც იკვედრებიან ამიტომ. მადლიერება კი მხოლოდ უ ა ნ გ ა რ ო ბ ი ს შემთხვევაშია შესაძლებელი.

აჰ, რა ძვირფასი განძია პატიოსნება! როგორ ანათებს. აჰ, აჰ, რა დავკარგეთ? პატიოსნება. სიწმინდე /არანორმალური მდგომარეობა/. აჰ! ჰმ!..

— ტელევიზორი გამიფუჭდა და გიჟივითა ვარ სახლში...

მკვეთრად მოუხვია ავტობუსმა.

ოო, დიდი უბედურება სწვევია ამ ოჯახს. თუ დებილად ყოფნას გიჟად ყოფნა არ უჯობს (შმაგი თუუ... ოო, მით უმეტეს!). დიდი უბედურება სწვევია.

— როგორი შორმხედია, ბატონო, თქვენი? — დასაინტერესოდა ფერმკრთალი.

— ფერადი!.. — ალტაცებით მიუგო კაცმა.

— ოო, რა სჯობია ფერადს. ყურება ფერადში... დიდი უბედურება გწვევიათ... — უთანაგრძნო.

— აბა! რამდენჯერ მოვიყვანე ხელოსანი, ვერ აკეთებენ ფერადს. უნდა გავყიდო!

— თუკი არ ვარგა?.. — გაოცდა ფერმკრთალი.

— შევაკეთებინებ და გავყიდი... გარანტიის ვადა გაუვიდა, თორემ მაღაზიას დავუბრუნებდი. მე რატომ დავზარალდე!

ფერმკრთალი გაოცებული მისჩერებოდა. კაცს გადაწყვეტილება ესახა მტკიცე. იზამს ეს, ყველაფერს, თვითონ რომ არ დაზარალდეს. აფუჭუს, რა დავკარგეთ? ამ! მოხედა ფერმკრთალმა ისევ. გაუღიმა.

— თქვენ პროდუქტი ხართ...

— ა, — გაიოცა იმან. სასურსათოსკენ გაექცა აზრი.

მიხვდა ფერმკრთალი და ხალასად გაიცინა. იმას უსაშველო ბუნდოვანება ესახა. უმზირა ფერმკრთალმა და გადაუსვა იმასაც ხელი. კაცს ეამა თითები რბილი. გაიკრიჭა...

ფერმკრთალსაც გაეღიმა: თანაგრძნობით. მწარედ. ამ! ალმოსდა კვლავ.

უკან რჩებოდა მწვანე ნარგავები. არყის ძელსკამები. ჩრდილები. სუფთა ბაღ-კაკერები. ვარდები /სილამაზის შეჯიბრი/. ფერების ამბორი. კოილდრების სინაზე. ლამაზი მოჩანდა ქალაქი. მზის სხივებში მოოკავი. რიტმი. ცათამბჯენები. ქალაქში ქალაქები. მანქანების მდინარე. ხარაჩოები. ისტორიული ძეგლები. პიროვნებათა ძეგლების სიჯარბე. გენის დაფასება. მარმარილოს სასიფლაოები. მიცვალებულთა კულტი. არქიტექტურული ანსამბლები. ბაგრამწვეები. შენების ფრთები ესხა ქალაქს.

რა სილაღეა. რა სიმშვენიერე /ტურისტი/. ადამიანებიც რა ლამაზები მოჩანდნენ. რა კეთილები. რა ბედნიერნი. ნეტარების აპოლოგია.

ავტობუსმა რბოლა შეწყვიტა. ბოლო გაჩერება. ფერმკრთალს მოწყენილობა ეწვია ისევ. ნაღვლიანმა ჩამოდგა ფეხი მიწ. (ოხ!) გზაფენილზე.

გულდაწყვეტილი მოდიოდა. რაღაცას ხმიანობდა გულში. ხასიათი. დუმილშიაც არ სჩვეოდა დუმილი.

უცნაური ჩაცმულობის ქალმა ჩაუარა. მობედა ხაოცრებას /გიჟი თბილისი/.

ტროტუარზე სარეველა ამოზრდილიყო. ალშფოთდა ფრიად. აქაც ამოდი?! შე ურჩო! შენ... და უგუნურო! რომც ყელყელობ? ა-ხლავე მოგთხრი!.. გადაიხარა. მაგრამ, დაჯყენებია ისევ. ალარ წაგართმევ დარჩენილ დღეებს. უმოკლეს დროში, ხუთერთიკ, თვითონ მოკვდები. განაჩენი. გადაფიქრებით გასწორდა წელში. იქვე, ბაზონში ბავშვები იდგნენ და თამაშობდნენ ასე:

— შენ ხარ იარაღი. მე ვარ ტანკი. მიდი და მტრედები დაარბიე!

— ცოდონი არიან!..

— რას ქვია! — დასჯექა ძლიერმა. — მე ჩემი პოზიციები უნდა განვამტკიცო. მიდი! თუ არ დაგმორჩილდნენ, მომახსენე და ტანკით გადავუვლი. აბა, იარაღო, თუ იყოჩაღებ, დაგჯილდოებ!

ხუსტი გაიქცა ჯილდოს ელოდა.

— ეგ რა თამაშია! — ჩაერია ფერმკრთალი. — მამობანა ითამაშეთ. ან ვაუკაცობანა.

— ეგ რაღაა?..

— არ იცით? მოდით, გასწავლით!

ხუსტს უკვე იარაღი ეპყრა და მტრედებს მუსრავდა.

„უნდა ვუშველო!“ — გაჯიუტდა ფერმკრთალი.

— მომისმინეთ... შეგონებით მიუახლოვდა.

— არ მოხვიდეთ, თორემ თქვენც გეხვრით!

ბაბ! ბაბ! ალტაკნება. ეონი. აზარტი. ჯინჯილების სახალისო ყელრილი. ბრუალი. მარტივი განტოლება. ამოცანა დიდი /მიზანი ამართლებს საშუალებას/. ძლიერს თვალებში ზეიმი ედგა. არაბავშვური. რაღაც საზიზღრული. ვერაგი! სილა გაავნა.

— წადით ზღაპრებში! — დაუტაკანა.

თუმცა, რომ გადმოვლენ, მაინც... უსაშველობა. მასიური რკინით იყო შემოწყლეფული. თუ ბიჭი ხარ! გაინძერი! გადრიკა. გალუნა, მაინც ამბ! აზროვნება /ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ, — Cogito, ergo sum/. და თუ ვარსებობ, მაშასადამე ვერ მერევი. რადგან ვაზროვნებ. უძლეველია რენე! გონი — ყოველთა წინაღე: სხეულთა. სულთა. კოლოფსა წიალ. თუ ბიჭი ხარ, წამართვი! მა-მა-მა-მა, ამბ!

არც დამანახოთ სისხლი.

ხოხბ! მოგართმევენ ვარდს ბროლის ვაზით. დაკრიფე! დაგჩხვლიტა? ბუნებრივი კანონზომიერება. არსებობს ისტორიულიც. ამბ!!! „არ დამანახოთ...“ მა-მა-მა, ფა-კი-ზო! ცისფერ ხაფენში გახვეული კნუტი, მი-ავ /ხმა უდაბნოსა შინა/.

მეც მიყვარს თაფლი.

მოდიოდა. მოპყვებოდა ფიქრი: შვილი. კალთიდან რომ მოგცილდება, ალარ არის შენი. ალზარდე, რამდენიც გინდა. გარეთ მაინც საზოგადოება ხარშავს შენს მიერ რუდუნებითა და ინედით ჩამოკნილ მის სულს, მის ზნეს, მის მორალს, თავის ყალიბში აქცევს (მაინც). ტუ-

ილია. ამაო ბრალდებაა. არც ოჯახში ყალიბდება მომავალი ადამიანი და არც სკოლაში. საზოგადოება. საზოგადოება. ხოლო იგი კლიმატია. რომელიც არც სკოლას ეკუთვნის და არც ოჯახს. სხვა სფეროა. უფრო მაღალი საფეხური. სკოლას და ოჯახს შეუძლია ხელი შეუწყოს მხოლოდ!

ეზოში შეაბიჯა. მეზობლები შექუჩებულიყვნენ. სახეებს აზრით გადაურბინა. რეჩხი. იკითხა.

— რა მოხდა?

— ბაბო...

გაიხედა. სინათლე ენთო.

— დ ე -დ ა'ა!. ამოსდგა.

უშვილოდ მოკვდა ბაბო.

კუბოს არ გვაძლევენ... — თქვეს მეზობლებმა. — ხაბუთი უნდაო, პოლიკლინიკიდან.

— ხაბუთი?.. ვერ გაერკვა. — მერე?..

— პოლიკლინიკაში აღრიცხვაზე არ ყოფილა. აგერ, მოვიდა ექიმი!

თავები მიაბრუნეს. იმედი. ფერმკრთალმა — გაკვირვებით. ხაბუთი... ვერ ერკვეოდა.

— კი მაგრამ, ახეთი ახალგაზრდა გოგო ხარ. ასეთი მოხუცი მეზობელი გვერდით გყავდა. არ იცოდი, რომ ხაჭირო იყო მისი პოლიკლინიკაში აღრიცხვა? — დაეტაკა ექიმი ფერმკრთალს /შარო, ხაიდან მოხვალო/. ჩუმად მაინც გამოგეძახეთ. ან, თ ვ ი თ ონ რ ოგორ იყო უეკმოდ. — მიუბრუნდა სხვებს. თავის სიცოცხლეში ერ თ ხ ელ მაინც არ დასჭირდა? გულით ავადმყოფი კი ყოფილა...

— მას არ სწამდა ექიმი... — გაიხმიანა ფერმკრთალმა.

ბაბო კართან დაგდებული უნახავთ მეზობლებს /ცელი/. სინათლე ენთო. წინათგრძნობა. აღსასრულის ჟამი. არ უყვარდა სინათლე. გარეთაც იშვიათად გამოდიოდა. შეგუებული, დაგირავებულ ნესტს და სიბნელეს. არავინ აკითხავდა. მარტოსული. თვითონაც არავის აწუხებდა. სიბერის ხაზგასმული რიდი. „ვის სიამოვნებს მოხუცი“, ტკაცდა. ჩუმად ცხოვრობდა.

ფერმკრთალმა მისი სახელი არ იცოდა, მოფერებით ეძახდა „ბაბოს“. და არც არაფერი იცოდა მასზე. ამ ეზოს ძველისძველი ბინადარი რომ იყო, ეხეკ სახლის პატრონისგან გაეგო. რომელიც ხშირად წუხდა: ვეღარ მოვიცილე. მაშინ, რაღაც რვაასი მანეთი მომცა გიროდ. ახლა ამ ოთახს ხუთი ათასად დავაგირავებდი. ან, სულაც გავაჭირავებდითო. ზარალი. ბაბოს სიკვდილი რომ გაუგია, სიხარული ვერ მოუთოკავს. ხარბი. ახლა, სირცხვილით გარეთ ვეღარ გამოდის. მხილებული.

ბაბოს დღესასწაული არ უყვარდა. განსაკუთრებით, ახალი წელი. „რა მოაქს, სიბერის მეტი“. დაბადების დღეების აღნიშვნა უდიდეს სიბრიყვედ მიიჩნდა + წლები ≈ სიკვდილთან. პანიკური შიში.

რას ასცდებოდა!

ფერმკრთალმა სინათლე გამორთო და დიდ თაფლის ხანთელს მოუკიდა /მონახტერი/. ალაბ ჰკონდა ბაბოს შეწუხებული სახე. დასვენების ჟამი.

. . . .

ქარხნიდან ლასლასით გამოაბიჯა ქალმა. გაჩერებას უსწორდა. მესამე ავტობუსში შეიჭედა. ბედნიერება. გამძლედ იდგა ცალ ფეხზე /ბატი. წერო. ყანჩა/. ხმამაღლობა. რა უბედურებაა! სადაც სჭირდებათ ჩურჩულიც შეუძლიათ.

— არ არის საშველი, უნდა მოკვეთონ თითები დამნაშავეებს! ხულელები კი არ იყვნენ ჩვენი წინაპრები. სხვანაირად ვერ გამოასწორებ, ვერა! არ გამოდის...

— როგორ გეკადრებათ!.. /რამდენად განვითარებულია საზოგადოება, იმდენად ჰუმანურია კანონები/.

— არც არაფერი გამოვა...

/კანონები, რომლებიც არაფერს სცვლიან/.

— როგორ გაფუჭდნენ მასწავლებლები!

— სხვაგვარად ვერ იცხოვრებენ და რა ქნან...

— კი მაგრამ, ნამუსი?!

ნამუსი? — აიკვეტა ყურები ფერმკრთალმა. — ეგ რაღაა?

— ქართველები, გამრავლების დონით, საბჭოთა კავშირში უკანასკნელ ადგილზე ვდგავართ. შობადობა, თურმე კატასტროფულად მცირდება...

ჰოს! ქალი — ტრაკტორზე. პროგრესი. „დემოგრაფიული აფეთქება“ შენელდა. ცივილიზაცია. დედაქალაქი გაიზარდა, „გ ა მ ი ლ ი ო ნ ე რ დ ა“. ურბანიზაცია. ათასი ჯურის ჩამოხეტებულთა და სოფლების დაცლა-შეთხელების ხარჯზე. მიგრაცია. უძველესი პრობლემა. და მარადიულიც /ჭარავნი/. მრეწველობა! მრეწველობა! /რაც უფრო ხალხმრავალია ქალაქი, მით უფრო სწრაფი ტემპით იზრდება იგი/ მიგრაციის შუქჩრდილები.

— რა ქენი, დისერტაცია გადაათარგმნინე?

— ნუ გამახსენებ! იმდენი დაწერაზე არ მიწვალია, რამდენიც მის გადათარგმნაზე...

— რა საჭიროა... რა ხდება... ვერაფერი გამიგია.

ძნელია, ქვენა აზრებს. მაგრამ უნდა... აზრია. აზრებს... /გვირისტი/.

— ჩვენი ჭიკიკიას შვილი, ოცდათორმეტი წლისაა და უკვე დოქტორი გახდა. დაიარება ახლა ნაადრევად დაბრძენებული. ნიჭიერია, ვითომ?..

— რა შუაშია ნიჭი, მთავარია ენერგია!

— ააა... — გონს მოეგო პირველი თანასოფლელი.

რეკორდსმენი ტიტულომანიაკები.

— როგორც იქნა, შევაგროვე „დუბლიონკის“ ფული... — ძლიერი მოთხოვნილების იმპულსი.

— ისე დავბერდი, ვერ ვიიმე... ჩიოდა ორმოცი წლის კაცი.

— ...უფროსო, ახალი მილები კი არა, ძველიც ტყუილად ჩაუყრიათ, სათავეში არაფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაა მიერთებული-მეთქი, ჩემი თვალებით ვნახე. წყალი რომ არ მოდიოდა, დავინტერესდი, გავთხარე და ვნახე. მან კი, შენ რასაც გავალებენ, ის გააკეთო, მკვახედ მიბრძანა, და ვიღებთ და ვაწყობთ იმ ხიგრძე მილებს. რისთვის?!.

— ერთი მოვიწყოო, თუ კაცია, ნუ მიყიდის მამაჩემი შეპირებულ მანქანას!

— ...არ მაინტერესებს, რას ამბობს ასი, მე მაინტერესებს, რას ამბობს ათი!

— როგორ „ეროვნებივით" დადიან მეგუფეტეს შვილები, გოცდები!

— ახალგაზრდების შესახებ გაიგე?...

— ახა, კაცო! რა უნდათ! რა არ აკმაყოფილებთ...

— ეროვნული საკითხები...

— არ იცით მათ, რა ბრძოლები გამოვიარეთ, როგორი შიში... აშენებული ცხოვრება დაბედათ და კიდევ არ არიან მადლიერნი. როგორ გვირღვევენ სისხლით მოპოვებულ სიმშვიდეს, თავხედები! ციხეში უნდა ამოალპო!

ბრბო. შემოწლუდული ვიწრო ყოფითი საზრუნავით: ოჯახი. საკვები. სიმყუდროვე. მონა. ჯანსაღ ინდივიდს ვერ იტანენ. დაღრეჩილი კბილები. /ეცი, მურა!/ აგრესია.

ვაიმე, ბრბო!

შიშის ზარით გაბრბოდა: ტანკისკენ.

ჩამოვიდა ავტობუსიდან ქალი. ფერმკრთალიც. გასტრონომს მიაშურა ქალმა. რიგი ბორცის, რომ დადგეს, გაძლებს? რა კითხვაა! დადგა. მერე ხშირ-ხშირად გახედავდა რიგს. დაბნელდა. „კიდევ რა შორსა ვარ... „ვერც ამალამ ჩავიბარებ ბავშვების გაკვეთილებს". „ოღონდაც სახლში შევალწიო და... „მომწევს?..." კვეცილი. აუწონეს დარჩენილი ნაკერი. მომცრო. „ერთ სადილად მაინც ეყოფა ბავშვებს".

ბინაში შესვლისთანავე სამზარეულოს მიაშურა. რეჟიმი. ქვაბში ჩაიხედა.

— სადილი გაგითვებიათ... ისევ არ მოდის ცხელი წყალი?! გაზიც როგორ ბუუტკავს,, გაკვეთილები ისწავლეთ?

— კი. — ცრუპენტელები. — ხვალ კრებაა... ამოიდუდღუნა ლელამ.

— კრება?! — „გეგმას" დასცხა,

საწარმოო გეგმას ვერ ასრულებდნენ /გეგმა კანონია/. კვარტლის ბოლო. ვინ გაუშვებს... „იქნებ ამირანმა შეძლოს". იმედი იმედისთვის.. თუ არა აი, მოვიდა ისიც. დაღლილი. მშიერი.

— ეს ყველაფერი გამირეცხე... — გაიხადა. დაყარა.

ცივი წყალიც შეწუდა. ხვალ ლელას კრებაა, წასვალ?

— მე, როგორ. გაიოცა. მკვლელობის მიზ. (უმმ) ს ა ქ მ ე ს იძიებდა, რადგან ბოლო „საქმე" იგი უკვე უნდა გადაეცა /გეგმა/.

...მკვლელს, მოყირჭებული რომ არ ჰქონოდა ყველაფერი, საუკეთესო განწყობაზე უნდა შექმნილიყო. მამა, იმ დღესაც ხელდაბვერთული მოვიდა, რადგან.

— ზაზა სად არის? მზრუნველად იკითხა. ველვეტის შარვალი და „დუბლიონკა" მოუტანე. თვითკმაყოფილი ღიმილით აუწყა ცოლს. პაკეტები მდიდრულად გადმოალაგა.

— რათ უნდოდა ველვეტი, ჯინსი ჯერაც გაუცვეთილი აცვია! „დუბლიონკა"... „გაუჯავრდა" ცოლი.

— ველვეტიც ჰქონდეს, თათული. ის „დუბლიონკა" ხომ დაუპატარავდა. იზრდება ბიჭი... მიდი, მიდი, დაუძახე!

— ჩემი საფრანგეთი?..

— ვაკეთებ, ვაკეთებ. ერთი იქაც და მერე სადღა მომთხოვ...

— მუუუ, სიცოცხლე. ზა-ზა! ზა-ზუ-ნი!

— რა გინდა.

— მოდი. მამამ ველვეტი და „დუბლიონკა" მოგიტანა. ჩაიზომე.

— ოო, მერე ჩავიზომავ!.. — ფირფიტებს უკრავდა.

— დღეს მოიტანა. ორასი მანეთი წამგლიჯა, რაღაც კაკაფონიაა. წაიღო მთელი დღე ტვინი... საგნები თუ მოამზადე! — გასძახა.

— ოო, „მოვამზადე"!.. მიდი ერთი მათემატიკისა და მეცკლობის ლექტორებთან. გამიწყალეს გული!..

— რა უნდათ! ხომ ვიყავი...

— რა ვიცი. კიდევაა საჭირო... მიდი ერთი, მომაშორე! წიშანს არ მიწერს. ან მამამ დაურეკოს..

— ღმერთო ჩემო. როგორ გაწუწკლნენ! კარგი. ჩაიცვი.

— ოო, კარგად მექნება.. — თქვა გაბეზრებით.

— გადამრევს ეს ბიჭი! ჩაიცვი, რაღა!.. — შესთხოვა მამამ.

უხალისოდ ჩაიცვა. ხრული მოუვიდა. გაუხარდა რატომღაც. მიაგდო.

— მოუტანე ახლა ამას რამე... — გაკავრდა მამა, ჯიბეში „ჩაძვრა". შეკერა ამოიღო. გადასცა მეუღლეს.

— შეინახე...

— რად გინდა ამდენი ფული. — აიმრიზა ვაჟი. „შეინახე", „შეინახე". რად! რიღასთვის! აგროვებ, აგროვებ. რიღასთვის!

ჰმ, უვიცი! /ფული ყველაფრის საწინდარია, ადამიანის ღირებულების კრიტერიუმი. რამდენადაც დიდია ფულის ძალა, იმდენად ძლიერია მისი მფლობელი... მდიდარ ადამიანში მისი საკუთარი განხორციელება გვევლინება, როგორც შინაგანი აუცილებლობა/.

— ახა, რა უნდა გავაკეთო... — შეეხიტყვა მამა — პროდუქტი. /კიდევ მეტი და მეტი/ ტრანსცენდენტაცია. დღემდე ამ მიმართულებით აპროგრამებდა თავს.

ლეილა ცოფაია

ს ა თ ა ვ ი

— მათხოვე მანქანის გასაღები! — მოსთხოვა შვილმა. კაქციეგი.

— მა, არ დაიგვიანო!

კარისკენ გაქანდა.

— მივწვები, ცოტას დავისვენებ. ისეთი დაღლილი ვარ... ეს თათბირები...

— ჯერ გეჯამა.

ისრები თორმეტს უსწორდნენ. ზღვარი. ვაჟი კი არ ჩანდა მაინც. თორმეტს გადასცდა. პირველს. ლოდინი უკვე სიგიჟე იყო. უსაშველოდ გაწელილი დრო. წარმოსახვები. ძრწოდნენ. რეკავდნენ. ოთახებში ნერვიულად მიმოდიოდნენ. რეკავდნენ. რეკავდნენ. რეკავდნენ. ძრწოდნენ. ცოფდებოდნენ. ვერაფერი შეტიტვეს, რადგან ძალზე ბევრ კი დაიფშვნა ზარი. მაცდ.

— თქვენი შვილი ჩვენთან იმყოფება... ამცნო მილიციის განყოფილების მუშაკმა.

— რისთვის?!,..

— კაცი მოკლა...

მეხი. დამიწდნენ. ქმარს გახედა ქალმა /ქვა/ აბრდღვინდა.

— უმადურები! უმადურები!! თანამდებობიდან გამათავისუფლებენ. მომხსნიან! გამანაგდებენ!.. — პირიდან ცოფებს ყრიდა.

— ჯერ ვნახოთ, რა მდგომარეობაა. მერე ჩავფარცხოთ, იქნებ... შვილო, როგორ მოუვიდა... — ხმა აუცრემლდა.

— წამოდი!.. უმადურები!

— მე. რა შუაში ვარ.

— მაშ ვინ, თუ არა დედა! — გადაბრიალდა. — წამოდი!

ვერ სცნობდა ქმარს. შორ-შორ მიჰყვებოდა /დენთი/. ვერ მიმხვდარიყო თავის დანაშაულს. განა ორივესი არ იყო შვილი?.. მიჰყვებოდა შიშით... იმედით, რომ მოეკლებოდა საქმეს, ყოველისშემძლე ფული. თანამდებობა. დაწყნარდებოდა ქმარიც.

ვერ „ჩაფარცხეს". ჟურნალისტი გამოდგა ყოვლად უსმინარი — ფერმკრთალი. ვერაფრით მოუყვანეს ფერი. ბრდღვინავდა კაცი.

— დანაშაულზე პასუხი უნდა აგოს. — შეურყეველი რწმენით განუმარტა ფერმკრთალმა.

— როგორ?!. მერე იმას ეშველება რამე?..

— თქვენ გეშველებათ...

ნათქვამმა კაცს გონი გაუნათა. „გადაუწმინდა. სულის სიღრმეში ჩაადარუნა. ჩაადურუუმელავა. მაგიურად ჩაცხრა. მოდრეკილი მზერა იატაკზე დაბარა. ჭიაზვეელა მოუსვენრობდა. ფეხი გაარიდა: ფრთხილად. გაღვიძება.

შვილს თანაკურსელის სისხლში განებანა ხელი და მით წარეხოცა „შეურაცხყოფა", რომელიც შედგებოდა სიტყვისაგან — „ყეყეჩი". მისი პიროვნების ზუსტი განმსაზღვრელი. გულზე უწვდინა დანა. ტარამდე ჩასცა. ჩქეფდა სისხლი და ცხრებოდა მკვლელი. ეძგერნენ. აღშფოთდა, როგორ! „რაღომ მაკადრა!" პატივმოყვარე. მოკლულს სახეზე მოუღლიდნელობა გაქვავებოდა. გაკაკვებულ მკვლელს, ვნებაჩამქრალს, ნირი წაუხდა. სასჯელის შიშით. „დაპატიჟრავდა. „მამაჩემი გამომიყვანს". დაადგო სიტყვა. იხტიბარი. მოვიდა მამაც. მხსნელი. მაგრამ გაღიზიანდა შვილი, რატომღაც, უფრო. აღარ შეხედა. „ჩავჯდები" გადაწყვიტა. „ბიბრი?..

— ...ეეჰ, ამირან! ვინ იცის, ჩვენ რა გველის. გია ისეთი გარეგანი და კუშტი გახდა, ვერა ვცნობ. იქნებ, როგორმე მაინც მოგეხერხებინა მისვლა. მამა ხარ, გიასთვის სხვა ფასი დაედება. მასჩვაულებლებსაც დაენახვებოდი...

— არ შემიძლია, ცირა! ჩვენც ხომ გეგმა გვაქვს... ჭკვიანი ბავშვები გვყვანან, ნუ გეშინია, არ გვიღალატებენ.

— მოზარდები არიან, ამირან. რა გესწავლება... მთლად უყურადღებოდ დავაგდეთ. რას იტყვიან სკოლაში.

— ჩვენ გამონაკლისი არ ვიქნებით... იციან.

— ეეჰ, რიღასთვის ვიღვწით...

— რა ვქნა, ცირა, სამსახურია, ხომ იცი, არ ეღალატება. არც გაპატიებენ.

— სამსახურს არ ეღალატება, შვილებს კი. ხომ? შვილების ღალატს გაპატიებენ, ხომ?..

— ცირა.

— რა მაღლი აქვს ჩემს მუშაობას, ჩემს აღებულ ხელფასს...

— მიატოვე სამსახური, ბატონო!

— ოჯახს რომ სჭირდება?! ორივენი ვმუშაობთ და გვიჭირს

— მოითმინე ცოტა ხანი, ჯერ ახალი დაწყებული მაქვს...

— ეეჰ!..

— მაშ რა ვქნათ! /კედელი/.

ქალი უკუდგა. ცრემლები შეიმშრალა. ფიქრები დაჯარდნენ: შვილება — სწავლა. ქარხანა — გეგმა. დირეკტორის გახსენებაზე გუნება ეშხამებოდა. ოღონდ დრო არ გამოგეთხოვათ მისწვის. „წარმოება! წარმოება!" ანბანური შეგონება. უკმეხი. დატუქსულივით შეიქმნებოდი. ვერცრას ეტყოდი. „სამსახურში თუ ხარ, სამსახურისთვის უნდა არსებობდე!" ბმა! რკინის ლოგიკა. სამსახურის მერე - კი, ბატონო. რაც გინდა ჰქენი, სადაც გინდა წადი. „უფლება". დროს მოიპარავდი? ხინჯი. თუკი მოახერხებდი ისიც. საყვედურს მაინც ვერ ასცდებოდი.

. რა უნდა ექნა?...

ქმარმა რაღაც უთხრა. გაღიზიანებულმა მოხედა. „როგორ მოხერხებულად აიცილებს ხოლმე საქმის. მუშაობს და არ სცალია. მოტივი. ჰ! პასუხისმგებლობა? როგორ არა! დააშავებენ ბავშვები რამეს და მე შემობრალდება გაფთრებული. თითქოს მას არ ეხებოდეს შვილების აღზრდა. გინებით და ლანძღვით ამიკლებს. უგულური სქესი! პირველყოფილებიდან, რამდენად შეიცვალა ქალის მდგომარეობა. მამაკაცის დამოკიდებულება ოჯახისადმი კი ისევ პატრიარქატის დონეზე დარჩა. ჩვენი ბრალია, მეტისმეტად გავაენებივრეთ. როგორი დაკნინებულნი

იყვნენ?.. მატრიარქატში. შვილებიც კი დედის გვარზე იწერებოდა. ფრატრია. წაგვალიჯეს ყველა უფლება. კუნთებით. ბარბაროსულად მიიხაკუთრეს. „სქესის გამოცვლასაც“ კი არ თაკილობდნენ. კაბიანი კაცები. ტრავესტიზმი...“

— სადილი არაფერი გაქვს, მაჭამე — უმეორებდა ქმარი.

— გაზზე დგას და მიირთვი. „მაჭამე. მაჭამე“.

ბარბი პროდუქტის გენეზისი. რამაც, მატრიარქატი დაშალა და დაცამტვერა. ფიზიკური ძალა. ყიდვითი ქორწინება. ქალი — ოჯახის საკუთრება. ლევიარატის წესი /დრონი მეფობენ და არა მეფენი/.

„ეეჰ, მეც ვსუფლობ, რაღა! რა დროს მატრიარქატი და პატრიარქატი, როდესაც ითქვა: „ლეკვი ლომისა სწორია...“ მაგრამ, პატრიარქალური ნაშთები?.. არ ასვენებდა ქალს მაინც. გაღიზიანებული იყო.

ონკანში წყალმა დაიწყო დენა. გაზმაც იმატა. ქალმა ჭურჭელი აიჩხარუნა. ამბანაში ჩასაცმელები დაახვავა. რეცხავდა. გვიან დაწვა. ტრადიცია. ღილით ყველაზე ადრე ადგა. ტრადიცია. სამსახურში დირექტორი კი ნამუსი აგდებდა: „ხომ იცი, გეგმა გვივარდება. შეიძლება ამ დროს საამქროს მიტოვება?.. ყველაზე მეტად შენი საამქრო ჩამორჩება... მუშებს თუ თავზე არ დაადეკი...“ „ძალიან მეჩიდება, სკოლაში უნდა მივიდე კრებაზე“. შესთხოვა ქალმა. „წაბრძანდი, ბატონო!“ მსხვერპლი. გაუხარდა ქალს მაინც. აჩქარებით წამოვიდა. „ნაჩუქარი დრო“. წინათგრძნობა გულს უღონებდა. მიდიოდა გაძღებით. ვალდებულებით: მოესმინა საყვედურები. პატიება ეთხოვა. შევედრებოდა. პირობა დაედო, რომელსაც ვერასოდეს აღასრულებდა.

„ლელა ხშირად მოდის მოუმზადებელიო“, თქვა მასწავლებელმა კრებაზე. ხოლო გიას, რამდენიმე გაკვეთილიც გაუცდენია. ვიღაც უფროსი ბიჭები აკითხავენ, თურმე!.. გული გახეთქვაზე შეეკმნა ქალს. გაშრა. სირცხვილით გაშავდა. სისხლდამშრალი მოდიოდა. ბავშვები ედგა წინ. „რა ვქნა, როგორ გავანაწილო დრო, რომ ყველაფერი მოვასწრო?“ წვიალი.

ბინის კართან უცნობები იდგნენ. რეჩხი.

— რა გნებავთ?..

— თქვენი შვილის თაობაზე გეწვიეთ... უთხრა სამოქალაქო ფორმიანმა. ვეძებთ.

— ეძებთ?!!! ელდა. /ქვესკნელი/.

ფერმერთალს ღიმილი გადმოეფშვნა. ჩანგალდა. თვალები უელავდა. დუმილი /უუმბარა/.

მ ზ ე! /დედა. გენია/. ა მ ო დ ი ს, რო-გორ! ღვთიურად. უუხვად. ბაკა, სინათლე. ავივსე. სხეულში ყრუდ იძრა რაღაც. ს უ ლ ი! გაიზიდა ცისკენ. არ დამტოვო აქ! ცხოველური შინი. ნიავმა დაბერა /გადაუდგე ყელი/. ცხონება. გაასუფთავებს ამ ბინძურ ჰაერს. გადაადგილდნენ ჰაერის მასები და იშვა ქარი კონტინენტური. აბ, წნევა, წნევა! და ქართა ცემა, უხილავი. ნეტავ მისი ფიზიკური სახე დამანახა. შმაგი, უუუ. ძლიერება. მიეკარს. მიეკარს ქარი. ფდ. წვიმის თქვენი. ჩარეცხავს. გადარეცხავს ჭუჭყს. აბ, ზე-ვით, ზე-ვით! ვეამბორო ცახ. კი, აბა! შერყვნილი ტუჩები. უუხხ, მ ი-ნ! რა ნერვიული ხარ. ცა გაბეგრიტეს. ო, რა სიკრიალეა ზ-ვით. ა მ წ ი ე თ! გეგედრებით. იფ. მოეხსიათა. ოუ! რა მოგვიდა? ჭუ-ჭყი. ა მ წ ი ე თ, რა!!!

დატოვეთ მძორი.

წრიალებდა ტკვე.

ფოთოლთ სიგრილე /მალამო/. მორზე ჩამოჯდა და ტირიფის ხეს მიადო ლოყა /ნავთსაყუდელი/. ნედლი სიჩუმე. ლამუნი სულზე. იგი კი, ნეტარების მაგიერ თრთოდა.

სხივთა ცურვილი ფოთოლთა ზედა. მწვანე ბზინვარება. კოინდრის სალბუნი. თეთრი მაგია. მორიდან ჩამოცურდა და მუხლზე შედგა /ქანდაკი/ გრძელი ხელები მხრებზე ელაგა. თეთრი და წმინდა. ფითრი. გალორთკებული სხეულის თრთოლვა. ნიავს გადაჰყვა. ბანავი.

ლბილი. ლბილი. ხასხასა მწვანე საამო თმა. ელამუნებოდა ტუჩებზე. თვალებზე. ცხვირზე. ლოყებს ფაკიზად ახებდა. ნეტარება. უცებ კი სუსხი გაეპნა სულში. ხალასის პირველფოფილება. აფიველდა ერთი და მოლს დაეკრა.

ქვითინი /დედამიწა/.

— რატომ აღუზარდეთ საბშობლოს ქუდი, შვილები, გვიპასუხეთ! — რეკდა მოსამართლის ხმა /კეტი/.

— შეგვარცხვინა.. თავი მოგვკვრა.. არაფერი აკლდა |— მამების ლუღლუღი.

— აკლდა! თქვენი, მშობლების ყურადღება!

— ვერ ვიცლით, ვერა!!! — ქალის კივილი /ეკონომიური ეფოლუცია/.

ფერმერთალმა ვაგონში დასადგომი მოიპოვა. მყარად იდგა. ხმაური არ აღიზიანებდა ტოოლეიბუსივით. ავტობუსივით. ტრამვაი... ტაქსით უიშვიათესად დადიოდა. ფუფუნება. თუმცა ტაქსი, თორემ, მასში შეგიძლია შენს გემოზე მიუყუდე. (სხვა რა შენს გემოზე, რო-ო?). ავტობუსივითაა ისიც. შოფრის მადაზე ტა. აბა, ეს „ტ“ რატომ ურევია ყველა საქალაქო ტრანსპორტის სახელწოდებაში ა, ენათმეცნიერებო? მეტრო იყო მისი სახასიათო ტრანსპორტი. სივრცე. ჰაერი. სისწრაფე. ოავისუფლადაც იმგზავრებ უფრო (ფეხბურთის დღის გამოკლებით). აქ ბაცაცებიც ნაკლებად დაძვრებიან, შუშების შიშით /მაბეზღარა/.

— ერთი მითხარით, თუ შეიძლება — (გაზეთიდან ამოხედა კაცმა), — რატომ ხდება, რომ დანაშაულს სჩადის მდიდარიც და ღარიბც. დანგრეული ოჯახის შვილიც და სრულყოფილი ოჯახის შვილიც. რა ხდება? სად არის ზღვარი?

— ზღვარი, ყველა შემთხვევაში პატიოსნებაზე გადისა ასე: პირველ შემთხვევაში დარღვეულია პატიოსნების მცნება, მეორე შემთხვევაში, თვით პატიოსნებისადმი ფანატიკური ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულებას, — რაც მერე, ფაქტიურის შესაბამისად ოფლეს რწმენის დაკარგვას, ეხე იგი, სიყვარულის დაკარგვას — მიჰყავს ადამიანი გულგრილობამდე. და მერე აუცილებელ დაცემამდე. რაც, უმთავრესად გამოიხატება გამდიდრების მანიის, ანუ, ზუსტად რომ თქვათ, მომხვეჭელობის ფსიქოზში. ეს უკანასკნელი კი, შემდეგ თვითონ იქცევა ხოლმე დანაშაულებათა წყაროდ. თავდავიწყება, ანუ არსდავიწყება.

— საშველი?..

— საშველი ისევ პატიოსნებაშია. ოღონდ, პატიოსნებამ ადამიანს უნდა მიანიჭოს მაქსიმალური სიამოვნება. ხოლო ამისათვის საჭიროა, მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის სინდისი.

— ჩემი დაკვირვებით, დამნაშავეთა სიაში არ აღმოჩენილან მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორებისა და საერთოდ, შემოქმედთა შვილები. რაში მდგომარეობს ამის საიდუმლოება?

— ...მუზის ღვთიერ მადლში.

. . .

ბინდი. ფერმკრთალი გზაზე მიიჩქაროდა. ჩაბოხეული სახით. შინაგანად აწრიალებული. უჩვეულოდ მიიჩქაროდა. ბუეზუეეზდა სისხლი /ლავა/. დღეს აღლუმია. ხვალ დისკოთეკა. ზეგ შეხვედრები: მწერლებთან. სპორტსმენებთან. მსახიობებთან, ზრომის გმირებთან. მაზეგიისთვისაც ოგეგმები გართობები (—დათრობები.) ბრიყვი გვადი. ცოდვილი-მეთი. უბირი ბაჩანა. გულისამრევი იუბალეები /ბიოგრაფიული ეპიდემიები/.

მიიჩქაროდა. ჩაუარა სასუფსათო მაღაზიებს. კაფეებს. რესტორნებს. ბარებს. სალონებს. ინსტიტუტებს. სამეცნიერო ცენტრებს. წარმოებებს. თეატრებს. კინოთეატრებს. აქ კი შეუოვნდა ცოტა. ერი მოედინებოდა. „ოღონდ ომი ნუ იქნება...“ მოჰქონდათ ფიქრი /პლაკატი/.

— შეხე, შეხე, როგორი დათრგუნვილი სიფათებით გამოდიან. ეი, სიმონ, რა იყო იქ. ეკრანზე: ბახ-ბუხ?! თქვენი ჩლუნგი!..

— ხულიგან!

— განგონებულნი! — გამოსცარა „ხულიგანმა“.

ფერმკრთალმა მოხედა /ესე არა იყო მხიარულება, არაფერ განჯგონებულთა/.

— ჰა, ჯიგარ, დამთავრდა?.. — შეაჩერა იგივემ მოახლოებული.

— რა...

— ო-მი!

— ოთხზე ისევ იწყება /ეშმაკის ბორბალი/.

ფერმკრთალი დარტყმამ ამოახეთა. ალიეური. მოკეთე. ავარდისფერებული ყმაწვილი. ცინცხალი მზერა. საამო სუსხი. ყმაწვილი გადახალისებული მოსწყდა ადგილს. „ხულიგანმა“ მცოდნე ღიმილი გაადევნა. უმტაციდებოდა მარჯვენა.

— უუუჰმ! გაგიმშაა ერიდან ვიღაც. ფერმკრთალს დაეკახა. სული მიწუხს... თქვა.

— სიმშვიდე. — ...რბილად შეახსენა.

სახე დაემაგნა უცხოს:

— სადაა სიმშვიდე...

ფერმკრთალმა თანაგრძნობით გაუღიმა. ეიმეინა თავი. უტია გზას ისევ. მიიჩქაროდა. ჩაეფეთქა ყოველგვარი შეონანი. მიიჩქაროდა. ფერი მოსდიოდა. გონებით ხვრეტდა მიღმეთს. სხივი უკრთებოდა.

— ხაით მიდიხართ... გადაუდგა ვიღაც. იცით, თავში ციხფერი სხივი მაქვს გაჩრილი და მწამლავს. არა, გიეი ნუ გეგონებით ყველასავით. მართალა მაქვს გაჩრილი... ყოფნა არსად არ შემიძლია. ყველგან ის შხამიანი ციხფერი სხივი, გარეთ კი სულ წითლად შუის რაღაც. ღამით სიზმარშიც სულ წითელი ეშმაკები მესიზმრებიან. აწვდილ მზერას დაბლა მიხრიან. მაუდავენ... თქვენთან წამოვალ! თუმცა ტანზე ხავსი მაქვს მოდებული. აი! დუნედ დაკრიალდა /დაალილი სისხლი/. და ტვინი...

— რა ტვინი?

— მტკივა... ვიღაცის ხელი დაფათურობს ჩემს ტვინის უჯრედებს შორის და თავის ნებაზე მიწყობს.

გასცარა ფერმკრთალს /ალტერაცია/.

— წამოვალ, რა!

— მე გრძელ გზას ვადგაგარ...

— მით უკეთესი! აღფრთოვანდა იგი. ცოტა გავჯანსაღდები... წამოვალ, კარგი? ფერმკრთალმა თავი დაუქნია /პოყოფა/.

— ოუპ! — შეტება უცნობი. — ხავსს მაინც მოფიცილეს. მტანჯავს.

— რა გქვიათ? — ეკითხებოდა ფერმკრთალი.

— არ ვიცი. ყველაფერი დავკარგე. სახელიც. გვარი... ჩამომავლობა მახსოვს მხოლოდ.

მიდიოდნენ მხარდამხარ /ბიდი/. გამძლავრდა ნაბიჯები. შეუჩერებლივ მიდიოდნენ. მიილტვოდნენ. მიისწრაფოდნენ.

— დავიღალე... — თქვა ამგზავრებულმა.

— ა?.. — ფერმკრთალის მისუსტებული კითხვა. „ა?!“ და მალი შეფოთიც. ჩაეფრინდა. სისუსტის სიშშვნელე. უკანვე ჩაეკანა გამცემი. ამოლეული ხმა გულშიგან მტრულადვე ღრღნიდა. სახე — სარკე. ძრწოლა მარცხის და უსუსურობის. გახიდული გულიდან მზერამდე. აზრების სასოწარმკვეთი ჯირითი. ძალას იკრებდა. დაღწევის სურვილი. სიმძაფრე. გზა! გზა!!!

ჩიხი.

— კივილი მესმის!.. — აღმოჩენით თქვა ყურებდაცქვეტილმა ამგზავრებულმა. ფერმკრთალმა მზერა უმალ დახარა.

— შეენგანა!.. თვალგაშტერებით მიუბრუნდა ამგზავრებული.

ფერმკრთალი აირია. მხილებული.

— კივი, ხომ?!. — ცრემლით ჩაჰკითხა.

ფერმკრთალი ღუმდა. დატყდა. დაცალკევდა, უმწეობის ტრაგედია. დუმილში ჩაქცეული. ბურუსი. ბურუსი. თმენა /ნაღმი/.

უტაყვი გოდებით მიწას ჩაჰმზერდნენ. მხრებმოშვებულნნი. ორივე იჯდა. ცრიდა.

უცეტ, მიწიდან ამოკვრა იგრძნეს. ძლიერი ბიძგი. და ფერმკრთალიც უმალ აცქვიტდა. /დედის საშოში ნაყოფი იძრა/.

ესპანური ეპიგრამები

კრისტობალ დე კასტილეხო

სენიორს, რომელმაც უვარგისი ლექსები გამომიგზავნა

სენიორ ჩემო, იცოდეს ღმერთმა,
თქვენი ახალი სტილის ლექსებით
ისე გავერთე,
ვერ დავეხსენი
და, რა თქმა უნდა, ვალში ვარ
თქვენთან.
ახლა არ მინდა თუმცა კამათი,
სიმართლეს მაინც ბოლომდე ვიტყვი:
რომ თქვენც ვალში ხართ —
დრო რომ წამართვით,
თქვენი უაზრო ლექსების კითხვით.

გალთასარ დელ ალკასარი

* * *

ო, ხუანიტა, შენი თვალები
ცას ჰგავს, რომელსაც ჯანღი ჰხვევია.
და მზე მთელი დღე
ამაოდ წვალობს,
ჯანღი ვერაფრით გაურღვევია.
დაღამდა,
უფრო განრისხდა ზეცა
და თავზე უხვად ქარ-წვიმას გვაშლის...
ვერა, სატრფოვ, და ვერა, ლამაზო,
ვერ შემიტყუებ მე ეგეთ ცაში.

ფრანსისკო დე ლა ტორრე

* * *

ცოცხლებს ლანძღავენ, გაგიხარია,
მკვდრებს კი აქებენ,
ქვეშ ეგებიან...
ცოცხლებს იმიტომ,
კვლავ ცოცხლები რატომ არიან,
მკვდრებს კი იმიტომ — სულ ერთია,
მაინც მკვდრებია.

ლოპე ფელიქს დე ვეგა კარპიო

ასტროლოგის ეპიტაფია

ამა ლოდის ქვეშ, მარადი ძილით,
ასტროლოგს სძინავს... პატივი ეცით!
სხვათა მომავლის განმჭვრეტი
ფრთხილი.
თავის თავისთვის გამოდგა ბეცი.
დახეთ, მოხუცის უბედურებას —
უცებ იმსხვერპლა დიდყურას წიხლმა!
საწყალს ერჩივნა,
ცაში ყურებას,
თავის ვირისთვის ეყურა ფხიზლად.

ხუან დე ტასის ი პერალტა დე ვილიამედიანა

კალდერონ რუდა

აქ განისვენებს კალდერონ რუდა!
ეს დაგვიტოვა სუყველას დარდად:
კარგს აკეთებდა ძალიან ცუდად,
ცუდს აკეთებდა ძალიან კარგად.

ხუან დე ირიარტსი

ლოთის ეპიტაფია

უცნობო, ჩემზე ნუ სწუხარ ასე —
მთვრალმა ვიცხოვრე
და მოვკვდი მთვრალი...

ცრემლებს წყალივით ნუ მაღვრი
თავზე,
მე არასოდეს მიყვარდა წყალი.

* * *

ერთს გაშორდე და მოიყვანო მეორე
ცოლი?!
ეს იგივეა, შუა ზღვაში დაგენთქას
ნავი.
გამოგიყვანონ მაშველი რგოლით
და შენ კი ისევ...
ზღვაში დურთო, გიჟივით, თავი.

დალაქზე

მარჯვე ხელი აქვს ჩვენს დალაქს,
როხასს!
მადლიერია ერი და ბერი...
ვიდრე მეორეც გამპარსა ლოყა,
პირველზე ისევ ამოჩნდა წვერი.

გლეხი და დალაქი

გლეხს ვინ მისცა ატლას-დიბა!
უკეთ უჭრის დალაქს ცელი.
გლეხი მხოლოდ ერთ თვეს თიბავს,
დალაქი კი — მთელი წელი.

ინგლისური გამოთქმის თავისებურებაზე

ო, რა მადა აქვთ ამ წყეულ ბრიტებს!
ასეთი მადა ავსა და ბოროტს...
ისე ყლაპავენ მარცვლებს და
სიტყვებს,
ქვეყნიერებას შეჭამენ ბოლოს.

ნიკოლას ფერნანდეს დე მარატინი

* * *

პორტუგალელი ჰკვირობდა ერთი:
„ოჰ, გადამრია ფრანციას ხალხმა!
ფრანგული იცის პატარა ბალღმაც,
ნეტა, რაღა ჩვენ გვიწყრება ღმერთი.
ბავშვობიდანვე, მოგეცათ ლხენა,
ესწავლობთ თანდებულს,
ბრუნვას,
ნაწილაკს...
მაგრამ რა გინდა, ფრანგული ენა
აქ უკეთ ესმის ყველა ლაწირაკს!“

ფელიქს მარია სამანეგო

* * *

ინანიებდა ფრანსისკო ცოდვებს.
თავის კანტურით უსმენდა მღვდელი.
„ცოლ-შვილი თუ გყავს?“
„არა, მამაო,
მარტოხელა ვარ და გამჩენს ვწყევლი“.
„რას საქმიანობ?“ „ვათეთრებ
კედლებს,
ალალი ლუკმით ვიცხოვრო, ვცდილობ“.
„ძალიან კარგი. რა ცოდვები გაქვს,
არ დამიმალო, მიამბე, შვილო“.
„მამაო, ქალწულ ქალთან შევცოდე“.
„აუჰ, ცოდვილო, ეგ რა მითხარი?!
ეხლა? დადიხარ იმ ქალთან ისევ,
თუ მორჩა საქმე ეგევითარი?“
„დავდივარ, მაგრამ არც ისე
ხშირად“...
„გამენდე, მაინც რამდენჯერ თვეში,
ერთხელ?“ „ო, მეტჯერ, ვერ
დაგიმალავ“.
„კვირაში ერთხელ, შე, კერძო, ეშმის?“
„მეტჯერ“. „ეგ როგორ, ნუთუ,
ყოველდღე?!“
„ოჰ, დღეში სამჯერ!
ცოდვილი ვარ, არ ვიზამ მეტად...“
„კარგი, გავიგე... ოღონდ,
ბედკრულო
კედლებს როდისღა ათეთრებ,
ნეტავ?!“

ხუან ეუხანიო არტსენგუჩი

დაგნეული კაცის სიკვდილზე

ავიწყდებოდა ძალიან ხშირად,
შაბათი იყო იმ დღეს თუ კვირა.
ავიწყდებოდა, ვინ ნახა დილით,
ვის ესაუბრა,
სიზმრად რა ნახა.
ავიწყდებოდა ხანდახან ძილი,
ცოლის სახელიც, იცით, ხანდახან.

ავიწყდებოდა წონა და ზომა,
რა ჭამა — თევზი თუ კიბორჩხალი...
და აი, ერთხელ საცოდავ თომასს
დაავიწყდა, რომ... იყო ცოცხალი.

ხაიმე ლუსიანო გელმესი

ყაჩაღი ხოსეს სიკვდილი

დაასაფლავეს ყაჩაღი ხოსე...
თან არ წაიღო
ნაძარცვი ფული.
აბა, უყურეთ!
ვინ იფიქრებდა,
ასე კეთილი თუ ჰქონდა გული.

მიგელ ავუსტინ პრინსიპე ი ვიდაუდე

ხოსე და ძაღლი

მეზობელს გაჰყვა სათიბში გაღმა
და ხოსეს ფეხზე უკბინა ძაღლმა.
გამწარებული გაენთო ხოსე,
ფიწლით უჩხვლიტა ძაღლს ერთი-
-ორჯერ.
ძაღლის პატრონი მოვარდა მწყრალი:
„წვერით რატომ სჩხვლეტ?
გეცემა ტარით...“
„ტარით? — აქ ხოსემ გაიძრო წაღი,
აჩვენა ფეხის ქუსლზე იარა —
შე, კაი კაცო, მეც შენი ძაღლი
კბილებით მკბენდა, კუდით კი არა!“

ხოსე ბარნატ ი გალდოვი

* * *

ირამ გაკენწლა მეზობლის ქალი:
„რაღაცა კარგი საქმე ვერ არი —
ბოლო დროს ხშირად დაიარება
შენს სახლში
ჩვენი სოფლის მწერალი“.
„აბა, შენც იტყვი, ჭკვიანი ვარო!
როგორ ვერ მიხვდი, ძვირფასო ირა,
რომ კაცს, რომელიც კალმისტარს
ხმარობს,
რა ქნას — სამელნე სჭირდება
ხშირად“.

ანტონიო რიგოტ ი ფონტსერე

* * *

სახლში ვეახელ ჩვენს მშიერ ექიმს,
დანაპირები მივართვი ძღვენი.
ვკითხე: „ექიმო, რომელი არის
ქვეყნად ყველაზე საშიში სენი?“
ექიმმა ავად შეჰყარა წარბი,
თავი ჩაღუნა,
ბუზღუნით მითხრა:
„ჩემთვის ის არის ბოღმა და დარდი,
თუ არ ავადობს არავინ დიდხანს“.

სამი მეგობრის საუბარი

„რა ვქნა, მეუღლე მღალატობს მგონი!“
„მე კი ეჭვებით გამტანჯა ანამ...“
„ეჰ, თქვენ რა გიჭირთ,
ეს ჩემი ცოლი
ეჭვიანობს და... მღალატობს თანაც!“

მიგელ აგუსტინ პრინსიპე
ი ვიდაუდე

* * *

კბილით გატეხა დონ ხუსტომ თხილი
და ბოსტყდა უცებ, საცოდავს, კბილი!
„ხილიმ ჩამისვა ეგ კბილი ლილით...
ოხ, ეგ უვიცი, ეგ მართლა ლენჩი.
თუმცა, მოიცა, ექიმს რას ვერჩი,
ვაშა! გამიტყდა ჯანმრთელი კბილი!“

ხუან მარტინეს ვილერგასი

* * *

ის მოდიოდა ბავშვთან ერთად...
შევხედე — გავშრი!
მივუახლოვდი, ვუთხარი წყენით:
„რა, ქალბატონო, თქვენია ბავშვი?!“
ქალმა იმ წამსვე მომახალა: „ბატონო,
თქვენიც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანუელ დელ პალასიო

* * *

თხუთმეტი წლისას მეგობრები არა
ჰყავს ვისაც,
ოცისას კიდევ — გუნდად ქალები,
ოცდაათისას — დიდი ვალები,
თანამდებობა — ორმოცი წლისას.
ორმოცდაათი წლისას —
ფულით გავსილი ქისა...
მიცხოვრიაო, ამაოდ ფიცავს!
ტყუილად ცოცხლობს
და ტყუილად ამძიმებს მიწას.

* * *

„გაბრწყინდი, როგორც ღილის
ცისკარი.
და განმინათე არე, მიდამო.
ო, ღვთაებრივო, ვინ ხარ, მითხარი,
მარად გეტრფო და მარად გიწამო!
შენ ჩემი ფიქრი ვერ დაგეხსნება,
გიმღერა არა ერთმა და ორმა.
წინ გამიელვე, ვით მეტეორმა,
ზეფირი ნაზად გეალერსება.
შენ აღმიტაცე ღრუბელთა ზემოთ...
ვინ ხარ,
ასე რომ წარმტაცე გული!?“
„სამრეცხაოდან გეახელით, ბატონო
ჩემო,
გადამიხადეთ სარეცხის ფული“.

ლიბერიო პორსეტი

* * *

ჩვენი ცხოვრების ჭირი და სნება! —
პატივს მაშინ ვცემთ კაცს,
როცა კვდება!
მის ფასსაც მაშინ ვიგებთ სრულიად,
როცა იმ ქვეყნად გარდასულია.
რა ეს ისმინა, აღელდა ერთობ
პაბლო და გრძნობით ასწია თასი:
„თუკი ასეა, მაღალო ღმერთო,
გამაგებინე სიდედრის ფასი!“

ანონიმი ავტორი
ენამწარე მარტაზე

* * *

„ვაი, ენაზე ვიკბინე, კამილ!“ —
გამწარებულმა იკივლა მარტამ.
„აბა, რას ამბობ,
ენაზე რომ გეკბინა მართლა,
ხომ „იმ წუთშივე მოგკლავდა შხამი!“

ანონიმი ავტორი

* * *

გველმა უკბინა ვარელას გუშინ!
ღმერთი და რჯული,
არ ვიყავით არავინ დარდით...
მაგრამ, ნუ იტყვი,
გველმა იქვე გაფრთხო სული,
ვარელა, ვითომც არაფერი, უნებლად
დადის.

ანონიმი ავტორი

* * *

კამილს აჩუქა შარვალი სელის
ხოსემ, თან მხარზე დაარტყა ხელი:
„სულ ორჯერ მეცვა, იცოდე, კამილ!“
„ორჯერ? რად არის მაშ ასე ძველი?“
„პირველად მეცვა თერთმეტი წელი,
მეორედ — რაღაც ორი თუ სამი!“

* * *

ოჯახიაო, ჩვენს ოჯახს ეთქმის!
რატომ და რისთვის? —
გეტყვით ახლავე:
ხომ ყველა იცნობთ მამაჩემს, ექიმს,
ძმა მღვდელი გახლავთ,
მე — მესაფლავე.
ვთქვათ, ვინმეს ავად ეცვალა მხარი! —
ჯერ მის საშველად მამა იჩქარის...
მერე ჩემი ძმა გაჩნდება ჯვარით
და კუბოც ჩემი ხელად იქ არის.
თუკი ავადმყოფს ვერაფერს შველით,
ფულიც ჯიბეში
ცოტაღა ჭყავის —
ჯანდაბას იყოს ექიმიც, მღვდელიც...
პირდაპირ ჩემსკენ დაადეთ თავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამონ დე მოსონერო რომანოსი

როდრიგესს, რომელსაც მადიანი ჰამა უყვარს

ესაც სამოთხის იმედი აქვო —
კეთილთ და ნეტარი —
ბიბლიის წიგნი წაიკითხონ,
თუ მოსწყინდებათ!
ჩვენ კი, ოდვილებს, ო, როდრიგეს,
ყველაზე მეტად
სამზარეულოს რეცეპტების წიგნი
გვჭირდება.

ხოსე გარნატ ი გალდოვი

პარიზელი მკერავი

ყველა იცნობდა პარიზელ მკერავს...
ყველა — ჯანმრთელი თუ ავადმყოფი.
მე ვამბობ,
თუმცა არავის სჯერა,
რომ ის პარიზშიც იყო ნამყოფი.

რამონ დე კომპოსამორ ი კომპოსორიო

* * *

კვლავ წავეჩხუბე შეყვარებულს,
დავტოვე მწყრალი...
მორჩა,
გათავდა,
წავალ, გული საითაც მიწევს.
მერე და საით, საით მიწევს გული და
თვალი?
შეყვარებულის სახლისკენ ისევ და
ისევ!

ანონიმი ავტორი

* * *

„თანასწორობა!“ — გაიძახის მიტინგზე მოჭრით
კოჭლი პაბლო და
დრტვინავს და ღელავს!
„კი, მაგრამ რა გსურს — ვკითხე პაბლოს —
არ იყო კოჭლი,
თუ კოჭლი იყოს ამ ქვეყნად ყველა?!“

ვენტურა რუის აბილერა

ჩემს ხარბ ბიძაზე

ერთხელ, ეს იყო კვირაძალს მგონი,
ჩემმა შურისგან შეძრულმა ბიძამ,
დატოვა ჩვენი ცოდვილი მიწა,
უცებ მონახა ლეთაზე ფონი.
და, როგორ ფიქრობთ,
სიკვდილის შიში,
ჩემს ხარბ ბიძიკოს შეეტყო ვითომ?—
ის მხოლოდ სწუხდა, რომ კარგი ჯიშის
ძაღლი ძმას ჰყავდა და არა თვითონ.

ანონიმი ავტორი

* * *

„თქვე უგნურებო — ექიმმა ბრძანა —
მოკვდა პალმერო, ვერ ატყობთ განა?“
„ჯერ ცოცხალი ვარ,
ვაიმე, დედა...“
წამოიწია პალმერომ კვნესით.
„უყურეთ ამას, კამათსაც ბედავს,
გაჩერდი, ნეტა, შენ რაღა გესმის!“

ანონიმი ავტორი

ძუნწის სიკვდილი

დადნა, დასუსტდა უჭმელობით
ძუნწი პალმერო.
და როს იფიქრა,
ახლა ნაღდად გარდავიცვლები,
ოდნავ მოხარა მუხლში ფეხები,
მერე რამე რომ...
უფრო იაფი დაჯდებაო
კუბოს ფიცრები!

თარგმნა **ზოთა ქავთარაძემ**

გურამ ფანჯიკიძე

არ გვაქვს შეცდომის უფლება

კიდევ ცამეტი წელიწადი და კაცობრიობა იზეიმებს მეოცე საუკუნის დასასრულს.

საუკუნის დასასრული თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა. და იგი მით უმეტეს მნიშვნელოვანია, როცა, უბრალოდ, რიგითი საუკუნის კი არა, მეოცე, საიუბილეო საუკუნის დასასრულია.

დიახ, კიდევ ცამეტი წელიწადი.

რა არის ისტორიისთვის ცამეტი წელიწადი? გააჩნია საუკუნეს.

დამეთანხმებით, ძნელი განსასაზღვრია, როგორი იქნება ცამეტწლოვანი მონაკვეთები ოცდამეერთე საუკუნეში, თუმცა მის კონტურებზე და განვითარების ტენდენციებზე გვაქვს გარკვეული და ტევადი მოსაზრებანი.

სამაგიეროდ, შეგვიძლია თითქმის თავისუფლად ვილაპარაკოთ იმ ცამეტ წელიწადზე, ოცდამეერთე საუკუნემდე რომ დარჩა. შეგვიძლია ძალზე მიახლოებულად გავაანალიზოთ ის სიახლენი, დარჩენილი ცამეტი წელიწადი რომ მოუტანს კაცობრიობას საუკუნის ბოლომდე.

წარსულის გაანალიზება იოლია, რადგან ურემი უკვე კარგა ხნის გადაბრუნებულია და გზაც კარგა ხანია მოჩანს.

წარსულისა ყველაფერი ვიცით, რა დროს რა შექმნილა და რა დროს რა მომხდარა. ისიც ვიცით, როგორ შექმნილა და რატომ მომხდარა. დასკვნებიც იოლი გასაკეთებელია.

თუ წარსულს გავაანალიზებთ, ერთ დასკვნამდე მივალთ: რაც უფრო ვუახლოვდებით მეოცე საუკუნეს და, მით უმეტეს, დღევანდელ დღეს, დროის გარკვეული მონაკვეთები (ამ შემოხვევაში ცამეტწლიანი მონაკვეთები), ძალზე განსხვავდება მოვლენების ტევადობით წინა მონაკვეთებთან შედარებით. განსხვავდება ბევრი მაჩვენებლით მეცნიერების, ტექნიკის, სოფლის მეურნეობისა თუ ათასგვარ სფეროში.

მინდა ერთი მშვენიერი და ძალზე დამახასიათებელი მაგალითი მოვიტანო. იგი ადრეც მომიტანია ჩემს წერილში, „პიკასო ფიზიკა“. მაგრამ, ეტყობა, აქ უფრო უპრიანია მისი გახსენება.

შვეიცარიელმა ინჟინერმა და ფილოსოფოსმა აიხელბერგმა შეადგინა კაცობრიობის განვითარების დინამიკის ძალზე მეტყველი სურათი:

„ვარაუდობენ, რომ კაცობრიობა დაახლოებით 600 000 წლისაა. წარმოვიდგინოთ კაცობრიობის მოძრაობა 60 კილომეტრზე მარათონული რბოლის სახით, რომელიც იწყება სადღაც და მიემართება ერთ-ერთი ჩვენი ქალაქის ცენტრისაკენ, — ფინიშისაკენ.

სამოცკილომეტრიანი მანძილის უფრო დიდი ნაწილი გადის ძალზე რთულ გზაზე — ჭალებსა და უსიერ ტყეებზე, ჩვენ ამაზე არაფერი ვიცით. მხოლოდ ბოლოს, რბოლის 58-ე-59-ე კილომეტრზე გამოქვაბულებში პირველყოფილი იარაღების გვერდით ვპოულობთ ნახატებსაც. კულტურის პირველ ნიშნებს, და მხოლოდ უკანასკნელ კილომეტრზე ჩნდება სულ უფრო და უფრო მეტი ნიშნები მიწათმოქმედებისა.

ფინიშამდე ორას მეტრზე ქვის ფილებით მოგებული გზა რომაული ციხესიმაგრეების გვერდით ჩაგვატარებს.

ჩვენი მორბენლების გზის უკანასკნელ ას მეტრზე მოჩანს შუა საუკუნეების ქალაქური ნაგებობანი.

ფინიშამდე კიდევ ორმოცდაათი მეტრი რჩება.

დგას ადამიანი და ჭკვიანი, გამჭრიახი თვალებით ადევნებს თვალს რბოლას. ეს ლეონარდო და ვინჩია. დარჩა მხოლოდ ათი მეტრი! ეს მეტრები იწყება ჩირაღდნებისა და ზეთის ლამპების მბეჟუტავ შუქზე.

მაგრამ უკანასკნელ ხუთ მეტრზე გამოაგნებელი საოცრება ხდება: შუქი აჩირაღდნებს ღამეულ გზას, გამწვევი საქონლის გარეშე მიჰქრიან ფურგონები, ჰაერში გრილი გაუდით მანქანებს და შემკრთალ მორბენალს აბრმავება ფოტო და ტელეკოლრესპონდენტების პროექტორების შუქი...“

სამყაროს ევოლუციის ამ მახვილგონივრული

სქემის მიხედვით კაცობრიობის არსებობის 60 კილომეტრიან გზაზე მხოლოდ ბოლო ხუთ მეტრში მომხდარა მეცნიერების თითქმის ყოველი რევოლუციური სიახლე, კაცობრიობის მიღწევების საოცარი წინსვლა.

ამ სქემიდან გამომდინარე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი ტევადი და გაცილებით შთამბეჭდავი იქნება მომდევნო საუკუნის თუნდაც ყოველი წელიწადი.

კარგად მახსოვს, 1952 წელს მეორე კურსის სტუდენტი სანანგანდ გავემგზავრე მოსკოვში, რომ ტელევიზორი მენახა.

გულწრფელად ვიტყვი, ტელევიზორის არსებობის ამბავი რომ გავიგე, პირველად არც კი დავიჯერე, უფრო სწორად, ვერ დავიჯერე, ვერ წარმოვიდგინე, როგორ შეიძლებოდა გადაეცათ გამოსახულება. ჩავედი მოსკოვში და დიდი წვალებით გამოვნახე ნაცნობი, ვინც ისეთ ოჯახში მიმიყვანდა, ტელევიზორი რომ ჰქონდა.

გაოცებული შევაკქვიროდი ძვირფასი ხით მოპირკეთებულ უზარმაზარ ყუთს, რომლის შუაგულშიც პაპიროსის კოლოფისოდენა ეკრანი ციმციმებდა.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ?

მხოლოდ ოცდათხუთმეტი!

შეადარეთ მაშინდელი ჩემი თაობის ფსიქოლოგია დღევანდელი ბავშვების ფსიქოლოგიას. მათ ხომ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ჯერ კიდევ გუშინწინ არ არსებობდა ვიდეოტექნიკა. ჯერ კიდევ გუშინწინ, სასაცილოდ ადდებას ვინ დაეძებს, მეცნიერების, საზოგადოების მტრად გამოგაცხადებდნენ, გენი და კიბერნეტიკა რომ გეხსენებინა.

დღეს კი არა მარტო მიიღეს გენი, უკვე მისი მავნე მუტაციების შეკეთებისათვის იბრძვიან ექიმები.

კიბერნეტიკაზე აღარაფერს ვმოგახსენებთ. იგი ხომ თვითონ ამბობს თავის სათქმელს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ერთი სიტყვით, დარჩენილი ცამეტი წელიწადი ყველაზე ნაყოფიერი, ტევადი და შთამბეჭდავი იქნება განვლილი ოცი საუკუნის ნებისმიერ ცამეტ წელიწადთან შედარებით.

ვფიქრობ, ამ დებულების სისწორეში არავინ შემედავება, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის მაინც მოვიტან ერთ მაგალითს.

უწინ, ათეული საუკუნეების მიღმა, ადამიანის ზემოქმედების ძალა გარემოზე მისი ღონის შესაბამისი იყო. შემდეგ იგი ნელ-ნელა დაეუფლა სხვადასხვა ტექნიკური ხელსაწყოების გამოყენებას და გარემოზე მისი ზემოქმედების ძალაც შესაბამისად გაიზარდა.

და აი, დღეს, გარემოზე ადამიანის ზემოქმედების ძალა მარტო ელექტროენერგიის ხარჯზე ორმოცჯერ გაიზარდა. თან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს საერთო-საპლანეტო მაჩვენებელია, ცალკეულ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში იგი ძალზე დიდია და მასშტაბური.

ამ საუკუნის ბოლოს კი, ე. ი. 13 წლის შემდეგ, გთხოვთ, კარგად დაუკვირდეთ ძალზე რეალურ პროგნოზს, იგი 130-ს მიაღწევს.

თუ დღეს კაცობრიობა გამომიშვებს ტრილიონ კილოვატსაათს, ცამეტი წლის შემდეგ გამომშვებული წლიური ელექტროენერგიის რაოდენობა იქნება 50 ტრილიონი კილოვატსაათი.

დიახ, ამ საოცრად მოკლე დროში ბევრი, დღევანდელი თვალსაზრისით გადაუჭრელი პრობლემა გადაიჭრება, ბევრ საიდუმლოს აეხდება ფარდა, ადამიანი კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეიჭრება კოსმოსში, კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად ჩაიხედავს მიკროსამყაროს საოცარ ბუნებაში, გენეტიკაში...

თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, არც ისაა გამორიცხული, რომ ასევე მასშტაბურად და გლობალურად გადაიდგას უგუნური, გამოუსწორებელი ნაბიჯები.

დიდი ბოლანდიელი მეცნიერი ლორენცო ამბობდა: „მადლობა ღმერთს, ისეთი პატარა ქვეყნის შვილი ვარ, რომელსაც არ შეუძლია დიდი სისულელეები ჩაიდინოს“.

მაგრამ ვაითუ რომელიმე დიდმა ერმა ჩაიდინა „დიდი სისულელე...“

მაშინ?..

მაშინ ხომ აღარ დარჩებიან აღარც დიდი და აღარც პატარა ერები...

ამიტომაც ნუ გაგვიკვირდება და გადამეტებულად ნუ ჩაგვეთვლება, თუ ვიტყვით, რომ ოცდამეერთე საუკუნემდე დარჩენილი ყოველი წელიწადი თავისი მიღწევებით, მნიშვნელობით და მასშტაბებით ათეულობით წლებს უტოლდება.

დამეთანხმებით, მარტო მეცნიერებისა და ტექნიკის დონე რიდი იცვლება, იცვლება ადამიანის ფსიქოლოგია, ბუნება, იცვლება მისი პოზიციები გარკვეული მოვლენების მიმართ...

რამდენიმე წლის წინ ერთმა მწერალმა თავისი რომანი მაჩუქა და მითხრა, ამ რომანს ორმოცი წელია ვწერდი და, როგორც იქნა, დავასრულეო.

გამიკვირდა. მაშინ ვერ წარმოვიდგინე და, გულწრფელად გითხრათ, დღეს კიდევ უფრო ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება დღეს, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ორმოცი წელი წერდე ერთ რომანს?

ასეთი რამ, არ გამიკვირდება ადრეულ, თუნდაც მეცხრამეტე საუკუნეში რომ მომხდარიყო. მსგავსი მაგალითები ბევრი ვიცი, რომელთა გახსენებით მკითხველს თავს არ შევაწყენ. შორს რომ არ წავიდეთ და ექსტრაპოლაციის მოსაწყენ გზას არ დავადგეთ, თუნდაც მეცხრამეტე ან, მით უმეტეს, მეთვრამეტე საუკუნეში პირველი წელი მეორმოცისაგან დიდად როდი განსხვავდებოდა ადამიანთა ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, გარკვეული საზოგადოებრივი მოვლენებისადმი დამოკიდებულებით, ზნეობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი კატეგორიების შეფასებით, ცხოვრებისეული კრიტერიუმებით...

დღეს კი ცხოვრებისეული პოზიციები და მოვლენებისადმი ფსიქოლოგიური დამოკიდებულებანი ისე სწრაფად იცვლება, რომ პირველი და მეორემოცე წლის ადამიანები ცა და მიწასავით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იცვლება დამოკიდებულებანი, იცვლება მოვლენების აღქმის პოზიციები და კრიტერიუმები, იცვლება ადამიანის ფსიქიკა, ეპოქის რიტმი და ინერცია, აქედან გამომდინარე, იცვლება ლიტერატურული გამომსახველობის ხერხებიც. მაქსიმუმ, ათწლიანი ციკლით იბადებიან და ბერდებიან გარკვეული მიმართულებანი ლიტერატურაში, მუსიკაში, არქიტექტურაში...

მამები და შვილები დღეს უფრო მეტად ველარ უგებენ ერთმანეთს, ვიდრე ოდესმე; დღეს უფრო მეტად განსხვავდებიან მათი გემოვნებანი, ვიდრე ოდესმე; დღეს უფრო დაშორებულია და განსხვავებული მათი დამოკიდებულებანი ცხოვრებისეული მოვლენების მიმართ, ვიდრე ოდესმე...

აქედან დასკვნა, ის წარმმართველი თაობა თუ ახალგაზრდობა და ბავშვები, რომლებიც ჩაიბარებენ და შეაბიჯებენ ოცდამეერთე საუკუნეში, ძალზე განსხვავებული იქნებიან ჩვენგან, რომლებიც ან ვერ გადავკვეთავთ მეოცე საუკუნის საფინიშნო ხაზს, ან თუ გადავკვეთავთ, უკანასკნელნი, და ძალზე დამძიმებულნი მეოცე საუკუნის შეხედულებების მძიმე ტვირთით.

ერთი სიტყვით, მოდით, შევეცადოთ ვიმოგზაუროთ ახლო მომავალში. ეს მომავალი დღეიდან იწყება და მეოცე საუკუნის დასასრულამდე შეადგენს 12 წელიწადსა და 3 თვეს.

●

რამდენი ვიქნებით?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, პლანეტაზე ყოველწლიურად იბადება 150 მილიონი ადამიანი, ხოლო კვდება 80 მილიონი. სრულიად უბრალო მათემატიკური ოპერაციის შემდეგ მივიღებთ ძალზე შთამბეჭდავ რიცხვს: კაცობრიობა წლიურად მატულობს 70 მილიონი კაცით. ანუ, როგორც ერთხელ თქვეს, ერთი მექსიკით. აქედან გამომდინარე, საუკუნის ბოლომდე, მატების დღევანდელი პირობების შესაბამისად, პლანეტის მოსახლეობა გაიზრდება თითქმის ცამეტი მექსიკით.

დამერწმუნებით, მოსახლეობის ასეთი სწრაფი ზრდა რთული და ძნელად დასაჯერელი პრობლემების წინაშე დაგვაყენებს კაცობრიობას.

ვიდრე ამ პრობლემებზე ვისაუბრებდეთ, განვიხილოთ გამრავლების ხასიათი.

თანაბარია ყველგან იგი? ყველა ხალხმწიფო ან ერი ერთნაირად მრავლდება?

ბუნებრივია, ყველა ქვეყანა ერთნაირად ვერ გამრავლდება გეოგრაფიული, კლიმატური, სოციალური, რელიგიური და სხვა მრავალი მიზეზის გამო.

დიახ, ეს ბუნებრივია და არცაა გასაკვირი.

საინტერესო უფრო სხვაა: გამრავლებისა და ნაკლებობა უმნიშვნელოა, ნორმალურ ფარგლებშია თუ ძალზეა განსხვავებული?

მონაცემების ანალიზის შედეგად საკმაოდ დამფიქრებელი სურათის მოწმენი ვხდებით.

დღევანდელი დღისათვის პლანეტის მოსახლეობა შეადგენს 5 მილიარდ კაცს.

მეოცე საუკუნის ბოლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზით დედამიწის მოსახლეობა იქნება 6 მილიარდ 120 მილიონი კაცი, ამერიკელი სპეციალისტების ვარაუდით — 6 მილიარდ 80 მილიონი ადამიანი.

რიცხვები ძალზე შთამბეჭდავია. თანაც, მოდით, ისიც გავიხსენოთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს დედამიწაზე მოსახლეობა სულ ერთ მილიარდ 617 მილიონს შეადგენდა სამასი წლის წინ კი მხოლოდ ნახევარ მილიარდს...

როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, ბოლო, მეოცე საუკუნეში დაიბადა უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე.

ახლა ვნახოთ, როგორი თანაფარდობაა გამრავლებაში სახელმწიფოებსა თუ კონტინენტებს შორის.

ყველაზე სწრაფად მრავლდებიან ეგრეთ წოდებული მესამე სამყაროს წარმომადგენლები, თუმცა ამ ქვეყნებს შორისაც საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებაა შობადობაში.

პირველობას კვლავ მტკაცედ ინარჩუნებს აფრიკა:

შობადობის 45 ერთეული ყოველ ათას სულ მოსახლეზე.

შემდეგ მოდის ლათინური ამერიკა — 27,1;

მესამე ადგილზეა სამხრეთ აზია — 26,9;

ამ მონაცემებისაგან მკვეთრად განსხვავდება ჩრდილოეთ ამერიკა — 14,4;

უკანასკნელ ადგილზეა ევროპა — 13,1.

ხოლო თვით ევროპაში სურათი სხვადასხვანაირია და ძალზე შემაშფოთველი: მაგალითად, ჩრდილოეთ ევროპაში მატება შეადგენს ნოლს, ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გფრ და გდრ, მოსახლეობა უკვე იკლებს.

გფრ-ის სპეციალისტებმა 1975 წელს იანგარიშეს, რომ ქვეყნის მოსახლეობა საუკუნის დასასრულისათვის 58 მილიონიდან დავა 52 მილიონზე. ე. ი. შემცირდება 6 მილიონით.

როცა ევროპელები ასეთი დამფიქრებელი პრობლემის წინაშე დგანან, მთელ რიგ ქვეყნებში სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის პრობლემები და ამოცანები აქვთ გადასაჭრელი. მაგალითად, ჩინეთში შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო კომიტეტი. ამ კომიტეტის ამოცანაა ქვეყანაში შობადობის რეგულირება. მოსახლეობაში დიდ პროპაგანდას უწევენ სახელმწიფო მოწოდებას „ერთ ოჯახს — ერთი ბავშვი". სკოლებშიც კი შემოიღეს სპეციალური საგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბავშვებს მთელი სერიოზულობით ახსნავლიან დემოკრატიულ პოლიტიკას და მოსახლეობის გამრავლების თეორიის საფუძვლებს.

ახეთმა არათანაბარმა გამრავლებამ კაცობრიობას ბევრი თავსატეხი გაუჩინა.

ძალზე უჭირს ევროპას. იგი ანდამატივით იზიდავს აფრიკელებს, თურქებს, ირანელებს, არაბული ქვეყნების წარმომადგენლებს.

გფრ-ში თურქული გეტოებიც კი არსებობს. ამ მოვლენაზე არა ერთი და ორი კინოფილმიცაა შექმნილი. გავიხსენოთ ავრეთვე გიუნტერ ვარლაფის გახმაურებული წიგნი „ნამდვილ ფსკერზე", რომელიც გფრ-ში არგაგონილი — სამმილიონიანი ტირაჟით გამოვიდა და რომელმაც ძალზე შეაშფოთა გერმანიის მთავრობა და მმართველი წრეები. წიგნში საოცარი დოკუმენტურობითაა აღწერილი ის სასტიკი ექსპლოატაცია, გფრ-ში რომ უწევენ სხვა ქვეყნებიდან ლუმპაურის საშოვრად ჩამოსულ ადამიანებს.

ერთის მხრივ, ევროპაში ედიო პროტესტს გამოთქვამენ უცხო მუშახელის ასე მომრავლების გამო. მეორეს მხრივ, გამოსავალიც არ ჩანს, საწარმოო-ტექნიკური დარგების სახეობანი მატულობს, კომპანიები კი ვეღარ ახერხებენ ამ საწარმოების ეროვნული მუშახელით უზრუნველყოფას.

იაპონელები, რომლებიც გამოირჩევიან ზუსტი და შორსმჭვრეტელური პროგნოზებით, სულ სხვა გზას დაადგნენ, ისინი თავიანთ ფაბრიკა-ქარხნებს უკვე აშენებენ საზღვარგარეთ: ინდონეზიაში, მალაიზიაში, ბონკონგში... ამ წინასწარგაანგარიშებული და გამიზნული ნაბიჯებით ერთბაშად ორ კურდღელს იჭერენ, წარმატებით წყვეტენ ეკონომიკურ პრობლემებს (ჩამორჩენილ ქვეყნებში სამჯერ და ოთხჯერ უფრო იაფია მუშახელი, ვიდრე იაპონიაში) და სამომავლო ბაზებსაც ქმნიან. ანუ, ორორიგ ახლა ამბობენ, იაპონელებმა მთელი ახლომდებარე ქვეყნები საკუთარ საამქროებად აქციეს.

საუკუნის დასასრულს საბჭოთა კავშირში იცხოვრებს 310 მილიონი კაცი. კარგია და მისასალმებელი, რომ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდება, თუმცა თვალსაჩინოებისა გამრავლების არათანაბარი პროცესი. საბჭოთა კავშირში მოსახლეობა ძირითადად შუა აზიის რესპუბლიკებში მატულობს. მაგალითად, ვარაუდობენ, რომ შუა რუსეთის ოლქებში მუშის ახაკიდან გამოსული ყოველი 100 კაცის ნაცვლად მივა 85 კაცი. უზბეკეთში პირიქით — 302, ხოლო ტაჯიკეთში კიდევ უფრო მეტი — 400 კაცი. ეს მოვლენა ახლავე უნდა იქნეს გაანალიზებული და გათვალისწინებული, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მომავალი გეოგრაფია მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ჯარში მუშახელის პრობლემასთან.

არათანაბარი შობადობა ბევრი სხვა პრობლემის წინაშეც გვაყენებს.

გამოვუოფ მხოლოდ ერთს.

უცხოელი დემოგრაფები ჯარაუდობენ, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისათვის ევროპის მოსახლეობა მნიშვნელოვნად „დაბერდება". სამოც წელს გადაცილებულთა რაოდენობა მიაღწევს 20 პროცენტს.

საბჭოთა კავშირში მოსახლეობა შედარებით „ახალგაზრდა" იქნება, მაგრამ სამოც წელს გადაცილებულთა რაოდენობა დაახლოებით 18 პროცენტს მიაღწევს.

ოცდამეერთე საუკუნე ქალაქელთა საუკუნე იქნება. თუ 1900 წელს ქალაქებში ცხოვრობდა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 14 პროცენტი, 2000 წელს ეს მაჩვენებელი 50 პროცენტამდე გაიზრდება. თანაც 50 პროცენტი საშუალო მაჩვენებელია, თორემ მთელ რიგ სახელმწიფოებში დღესაც ქალაქის მოსახლეობა უფრო მეტია, ვიდრე სოფლისა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზრდასთან ერთად იზრდება იმ სპეციალისტთა რაოდენობაც, რომლებიც წარმოებაში მხოლოდ „ინტელექტუალური შრომით" იქნებიან დაკავებულნი. ფიქრობენ, რომ მათი რაოდენობა მიაღწევს 70 მილიონ კაცს.

მატება გაცილებით მეტი იქნებოდა, განვითარებად ქვეყნებში რომ უამრავი ბავშვი არ იხოცებოდეს შიმშილით და ძალზე იოლად თავიდან ასაცილებელი ეპიდემიებით.

იუნესიფის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი) ცნობით განვითარებად ქვეყნებში ყოველდღიურად შიმშილით იხოცება 40 ათასი ბავშვი. წლიურად დაღუპულთა რაოდენობა შეადგენს 15 მილიონ ბავშვს.

იმავე განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად სამმილიონნახევარი ბავშვი იღუპება ისეთი დაავადებებით, რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა სრულიად უბრალო იმუნიზაციით.

საუკუნის დასასრულს, ბუნებრივია, კიდევ უფრო მწვავედ დაისმება მოსახლეობის გამოკვების საკითხი. და თუ სამხრეთ ამერიკამ და აფრიკის ბევრმა ქვეყანამ არ გადაჭრა სასურსათო პრობლემა, სპეციალისტები ვარაუდობენ! რომ მსოფლიოში დამშეულთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო 2025 წელს შიმშილით მოკვდება 500 მილიონი ადამიანი.

შეიძლება თუ არა, კაცობრიობამ გადაჭრას შიმშილის პრობლემა?

თურმე სულ იოლად შეიძლება, თუკი ერთ დროულად გამოვუოფთ 70 მილიარდ დოლარს საირიგაციო ნაგებობათა ასაგებად, ყამირების ასათვისებლად, ახალი ტექნოლოგიის დასამკვიდრებლად...

70 მილიარდი დოლარი კი სულ რაღაც ერთ მეათედს შეადგენს იმ თანხისა, ყოველწლიურად რომ იხარჯება მსოფლიოში შესაიარაღებლად და იარაღის ახალი სახეობების შესაქმნელად.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ არათანაბარი შობადობა მრავალი ძნელად გადასაჭრელი პრობლემის წინაშე აყენებს კაცობრიობას.

თუ მოსახლეობის მცირე რაოდენობა ტრაგედიაა ბევრი ერისათვის, არც მეტისმეტ გამრავლებას მოაკვს სიკეთე.

პრობლემები, რომლებსაც გაზრდილი შობადობა აყენებს სახელმწიფოების წინაშე, ათასგვარია. ამ პრობლემებიდან მხოლოდ ერთი, ტყის პრობლემა.

განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობა ხე-ტყეს საწვავად ხმარობს 10-20-ჯერ ნაკლებს, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. ამყამად მოკვლილი ხე-ტყის მასალის 54 პროცენტი საწვავად იხმარება. მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად იზრდება ტყის განადგურების პროცენტიც. ჯერ ერთი, რომ ხალხი შიმშილობს და ტყის გაჩეხვის შედეგად ცდილობენ გაზაღონ სახნავ-სათესი ფართობი, მეორეს მხრივ, როგორც უკვე ვთქვით, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ ენერგიის ტექნიკური სახეები, იზრდება ხე-ტყის საწვავად გამოყენების პროცენტი.

ტყეების განადგურების შედეგად ბევრი ჭალაკის შემოგარენი უდაბნოდ იქცა.

ბევრ ქვეყანაში სულ უფრო და უფრო იშვიათად ჭამენ ცხელ საჭმელს. მათი ბევრი ტრადიციული საჭმელი კი, ვთქვათ, ბრინჯი, აუცილებლად მოიხოვს ცეცხლს. ასევე, ყველა ქვეყანაში როდი ვარგა სასმელი წყალი და მის ასადუღებლადაც კი არა აქვთ საწვავი. ამ ქვეყნებში განსაკუთრებით დიდია ბავშვთა სიკვდილიანობა.

თუ როგორ ამცირებს დიდი შობადობა ერთ სულ მოსახლეზე მთლიან ეროვნულ შემოსავალს, თვალნათლივ გვიჩვენებს ერთი მაგალითი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთა გამრავლების საკითხების შემსწავლელი ფონდის დირექტორის რაფაელ სალასას მოხსენებიდან („ზა რუბეეთ“, № 39, 87 წ.): თურმე 1960 წელს ბრაზილიაში ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 900 ამერიკული დოლარის საერთო ეროვნული პროდუქცია, იაპონიაში — 1400 დოლარი.

1985 წელს ბრაზილიაში მაჩვენებელი გაიზარდა 2000 დოლარამდე, მაგრამ ამავე პერიოდში იაპონიაში მიაღწია 16 000 დოლარს.

როგორც რ. სალასა ასკვნის, ეს ძირითადად შედეგია ბრაზილიის მოსახლეობის კატასტროფულად სწრაფი ზრდისა.

ახლა მეორე მაგალითსაც მოვიშველიებ.

კენიაში ამჟერად 20 მილიონი კაცი ცხოვრობს. დღესდღეობით იქ საშუალო შვილოსნობის მაჩვენებელია რვა ბავშვი.

ეს მაჩვენებელი თავისთავად „გარანტიას გვაძლევს“, რომ ხუკუნის ბოლოს ქვეყნის მოსახლეობა გაორმაგდება და მიაღწევს 40 მილიონს.

საერთაშორისო ბანკის სპეციალისტებმა იანგარიშეს და მივიდნენ ერთ საკალაო დასკვნამდე: კენიელებმა დღევანდელი დონეც რომ შეინარჩუნონ გამრავლებისა და ჯანმრთელობის დაცვისა, ამ მიმართულებით ყოველწლიურად ხარჯები 7 პროცენტით მაინც უნდა გაიზარდოს, ვინაიდან კენიის დღევანდელი ეროვნული ლეობის 50 პროცენტს ბავშვები შეადგენენ. აქ სკოლას ყოველწლიურად 300 ათასი ბავშვი ამთავრებს, სამუშაო ადგილით კი მხოლოდ 28 ათასი შეუძლიათ დაკმაყოფილონ. დანარჩენები უმუშევრობისა და შიმშილისათვის არიან განწირულნი. ზოგიერთები ხსნას ევროპის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღარობსა და ქარხნებში ეძებენ, სადაც ყველაზე დიდი რაოდენობაა უნაყოფო წყვილებისა.

ევროპაში უნაყოფო წყვილთა რაოდენობა შეადგენს 10-15 (!) პროცენტს.

დამეთანხმებით, ძალზე დიდი და დამაფიქრებელი, უფრო მეტიც. შემაშფოთებელი რიცხვია.

და თუ ჩრდილოეთ ამერიკაში ამ მიმართულებით ოდნავ უკეთესი მაჩვენებელია, ესეც ძირითადად ფერადკანიანთა და მესამე სამყაროდან მოძალებული მოსახლეობის „დამსახურებაა“.

„თავისუფალი სამყაროს“ ეგრეთ წოდებულმა „სექსუალურმა რევოლუციამ“, ნარკომანიამ, ჭალიშვილების მიერ ალკოჰოლიანი სასმელების სმამ და სიგარეტის წევამ ლოგიკურ შედეგებამდე მიიყვანა ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები.

ყოველივე ამ უბედურებას ემატება სექსფილმები, პორნოლიტერატურა, პორნომაღაზიები და ათასგვარი სიხამაგლე, რომელებიც თითქოსდა „სიტყვის თავისუფლებისა“ და „დემოკრატიული კონსტიტუციის“ გარკვეული მუხლების გამო ვერ აუკრძალავთ.

უჭირს ბებერ ევროპას, ძალიან უჭირს.

ჯერ კიდევ დე გოლის დროს, როცა საფრანგეთის მოსახლეობამ მკვეთრად იწყო კლება, სახელმწიფოში საგანგაშო მდგომარეობა გამოაცხადეს, ერს გამრავლებისაკენ მოუწოდეს, ხოლო ფრანგებად ჩაწერეს ყველა ფერადკანიანი თუ შავკანიანი, ვინც კი სურვილი გამოთქვა ფრანგი „გამხდარიყო“.

როგორი სურათი იქნება საუკუნის ბოლოს?

როგორი თანაფარდობა იქნება ერებსა და თუნდაც რასებს შორის?

როგორი იქნება თანაფარდობა სხვადასხვა რელიგიათა მრევლში?

დღეს საკმაო სიზუსტით შეგვიძლია ყოველგვარ ამ თანაფარდობათა გამოანგარიშება და საკმაოდ ზუსტი სურათის დახატვა. გაანგარიშებანი კი საკმეს არ შეელის.

მთავარი უბედურება ისაა, რომ ამ პრობლემის მართვა შეუძლებელია ან თითქმის შეუძლებელი!

●

რობორები ვიქნებით?

დღეს მსოფლიო ძალზე ჭრელია.

ეროვნულ და რასობრივ სიჭრელეს არ ვგუ-

ლისხმობ, ინტელექტუალურ სიკრცელზე მაქვს ლაპარაკი.

მეოცე საუკუნის დასასრულისათვის არის ამ მხრივ რაიმე ცვლილება მოხალოდნელი?

არის და არც არის.

ხაოცარია, მაგრამ ფაქტია, დღეს, როდესაც ადამიანმა მთვარეზე დაადგა ფეხი და 1990 წლისათვის ემზადება მარსიდან ვრუნტის წამოსაღებად, მსოფლიოში მილიონობით ადამიანს ჯერ არ უნახავს ელექტროსათური.

უფრო მეტიც. სულ ახლახან გაზეთმა „იზვესტიამ" თავის ფურცლებზე გამოქვეყნებული „ვარსკვლავების ომების" ინფორმაციების ბეგერდით შემოგვთავაზა სენსაციური ცნობა, ინდოეთში, ნილგირის ჯუნგლებში და, აგრეთვე, სამხრეთ კერალის შტატში ერთდროულად აღმოაჩინეს ორი ტომი, რომლებიც თავისი განვითარებით ვვის ეპოქის დონეზე დგანან (9. III. 87). ხოლო, როგორც გაზეთებიდანვე შევიტყეთ, ბრაზავილში მიდის სახამართლო პროცესი. ახამართლებენ ექსპერიტორ ბოკახას, რომელსაც შეუტამია 10 კაცი. ბოკახამ თავის მხრივ კანიბალიზმში ბრალი დასდო ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს დავით დაკოს. როგორც გაზეთი იუწყება, ჯერჯერობით არ დაუდგენიათ, ყოფილმა პრეზიდენტმა რამდენი კაცი შეჭამა.

დღეს, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კაპიტალისტურ ევროპაში ახეა გაშიშვლებული სენსი, ისლამურ ქვეყნებში ქალების დიდი ნაწილი კვლავ ჩადრით დადის.

საკმე იქამდეც მივიდა, რომ გერმანელი მომღერალი ქალი მონიკა ლუდვიგი იტალიაში, ქალაქ ლიგორნნოს ხაოპერო თეატრის სცენაზე ჯ. პუჩინის ოპერა „ჩიო-ჩიო-სანში" მადამ ბატერფლაის პარტიის შესრულებისას მესამე აქტში სცენაზე შიშველი გამოვიდა. გერმანული ჟურნალი „ქვეკ"-ი აღნიშნავს, რომ მომღერლის თავხედობას ძალზე აღუშფოთებია დიდი კომპოზიტორის შვილიშვილი სიმონეტა პუჩინი.

მკითხველს ვთხოვ, კარგად დააკვირდეს გერმანული ჟურნალის ინფორმაციას: აღშფოთებულა მხოლოდ პუჩინის შვილიშვილი და არათეატრის დირექცია, კოლეგები ან მაყურებლები.

ამავე დროს აიათოლა ბომეინი ალაბის სახელით სპარსეთში ქრძალავს მუსიკალურ გადაცემებს, კინოგარეშე აცხადებს ლიტერატურას. ერაყელებთან ომში დანაღმული ველების განსანაღმავად გაჰყავს ბავშვები 10-დან 15 წლის ასაკამდე. ბავშვის ნაღმზე აფეთქება, მისი აზრით, უფრო ნაკლები ზარალია სახელმწიფოსათვის, ვიდრე საგანგებოდ მომზადებული და გაწრთვნილი ჯარისკაცის დაღუპვა. უკანასკნელი მონაცემებით უკვე 140 ათასი ბავშვი აფეთქდა ნაღმზე. სამაგიეროდ, აიათოლა ბომეინი წერილებს უგზავნის დაღუპულთა მშობლებს და გულწრფელად წერს გაფიდურებულებს, გილოცავთ, რომ თქვენი შვილი წმინდა საქმეზე შეეწირა.

ახლა, როცა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში გზაბაბნეული და ცხოვრების მიზნადაკარგული ხალხი სექსუალურ კომუნებს ქმნის, ხოლო ბეერგან ურთულესი ოპერაციით კაცების ქალებად გადაკეთება ჩვეულებრივ ამბად იქცა, ბეერგან კი ჰომოსექსუალიზმმა ლეგალობის უფლებაც მოიპოვა, სათანადო ჯილდომაც არ დაყოფნა. კაცობრიობას უკვე დაემუქრა ხაზინელი და დღესდღეობით უკურნებელი ავადმყოფობა, ექიმებმა რომ შიდს-ად მონათლეს (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი). ჟურნალისტებმა კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხა ხელი დაარქვეს ამ ახალ, თავზარდამცემ ავადმყოფობას — „ოცდამეერთე საუკუნის შავი ჭირი".

ფილადელფიის სამედიცინო ინსტიტუტში გამოსვლისას პრეზიდენტმა რეიგანმა თქვა: „სასიკვდილო და ჯერჯერობით უკურნებელი სენი შიდსი, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეპიდემიის მასშტაბი აქვს, ერის ანმრთელობის ნომერ პირველ მტრად გამოცხადდა". რეიგანმა თქვა, რომ მარტო წელს ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ხაბრძოლველად 766 მილიონი დოლარი გამოყო, მომავალი წლისათვის კი მილიარდი დოლარია გათვალისწინებული („კომუნისტი", 4. IV. 87).

შეშფოთებამ და შიშმა მოიცვა ამერიკა. უკვე ბაისმის მოწოდებები შიდსით დაავადებულთა იზოლაციისა და სოციალური განდევნისათვის. მომწოდებელთა სათავეში დგანან ეკლესიის მსახურნი. ისინი თვლიან, რომ შიდსი უმკაცრეს სასჯელად მაღალმა ღმერთმა მოავლინა ჰომოსექსუალური ცოდვებისა და გარყვნილებისათვის.

ექიმების უმრავლესობა დღესაც არაა დარწმუნებული, რომ თუნდაც ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისათვის გამონახავს ამ ავადმყოფობის განსაკურნავ ვაქცინას.

და მაშინ, როცა ზოგიერთი ქვეყანა „ცივილიზაციის" მიერ მოტანილ უკეთურობათა მორეგშია ჩათრეული, მრავალ ქვეყანაში წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი ძალზე დიდია. დღეს მსოფლიოში წერა-კითხვა არ იცის 825 მილიონმა კაცმა! გეთანხმებით, მართლაც რომ ძნელი დასაჯერებელია.

როცა პლანეტაზე სახელმწიფოთა მოსახლეობას შორის ახეთი სიჭრელეა განათლების სფეროში, მით უფრო დიდი, განუსაზღვრელად დიდი როლი ენიჭება სწორ პროპაგანდას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ვინ მოახდენს ზეგავლენას განვითარებად, თუნდაც ძალზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობაზე?

რამდენად სწორად და გამიზნულად ვეწევიო სოციალიზმის იდეების პროპაგანდას?

კაპიტალისტური სამყაროს მმართველი წრე-

ები, განსაკუთრებით კი ამერიკის იმპერიალიზმის დამჭაშები, არაფერს არ იშურებენ იმისათვის, რომ სახელმწიფოებს, ხალხებს თავისი იდეები, ცხოვრების ამერიკული წესი მოახვიონ. არაფრის წინაშე უკან არ იხევენ, ოღონდაც ყველა დაარწმუნონ „თავისუფალი", „ყველაზე დემოკრატიული" ქვეყნის — ამერიკის უპირატესობაში, მოაქციონ მათი ეროვნული კულტურები, აზროვნების მეთოდები ამერიკული კულტურისა და საზოგადოებრივი შეხედულებების კალაპოტში, უფრო მეტიც, ტყვეობაში.

სამართლიანად ამბობს ცნობილი ფრანგი რეჟისორი კლოდ ოტან ლარა: „უცხო კულტურით ქვეყნის კოლონიზაცია უფრო საშიშია, ვიდრე სამხედრო ოკუპაცია: ოკუპანტებს, ბოლოს და ბოლოს, მოიშორებენ თავიდან, მაგრამ კულტურით კოლონიზატორებთან ბრძოლა ძნელია, რადგან ისინი თანდათან ივიწყებენ ეროვნულ კულტურას, ტრადიციებს, რის გამოც უქვეითდებათ ეროვნული მეხსიერება" („ლგ", 2. IV. 86).

სატელევიზიო და საინფორმაციო „რევოლუციების" პერიოდში ცუდ დღეში ჩავარდა მთელი კაპიტალისტური სამყარო, განსაკუთრებით კი აზია, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები. ტელევიზორის სახით ამერიკელებმა ამ ქვეყნების თითქმის ყველა ოჯახში შეიყვანეს თავისი აგენტი, ამერიკული ცხოვრების წესის პროპაგანდისტი და ყოველი ტელემაყურებლის გონებაში დაიწყეს ხელის ფათური. ნახევარი მილიარდი ტელევიზორის ეკრანებიდან ამერიკელები გვთავაზობენ „ჭეშმარიტი დემოკრატიის", ცხოვრების წესის, სულიერი „თავისუფლების" ამერიკულ მოდელებს.

განვითარებად (და არა მარტო განვითარებად) ქვეყნებში ტელევიზია ''ქმნა პოლიტიკური და იდეოლოგიური ექსპანსიის უდიდეს იარაღად.

ამბტომაც წერს აფრიკელი ჟურნალისტი ატა კოფი: „კეთილი ადამიანების ხელში ტელევიზია აფრიკაში პროგრესის შეუცვლელი ფაქტორი გახდება, მაგრამ ბოროტი ადამიანის ხელში იგი გადაიქცევა ტროას ცხენად, რომელიც დაეხმარება ახალ კულტურულ კოლონიზატორებს, დაიკავონ ძველი კოლონიზატორების ადგილი".

ამერიკელებმა იციან თავისი საქმე. იდეოლოგიური დივერსიის სულ ახალ და ახალ ფორმებს იგონებენ და ხვეწენ. აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების მილიონობით წერა-კითხვის უცოდინარი, მორწმუნე ან მცირე განათლების მქონე ადამიანი ერთბაშად დგება ამერიკის შოუ-ბიზნესის, ამერიკელთა ზნე-ჩვეულებების, ამერიკული „თავისუფლების" წინაშე. იმსხვრევა ტრადიციები, იმსხვრევა რწმენა და მრწამსი, თვალსა და ხელს შუა ნადგურდება ეროვნული კულტურა, ჩანასახშივე ისპობა ეროვნული კინემატოგრაფია, ეროვნულ ტრადიციებზე და ხალხურ კულტურაზე დამყარებული სატელევიზიო გადაცემანი და, საერთოდ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ფილოსოფიის ყველა დარგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით დიდია ამერიკული ტელეგადაცემების ზეგავლენა ამ ქვეყნების ახალგაზრდობაზე.

ამერიკელები კი არაფერს არ იშურებენ, რომ ტელევიზიის საშუალებით მოაწყონ მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ ტოტალური იდეოლოგიური დივერსია.

საინტერესო ციფრები და ფაქტები მოაქვს მ. ხალგანიკს „ინოსტრანნაია ლიტერატურაში".

„ცალკეულ წლებში, — წერს იგი, — ამერიკული კოვბოური დეტექტური ფილმები და მიუზიკლები მთლიანობაში შეადგენდნენ 200 000 საათიან სატელევიზიო გადაცემებს. ეს დაახლოებით უდრის ევროპული ქვეყნების გადაცემათა ერთ მესამედს, ხოლო აზიისა და აფრიკის ქვეყნების გადაცემათა ნახევარს...

...საათიან პროგრამას, რომელიც სინამდვილეში ღირს 400-500 ათასი დოლარი, ეგვიპტეში ყიდიან 250 დოლარად, ზზრიად უფრო იაფადაც".

ხედავთ, რა კეთილნი გახდნენ ტელეგადაცემათა კომპანიების მფლობელები! ცალკეულ გადაცემებს კი არა, თვით უძვირფასეს ტელეპარატურასაც კი თითქმის მუქთად და ზზრიად საჩუქრად აძლევენ ჩამორჩენილ ქვეყნებს.

მკითხველი, ვფიქრობ, იოლად დამეთანხმება, რომ ამერიკელთა ახეთ „უანგარო" საჩუქრებს ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა როდი უდევს საფუძვლად.

მათ სხვა შედეგი აინტერესებთ.

შედეგი კი დიდია და დამაფიქრებელი. განვითარებად ქვეყნებს ვინ დაეძებს, თვით ფრიად განვითარებული და მაღალკულტურული სახელმწიფოებიც კი ეწყვეინ ამერიკული კულტურის მარწუხებში.

იგივე მ. ხალგანიკი წერს: „კანადაში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ამერიკული ტელევიზიის დახსნების შედეგად კანადელები გაცილებით უკეთ იცნობენ ამერიკის ისტორიას და ამერიკულ კულტურას, ვიდრე საკუთარს. ბევრ ბავშვს ისიც კი ჭგონია, რომ ცხოვრობს ამერიკაში".

მარტო განვითარებად ქვეყნებში როდია ახე საქმე. კანადის მაგალითიდანაც ნათლად ვხედავთ, არც მაღალგანვითარებული ქვეყნები არიან უკეთეს დღეში.

„ინტერნაციონალ ჰერალდ ტრიბუნი" წერდა: „მართალია, ჰოლივუდში იღებენ მსოფლიოში გამოშვებული მხატვრული ფილმების მხოლოდ 10 პროცენტს, მაგრამ ამერიკული კინოს ექსპორტი შეადგენს მსოფლიო ექსპორტის ერთ მესამედს, ხოლო მათ წილად მოდის მსოფლიო კინოშოგების 50 პროცენტი.

ამ ფილმების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს დაბალხარისხოვანი პროდუქცია, გაუთავებელი საშინელებანი, ორგანები და ძალადობა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული, მაგრამ ფაქტია რომ ისეთი განვითარებული და მაღალკულტურული ქვეყნები, როგორიც არიან საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, გერ და მრავალი სხვა, თანდათან კიდევ უფრო ექცევიან ცხოვრების ამერიკული მოდელების, მათი შეხედულებების, ზნე-ჩვეულებებისა და კულტურის გავლენის სფეროში.

მარტო კინოს და ლიტერატურას ვინ დაეძებს, ამერიკულმა მუსიკამ საკუთარი მელოდიები გადააკეთა თავისი მუსიკალური კულტურით ცნობილ ქვეყნებს. აი, რას წერს ცნობილი ფრანგი მომღერალი ჟან ფერარი: „უკვე მრავალი წელია, რაც ვიბრძვი ჩვენი სიმღერების და, საერთოდ, მთელი კულტურის ამერიკანიზაციის წინააღმდეგ. თუკი ნეიერი კოლონიზაციის პროცესი კვლავ გაგრძელდება და არ გახდება შეჩერებადი, ჩვენ დავკარგავთ ჩვენს კულტურულ თვითმყოფადობას. მდგომარეობა მეტისმეტად საგანგაშოა. ხაქმე იქამდეც მივიდა, რომ ბევრი ახალგაზრდა ფრანგი მომღერალი სიმღერებს, მართალია, ფრანგულ ენაზე ასრულებს, მაგრამ ინგლისური აქცენტით. ისინი, ალბათ, თვლიან, რომ მხოლოდ ამ გზით მოიპოვებენ წარმატებას. „ფრანგულმა ენამ უკვე მოგვკამა ჭირი, — მწარე ირონიით მღერის ფერარი, — პროგრესს ვერავინ შეაჩერებს. დღეს ვარსკვლავი რომ გახდე, ინგლისურად უნდა იმღერო".

თვით ამერიკელი ხალხი რა დღეშია? იქნებ მათი განათლებისა და ინტელექტისათვის მაინც ზრუნავენ იმპერიალისტების მმართველი წრეები? აქ მდგომარეობა გაცილებით რთულია, რადგან საკითხი სხვანაირად დგას;

სჯირდებათ კი მათ განათლებული, კულტურული, მაღალინტელექტუალური ამერიკული ხაზოგადოება?

არ სჯირდებათ!

მონოპოლიებისა და თვით სახელმწიფოების უკიდურეს ფინანსურ ოლიგნი, მძაფრი სამკვდრო-სახიცოცხლო კონკურენციის პირობებში აღარავის ახსოვს ადამიანი, აღარც მისი ჰარმონიული სულიერ-კულტურული განვითარება. მათთვის ადამიანი მხოლოდ მანქანაა, ოღონდ მოაზროვნე მანქანა, რომელიც კარგად უნდა აზროვნებდეს და ოსტატურად უნდა ფლობდეს თავის ვიწრო პროფესიას.

ამიტომაც იქმნება საოცარი პარადოქსი. ქვეყანა, სადაც შრომობენ ბრწყინვალე სპეციალისტები, მეცნიერები, მაღალკვალიფიციური მუშები, სადაც ტრიალებს დიდი მეცნიერულ-ინდუსტრიული სული, სადაც ყველაზე უფრო იგრძნობა ეპოქის პულსი, წარმოუდგენლად უვიცი ადამიანებითაა დასახლებული.

ჩემი ინფორმაცია ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, ორ ციტატას შემოგთავაზებთ ამერიკული პრესიდან:

„განათლების სფეროში პროგრესის შეფასების სახელმწიფო კომისიის გამოკვლევების მონაცემებით, 6 პროცენტი 20 წლისა და ეოტ მეტი ასაკის ამერიკელებისა კითხულობს დაწყებითი სკოლის მეოთხეკლასელებზე ცუდად. ნ პროცენტი ამ ასაკობრივი ჯგუფისა ვერ ახერულებს ჩვეულებრივ დავალებებს, — ისეთებს, როგორიცაა გაზეთში მოკლე ცნობის წაკითხვა სპორტის შესახებ ან სამსახურში მიღებაზე განცხადების დაწერა".

ეს და კიდევ ქვემოთ მოთავსებული მასალა ამერიკის საქმიანი წრეებისა და აშშ-ის ორი სატელევიზიო კომპანიის მიერ მოწყობილი ერთობლივი ღონისძიების ჩატარების დროს ვამოქვეყნდა 1975 წელს. ღონისძიება მიეძღვნა მოზრდილი მოსახლეობის გაუნათლებლობის სალიკვიდაციო კამპანიას. აღმოჩნდა, რომ ამერიკაში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 28 მილიონია, ანუ ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის 13-15 პროცენტი („ვაშინგტონ პოსტი").

ახლა მეორე ციტატას მოვიყვან:

„რა როდენობის მოსახლეობაა აშშ-ში? წესით, ნებისმიერი ამერიკელისათვის ძნელი არ უნდა იყოს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ჩრდილოეთ კაროლინის შტატის კოლეჯების სტუდენტებმა რწმენა შეგვრყიეს. 2000 სტუდენტიდან მხოლოდ 181 უპასუხა სწორად — 226 მილიონი, თანახმად 1980 წლის აღწერისა. დანარჩენებს ფანტასტიკური ციფრები მოჰყავდათ — 100 ათასიდან 236 მილიარდამდე. უმეტესობამ დაახლოებითაც არ იცოდა მოსახლეობის რაოდენობა შუმბილიურ შტატში — ნაცვლად 6 მილიონისა ახასელებდნენ 250 მილიონსაც და 25 ათასსაც. ბევრმა საბჭოთა ქალაქი ვლადივოსტოკი დასავლეთ გერმანიაში მოათავსა, პერუს დედაქალაქი ლიმა — იტალიაში, მდინარე განგი — ბრაზილიაში, ამაზონი — ეგვიპტეში („ნიუ იორკ ტაიმსი").

მეთხველმა კაპიტალისტური სამყაროს საწინააღმდეგო პროპაგანდა რომ არ დამწამოს, ვილაპარაკეთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში. აი, რას წერდა გამოჩენილი საბჭოთა მწერალი დანიელ გრანინი „ლიტერატურნაია გაზეთაში":

„მრავალი წლის განმავლობაში არ გვიმუშავია კითხვის სოციოლოგიაზე სერიოზულად. ნაწილობრივ, გასაგებია, რატომ არ ვმუშაობდით. სუფევდა წიგნის შიმშილი, გეგონებოდათ, რა დროს გამოკვლევაა: როგორი წიგნიც არ უნდა გამოგეშვათ — მაინც უცემ იტაცებდნენ და უცემ, ბოლო დროს, გაჩოირკვა, რომ წიგნებს შერჩევით ყიდულობენ და ზოგიერთი წიგნი მაღაზიის თაროებზე დიდი ხანია დევს, ზოგს კი საერთოდ არავინ ყიდულობს... ნათელი ხდება მეორე გარემოებაც: წიგნებს, რომლებსაც ყიდულობენ — გაყიდული ტომების რიცხვით ვამაყობდით, წიგნის ბუმი კულტურის მაჩვენებ-

ზურაბ ფანჯიკიძე
არ გვაქვს შეცდომის უფლება

ლად გვესახებოდა, — განა ყოველთვის კითხულობენ, იმ წიგნებსაც კი არ კითხულობენ, დეფიციტური რომ ჰქვია და სასპეკულაციო. სხვანაირად რომ ვთქვათ, არ არის პირდაპირი კავშირი მოთხოვნილებას, გაყიდვას, ნაყიდი წიგნების რაოდენობასა და კითხვას შორის. ისევე, როგორც არავითარი კავშირი არ არსებობს ზედმეტ წყვილ ფეხსაცმელსა და სიარულს შორის — აუცილებელი არ არის უფრო მეტი სიარული ახალი ფეხსაცმელების შეძენისას. ამას წინათ ლენინგრადის ა. გერცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ ლენინგრადის, პეტროზავოდსკის, შადრინსკის და სარანსკის მეათეკლასელებში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ, რომელშიც ოთხი ათას ხუთასამდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, საკმაოდ სევდიანი სურათი დაგვიხატა. შეკითხვაზე: თქვენი ნება-სურვილით, პროგრამის გარეშე წაკითხული წიგნებიდან რომელმა მოახდინა თქვენზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება? — არც ერთი რუსული კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენელი არ დაუხახელებიათ, არ უხსენებიათ არც ერთი საუკეთესო ნაწარმოები საბჭოთა მწერლებისა.

მოსწავლეთა დაცილება მხატვრული სიტყვისაგან განაპირობა ლიტერატურის სწავლების შემცირებამ და გაუარესებამ, რაც, მიუხედავად ბევრი ლაპარაკისა, გრძელდება და ახლანდელმა რეფორმამაც, დასანანია, მაგრამ ეს პროცესი ჯერ ვერ შეაჩერა.

ამის გარდა, არის სხვა, არანაკლებ სერიოზული მიზეზებიც, რატომ კითხულობენ დღეს წიგნებს უფრო და უფრო იშვიათად. უწინ, საღამოობით, თუ კინოში ან თეატრებში არ მიდიოდნენ, წიგნს იღებდნენ ხელში. საინტერესო წიგნი მთელ ოჯახს კრებდა მაგიდასთან. ახლა ოჯახი — ახალგაზრდაც და მოხუციც ტელეეკრანს შეხცქერის საათობით. მაგნიტოფონებს ვიდეომაგნიტოფონები მიემატა. ადამიანის სიცოცხლე კი დიდად არ ხანგრძლივდება, თავისუფალი საათები არ გვემატება, ამას სწორად უნდა მივუდგეთ, უნდა გავიგოთ, რომ თანამედროვე ადამიანს კითხვისთვის ნაკლები დრო რჩება, ვიდრე ჰქონდა 30-იან წლებში. წიგნები კი, ამასობაში, უფრო მეტი გამოდის და, როგორ კითხულობენ მათ, ძალიან ცუდად ვიცით, — ამ გაგებით ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ბრმად. თუმცა სოციოლოგიური ოპტიკით შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ კითხვის წრე ვიწროვდება, ადამიანები კი ნაკლებს კითხულობენ, კითხულობენ ზერელედ, ნაჩქარევად. ამჯობინებენ ისეთ წიგნებს, რომლებიც ილოდ „იკითხება“. უფრო ხშირად ქმაყოფილდებიან სუბლიტერატურით. იზრდება მოხმარება სუბხელოვნებისა — სუბმუსიკისა, სუბფერწერისა და ეს სუბკულტურა საკმაოდ კარგად ხარობს ამ სოციოლოგიურ დუმილში. ვერაფერს გავხდებით სოციოლოგიური ანალიზის გარეშე, მკაფიო კრიტერიუმების, ზუსტი ორიენტირების, საჯარო, ხმამაღალი მსჯელობის გარეშე. ... ვკითხულობთ, რას არ ვკითხულობთ, როგორი გემოვნება გვაქვს, როგორია მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტერესები. ეს აუცილებელია ჩვენი კრიტიკისათვის, ლიტერატურის მოძრაობისათვის“ (12. II. 86).

და ეს ხდება ჩვენში, საბჭოთა კავშირში, სადაც ამდენი რამ კეთდება ადამიანთა ჰარმონიული აღზრდისათვის. არც ერთ ქვეყანაში იმდენი ფული არ იხარჯება კულტურის აღორძინებისათვის, ბავშვთა განათლებისათვის, ათასგვარი ოლიმპიადებისათვის, რამდენიც ჩვენს ქვეყანაში.

ნაშ, რა ხდება?

ბუნებრივია, შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ საბჭოთა კავშირშიც ისევეა საქმე, როგორც, ვთქვათ, ამერიკაში, მაგრამ რაღაც მიზეზები, ადამიანს ხელს რომ უშლის დაეუფლოს ენციკლოპედიურ განათლებას, გაზდეს ჰარმონიულად მოაზროვნე პიროვნება, ეზიაროს ნამდვილ ლიტერატურასა და ხელოვნებას, ეტყობა, ჩვენშიცაა. და იგი სოციალურ მიზეზებთან ერთად, ვფიქრობ, უფრო მეტად თვით მეოცე საუკუნის დაძაბული რიტმითაა გამოწვეული.

განათლების ზედაპირულობამ, უფრო კი გაუნათლებლობამ, მაგრამ ცხოვრების დაძაბული რიტმისაგან განთავისუფლების სურვილმა, ურბანისტული ნევროზისაგან გადაღლილი ადამიანების სიმშვიდისაკენ ლტოლვამ მთელს მსოფლიოში გამოიწვია სექტების მოძრაობებიც და მათი მოღვაწეობის გამოცოცხლებაც.

დღევანდელი დაძაბული ცხოვრება მრავალ პრობლემას აყენებს ადამიანის წინაშე. ამ პრობლემების გადაუჭრელობა, ათასგვარ სასიცოცხლო შეკითხვაზე პასუხის გაუცემლობა, ეპოქის ორომტრიალში იძულებითი ჩართვა ნოიერ ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ ადამიანებმა ხსნა ირეალურ, ღვთიურ სამყაროში ეძებონ.

აბა, სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ ის ამბავი, რასაც ახლა გიამბობთ. დარწმუნებული ვარ, ჩემი მონათხრობი დაუჯერებელ, მოგონილ ამბად მოგეჩვენებათ. ვერ წარმოიდგენთ, რომ იგი შეიძლებოდა მომხდარიყო ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია.

მართლაც რომ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ 1966 წელს ღვთაებრივ სამყაროს მბრძანებლად მოეკლინა რვა წლის ინდოელი ბიჭუნა მაჰარაჯ ჯი. მისი მამა ინდოეთში დიდად პატივცემული გურუ გახლდათ, რომელმაც ჯერ კიდევ 1920 წელს ჩამოაყალიბა „ღვთაებრივი სამყაროს მისია“.

მამის დასაფლავების დღეს ყველა გააოცა რვა წლის მაჰარაჯ ჯის სიტყვებმა: „რაგომ მოსთქვამთ? ნუთუ თქვენ არ იცით, რომ მოძღვარი მარად თქვენთან არის? მე ის მასწავლებელი ვარ, ვისაც ახლა თქვენ დასტირით“.

„წმინდა“ ოჯახმა მამის სულიერ მემკვიდრედ 8 წლის მაჰარაჯ ჯი გამოაცხადა.

უკვე ოერთმეტი წლის მაჰარაჯ ჯის არნახული ალტაცებით შეგებება მრავალმილიონიანი მიტინგი ნიუ-დელიში.

1971 წელს კი მისმა ქადაგებამ მოხიბლა რომელიღაც ამერიკელი ბიზნესმენი, რომელმაც გადაწყვიტა ახალგაზრდა გურუ ამერიკაში მიეწვია და თავისი ჩანფიქრი წარმატებით განახორციელა კიდეც.

ახე შეიქმნა ამერიკაში „ღვთაებრივი სამყაროს მისიის“ ცენტრი.

აი, რას წერს ლ. ტიმოშინი ჟურნალში „ნაუკა ი რელიგია“ (მოვიყვან მხოლოდ ორიოდე ნაწყვეტს):

„...1973 წლის 10-12 ნოემბერს ქალაქი ჰიუსტონი (ტეხასის შტატი) მოწმე გახდა მანიფესტაციისა, რომელმაც განაცვიფრა ამ კოსმოსური გამოკვლევების, ნავთობის მრეწველობისა და სამედიცინო კომპლექსების ცნობილი ცენტრის მრავლისმნახველი მოსახლეობა. ნაადრევად დაიძრა აქეთ მაჰარაჯ ჯის პორტრეტებით შემკული ავტომანქანები. თითქმის ერთდროულად დაფრინდა აეროდრომზე 85 სპეციალურად დაქირავებული ლაინერი ევროპიდან, ლატინური ამერიკიდან, ავსტრალიიდან. ძველი მცხოვრებლების თქმით, ჰიუსტონში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ყოფილა ასეთი სათვითმფრინავო აურზაური.

მთავარი მოქმედება ასტროდრომზე ჩაატარეს, ქალაქის ყველაზე პრესტიჟიულ ადგილზე. წინასწარ მოწყობილი გიგანტური არენა ახალგაზრდა „მხსნელის“ თაყვანისმცემლებმა დაიკავეს. გრილებად სამოცი მუსიკოსისაგან შემდგარი ხასუელ ორკესტრი. 300 ფუტის სიმაღლეზე კი ბრწყინვადა სავარძელი, სადაც ხაზეიმოდ წამოჯდომულიყო „სამყაროს მბრძანებელი“. მის ყოველ ყესტს მსხვილი პლანით უჩვენებდნენ გიგანტურ ტელეეკრანზე.

...ახალგაზრდა გურუს ავტორიტეტის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი მთელი რიგი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეების მხარდაჭერამ. მაგალითად, ლოს ანჯელესის მერმა მაჰარაჯ ჯის საპატივცემულოდ გამოაცხადა „მედიტაციის საერთაშორისო დღე“. ნიუ-იორკის, ახალი ორლეანის, ოკლენდის მერებმა საზეიმოდ გადასცეს მას თავიანთი ქალაქების გასაღებები. ეგზოტიკურ „პუტკუნას“ ერთმანეთს სტაცებდნენ მეგაზეთეები, ტელე და რადიორეპორტიორები. მეცენატებს კი არ ენანებოდათ მდიდრული შეხვედრიები.

თავყანისცემის ასეთი აფეთქება, რა თქმა უნდა, სპონტანური არ იყო. ვუნდერკინდის ზურგს უკან და მისი ხასელით შრომობდა კვალიფიციური „უფროსი“ გუნდი, რომელშიც შედიოდა, მაგალითად, რეკლამის, საფინანსო და საგამომცემლო საქმიანობის სპეციალური კომიტეტები.

ერთი სიტყვით, რეკლამა ორგანიზებული იყო გულმოდგინედ და პროფესიული ხერხებით, რაც მაც შედეგი გამოიღო: „მასია“ იზრდებოდა ეროგროკ ხანძარი ტყეში. ასე რომ, 1973 წელს, „მისიის“ მესვეურთა ცნობით, მხოლოდ აშშ-ში დაითვლებოდა „მისიის“ 50 ათასამდე მომდევარი, მთლიანად კი, ამტკიცებდნენ ისინი, ორგანიზაციას აქვს 480 ცენტრი 28 ქვეყანაში და მარტო ინდოეთში ჰყავს 6 მილიონზე მეტი მიმდევარი.

საქმიანი წრეების მფარველობამ მრავალმხრივ განაპირობა „მისიის“ საქმიანობის ხასიათი: იგი ინტენსიურად აკეთარებდა საკუთარ ბიზნესს, შეიქმნდა ფული მომგებიან ორგანიზაციებში. მისი ფინანსური დირექტორის, მაიკლ ბერგმანის მტკიცებით, მხოლოდ 1973 წლის იანვრიდან ივნისამდე ახალი „ეკლესიის“ ოპერაციები რვაჯერ გაიზარდა. მალე ის იქცა მრავალმილიონიანი სიმდიდრის მქონე კომპანიად, რომელსაც ჰქონდა მაღაზიები, რეტორნები, თვითმფრინავები, ორკესტრი, ხმის ჩამწერი სტუდია, გამოცემები, მათ შორის, „ჟურნალი „ეხეკ ღვთაებრივი“, რომელიც 1,5 მილიონიანი ტირაჟით გამოდიოდა“.

დიახ, ძალზე ძნელი დასაჯერებელია, რაც ზემოთ გიამბეთ. ალბათ, კიდევ უფრო ძნელი დასაჯერებელი ის იქნება, რაც გფრ-ის ჟურნალმა „შპიგელმა“ გამოაქვეყნა თავის ფურცლებზე:

„არავითარი მისტიკა: ლაპარაკია საიდუმლო სექტებზე, სატანის კულტს, დემონების ოწმენას, შავ მაგიას და ათასგვარ სხვა ოხრობას რომ ქადაგებენ. იმქვეყნიურით გატაცება ეპიდემიის მსგავსად ვრცელდება გფრ-ის მოზარდებში.

...ფსიქიატიოულ საავადყოფოში მოთავსეს ბიჭუნა, რომელიც ‘ეირჩა „სატანის მსახურების“ იდეით. თხუთმეტი წლის მოსწავლე გოგონა რომ ოკულტიზმის მიმდეგარი იყო, მასწავლებლებმა მხოლოდ მაშინ გაიგეს, როცა ხელებზე დანის რიტუალური ნაჭრილობევები უნახეს. მისმა ცამეტი წლის თანატოლმა თავი წარმოიდგინა ჯადოქრად, რომელსაც მამაკაცების ხოცვა უწინასწარმეტყველეს. კიდევ ერთი თხუთმეტი წლის მოსწავლე გოგონა იპოვეს ტყეში მკვდარი — ყელგამოღრღნული და ვენებგადაჭრილი. მკვლელები — მისი ამხანაგები, „სატანის სექტის“ წევრები იყვნენ.

უფროსები, წერს ჟურნალი, შეწუხებულები არიან. „მზარდი ტალღა“ ეშმაკისეული წვევადობისა ახალგაზრდებს შორის გფრ-ის ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის კონფერენციის თემა გახდა, ეკლესიამ მოუწოდა მშობლებს, „ფხიზლად ყოფილიყვნენ“ და პირმშოება მავნე ზეგავლენისაგან დაეცვათ. წმინდა მამების მოსაცემებით, ახალგაზრდულ საიდუმლო შეკრებებზე, სხვათა შორის, „რიტუალური მკვლელობებიც“ ხდება. ხალხი განცვიფრებულია. კითხულობენ: საიდან? ერთნი „სატანის სექტების“ ჩამოყალიბებას დროის მოკვლის ერთ-

ერთ ფორმად თვლიან. ნეოოკულტიზმის გავრცელების საშინელებათა ფილმებს, როკ-მუსიკას მიაწერენ. ქალაქ ფრანკენტალში 1000 მოსწავლის გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ყველაზე კარგად დამახსოვრებული ჰქონდათ ფილმები საშინელებათა სერიიდან, ხოლო მათ შორის პირველი ადგილზე აღმოჩნდა კინოფილმი „ეშმაკის ფერხული".

დიდი რაოდენობით გამრავლებულ როკ-ჯგუფებს შორის ამტოტტივდნენ ჭეშმარიტად ფანატიკური ჯგუფები „თუ სისხლი გწყურიათ, ეწვიეთ ჩვენს სასაკლაოს ჯოჯოხეთურ კონცერტზე, — გვატყობინებს მოწვევა „ჰეი მეტალის" როკჯგუფისა. — სცენაზე ვხერხავთ ჯვრებს და სისხლიან თავებს, ვხვრეტთ ბერებსა და იესო ქრისტეს..." „ჰეი მეტალის" თაყვანისმცემლები 13 წლისანი და ცოტა უფროსები არიან. არის კიდევ ანსამბლი „სატანის რაინდები" ან, მაგალითად, „მკვლელები". სმელერების რეპერტუარს განმარტება არ სჭირდება: „მწყაბენელი", „შავი მაგი", „თავი დაალწიე სინანულს" და სხვა მისთანანი.

დიახ, იქ მართლაც თავისუფლებაა, აბსოლუტური თავისუფლება ყველა იმ სფეროში, სადაც კი ფულის ამოქაჩვა შეიძლება.

კაპიტალისტური სამყაროს კანონები ჩვენთვის არცთუ ძნელად გასაგებია.

მაგრამ დგება მეორე საკითხი, პრობლემის მეორე მხარე, რამაც არ შეიძლება არ დაგაფიქროს: რატომ იზიდავს ახალგაზრდობას და, საერთოდ, ადამიანებს, მსგავსი ფილმები, სადაც ამდენი მკვლელობაა, ძალადობაა და სიბინძურემდე გაშიშვლებული სექსია.

ხომ არ შეიძლება ფრთხილად დავსვათ შეკითხვა — ეს მოვლენა სოციალური ხასიათისაა თუ სუფთა ადამიანური მოვლენაა?

იქნება ადამიანური უფროა, ხოლო სოციალური ყოფა ნოყიერ ნიადაგს ქმნის მის გამოსამეღვნებლად და აღსაზევებლად?!

განა დამფიქრებელი არ არის, რომ საშინელებათა ფილმებზე, საპედნიეროდ, ზოგი სულ არ შედის, ზოგიც უმალვე სტოვებს დარბაზს, ხოლო, საუბედუროდ, საკმაოდ ბევრნი არამცთუ ბოლომდე, რამდენჯერმეც კი ნახულობენ მსგავს ფილმებს და სიამოვნებით, ერთგვარი ტკბობით უცქერიან უსაშინლეს ეპიზოდებს?!

იქნებ ვინმემ თქვას, პორნოგრაფიულ ან საშინელებათა ფილმებს მაყურებელი არა ჰყავსო.

სამწუხაროდ, ჰყავს და ძალიან ბევრი მაყურებელიც ჰყავს. მსგავს ფილმებს კომერციული ფირმები იღებენ. ამ ფირმათა მესვეურები კი ისე არაფერს დააფინანსებენ, დიდი მოგება თუ არ მიიღეს.

პორნოგრაფიის ტალღას ვერც ჩვენი ქვეყანა გადაურჩა. ვიდეოტექნიკამ კიდევ უფრო გაალრმავა იდეური დივერსია. სატურნზმი ინდუსტრიის ზრდამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ათასგვარი ლიტერატურის შემოტანის შესაძლებლობას. მრავალი მძლავრი რადიოსადგური „გაფრენილ" ... პროგრამებით ეწევა ანტისაბჭოთა პროპაგანდას.

ომის, იდეოლოგიური ბრძოლის ათასგვარი ხერხი არსებობს. მხოლოდ ერთ მათგანზე მინდა ვილაპარაკო. იგი უძველესი ხერხია, მაგრამ, აკაცბრიობის სამწუხაროდ და სავალალოდ, იგი კვლავ გამოდის ახალრეზზე. გამოდის გაცილებით მასშტაბურად, ვიდრე ოდესმე. ესაა რელიგიური ბრძოლა. და თანაც, როგორც ამერიკელები ფიქრობენ და მოქმედებენ, რელიგიური ბრძოლა უფრო ეფექტურია, როცა იგი ოვით სახელმწიფოში, ე. ი. საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს.

ჩვენს ქვეყანაში რელიგიური უთანხმოების გაღვივების ცდა ახალი ამბავი როდია. ანალიზებდნენ რა საბჭოთა მუსულმანურ რესუბლიკებში მუსულმანი მოსახლეობის მატების სწრაფ ტემპებს, უკვე კარგა ხნის წინათ დაიწყეს წყლის ამღვრევა და ივარაუდეს, საუკუნის ბოლოს, როცა საბჭოთა კავშირში ქრისტიანებისა და მუსულმანთა რაოდენობა თითქმის გათანაბრდება, მათ შორის კონფლიქტი და განხეთქილებაც ლოგიკური იქნებაო.

ეს არც ისე სახაცილოა, ერთი შეხედვით რომ მოგვეჩვენებინა. ი. ბელიაევი „ლიტერატურნაია გაზეტაში" წერს: „იმ ახალგაზრდობით მანიპულაციას, რომელიც ალმა-ათაში მონაწილეობდა დეკემბრის ამბებში, სტუდენტურ წრეებში ჩაბუდებული ფანატიკოსი სუფისტებიც ეწეოდნენ. მხედველობაში მაქვს უფროსკურსელი სტუდენტები და, სხვათა შორის, პროფესორაც. იცით, რა არის ამაში შემაშფოთებელი? ის, რომ ბევრი ახალგაზრდა მეტისმეტად იოლად დაემორჩილა ამჯერად საუშკარაოზე თამამად გამოსულ ძალებს ისე, რომ არაფერი იცოდნენ უაზახეთის კომპარტიის ცკ-ის 16 დეკემბრის პლენუმზე და მოვლენათა გასაგითარებელ ადგილზე ხელმეტებით შეიარაღებულნი გამოცხადდნენ...

რა არის ეს, „მუსულმანური ოპოზიცია"? ამის პასუხი ჯერ კიდევ წინ არის. თუმცა დასავლეთში ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ, რომ ეს სწორედ ასე იყოს. ჩემს წინაშეა ინტერვიუ, რომელიც პარიზის ყოველკვირეულს „პუენს" მისცა იანვრის ბოლოს ალეკსანდრე ბენინგსენმა, ისლამის ავტორიტეტულმა ექსპერტმა. ამ ფრანგის აზრით, ისლამი დღეს კომუნიზმის და მანგრეველ ძალას უფრო წარმოადგენს, ვიდრე დასავლეთის დემოკრატიისას, იგი ჯერ ალმოსავლეთის მტერია და მერე დასავლეთისა. მათ შორის, ვინც ალმა-ათის დემოსტრაციას აქეზებდა, ბენინგსენი მაინც სუფისტებს გამოჰყოფს. თუმცა, მისივე სიტყვით, ისინი უპირატესად ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით დაღესტანში, ასევე შუა აზიასა და აზერბაიჯანში მოქმედებენ... ვთქვათ, ბენინგსენი აშკარად აზვიადებს, მაგრამ რა მიზნით? როგორმე შექმნას დამახინჯებული სურათი. მიზანი იგივეა — დაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთის, რომ ისლამური ინფრასტრუქტურა არა მარტო არსებობს, არამედ მოქმედებს კიდეც...

...სუფიზმს სულ უფრო და უფრო აქტიური პროპაგანდა ეწევა საბჭოთა მუსულმანთა შორის. მოქმედებს საკუთარი „ისლამის გამომცემლობა“: საკმაოდ ფართოდ იბეჭდება მანქანაზე და ქსეროქსით მრავლდება გამოცემები რელიგიურ თემაზე, ვრცელდება კასეტები მუსულმანური წმინდა ტექსტებისა და ისლამის ავტორიტეტების ჩანაწერებით. არ გამიკვირდება, რომ გავიგო, კასეტების ნაწილი ტაჯიკეთსა და უზბეკეთში საზღვარგარეთიდან რომ შემოდიოდეს და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში იქიდან ვრცელდებოდეს“ („ლ. გ.“ 20. V. 87).

უცხოეთში უამრავი წიგნი დაიწერა ისლამზე. ამ წიგნებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისლამის პრობლემებს საბჭოთა კავშირში. რასაკვირველია, ავტორები ძალზე აზვიადებენ მოვლენებს, ეკსტრემალურ დასკვნებაც გვთავაზობენ. მათი მოსაზრებანი სურვილებს უფრო გამოხატავს, ვიდრე საქმის რეალურ არსს, მაგრამ მთელი ეს პროპაგანდა, პროგნოზები და შეხედულებანი აუცილებლად შესასწავლია და ანგარიშგასაწევი. აი, თუნდაც ეს მოსაზრება, დასავლეთგერმანელი ჟურნალისტი ვოლპელმ დიტლი რომ გამოთქვამს: „როგორც ისლამი, ამჟამად რომ კულისებს მიღმაა მიმალული, გამოიჭრება ფართო გზაზე და აჯანყდებიან აგრესიული ფუნდამენტალისტები, კრემლი მიიღებს ახალ პოლონეთს, ოღონდ ამჯერად მისი საკუთარი საზღვრების ფარგლებში შემოსულს“.

კიდევ ვიმეორებ, მსგავსი მოსაზრებანი ავტორებისა და გარკვეული რეაქციული წრეების სურვილებს უფრო გამოსახავს, მაგრამ არც გულზე ხელის დაკრეფა გვმართებს.

საუკუნის პარადოქსია, დო მიდის. ტექნიკა ვითარდება, ადამიანი ბუნების საიდუმლო სიღრმეებში იმზირება, გარემოს საფუძვლიანად ეუფლება, ენერგიის ახალ წყაროებს ხალხის სამსახურში აყენებს, ხატრანსპორტო საშუალებებს ფანტასტიკურობამდე სრულყოფს, კოსმოსში გაჭრილი და მიკროსამყაროს სიღრმეებში ჩახედული თავის ძლევამოსილებას ზეიმობს... ცხოვრება კი თანდათან უფრო რთულდება. პლანეტის პოლიტიკურმა, ინტელექტუალურმა, რელიგიურმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა სიჭრელეებმა ტექნიკურად უალრესად განვითარებულ ატომურ საუკუნეში პლანეტა დენთის საწყობს დაამსგავსა, მხოლოდ ერთი ნაპერწკალია საჭირო, რომ ყველაფერი არარად იქცეს.

●

„ის, ვინც აკონტროლებს წარმოდგენას მომავალზე, აკონტროლებს თვით მომავალს!“ — ეს ფრაზა ეკუთვნის პენტაგონის ერთ-ერთ გენერალს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1982 წელს გამართულ ფანტასტ მწერალთა კონგრესში.

„სამწუხაროდ, ამ კონტროლში ამერიკელი გენერალი შეიარაღებისას საბრძოლო იარაღის ახალ სახეობებს და წარმართვის მეთოდებს უფრო გულისხმობდა, ვიდრე, ვთქვათ, უპირატესობის მოპოვებას მეცნიერებისა და ტექნიკის სამშვიდობო დარგებში.

დედამიწაზე, ერთის შეხედვით, ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნები. დიახ, ერთის შეხედვით, რადგან კაპიტალისტურ სამყაროს როგორც იდეოლოგიის, ასევე ეკონომიკის სფეროში ძირითად მოწინააღმდეგედ მხოლოდ ჩვენ მივაჩნევართ.

ცხოვრება კი წინ მიდის და საერთაშორისო ასპარეზზე ნელ-ნელა იკვეთება განვითარებადი ქვეყნები. დღესდღეობით ძნელი სათქმელია, ძალათა როგორი შეფარდება ან ხალხმეწოფოთა გარკვეულ ჯგუფებს შორის როგორი დაპირისპირება იქნება მეოცე საუკუნის დასასრულს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ თვით მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებობს სხვადასხვა სახის მძაფრი წინააღმდეგობანი.

ბუნებრივია, ამერიკა ცდილობს და გამწარებით იბრძვის კიდეც, მოიპოვოს სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობა მეგობარ გრანდებს შორის. ცდილობს, კვლავ შეინარჩუნოს ლიდერის როლი და, აქედან გამომდინარე, მეთაურის უპირატესობანი, კვლავ მოაბეოს თავს მოკავშირეებს თავისი ნება-სურვილები.

გააფთრებული ეკონომიკური ბრძოლები მიმდინარეობს არამარტო სახელმწიფოებს შორის, არამედ ცალკეულ ფირმებს შორისაც, თუნდაც ისინი ერთი და იგივე სახელმწიფოში არსებობდნენ.

ასეთმა გამძაფრებულმა და გაშმაგებულმა ბრძოლებმა ტექნიკის ისეთი განვითარების პირობებში, მეოცე საუკუნის ბოლოს რომ იქნება, შეიძლება ბევრი სიკეთე მოუტანოს კაცობრიობას და ბევრი ცუდიც.

ასეთი დაუნდობელი ბრძოლის დროს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მომავლის პროგნოზირებას, კაცობრიობის განვითარების ძირითადი მიმართულებების დროულად გამოკვეთას, სათანადო ტექნიკური ბაზებისა და კადრების მომზადებას.

ოცდამეერთე საუკუნე დასაწყისიდანვე იქნება დიდი მასშტაბის მეცნიერული აღმოჩენების საუკუნე. ამ საუკუნისათვის კი კარგა ხნის დაწყებული უნდა გვქონდეს ახალგაზრდა თაობების მოსამზადებელი ღონისძიებანი. მათთვის ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს ელექტროგამომთვლელი მანქანები და კომპიუტერები, როგორც ჩვენთვის გამრავლების ტაბულაა.

შემთხვევითი არ იყო, ტოკიოს მახლობლად, სულ რაღაც 50 კილომეტრზე. ცუკუბას მოახლთან მოწყობილი გამოფენის „ეკსპო-85-ის“ კოში. სარმა კაცუზი იკადა რომ თქვა: „თხუთმეტი წელიწადი გვაშორებს საუკუნეს, რომელიც დიდი მეცნიერული მიღწევების საუკუნე იქნება. მეცნიერებისადმი, შემოქმედებისადმი ინტერესი თავიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ბავშვებს. ახალგაზრდობა უნდა მოვხიბლოთ და მივიზიდოთ. ჩვენი გამოფენა ამიტომაც ჩამომგავს წარმოდგენას“.

ამიტომაც იყო გამოფენის ტერიტორიაზე მსოფლიოში ყველაზე მაღალი, 85 მეტრიანი ბორბალი. ამ ბორბლის ბოლო, უკიდურესი წერტილიდან მშვენივრად „მოჩანდა“ ოცდამეერთე საუკუნის ჰორიზონტი.

ამიტომაც იყო აქ მსოფლიოში ყველაზე დიდი პლანეტარიუმი, ყველაზე დიდი ლაზერული საათი, ყველაზე სწრაფი რკინიგზა მაგნიტურ ბალიშზე (302 კმ. საათში), ყველაზე დიდი ტელეეკრანი (40×25 მ.), ყველაზე დიდი და თანაც მსოფლიოში ერთადერთი პამდვრის ხე, რომლის ტოტებიდანაც გამოფენის დღეებში ჩამოკრიფეს 10 ათასი ცალი პამდორი.

გამოფენას 100 ჰექტარი ფართობი ეჭირა. ამიტომაც დაარქვეს მას XXI საუკუნის 100 ჰექტარი. მოვიტანეთ ერთ ნაწყვეტს ა. უდალცოვის შთაბეჭდილებებიდან, „ლიტერატურნაია გაზეტაში“ რომ გამოაქვეყნა გამოფენის დათვალიერების შემდეგ. მან იქ ნახა მსოფლიოში პირველი ფილმი, „კომპიუტერული გრაფიკით“ რომ არის შექმნილი:

„მაშ ასე, მსოფლიოში პირველი ფილმი (თუ წარმოდგენა?), „კომპიუტერული გრაფიკის“ მეთოდით შესრულებული, „ჩვენ ვარსკვლავებით შობილნი ვართ“, დემონსტრირებული იყო გიგანტური ნახევრსფეროსებურ 120 მ. დიამეტრის მქონე ეკრანზე — კოსმოსურ გუმბათზე.

...ჩაქრა სინათლე, საკამეჩლებმა ნელ-ნელა, ნარნარით თითქმის ჰორიზონტალური მდგომარეობა მიიღეს და დაიწყო შთამბეჭდავი სანახაობა. ეკრანმა თითქოს შეწყვიტა არსებობა. მარჯვნივ და მარცხნივ, გვერდიდან, წინა და უკანა მხრიდან კოსმოსური ხომალდები, ვარსკვლავები, პლანეტები დაცურავდნენ. გამოსახულებანი ისეთი რეალური და ცხადი იყო, რომ ხალხი ცდილობდა, ხელი გაეწვდინა, შეხებოდა მათ.

გაბედული დრეიფი მოკაწყვეთ მეტეორიტულ ქარიშხალში, მერე მზეზე დავეშვით და რამოდენიმე ხანს მზის პროტუბერანსების მობობოქრე ბირთვშიც დავყავით. შემდეგ, როგორღაც შეუმჩნეველად, მიკროდან ატომებისა და მოლეკულების მიკროსამყაროში გადავინაცვლეთ, თანაც ყინულის კრისტალების შინაგანი წყობის ზღაპრული სამეფოც ვიხილეთ. ამ მოგზაურობაში გვახლდნენ აკადემი არნაბული სასაცილო ცხოველები, გზადაგზა მოვლენებს რომ გაკმარტავდნენ. როცა შუქი აინთო, მაყურებლები წამიერად განცვიფრებისაგან გაქვავებულნი ისხდნენ“.

დიახ, 18 წელი კიდევ და სულ სხვა სინამდვილის წინაშე დადგება კაცობრიობა.

მოიპოვო ლიდერობა ოცდამეერთე საუკუნეში, ესე იგი, მოიპოვო წარმატებები დიდ იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ბრძოლებში, ბევრი გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმაა საჭირო და თანაც, როგორც ზემოთ უკვე ვთქვეთ, სწორი პროგნოზირების გარეშე თვით ყველაზე გაბედულა და ეკონომიკურად შთამბეჭდავი ნაბიჯების გადადგმაც ვერ მოგვიტანს სასურველ შედეგებს. დადგა დრო, როცა არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელი ტემპების პირობებში ერთი წლით ჩამორჩენა გასულ წლებში ათი წლით ჩამორჩენის ტოლფასია.

ეს შეჯიბრი სახელმწიფოებს შორის, თუ მას შეიძლება შეჯიბრი ვუწოდოთ, არ ჩამობგავს სპორტულ შეჯიბრებს, სადაც ხან ერთია გამარჯვებული და ხან მეორე, ეს შეჯიბრი უკიდურესობამდეა დაძაბული, უფრო მეტიც — სამკვდრო-სასიცოცხლოდ კია.

იაპონიამ, რომელსაც უზარმაზარი უბედურება დაატყდა თავს მეორე მსოფლიო ომში, ჯერ-ჯერობით ერთადერთმა ქვეყანამ, რომელმაც იწვნია ატომური ბომბის შემაძრწუნებელი ძალა, არნახულ წარმატებებს მიაღწია მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის სფეროში. ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ შეაშფოთა მეგობარი ქვეყნების, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების საკმაოდ წრეები.

„ოცდამეერთე საუკუნე ეაუთვნის იაპონიას!“ გაჩნდა ასეთი ლოზუნგი მსოფლიოში.

„ოცდამეერთე საუკუნე უნდა იყოს იაპონიის საუკუნე!“ — იძახიან თვითონ იაპონელები და ეს არ არის ბაქია ხალხის სიტყვები. ისინი მართლაც ყველაფერს აკეთებენ, რომ ოცდამეერთე საუკუნე „იაპონურ საუკუნედ“ მონათლონ.

„შეაჩერეთ იაპონია!“ — ისროლეს ლოზუნგი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისროლეს შეშფოთებულებმა და პრაქტიკული ნაბიჯებიც ენერგიულად გადადგეს. საბაუო და ათასგვარი გადასახადების გაზრდით შეეცადნენ ამერიკის ბაზრებიდან, თუ მთლიანად ვერა, ნაწილობრივ მაინც განდევნონ იაპონური საქონელი.

ბევრი მეცნიერი თუ საქმიანი წრეების წარმომადგენელი ცდილობს გამოიცნოს იაპონელთა ფანტასტიკური წარმატებების საიდუმლოებანი.

იაპონელთა წარმატება ძალზე ბევრმა პიროვნამ განსაზღვრა. აქედან გამოვეყოფ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, პირველ რიგში კი მომავლის პროგნოზირებას.

იაპონიამ იწინასწარმეტყველა, რომ მალე დაიწყებოდა ენერგეტიკული კრიზისი და, სანამ ამერიკა გონს მოვიდოდა, შექმნა ყველაზე ეკონომიური მსუბუქი მანქანები. როცა გონს მო-

ვიდნენ, უკვე გვიან იყო: სანამ ამერიკელებმა და ევროპის ქვეყნებმა მოახდინეს თავიანთი კარნნების მოდერნიზაცია, სანამ ამერიკაში 6 და 8 ცილინდრიანი, ხუთი მეტრის სიგრძე მანქანების დღევანდელი ღლიბათვის არაპრაქტიკულობასა და არაეკონომიურობაში დარწმუნდნენ, იაპონიამ უკვე ამოავსო თავისი მანქანებით მთელი მსოფლიო.

იაპონელმა სპეციალისტებმა გააანალიზეს იმ ქვეყნების წარმატებათა მიზეზები, რომლებმაც ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებში მსოფლიო წარმატებებს მიაღწიეს. ისინი, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთის წარმატებებით დაინტერესდნენ გასულ საუკუნეში. იაპონელები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ინგლისის მსოფლიო ჰეგემონიას უმეტესწილად ხელი შეუწყო ძლიერმა ფლოტმა.

და მაშინ, როცა მსოფლიოს სუპერსახელმწიფოები ფიქრობდნენ, რომ ავტომობილების, თვითმფრინავების და რაკეტების პერიოდში საზღვაო ფლოტი თანდათან ჩკარგავდა პოზიციებს, იაპონიის საკმაოდ წრეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მომავალში ძლიერი საზღვაო ფლოტი კვლავ უპირველეს როლს შეასრულებდა სახელმწიფოს ცხოვრებაში.

იაპონიამ ამ მიმართულებით მართლაც რომ სასწაული მოახდინა. თავდადებულმა, მეცნიერულად გამიზნულმა შრომამ იაპონიის ფლოტს მსოფლიოში მესამე ადგილი დაუმკვიდრა.

სწორი აღმოჩნდა მათი პროგნოზი. 50-60-იან წლებში დაიწყო იაპონიის ეკონომიკის სასწაულებრივი აყვავება, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული მძიმე და ქიმიური მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან. ხოლო ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი სამთომადნო საბადოები, ნავთობი, გაზი და ქვანახშირი, რომელსაც ყოველგვარი ნედლეული ჯერ უცხოეთიდან უნდა შემოეტანა, ხოლო შემდგომ გამზადებული პროდუქცია უკან გაეტანა, ვერაფერს გააწყობდა მძლავრი, მოქნილი და ორგანიზებული ფლოტის გარეშე. მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს; მარტო 1978 წელს იაპონიამ უცხო ქვეყნებიდან შეიტანა 224. მილიონი ტონა მხოლოდ ნავთობი, 316 მილიონი ტონა ქვანახშირი.

დღესდღეობით იაპონიას შეაქვს 40 მილიარდი კუბომეტრი გათხევადებული გაზი. ამას დაუმატეთ რკინის მადანი და სხვა ათასი რამ. ვფიქრობ, მკითხველი ნათლად წარმოიდგენს, რა მოცულობის სამუშაოს ასრულებს იაპონიის საზღვაო ფლოტი და რა სწორი ყოფილა მათი პროგნოზი.

შედეგმაც არ დააყოვნა.

იაპონიის ეკონომიკის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ზრდის ტემპების თაობაზე ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება. მხოლოდ რამდენიმეს შემოგთავაზებთ: თავად იაპონელი ეკონომისტების ანგარიშით, თუ 1960 წელში იაპონიის მთლიანი ეროვნული პროდუქციის წილი მსოფლიო მრეწველობაში მხოლოდ 3 პროცენტი იყო, 1980 წლისათვის 10 პროცენტამდე გაიზარდა, 2000 წელში კი 12 პროცენტი გახდება. ამავე დროს, შესაბამისად, თუ ამერიკის შეერთებული შტატების წილი 1960 წელს 33 პროცენტს შეადგენდა, 1980 წლისთვის 22 პროცენტამდე შემცირდა და, როგორც იაპონელები ვარაუდობენ, XXI საუკუნის დასაწყისისათვის 20 პროცენტამდე მაინც დაეცემა, თუ მეტად არა.

იაპონელებს არ სჩვეოდათ მიღწეულით დაკმაყოფილება. მათ მშვენივრად იციან, რომ ყოველ პერიოდს თავისი სპეციფიკა აქვს, იციან, რომ მოვლენები სწრაფად იცვლებიან. ისიც აშკარა გახდა, რომ მძიმე მრეწველობა, რომლის სწრაფმა განვითარებამ იაპონიას ამდენი წარმატება მოუტანა, თანდათანობით მძიმედ დაიწვა: ქვეყნის ეკონომიკას. ამიტომაც იაპონიამ შექმნილ ვითარებას სწრაფად აუღო ალღო და სრულიად ახალი პროგრამა დაიხახა.

იაპონელები წამს არ ჰკარგავენ რაღაც ახლის შექმნაზე, თუკი ეს ახალი სადღაც უკვე გამოგონებულია, სამაგიეროდ, საგანგებოდ დასპეციალდნენ გამოგონების გაუჭობესებაზე. მოვიტან თუნდაც ერთ მაგალითს, თუ რა შედეგებს აღწევდნენ იაპონელები შეძენილი გამოგონებების შემდგომი გაუჭობესებისახს. ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში იაპონურმა ფირმა „სონიმ" ამერიკაში იყიდა პრიმიტიული ტრანზისტორული ტექნიკის პატენტი. ამერიკელებმა მაშინდელ „განვითარებად" სახელმწიფოს იაპონიას მეგობრულ ფასად, სულ რაღაც 25 ათას დოლარად მიჰყიდეს ხსენებული პატენტი, დღეს კი... მოგეხსენებათ, როგორ დაიპყრო მსოფლიო ბაზარი „სონისა" და სხვა იაპონური ფირმების რადიო, ტელე და ვიდეოტექნიკამ.

სამართლიანად ხვამს შეკითხვას ჟურნალ „ზტერნში" გერმანელი ჟურნალისტი ერიხ ფოლტი: „ნუთუ ამოდენა მიღწევებს მხოლოდ იაპონელი ხალხის საოცარი შრომისმოყვარეობა განაპირობებს?"

ისიც უნდა დავძინოთ, ბოლო წლებში იაპონიაში დიდი ყურადღება მიექცა საკუთარ სამეცნიერო კვლევას და, რაც მთავარია, უმაღლესი ორიგინალური ტექნიკური სისტემების დამუშავებას, რომლებსაც არ გააჩნია პროტოტიპები მსოფლიოში. ამის თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც ელექტროგამომთვლელი მანქანების მეხუთე თაობა.

წელან გერმანელი ჟურნალისტის კითხვა გავიხსენეთ. მართლაცდა, მხოლოდ იაპონელთა საოცარი შრომისმოყვარეობის შედეგია ამოდენა, თითქმის ფანტასტიკური წარმატებები?

რასაკვირველია, მხოლოდ შრომისმოყვარეობა ვერ გააპირობებდა იაპონელთა მიღწევებს. ზემოთ ჩვენ სწორ პროგნოზირებაზე ვილაპარაკეთ. იაპონია კიდევ უფრო შორს წავიდა.

ტოკიოს მახლობლად დაარსდა „გონიერთა ქალაქი“ ცუკუბა. აქ თავი მოუყარეს ქვეყნის საუკეთესო მეცნიერებს და ყველა პირობა შეუქმნეს მეცნიერული მუშაობისათვის. იგეგმება კიდევ რამდენიმე ასეთი კომპლექსის მშენებლობა.

იაპონელ სპეციალისტთა მიღწევები, მათი დაძაბული შრომის შედეგები აქ, ისევე როგორც ნებისმიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოში, მსხვილი კორპორაციების ხელშია. ისინი არც ფულს, არც ენერგიას არ ზოგავენ კონკურენტებთან ბრძოლაში. განსაკუთრებით კი ცდილობენ, გადაუსწრონ ამერიკელ მონოპოლისტებს. თავის მხრივ ამერიკელები, როგორც უკვე ვიქვით, ყველა ღონეს ხმარობენ მოწინავე პოზიციების შესანარჩუნებლად, თუმცა უარს როდი ამბობენ, გამოიყენონ უახლესი იაპონური გამოკვლევები და აპარატურა მილიტარისტული მიზნებით.

„გონიერთა ქალაქ“ ცუკუბაში ოჯახებით ცხოვრობენ და მუშაობენ იაპონიის საუკეთესო მეცნიერები და გამომგონებლები.

სხვათა შორის, როგორც გერმანული ჟურნალი აღნიშნავს, გონიერთა ქალაქის იდეა იაპონელებმა გადაიღეს საბჭოთა კავშირიდან, როცა ციმბირში ჩვენებმა აკადემ-ქალაქი ააშენეს.

1963 წლიდან მოყოლებული „გონიერთა ქალაქის“ ასაშენებლად იაპონელებმა დახარჯეს თანხა, რომელიც აღემატება 14 მილიარდ დასავლეთგერმანულ მარკას, უკანასკნელ წლებში „იდეების ფაბრიკაში“ მომუშავე მეცნიერთა რიცხვმა მიაღწია 11 ათასს. ასე შეიქმნა იაპონური „ტექნოპოლისი“, მსოფლიოში უდიდესი მეცნიერული ქალაქი.

იაპონელები მაინც არ ცხრებიან. მოკლე პერიოდში, გადაწყვეტილი აქვთ, „იდეების ფაბრიკაში“ მეცნიერთა რიცხვი 50 ათასამდე გაზარდონ. რამდენიმე თვის წინ მიიღეს გადაწყვეტილება, ქვეყანაში ააშენონ კიდევ 14 „გონიერთა ქალაქი“. ისინი მწყობრში 1990 წელს ჩადგებიან.

ყოველი „ტექნოპოლისი“ სამი ძირითადი კომპონენტისაგან უნდა შედგებოდეს. პირველი — სულ მცირე, მრეწველობის მოწინავე დარგების ორი-სამი მსხვილი დაწესებულებებისაგან უნდა დაკომპლექტდეს. მეორე — სახელმწიფო ან კერძო უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების ძლიერი ჯგუფებისაგან უნდა ჩამოყალიბდეს.

„ტექნოპოლისის“ მესამე კომპონენტია საცხოვრებელი ზონა: თანამედროვე სახლები, სკოლები, სპორტული მოედნები, სავაჭრო და კულტურული ცენტრები. არის კიდევ ერთი პირობა: „ტექნოპოლისები“ უნდა გაშენდეს დიდი ქალაქების მახლობლად. უკიდურეს შემთხვევაში, ქალაქის მოსახლეობა 200 000 მაინც უნდა შეადგენდეს. ქალაქს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგი აეროპორტი და სარკინიგზო კავშირი. მეცნიერებს უნდა შეეძლოთ ერთ დღეში დაუბრკოლებლად ჩავიდნენ ტოკიოში, ოსაკაში და სხვა მსხვილ ქალაქებში და იმავე დღეს დაბრუნდნენ უკან.

ELIBRARY
ეროვნული ბიბლიოთეკა

რა პრობლემებს ამოშავებენ ამჟამად იაპონიაში? თავდაპირველად დიდი ყურადღება ეთმობოდა ქვეყანაში მძიმე მრეწველობის განვითარებას. მეორე მსოფლიო ომში ნანგრევებად ქცეულმა იაპონიამ სულ მოკლე დროში მესამე ადგილი დაიკავა პლანეტაზე ფოლადის გამოდნობის რაოდენობით.

ახლა სულ სხვა ამოცანები დადგა მათ წინაშე, „დადგა დრო, — ამბობენ ისინი, — თავდაწმენდილ ხმაურიანი, სამყაროს გამაჯუჯაინებელი დარგები. დროა ისინი დავუთმოთ განვითარებად ქვეყნებს“.

თვითონ კი აპირებენ განავითარონ ისეთი დარგები, რომლებიც შეესაბამება ახალ დევიზს: „მსუბუქი, თხელი, მოკლე, მინიატურული“. უკვე შეარჩიეს 14 დარგი. აი ეს დარგებიც: საავიაციო და კოსმოსური ტექნიკა, ოპტიკური ბოჭკოები, ინტეგრალური სქემები, სამრეწველო რობოტები, სამედიცინო ელექტრონიკა, კომპიუტერები, საინფორმაციო სისტემები, სამრეწველო კერამიკა, წამლები, ახალი მასალები, საპროგრამო-დამამახსოვრებელი მოწყობილობები, ბიერეთვე, ბიოტექნოლოგია და ზუსტი მანქანათმშენებლობა.

აი, რომელი დარგების პრობლემები უნდა დამუშავდეს „გონიერთა ქალაქებში“.

იაპონელებს მეორე დიდი მიმართულებაც აქვთ მონიშნული ქვეყნის განვითარებისა. გადაწყვიტეს, ქვეყნის ტერიტორიაზე დაწესებულებები და სამრეწველო ორგანიზაციები განაწილდეს გეგმაზომიერად, უფრო მოქნილი გახდეს მათი მართვა.

იაპონიის მძაფრი განვითარების წლებში ჩამოყალიბდა სამი გიგანტური სამრეწველო რაიონი: ტოკიო-იოკოჰამა, ოსაკა-კობე და ნაგოია, 1980 წლისათვის აქ აწარმოებდნენ მთელი იაპონიის სამრეწველო პროდუქციის ნახევარს, აქვე მოიყარა თავი იაპონიის მოსახლეობის მესამედმა, სტუდენტების ორმა მესამედმა, საბანკო ანაბრების ნახევარმა. ამ უზარმაზარმა „მეგაპოლისებმა“ ქვეყანა გადაუჭრელი პრობლემების წინაშე დაიყენა.

ამიტომაც გადაწყდა როგორც „გონიერთა ქალაქების“, ასევე სხვა სამრეწველო ცენტრების ნაკლებად განვითარებულ რაიონებში გაშენება. განსაკუთრებით ბევრი ასეთი ქალაქი გაშენდა კუნძულ კიუსიუზე, შიდა იაპონიის ზღვის ნაპირო რაიონებში, დღეს ჩამორჩენილთა შორის რომ არიან.

პრეფექტურები, რომლებიც „ტექნოპოლისების“ მშენებლობის უფფლებას მიიღებენ, აპირებენ საკმაოდ შესაბმნევი შეღავათები გაუწიონ იმ სამრეწველო კომპანიებს და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, რომლებსაც სურვილი ექნებათ მათ ტერიტორიაზე დაფუძნე-

ბისა. შეღავათები ითვალისწინებს მიწის იაფად გაყიდვას, ადგილობრივი გადასახადებისაგან განთავისუფლებას, დაბალპროცენტიანი სესხისა და კრედიტის შეთავაზებას.

რობოტები და ავტომატიკა უმუშევარს სტოვებს ათასობით მუშას. თან იაპონელები უფრო და უფრო მეტ ქარხნებს აშენებენ საზღვარგარეთ, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში, იქ მუშახელი უფრო იაფია და ხელფასებსაც ოთხჯერ ნაკლებს იხდიან, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. ფაბრიკა-ქარხნების სხვა ქვეყნებში აშენება იაპონიაში 2000 წლისათვის დამატებით უმუშევარს დატოვებს მილიონამდე მუშას.

რა უნდა უქნან ამ ხალხს?

იაპონიაში უკვე ფიქრობენ მრეწველობის ისეთ დარგებზე, სადაც დასაქმებენ არამარტო უმუშევრებს, არამედ პენსიონერებს და ინვალიდებსაც კი. ამას ხალხის ზრდაზეთ როდი აკეთებენ. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან, ვარაუდობენ ისინი, ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გამძაფრდება კონკურენცია, სამაზრო ბრძოლა. ამიტომაც ადამიანის ენერგიის ერთი მისხალიც არ უნდა დარჩეს გამოუყენებელი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იაპონიაში ხელმძღვანელი კადრების აღზრდას. „მენეჯერი, — ეს მებრძოლია! მას არა აქვს შიშისა და შეცდომის უფლება. ყოველმა ხელმძღვანელმა საკუთარი ინტერესები უნდა დაუქვემდებაროს ფირმის ინტერესებს, უნდა შეიძულოს მისი მტრები და მზად უნდა იყოს ძნელი ბრძოლებისათვის შუმბლიერი სახლის — ფირმის ასაკუვეველად!“ — აი დევიზი სპეციალური სასწავლებლების, სადაც ამზადებენ იაპონური კორპორაციების მომავალ ხელმძღვანელებს.

ამერიკა გაფაციცებული ადევნებს თვალყურს იაპონიის განვითარებას. ეშინიათ, ამომავალი მზის ქვეყანამ, რომელიც ამერიკასთან შედარებით დაახლოებით 18-20 საათით ადრე შევა ოცდამეერთე საუკუნეში, უფრო ღონიერად არ შეაბიჯოს, ვიდრე ამას შესძლებს შეერთებული შტატები.

მარტო ამერიკელები როდი არიან შეშფოთებულნი. თუ უწინ იაპონიის საამქროებად გადქცეული აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისათვის მომგებიანი იყო იაპონური კონცერნების მოღვაწეობა, ახლა ისინი თანდათან ეწყვეტიან ამ კონცერნების მარწუხებში, უკვე იბრძვიან შემოღონ შეზღუდვები იაპონელებთან ვაჭრობაში.

როგორც ი. ტავროვსკი წერს: „მალაიზიის პრეზიდენტმა ამას წინათ განაცხადა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს ადარ სურთ ხერხონ შეშა და ზიდონ წყალი იაპონიისათვის.

სამაგალითოა, რომ იაპონელებმა, რომელთაც წილად ხვდათ 26 პროცენტი ჩინური შიდასავაჭრო მიმოქცევისა, 1985 წლის პირველ 9 თვეში ჩინეთთან ვაჭრობაში შექმნეს 9 მილიარდიანი (ამერიკული დოლარის კურსით) უპირატესობა ექსპორტის ღირებულებისა ამავე ქვეყნის იმპორტთან შედარებით. საზღვარგარეთის ვალუტის ასეთმა საგრძნობმა უკუდინამ უბიძგა პეკინს, გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგა „ჩინური იმპორტის მკვეთრად შესაცირებელად“ („ზა რუბეიუთ“ № 3, 1986 წ.).

აი, როგორი ბრძოლებით მიიწევს წინ იაპონია. იგი არ ერიდება არც მუჭელუგუნებს, არც სხვა ხერხებს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ემყარება დიდ და საოცრად გააზრებულ მოქმედებას, უზარმაზარ შრომისმოყვარეობას.

ი. ტავროვსკი იქვე წერს: „ტოკიოში ნათლად სწამთ, რომ ტექნოპოლისებს XXI საუკუნეში შესასვლელი ბილეთის როლი მიენიჭებათ, საუკუნისა, „იაპონურ საუკუნედ“ რომ უწოდა იქცეს. ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, შესრულდება თუ არა ეს ჩანაფიქრი, შესძლებს თუ არა „კორპორაცია იაპონია“, გაუსწროს თავის კაპიტალისტურ მოწინააღმდეგეებს. ერთი კი ნათელია, ოცდამეერთე საუკუნეში შესასვლელი ბილეთი ძალიან ძვირი დაუჯდება ამომავალი მზის ქვეყანას“.

●

სამშუხაროდ, მეცნიერების წინსვლას ყოველთვის ჰქონდა და აქვს ორი მხარე — დადებითი და უარყოფითი.

თავისთავად ასეთი საშინელი კონკურენცია და დაუნდობელი ბრძოლა საეჭვო და ეკონომიური მეგზემონიისათვის, თუნდაც მხოლოდ სამშვიდობო, საოჯახო ნივთებს ვამზადებდეთ, ახალ, უფრო ძლავრ და უფრო სწრაფ საკრანსპორტო საშუალებებს ვქმნიდეთ, კვების მრეწველობაში ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს ვნერგავდეთ და ასე შემდეგ, მხოლოდ ამ დარგების თავბრუდამხვევი ტემპით განვითარება, კომპანიებსა და ფირმებს შორის შუღლი და, რაც კიდევ უფრო მასშტაბურია, სახელმწიფოთა შორის ძაფური ეკონომიური და სამაზრო ბრძოლა თავისთავად განაპირობებს ბევრ ეკოლოგიურ და სხვა სახის დანაშაულებას.

სადაც არ არის დარგების განვითარების გეგმაზომიერი და გონებიზმიერი განვითარება, იქ არ იქნება დაცული ყველა ტექნოლოგიური პირობა, რომლებმაც თავიდან უნდა აგვაცილონ გარემოს დანაგვიანება, მდინარეების, ზღვებისა და ოკეანეების გაბინძურება, ატმოსფეროს გაჭუჭყიანება და ა. შ.

დიახ, მეცნიერებისა და ტექნიკის თვით სამშვიდობო მიზნებით განვითარების დროსაც კი მოსალოდნელია მრავალი უბედურება ყველა: ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო.

უფრო დიდი საშინელება ისაა, რომ სამშვიდობო მრეწველობაზე გაცილებით სწრაფად იზრდება სამხედრო მრეწველობა. მთელს მსოფლიოში უზარმაზარი თანხები იხარჯება ახალი, უფრო სრულყოფილი იარაღის შესაქმნელად, მთელს მსოფლიოში უდიდესი მეცნიერები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომგონებლები თავის ნიჭსა და უნარს ახმარენ უფრო და უფრო მძლავრი, გამანადგურებელი იარაღის შექმნას, დამეთანხმებით, სანადროდ და კურდღლის მოსაკლავად როდი იგონებენ ამ იარაღს. ყველაფერი ადამიანის მოსახეობადაა გამიზნული და გამზადებული.

ხაუკუნის ბოლოსათვის ვარაუდობენ, რომ თვით განვითარებადი ქვეყნებიდანაც ბევრს ექნება საკუთარი თერმობირთვული იარაღი და რაკეტები. თანაც ისინი უკვე შეესლებენ შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებთან ოვაჭრონ კიდეც ამ იარაღით.

დღეისათვის ბრაზილიას, პაკისტანს, ტაივანს, ისრაელს და ინდოეთს უკვე აქვთ სამამულო რაკეტები.

ისრაელის რაკეტა „ლერკონი-2" ბირთვული ჯობინითაა აღჭურვილი. მისი მოძრაობის სიშორის რადიუსი 300-450 მილი.

სამხრეთ კორეამ კარგა ხანია გამოსცადა საკუთარი წარმოების რაკეტა „ზედაპირი—ზედაპირი". ტაივანმა ისრაელთან „თანამეგობრობით" შექმნა სამამულო რაკეტა „მწვანე კოღო". ინდოეთი კიდევ უფრო შორს წავიდა, ვარაუდობენ, რომ მას უკვე აქვს შუალედური სიშორის ბალისტიკური რაკეტები. არგენტინელები ამუშავებენ (ვარაუდობენ, რომ უკვე დაამუშავეს კიდეც) რაკეტას, რომელიც შექმნამდე „კონდორად" მონათლეს. „კონდორს" თურმე თავისუფლად შეუძლია ფოლკლენდის კუნძულამდე იფრინოს (350 მილი).

ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ მრავალწლიანი ომით გატანჯულმა ლიბანმა სთხოვა დასავლეთ გერმანიას, დაეხმაროს მცირე სიშორის ბალისტიკური რაკეტების შექმნაში.

სპეციალისტები და პოლიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისათვის თითქმის ყველა ქვეყანას ექნება სხვადასხვა სიმძლავრისა და მცირე სიშორის საკუთარი ბალისტიკური რაკეტები, ისე, ყოველი შემთხვევისათვის, თავის მეზობელ ქვეყნებთან რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

აღარაფერს მოგახსენებთ ამერიკელთა და ნატოს ქვეყნების გამალებულ მილიტარიზაციაზე, „ვარსკვლავეთის ომებზე" და სხვა პროეკტებზე, რომელთა განხორციელებამდეც, თუ კეთილმა აზრმა არ გაიმარჯვა, ერთი ნაბიჯია რჩება.

ამ ხუთათის შემხედვარეებს არ შეიძლება არ გაგვახსენდეს აკადემიკოს ე. ჩაზოვის სიტყვები: „ჩვენ ვზიგართ დინამიტის ყუთზე, ხოლო თითოეულ ჩვენთაგანზე მოდის 10 ტონა ტრინიტროტოლული. ამ ყუთების ირგვლივ კი ზოგიერთები იქნევენ „თერმობირთვული პოლიტიკის" ჩირაღდნებს, რომელთაც ყოველ წამს, სრულიად შემთხვევითაც კი, შეუძლიათ გამოიწვიონ მსოფლიო კატასტროფა".

დიახ, უბედურება ისაა, რომ დღეს გაუგებრობა და შემთხვევითობაც არ არის გამორიცხული. სამხედრო ბაზების ურთიერთი კომპლექსები კომპიუტერულ სისტემებშია ჩართული.

ამ ბოლო დროს ამერიკაში გავრცელდა ხულიგნური თამაში. ელექტროგამომთვლელი მანქანების ზოგიერთ პროგრამისტს კომპიუტერის პროგრამაში შეაქვს ინსტრუქცია, რომელიც, გარკვეული დროის შემდეგ, ანადგურებს ყველა სახის ინფორმაციას, რაც მანქანის „მეხსიერებაში" იყო ჩაწერილი.

ამ თამაშით ზოგიერთები მხოლოდ თავის სადისტურ მოთბოვნილებებს იკმაყოფილებენ. მსგავს ხულიგნობას სხვა არავითარი სარგებელი არ მოაქვს ჩამდენისათვის.

არიან მეორე ჯგუფის ხულიგნებიც. ისინი ცდილობენ თავისი კომპიუტერით ამოიცნონ სხვა დაწესებულებების კომპიუტერების კოდი. იყო რამდენიმე ცდაც, ამგვარი მეთოდებით „შეეღწიათ" თვით პენტაგონშიც და კომპიუტერების ურთიერთ სისტემაში წაეშალათ ყველა წინასწარი დავალება.

არანაკლები დანაშაულების ჩადენა შეუძლიათ დღევანდელ და, მით უმეტეს, ხვალინდელ პირობებში გამომძალველებს, თაღლითებს, ტეროროისტებს, სადისტებს, ნარკომანებს...

საშინელი ფაქტების მოწმენი გახდნენ ამერიკაში. ამას წინათ ენერგეტიკული გამოკვლევების სამმართველო იტყობინებდა, რომ თურმე ურანისა და პლუტონის საკმაოდ დიდი მარაგი ყოფილა დატაცებული ქვეყნის სხვადასხვა ატომური ენერგეტიკის ობიექტებიდან.

მომავალში ისიც არ არის გამორიცხული, რომ პლუტონიუმისაგან კუსტარული წესით დაამზადებენ ატომურ ბურვს. ამის მაგალითი უკვე იყო, როცა პრინსტონის უნივერსიტეტის სტუდენტმა ჯონ ფილიასმა პირველსავე კურსზე სრულიად დამოუკიდებლად დაამუშავა ატომური ბურვის მეკანიზმი, რის გამოც დიდი აღტაცება გამოუხატავს ნობელის პრემიის ლაურეატს ფიზიკოს იუჯინ ვიგნერს.

თვით ამერიკის პრესიდან შეიძლება მოვიტანოთ ბევრი ამონაწერი, რა რთული სიტუაცია შეიქმნა ამ მხრივ ქვეყანაში. ამერიკის ატომური ენერგეტიკული ცენტრებიდან უკვე გაუტაცია ოდესღაც ურანი და პლუტონიუმი, რომელიც თურმე თავისუფლად იკმარებს 100 ატომური ბომბის დასამზადებლად. შეშფოთებულმა ამერიკელებმა საერთო მდგომარეობის შესასწავლად შექმნეს სპეციალური კომისიები. მათი მუშაობის შედეგად გამოაშკარავდა დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის საშინელი ფაქტები. არც ერთ ატომური ენერგეტიკის ცენტრში სათანადო დონეზე არ ყოფილა ატომური ნედლეულის აღრიცხვის საკითხი. უფრო მეტიც, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ ფირმა „ჯენერალ ელექტრიკში" მოხდა აღმაშფოთებელი შემთხვევა. ფირმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა დევიდ დეიკმა საწყობიდან მოიპარა და ფირმის ტერიტორიიდან გაიტანა 70 კილოგრა-

მი ურანი. შემდეგ, როცა მოპარული ურანი კარგად გადამალა, ფირმის ხელმძღვანელობას დაურეკა და თავზეხედური ულტიმატუმი წაუყენა, თუ 200 ათას დოლარს მომეცემი, ურანს უკან დავაბრუნებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ურანს ფოსტით გავუგზავნი ფირმის ხელმძღვანელებსო. ამ გაუგონარ, თავზეხედურ ფაქტს მოჰყვებოდა ხალხის მასიური მოწამვლა რადიაციით. ბედად, პოლიციამ დაიკვა დამნაშავე.

ატომური შანტაჟი თანდათან ფეხს იკიდებს. ამერიკის პრესაში უკვე აღრიცხულია შანტაჟის ახალი, თანაც ძალზე მასშტაბური სახეობის 70 შემთხვევა. შანტაჟის ფორმები სხვადასხვაგვარია, საერთო კი ერთი აქვთ, — ატომური აფეთქება და რადიაციული მოწამვლა. ზოგიერთები თურმე ატომური დანადგარების აფეთქებითაც კი იმუქრებიან. საბედნიეროდ, ამ 70 შემთხვევიდან მხოლოდ ერთ ავანტიურისტს აღმოაჩნდა ატომური მასალა. დანარჩენები, ატომურ ტექნიკაში გათვითცნობიერებული შარლატანები, მხოლოდ ფსიქოლოგიური ზემოქმედებით და დაშინებით ცდილობენ ფულის გამოძალვას. ასეა თუ ისე, ატომური შანტაჟი დღეს თუ არა, ხვალ უკვე მიიღებს მეტად საშიშ სახეს. ბუნებრივია ამერიკელთა რეაქცია, მთავრობამ უკვე შექმნა სპეციალური დაწესებულება. მისი მოვალეობანი ასე განისაზღვრება: ბრძოლა ატომური ტერორის წინააღმდეგ.

პენტაგონი, როგორც ვ. ნიკოლაევი „ნაწ სოვრემენნიკში" წერს, ძალზე რეალურად მიიჩნევს ატომური ტერორის საფრთხეს.

რა მოხდება მომავალ წლებში, როცა უფრო ფართოდ დაინერგება ატომური და თერმობირთვული ტექნოლოგიები?

ამ მიმართულებით კიდევ მრავალი საფრთხე ემუქრება კაცობრიობას. მხოლოდ ერთს გამოვყოფ. ამერიკის სამხედრო ფლოტში და ავიაციაში ბევრი ნარკომანი მუშაობს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, რომელიმე აგზნებულმა ნარკომანმა თუნდაც ერთხელ რომ გადადგას სამედიცინერო ნაბიჯი, თუნდაც ერთხელ რომ შეეხოს სამედიცინერო პულს ან ნარკოტიკებისაგან გაბრუებული ერთხელ მაინც რომ ცდაბიწეს და ვერ გაეკვეს სიტუაციაში...

განა შემაშფოთებელი არ არის, რომ ამერიკულ წყალქვეშა გემიდან „ენდრიუ ჯექსონი" ჩვიდმეტი გამოუსწორებელი ნარკომანი მეზღვაური გაათავისუფლეს, ხოლო მეორე ატომური წყალქვეშა გემიდან „თომას ჯეფერსონი" — 18 ნარკომანი?!

ამერიკული გაზეთი „ნორვიჩ ბულლეტინი" წერს:

„სტატისტიკის თანახმად ამერიკის საზღვაო ძალების წყალქვეშა გემების შემადგენლობის 10-15 პროცენტი სისტემატურად ეწევა მარიხუანას".

მკითხველი დამეთანხმება, რომ მდგომარეობა ფართლაც საგანგაშოა.

თავში მგონი

უკვე ვთქვი, ოცდამეერთე საუკუნე ქალაქების საუკუნე იქნებაო-მეთქი. ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ მოხდება მსოფლიოს გლობალური ინდუსტრიალიზაცია. დღეგანდელი განვითარებადი, ჩამორჩენილი ქვეყნებიც იქცევიან მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის მძლავრ კერებად. უფრო მეტიც. იპპინელთა ახალ გეგმებს თუ გავითვალისწინებთ: ქვეყანაში მრეწველობის სუფთა დარგები განვავითაროთ, ხოლო მძიმე ინდუსტრია განვითარებად ქვეყნებს გადავუფლოცოთო, რაგომ უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნებიც არ მიბაძავენ იაპონიის მაგალითს?

ამიტომაც წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობა შეიქმნება ოცდამეერთე საუკუნის პირველსავე წელს, როცა განვითარებად ქვეყნებშიაც იმდენივე ავტომობილი იქნება პროცენტულად, დღევანდელ საშუალო კაპიტალისტურ ქვეყანაში რომ არის.

დღეს მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 1700 კილოვატი ელექტროენერგია მოდის. რა სურათი იქნება მაშინ, როცა თორმეტი წლის შემდეგ ერთ სულზე საშუალოდ 5,2-ჯერ მეტი ენერგია მოვა? ამოდენა ენერგია ხომ ძირითადად ატომურმა და ორგანულ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებმა უნდა გამოიმუშაონ!

დღეს თუ ზღვებსა და ოკეანეებში ყოველწლიურად 15 მილიონი ტონა ნავთობი იღვრება, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში რა ელის ჩვენს ზღვებსა და ოკეანეებს?

დღეს თუ კაცობრიობა 8 მილიარდ ტონა სათბობს ხარჯავს, რა გველის 2001 წელს, როცა სათბობის ხარჯვის რეალური საგარაუდო რაოდენობაა 25 მილიარდი ტონა? დღეს ხომ ვარაუდობენ, რომ ანტარქტიკაში ოზონის რაოდენობის შემცირება, პლანეტას რომ მზის ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან იცავს, ინდუსტრიული წვის გამონაბოლქვების ატმოსფეროში გაჯდომის შედეგია. მაშ, რა მოხდება მაშინ, ინდუსტრიული წვის გამონაბოლქვი რომ სამჯერ გაიზრდება? რასაკვირველია, შეიქმნება სათანადო დამცველი ხელსაწყოებიც, მაგრამ ფაქტი ერთია, საერთო მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

რასაკვირველია, გეგმაზომიერი, გაანალიზებული მოქმედებით ბევრი სახიფათო მოვლენის აცილება შეიძლება თავიდან, მაგრამ რომელ გეგმაზომიერ და გაანალიზებულ მოქმედებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ასეთი გააფთრებული ბრძოლები მიდის ფირმებს, კორპორაციებსა და თვით სახელმწიფოებს შორის მსოფლიო ბაზრების ხელში ჩასაგდებად?! სახტიკი საკოკურენციო ბრძოლა განაპირობებს მოქმედების სტაქიურობას, დაუდევრობას, აშკარა ძარცვა-გლეჯას.

მთელი ცხოვრების მანძილზე იმის შიშშა ვართ, არავინ გაგვიგონოს, არავის ჩამოვრჩეთ. ჩვენი შექმნილითა და მიღწეულით დასატკბობად დრო აღარ გვრჩება. ამ გიეფურ კონკურენციაში თუნდაც მხოლოდ შეიარაღებაში, სულ იმის ცდაში ვართ, არავინ გაგვიგონოს, არავის ჩამოვრჩეთ. ჩვენი ქვეყანა იბრძოდა და განუზრელად იბრძვის მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის. ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო ღონისძიებების უარყოფას დღეს თვით ჩვენი მტრებიც კი ვეღარ ახერხებენ. მაგრამ, როცა ჩვენს ცალმხრივ ბრძოლას მოწინააღმდეგე სამყარო სათანადოდ არ ეხმაურება, იძულებული ვხდებით, არავის ჩამოვრჩეთ სამხედრო ძლიერებაში. ბუნებრივია, თვალისჩინივით გაეფფრთხილდებით ჩვენს დემოკრატიულ მონაპოვარს.

●

ᲣᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ყველა დარგი ვითარდება, ეს ბუნებრივი მოვლენაა. ტექნიკის წინსვლამ თავის მხრივ თეორიული დარგების განვითარებასაც ᲜᲘᲜᲕᲔᲚᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ შეუწყო ხელი. მაგალითად, ფიზიკასა და ასტრონომიაში ხელოვნური თანამგზავრების, უძლიერესი ტელესკოპების და სხვა მრავალი აპარატურის შექმნის შედეგად იმდენი რამ აღმოაჩინეს, რომ მათ თეორიულ გაანალიზებასაც კი ვეღარ ასწრებენ.

ხშირად მეცნიერები ისეთ იდეებსაც აყენებენ, თანმხლებელ სფეროსა და იმის მიღმაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს.

მაგალითად, ადამიანი არ შეიძლება არ გააოცოს იაპონელი მეცნიერების სირომიცუ ეკომის და ტაირო ოსიმის ფანტასტიკურმა წინადადებამ: ვინაიდან დღესდღეობით წარმოუდგენელია ვესტუმროთ ჩვენი გალაქტიკის სხვა ცივილიზაციებს, თუკი ისინი არსებობენ და ალბათ არსებობენ, გავგზავნოთ იქ დედამიწის ინფორმაციებით კოდირებული ვირუსი. ვირუსები სათანადო კაფსულებში იქნებიან მოთავსებულნი. თუ ვირუსები მიაღწევენ ისეთ პლანეტას, სადაც მაღალი დონის ცივილიზაციაა, იქაური მეცნიერები გაშიფრავენ და ამოიკითხავენ გენეტიკური სიტყვების თანმიმდევრობას, რომელსაც იქ ვირუსი მიიტანს და, თუ იქ ცივილიზაცია არ იქნება ამ დონეზე, ვირუსები რომელიმე სახის ბაქტერიაში ჩასახლდებიან და დიდი დროით შეინახავენ დედამიწიდან გადატანილ ინფორმაციებს.

მართლაც ფანტასტიკური წინადადებაა, არა? გეთანხმებით, დღესდღეობით ფანტასტიკურია, მაგრამ ხვალ?

სიფიქრალია, მაგრამ ფაქტია, დღეს ადამიანი თითქმის გადაეჩვია გაკვირვებას. გადაილახა რაღაც ფსიქოლოგიური ბარიერი და კაცობრიობას გაუჩნდა რწმენა, რომ ადამიანს ყველაფერი შეუძლია.

დროებით შეეკვეთ იმ პრობლემებს, რომლებიც ხვალ გადაწყდება. გავიხსენოთ ის უდიდესი პრობლემები, რომლებიც უკვე დაწყდა. გავიხსენოთ თუნდაც მედიცინის სფეროში.

1978 წელს მსოფლიოს მოეკვლინა ლაბორატორიაში მიღებული და შემდგომ ქალის სხეულში გადანერგილი ემბრიონით დაბადებული ბავშვი, მისი სახელი და გვარი, ლუიზ ბრაუნი, გამოაქვეყნა მსოფლიოს თითქმის ყველა გაზეთმა, ამ გზით ბავშვის დაბადების პროცესს კი უწოდეს „ინ-ვიტრო ფერტილიზეიშნ". დღესდღეობით რამდენიმე ათასი ბავშვია დაბადებული ამ გზით. უფრო მეტიც, რამდენიმე თვის წინ ამერიკის პრესამ გვაუწყა, რომ 36 წლის დიური შოკმა, მსოფლიოში პირველმა ქალმა, ხელოვნური ემბრიონებით შვა ოთხი ტუუპი.

გეთანხმებიო, დიდი ბედნიერებაა, გაახარო უშვილო ქალი, უშვილო ოჯახი. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ყველა მეცნიერულ მიღწევას, ამ უდიდეს მოვლენასაც აღმოაჩნდა თავისი დიდი უარყოფითი მხარეები. კაპიტალისტურ სამყაროში უკვე გაჩნდა დედა-სუროგატთა არმია, უკვე ყალიბდებიან ბავშვებით მოვაჭრეთა სინდიკატები.

მარტის შუა რიცხვებში, ზუსტად აღარ მახსოვს, რომელ დღეს, „ვრემიამ" ამერიკის შეერთებული შტატებიდან გადმოსცა ინფორმაცია, რომელსაც არ შეიძლებოდა სულითხორცამდე არ შეეძო მსმენელი. დედა-სუროგატმა შვა ბავშვი, რომელიც ხელშეკრულების თანახმად უშვილო ოჯახისთვის უნდა მიეყოდა. ბავშვი რომ დაინახა, დედურმა სიყვარულმა სძლია, შვილი გასაყიდად ვეღარ გაიმეტა და უშვილო ცოლ-ქმართან დადებული კონტრაქტი დაარღვია. ბუნებრივია, უშვილო ცოლ-ქმრმა სასამართლოში აღძრა საქმე. უპრეცედენტო შემთხვევით დამნეულმა მოსამართლეებმა კი დღესაც არ იციან, ვის მიაკუთვნონ ბავშვი.

ეს კიდევ არაფერი, ამ მეთოდით ბავშვების დაბადებამ მრავალი პრობლემა დააყენა საზოგადოებისა და იურისპრუდენციის წინაშე. კაპიტალისტური ქვეყნების სოციოლოგებმა, იურისტებმა და სამღვდელოებამ (სხვათა შორის, სამღვდელოება მხარს არ უჭერს ამ გზით ბავშვების შობადობას) ვერ გაარკვია, მაგალითად, აქვს თუ არა აქვს დედა-სუროგატს აბორტის უფლება; ასევე, უფლება აქვს თუ არა ბავშვს, მოითხოვოს მემკვიდრეობა ბიოლოგიური მშობლებისაგან, ე. ი. იმითგან, ვისი სპერმით და კვერცხუჯრედითაც ლაბორატორიაში შეიქმნა ემბრიონი დედა-სუროგატის მუცელში გადანერგვამდე; ან ბავშვი იქნება მხოლოდ „სოციალური" მშობლების მემკვიდრეა? ერთი სიტყვით, გაურკვეველია ამ მეთოდით დაბადებული ბავშვი

ვისი მემკვიდრეა. დედა-სუროგატისა, ბიოლოგიური მშობლებისა თუ იმ უშვილო ადამიანების, ვისი შეკვეთითაც (ბუნებრივია, დაფინანსებითაც) შეიქმნა ბავშვი?

დიახ, ხელოვნურმა ემბრიონმა იმდენი თავსატეხი წარმოშვა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების იუსტიციის მინისტრები სპეციალურად შეიყარნენ სტრასბურგში ამ ჩახლართული სიტუაციებიდან დასაკნების გამოსატანად. როგორც გაზეთები წერენ, ამ თავყრილობას მაინცდამაინც არ გამოუღია დიდი შედეგი.

ამერიკის კლერიკალური წრეები წინააღმდეგნი არიან ლაბორატორიული ჩასახვისა. ფილოსოფიურ პრობლემაზე, თუ, ბოლოს და ბოლოს, საიდან იწყება სიცოცხლე, მათი პასუხი ერთია, ჩასახვიდან. და ეს ჩასახვა უნდა მოხდეს მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში.

ამერიკის მთავრობა მხარს უჭერს სამღვდელოების ამ მოსაზრებას და ურარ ამბობს მსგავსი მეცნიერული ცდების დაფინანსებაზე. მაგრამ მეცნიერებს მაინც გამოუჩნდნენ კერძო მეცენატები. მათ დაამუშავეს სპერმის 196 გრადუსზე გაცივების ტექნოლოგია და შექმნეს სპეციალური ბანკ-მაცივრები. მეცნიერები ამტკიცებენ, დონორისგან დღეს მიღებული და ამ მეთოდით შენახული სპერმით 1000 წლის შემდეგაც კი შეიძლება შეიქმნას ემბრიონი. და თუ ეს შესაძლებელია, ბუნებრივია, დგება საკითხი, რატომ არ უნდა იზრუნონ ადამიანის ჯიშზე? დადგა საკითხი და „სერიოზული" ნაბიჯებიც გადაიდგა ამ მიმართულებით.

აი, რას წერს ვ. სიმონოვი („ლ. გ." № 31, 86 წ.):

„ეჭ, აშშ-ში და დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც არ ფარავენ თავიანთ სიმპათიებს ევგენიკისადმი. მათი არგუმენტაცია ასეთია: თუკი მივაღწიეთ იმას, რომ ვქმნით ადამიანის ემბრიონს ნებისმიერი სპერმისა და კვერცხუჯრედისგან, მაშინ რატომღა უნდა მივაგდოთ ეს საქმე შემთხვევითობის ანაბარა? დასავლეთ-გერმანული კლინიკა ესენში, მაგალითად, თავის რეკლამაში წერს, რომ მის დონორებს შორის არ ურევია „არც სქელი მამაკაცები, არც გრძელყურებიანი და არც ცხვირმოგრეხილები". ევგენიკის უკიდურესი გამოვლინება კი, რა თქმა უნდა, „ჩასახვის არჩევანის" ცნობილი საცავი კალიფორნიის ქალაქ ესკონდილოში, რომელსაც უფრო ხშირად ნობელის პრემიის ლაურეატთა სპერმის ბანკს უწოდებენ. თუმცა ბანკმა ცოტა ხნის წინ თავი შეიკავებინა — თავის ნობელოვანი საგანძური ვიღაც სისხლის სამართლის დამნაშავეს არგუნა წილად".

თუ არ ვცდები, თხუთმეტი წლის წინ ერთმა სინგაპურელმა ქირურგმა, რომელიც დასპეციალებული იყო ჰერმოფროდიტების ოპერაციებში, უცებ გააკეთა მანამდე გაგონარი და დაუჯერებელი ოპერაცია: მაშასადამე, ქალად გადააკეთა. როგორც თვითონ ამბობს, დადგანს უფიქრია, ჰქონდა თუ არა უფლება წასულიყო ღმერთის წინაალმდეგ. დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ იგი მაინც წავიდა ბუნების წინააღმდეგ. დღეს ამერიკის, გერ-ის, ესპანეთის თუ სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მრავალ ქალაქში ნახავთ ქალებად გადაკეთებულ მამაკაცებს.

განა შეიძლება, მსგავსი ამაზრზენი რამ კაცმა კიდევ წარმოიდგინოს?!

ამ შვიდი წლის წინათ სრულიად ახალმა ცნობამ ელვისებურად შემოურბინა პლანეტას. ახალ ზელანდიაში ვინმე მარგარეტ მარტინმა შვა ბავშვი. მერე რა მოხდაო, იკითხავს გაოცებული მკითხველი. ის მოხდა, რომ დედას საშვილოსნო ამოკრილი ჰქონდა. ექიმებმა შესძლეს ხელოვნური საშვილოსნოს დახმარებით დაბადებულიყო სავსებით ჯანსაღი ბავშვი.

უმალვე გაჩნდა იდეა, ეგზ მეთოდით ხომ კაცებსაც შეუძლიათ შვან ბავშვები!

გაჩნდა იდეა, ეს უცნაური, ჩემი აზრით, მკრეხელური იდეა, და იგი უმალვე აიტაცა მრავალმა მეცნიერმა (მაგალითად, ამერიკელმა ლანდრემ შეტლსმ, დასავლეთგერმანელებმა კონსტანტინ მარტიანმა და ხეინც ბონტიმ). სხვათა შორის, საფრანგეთში გამოკითხულ მამაკაცთაგან 17 პროცენტს გამოუთქვამს ამ მეთოდით დაორსულების სურვილი, ხოლო გამოჩენილ ამერიკელ მსახიობს დასტინ ჰოფმანს განუცხადებია, სიამოვნებით გავაჩენდი შვილსო.

ღმერთმა მშვიდობა მისცეთ.

ამ ექვსიოდე წლის წინ პრესამ გვაუწყა, რომ ამერიკის ქალაქ კლივლენდის კლინიკაში ნეიროჟირურგიული განყოფილების უფროსმა რობერტ უაიტმა დაამთავრა ცხოველებისათვის ტვინის გადანერგვის მთელი სერია და რომ თურმე იგი უკვე მზადაა შეუდგეს ადამიანის ტვინის გადანერგვის ცდებს.

ამ მოვლენისადმი ჩემი დამოკიდებულება ჯერ კიდე გამოუხატე ჩემს რომანში „სპირალი", ამიტომ მეტს აღარ გავაგრძელებ. ოღონდ ერთ რამეს ვიტყვი: ოთხ-ხუთ მილიარდი წლისაა ჩვენი პლანეტა. ათეულობით მილიონი წლების მანძილზე ჭიმნეოდა მასზე სიცოცხლე. ასეულ მილიონობით წლების მანძილზე იქმნებოდა ბლომალური ბალანსები. გვაქვს კი ჩვენ უფლება, ხელი ნაჩქარევად და ბრმად ვაფათურეთ ბუნების საიდუმლოებებში, მის აკრძალულ ზონებში?

ბოლ არ ვაგვრისსდება ჩვენივე შემქმნელი დედაბუნება?

ალბათ, ყველა ჩვენგანს ახსოვს ერთ ჯროს

ძალზე მოდური ლოზუნგი: „ჩვენ ვერ დავველოდებით ბუნების წყალობას, ჩვენ თვითონ უნდა ვაგვლეჯოთ მას ეს წყალობა“.

აი, სწორედ ამ ვაგლეჯამ მიიყვანა ჩვენი დედაბუნება, ჩვენი პლანეტა საავალალო მდგომარეობამდე.

შედეგმაც არ დააყოვნა, ბუნება უკვე იძიებს შურს ჩვენზე დაუდევარი, დაუნდობელი მოპყრობისათვის.

მეცნიერებმა უკვე დაადგინეს, რომ უკანასკნელ ათწლეულებში გვაღვა ძალზე გახშირდა. მსოფლიოს უდაბნოებს ყოველწლიურად ემატება 21 მილიონი ჰექტარი ტერიტორია. ხანდახან კი გვაღვას ისეთი დიდთოვლობა და წვიმები მოსდევს, მანამდე რომ არ ახსოვს კაცობრობას. ამ მოვლენის საშუალო მაგალითად საქართველოში გასული, 1987 წელიც გამოდგება. „წითელი ჯვრის“ ცნობით, 1960 წელს მსოფლიოში ოფიციალურად იყო რეგისტრირებული 54 ბუნებრივი კატასტროფა, 1979 წელს კი — 81. შესაბამისად გაიზარდა მსხვერპლიც. თუ 1960 წელს დაიღუპა 22 ათასი კაცი, 1979 წელს — 142 ათასი კაცი.

ინდოეთში წყალდიდობების რაოდენობა ორმოცდაათიან წლებთან შედარებით თოთხმეტჯერ გაიზარდა. შარშან კი, როგორც სპეციალისტებმა იანგარიშეს, ინდოეთში წყალდიდობების შედეგად მიყენებული ზარალი იყო ორი მილიარდი დოლარის ტოლფასი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო ათი წლის მანძილზე გვალვისაგან დაზარალდა 244 მილიონი ადამიანი, წყალდიდობისაგან — 154 მილიონი, ქარიშხლებისაგან — 28, ხოლო მიწისძვრებისაგან — 12 მილიონი. თანაც, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ანალოგიური უბედურებანი რომ განვითარებად ქვეყნებში მომხდარიყო, მსხვერპლი და ზარალი გაცილებით დიდი იქნებოდა.

მიუხედავად ამისა დაზღვევის უზარმაზარი, მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ორგანიზაცია. მისი წლიური სუფთა მოგება შეადგენს 10 მილიარდ მარკას. მათი გაანგარიშებით, ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრი ორგანიზაცია აზღვევს თავს სტიქიური უბედურების პოლისით. სადაზღვევო ორგანიზაციას გაგონებაც კი აღარ უნდა სტიქიური უბედურებების პოლისით დაზღვევისა, იმდენი თანხის გადაფარვა უწევთ უკანასკნელ წლებში.

სადაზღვევო ორგანიზაციამ 1970 წლიდან დაიწყო სტიქიურ უბედურებათა დინამიკის შესწავლა, გაანალიზეს ყველა სტიქიური უბედურება თითქმის დასაბამიდან, რისი ცნობებიც კი შემოგვენახა ისტორიამ. საფუძვლიანად შეისწავლეს ყველა სტიქიური უბედურების ხარისხი, რომლებიც ჩნელებს ჰქონდათ აღწერილი ათასწლეულებს მიღმა, გამომთვლელი მანქანები ანალიზებდნენ ... ნდო მონაცემებს, სწავლობდნენ ... გზავრებიდან მიღებულ ინფორმაციებს და ფოტოებს, რის შედეგადაც შეადგინეს პლანეტის „ახალი რუკა“. ეს ახალი რუკა ნათლად წარმოაჩენს პლანეტის რეგიონებს იმისდამიხედვით, სად რა სახის, რა სიხშირისა და რა ძალის სტიქიური უბედურებებია მოსალოდნელი. შესაბამისად შემოიღეს დაზღვევის ახალი ტარიფები. მაგალითად, იციან ატომური ელექტროსადგური, ხიდები, ზსამშენებლო კომპანიები რომელ რეგიონში როგორ უნდა დააზღვიონ, რომ ზარალი არ ნახონ.

ადამიანის დაუდევრობამ და ბზირად გარემოსადმი მტრულმა მოქმედებამ ლამის კატასტროფის წინაშე დააყენა კაცობრობა. საილუსტრაციოდ ორი ფაქტიც კმარა: მიწის რესურსების დანაკარგებმა მსოფლიოში 20 მილიონ კვადრატულ კილომეტრს მიაღწია. თუ რას ნიშნავს ეს რაოდენობა, მოგახსენებთ, რომ დღესდღეობით არსებული სახნავი მიწების რაოდენობა შეადგენს 15 მილიონ კვადრატულ კილომეტრს.

უკანასკნელ პერიოდში ყოველ წელს 7 მილიონი ჰექტარი მიწა იკარგება, ხოლო ეამთა სვლასთან ერთად დანაკარგების რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება.

დღესდღეობით მსოფლიოში ერთი წლის განმავლობაში მიწიდან იღებენ 5,5 მილიარდ ტონა სხვადასხვა სახის მადნეულს. ფაბრიკა-ქარხნების მიერ ყოველწლიურად გამოყოფილი 250 მილიონი ტონა მტვერი მიწაზე ილექება, 70 მილიონი ტონა ტოქსიკური აირი წამლავს სასარგებლო სავარგულებსაც, ფაუნასაც და ადამიანებსაც. საუკუნის ბოლოს კი, როგორც თავში ვთქვით, პირობითი საწვავის რაოდენობა 25 მილიარდ ტონას მიაღწევს.

ვფიქრობ, კაცობრობას აქვს საფუძველი სერიოზული შეშფოთებისათვის, განსჯისა და კატეგორიული დასკვნების გამოტანისათვის.

თვით ადამიანი როგორღა გრძნობს თავს ამ ორომტრიალში? როგორ ეგუება ცხოვრების თავბრუდამხვევ წინსვლას? როგორ უწყობს ფეხს ეპოქის რიტმს, ყოველწლიურად რომ კიდევ უფრო დაძაბული ხდება?

ცამეტი წლის წინ ვწერდი: „...ტექნიკა წინ მიდის, მატერიალის ინერციაც და ადამიანი ისევე ორგანულად იღებს ამ ინერციას, როგორც თვითმფრინავში ბჯდომი მგზავრი იღებს თვითმფრინავის მოძრაობის ინერციას. მასზე არაფერი არ არის დამოკიდებული, მას არ შესწევს უნარი, გაექცეს ამ ინერციას...

...რისი ბრალია ეს? იქნებ ადამიანი ველარ

ბატონობს თავის მიერ შექმნილ ტექნიკაზე? იქნებ ადამიანი როგორც ფსიქიკურად, ასევე ბიოლოგიურად ჩამორჩება საუკუნის აზრის წინსვლას? იქნებ ჩვენი სხეული, გული, ნერვები ჯერ არ არის მზად გაუძლოს ჩვენივე ნააზრევის შედეგს?..

...დიახ, ადამიანი იძულებულია ყოველდღიურად ისწავლოს და ისწავლოს, ადამიანის სასარგებლო და უსარგებლო ცოდნა ყოველდღიურად იზრდება, ეს მაშინ, როცა წამითაც არ იცვლება დღე-ღამის ხანგრძლივობა, იგი კვლავ 24 საათი რჩება".

ამ სტრიქონების დაწერიდან ცამეტი წელიწადი გავიდა. საუკუნის დასასრულამდე კი ცამეტი წელიწადი დარჩა. დიახ, ცამეტი, მაგრამ, როგორც თავშივე ვთქვით, ტექნიკის წინსვლით, მეცნიერული აღმოჩენებით და საერთაშორისო მოვლენებით ათჯერ უფრო ტევადი ცამეტი წელიწადი.

აი, რას წერს ახლა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ელშტეინი „ფიზიკულტურა ი ზდოროვიეში": „ჩვენი ასწლეულის მეორე ნახევარში განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ადამიანთა ქრონიკული გონებრივი გადაღლა და ამასთან დაკავშირებით — დეპრესიული მდგომარეობის შემთხვევათა გახშირება. აქ დიდ როლს თამაშობს თანამედროვე ადამიანისათვის სავალდებულო ცოდნის მოცულობის ზრდა (გონების გადატვირთვა), ყოველდღიური ცხოვრების ტემპის მკვეთრი აჩქარება, ცხოვრებისეულ სიტუაციათა ცვლის მზარდი დინამიკა, სწავლების პერიოდის გახანგრძლივება და კონტაქტების საგრძნობი გაფართოება. ტვინი მზად არ აღმოჩნდა ასე დიდი და ინტენსიური დატვირთვისათვის, თანამედროვე ტემპის, რიტმისა და სიჩქარეებისათვის.

ამა, გაიხსენეთ, რამდენ ადამიანს შეხვედრიხართ, სულ უდროობას რომ უჩივიან; ერთთავად ძილი რომ აკლიათ, სულ იმას წუწუნებენ, დღე-ღამეში ოცდაოთხ საათზე მეტი რატომ არ არისო. დაკვირდით, სიჩქარეში ჭამაც კი დავიწყებიათ, — მთელ-მთელ ლუკმებს დაუღეჭავად ყლაპავენ; შვებულებას მხოლოდ იმისთვის იღებენ, რომ ბოლოს და ბოლოს დასხდნენ და „ერთი გულიანად ნაიმუშაონ". თქვენ გგონიათ, რომ მატერიალური გასაჭირი აიძულებთ, ასე მოიქცნენ? არა, რა თქმა უნდა. საქმე ისაა, რომ ტემპის ტყვეობას ვეღარ აღწევენ თავს. ბორბალი ტრიალებს და ვეღარ აჩერებენ. ან იქნებ თვითონ აღარ შესწევთ შეჩერების ძალა?

გეტყვიან, სწორედ ამაშია ნამდვილი ცხოვრების აზრიო. მართალი გითხრათ, მე ეს თეზისი საეჭვოდ მეჩვენება.

ასეთი ადამიანი ერთთავად საათს დასცქერის. თუნდაც არ დასცქეროდეს, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ გონებაშიც კი წუთებს ითვლის, ჩქარობს, ჩქარობს. მაგრამ სად ეჩქარება? ან რა ფასად უჯდება ეს სიჩქარე, წუთებისა და წამების ეს დაუსრულებელი დევნა?

უკვალოდ არაფერი არ ქრება. ყველაფერი ნერვულმა სისტემამ უნდა ზღოს".

მედიცინაში უკვე ცნობილი გახდა ავადმყოფობათა ისეთი ახალი სახეობები, როგორიცაა „პიკის საათის ნევროზი", „რიგში დგომის ნევროზი", „მოლოდინის ნევროზი", „სატელევიზიო დაავადება" და მრავალი სხვა; „შიდს-ზე" არაფერს ვლაპარაკობ, ეს საშინელი ავადმყოფობაც ეპოქის პირმშოა, თუმცა მისი წარმოშობის მიზეზები მორალური ხრწნის სფეროს უფრო განეკუთვნება და ამიტომაც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ჩვენი ცხოვრების ნერვულ რიტმთან.

ნევროზი საუკუნის სენად მონათლეს თანამედროვე მედიცინაში. აი, რას წერს იგივე ნ. ელშტეინი: „სწორედ ამიტომ, არ შეიძლება არ გვაფიქრებდეს მოსწავლეთა ნერვული სისტემის გადაღლის საკითხი. თანახმად ნორმებისა, რამაც ექიმთა და ფიზიოლოგთა მრავალი საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებებში პოვა ასახვა, ჯამური სასწავლო დატვირთვა, მაგალითად, 14-15 წლის მოზარდებისა, დღეში 6,-6,5 საათს არ უნდა აღემატებოდეს. მოსწავლეები, თუ კეთილსინდისიერად იმეცადინეს, დღეში 10-12 საათს შრომობენ, ესე იგი — მეტს, ვიდრე ზოგიერთი უფროსი ადამიანი. ამასთან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტვინი უფრო მეტად არის დატვირთული, ვიდრე აზროვნება.

ბევრ რესპუბლიკაში ზოგიერთი სახელმძღვანელოს მოცულობა ათ წელიწადში 50-75 პროცენტით გაიზარდა".

აი, სწორედ აქ მივადეკი საუკუნის პარადოქსს, გნებავთ, ტრაგედიას.

ერთის მხრივ, უკვე ისე გადავღლეთ ადამიანის გონება, თანაც მომავალი თაობის გონება, რომ ნევროზი და დეპრესია თითქმის ჩვეულებრივ ამბად იქცა, ყოველ შემთხვევაში, იქცევა ხვალ და ზეგ.

მეორეს მხრივ, ჩვენ ვაშენებთ ატომურ ელექტროსადგურებს, ვიბრძვით ენერგიის კიდევ უფრო ეფექტური სახეობის — თერმობირთვული რეაქციის დასამორჩილებლად, ვქმნით ურთულეს ქიმიურ და სამშენებლო კომპლექსებს, ვაგებთ ურთულეს ქარხნებს და ფაბრიკებს, ვაშენებთ წყალქვეშა თუ წყალზედა ატომურ გემებს, ზებგერით საჰაერო ლაინერებს, ელექტროგამომთვლელი მანქანებისა და კომპიუტერების ქარხნებს.

ვინ უნდა მოემსახუროს ამ ურთულეს სისტემებს?

რასაკვირველია, ადამიანები! ვერავითარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობოტი და ავტომატი, ადამიანების მიერ რომ არის დაპროექტებული და დაპროგრამებული, ვერ შეცვლის ადამიანს.

თუ ამერიკელ სოციოლოგებს დავუჯერებთ, კაცობრიობის მხოლოდ ოც პროცენტს შესწევს უნარი ათვისოს უმაღლესი სკოლის პროგრამა, ამავე დროს, უფრო და უფრო გვჭირდება მაღალკვალიფიციური, განათლებული და მოაზროვნე სპეციალისტები. თვით მუშებიც კი, გლობალური ინდუსტრიალიზაციის პირობებში ახალი ტიპისანი უნდა გახდნენ. მათთვის ალბათ „მუშა" აღარც კი იქნება შესაფერისი ცნების შემცველი სიტყვა, ისეთ დონეზე უნდა ავიდეს მათი განათლება ტექნიკური აზროვნება.

თუ ფაქტებს გავაანალიზებთ, ბევრ საწარმოში დღევანდელი მუშა ორჯერ მაინც განსხვავდება 15 წლის წინანდელი მუშისაგან. საუკუნის ბოლოამდე ეს სხვაობა, როგორც ვარაუდობენ, ორჯერ მაინც გაიზრდება. ზოგიერთ დარგში ათჯერ და მეტადაც კი.

დიახ, რაც დრო გადის, ადამიანი უფრო მძლავრად ზლის ფრთებს, მისი ხელები უფრო და უფრო ეუფლება უზარმაზარ ენერგიას, ტექნიკურ გიგანტებს. მაგრამ დგება საკითხი, — რამდენად უსწრებს ჩვენი გონება ჩვენი ხელების ძალას? რამდენად ჭკვიანურად შეგვიძლია დავიმორჩილოთ ჩვენს მიერვე შექმნილი და მოპოვებული ენერგეტიკული წყაროები, ზემძლავრი ტექნიკური კომპლექსები?

მაგრამ ვაი, რომ კაცობრიობა ჯერ არ არის ფსიქოლოგიურად მზად მართოს დღევანდელი მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვარი. ვაი, რომ ჩვენი გონება არამცთუ წინ უსწრებს ცხოვრების წინსვლას, კვალშიაც ვერ მიჰყვება ტექნიკურ პროგრესს. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩერნობილის და მსოფლიოს სხვა ატომურ ელექტროსადგურებში მომხდარმა ავარიებმა. ამ ავარიათა უმრავლესობა ზომ მომსახურე პერსონალის დაბალი განათლების, დაუდევრობის და ამოდენა საქმისადმი ფსიქოლოგიურად მოუმზადებლობის შედეგი იყო.

მრავალ ურთულეს პრობლემას შორის, დღევანდელმა და ხვალინდელმა ცხოვრებამ რომ წამოჭრა, ერთი პრობლემა იკვეთება განსაკუთრებულად: ბიჭუნებს და გოგონებს, დღეს რომ სამაგვშო ბაღებში არიან ან სკოლებში სწავლობენ, ჭაბუკებსა და ქალაშვილებს, სტუდენტის სახელს რომ ატარებენ, რამდენად ვამზადებთ ოცდამეერთე საუკუნის ფსიქოლოგიით? მათი ცოდნა, საქმისადმი დამოკიდებულება, ახლებურად აზროვნება, პასუხისმგებლობა, ჰუმანიზმი და ინტერნაციონალიზმი რამდენად იქნება შესაფერი იმ საუკუნისათვის, ცამეტი წლის შემდეგ რომ ჩაიბარებენ?

როგორ ეგებება საბჭოთა კავშირი ახალ, ოცდამეერთე საუკუნეს?

გვაქვს თუ არა უფლება მშვიდად ვიყოთ?

თვითდამშვიდება საერთოდ მტერია წინსვლისა, მით უმეტეს, მეოცე საუკუნის დასასრულს, როცა ასე დაიძაბა ცხოვრების რიტმი, როცა ინდუსტრიალიზაციის მორევმა ასე ჩაითრია ადამიანი.

რასაკვირველია, ყველა საფუძველი გვაქვს ამისა, რომ რწმენით და ოპტიმიზმით ვიყოთ აღსავსენი, ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საგანგაშო და დასაფიქრებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

ათი თუ თორმეტი წლის წინ „ლიტერატურნაია გაზეტამ" მინსკში მიმიწვია „მრგვალ მაგიდასთან". ერთ დღეს მინსკის ელექტროგამომთვლელი მანქანების დამამზადებელ ქარხანას ვეწვეთ.

— რამდენი წლით ჩამოვრჩებით ამერიკას ელექტრონული გამომთვლელი მანქანების წარმოებაში? — ვკითხე ქარხნის მთავარ ინჟინერს.

— მნიშვნელოვნად, — მიპასუხა მან და თან მწარე ღიმილით დასძინა, — უბედურება ისაა, რომ მომავალ წელს ჩამორჩენა, ალბათ, ისევ გაიზრდება.

მართალია, არც ჩვენ ვტკეპნით ერთ ადგილს, მაგრამ ამერიკელები გაცილებით სწრაფად მიიწევენ წინ.

აი, რას წერს „ლიტერატურნაია გაზეტა": „ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ არჩევანის უფლება აღარა გვაქვს: ან კომპიუტერები და მომავალი, ან უკომპიუტერობა და უმომავლობა. ადამიანების მიერ იმ კომპიუტერების გამოყენება, რომლებსაც ჩვენი წარმოება უშვებს ან გვპირდებიან სწრაფად გამოვუშვებთო, მარტო უსარგებლო როდია, არამედ საზიანოცაა, რადგან პროგრამისტებს იგი მიაჩვევს გუშინწინდელი დღის ჩვევებს. ჩვენი ადამიანები რომ დასავლეთის ტექნიკას მხოლოდ ლიტერატურით ეცნობიან, ეს იგივეა, ადამიანს რომ ხმელეთზე ასწავლო ცურვა და თანაც დაუსერებლად. შორს გავცურავთ კი ასეთ ვითარებაში?" (ა. როდიონოვი, 27. 1. 88).

იქვე ვკითხულობთ:

„ეს კატასტროფაა, არც მეტი, არც ნაკლები... კომპიუტერული წარმოების დღევანდელი დონე მერყეობს 1/1000 და 1/100 შორის ამერიკულ დონესთან შედარებით. ასეთი პოზიციიდან შეჭიბრის დაწყება უაზრობაა — ნახტომია საჭირო.

იაპონიამ თავისი პირველი კომპიუტერი 1965 წელს გამოუშვა. დღეს ეგმ ტექნოლოგიის დონის მიხედვით ის გაუტოლდა აშშ-ს. იაპონელები კვლავინდებურად სარგებლობენ სხვისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამუშავებული კომპიუტერული არქიტექტურით, ინტეგრალური სქემებით, თუმცა ტექნოლოგიური მაჩვენებლებით ზოგ რამეში უსწრებენ კიდეც ამერიკელებს. ეს შეუძლებელი იქნებოდა, იაპონიას რომ თავი ისეთ არაბუნებრივ ინტელექტუალურ და ტექნოლოგიურ იზოლაციაში მოეკცია, ჩვენ (ბაზი ჩემი — გ. ფ.) რომ ვიმყოფებით" (თ. შიროკოვი).

დამეთანხმებით, ძალზე დამაფიქრებელი და სიმპატომატური ფაქტია.

როგორ აიხსნება, რომ ჩვენი ქვეყანა, სადაც ამდენი რამ კეთდება ადამიანის კეთილდღეობისათვის, ქვეყანა, რომელიც დღენიადაგ გეგმაზომიერად მუშაობს, ქვეყანა, სადაც საქმეს განაგებენ არა მოკშპე კორპორაციები, არამედ მთავრობა და სახელმწიფო დაწესებულებანი, მაინც გაუმართლებლად ჩამორჩა ბევრ დარგში და, გარდა ჩამორჩენისა, თავი იჩინა ჩვენი წყობისათვის, ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენი სულიერი და პარტიული კოდექსისათვის უცხო და მიუღებელმა ნეგატიურმა მოვლენებმა?

ამ საკითხებს პარტიის ოცდამეშვიდე ყრილობამ და მომდევნო პლენუმებმა გასცა ამომწურავი პასუხი. დაისახა ძალზე რეალური, მოქნილი, კონკრეტული, მაგრამ, ამავე დროს, გაბედული და ზორს გამიზნული გეგმები გარდაქმნის სტრატეგიისა.

გავიხსენოთ ამბანაგ მ. გორბაჩოვის სიტყვები 1987 წლის იანვრის პლენუმზე: „პარტიას ეყო ძალა და ვაკაცობა იმისათვის, რომ ფხიზლად შეეფასებინა ვითარება, ეცნო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და სულიერ სფეროებში კარდინალური ცვლილებების საჭიროება, დაეყენებინა ქვეყანა გარდაქმნის გზაზე".

გარდაქმნის და დაჩქარების სტრატეგიამ, შეიძლება ითქვას, სულზე მოგვიხსწრო. ახლა ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირმა, ჩვენმა ძლიერმა და უმდიდრესმა ქვეყანამ ღირსეულად შეაბიჯოს ოცდამეერთე საუკუნეში.

გარდაქმნის და დაჩქარების სტრატეგია რომ უფრო ეფექტური იყოს, ბუნებრივია, საფუძვლიანად, მეცნიერულად უნდა გავაანალიზოთ ყველა ის მიზეზი, რომელმაც ხელი შეუწყო კორუპციას, დატაცებას, გულგრილობას, მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვას.

გააზრებული და გამიზნული მოქმედებით უნდა აღმოვფხვრათ ის მიზეზები, რამაც ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს დაუკარგვინა მაღალი იდეალები და მხოლოდ ეგოისტური მიზნებისათვის მებრძოლებად აქცია ისინი.

დღეს ბევრი ისეთი შეკითხვა წამოიჭრება ხოლმე ჩვენს წინაშე. პასუხი რომ ვერ მოგვიძიებია. მაგალითად, რანაირად მოხდა, რომ საბჭოთა კავშირს, სადაც თითქმის ნახევარ მსოფლიო ტყეებისა, არა აქვს ხე-ტყის მასალა და ქაღალდი?

რანაირად მოხდა, რომ ქვეყანას, რომელსაც ამდენი ნოყიერი ველ-მინდვრები გვაქვს, საყიდელი გაგვიხდა ბორბალი?

შეიძლება ვერ ვკერავდეთ ისეთ ტანსაცმელს, საზღვარგარეთის ცნობილი ფირმები რომ კერავენ, ვერ ვამზადებდეთ ისეთ დაზგებს, ელექტროგამომთვლელ მანქანებს, ავტომობილებს ან ტელევიზორებს, უცხოეთში რომ ამზადებენ, მაგრამ რატომ უნდა ვუიდულობდეთ ქათამს ან კვერცხს უნგრეთიდან, ბულგარეთიდან, საფრანგეთიდან, დანიიდან?! კაცმა რომ თქვას, მაინც რა უნდა მეფრინველეობის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას, ტერიტორია არ გვყოფნის თუ საკვები? ბოლოს და ბოლოს, მთელი დანიისხელა ტერიტორია მარტო მეფრინველეობისათვის შეგვიძლია გამოვუყოთ ჩვენს მეფრინველეებს. მკითხველს ერთი საინტერესო ფაქტი მინდა მივაწოდო: ჩინელი გლეხი ხუთ ადამიანს არჩენს, იაპონელი — ოცდაორს, ამერიკელი — სამოცდაშვიდს, საბჭოთა კი მხოლოდ 10 კაცს!

ფინეთში, ამ არცთუ ძალზე განვითარებულ ქვეყანაში, სულ 4,8 მილიონი კაცი ცხოვრობს. გავიხსენოთ ისიც, რა მიყრუებული პროვინცია იყო იგი ათეული საუკუნეების მანძილზე. შედარებისათვის, საქართველოს მოსახლეობა 5,8 მილიონია. ბუნებრივი სიმდიდრით ფინეთი ძალზე ჩამორჩება საქართველოს. ფაქტიურად ფინეთში ტბებისა და ტყეების გარდა თითქმის არაფერია. ახლა გავიხსენოთ, რამდენი რამ შემოდის ფინეთიდან საბჭოთა კავშირში: საუკეთესო ავეჯი, სამშენებლო არმატურები და ათასგვარი მასალა (გასაღებები, სახელურები და ა. შ.), მაცივრები, ტელევიზორები, ქაღალდი, ხე-ტყე, ტანსაცმელი, სპორტული ინვენტარი და სპორტული კოსტიუმები, ფინური სახლები, გამზადებული ასაწყობი მალაზიები, კვების პროდუქტებიც კი (ძეხვი, კანფეტები და ა. შ.). მარტო ერთი ფაქტის თქმაც კმარა: საბჭოთა კავშირისთვის უცხოეთში შეკვეთილი გემებისა და ტანკერების 70 პროცენტი მხოლოდ ფინეთშია აგებული.

ერთი ფაქტიც არ უნდა დაგვავიწყდეს, ფინეთს საბჭოთა კავშირში შემოაქვს თავისი ექსპორტის მხოლოდ 18 პროცენტი. ვფიქრობ, ნათელია და, ამავე დროს, გასათვალისწინებელი ჩვენი პატარა მეზობელი ქვეყნის ამოდენა წარმატებები. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდ-

---

ბუნამ ფანჯიკიძე
არ გვაძვს შეცდომის უფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინოთ, წარმოების როგორი კულტურა- და ორგანიზაციაა ბუნებრივი ნედლეულით ღარიბ ფინეთში.

არსად იმდენი დრო არ იკარგება უქმად, რამდენიც ჩვენს ქვეყანაში.

დროის ფუჭად კარგავსთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა. ამერიკელ მილიონერთან ახალგაზრდა კაცი მივიდა და ქალიშვილის ხელი სთხოვა. მილიონერმა უარი უთხრა, იქვე დაუსაბუთა უარის მიზეზი. ქალიშვილის ხელის თხოვნას ხუთი წუთი მოანდომე. დროის ფასი არ გცოდნიაო.

ხუმრობაა თუ სინამდვილე?

იყოს თუნდაც ხუმრობა. მე ამ ხუმრობაში დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში, როცა ასე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, როცა ამოდენა ფასი დაედო ყოველ საათს, ყოველ წუთს, თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველ წამსაც კი, დიდ სიბრძნეს ვხედავ.

რასაკვირველია, იქ წარმოება კერძოა, კომპანიებს შორის კი მძაფრი საკონკურენციო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს, ბევრი მათი მეთოდი ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ მათგან მაინც უნდა გადმოვიღოთ ის, რაც ჩვენთვისაც გამოსადეგია და აუცილებელი.

როგორ ვიქცევით ჩვენ? განა ისეთივე უზრუნველობით არ ვკარგავთ დროს ბევრ უაზრო თათბირსა და ღონისძიებაში, რომლებიც თავიდან ბოლომდე ფორმალურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ საანგარიშო მოხსენებაში ჩამოსათვლელად გვჭირდება?

ერთხელ, ახალ ზელანდიაში საბჭოთა დელეგაცია ფერმერის ოჯახს ვესტუმრეთ. როცა ფერმის მუშაობას გავეცანით, გაოცება გამოთქვეი, 270 ძროხას და 3000 ცხვარს როგორ უვლის-მეთქი ხუთი ადამიანი.

ფერმერმა მოკრძალებით, ბოდიშის მოხდით მითხრა, მე არ ვყოფილვარ საბჭოთა კავშირში, მაგრამ გამიგონია, როცა თქვენში თევზი არ არის, კრებას იწვევენ, ხოლო იაპონიაში — უმალვე ზღვაში გადიან დასაჭერადო. პირადად მე ძალზე საგულისხმო მეჩვენა ფერმერის ხუმრობით ნათქვამი.

კარგად უნდა ვაფასოდეს, დღეს დაკარგული ერთი წუთი თავისი ეკონომიკური გამოსახულებით ათჯერ, მინიმუმ ხუთჯერ მეტია ათი წლის წინ დაკარგულ ერთ წუთზე. წარმოიდგინეთ, რა იქნება ხვალ, ზეგ და ამ საუკუნის დასასრულს!

როგორ ვიბრძვით ამ შეუსაბამობათა აღმოსაფხვრელად? კვლავ მრავალ ბარიერს ხომ არ ვიგრძნებთ სქმის გასართულებლად, ბიუროკრატიზმის ასაკვავებლად?

საოცარია, მაგრამ უკვე შევეჩვიეთ სათანადო ორგანიზაციებში საკითხის მხოლოდ რამდენიმეჯერ თხოვნისა და ხვეწნა-ვედრების შემდეგ მოგვარებას.

ხშირად ორგანიზაციის უფროსებს საკუთარ დაწესებულებად მიაჩნიათ სახელმწიფო დაწესებულებანი. ისინი აწვალებენ მთხოვნელთ, მინიმუმ სამჯერ მაინც მიიყვანენ, სანამ მიღებას აღირსებენ. შემდეგ დიდი დუმილი, ჯერ უარი, მერე ჭოჭმანი, ბოლოს თანხმობა...

უკვე ისე შეგვეცვალა ფსიქოლოგია, საქმე თუ ერთი მისკენაა გადაიჭრა, მადლობასაც კი აღარ ვეუბნებით საქმის გულშემატკივარ, გაგჭრიან და ოპერატიულ ხელმძღვანელებს. გვგონია, რომ სრულიად იოლი პრობლემა გადაგვიჭრეს. პარადოქსია, მაგრამ მით უფრო ვართ ხოლმე გარკვეული ორგანიზაციების ხელმძღვანელების მადლობები, რაც უფრო მეტს გაგვაწვალებენ, საქმეს გაგვიჭანჭალებენ და დაგვამადლიან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ რესურსებს...

საქმე კი ფერხდება, სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, საზოგადოება ზარალდება, ეკონომიკა სუსტდება.

მერედა ვის ხარჯზე აფერხებენ საქმეს ეს ვაიხელმძღვანელები? ვის ხარჯზე გვამადლიან თავს და გვაიძულებენ მილიონი მადლობა ვუთხრათ მათგან სამუდამოდ დავალებულებმა?

სახელმწიფოს ხარჯზე.

ადამიანთა ასეთ ყელყელობასა და თავკერძობას ჩვენი ეკონომიკის მართვის ბევრი ბიუროკრატული სქემაც უწყობს ხელს.

არ დამავიწყდება საბჭოთა კავშირის გმირის, პროფესორ ირაკლი ციცაშვილის გამოსვლა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე. მაშინ იგი რესპუბლიკის სახმწენის თავმჯდომარე იყო. კერძოდ, მან თქვა: შეუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლისა და საჰაერო ბომბარდირების დროს ორმოცდარვა საათის განმავლობაში შევძელით დნეპრზე ისეთი ხიდის აგება, რომელზეც ჩვენი ტანკები გავიდნენ (სწორედ ამ ხიდის აშენებისათვის მიენიჭა მას საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება), ახლა ასეთი ხიდის ასაგებად საჭიროა სულ ცოტა სამი წელი. აქედან ორი წელი აუცილებელი ხელმოწერებისა და რეზოლუციების შეგროვებას დასჭირდებაო.

სწორია, არა?

მით უარესი საქმისათვის.

მახსოვს, საკავშირო მწერალთა კავშირმა მოსკოვში გამოგვიიძახა. ბრეჟნევის ერთ-ერთი გამოსვლის ირგვლივ კონსულტაციები ჩაგვიტარეს, როგორ მიგვეწოდებინა ხალხისათვის იქ გამოთქმული დებულებები. საქართველოდან გავემგზავრეთ ოცი კაცი, მწერალთა კავშირის მდივნები, რედაქტორები, გამომ-

ცემლობის დირეკტორები. წარმოიდგინეთ რამდენი მწერალი ჩავიდოდა მოსკოვში მთელი საბჭოთა კავშირიდან: დაახლოებით ხუთასი-ექვსასი კაცი. მოხსენების შემდეგ გამოგიცხადეს, ნაწილ-ნაწილ გადით ფოიერში მივლინების ფულის და უკან დასაბრუნებელი ბილეთების ასაღებადო. სანახევროდ არც კი დავსწრებივართ ღონისძიებას. ამდენმა ხალხმა სამი დღით მივატოვეთ დაწესებულებები, თითოეულმა საშუალოდ დავხარჯეთ 100 მანეთი სახელმწიფო თანხისა, სამი დღით მოვავადინეთ სასტუმროები, ტრანსპორტი... ყველაფერი ის, რაც იქ გვითხრეს, ხომ შეიძლებოდა სამ, მაქსიმუმ ოთხგვერდიანი წერილით ეცნობებინათ ჩვენთვის?!

მაშ, რატომღა დაგვიძახეს?

ხომ არ გგონიათ ჩვენი გამოძახება საკავშირო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთა ინიციატივა იყო?

არა, ეს ერთხელ და საფუძვლიანად აღებული ინერციის შედეგი გახლდათ.

ღონისძიება აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო, ფუჭი, მაგრამ პომპეზური ღონისძიება. ეს ღონისძიება საქმეს კი არ სჭირდებოდა, იმ ძველი, დაკანონებული, ძვალსა და რბილში გაჭედარი ინერციის გამო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას სჭირდებოდა, რომ „ზემოთ“ სათანადო ანგარიში ჩაებარებინა. და ასე, წლების მანძილზე ტარდებოდა მსგავსი ფუჭი, მაგრამ საზეიმო, პომპეზური ღონისძიებანი, ტარდებოდა ნამდვილი საქმის საზიანოდ.

ისეთი დიდი და უაღრესად პრაქტიკული გამოგონება, როგორც ტელეფონია, თითქმის არავითარ როლს ადარ ასრულებს ჩვენს სამსახურებრივ საქმიანობაში. შეიძლება ცოტას ვაჭარბებ: მაგალითად, როცა ზემოდან ქვემოთ რეკავენ, საქმე იოლდება და კეთდება, მაგრამ ქვემოდან ზემოთ კი... რა მოგახსენოთ. ვთქვათ, ქვემოდან ზემოთ, ხელმძღვანელ ორგანოებს ტელეფონით მოახსენე წარმოების სატკივარი. ეს თითქმის შეურაცხყოფაა. როგორ უნდა აკადრო ზემდგომს ამხანაგს ტელეფონით დალაპარაკება! უნდა ეახლო, მოსაცდელში გაატარო გარკვეული დრო და აი, შემდეგ შეიძლება მასთან სახელმწიფო საქმეზე ილაპარაკო, იმ საქმეზე, პირველ რიგში თვით ხელმძღვანელს რომ უნდა აღელვებდეს.

ალბათ, გახსოვთ, აგვისტოს თვეში „ვრემიამ“ ძალზე საინტერესო რეპორტაჟი შემოგვთავაზა, ამერიკელთა ცხოვრებაში ტელეფონის როლსა და მნიშვნელობას რომ მიეძღვნა. ჩვენი ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, კაბინეტში სპეციალურ მაგიდაზე ათი ტელეფონი რომ მაინც უდგათ, ამერიკაში ყველაზე დიდი კორპორაციის პრეზიდენტის მაგიდაზე ტელეფონის მხოლოდ ერთადერთ აპარატს დაინახავთ. ამ ერთადერთი ტელეფონი კი კეთდება დიდი და სერიოზული საქმეები. მუშაობის სტილისა და სტრუქტურის გამო უგულებელყოფილია ამბიციები, ბიუროკრატიზმი, იერარქიზმი და კიდევ ათასი სხვა რამ, საქმის ოპერატიულად გადაჭრას რომ უშლის ხელს. რად უნდა დაკარგო დრო იქ მისასვლელად, სადაც ტელეფონით შეიძლება მიიწვდინო ხმა?!

ჩვენთან კი?

აუცილებლად უნდა ეახლო, აუცილებლად უნდა დაუცხრო ამბიცია.

ვიცით კი, რამდენი ასეული მილიონი მანეთი უჯდება ჩვენს სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ამბიციები?!

კიდევ ერთი „მშვენიერი“ (?) მაგალითი ხელმძღვანელთა ამბიციით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის სალოსტრაციოდ: ვთქვათ, რაიკომმა შეარჩია კანდიდატურა რაიმე ორმაგი დაქვემდებარების ობიექტისათვის და შერჩეული ამხანაგი ისე წარადგინა სამინისტროში, რომ განსაკუთრებული რეკომენდაციები არ გაუკეთებია. მინისტრს უმალვე ამბიცია ეძალება (შეიძლება ყველაფერი პირიქით მოხდეს: სამინისტრომ წარადგინოს კანდიდატურა და რაიკომის პირველ მდივანს მოეძალოს ამბიცია). რაიკომის მიერ შეთავაზებულ პიროვნებას სიასლოვეს არ იკარებს და თვითონვე სთავაზობს ახალ კანდიდატურას. ამჯერად რაიკომი უგულებელყოფს სამინისტროს კანდიდატურას. თავმოყვარეობათა ბრძოლა ხანდახან თვეობით გრძელდება, საქმე კი ფუჭდება. თუ რომელიმე მხარემ მაინც გაიტანა თავისი კანდიდატურა, მისი მუშაობა ადარც კი ღირს ამ თანამდებობაზე, მეორე მხარე უკვე მისი დაუძინებელი მტერია და ყოველ წუთს უნდა ელოდოს შემოტევას.

ასე ფუჭდება და ფერხდება სახელმწიფო საქმე. ასე უმიზნოდ იკარგება დრო.

ხელმძღვანელთა ამბიციებზე ლაპარაკობდა გაზეთ „იზვესტიაში“ (№17. 3. 87) სოციალისტური შრომის გმირი ფ. ვეპერევი: „ადამიანებისაგან ითხოვდნენ არა იმას, რომ ეაზროვნათ, არამედ დაედასტურებინათ ის, რასაც მაღალი თანამდებობის პირი იტყოდა. ხალხმა ეს პრინციპი მახვილგონივრულად ჩამოაყალიბა: „შენ ხარ უფროსი, მე ვარ შტერი. მე ვარ უფროსი, — შენ ხარ შტერი“.

მახსოვს, ამ ოცი თუ ოცდაცხუთი წლის წინ „ნიანგში“ ერთი დაწესებულების საკადრაკო ტურნირის საბოლოო ცხრილი მოვათავსეთ ყოველგვარი კომენტარის გარეშე. თვით ცხრილი იყო საქმის ვითარების ყველაზე ნათელი კომენტარი. ცხრილის პირველი სტრიქონი ეჭირა სამმართველოს უფროსს, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. მეორე ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილზე გავიდა მთავარი ინჟინერი, რომელმაც ერთი პარტია წაიგო მმართველთან, დანარჩენები კი ყველა მოიგო. მე-3-4-5 ადგილებს იყოფდნენ განყოფილების გამგეები. მათ ორ-ორი პარტია წაიგეს მმართველთან და მთავარ ინჟინერთან, ერთმანეთთან ყაიმზე შეთანხმდნენ, დანარჩენები მოიგეს, და ა. შ. ბოლო ადგილზე იყო შენობის დარაჯი, რომელმაც ყველა პარტია წაიგო.

დამეთანხმებით, საჭადრაკო ტურნირის „ნინაგის" მიერ შემოთავაზებული სახუმარო ცხრილი შესანიშნავად გამოხატავს ჩვენი ორგანიზაციების თანამშრომელთა იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებას.

კიდევ უფრო შორს მიდიან ხელმძღვანელი ამხანაგები. ვთქვათ, მაგანი და მაგანი აირჩიეს რომელიმე რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად. იგი ცდილობს (და ძირითადად თავის ჩანფიქრს წარმატებითაც აკვირგვინებს ხოლმე) სათანადო ფონი შეიქმნას, დანარჩენ მდივნებად და აღმასკომის თავმჯდომარედ ისეთი ხალხი შეარჩიოს, რომელთა ფონზეც პირველი მდივ. ,ონად გამოჩნდება.

ყველა მავნე ტენდენციას თავისი ვირუსი, თავისი გამომწვევი მიზეზი აქვს. ბიუროკრატიზმი უპირველესად აღმოცენდება იქ, სადაც საერთო საქმე კი არ გაინტერესებს, არამედ მხოლოდ საკუთარი თავის განდიდებაზე ფიქრობ. ან მაშინ, როცა თანამდებობის დაკარგვისა სიკვდილივით გეშინია და ამ შიშისაგან ქაღალდების კორიანტელში იხარობი, ყველა საქმეში ალიბის იკეთებ და აზშობ არამარტო ცოცხალ აზრს, ებრძვი იმ ადამიანებს, რომელთაც თავში ცოცხალი აზრი ებადებათ.

რა ხდება, რამ შეგვაშინა ასე?

განა შემაშფოთებელი არ არის, რომ ჩვენში უბრალო წარმოების დირეკტორი, უმნიშვნელო დაწესებულების ხელმძღვანელი უფრო მტკივნეულად განიცდის თანამდებობის დაკარგვას, ვიდრე იტალიის, საფრანგეთის ან დიდი ბრიტანეთის პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი?

აი, ახლა ბევრს ვლაპარაკობთ, ქაღალდომანიას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთო.

სამწუხაროდ, დღესდღეობით ვერ დამაჯერებთ, და ბედნიერი ვიქნები, თუ გადამაჯერებთ, რომ ქაღალდომანიას ოლიად დავძლევთ.

დიახ, მჯერა, რომ ქაღალდომანიის დაძლევა ერთ-ერთი ყველაზე რთული და ძნელად გადასაჭრელი `რობლემაა საბჭოთა კავშირში, ვინაიდან ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში, სამმართველოებში თუ სამინისტროებში ჯერ-ჯერობით ისევ ქაღალდი ინარჩუნებს საბუთის უფლებას. არც ტელეფონით, არც პირადი შეხვედრის დროს სიტყვიერი შეთანხმება საბუთად არ ითვლება, თუ სათანადო საბუთი არ შექმენი, მოწონაადმდგე ან ზემდგომი ორგანიზაცია რასაც უნდა, იმას დაგწამებს, სიტყვიერ შეთანხმებას დაივიწყებს, თუ დაგჭირდა, პროვოკაციაზეც კი წავა და თუ ერთი ქაღალდით მეტი ექნა გამოგზავნილი, არბიტრაჟზეც ის გაიმარჯვებს.

ქაღალდომანია რომ მოვსპოთ, თვით მართვის სისტემაში უნდა შევიტანოთ კარდინალური ცვლილებები. თუ სრული არა, მეტი ავტონომია უნდა მივცეთ ორგანიზაციას და მის ხელმძღვანელობას.

როცა საწარმო დამოუკიდებელი იქნება, იგი აღარავის გაუგზავნის ქაღალდებს (განსაკუთრებული შემთხვევების გარდა), სამაგიეროდ, ბოლომდე თვითონ აგებს ყველაფერზე პასუხს. აგებს არა ქაღალდებზე გაფორმებული ალიბებით, არამედ საქმით, შედეგით.

წარმოიდგინეთ ისეთი სახელგანთქმული კორპორაციები, როგორიც ამერიკული „ჯენერალ ელექტრიკია" ან იაპონური „ტოიოტა". ერთ წერილს მაინც წერენ ვინმეს ამ კორპორაციის ხელმძღვანელებმა? ანდა ვის უნდა მისწერონ? რატომ უნდა მისწერონ ან რა უნდა მისწერონ? კორპორაციების ხელმძღვანელებმა იციან ერთი რამ: არ იმუშაონებენ ისე, როგორც საჭიროა? სამოდამოდ გაკოტრდებიან. ამიტომაც მუშაობენ, მუშაობენ თავდაუზოგავად, პროფესიულად. წუთს არ კარგავენ ფუჭ მიწერ-მოწერაზე და არაფრისმთქმელ „სალონისძიებო" თათბირებზე. ყოველ ქარხანაში თუ საამქროებში გათვლილი აქვთ წუთში შექმნილი პროდუქციის ღირებულება. ამიტომაც შესანიშნავად იციან ყოველი გაცდენილი წუთის ფასი.

ჩვენმა თაობამ ცხოვრების ძალზე რთული პერიოდები გაიარა. ჯერ ომი და სტალინის პერიოდი, შიშისა და ძრწოლის პერიოდი, შვილი რომ მამასთან გულახდილ ლაპარაკს ვერ ბედავდა.

ამ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვ; ნს არსებაში ინდივიდი ჩაკლ;ს, ცალმხრივი და ტენდენციური ინფორმაციებით, მოწოდე-ებით და ტრადიციებით გონება დაგვიინელეს, ჩვენს ირგვლივ არსებულ სამყაროზე სრულიად გადაბრუნებული წარმოდგენები შეგვიქმნეს. განსაკუთრებული რწმენა და ენთუზიაზმი მაინც გვქონდა, ,დიდი საქმეები კეთდებოდა, ირგვლივ პატიოსნება სუფევდა.

საუბედუროდ, ეს არ იყო ჯანსაღი რწმენა, ჯანსაღი ოპტიმიზმი, ადამიანის ნამდვილი სულიერი თავისუფლება რომ მოჰყვებოდა. ეს იყო ბრმა, ფანატიკოსი ადამიანის რწმენა და ენთუზიაზმი თა აც ისეთი ფანატიკოსის, რომლის გონებაში საფუძვლიანად გაბოდებული ან სრულიად ჩაბეღლებული იყო მოვლენათა `დვილი არსი.

ბრუშროვის პერიოდში ადამიანებმა იგრძ-ეს გარკვეული თავისუფლება. მაგრამ მოხ

და ღირებულებათა ისეთი ტენდენციური, სავალალო გადაფასება, ეჭვის ქვეშ რომ დააყენა მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება. ხოლო შემდგომ, დაბნეულმა ხრუშჩოვმა, საჯაროდ ენით რომ ვთქვათ, ვერ იპოვა პარტიის სწორი გაგრძელება და დადგა დემაგოგიის, უსირცხვილო და თავხედური დემაგოგიის გზას.

ყველაზე უმთავრესი, ადამიანებს რომ გული გაუტეხა, ეს იყო, ვთქვათ, არა სამრეწველო საქონელზე და კვების პროდუქტებზე ფასების მომატება, არა ის მიზეზები, რომლებმაც სხვადასხვა უბანზე ცხოვრება გაართულა, არამედ ის, რომ თორმე შესაძლებელი ყოფილა პლანეტის ისეთ სუპერსახელმწიფოს, საბჭოთა კავშირი რომ არის, სათავეში უდგეს ისეთი ინტელიქტისა და განათლების, ისეთი აზროვნების დონისა და სულიერი „სიმდიდრის" პატრონი, ხრუშჩოვი რომ იყო.

განა მაშინდელ 220 მილიონიან საბჭოთა კავშირში იყო ერთი ადამიანი მაინც, ხრუშჩოვის სიტ ვები რომ დაიჯერა, 1980 წელს კომუნიზმში მივალთო?!

სამართლიანად თქვა მ. ს. გორბაჩოვმა 1987 წლის ივნისის პლენუმზე: „მნიშვნელოვნად მოიკიდა ფეხი ქარაფშუტულმა წარმოდგენებმა კომუნიზმის შესახებ, ნარი-ნარმა წინასწარმეტყველებებმა და აბსტრაქტულ ...ა მსჯელობამ. ეს, თავის მხრივ, აკნინებდა სოციალიზმის ისტორიულ მნიშვნელობას, ასუსტებდა სოციალისტური იდეოლოგიის ზემოქმედებას".

შესანიშნავი განმარტებაა. უკეთესად ვერ შეაფასებ ამ წყნეულს.

აი, რას წერენ გაზეთ „იზვესტიაში" ხრუშჩოვის თაობაზე ნ. ეფიმოვი და კონდრაშოვი: „ახლა, მის ამერიკულ გამოსვლებს რომ კითხულობ, ხედავ: ლაიტმოტივად მათ გა'-დევთ იმის რწმენა, რომ ეკონომიკუო და მეცნიერულ-ტექნიკურ პლანში ჩვენ ეს ესაა უახლოეს სადგურზე დავეწევით ამერიკას, მივეცემთ გამარჯვების სიგნალს და მას უკან მოვიტოვებთ. აშშ-დან გამომგზავრების წინ, სატელევიზიო გამოსვლაში ...ი ამბობდა: „უახლოეს 10-12 წელიწადში ჩვენ გავუსწრებთ შეერთებულ შტატებს, როგორც მრეწველობის აბსოლუტური მოცულობით, ასევე ერთ სულ მოსახლეზე წარმოების ...ირად. სოფლის მეურნეობაში კი ეს ამოცანა გაცილებით ადრე შესრულდება" ეს, როგორც მოგეხსენებათ, არ მომხდარა. ხრუშჩოვმა სათანადოდ ვერ შეაფასა ამერიკული ეკონომიკის ძალა, ქვეყნის ღონიმიზნი და: სიცოცხლისუნარიანობა, რომელთაც შესწევს უნარი სასტიკი შინაგანი კონკურენციის და გარესამყაროს ექსპლოატაციის სხვადასხვა ფორმების გზით მიაღწიოს მაღალ შედეგებს. მეორე მხრივ, მეორნე, დარჩა იმის რწმენაც, რომ სოციალიზმი დაამტკიცებს თავის უპირატესობას ლამის ავტომატურად, ღრმა ეკონომიკური ჯაოდაქმნების გარეშე, რომლებმაც უნდა გამოავლინონ ყოველი მოკლაქის, ყოველი მუშაკის მაქსიმალური შესაძლებლობანი" („იზვესტია", 1987 წ. 22. XI).

დიაა, ძალზე სუსტდებოდა ადამიანებზე სოციალისტური იდეოლოგიის ზეგავლენა და ამ ზვავივით აგორებულმა ტენდენციამ ბრეჟნევის დროს კიდევ უფრო იმძლავრა.

განა მთელი ხაზოგადოების, მთელი ჩვენი ქვეყნის წარსულისა და აწმყოს სასაცილოდ აგდება არ იყო ამ „კეთილი" ადამიანის და თვალცრემლიანი ლიდერის იმდენი ჩვენი და უცხოეთის ორდენებით დაჯილდოება, ლამის ყოველ საღამოს რომ ვხედავდით ტელევიზორის ეკრანებზე?! განა სასაცილო, ოფრო სწორად კი სატირალი არ იყო, როცა საბრძოლო გმირობის სამი ვარსკვლავი ომის ...ათავრებიდან მეორნი ორი ათეული წლის შემდეგ მიიღო? განა ასეთი რეციდივები ამბავად აგდება არ იყო დიდი და საბჭოთა ადამიანებისათვის წმიდათაწმიდა სამამულო ომ...ა? განა ამბეჩად აგდება არ იყო მთელი ხაზოგადოებისა?!

ª დეგმაც არ დააყოვნა, ყოველ ჩვენგანში ბაკრა რწმენა (თუნდაც ფანატიკური), ძველი წლებიდან რომ გვქონდა შემორჩენილი. ახალგაზრდათა გონებაში კი, ალა როგორ გაკრეხდა ის, რაც არასდროს არ ჭკნინაა.

ზვავი იზრდებოდა და იზრდებოდა. რწმენის დაკარგვამ გამოაცოცხლა ჩვენს ცხოვრებაში დღესდღეობით გამეფებული უამრავი მანკიერება: კორუპცია, ქრთამი, კერძომესაკუთრული ტენდენციები, პროსტიტუცია, ნარკომანია და ათასი სხვა უბედურება.

კაცობრიობის ისტორია, შეიძლება ითქვას, ერძოდ საკუთრებისათვის ბრძოლის ისტორიაა სხვადასხვა მასშტაბით. ქვეყიენს შორის ჩამოვარდნილი შუღლის და მრავალი ათასი ომის მიზეზს და საფუძველს მხოლოდ მიტაცება და ძარცვა-გლეჯა შეადგენდა. ტერიტორიების თუ მატერიალური კეთილდღეობის საშუალებათა ხელში ჩასაგდებად არაფერს ერიდებოდენენ სახელმწიფოთა მესვეურნი, არც უმოწყალო ხოცვა-ჟლეტას და არც მთელი ერის ფიზიკური განადგურების ცდას. თვით იმ საუკუნეებშიც კი, როცა კაცობრიობას უფრო მძაფრად გაუჩნდა პუმანიზმის და ინტელექტუალიზმის პრეტენზიები, უმოწყალოდ იძარცვებოდა კულტურული ძეგლები. ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაჰქონდათ მიტაცებული ქანდაკებები და ფერწერის უძვირ-

ფასესი ექსპონატები, ძველისძველი ხელნაწერები და დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთები.

თავისთავად მარტო ძალიერ და მძარცველ სახელმწიფოებში კი არა, თვით ჩაგრულ და კოლონიურ სახელმწიფოებშიც კი ადამიანებმა მოიგონეს საზოგადოების კასტობრივი დაყოფა, რომლის საფუძველს შეადგენდა ერთი ფენის მიერ მეორის ექსპლოატაცია.

კაცობრიობის სამწუხაროდ და სავალალოდ, დღესაც კი ბევრ ქვეყანაში სრულიად ოფიციალურად არის საზოგადოება კასტებად დაყოფილი.

უფრო მეტიც: ამ დაყოფას თეორიული საფუძვლებიც კი მოუნახეს. უფრო და უფრო ხშირად იხსენებენ რომის პაპის ლეე XIII ენციკლიკას, რომელიც მან 1891 წელს გამოსცა: „კაცობრობამ უდრტვინველად უნდა ზიდოს თავისი ტვირთი: მსოფლიოში უთანასწორობის აღმოფხვრა შეუძლებელია".

მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა მსოფლიოში პირველი სახელმწიფო, სადაც არ არიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი. შრომა, ერთობა, თანასწორობა, აი, რა არის ჩვენი დევიზი. აი, რა უნდ გვასულდგმულებდეს და რა უნდა აყალიბებდეს ჩვენს სულიერ სამყაროს. აი, რას უნდა მოესპო ჩვენს არსებაში კერძომესაკუთრული ტენდენციები.

სამწუხაროდ, ეს ტენდენციები არ მოისპო.

შორეულ წარსულს რომ თავი დავანებოთ, თუ კაპიტალისტურ სამყაროში კერძომესაკუთრეობა ან მათ მიერ უფრო კეთილშობილურად მონათლული „კერძო ინიციატივა" მათი მსოფლმხედველობისა და სახელმწიფოს საფუძველია, ჩვენში პირიქით, ქვეყნის სულიერი და მატერიალური მონაპოვარი საერთო სახალხო კუთვნილებაა.

კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, როგორც ვხედავთ, ჩვენი ადამიანის ფსიქიკაში ძალზე ღრმადა აქვს ფესვი გადგმული, თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ახალგაზრდებშიც კი, რომლებიც აგერ, გუშინ დაიბადნენ და მათზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია ეგრეთ წოდებულ წარსულის მავნე გადმონაშთებს.

რა ხდება?

იქნებ ლტოლვა კერძო საკუთრებისადმი სოციალური მოვლენა კი არ არის, არამედ ადამიანის ბუნებაა, თვისებაა?

გავიხსენოთ შეკსპირი: „კაცს რომ სჯირდება, მახზე მეტი მას რომ არ ჰქონდეს, ადამიანი ხომ პირუტყვად გადიქცეოდა!"

ბურჟუაზიულ ტალღამ თითქმის ყველაფერი წალეკა, ჯაჭვრომა რეაქციამ არ დაუყოვნა, ქრთამი ზემდგომ ორგანოებში, ქრთამი სამინისტროებში, ქრთამი თითქმის ყოველგვარ დაწესებულებაში, ქრთამი ადმინისტრაციულ ორგანოებში, ქრთამი, ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. სპეკულაცია ფეხის ყოველ ნაბიჯზე. სპეკულაცია ქუჩებში თუ სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებში.

ცნობილი საბჭოთა მწერალი დანიილ გრანინი „ლიტერატურნაია გაზეტაში" გულისტკივილით წერდა: „ჩემს მეგობარს დედა გაუხდა ავად. მას გაგონილი ჰქონდა, რომ ექიმისათვის უნდა მიეცა სამკურნალოდ ფული. ძალზე მორცხვი კაცია იგი, მაგრამ დედისათვის ზრუნვამ გადალახვინა სიმორცხვე და, იმ საბაბით, იქნებ რამე წამლებისთვის დაგვირდეთო, ექიმს 25 მანეთი შესთავაზა. ექიმმა ხელები გაშალა და უთხრა: ხურდას მე არ ვიღებულობო. მაშ, რამდენი უნდაო, ჰკითხა ჩემმა ნაცნობმა, ათჯერ მაგდენიო, იყო პასუხი. დედის ბედით შეშინებულმა ფული იშოვა და კონვერტში ჩადებული ექიმს მორცხვად მიაწოდა, მან კი თანხა მშვიდად ამოიღო კონვერტიდან და გადათვალა.

ოპერაციის შემდეგ ქალი მოკვდა. ექიმმა ჩემს ნაცნობს განუმარტა: „მე შეგამოწმე, დედათქვენი არ მომკვდარა ოპერაციის შედეგად, მისმა გულმა ვერ გადაიტანა ოპერაცია, ამიტომაც ფულს ვერ დაგიბრუნებო!" („ლ. გ." 18. 8. 87).

დამეთანხმებით, სულისშემძვრელი ამბავია. და თანაც იგი გამონაკლისი ან მხოლოდ ლენინგრადისათვის დამახასიათებელი შემთხვევა როდია. ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ ქალაქში და ნებისმიერ საავადმყოფოებში აღმოაჩენთ უარეს შემთხვევებს.

სამწუხაროდ, მომხვეჭელობას თავისი სახესხვაობები გააჩნია. მაგალითად, შეიძლება კაცი ფულს ან ძვირფას ნივთებს არ იღებდეს, მაგრამ სახელის მოპოვებისათვის ან თანამდებობისთვის ბრძოლა, თანაც დაუმსახურებელი დიდებისაკენ აკრძალული ილეთებით ლტოლვა უფრო საშინელ კერძომესაკუთრულ ტენდენციად მიმაჩნია, ვიდრე ნივთებისა და ფულის დაუოკებელი სიყვარული.

რამდენი თანამდებობის პირი გამომეღავნდა, კარიერა რომ სამარცხვინო გზებით გაინადდა!

რამდენიც გნებავთ, იმდენი მაგალითის მოტანა შეიძლება, ჩვენი მეცნიერებისა თუ ხელოვნების მუშაკები მკლავებდაკაპიწებულნი რომ იბრძვიან, მოიპოვონ ის წოდებანი თუ ჯილდოები, ის პედესტალი, რომელიც მათ არ დაუმსახურებიათ არც ნიჭით, არც საზოგადოებრივი მოღვაწეობით.

იბრძვიან და... სასოწარკვეთილაც იოლად აღწევენ. მაშინ, როცა ძალიან ნიჭიერი მაგრამ მოკრძალებული და, ხაზგასმულად ვამბობ, ინტელექტუალური ადამიანები ნამდვილად არ ხარგებლობენ იმ უპირატესობით, მათ რომ სამართლიანად ეკუთვნით.

სამწუხაროდ, ასეთი მოვლენები იწვევენ საზოგადოების რჩეული ნაწილისადმი იმედის გაცრუებას, რწმენის დაკარგვას, უნდობლობას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეშიძლია არ ვილაპარაკო ერთ ტენდენციაზეც. საბჭოთა კავშირში, სახელმწიფოში, რომლის საფუძველთა საფუძველს ადამიანის ჰუმანიზმი და კეთილშობილება წარმოადგენს, სახელმწიფოში, სადაც ყველაზე უფრო უნდა აფასებდნენ პატიოსნებას, მორალურ გმირობას, ხშირად სულ სხვა მოვლენების მოწმენი ვხდებით. ჩვენში თითქმის არ არსებობს ჯილდო მორალური გმირობისათვის. მაგალითად, არასდროს არაფრით არ დაუჯილდოებიათ დედა, რომელსაც მეუღლე ადრე მოუკვდა, მაგრამ ოჯახს არ უღალატა, მეორედ გათხოვება გულშიაც არ გაუვლია და ასე, მარტოხელამ, გაჭირვებით აღზარდა და სწორ გზაზე დააყენა სამი შვილი. სამშობლოს, საზოგადოებას მისცა ღირსეული ადამიანები. განა მეორედ გათხოვება დანაშაულია? მაგრამ არ გათხოვილა, რომ გული არ ეტკინა თავისი ნორჩებისათვის, არ დაეკარგა შვილებისათვის მამის ხსოვნა და ხატება, და თანაც გარდაცვლილი მეუღლის წმინდა სიყვარული ამჯობინა ახალ მეუღლისთან ცხოვრებას.

სამაგიეროდ, სოციალისტური შრომის გმირობას ანიჭებენ ღონიერ კაცს, რომელმაც სარეკორდო რაოდენობის ქვანახშირი მოანგრია. რასაკვირველია, კარგი მუშაობა, საქმისადმი ერთგულება და პროფესიონალიზმი არანაკლებ დასაფასებელია, მაგრამ ადამიანი, რომელიც სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს, სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავს ატარებს, სულიერადაც სანიმუშო უნდა იყოს. მან, როგორც ერთმა სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავით გთამამებულმა პიროვნებამ, უზარმაზარი შენობებით შემოფარგლულ ეზოს შუაგულში ხეები არ უნდა მოეჭრას და თავისი გარაჟი არ უნდა ჩადგას. სამშობლოს უმაღლესმა ჯილდომ კიდევ უფრო მოკრძალებული უნდა გაგხადოს, საზოგადოებრივ მოღვაწედ უნდა გაქციოს.

თითქმის ქუჩაში გასვლისთანავე იწყება ადამიანის შეურაცხყოფათა სერია: შეურაცხგაოფენენ გაზეთის კიოსკში, მაღაზიაში, ტრანსპორტში, დაწესებულებაში; ყველა ცხვირჩამოშვებული და კოპებშეკრული გელაპარაკები, გამადლის ნიმ საქმის გაკეთებას, რისთვისაც მას სახელმწიფო ხელფასს აძლევს.

სამწუხაროდ, ხშირად არც სოლიდურ ორგანოებში, არც კულტურულ და ფრიად საპატივცემულო ორგანიზაციებში არად დაგიდევენ ადამიანს. თითქმის ყველგან გრძნობთ, რომ არად ულირთ ადამიანის თავმოყვარეობის შელახვა.

აი, მაგალითად, საბაჟოში გავდივარ, მივემგზავრები უცხოეთში. ეჭვის თვალით მიცქერის საბაჟოს თანამშრომელი. კოპშეკრული დაუდევრად ურეკს ხელს ჩემს ხელჩანთაში. შემდეგ, თითქოს ნაწყენი იმით, რომ ვერაფერი იოცა, გახსნილ ჩანთას უხეშად აჩოჩებს და ცივად ამბობს: „შემდეგი".

არც აქ მთავრდება ყველაფერი. თვრამეტიცხრამეტი წლის ახალგაზრდა ასაკთან შეუფერებელი სერიოზულობით და დამტუქსავი ეიერით ჩასჩერებია ჯერ პასპორტში ჩაწერებულ სურათს, შემდეგ ყმაწვილის ცივი თვალების სუფთს უკვე სახეზე ვგრძნობ და რაღომღაც დანაშავეს სავით ვდგავარ მის წინაშე. რამდენიმე გულუბრყვილო შეკითხვა („როდის დაიბადე", „ბინის მისამართი" და ა. შ.) და ნებას მრთავს ბარიერს იქით გავიდე.

გავდივარ გუნებაგაფუჭებული, დამცირებული, მთელი ჩემი დამსახურება, შრომითი ბიოგრაფია, სათანადო ორგანიზაციათა რეკომენდაციები, მთელი ჩემი პიროვნება აქ ნულამდეა დასული.

რასაკვირველია, ყველანი ასეთები როდი არიან (ღმერთმა ნუ ქნას) და თანაც ისინი თავის მოვალეობას ასრულებენ, მაგრამ განა არ შეიძლება მთელი ჩვენი მოქმედება თავაზიანობის, ინტელიგენტურობის, ადამიანური ურთიერთობის ჩარჩოებში მოვაკცოთ?!

მადლობა ღმერთს, აქ მაინც ვერ მოვიმიზეზებთ ფონდირებული მასალის უკმარისობას. ღიმილი და თავაზიანობაა საჭირო, ადამიანის სიყვარული და პატივისცემაა საჭირო. ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სან

ამას წინათ „პრავდაში“ წავიკითხე ნ. ილინას ვრცელი წერილი „მატარებელი პარიზიდან“ (4. 11. 87.).

იგი მოგვითხრობს საბჭოთა მოქალაქეებზე, რომლებიც რკინიგზელთა გაფიცვის გამო ვერ გამოემგზავრნენ პარიზიდან. აღარც სასტუმრო ჰქონდათ დაჯავშნილი, აღარც ფული, ღამე ვაგზალში გაათიეს, ხოლო საბჭოთა საკონსულოდან დახმარების ნაცვლად ტელეფონით მხოლოდ შეურაცხმყოფელი ფრაზები მოისმინეს: „ჩვენ რა შუაში ვართ“, „მათვე მიმართეთ“, „რჩევებს ჩვენ არ ვიძლევით“, „ჩვენ აქ სასტუმრო არა გვაქვს“, „ფულს ვერ გასესხებთ“..

და, როგორც ნ. ილინა წერს, ვაგზალში ღამის თევით იცავდნენ საბჭოთა ადამიანის ღირსებას.

როცა ეს ძალზე გულსაკეენი წერილი წავიკითხე, უმალვე გამახსენდა ჩემი გამომგზავრების ამბავი შვეიციიდან 1964 წელს. პატარა დელეგაციაში რამდენიმე მწერალი ვიყავით, ჩვენ შორის იყვნენ ი. ტრიფონოვი, ლ. კასილი, ნ. ლაბკოვსკი... სტოკჰოლმიდან საბჭოთა გემ „ნადეჟდა კრუპსკაიათი“ გამოვემგზავრეთ. თითოეულ ჩვენგანს ჯიბეში 30-30 მანეთი გვედო, რომელიც, წესის მიხედვით გავიტანეთ უცხოეთში.

რაკი საბჭოთა გემი იყო, გადავწყვიტეთ საღამოს კოქტეილბარს ან რესტორანს ვსტუმრებოდით.

გემზე მგზავრებს შორის მხოლოდ ჩვენ, 12 კაცი ვიყავით საბჭოთა კავშირიდან. დანარჩენები ფრანგი და ინგლისელი ტურისტები იყვნენ, რომლებიც ლენინგრადში მოემგზავრებოდნენ.

რესტორანში ოფიციანტმა დამცინავად გაგვიღიმა და გვითხრა, აქ საბჭოთა ფული არ გადისო.

— სად, საბჭოთა გემზე? — გაოცებისაგან წამოვიყვირეთ ჩვენ.

— დიახ, საბჭოთა გემზე!

რესტორანი სავსე იყო უცხოელებით, ერთი აურზაური იყო ბარშიც, საცეკვაო სალონშიც. ყველა მხიარულობდა, ცეკვავდა, კოქტეილს ან ლუდს მიირთმევდა...

ჩვენ კი შეურაცხყოფისაგან დამუნჯებულნი ვისხედით სალონის კუთხეში და მწყურვალენი შეცქეროდით მხიარულ მოცეკვავე წყვილებს, სახე რომ სიხარულით უბრწყინავდათ.

რომელ საბჭოთა დემოკრატიაზე უნდა გველაპარაკა მათთან, როცა ხედავდნენ, რომ საბჭოთა გემზე გადიოდა ყველა ქვეყნის ფული, გარდა თვით საბჭოთა ფულისა.

მერედა რა უბრალოდ მოსაგვარებელია მსგავსი საკითხები, თუკი მათი გადაჭრა ჯენშარიტ მამულიშვილს, შეგნებულ ინტელიგენტს აქვს მინდობილი.

ეჭვი არ გვეპარება, რომ საბჭოთა ხალხი შესძლებს გარდაქმნას, ღირსეულად გაართმევს თავს დაჩქარების სტრატეგიას.

გვჯერა, საბჭოთა კავშირი ღირსეულად მოვა საუკუნის ფინიშზე. მაგრამ გარდაქმნა „ბერკეტ“ მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში როდი გვინდა.

ოცდამეერთე საუკუნეს საბჭოთა ადამიანი უნდა შეხვდეს სულიერად გასპეტაკებული, კეთილმესაკუთრული ინტერესების მარწუხებისაგან დახსნილი.

ვინ, თუ არა საბჭოთა ადამიანი, უნდა იყოს ნამდვილი ჰუმანისტი და ჯეშმარიტი ინტერნაციონალისტი.

ვინ, თუ არა საბჭოთა საზოგადოება, უნდა იყოს განწმენდილი თანამდებობის ბოროტად გამომყენებლებისაგან, მექრთამეებისაგან, ბიუროკრატებისაგან, გამომძალველებისაგან, ნიჰილისტებისაგან, უსაქმურებისაგან, ლოთებისაგან, ნარკომანებისაგან...

აი, რა თქვა ამხ. მ. გორბაჩოვმა 1987 წლის იანვრის პლენუმზე:

„ბოლო წლებში წარმოქმნილი სოციალური კოროზიის ელემენტები ნეგატიურ გავლენას ახდენდა საზოგადოების სულიერ განწყობილებაზე, როგორღაც შეუმჩნევლად არყევდა მაღალ ზნეობრივ ღირებულებებს, რომლებიც ყოველთვის ახასიათებდა ჩვენს ხალხს და რომლებითაც ვამაყობთ, — იდეურ რწმენას, შრომითს ენთუზიაზმს, საბჭოთა პატრიოტზმს.

ამის გარდაუვალი შედეგი იყო საზოგადოებრივი საქმეებისადმი ინტერესის შენელება, სულიერი სიღატაკისა და სკეპტიციზმის გამოვლინებანი, შრომის მორალური სტიმულების როლის შესუსტება. გაიზარდა ფენა ადამიანებისა, მათ შორის ახალგაზრდებშიც, რომელთათვის სიცოცხლის მიზნად იქცა მატერიალური კეთილდღეობა, ქონების მოხვეჭა ნებისმიერი საშუალებებით, მათი ცინიკური პოზიცია სულ უფრო თავხედურ ფორმებს იღებდა, შეგნებას უწამლავდა გარშემო მყოფთ, წარმოშობდა მომხმარებლობის ტალღას. სოციალური ზნეობის დაცვის მაჩვენებელი გახდა ლოთობის ზრდა, ნარკომანიის გავრცელება, დამნაშავეობის გადიდება.

საზოგადოების ზნეობრივ ატმოსფეროზე დამღუსველ გავლენას ახდენდა კანონების უგულებელყოფის ფაქტები, თვალის ახვევა და მექრთამეობა, პირმოთნეობისა და ხოტბა-დიდების წახალისება. ადამიანებისათვის, მათი ცხოვრებისა და შრომის პირობებისათვის, სოციალური კეთილდღეობისათვის ნამდვილ ზრუნვას ხშირად ცვლიდა პოლიტიკური პირფერობა — ჯილდოების, წოდებების, პრემიების მასობრივი დარიგება. იქმნებოდა ყოვლისმიტევების ვითარება, კლებულობდა მომთხოვნელობა, დისციპლინა, პასუხისმგებლობა“.

ჩვენ თუ გვინდა ნამდვილი წესრიგი დავამყაროთ, კანონი უნდა მოეთხოვოს დიდსა და პატარას, ჩინიანსა და უჩინოს. უბედურება ისაა

და ადამიანთა, განსაკუთრებით ახალგაზრდათა გულის გატეხვას, იმედის გაცრუებასა და რწმენის დაკარგვას ის იწვევს, როცა კანონს არღვევს პიროვნება, რომელიც თვითონ უნდა იყოს კანონის დამცველი.

ან, მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებით რომ ვთქვათ: „არ შეიძლება არ აღინიშნოს მშრომელთა სამართლიანი აღშფოთებაც იმ ნდობით და უფლებამოსილებით აღჭურვილი ხელმძღვანელი მუშაკების საქციელის გამო, რომლებიც სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესების საგუშაგოზე უნდა მდგარიყვნენ და რომლებიც თვითონ იყენებდნენ ბოროტად ძალაუფლებას, ახშობდნენ კრიტიკას, იხვეჭნენ ქონებას, ხოლო ზოგი მათგანი დანაშაულებრივი მოქმედების მონაწილე კი არა, ორგანიზატორიც გახდა“.

●

დღევანდელი დღე გულახდილ და კომპეტენტურ დიალოგს მოითხოვს.

გულწრფელობა და, ამავე დროს, მოვლენის გამომწვევი მიზეზის პოვნა აუცილებელია ჭეშმარიტების დასადგენად, მომავალი საბრძოლო და სამოქმედო გეგმის დასასახად.

საკითხიც პირდაპირ მინდა დავსვა, რამდენად შეეფარდება დღევანდელი ხელფასები დღევანდელ საცხოვრებელ პირობებს?

საბჭოთა კავშირში მსუბუქი ავტომობილი ძალიან ძვირი ღირს. მე მანქანის ფასისა და ხელფასების თანაფარდობას ვგულისხმობ.

თუ გულწრფელად ვილაპარაკებთ, დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში ხელფასით მსუბუქი მანქანების მყიდველნი ძალიან ცოტანი არიან, მანქანების შეძენის მსურველნი კი შეუდარებლად ბევრნი. ვინც ხანგრძლივ რიგს ველარ ელოდება, სპეკულანტებო ფასებში ყიდულობენ მანქანებს. თავის რესპუბლიკაში რომ ვერ შოულობენ, სხვა რესპუბლიკებში დაძრწიან და ორმაგ ფასად იძენენ სასურველი მარკის ავტომობილებს.

ისმება შეკითხვა — საიდან?

ვთქვათ პირდაპირ, მცირეოდენი პროცენტის გარდა მანქანებს იძენენ არაწესიერი გზით შემოსული ფულით.

განა შეიძლება ამ ფაქტმა არ აგვაღელვოს და არ აგვაფორიაქოს?

სახელმწიფომ იცის ადამიანთა რეალური შემოსავალი, მაგრამ მანქანას მაინც დაადო ამოდენა ფასი, ეს ხომ არ ნიშნავდა, რომ სახელმწიფო შეეგუა არაკანონიერ შემოსავალს? ხომ არ დაყარა ფარ-ხმალი უკეთურების წინაშე?

და იმის ნაცვლად, რომ გვებრძოლა ამ უკეთურების წინააღმდეგ, ხომ არ დადავწყვიტეთ, ასეთი ფასებით უკან ამოგვეკაჩა არაწესიერი გზით ნაშოვნი ფული?

რა დააშავა მაშინ პატიოსანმა, თავისი ხელფასით მოარსებე ადამიანმა, რომლისთვისაც აუუდებელი ოცნებად დარჩება მანქანისა და სხვა ძვირადღირებული ნივთების შეძენა; თუნდაც ახლად მიღებულ ბინაში, ჩვენდა საკვალალოდ, როდესმე რემონტის გაკეთება?

და აი, საკითხი ასე მინდა დავაყენო: ხომ არ არის დაბალი ხელფასები უკანონო შემოსავლის მოპოვებისაკენ ლტოლვის მიზეზი?

განვიხილოთ ერთი მაგალითი.

დაწესებულების მძღოლს ხელფასი აქვს 85-90 მანეთი.

იგი დილას საზოგადოებრივი ტრანსპორტით მიდის გარაჟში, რომელიც ძალზე შორსაა მისი სახლიდან. გამოპყავს მანქანა და მიემართება სამსახურისაკენ. სამსახურის შემდეგ იგი კვლავ ბრუნდება გარაჟში და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მიდის შინ.

სახელმწიფო მანქანებს ჩვეულებრივ სახელმწიფო დაწესებულებებში დღეში ეძლევათ 8,5 ლიტრი ბენზინი. ეს ბენზინი კი საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ გარაჟიდან მივიდეს სამსახურში და სამსახურიდან დაბრუნდეს გარაჟში. რა ბენზინით უნდა იმოძრაოს მანქანამ სამუშაო დღის პერიოდში?

საწარმოო განყოფილება, რომელსაც მანქანა ემსახურება, იძულებულია იზრუნოს ბენზინზე. ისიც ნათელია, ვერ იზრუნებენ კანონიერი გზით. დღევანდელ პირობებში თითქმის ზღაპარია, მანქანა გაარემონტო სახელმწიფოს ხარჯზე. არ იშოვება ნაწილები, ხოლო თუ ნაწილებს ხელზე იშოვი, არც ერთი ოსტატი მანქანას იმ თანხის საფასურად არ გაკეთებს, სახელმწიფო ტარიფებით რომ არის დათვლილნაწილები.

ყველაფერ ამ უბედურებას ემატება ერთი პრობლემაც, მძღოლის დაბალი ხელფასი. 85-90 მანეთი ძალზე მცირეა ორი შვილის პატრონი ადამიანისათვის და მძღოლსაც გაკვეცვაზე უფრავს თვალი.

აი, აქედან იწყება არასასურველი კომპრომისები, თვალის დახუჭვა, როცა მძღოლი სახელმწიფო მანქანას პირადი შემოსავლის წყაროდ იყენებს. კანონი ირღვევა და ხმას ვერ იღებ, ვერ იღებ სრულიად გასაგები მიზეზების გამო— მძღოლი უმალვე გაგიკვეცავ.

კანონი დაირღვა, მძღოლმა სახელმწიფო მანქანით არაკანონიერი ფულადი შემოსავალი მიიღო. დანაშაულებრივი ნაბიჯი უკვე დადადგმულია. რაკი უკანონოდ აღებული ფულს გემო გაუგო და ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახა, ვინ დაუდებს ზღვარს მძღოლის უკანონო მოქმედებას?

შევეშვათ მძღოლებს. ახალგაზრდა კაცმა იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და, ვთქვათ, გამომძიებლად მოეწყო. მისი თვიური ხელფასია 130 მანეთი. თუ ახალგაზრდა გამომძიებელს ტრადიციული ოჯახი, შეძლებული მშობლები არა ჰყავს, მისთვისაც ოცნებად დარჩება ბევრი რამ, თუნდაც მსუბუქი ავტომობილის შეძენა. და

ამ დროს მას, ოცდასამი-ოცდაოთხი წლის ახალგაზრდას, საგამომძიებლო საქმის არა მოსასპობად, არამედ შესარბილებლად, სთავაზობენ თანხას, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე მსუბუქი მანქანის სახელმწიფო ფასი.

გაუძლებს 130 მანეთზე მცხოვრები ცოლ-შვილის პატრონი ახალგაზრდა კაცი ცდუნებას?!

მოუწესრიგებელი ხელფასები და, აქედან გამომდინარე, ლტოლვა არაკანონიერი შემოსავლისაკენ, საშინელ დაღს ასვამს ჩვენს მრეწველობას, სოფლის მეურნეობას. ხელფასზე დიდადაა დამოკიდებული პროდუქციის ხარისხი.

მე თვითონ მეტალურგი გახლავართ. ისე დავამთავრე ჩემი მეტალურგიული კარიერა რუსთავის ქარხანაში, რომ ინჟინრის თანამდებობას ვერ ვეღირსე. მაშინ, ე. ი. 1956-57 წლებში ჯერ კიდევ ის პერიოდი იყო, ხალხი რომ ხელფასით ცხოვრობდა. მეტალურგებს კი საკმაო ხელფასი ჰქონდათ.

გავიდა დრო. დღეს მეტალურგიულ ქარხანაში, რამდენიც გნებავთ, იმდენია ინჟინრის, ოსტატის, მეფოლადის ადგილი. ყოველდღე ხალხი ავტობუსებით მოჰყავთ სოფლებიდან, ღუმელები რომ არ გაჩერდეს. მოჰყავთ და ათასგვარ შეღავათიან ხელშეკრულებებს უდებენ, ორ-სამ წელიწადში მსუბუქ ავტომანქანას ჰპირდებიან... შაბატები კი მაინც თავისუფალია.

ეშველება რამე ამ საქმეს?

მხოლოდ მაშინ ეშველება, როცა მარტენის ღუმელთან შებმულ სოციალისტური შრომის გმირს იმის ნახევარი შემოსავალი მაინც ექნება, მარტენის საამქროს სასადილოს უფროსს რომ აქვს.

ხელფასების მოუწესრიგებლობა, ზემოთაც მოგახსენეთ, პროდუქციის ხარისხზე ახდენს უზარმაზარ გავლენას.

თავი დავანებოთ იმას, რომ ბევრგან ხელფასების ძალზე დაბალია. არ ხდება თვით ხელფასების დიფერენცირება.

ჩემი აზრით, ერთი და იგივე თანამდებობაზე ხელფასები ოთხსაფეხურიანი თუ არა, სამსაფეხურიანი მაინც უნდა იყოს, რომ წარმოებისა თუ რაიმე დაწესებულების ხელმძღვანელობამ ერთმანეთისაგან გაარჩიოს კარგი, საშუალო ან ცუდი თანამშრომელი. როცა კარგი, საშუალო, ცუდი და ძალიან ცუდი თანამშრომელი ერთნაირ ხელფასს იღებს, რამელ წარმოების კულტურაზე და პროდუქციის ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი?

აუცილებლად უნდა გადაისინჯოს ტარიფები, ერთი მაგალითი მინდა განვიხილოთ: ვთქვათ, სახელმწიფო მშენებლობაზე პირველხარისხოვანი ოსტატი კედელს აკაფელებს. სახელმწიფო მას კვადრატულ მეტრში 10 კაპიკს უხდის. იგივე ოსტატი კერძო სამუშაოს 25-30-35 მანეთად ასრულებს. შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ ერთი და იგივე ოსტატის მიერ 10 კაპიკად და 30 მანეთად შესრულებული სამუშაოები?

მამაკაცის კოსტიუმის შეკერვა სახელმწიფო ტარიფით 32 ან 35 მანეთი ღირს. კარგი ოსტატები კოსტიუმის შეკერვაში 130-150 მანეთს იღებენ. ყველამ მშვენივრად ვიცით, როგორი განსხვავებაა სახელმწიფო ტარიფით და კერძო ფასებით შეკერილ კოსტიუმებს შორის.

არ სჯობია კარგ ოსტატს გავუზარდოთ ხელფასი, ხოლო კოსტიუმის შეკერვის ღირებულება გავხადოთ რეალური?

შეიძლება ვინმემ თქვას, გლობალური პრობლემებიდან რა წვრილმან ამბებამდე დავეშვითო. სად მეოცე საუკუნის ფინაში და სად მძღოლის და მკერავის ხელფასიო.

თუკი ასეთი მკითხველი გამოჩნდება, მინდა ვუთხრა, რომ ჩვენი სახელმწიფო, სადაც ახლა რევოლუციური გარდაქმნების მიდის, უზარმაზარი ამოცანების წინაშე დგას. დიდი ჩამორჩენებია დასაძლევი მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, კულტურისა და განათლების სფეროში. მსხვილმანები წვრილმანებისაგან იქმნება. ამიტომაც მთელი ყურადღებით, მეცნიერულად უნდა გავაანალიზოთ და აღმოვფხვრათ ის წვრილმანები, რომლისგანაც შემდგომ ძალზე მასშტაბური და დამაფიქრებელი ნაკლოვანებები იჩენს თავს. ნუ დავკავიწყდება, რომ ყველა ფრონტზე, ყოველ რგოლში ადამიანები შრომობენ და პირველ რიგში სწორედ ადამიანის გარდაქმნიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერი.

ადამიანი რომ გარდავქმნათ, მას უნდა ჰქონდეს ნორმალური ბინა, ნორმალური ხელფასი, ნორმალური კულტურული გარემო.

ადამიანს უნდა სჯეროდეს, რომ სიმართლე ყოველთვის გაიმარჯვებს, რომ მის ბედზე ფიქრობენ ყველგან, ზემოთ და ქვემოთ, მილიციაში და პროკურატურაში, სამინისტროებში და უწყებებში. უნდა სჯეროდეს, რომ მისი შვილი არ დაიჩაგრება სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში. მტკიცედ უნდა სჯეროდეს, რომ მის ეროვნულ კულტურას, მის ენას არ ელის გადაგვარების საფრთხე, რომ ქვეყნის ნამდვილი წარმმართველი მიმართულება იქნება ბეშმარიტი ჰუმანიზმი და ინტერნაციონალიზმი!

●

როგორ ვეგებებით ჩვენ, ქართველები ოცდამეერთე საუკუნეს? მერამდენე ვიქნებით ფინაშზე? ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ხომ არ აღმოვჩნდებით საბჭოთა კავშირშიც კი?

სიფრთხილე პესიმიზმი არაა!

არც ოპტიმიზმია წარმატების გარანტია!

ყველა ის პრობლემა, რომლის წინაშეც დგას ჩვენი დიადი სახელმწიფო, გადასაჭრელი აქვს ჩვენს რესპუბლიკასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ.

ბუნებრივია, მცირერიცხოვანი ერების წინაშე „საკუთარი" პრობლემებიც დგას.

ამჯერად მე საქართველოს და ქართველი ერის „საკუთარ" პრობლემებზე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. ამ პრობლემებიდან კი სამ უმთავრესს გამოვყოფ:

1. გამრავლება.
2. მშობლიური ენა.
3. სწავლა-განათლება.

გამრავლების საკითხებს მე უკვე ამ რამდენიმე წლის წინ მივუძღვენი სტატია: „საქართველოს უკვდავება". ამჯერად საკითხი სხვა კუთხით მინდა დავაყენო.

თავში უკვე ბევრჯერ ვთქვიო, ცხოვრების დღევანდელი ტემპი ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის როგორ განვითარებას მოითხოვს. ზოგიერთ გულუბრყვილოს ჰგონია, რომ ჩვენ შეგვიძლია გამოვეთიშოთ ამ უზარმაზარ მდინარებას. ჰგონია, სხვა გამოიმუშავებს ჩვენთვის ელექტროენერგიას, სხვა გაგვიყვანს გზებს, სხვა დაგვიმზადებს ავტომობილებს, თვითმფრინავებს და ათასგვარ სამრეწველო პროდუქტებს, ხოლო საქართველო ამ საყოველთაო ინდუსტრიალიზაციისაგან გვერდზე დარჩება განსაკუთრებულ ოაზისად.

დროა, ილუზიები გავფანტოთ და თვალი სინამდვილეს გავუსწოროთ. დროა, ყველაფერი გავიანგარიშოთ და გავაანალიზოთ, რა შეგვიძლია, მრეწველობის რა დარგები, რა მიმართულებები უნდა ავირჩიოთ, რომ გავწვდეთ ჩვენი მოსახლეობით.

მოსახლეობის გამრავლების საქმე კი მართლაც ცუდადაა ჩვენს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით კი ქართველებში.

მინდა მძიმე სურათის კონტურები ძალზე მოკლედ მოვახაზო. 1979 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში ძალზე მნიშვნელოვნად მრავლდებიან აზერბაიჯანელები (27,9 პრომილამდე), ქართველების გამრავლების მონაცემია 17,6 პრომილი.

არც ესაა მთავარი. აზერბაიჯანელთა შორის დიდია შობადობის, ხოლო მცირე სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ამიტომაც მათი ბუნებრივი მატება (22,2 პრომილე) ორნახევარჯერ აღემატება ქართველებისა და აფხაზების, ხოლო თითქმის ცხრაჯერ რუსების მატებას ჩვენს რესპუბლიკაში.

მაგრამ, ხაზს ვუსვამ, ეს იყო 1979 წელს. ამჟამად კი მდგომარეობა გაცილებით უარესია.

ყოველივე ამაზე, ე. ი. საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ახალგაზრდების ხვედრითი წილის შემცირებამ გამოიწვია საზოგადოების „დაბერება". 1959 წელს საზოგადოების 56,7 პროცენტი ახალგაზრდობა იყო. 1979 წელს კი — 51,2 პროცენტი. დღესდღეობით მაჩვენებელი გაცილებით დაბალია.

გამრავლების პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ოჯახთა დანგრევის სამარცხვინო და სავალალო შემთხვევები, რომლებსაც „შემთხვევებს" უკვე ვეღარ დავარქმევთ. იგი ტენდენციად, ერის დამახასუბტებელ ტენდენციად იქცა. თუ 1950 წელს რესპუბლიკაში მხოლოდ 427 განქორწინება მოხდა, 1986 წელს — 6667 (!).

კიდევ ერთი დამაფიქრებელი ფაქტიც მინდა მოვიტანო. 1926 წელს ამერიკაკავკასიაში ქართველები უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე სომხები ან აზერბაიჯანელები. ამჯერად სურათი მკვეთრად შეიცვალა. 1979 წლის აღწერით ამერიკაკავკასიაში აზერბაიჯანელთა რაოდენობა შეადგენს 5.477 ათასს, სომხებისა — 4.151 ათასს, ქართველებისა კი 3.571 ათასს.

როგორც ვხედავთ, პირველი ადგილიდან ბოლოზე გადავინაცვლეთ. ვფიქრობ, დღევანდელი დღისათვის სურათი უფრო სავალალოა, ხოლო ვერც სამომავლოდ ვამჩნევთ საიმედო ტენდენციებს.

ამ მდგომარეობამ არ შეიძლება არ ჩააფიქროს ყოველი ქართველი.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდში კვლავ ბევრი საწარმო გაიხსნება რესპუბლიკაში, ბევრი სრულიად ახალი დარგიც გაჩნდება, მუშაჯალს რომ მოითხოვს. ამიტომაც გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილე, საჭიროა წინასწარ განვსაზღვროთ ჩვენს რესპუბლიკაში ინდუსტრიალიზაციის ის მიმართულებები, მინიმალურ მუშახელს რომ მოითხოვს, ეკონომიურ ეფექტს კი სასურველს მოგვცემს. ახლა ყოველი ახალი ქარხნის თუ ფაბრიკის აშენება ისე უნდა განსაზღვროს წინასწარ, რომ ტექნიკურ-ეკონომიურ მონაცემებთან ერთად პირველ რიგში განსაზღვრულ-გაანგარიშებული იქნეს ერის საკადრო რეზერვები, გავიხსენთ, იაპონელებმა როგორ გაიანგარიშეს და განსაზღვრეს ის უპირატესი დარგები, რომლებიც მომავალში უნდა განავითარონ. მით უმეტეს, ასეთი ტენდენციების განსაზღვრა-შემოშავება გვმართებს ჩვენ, იაპონელები ხომ არ განიცდიან მუშახელის დეფიციტს.

ეს ძალზე დიდი და სერიოზული საკითხია. მით უმეტეს, საკურორტო ინდუსტრია, რომლის განვითარების დიდი პერსპექტივა არსებობს საქართველოში, დამანგრევლად მოქმედებს პატარა ერებზე (ამ საკითხებზე მე უკვე ვილაპარაკე სტატიაში „საქართველოს უკვდავება" და აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდები).

მისასალმებელია, რომ ამ ბოლო დროს ბევრი ჩვენი ახალგაზრდა ოცდასამი წლის ასაკამდე ჰქმნის ოჯახს. მაგრამ მათ შორის იშვიათად შეხვდებით ისეთ წყვილებს, სამი შვილი რომ ჰყავდეთ.

ალბათ, ძალზე ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რომ ისინი ფეხბურთის ტრიბუნებზე ან უსაგნო კამათებში კი არ იყვნენ თავისი ქვეყნის პატრიოტები, არამედ მტკიცე, მრავალშვილიანი ოჯახის შექმნით დაამტკიცონ მშობელი ერის ჭეშმარიტი სიყვარული.

პარტია და მთავრობა ბევრ ღონისძიებას ატარებს ახალგაზრდული ოჯახების ხელშესაწყობად. დაწესებულების ხელმძღვანელებს მართებთ განსაკუთრებული უურადღება გამოიჩინონ ახალგაზრდა ოჯახების, ახალგაზრდა დედების მიმართ. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ახალგაზრდა დედების დახმარება ეროვნული საქმეა, წმინდა საქმეა!

თუმცა ისიც მინდა ვთქვა, ვერავითარი ეკონომიკური და საბინაო პირობების გაუმჯობესება (მოგახსენებთ, საქართველოში ყველაზე მცირეშვილიანი ოჯახები სწორედ შეძლებული ოჯახებია), ვერავითარი შეღავათები საქმეს ვერ უშველის, თუ თვით ახალგაზრდებმა არ გააანალიზეს მომავლის პრობლემები, თუ მთელი სიგრძე-სიგანით არ დაინახეს ის საფრთხე, ქართველ ერს რომ ამ მიმართულებით ემუქრება.

გამრავლება ისეთი სფეროა, სადაც უფროსი თაობა უკვე ვეღარ იტყვის თავის სიტყვას. ასე იყო თუ ისე. ჩვენ დღევანდელ დღემდე მოვიტანეთ საქართველო. ხვალინდელი დღე კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. მე ბუნებით ოპტიმისტი კაცი გახლავართ და მჭერა, ახალგაზრდობა ჩასწვდება პრობლემის მთელ სიღრმეს, ისინი იტყვიან თავის სათქმელს, შეგნებულად და ღონივრად გადადგამენ ნაბიჯს ერის კეთილდღეობისათვის, ერის ნათელი მომავლისათვის!

ქართული ენა ჩვენი საყოველთაო ზრუნვის საგანია. პარტია და მთავრობა ყველაფერს აკეთებს ეროვნული კულტურების ასაღორძინებლად. ეროვნული კულტურა, ერი კი წარმოუდგენელია მშობლიური ენის გარეშე.

დღეს ქართული ენა გარემოსილია პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვით. ყველაფერი კეთდება მისი სიხალასის, სიწმინდის შესანარჩუნებლად. სამწუხაროდ, თვით ჩვენ, ქართველები, ზზირად ვერ ვიჩენთ ქართული ენისადმი ისეთ ზრუნვას, მშობლიურ ენას რომ ეკადრება.

გეთანხმებით, რთულ ეპოქაში ვცხოვრობთ. მოდური გამოთქმა „ინფორმაციის ნაკადი" უკვე გამალიზიანებენ გამოთქმად იქცა, მაგრამ ფაქტი ერთია, ჩვენ მართლაც ყოველი მხრიდან განვიცდით ინფორმაციის შემოტევას.

რესპუბლიკაში უამრავი გაზეთი გამოდის. ძალზე ბევრი ჟურნალისტი მუშაობს ტელევიზიასა და რადიოში, გამომცემლობებში, საქინფორმში.

გვყავს კი ამდენი პირველხარისხოვანი, თუნდაც მეორეხარისხოვანი ჟურნალისტი?

სამწუხაროდ, არ გვყავს, ამიტომაც, რომ გაზეთების ფურცლებზე, გამოცემულ წიგნებსა ტელე და რადიოგადაცემებში უმოწყალოდ მახინჯდება ქართული ენა. მთარგმნელები ვალდებულნი არიან სახსოვროდ თარგმნონ პლანეტის ყოველი კუთხიდან მოსული ინფორმაციები. ასეთი ნაუცბათევი თარგმანების დროს ხშირად გვეპარება კალკები. პირველად თითქოს გვეხამუშება კიდეც ასეთი კალკები, ქართული ენისათვის ბანალურად უცხო, მიუღებელი გამოთქმები, შემდეგ კი ისინი თანდათანობით იკიდებს ფეხს მოსახლეობაში. ხშირად, როცა ჟურნალ-გაზეთების ყვითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ალარავინ ზრუნავს ენის სიწმინდისათვის. სამწუხაროდ, ოვიათი როდია შემთხვევები, როცა სწორად არ ესმით გამოთქმის შინაარსი. ერთხელ, ამინდის პროგნოზის გადმოცემის დროს ასეთი გამოთქმაც „შემოგვთავაზეს"; „შენარჩუნებულია ზვავსაშიშროება". ეს ხომ პირდაპირი თარგმანია რუსული გამოთქმისა. მაგრამ ქართულად ხომ სიტყვა „შენარჩუნება" სულ სხვა ნიუანსებს შეიცავს? ან საიდან მოიტანა ერთ-ერთმა სპორტულმა კომენტატორმა გამოთქმა „შენგელიან აკრობა სიჩქარე?" ესეც ხომ პირდაპირი თარგმანია რუსულიდან?

განა თეატრის სცენიდან შეიძლება ასეთი მცდარი გამოთქმა გვესმოდეს — „მე შენ არ მცნობ, მამა?" ნაცვლად იმისა, რომ ეკითხა — „მამა, ვერ მიცანი?".

პროფესიონალიზმია და სამარცხვინო, როცა მაღაზიის სავიტრინო წარწერებშია შეცდომები. მაგრამ ეს შეცდომები ისეთი უბედურება არაა, როგორც, ვთქვათ, წიგნებში, გაზეთებში ან ჟურნალებში, რადიოში ან ტელევიზიაში, თუნდაც ამ წერილში გაპარული, მაგრამ უკვე დაკანონებული გამოთქმები.

ეტყობა, ყველაზე კარგი სტილისტები მაინც დიდტირაჟიან ჟურნალ-გაზეთებსა და რადიოტელევიზიაში უნდა იყვნენ, რომლებსაც მთელი ერი კითხულობს და უსმენს, და აქედან გამომდინარე, მკითხველი და მსმენელი გაპარულ შეცდომებს ენობრივ ნორმებად აღიქვამს.

არანაკლები საშინელებაა, ქართულ სიტყვებს უცხოურ ყაიდაზე რომ გამოვთქვამთ ხოლმე. ეს სენი ჩვენს თეატრსაც შეეპარა, რაც ბუნებრივი შედეგია იმისა, რომ ქართული სპექტაკლების რეპეტიციები... რუსულ ენაზე მიმდინარეობს!

არ უნდა დაავიწყოდეთ ჩვენი თეატრის მესვეურებს, რომ ქართველი მსახიობის მეტყველება ერისათვის ნიმუში უნდა იყოს!

ვფიქრობ, აუცილებელია შეიქმნას ჩვენს ენათმეცნიერთა და ცნობილ სტილისტთა კომისია, რომლებიც კვარტალში ერთხელ, უკიდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს შემოხვევაში, წელილოვანში ორჯერ ეფრნალისტთა გაერთიანებულ სემინარზე გააანალიზებენ ყველი იმ ტიპიურ შეცდომას, ეფრნალგაზეთების ფურცლებზე რომ იპარება ან რადიოდან და ტელეეკრანებიდან გვესმის. თანაც არამარტო გააანალიზებენ, შედეგებს პრესაშიც გამოაქვეყნებენ, რათა ყოველი შეცდომა ნათელი გახდეს მთელი ხალხისათვის.

მშობლიური ენის უპატივცემულობა, უფრო მეტიც, აბუჩად აგდებაა, როცა რომელიმე სამინისტრო ან სამმართველო მწერალთა კავშირს, კულტურის სამინისტროს, გამომცემლობებს და სხვა მსგავს ორგანიზაციებს წერილებს რუსულ ენაზე სწერს ხოლმე.

მკითხველებს ვთხოვ, ასეთი ფაქტები წვრილმანებად ნუ მოეჩვენებათ. ამ წვრილმანებისაგან ძალზე დიდი ვნება ადგება მშობლიურ ქართულ ენას.

ცუდადაა ტერმინოლოგიის საკმეც. ბევრი მეცნიერი ნაშრომს რუსულ ენაზე იმატომ წერს, ქართულად შესაბამისი ტერმინოლოგია არ გაგვაჩნიაო.

მე მინდა ვკითხო ასეთ ვაიმეცნიერებს, თვითონ რამდენი მეცნიერული ტერმინი შექმნეს? იქნებ შეგვეხსენებინა მათთვის გიორგი ნიკოლაძის მაგალითი? მაშინ, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არის ქართული ენის ნორმების დამდგენი კომისია, ტერმინოლოგიის მომწესრიგებელი კომისია, რამდენმა ქართველმა მეცნიერმა მიაწოდა მათ თავისი წინადადებანი? ვინ, თუ არა მეცნიერებმა უნდა იზრუნონ ქართული ტერმინოლოგიის შესაქმნელად და გასამდიდრებლად?

არანაკლებ საშიში სენია ქართველი ერისათვის ბავშვების რუსულ სკოლებში შეყვანა. გაოცებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ პატარა ქობულეთშიც კი ორი რუსული სკოლა ყოფილა, სადაც ძირითადად ქართველი ბავშვები სწავლობენ.

ჩვენს ქვეყანაში დღეს წარმოუდგენელია ადამიანი, რუსული ენა მეტ-ნაკლებად რომ არ იცოდეს, მით უმეტეს ახალგაზრდა კაცი. არამცთუ რუსულს, დღევანდელი ჭაბუკები და ქალიშვილები ერთ რომელიმე უცხო ენასაც კი უნდა ეუფლებოდნენ. ჩვენი ნორჩი თაობა რომ რუსულ ენას დაეუფლოს, ეს სახელმწიფოებრივი საქმეა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს საამისოდ. პედაგოგებსაც და მშობლებსაც დიდი შრომა გვმართებს, რომ ჩვენი შვილები საფუძვლიანად დაეუფლონ ულამაზეს რუსულ ენას. მაგრამ მე იოლ გზად, უფრო მეტიც, ძალზე მცდარ გზად მიმაჩნია ქართველი ბავშვების რუსულ სკოლაში შეყვანა. ამბობენ — ენა ურთიერთობის საშუალებაა. ეს მართალია, მაგრამ მშობლიური ენა ცოტა უფრო მეტია ადამიანისათვის, ვიდრე ურთიერთობის საშუალება. მშობლიური ენა ერის ბუნების გამოხატულებაა, მშობლიური ენა ეროვნული კოდია, რომელიც ეროვნულ მემკვიდრეობას ელის, ამიტომაა, რომ მშობლიურ ენას ბავშვის ტვინში, გულსა და სულში შეაქვს ეროვნული თვისებები, ეროვნული მადლი. ჩვენი ახალგაზრდები მხოლოდ აკურატულ კანცელარულ მუშაკებად როდი უნდა გამოვზარდოთ. ისინი ეროვნული გრძნობით დამუტტული შემოქმედნი უნდა იყვნენ.

ამიტომაც ქართულ სკოლაში ძალზე უნდა გავაძლიეროთ რუსული ენის სწავლება. მშობლებს უნდა სჯეროდეთ, რომ ქართულ სკოლებში მათი ბავშვები ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლებიან რუსულ ენას. მაშინ, ბუნებრივია, რუსული ენის შესწავლა ადარ მოხდება მშობლიური ენის ხარჯზე. განა დიდი რუსი პედაგოგი კ. უშინსკი არ გვასწავლის, დედაენაზე სწავლებისას ბავშვი ამ ენის მარტო გარეგან ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებს, იგი ამავე დროს ისრუტავს სულიერ სიცოცხლეს და ძალას დედაენის მშობლიური ძუძუდან. დედაენა უხსნის ბავშვს ბუნებას ისე, როგორც ვერ აუხსნიდა ვერც ერთი ბუნებისმეტყველი, იგი ასწავლის ხასიათს ადამიანებისა, რომლებიც ბავშვს გარს არტყია, საზოგადოებისა, რომელშიც იგი ტრიალებს, მის ისტორიას და მიზანსწრაფვას ისე, როგორც ვერ ასწავლის ვერც ერთი ისტორიკოსი. მას შეჰყავს ბავშვი ხალხის რწმენის და პოეზიის ტაძარში ისე, როგორც ვერ შეიყვანდა ვერც ერთი ესთეტიკოსი. ბოლოს, დედაენა შესძენს ბავშვს აზროვნების ლოგიკას და ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომელსაც მათ ვერ შეაძენინებდა ვერც ერთი ფილოსოფოსიო. — არ შეიძლება არ იწამო დიდი რუსი პედაგოგის ეს უშშვენიერესი და ჭეშმარიტი მოსაზრება.

მაშინ, როცა პარტიასა და მთავრობას სწორი ლენინური ეროვნული კურსი უჭირავთ, როცა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ასე ზრუნავენ ქართული ენისათვის, ჩვენი უდარდელობით, ბედოვლათობით, დაუდევრობით ან უყურადღებობით რომ რაიმე დავაკლოთ მშობლიურ ენას, მომავალი თაობა არ გვაპატიებს.

თავში ვწერდი: ბიჭუნებსა და გოგონებს, დღეს რომ სამავშვო ბაღებში არიან ან სკოლებში სწავლობენ, ან ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, სტუდენტის სახელს რომ ატარებენ, რამდენად ვამზადებთ-მეთქი ოცდამეერთე საუკუნის ფსიქოლოგიით? აქვე მინდა დავძინო, ბავშვები რომ ოცდამეერთე საუკუნის ფსიქოლოგიით მოვამზადოთ, მათ სათანადო განათლებაც უნდა მივცეთ. განათლების სისტემის დღევანდელი დონე კი ძალზე დამფიქრებელია როგორც მთელს კავშირში, ასევე ჩვენში, საქართველოში. განათლების თაობაზე მე უკვე გამოვაქვეყნე ვრცელი სტატია სათაურით „დრო

არ კარგავს დროს" („ლიტერატურული საქართველო", 28. VIII. 87), ამიტომ ამ საკითხზე აქ აღარ გავაგრძელებ საუბარს.

მინდა მხოლოდ ერთი ასპექტი გამოვყო. ზემოთ უკვე ვილაპარაკე ერთ პარადოქსულ მოვლენაზე, როგორი კარგი სპეციალისტები ჰყავთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, და, ამავე დროს, როგორი... უვიცები არიან ისინი.

ეს ბუნებრივიცაა, ფირმებსა და კომპანიებს სულაც არ აინტერესებთ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება, მათ მხოლოდ კარგი სპეციალისტები სჭირდებათ საქმისათვის, ბიზნესისათვის.

მაგრამ ისინი თანხას და ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რომ მათი სპეციალისტები ყველაზე მაღალ დონეზე იდგნენ მსოფლიოში.

1957 წელს მსოფლიოში პირველი თანამგზავრის გაშვებამ, განსაკუთრებით კი 1961 წელს იური გაგარინის კოსმოსურმა ოდისეამ მართლაც გამოიწვია შეერთებულ შტატებში შოკი და დაბნეულობა. როგორ მოხდა, რომ ქვეყანა, რომელსაც იმ დროს პრაქტიკულად ორჯერ ნაკლები სამხეწველო პოტენციალი გააჩნდა, კოსმოსის ათვისების საქმეში წინ გაიჭრა? შეიქმნა პრეზიდენტის საგანგებო კომისია, პასუხი კი ერთმნიშვნელოვანი იყო: საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ამერიკას მოსახლეობის განათლების დონით.

დასავლეთში დაიწყო განათლების ნამდვილი ბუმი. დაიწყო ახალი ფორმების ჩამოყალიბება. ისეთისა, მაგალითად, როგორიცაა მსოფლიოში ცნობილი ლონდონის ღია უნივერსიტეტი. მკვეთრად გაიზარდა განათლების ხარჯები, თვალსა და ხელშუა უმჯობესდებოდა მისი მატერიალური ბაზაც.

აი, რას წერს „ლიტერატურნაია გაზეტა":

„მსხვილმა საზღვარგარეთულმა ფირმებმა შექმნეს კადრების მოსამზადებელი და გადასამზადებელი საკუთარი ხანგძლივი. არსებობს სპეციალური სასწავლო დაწესებულებები, მასწავლებელთა შტატიანი კოლექტივი. წარმოების თანამედროვე დარგებში ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მუშების 75-85 პროცენტი ყოველწლიურად იმაღლებს კვალიფიკაციას. ამ მიზნებისათვის ფირმები საშუალოდ თავიანთი გასავლის 15 პროცენტს ხარჯავენ. მოზრდილთა განათლების დარგში ჰყავთა კერძო ბიზნესი, რომელიც წარმოება-დაწესებულებათა შეკვეთებს ასრულებს. კერძო ფირმები გეგმავენ და წარმართავენ სასწავლო პროცესს. ამჟამად ეს ბიზნესი შედის ყველაზე შემოსავლიანთა რიცხვში. მრავალი კოლეჯი და უნივერსიტეტი ქმნის მოზრდილთა ფაკულტეტებსა და განყოფილებებს, ზოგიერთი მათგანი მთლიანადაც კი გადავიდა დამატებითი განათლების ფორმებზე. მოზრდილთა განათლებაში ასევე აქტიურად არიან ჩაბმული მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც სხვადასხვა ასოციაციებსა და კავშირებშია გაერთიანებულნი. სწავლების ვადები აქ სამი დღიდან ორ-სამ წლამდეა. სწავლების ფორმები სხვადასხვანაირია: დასწრებული, სალამოსა და დაუსწრებელი" („ლ. გ." 2. XII. 87. ა. ვლადისლავლევი).

დასკვნა სულ იოლი გასაკეთებელია, მარტო ჩვენს რესპუბლიკაში კი არა, მთელს საბჭოთაში გვმართებს რადიკალური ღონისძიებების გატარება.

●

ჩემი ნარკვევი მინდა დავამთავრო იმით, რითაც დავიწყე: კიდევ ცამეტი წელი და დადგება ოცდამეერთე საუკუნე.

რამდენი პრობლემა გვქონია გადასაწყვეტი, ღირსეულად რომ შევიდეთ მომდევნო საუკუნეში. რამდენი ჩამორჩენა უნდა დავძლიოთ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, სწავლა-განათლებაში, კულტურის სფეროში, რამდენი წვრილმანი საქმე უნდა გამოვასწოროთ, რომ გარდავქმნათ ადამიანები, გარდავქმნათ საზოგადოება.

რამდენი ურთულესი გლობალური პრობლემა გვაქვს გასაანალიზებელი და გადასაჭრელი, რამდენი ჰუმანიზმზე, ინტერნაციონალიზმზე, კაცობრიობის ნათელ მომავალზე დაურდნობილი დიპლომატიური ცდა, დიდი თავდაჭერა და ტაქტი, მოვლენების ფილოსოფიური გაანალიზება გვნდა, რომ გამოვნახოთ საერთო ენა ჭრელ სამყაროსთან, სადაც ბობოქრობენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებანი და იდეები, განსხვავებული სოციალური მოდელები, განსხვავებული რელიგიური ფაქტორები, განსხვავებული განათლების, ცივილიზაციის და კულტურის დონეები, რომ სწორად წარვმართოთ საზოგადოების პროგრესი, ვიხსნათ ჩვენი პლანეტა კატასტროფისაგან.

დღეს ისე, როგორც არასდროს, ქვეყნები და კონტინენტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. უბრალო კრიზისიც კი რომელიმე რეგიონში მკაცრად აისახება ხოლმე მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში, წარმოების სფეროში. ამის მაგალითად თუნდაც სპარსეთის ყურის კრიზისიც კმარა.

კატასტროფის დღევანდელმა მასშტაბებმა არ იცის საზღვრები და მესაზღვრეები. დღეს ერთ ქვეყანაში დაშვებული შეცდომა მთელ პლანეტას, მთელ კონტინენტს თუ არა, რამდენიმე სახელმწიფოს მაინც მოუტანს დიდ ვნებას. მით უმეტეს, გამორიცხულია სერიოზული კონფლიქტები ქვეყნებს შორის.

თვით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება აღარ შეიძლება გაგრძელდეს ისე სტიქიურად, გარემო ფაქტორების გაუანალიზებლად, აქამდე რომ ხდებოდა.

ცამეტ წელიწადში არა მარტო საუკუნე დასრულდება, არამედ დასრულდება სამრეწველო რევოლუციის მთელი ეტაპი ან, აკადემიკოს ვ. ლეგასოვის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ჩვენ ვესწრებით სამრეწველო რევოლუციის დასრულების წინამავალ ეტაპს, რომელიც რამდენიმე საუკუნეა გრძელდება: ამ ეტაპის ისტორიული მისია, ორთქლის მანქანის გამოგონებით რომ დაიწყო, ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში იყო ტექნიკის დიდებული ნიმუშების დამუშავება. XIX საუკუნის ბოლო და ჩვენი, XX საუკუნე განსაკუთრებით გახლდათ გაჯერებული რეკორდებისათვის ბრძოლის მანიით: უფრო შორს, უფრო მაღლა, უფრო სწრაფად, უფრო მკვიდრად. და ადამიანებიც წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ. ასე იყო თუ ისე, სამრეწველო რევოლუციამ გაამდიდრა კაცობრიობა ისეთი საოცარი მიღწევებით, რომ სული შეეგიგუზდება აღტაცებისაგან და გიჩნდება ბუნებრივი სურვილი, დაეუფლო ყველაფერ იმას, რაც კი შემოქმედთა ფანტაზიასა და ოსტატობას შეუქმნია.

ამ სურვილის შესრულების ცდამ კი, გაეძღოო ბაზარი ძირითადი ტექნოლოგიური ხერხებით მასობრივად დამზადებული საქონლით, შვა ჩვენი საზოგადოების შემარყეველი კრიზისების სერია.

თავდან ეს კრიზისები დიფერენცირდებოდა: სასურსათო — ცილების ნაკლებობა მზარდი მოსახლეობისათვის, ენერგეტიკული — ო�დ მოსაპოვებელი საწვავის ნაკლებობა, ეკოლოგიური, რომელიც აიხსნებოდა საწმენდ ნაგებობებზე გაწეული გაუმართლებელი ეკონომიით.

მაგრამ გავიდა წლები, მსოფლიო მეცნიერთა თანამშრომლობის წლები, და სულ უფრო და უფრო ნათლად ირკვეოდა, რომ დედამიწას შეუძლია გამოკვებოს 10-12 მილიარდი კაციც, ირკვეოდა ისიც, რომ არ არსებობს ენერგიის წყაროების პრინციპული დეფიციტი. ნათელი გახდა ისიც, რომ უამრავი საწმენდი ნაგებობაც ვერ იხსნის დედამიწას ეკოლოგიური ძვრებისაგან, რომელსაც იწვევს ავარიული სიტუაციები და ისინი დამოკლეს მახვილივით ჰკიდია განვითარებადი მრეწველობის თავზე.

ასწლეულებით ჩამოყალიბებული მეთოდი გვკარნახობდა მძლავრი მონოსაწარმოების შექმნას: მადნეულის მომპოვებელი, მეტალურგიული, ქიმიური საწარმოების შექმნას. აქედან მოდის შემოქმედებითი ძალისხმევისა და მექანიზმების გამიზნულობა საჭირო კომპონენტის მოპოვებისაკენ, სხვა ყველაფერი ნარჩენებია, რომლებიც უნდა შეინახო, გაანადგურო, გადაყარო, დამალო.

ჩატარებულ ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც დღეს შეშფოთებას იწვევენ, წარმოებასთან ისტორიულად ჩამოყალიბებული, ტრადიციული დამოკიდებულება ქმნის. ეს განგაში ტექნოლოგიური კრიზისის დაწყების მომასწავებელია და იმან, რაც დღეს მსოფლიო ლაბორატორიებში, წარმომადგენლობით ფორუმებსა და პოლიტიკის სფეროში ხდება, უნდა მიგვიყვანოს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ახალ ეტაპამდე, რომელსაც უფრო ზზრიად ტექნოლოგიურს უწოდებენ. ამ ეტაპზე წინა პლანზე იწევს არა ახალი ტექნიკის შექმნის ან ძველი ტექნიკის ტირაჟირების ამოცანები, არა კითხვები — რა და რამდენი, არამედ კითხვები: როგორ, რისთვის, რა მატერიალური და სოციალური რისკის ფასად.

ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ შემოიღო და მსოფლიოში პოპულარული გახადა ისეთი ცნებები, როგორიცაა „გარდაქმნა", „ახალი აზროვნება", „საჭაროობა" არამარტო ჩვენს ეკონომიკაში უკანასკნელ ათწლეულებში არსებული ნეგატიური მოვლენების გამო, არამედ იმიტომაც, რომ სწორედ კომუნისტურმა მსოფლმხედველობამ, დიალექტიკურმა მატერიალიზმმა და მისმა ფილოსოფიურმა საფუძვლებმა მოგვცა შესაძლებლობა, რომ სხვებზე უფრო ადრე და უფრო მწვავედ გაგვეცნობიერებინა კაცობრიობის ინერციით მოძრაობის კრიტიკულობა" („პრავდა", 5.X.87).

დიახ, თვით ისტორიამ დააკისრა მისია საბჭოთა კავშირს, იყოს საყოველთაო ორიენტირის ორგანიზატორი. ყველანი მოწმენი ვართ უკანასკნელ პერიოდში მთელი მსოფლიოს მასშტაბით როგორ იზრდება ჩვენი ქვეყნის, მისი სამშვიდობო პოლიტიკის ავტორიტეტი.

ამის დადასტურებაა ის ისტორიული დღე, როდესაც მ. გორბაჩოვმა და რ. რეიგანმა ვაშინგტონში ხელი მოაწერეს საშუალო და ნაკლები სიშორის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებას. გვჯერა, ჩვენი პარტია და მთავრობა კვლავაც ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ კაცობრიობამ მშვიდობიანად შეაბიჯოს ოცდამეერთე საუკუნეში. მშვიდობიანობა კი, როგორც ზემოთ ვთქვით, მარტო ომს როდი გულისხმობს, პლანეტის ბედი დღეს დიდადაა დამოკიდებული ადამიანის გონივრულ მოქმედებაზე, გააზრებულ, კარგად აწონილ-დაწონილ საქმიანობაზე.

ოცდამეერთე საუკუნის უმთავრეს ნიშნად პირადად მე მიმაჩნია ის, რომ კაცობრიობას არ ექნება შეცდომის უფლება!

ნოდარ ნათაძე

აქტუალურიც და მხატვრულიც

აქეთ მწერალი კალამს აწრიპინებს. იქით მკოლი კარადას ბრავს. „გავზედავ, გაჩუმდება, — მოგვითხრობს ავტორი, — „...ვისვენებ — ისვენებს; ვერ მხედავს — ვერ ვხედავ, ვარსებობ — არსებობს, ვწერ — ბრავს, კალამს, ვაწრიპინებ — ბუუს...“ ლმობიერი, თბილი გულკეთილი ირონიის სამყაროში ვართ, რომელსაც უკვე კარგად ვიცნობთ მრავალი მოთხრობითა და დაუმთავრებელი რომანით „ჩემი მეგობარი ნოდარი“ — ირონიისა ბკელის სიჭმიანობისადმი და მწერლის შრომისადმი. ბილლოგიის კანონებისა და მათი შემსწავლელი მეცნიერებისადმი, ცივილიზაციაში თბილად მოკალათებული მოქალაქისადმი და ბუნების მარადი სიბრძნისადმი (თუ მხოლოდ „სიბრძნისადმი“), რომელსაც, როცა მოეპრიანება, მაშინ შეუძლია ყველა და ყველაფერი ბუმბულივით აღგავოს. შემდეგ ამ ირონიის არე ფართოვდება: იქვე, სიცხით გათანგული და დაცარიელებული თბილისიდან ცოტას თუ გავალთ, ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების მთელ სურათს დავინახავთ შემცირებული სახით, მისი ანოუწურაობით, დაუღალაობითა და აზრიანი უაზრობითურთ: „ახი ათასი მწერი ჭრიჭინებს იქ ერთ ალაგას, ერთდროულად; ...უმბობ?, ეძებენ, წყვეტილ-წყვეტილ უშვებენ პირობით სიგნალებს. ომობენ, გლოვობენ, ეფერებიან, ნაყოფიერდებიან გულის ტახიკარდიულ დაგადუგით, ყრიან კვერცხებს კვნესითა და ცრემლების ღვრით. სპერმით გატიკნილ ნაშალის პარკს აკვნტს მდედრი მამრს. აკვნტს აუჩქარებლად, საფუძვლიანად, ყოყმანისა და გაწსჭის გარეშე. დანარჩენები ჭრიჭინებენ გამმულად, გაუთავებლად. ულვთოდ, ულმერთოდ, დაუნდობლად. ფრთებქვეშ დამალულ ქკლის ხემს უსვამენ ფრთას და გულმოდგინედ ხერხავენ საკუთარ ძალებს“.

რით არის ხელოვნებაში ირონია სასიამოვნო ანუ, რაც ამ შემთხვევაში იგივეა, ესთეტიკური ტკბობის მომნიჭებელი? ალბათ, იმითვე (ნაწილობრივ მაინც), რითაც კომიზმი საერთოდ, მაუურებელი (ან მკითხველი, მსმენელი...) თავისი გონების თვალით მშვიდად და აუმღვრეველად ჭვრეტს ისეთ მოულოდნელ სიტუაციას, რომლის შემადგენელი ყველა ელემენტი თავისთავად ნვრილმანია და არადღირებული — მაგალითად, ცილინდროსანი კაცის ამაყ მიხვრა-მოხვრას და მისსავე გაშმლართვას შუაქუჩაში (მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კაცი მაუურებელს მამად არ ეკუთვნის და თუ მან ამ მარცხით კისერი არ მოიტეხა). არის უფრო მაღალი რეგისტრის კომიზმიც, როცა კომედიოგრაფი რაღაცა იდუმალი და მხოლოდ მისთვის ცნობილი ხერხებით იმას აღწევს, რომ მსუბუქად, სიცილით შეგვახედოს ისეთი მოვლენებისათვის, რომლებიც თავისთავად აღებული, სასაცილო არაა, და მით თითქოს ცხოვრების ერთი მძიმე პრობლემისგან მაინც გვათავისუფლებს (გავიხსენოთ ჩარლი ჩაპლინის ფილმი „მკვლელობათა კომედია“). არის, დასასრულ, ნაღვლიანი ირონიაც, როდესაც ღრმა სულისა და ულმობელი ანალიტიკური გონების მქონე ავტორი მწუხარებით დასცინის იმ უწმინდეს გრძნობებსა და იმ უშინაგანეს რწმენასა და სასოებასაც კი, რომელიც თვით მას ან მის მკითხველს მოეპოვება. ასეთ შემთხვევაში ესთეტიკურ ტკბობას, ცხადია, მხოლოდ ჩვენი სულის უფრო ღრმა ძმეების ის ამოქმედება და გამოცოცხლება თუ მოგვანიჭებს, რასაც ხელოვნების გზით განხორციელებული ხატოვანი შემეცნება გულისხმობს და რაც, ტრადიციულად, ნაგულისხმევია ბოლმე კათარზისის (ხელოვნებისაგან მონიჭებული „განწმენდის“) ცნებაში.

მაგრამ არის მაინც სინამდვილის რაღაცა სფერო (ან სფეროები), სადაც, ევფემიზურად რომ ვთქვათ, ირონიული ტონალობა მკითხველის თვალში დამაჯერებელი ვეღარ იქნება. ირონიით ვერ დაწერთ ვერც ბუზენვალდზე, ვერც შაჰ-აბაზის მიერ 1614 წელს კახეთის

ოთხრებაზე. ვერც უპასუხიხმგებლო ექიმეის მიერ ურმა პაციენტის დაღუპვაზე (აცალეკამიაოოა თუ კომედიერ მოტივად გამოდგება, ეს მხოლოდ იმის წყალობითაა, რომ იგი დღეს თითქოს და. ძლეულია და ამგვარად, „ხიფათს" ვეღარ გვიქადის).

საგანი,* რომელზედაც „მეოთხე სიმფონიის" ავტორი წერს, რაც ოდესმე კარიკატურულნი და არარეალურნი იყვნენ ამ მოთხრობის პროტაგონისტები, ირონიის საგნად ძნელად თუ გამოდგება. ეს საგანი „მარცხენა" ფულის ზოვნის ის ასპარეზი გახლავთ, სადაც მანეთის მიმთვისებელი თალლითი საზოგადოებას მანეთით კი არ აზარალებს, როგორც უშუალოდ მოყვასის ჯიბეში ან ხაზინაში ხელის ჩამყოფი, ან ათი შაურით, როგორც შედარებით უფრო „მწარმოებლური" კომბინაციის ჩამტარებელი, არამედ მის შიგ კაკალ გულში ჭრის — უნიფოსა და უსწავლელს გზას უხსნის იმ პროფესიებისაკენ და იმ საზოგადოებრივი ფუნქციებისაკენ, რომლებიც თვით ბუნების ლოგიკას მხოლოდ ნიჭიერისა და მომზადებულისთვის დაუწესებია, და პირუკუ — ნიჭიერსა და მზრომელს ცხოვრებაში უადგილოდ ტოვებს. ამით ეს თალლითი ახალგაზრდობის თვალში ნიჭის, ცოდნის, მუყაითობის, სამართლიანობის, ღირსების შეუქცევად დისკრედიტაციას ახდენს. ერთი სიტყვით, ალტონი უსამართლო მისაღები გამოცდების შესახებ წერს. ამასთან, იგი მკითხველს ინდობს იმდენად, რომ თითქმის არ აჩვენებს (ახლოდან მაინც) ამ ფარსის ყველაზე შემზარავ მომენტს — არა იმ ულირს აბიტურიენტს, რომელიც დაუმსახურებლად მიიღეს უმაღლეს სასწავლებელში, არამედ იმ ღირსეულს, რომელსაც უპატრონობის გამო ნიწილი ჭერეს. ამ სფეროს შეფასება ირონიის კი არა, ბიბლიური წიასწარმეტყველისებრი გზნებისა და საბრალდებო დასკვნის შესაფერი თემა გახლავთ. მასზე ირონიის ტონალობაში წერა ან მხატვრული ტექტის ღალატს, ან ლავონტენის დაუძლეველ უარნრულ გავლენას ნიშნავს.

ავტორს, რომელმაც ეს მოთხრობა ღაწერა, ტექტის ნაკლებობას ვერ მივაწერთ (პირიქით, უცდომელი და დახვეწილი ტექტი მისი დღემდე გამოქვეყნებული თხზულებების ერთ-ერთი უპირველესი და თვალში საცემი ღირსება გახლავთ). მაშ ისღა დაგვრჩენია, რომ მის ამ პერსონაჟთა გალერეის სათითაოდ მოვყვეთ და მათი კომედიური ნიღბების უკან უნიღბო და მით უფრო საზიზღარი მოდელის ამოცნობა ვცადოთ.

მაღლივ შენობას, სადაც მისაღები გამოცდები მიმდინარეობს და, ამგვარად, ახალგაზრდა თავის პირველ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას იხდის, „პინგვინებისა" (აბიტურიენტების) და მათი გულშემატკივრების შეჰხვევი. ამხოლუტურად გულგრილი დასხეული უცხოელები, დელეგაციად მობრძანებულები, შეერილან ჰკეურობის ერთ-ერთი მეხვეურის კაბინეტში, რომელიც „მოკლესახელოიიან ფირმის პერანგსა და ამერიკულ შავვარსკვლავიან თეთრ ბოტასებში" გამოწყობილა და მხოლოდ ის აქვს ამ წუთში დარდად, რომ სტუმარი თავისი ულმერთოდ დამტვრეული ინგლისურით შეიყოლიოს და ცოტა არ იყოს მოუვლელად დატოვებულ საკირო ოთახში შესვლის გეგმა დაავიწყოს. ეს პერსონაჟი სინათლის წელთა ტოლი მანძილითაა დაშორებული იმას, რასაც წმინდა სიტყვა „მასწავლებელი" — ადამიანთა გამზრდელ-ჩამომყალიბებელი და გონებრივი ხელმძღვანელი — ჰქვია. დაშორებულია არა მარტო თავისი გონებრივი დონით, რომელსაც ქვემოთ კიდევ შევებებით (თუმცა შავისა და თეთრის ელემენტარული გარჩევის უნარი არ გაჰქრობია), არამედ, პირველ ყოვლისა, მორალით, რომელიც უნდა ავალდებულებდეს, რომ თავის შეგირდს ან პოტენციურ შეგირდს შეხედოს როგორც წმინდათაწმინდა მიზანს (და არა, როგორც მოწინააღმდეგეს, პარტნიორს ან შემოსავლის საშუალებას), მაგრამ არ ავალდებულებს. ამ გმირს ეოთხრობაში თავის მსგავსთა მთელი პლეადა ეოჰყვება, რომლებიც სხვადასხვანი არიან (ავტორს ყოველთვის აქვს მის უნარი, რომ პერსონაჟებს ინდივიდუალური იერი შეუნარჩუნოს), მაგრამ იმით, რაც მათში მთავარია — თავისი, რბილად რომ ვთქვათ, მოუმზეფიებლობით იმ მაღალი ფუნქციისათვის, რაც ბედმა დააკისრათ — შემზარავად ერთგვარნი და ერთფეროვანნი.

„მშვენიერი დასწრებაა!" — ცინიკურად აღნიშნავს თავის გულში აბიტურიენტთა ერთ-ერთი მსაჯული (გამომცდელი), როდესაც გამოცდების ციებ-ცხელებით სავსე სასწავლებლის წინ თავმოყრილ აბიტურიენტებს და ინფარქტის მომლოდინე მათ გულშემატკივრებს ხედავს — უნიფო მსაჯული, რომელსაც ეს მაღალი ფუნქცია ღმერთმა იცის, ვინ დაკისრა, ოღონდ ბუნებამ არა. სხვა ლექტორი, რომელიც შინ აღარ ათევს ღამეს მთხოვნელთა შშინთ, მაგრამ „ცოლის საშუალებით უკავშირდება ახლობლებს და ხვდება იმათ, ვისთვისაც თავის არიდება არ შეიძლება ან არ თვლის საჭიროდ" „მოკლე ქოჩორს იტკეპნის ქვაცავით თავზე" და ლაპარაკობს ბრტყელ-ბრტყელს, რომ „მართლა ისე კი არაა საქმე", როგორც ბევრს ჰგონია, რომ მისაღებ გამოცდებზე წესიერებაც

* რ. ჭეიშვილი, „მეოთხე სიმფონია", „ცისკარი" №№ 9-10, 1985 წ.

ნოდარ ნათაძე
აქტუალურიც და მხატვრულიც

არსებობს, რომ ვინმე ხერკელაშვილი შარშან თუ შარშანწინ სრულებით უპატრონოდ ჩამოსულა სოფლიდან და თავისით მოწყობილა, რომ ძნელია პროტექტორთა შრომა, რომელიც უამრავ ტექნიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული -(„პაროლებიც ემთხვევა უკვე ერთმანეთს. ხუთი-ექვსი პაროლი ყველასა აქვს გაცემული. მერე იწყებენ ძებნას, სირბილს: შენთან ხომ არ არის, ჩემი ჰქონა, ეს ვისია, შენ-ი ქონა, იმის ქონა, ეს ვისია, ის ვისია, დაფრიალებენ ნაწერებს, თანაც ათასი თვალი მოგჩერებია. უნდობლობა რანაირი!“) და რომ თვითონ შეცდა, ვიღაცას ან რაღაცას რომ ხაორი აღარ გაუტეხა და კიდევ ერთხელ ეზისაებ გამოცდებში მონაწილეობას დასთანხმდა (!). მის კოლეგა „ვანინჩას“ (ბუხაიე) კიდეკ უშრო ნაკლები იუმორის გრძნობა და მეტი თავხედობა შესწევს და ამიტომ ნოტაციას უკეთხავს პროტექციის საძებრად „შინაურულად“ მოსულს თემაზე, მართლია თუ არა ყველა ის უკულმართობა, რასაც გამომცდელებს ზოგიერთნი სწამებენ. „ლაპარაკობდა და თან ქარჩავსაკენ (ზემოხსენებული ქვესთავა გამომცდელისკენ) იხედებოდა დროდადრო, სანდოა ეს კაცი თუ არაო“. ამ „ვანინჩას“, იმავე „ი-ნ ივანეს“ პორტრეტიც არც თუ მუნჯი მოწმეა მისი სულიერი ღირსებებისა: „სქელი ულაბები აჭდა სიგრძივ დაღარული სახეზე ბატონ ივანეს. მკაცრი გამომეტყველების პატრონს თვალს ვერ გაუსწორებდი, სანამ არ გაიცინებდა, თუმცა როცა იცინოდა, თვალის მოშორება არ მომინდებაო, ვერც მაშინ იტყოდი. ბეჭედ პირადად მიცვლელებულის გამპატიოსნებელს მიამგვანა. სწორედ ამნაირი ადამიანები პანეი და პარსავენ რაიონში მკვდრებსო, ფიქრობდა და დუმდა“). რაკი დარწმუნდა, რომ მასთან შინაურულად მოსული პროტექციის მაძიებელი სანდოა, „ბ-ნი ვანო“ აღარ დასდეს არც პატიოსნებას, არც ინტელიგენტობის ნიღაბს. „ამიოიღე, რაც გაქვსო“, — ეუბნება პირდაპირ თავის კოლეგას, რომელიც „პაროლს“ აჩვენებს და „გაუგებარი ქართულით“ რაღაცას ეუბნება, მხოლოდ მათთვის გასაგებს.

სხვა, „სუფთა და წმინდა ზღვისფერთვალებიანი“ ლექტორი (ისტორიაში), პროფესიონალი მეგამოცდე, დაუფარავი ცინიზმით უხსნის ნარდის თამაშისას მცირე საზოგადოებას თავისი ბინძური ხელობის კონკრეტულ მექანიზმებს: „თანაც პირდაპირ გვაფრთხილებენ: ამას დაუკელი, ამას მოუშატეო... მხოლოდ ვუმატებთ, დაკლება რაღად უნდათ... ერთს, რაც ეკუთვნის, იმას დავუწერთ და გავარდება, მეორეს მოვუმატებთ და დარჩება და ვართ მერე ვაიუშველებელში. არის ჩვენი, რატომ დაგვაკელიო. რატომ მოგვიმატეო, კაცი არ გეკითხებაო. ერთი ბიჭი დამიჭდა და, რაც ძალზე იშვიათია ჩემს პრაქტიკაში, სამიე შეკითხვაზე მიპასუხა. ჩავხედე ჩასარიცხ ხიას, არაა შიგ. არადა ბაფ-რთხილებული ვარ, ამის, იმისა და იმის ... და მაღალი ნიშანი არ დაუწერია არავისო. რას ვშვრები? მივეცი დამატებითი შეკითხვები, მიპასუხა, კიდევ მივეცი, მიპასუხა. მე ვიფიქრე, შენ გიტირებ ყოფას ახლა-თქვა. ჩავიჩედე კონსპექტში. ჩვენ ხომ გვაქვს ჩვენთვის ჩამოწერილი ჩასაბერელი შეკითხვები, უნივერსიტეტში ვიიენებდით ხოლმე, ჩავიხედე და ... კითხვარით ვკითხე. ველარ მიპასუხა. ჩავიხედე კიდევ. ამოვიხედე და შევეკითხე. გაჩერდა, მიკიბ-მოკიბა მერე. ა, გენაცვალე, არ იცი, ბა-განი, მოუმზადებელი ხარ-მეთქი მოსული“

საერთო დანაშაული, საერთო ინტერესი (მატერიალური და პრესტიჟული) და საერთო სოციალური მდგომარეობა უფლებამოსილი ფსევდონტელიგენტებისა იმასაც კი იწვევს, რომ კათედრას მეტყველების ერთი კილო და ერთი ინტონაცია გამომუშავებია. და ეს კარიკატურული ადამიანები საზოგადოების კრონ-ერთი უმაღლესი და ყველაზე საპასუხისმგებლო ფუნქციის მატარებელნი არიან!

რა თქმა უნდა, სასაცილოა, ერთის მხრივ, ისიც, ვისაც ცხოვრების სხვა გზა არ წარმოუდგენია გარდა იმ ფარატინა ქაღალდის (დიპლომის) და ფიქტიური ცოდნის მიღებისა. რასაც ამ ?გთამამებენი ვიგინდარებისაგან გამოელის (რადგან ნამდვილ ცოდნას ეს ადამიანები, ცხადია, ვერავის მისცემენ). მოთხრობის ფინალში მოცემულია დაუფარავი პაროდია კლდიაშვილისეულ „შემოდგომის ანზაურთა“ კომიკური ტრაგედიისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გათხოვების მაძიებელ ქალიშვილთა და მათ პატრონთა ადგილს უმაღლესში ჩარიცხვის მაძიებელი ქალიშვილები და მათი პატრონები იკერენ, უვარგისი სასიძის ადგილს, რომელიც თავისი ამ უვარგისობისდა მიუხედავად მაინც სიტუაციის ბატონია — ასევითვე უვარგისი და უნიჭო გამომცდელი, სამოთხის გასაღების ყოველისშემძლე მპყრობელი, ხოლო ქალისთვის აუცილებელი ნაბიჯის, გათხოვების ადგილს — ლამის კატრიზად ქცეული „მოწყობა“. რომელიც ფსევდოპრესტიჟიოს გარდა არაფერს იძლევა. ერთადერთი მონაწილე ამ ტრაგიკომედიისა, რომელიც არ შეცვლილა, არის გამორჩენა, („აქვს რამე“? კითხულობს ლამაზი სარძლოთი ლამის მოხიბლული სასიძოც და ლამაზი „პინგვინი“ გოგოს მიერ მოხიბლული გამომცდელიც).

ამ საუცხოო რეალისტური სცენების მიმართ მკითხველს მხოლოდ ერთი პასუხი და ერთი შეფასება აქვს — შეგრჩეთ მარჯვენა, ავტორო, რომ ჩვენი დროის ეს ერთ-ერთი უბინძურესი და უმავნებლესი წყალული საბჭოაროზე გამოტანეთ, მისი მონაწილე ბაქტერიების ნაშიერი თუმცა ჰუმორით მოხაზული, სახე დაგვანახეთ და მათს მუშტრებსაც ცრემლნარევი სიცილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუზღვი ის უპატიობა, რაც ამგვარი საკვნის პაძიებელს ბუნებით ეკუთვნის. რაც შეეხება ესთეტიკურ კრიტიკას, რომელიც ლიტერატურის განხილვის ერთ-ერთ მიუცილებელ კომპონენტად რჩება ყოველთვის, რაც უნდა მწვავე თემას ეხებოდეს საკმე, მისი თვალსაზრისით ავტორის შრომა მით უფრო დასაფასებელია, რომ, ე. წ. „ნეგატიური მოვლენებისადმი" მიძღვნილი ლიტერატურის დიდი ნაწილისაგან განსხვავებით, მთელი ეს რეალისტური პანორამა არა მარტო მ ხ ა ტ ვ რ ულ ო ბ ი ს ნიშნის ქვეშ დგას (რაც ამგვარი თემისთვის იშვიათია), არამედ თავისებური ესთეტიკური განცდის ჩარჩოშიცაა მოქცეული, რომელიც ხელოვნების ნაწარმოების ერთადერთი მამოძრავებელი ზამბარაა, არსებითად, და რომელიც თავის ამ ფუნქციას სხვას ვერაფერს გადაეცხრეს. იმ სასაცილოდ საზიზღარი და საზიზღრად სასაცილო ამბების მიღმა, რომლებიც ჩვენს თვალწინ ნშლება, მუდმივად ვვრძნობთ მთხრობელის ინტენსიურსა და დაძაბულ შინაგან ცხოვრებას, სულის ფეთქვას და წვას, ანუ იმას რაც ხელოვნების ნაწარმოებს ხელოვნებად ხდის და მას მხოლოდ აღწერისაგან, ანალიზისაგან, თუ გნებავთ — ბრალდებისაგან ასხვავებს. უფრო მეტიც: ამგვარ შინაგან ცხოვრებას პერსონაჟთა ერთ ნაწილშიც ვვრძნობთ (რა თქმა უნდა, არა „მეგამოცდეებში", არამედ მხოლოდ მათ სასაცილო კლიენტურაში და სხვებში) და მით, ზოგადად რომ ვთქვათ, იმ რბილად და უსასრულო სიყვარულით, თუმცა გამუდმებული შეფარული ღიმილით დახატულ ატმოსფეროში ვხვდებით, რომელსაც ამავე ავტორის სხვა ნაწარმოებებიდან უკვე კარგად ვიცნობთ, ზოგჯერ ავტორი ამ ტონალობიდან გადის — მაშინ, როცა ეროშარტად ტრაგიკულსა და ყოველგვარი კონკრეტულობის მიღმა მღებარეს ეხება (ეორიას სიკვდილის სცენა). მაგრამ ამაზე შემდეგ.

ახალგაზრდა ვაი-პროფესორებსა და მათ ნაკლებ წარმატებულ კოლეგებს თუ არ ჩავთვლით, მოთხრობაში ავტორის სხვა თჯზულებიდან ნაცნობი პროვინციული .წრე კვაკრავს — იგივე, რაც „ჩემს მეგობარ ნოდარსა" და მოთხრობებში, თუმცა, ამჯერად, ამ წრის მოკმედებისა და ცხოვრების არე ნაწილობრივ თბილისსაც მოიცავს. ამ ადამიანებს ასაკი მოპმატებია ეა, ამგვარად, მათი ყოფა ღი ვინაობა სხვა კუთხიდანაც ჩანს. ეს ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც მხოლოდ ცხოვრობენ (და ცხოვრობენ იმგვარად, როგორც გარეგოებები უკარნახებთ), მაგრამ ცხოვრების ეს წესი არც შეფასებს, არც პასუხისმგებლობის საგნად არ ჭქცევიათ (და ამაში მდგომარეობს სწორედ მათი პროვინციალობა), რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ჭეიშვილის პერსონაჟთა უდიდეს მიმზიდველობასაც მკითხველისთვის სწორედ ეს ქმნის და მისი თხზულებების ძირითად ტონალობასაც სწორედ. ეს განსაზღვრავს (და არა საუცხოო ჰუმორი, რომელიც მკითხველს ერთი შეხედვითვე თვალში ეცემა).

სხვათა შორის, ამ გარემოების გამოა, რომ მოთხრობაში მკითხველის მიერ ბევრად უფრო მწვავედ განიცდება ხალხური ტრადიციის შელახვის და შებღალვის აღწერა, როდესაც მშობლიურ ქალაქში ჩასვენებულ შოფერ ეორიას დაკრძალვის დროს „ოცეკვებენ“ (და მხოლოდ ერთი კაცი ბედავს ფრთხილად თქმას, ამგვარი რამ „ჩვენში წესად არ არსო“), ვიდრე გმირთა ჰორიზონტის მეზღუდულობის, მდარე გემოვნების, ასევე მიერ ქმრის ზეწრის ყნოსვის (გამოძიების მიზნით), უცხო ბინაში ფეხსაცმლის გაძრობისა და სხვა მრავალი ამგვარივე აქსესუარისა, რაც ზოგადია და, ამგვარად, ჩვენს სპეციფიკურ ტრადიციას იმდენად ახლოს არ ეხება. და თუ ეს გმირები არ აზროვნებენ ამ სიტყვის სრული აზრით, ანუ არ უფიქრდებიან იმას, თუ როგორია მათი ცხოვრების წესი და ბედი, რატომაა იგი ამგვარი და არა იმგვარი, რა შეუძლიათ მოიმოქმედონ იმისთვის, რომ იგი უკეთესი იყოს, ან რას წარმოადგენს საქაყარო მათ გარეთ და რა როლი აქვთ, ან აქვთ თუ არა სულაც თვითონ რაიმე როლი ამ უკანასკნელში, მაინც ფაქტია, რომ მათში გონება ცოცხლობს და გრძნობა ღვივის, რომ თავისი სხეულით გრძნობენ, ბუნდოვნად მაინც, იმ პრობლემებსა და სატკივარს, რაც კლასიკური პროვინციელისთვის არ არსებობს, ჰარგრამ განვითარებული, წელგამართული და თვალღია კაცისთვის არსებობს. „რა არის მაინც ეს ისტორია. ავიღოთ, თუნდაც, მონათმფლობელობა“, — ჩვეული გამოთქმა და საუბრის თემაა, სატირული შტრიხი!) ეორიასი, ქუთაისელი შოფრისა, რომელიც სკოლაში არ სწავლობდა და ისტორიის ინტერესი მერე, შემთხვევითია აღმოაჩინა, როცა თავისი ერთადერთი ქალიშვილის მეცადინეობას ყურს უგდებდა არსებითად გაუთათლებელი და თავისი პრიმიტიული მეგობრებისაგან გამოუყოფელი ჭინდი (ეორისტი!) თავის მეგობართან ერთად საქართველოს თაობათა მონაცვლეობაზე და მისი ბოლო დროის ისტორიულ ბედზე მსჯელობს; ხოლო ბინძურ ყოველდღიურობაში ყურებიანად ჩაფლული ღვაბერიე ცინიკურ, მაგრამ ლამის ბრძნულ ლექციას უკითხავს თავის ძეს იმის შესახებ, თუ როგორია „მარცხენა“ ფულის არმქონე კაცის ცხოვრება, და ამ უკანასკნელის მაგალითად იქვე მჯდომი თავისი ვეგობარი და ბიძაშვილი — გოვენ (!) წიქარიშვილი მოჰყავს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ამ წრეს ავტორი ამ მოთხრობაში პირველად არ შეჰხედავს. მას კარგად იცნობს მკითხველი ადრინდელ თხზულებებიდან, უმთავრესად, რომანიდან, და ამ ადამიანისადმი სიყვარული უფრო ხელშესახებად იგრძნობოდა, რადგან იქ მოქმედი პირები სიყმაწვილის უღრუბლო ასაკში იყვნენ: გონების თვალით მხოლოდ მომავალში იხედებოდნენ, მათი აწმყო ემოცია კი ხალახი იყო ძლიერი, გაუბზარავი, ალალი და უხვი. ახლა იგივე ადამიანები, როგორც ვთქვით, შუაღლეში არიან, ცხოვრების ჭაპანს საკუთარი მხრებით ეწევიან და სხვანი (ცოლ-შვილნი) მზრუნველობა აწევთ. მოქმედების არე გაუფართოვდათ და, შესაბამისად, — გარეშე ადამიანებთან კონკურენციის, მეტოქეობის, არსებობისთვის ბრძოლის არეც. ისაზე ბუნებრივი არა არის რა, რომ მათ უამრავი სიბინძურე შეუთვისებიათ და უამრავი სულმდაბლობა ცხოვრების კანონად აღიარეს ლამის. მაგრამ ავტორს, როგორც უკვე ვთქვით, მაინც უყვარს ეს ადამიანები. უყვარს იმიტომ, რომ მათ ყველაფერი არ დაუთმიათ, არც თავისი გრძნობის ძველი სიმდიდრიდან, არც თავისი ალალი რწმენიდან, რომელსაც ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით, მაგრამ მაინც როგორდაც ინაგებენ სინამდვილეს და თავიანთსავე რეალური საქმიანობის რაგვარობას. ისინი არ ჰღალატობენ ერთმანეთს, ან ჰღალატობენ მეგობარსა და მამიდაშვილს. და თუ ზოგი მათგანი აქაიქ თავისიანისგან ორიოდე ბანკნოტის „გადალუნვასაც“ არ მოერიდება (საფლავის ყიდვის ეპიზოდი), იმის შეგნება მაინც აქვს, რომ იქვე პავილიონში შეიპაპიოს და ერთი-ორი ტკბილი სადღეგრძელო უთხრას. მკითხველსაც, ნება-უნებურად, გადმოდება ავტორის ეს სიმპათია და შინაურობის, თვისობის გრძნობა. ამ ნაღვლიან სითბოშია მოთხრობის ძირითადი ტონალობაც და მისი პოეტური ღირსებაც. სწორედ პოეტური და არა მხოლოდ მხატვრული, რადგან მხატვრობა იმის გამოსახვას ნიშნავს მხოლოდ, რაც სხვაგვარად, თუ არ ცოცხალი ფერტალის ენით, არ გამოისახება და არ გადმოიცემა, პოეტურობა კი ამავე დროს ამ გამოსახულისთვის მიმზიდველობის, ემოციური მუხტის, თანაგრძნობისა და სიმპათიის მინიშვნას, ანუ, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ. ყოველივე ამის ესთეტიკური ფაქტად ქცევას ნიშნავს.

როდესაც ავტორი ამ წრეს სცდება, იგი, ანთეოლოგით, ერთსაც კარგავს და მეორესაც. ამ მშვენიერ ფერწერასთან სასტიკ კონტრასტშია დამაჯერებლობას და, წარმოიდგინეთ, თანაგრძნობასაც კი მოყლეშული სახე „ბატელის მპენტავი“ დედაკაცისა მთხრობის ბოლოში, რომელსაც მკითხველი გაოგნებული შეჰყურებს და ვერ გაუგია, ან რამ შექმნა ასეთი უთავმოყვარეო და ღირსების ელემენტარულ გრძნობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლებული არსება, ან რით დაიინტერესა მან ავტორი, ან რამ დაავიწყა ამ უკანასკნელს ჩვეული ჰუმანიზმი და ჰუმორიც კი ისე, რომ ამ კალისადმი ერთი მისხალი თანაგრძნობაც ვერ გაიმეტა, რომელიც მას ესოდენ მკვეთრს სასეს შეარბილებდა და მისთვ გამოწვეულ სულიერ ტვრთს შეგვიმსუბუქებდა.

მოთხრობას „მეოთხე სიმფონია" ჰქვია და ეს სათაური, ალბათ, ბეთჰოვენის მეოთხე „პასტორალური" სიმფონიაზე მიგვანიშნებს. მართლაც, ერთი მხრივ, მოთხრობაში აღწერილი ვითარება „პასტორალურია" თავისი ყოველდღიურობითა და მასშტაბური ვნებათაღელვის არარსებობით, მეორეს მხრივ, მოთხრობის. ამ-ბავი კონსტრასტულია პასტორალთან თავისი უღირსი და უზნეოდ დაძაბულობით, ადამიანის მიერ ადამიანის ჭამით, გაავებული ურთიერთ-ბდღვნითა და ურთიერთგლეჯით, რომელიც, თუ მანძილიდან შეეხედავთ, ისეთივე არარაული და სასაცილოა, როგორც ნაწარმოების თავსა და ფინალში მოხსენიებული მწერების ხაჭმიანობა. თუ, იქნებ, ამ სათაურში „უმწყეესო ფარის" თემაც ყღერს (მაგალითად, ერთი ჭკუის დამრიგებელი რომ ჰყავდეთ, ალბათ, შოფრები მიცვალებულის აცეკვებას აღარ იკადრებდნენ)? ეს ირონია ამართლებს თავისებურად მოთხრობაში ნამდვილად მოაზროვნე, ბოლომდე თვალხილული და აქტიური გმირის არარსებობას, ისევე როგორც, მაგალითად, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი სატირიკოსის — ოლდოს ჰაქსლის „მასხარათა ფერხულის" სათაური ამართლებს იმ გარემოებას, რომ ამ რომანში მან მხოლოდ ხარვეზიანი ადამიანების სახეები დახატა და მათში ვერც ერთი ბოლომდე სრულფასოვანი ვერ გაერია. დიახ, ამართლებს. მაგრამ სამწუხაროდ რჩება მაინც, რომ მოთხრობას ეს გამართლება სჭირდება. სამწუხაროა იმიტომ, რომ მასშტაბიან ნაწარმოებს („მეოთხე სიმფონია" კი სწორედ ასეთი გახლავთ) უხდება თავის პერსონაჟად მოაზროვნე კაცის ყოლა, ანუ ისეთი კაცისა, რომელიც მხოლოდ „გულისთქმით" კი არ სცილდება თავისი ყოველდღიურობის ფარგლებს, არამედ გონებითაც მის იქით იყურება. მოაზროვნე კაცი ბომ არა მარტო ცხოვრობს თვითონ (კაცის ცხოვრების სფერო, მოგებსენებათ, შეზ-*ღუდულია), არამედ თავის ცნობიერებასა* და განცდაში გარდატეხს იმასაც, რაც მისი ცხოვრების უშუალო სინამდვილის გარეთაა — მთელ სამყაროს, მთელ სინამდვილეს, ან მის მნიშვნელოვან ნაწილს მაინც. ამიტომ მისი ყოლა ნაწარმოების პერსონაჟთა შორის მწერლისთვის ორგვარადაა მომგებიანი: ჯერ ერთი, მოაზროვნე კაციც სინამდვილის ნაწილია, ამასთან, ყველაზე რთული და მაღალი ნაწილი, და ისიც უგულვებელყოფა ისეთე აღარიბებს ადამიანთა ცხოვრების პანორამას, როგორც პეიზაჟი ღარიბდება, თუ მას წყლის ერთი მცირე ნიშანი მაინც — ზღვაკაღული, ზღვა, ან შორი თოვლიანი მწვეტკვრ ლის ანარეკლი არ ამშვენებს. მეორეც, ამგვარ გმირში ჩნდება არა მარტო ადამიანის ინდივიდუალური ბედის სირთულე, არამედ ზოგადად ადამიანური პრობლემების სიმწვავე, სიმძაფრე და სიღრმეც.

„მეოთხე სიმფონიას", — უფრო ზუსტად, იმ თემას, რომელსაც იგი ეხება და მისი სოციალური ყღერადობის მასშტაბს — ამგვარი პერსონაჟის ყოლა, ალბათ, სჭირდება. სჭირდება იმიტომ, რომ მკითხველი უსათუოდ უკმაყოფილო რჩება, როცა იმ უაღრესად სერიოზულ ვითარებას, რომელიც აქაა დახატული, მხოლოდ ზემოსენებულ არცთუ ფართოჰორიზონტიან პერსონაჟთა თვალით აღქმულს ხედავს. რა თქმა უნდა, ყოველთვის შესაძლებელია, ეს იმით აიხსნას, რომ ავტორს, წმინდა მხატვრული თვალსაზრისით ან სუბიექტურად, არ იზიდავს მედიტაცია, როგორც პერსონაჟის მოქმედების ფორმა (სინამდვილეში სკამე ასე არ გახლავთ: ერთი პერსონაჟი, ბაიაძე, დიდი მოყვარულია მედიტაციისა და ძალიან საინტერესოდაც ეწევა მას, ოღონდ სხვა თემაზე). მაგრამ თუ ასეა, ნაწარმოებისთვის ხომ ისიც დიდი ბედნიერებაა, როცა რომელიმე პერსონაჟს ძალუძს, ის, რაც მისი ცხოვრების უშუალო ყოველდღიურობას არ ეხება, თავის განცდაში მაინც გარდატეხოს, — რომ გონებითაც და განცდითაც თუ არა, მხოლოდ განცდით მაინც დიდი გარესამყაროს და მასში საკუთარი როლის გამგები, შემფასებელი, მსჯავრმდებელი იყოს! „მეოთხე სიმფონიას" ასეთი პერსონაჟი, სამწუხაროდ, არ ჰყავს და, რაც მთავარია, მისი არსებობის შესაძლებლობაც არ იგულისხმება. მკითხველს ჰგონია, რომ ამ ვითარებას, რომელსაც იქ დახატულს ვხედავთ, გამკითხავი არ ჰყავს არა მარტო პრაქტიკაში, არამედ საკუთარ აზრსა და განცდაშიც კი, რომ მისი ის აღქმა, რასაც მიჭაშვიძეში, ღვაბერიძეში, ჯონდოში, ყორიაში და თვითონ საკმაოდ ინერტულ ბაიაძეში ვხედავთ, ერთადერთი შესაძლო აღქმაა, რომ ესაა მისი აღქმა და მისდამი დამოკიდებულება თვით საუკეთესო ადამიანის ან (კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ!) თვით საუკეთესო დღევანდელი ქართველის მხრივ. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. „მეოთხე სიმფონიაში" დახატულ სიმპათიურ ადამიანთა წრე მისი წვრილმანი ინტერესებითა და წვრილმანი ფილოსოფიით არ არის იმ ადამიანთა კრებული, ვისაც ბუნებამ უნარი მისცა და ვალდებულება დააკისრა, რომ სიტუაციის განმსჯელნი, შემფასებელნი, ალალი და თვალღია ჭირისუფალნი იყოს (საკუთარ გონებასა და განცდაში) და მკითხველის წინაშე ან პირდაპირ, ან მხატვრული დეტალის, მეტა-

ფორის, სიუჟეტური ნიუანსის ენით თავიანთი სეფე-სიტყვა თქვან. მაგრამ თუ ასეა, რატომ არ მიგვანიშნებს ამას სადმე ავტორი ერთი მცირე დეტალით მაინც? რატომ არ ემიჯნება იგი (სქემატურად რომ ვთქვათ) თავის ამ სიმპათიურ პერსონაჟებს და რატომ არ გვაგრძნობინებს (ან ვერ გვაგრძნობინებს), რომ მათი საკმაოდ უმწიფარი ინტერესებისა და მსოფლმხედველობის იქით სხვა, უფრო ფართოდ მხედველი და, ამგვარად, სხვა კუთხით მხედველი ადამიანების შესაძლებლობაც არსებობს?

თუ „მეოთხე სიმფონია“ მკითხველს რაიმეთი გულნაკლულს დატოვებს, ეს, მე მგონი, მხოლოდ მისი ამ ერთი ხარვეზის წყალობით მოხდება. რა თქმა უნდა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს კრიტიკული „ბრალდება“ მოთხრობის მხატვრული ქსოვილის მეტად ფაქიზსა და მოუხელთებელ მხარეს ეხება. რა ვიცით, მართლაც, რომ ავტორი არ ემიჯნება (ან ვერ ემიჯნება) არც ერთი დეტალით თავისი გმირების მსჯელობას და მის დონეს, რომ მას ფარული სინანული არ მოსდევს, ამათზე უკეთესი გმირი რატომ ვერ მომცა ხელთ ჩემ მიერ აღწერილმა სინამდვილემო? ზოგადად რომ ვთქვათ, აქ მართლაც მკითხველის თუ კრიტიკოსის სუბიექტური შთაბეჭდილების ანაბარად ვართ. ოღონდ, არის მაინც ზოგი გარკვეული მომენტი, სადაც სუბიექტურობის ფარგლებს ვცილდებით და პოზიტიური მსჯელობის საშუალებაც გვაქვს. აი, მაგალითად, პერსონაჟთა ერთ-ერთი მსჯელობა:

„რევოლუციის წინ ქართველებმა, კერძოდ, თავადაზნაურობამ გაყიდა, გაანიავა მამულები, არღაზნე დაამღერეს ზოგიერთებმა ქონება. სულელებად გვთვლიდნენ მაშინ. ჩვენ ვყიდდით, ვქეიფობდით, სხვები ყიდულობდნენ, აგროვებდნენ და მარხულობდნენ. მოხდა რევოლუცია და ოხრად წავიდა ყველაფერი. ვინც იმღერა და იქეიფა, ვინც სვა და ჭამა, იგი დარჩა მოგებული. ვინ გამოვიდა სულელი? ჩვენ თუ სხვები? ახლა რა ხდება: ჩვენ არ ვმრავლდებით, სხვები მრავლდებიან, ჩვენ არ ვაჩენთ, ისინი აჩენენ, ისინი ყრიან, ჩვენ ვდებთ. წინათგრძნობით, ქვეშეცნეული კარნახით ხომ არ ვმოქმედებთ?.. არსებობს, ჩემზე კარგად იცი, კოლექტიური ინსტინქტი და წინასწარგრძნობა შესაბამისად. იქნებ იწყება კატასტროფა, იქცევა იქნებ ქვეყნიერება და განსაცდელს გავურბივარო? თუ არავინ არ უნდა გადარჩეს, ჩვენც არ გადავრჩებით, ცხადია, მაგრამ ცოტანი დავიხოცებით სამაგიეროდ, თუ ცოტანი უნდა გადარჩენენ, ჩვენც ცოტანი გადავრჩებით და ავღორძინდებით ალბათ თანაბარი უფლებით. შენ თუ უკეთესად იცი, მითხარი, არ დამიმალო“.

ჩახედული კაცი, მაგალითად, ისეთი, როგორნიც მონაწილეობენ ნამდვილ ინტელიგენტთა სუფრაზე გამართულ დისპუტში ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიანი“, ასე არ იმსჯელებდა ჯერ ერთი, უფრო ხაზგასმით იტყვის, რომ არღაზნე მამულებს მხოლოდ თავად-აზნაურობა ამღერებდა, ქართველი გლეხები კი უზარმაზარ ენერგიას სწორედ მამულების მოპოვებას ახმარდნენ და თუ ამ საქმეში ვერ გაუმარჯვდათ, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ მათ ფინანსურად და ადმინისტრაციულად ხელს უშლიდა მეფის ხელისუფლება, რომელიც თავის პირველ მტრად ამერეკვაკასიაში სწორედ მათ თვლიდა (თავადების ეკონომიკას მან შედარებით ადვილად მოუარა იმით, რომ ვორონცოვის დროიდან მხოლოდ ფრანგული ღვინოებთან მასპინძლობა და შემოტანილი ქსოვილებით შემოსვა დაადგინა მოდად, რითაც ფულის მწვავე მოთხოვნილების გაჩენას ხელი შეუწყო, და ამის პარალელურად სესხის გამცემი და მამულების დამგირავებელი ბანკი შექმნა. ამგვარად ხელში ჩაგდებულ მამულებს შემდეგ უცხო ეთნიკურ ელემენტს აძლევდნენ ფასად ან მუქთად). მეორეც, იგი იტყვის, ჩვენს წინაპრებს რომ მამულებიც და ჯანიც ქეიფისთვის არ შეეწირათ, არამედ სიმრავლესა და შვილებისთვის პროფესიული კვალიფიკაციის მიცემაზე ეზრუნათ, მათი დაკარგული მამულების სანაცვლოდ ჩვენს ქვეყანას ბევრად უფრო ძვირფასი რამ შერჩებოდა: პროფესიულად ძლიერი და საკმარისად მრავალრიცხოვანი ზედადგენა (ზედა თავისი გონებით, ენერგიითა და ერთგულებით), რომლის უყოლობამაც (უფრო ზუსტად — საკმარისი რაოდენობით უყოლობამაც) ჩვენს ქვეყანს ბევრი უბედურება მოუტანა. „მეოთხე სიმფონიის“ გმირებს, რომლებიც ამგვარ საეჭვო ჭეშმარიტებებს გამოთქვამენ, არ შესწევთ ანალიზის ის უნარი და ფაქტების ის ცოდნა, რომელიც ამგვარ სერიოზულ საკითხებზე მსჯელობას სჭირდება (თუმცა, როგორც ვთქვით, ისინი ჩვეულებრივი პროვინციალები არ არიან და მათში გრძნობაც და გონებაც ცოცხალია). ხოლო თუ ასეა, მათი ამ ტექსტით ამეტყველება მკითხველისთვის არასწორი ინფორმაციის მიცემას ნიშნავს ისეთ საკითხზე, რომელიც თავისი მნიშვნელობით ყოველგვარ მხატვრულ განზოგადებას და, საერთოდ, ყოველგვარ ესთეტიკურ ამოცანას აღემატება.

„მეოთხე სიმფონიაში“ ისევე, როგორც სხვაგან თავის ნაწერებში, ავტორი უადრესად ფაქიზი და დახვეწილი ჰუმორისტია. კითხვისას არ ხარხარებთ, მაგრამ მუდამ მზად ხართ გასაცინებლად და იმ საამო და გულის გამლაღებელი გრძნობით მიჰყვებით ტექსტს, რომელიც თქვენს არსებას აშკარა კომიზმზე უფრო ღრმად და მასზე უფრო სტაბილურად ეუფლება („ახალგაზრდა ავტონისპეტორი იდგა, დაბლა მფრინავ შეეულმფრენს მისჩერებოდა... ერთი ეს გამაჩერებინა და არ მინდა არაფერიო, ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრობდა და ნომერს იმახსოვრებდა. მოკრიალებულ, მოლაჟვარდისფერებულ ცის ფერში ითქვიფებოდა ცისფერი ციფრები, ბრუნავდა ცა". ასეთი ტონალობა გასდევს მოთხრობის უდიდეს ნაწილს). მიუხედავად ამისა, ავტორი აქაც (ისევე როგორც სხვაგან) ყველაზე უფრო ძლიერია სწორედ არასასაცილო, თუ გნებავთ — ზღვრული სიტუაციების ხატვაში და ამ ზღვრულთა შორის ყველაზე უკიდურესის — სიკვდილის (ჟორის სცენა). ავტორი საინტერესოდ და დიდი დამჯერებლობით (მაშასადამე, ოსტატურადაც, რადგან ოსტატობის სხვა საზომი ამ თემასთან მიმართებაში არ არსებობს) ხატავს როგორც თვით ჟორიას ცნობიერების ცვლის ყველა პერიპეტიას არსებობიდან არარსებობაში გადასვლის ამ აუცდომელ გზაზე, ისე მის გარშემო მყოფთა ნაირ-ნაირსა და თვით მოვლენისადმი, არსებითად, არაადეკვატურ რეაქციას, რადგან ადამიანის სუსტ ბუნებას არ ძალუძს სიცოცხლეშივე ამ ამოუცნობ საიდუმლოებას ჩასწვდეს. მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ იგივე თემა ავტორს ადრეულ რომანშიც („ჩემი მეგობარი ნოდარი") ჰქონდა ნაცადი. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას, მაშინდელივით, არც ახლა მოუკლია რამე თავისი სათქმელისთვის ზუსტ დეტალთა და სათუთ ნიუანსთა მხრივ და არც გაუმეორებია რა ამ დეტალებიდან.

●

მოთხრობის ენა, ისევე როგორც რ. ბეიშვილის ენა საერთოდ, სადაა, მაგრამ ღარიბი არ არის. იგი ხაზგასმულად სასაუბროა და პროვინციალიზმებით სავსეა მაშინ, როცა პერსონაჟები მეტყველებენ, და მკაცრად ლიტერატურულია ავტორისეულ თხრობაში. სიმდიდრე (მე მგონი, ავტორის ენას ეს ქართინაური სავსებით ეკუთვნის) მას, არსებითად, ლექსიკის ხარჯზე აქვს, უფრო კონკრეტულად, დიალექტიკური წარმოშობის ლექსიკისა, მაგრამ ისეთისა, რომელსაც ავტორი ლიტერატურულ ლექსიკად გულისხმობს (თუ შემოტანილად არა, შემოსატანად მაინც) და ამაში, უდავოდ, არც ცდება. ეს ისეთი სიტყვები გახლავთ, რომლებსაც სხვა, ლიტერატურული სინონიმი არ გააჩნიათ და, ამგვარად, სრულებით უდავო უფლება აქვთ ლიტერატურულ ენაში არსებობისა, თუნდაც დღემდე არავის ლიტერატურაში არ ეხმაროს (მე მგონი, უმრავლეს შემთხვევაში არც უხმარია). საინტერესოა, რომ ამათ რიცხვში არც თუ მცირედაა ისეთი სიტყვებიც, რომლებიც თავიანთ წარმოშობას ბგერწერას უმადლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჟურუმი მზისა“

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა
შვილი დასაკარგავი.“

ჯანსუღ ჩარკვიანი

ყველა, ვისაც ლიტერატურა უყვარს, ვინც მისი ყადრი იცის, ვისთვისაც ძვირფასია კულტურის ცნება, განსაკუთრებული კმაყოფილებისა და სიამოვნების გრძნობით წაიკითხავდა კობა იმედაშვილის წერილს — „მეტს არას ვთხოვ საქართველოს“, დაბეჭდილს „ლიტერატურული საქართველოს“ შარშანდელ 29 მაისის ნომერში. ეს წერილი დაწერილია ავტორისათვის ჩვეული პროფესიული ალღოთი და ცოდნით და იმ სიფაქიზითა თუ კრძალულებით, რაიც დიად შეპყრის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებასა და პიროვნებას. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის განუყოფელი ნაწილია და არამარტო ეროვნული, მსოფლიო კულტურის საგანძურის კუთვნილებაცაა. შესწავლა და კვლევა მწერლის ვებერთელა ლიტერატურული მემკვიდრეობისა, უნივერსალური ტიპის ხელოვანის ნაღვაწისა, ამ ნაღვაწის გაცნობა როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკითხველისათვის, ერთობ მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმეა. კობა იმედაშვილი ამბობს, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება იმდენად რთული, მრავალფეროვანი და ღრმა მოვლენაა, მისი შესაბამისი განხილვა ერთი კაცის დროს, ცოდნასა და უნარს აღემატება, თანაც საგაზეთო წერილის ფარგლებში ფრიად სქემატური საუბარი თუ მოხერხდებაო. ეს მართლაც ასეა. გრიგოლ რობაქიძეზე არა ერთი და ორი წიგნი დაიწერება მომავალში. რუდოლფ კარმანის ნათქვამისა არ იყოს, მისი შემოქმედება „მარად აწმყოა და უკვდავი“ და რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო მეტი სიდიადით გაბრწყინდება. ჯერ კი, არსებითად თუ ვიტყვით, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის დასაწყის ეტაპზე ვართ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პირობაზე ასე ითქმის. ეს წერილიც კობა იმედაშვილის მიერ წამოწყებული საუბრის შეძლებისდაგვარად შევსებისა და გაგრძელების სურვილით არის ნაკარნახევი.

რაკი ჯერჯერობით არ გაგვაჩნია მეცნიერული უტყუარობით დადგენილი ბიოგრაფია მწერლისა, ბუნებრივია, ზოგი ფაქტი დასაზუსტებელი იყოს.

თავდაპირველად დაბადების თარიღი. კ. იმედაშვილის წერილში მითითებულია 1884 წელი. ასევე უთითებენ კ. სალია და რ. კარმანი. იგივე თარიღი ყოფილა წარწერილი საფლავის ქვაზეც. (პარიზის მახლობლად მდებარე სოფელ ლევალში). საზღვრაგერეთელი ქართველობა მე-100 წლისთავის საიუბილეო კრებულში უთითებს 1881 წელს. მაგრამ, როგორც ირკვევა, თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ცნობისა (ცენტრალური საისტორიო არქივი), გრიგოლ რობაქიძე დაბადებულია 1880 წლის 1 ნოემბერს.[1]

„ზველის პერანგის“ გამოქვეყნების დრო მითითებულია 1926 წელი. ასე უთითებენ სხვებიც. სინამდვილეში რომანის გამოქვეყნება დაიწყო 1925 წელს „ნნათობში“ და დასრულდა 1926 წელს. იმავე წელს წიგნადაც გამოვიდა. აქ თარიღის სიზუსტეს აქვს თავისი მნიშვნელობა. „ზველის პერანგის“ ავტორი რომანის ახალ სტილს ამკვიდრებს. აქ ავლენს დიალოგის ახლებური ავგების, მხატვრული ქვეტექსტისა და მინიშნების ხელოვნებას, ე. წ. „აისბერგისებური“ წერის ხერხს, ითვალისწინებს მალარმეს ესთეტიკურ პრინციპს, რომლის თანახმადაც საგნის დასახელება შთაბეჭდილების განახვევრებას ნიშნავს (თუმცა ეს არ არის ერთადერთი, უნივერსალური პრინციპი), გვევლინება ე. წ. „ელიფსური“ თქმის დიდოსტატად, გამომსახველ საშუალებებს უაღრესი სიძუნწით, უკანასკნელი დაწურვით იყენებს. ორიგინალურად აგებს კომპოზიციას, სათხრობს განფენს თვალით დასანახავ სურათებად (ეპიზოდებად), თხრობის წილ უპირატესად, თითქმის ყოველთვის, ხატავს, გიჩვენებს. „ზველის პერანგის“ სიახლე, ორიგინალურობა არ განიზომება მარ-

[1] ამ ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ გრ. რობაქიძის დის შვილიშვილს, მწერალ ივანანდილ ჩხიკვიშვილს.

ტოოდენ ეროვნული მასშტაბით. იმ დროს, როცა, მაგალითად, მეოცე საუკუნის გამოჩენილი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი ქმნის თავის პირველ რომანს „ადამოხდების მზეს“, ესწრაფვის რომანის ახალი ფორმის დამკვიდრებას, ჩვენში ქვეყნდება მონუმენტური ქმნილება, რომელიც კლასიკური სიცხადითა და სრულყოფილობით განასაბიერებს მხატვრული პროზის ახლებურ სტრუქტურას, ახლებურ პოეტიკას. ბელეტრისტული ტექნიკის ნოვატორობის მხრივ გრიგოლ რობაქიძე მსოფლიო ლიტერატურაში, ალბათ, ჯოისი უსწრებს ქრონოლოგიურად (ცხადია, არ იგულისხმება „ცნობიერების ნაკადი“, რაიც უცხოა რობაქიძისეული პროზის პოეტიკისთვის). მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ანდრეი ბელის-რომანისტის შემოქმედებითი მაგალითი.

სპეციალური ბგამოცემულ ნაწარმოებთა ნუსხისათვის. ჩამოთვლილია წიგნები „გველის პერანგის“ 1926 წლის გამოცემას დართული სიის მიხედვით. ბუნებრივია, ვერ იქნება შემდეგდროინდელი ნაწარმოებები, ჩვენში დაბეჭდილი. ჩვეულებრივ, დრამატულ ქმნილებათაგან ჩამოთვლიან ხოლმე „კარდუს“ (გამოქვეყნებულია ცალკეული ნაწყვეტის სახით), „ლონდას“, „მალშტრემს“, „ლამარას“. მაგრამ გრ. რობაქიძეს აქვს პიესა „უდეგაკ“, — კაშხლის მშენებლობის თემაზე. აქვს აგრეთვე რომანი „ფალესტრა“, გაგრძელებით იბეჭდებოდა ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“. თავის დროზე ეცადე, მიმეგნო მისი დასასრულისათვის ან გამეგო მაინც, იყო თუ არა დასრულებული. ბოლოს მიმასწავლეს თამარ მაჭავარიანი, საჯარო ბიბლიოთეკაში. ვერც მან მიპასუხა. როგორც ირკვევა, რომანი დაუმთავრებელია. მაგრამ დაუმთავრებელიც ძვირფასია ჩვენთვის. მომხიბლავი ქმნილებაა. იქ, ბოლო კამპარაში, სადაც ბეგდა ჭედება, არის კარნავალის სცენა. ერთმანეთს ხვდება ნიღბოსანი ჭყონი. ქალი და ვაჟი. მკითხველი ივარაუდებს, რომ ესენი მთავარი პერსონაჟები უნდა იყვნენ — კავალი და ჰერ უნგარ. ეს სცენა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს. მსგავსი რამ გვხვდება პროსპერ მერიმეს რომანში — „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა“. უნდა გადაუჭარბებლად ითქვას, რაიმე ეროვნული მიკერძოების გრძნობის მიურევლად: მერიმე უბრალოდ ამბის მთხრობელია ამ შემთხვევაში, გრიგოლ რობაქიძე — პოეტი. პოეზიის მადლით ცხებული. მართალია, ერთმა ჩვენებურმა შინაზრდილმა ლიტერატორმა ოდესღაც აგდებულად მოიხსენია „ფალესტრა“, უწოდა „ბულვარული“ რომანი, ოღონდ ეს იმ დროს იყო, როცა რუსთაველსა და ილიას ვაგიინებდით და გრ. რობაქიძეს რას დავაკლებდით ხელს.

გრიგოლ რობაქიძის ადგილისათვის მეოცე საუკუნის ქართული მწერლობისა და ერთობა კულტურის ისტორიაში. ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, ამთავითვე გარკვევით ითქვას, რა ადგილი მივუჩინოთ ამ პიროვნებას, რა ადგილი დაიკავა თავად, რა ადგილი დაიმსახურა. კობა იმედაშვილის წერილში „ეროვნული ფასეულობანი“ დასკვნაა გამოტანილი: „ერთი რამ უეჭველად შეიძლება ითქვას — ქართული ხალხთა მწერლობის ისტორია გრიგოლ რობაქიძის რომანების, ლექსების, ნოველების, ესეების, კრიტიკული წერილების გარეშე სრული ისტორია ვერ იქნება“. (გამორჩენილია რატომღაც დრამები). ვისაც თავად წერილი წაუკითხავს, ალბათ, დამეთანხმება, რომ ამგვარი დასკვნა არაფრით შეესაბამება სტატიაშივე მოცემულ ნანამძღვრებს. მართლაცდა, მას შემდეგ, რაც სტატიის ავტორი თითქმის უკლებლივ ჩამოთვლის გრ. რობაქიძის დამსახურებას ეროვნული მწერლობის წინაშე, მას შემდეგ, რაც ის გვიხასიათებს ამ უნივერსალური ტიპის შემოქმედის აგრე მრავალმხრივსა და ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას, თქმა იმისა, ქართული ხალხთა მწერლობის ისტორია **უბრიგოლრობაქიძეოდ სრული** ვერ იქნებაო, ნიშნავს, თითქმის არაფერი თქვა. მწერლობის ისტორია, **სრული** შეიძლება მეორეხარისხოვანი მწერლის გარეშეც არ იყოს. არადა, აკი ვიმოწმებთ „ლიტერატურნაია ენციკლოპედიას“ და თავადვე ვწერთ, „ქართული დრამატურგია და თეატრი წარმოუდგენელია „ლამარას“ გარეშე, ხოლო ქართული მწერლობა გრიგოლ რობაქიძის გარეშე“-ო. აკი ვიმოწმებთ გერმანულ „მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონს“ და ვამბობთ, გრ. რობაქიძე მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსიაო. ნუთუ აქ არ არის აშკარა შეუსაბამობა წანამძღვრებსა და დასკვნას შორის? მე მგონი, ამ შეუსაბამობას თავად კობა იმედაშვილიც შეამჩნევს. გინდაც არაფერი იცოდე მწერლისა, სტატიის წაკითხვის შემდეგ ერთ დასკვნას გამოიტან კაცი: გრ. რობაქიძე ამ საუკუნის ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი განმაახლებელი დ რეფორმატორია.

გრიგოლ რობაქიძეს ოცდაათიანი წლების დამდეგსვე, კარგა ხნით ადრე გარდაცვალებამდე, სანამ მასზე ნეკროლოგები დაიბეჭდებოდა, დიდი აღიარება ხვდა ევროპაში. საკმარისია ორი მაგალითი მოვიტანოთ. ცნობილი გერმანული ჟურნალი „ეხო დერ ცი

ხოლო რომან „დალის“ („ქალღმერთის ზახილი“) შესახებ ებერჰარდ კრეჩმარი 1934 წელს გერმანულ ჟურნალ „დოიტშე ეუკუნფტში“ ასე წერდა: „ეს წიგნი არის არა ლიტერატურა, არამედ ბუნება, ელდენი და ველი, ცეცხლი და თესლი. ეს არის იმ ოვიოით წიგნთაგანი, რომელიც ყოველთა არსს იდუმალობამდე და მეტიც, მისნობამდე მიიკვლევს, ფსიქოლოგიზირების გარეშე“ (იხ. „ბედი ქართლისა, № 47, გვ. 6, 7).

გრიგოლ რობაქიძის ფენომენი მრავალმხრივ უნიკალურია. იმ მხრივაც, რომ ასე ღრმად შეღწეული საკუთარი ენის წიაღს, გულისგულს წვდენილი, საკვირველი ძალით იჭერება სხვა ენის სტიქიაშიც. გერმანულ ენაზე დაწერილმა მისმა ლექსებმა გოეთის ქვეყნის პოეტთა აღფრთოვანება და განცვიფრება გამოიწვია. „ჩემი გულრწფილი რწმენაა, რილკეს შემდეგ ახეთი სრულყოფილი ინაფერი გამოსულა გერმანულ ენაზე“-ო, სწერდა ერთი მათგანი, პოეტი ფრანკ მარაუნი, ქართველ ავტორს, როცა ხელნაწერებს გაეცნო (ეს გამოუქვეყნებელი ლექსებია: „მოკვდავი არწივი“, „ჰიმნი ორფეოსისადმი“, „ელვანაკრავი“, „ყან დარკი“, „მხილავი“ და სხვ.). („ბედი ქართლისა“, № 47, გვ. 10). 1919 წელს გრ. რობაქიძემ „პორტრეტები“ გამოაქვეყნა რუსულ ენაზე. განიხილავს: ჩაადიეს, ლერმონტოვს, როზანოვს, ანდრეი ბელის. რუსული მწერლობის სიყვარულთან და პატივისცემასთან ერთად, რუსული კულტურის სიღრმისეულ შრეებში ჩახედვასთან ერთად ყურადღებას იპყრობს „პორტრეტების“ ავტორის ენა, მისი რუსული. ხტილის დახვეწილობით, სიტყვიერი კულტურის დონით იგი შესაძლოა ანდრეი ბელის — ესეისტის გაეჯიბროს.

1928 წელს გრ. რობაქიძემ მონაწილეობა მიიღო მოსკოვს გამართულ ტოლსტოის საიუბილეო დღეებში. დაგვიტოვა მშვენიერი მოგონება ამის შესახებ — „ტოლსტოის დღეები“, რომელიც ერთ ნოველად ღირს. აქ, მოსკოვში, შეხვდა ცვეიგს. წარმოთქვა სიტყვა ტოლსტოიზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

„გველის პერანგში“ გრიგოლ რობაქიძემ შექმნა რუსი ქალის — ოლგა ბალაშოვას — მიმზიდველი მხატვრული სახე. შინაგანი ზნეობრივი ძალით, ის ამაღლებული გრძნობით, რასაც მეგობრობასა და სიყვარულში ამყღავნებს, ოლგა ბალაშოვა ბიბლიური ქალთა სახეებს გვაგონებს. რუსული მწერლობიდან სიწმინდითა და კეთილშობილებით მას ემსგავსებიან ტურგენევის ქალები. რახან ქალთა პერსონაჟებზე ჩამოვარდა სიტყვა, უთუოდ უნდა მოვიხსენოთ რომანში გამოყვანილი ქართველი ასული — მატასი (მატასი ლაშხი). ისე ვით რუსული მწერლობის ქალ პერსონაჟთა მშვენებაა ნატაშა როსტოვი, ამ საუკუნის ჩვენი მწერლობის ქალთა სახეებს ამშვენებს მატასი, აგრე ხელშესახები, ცოცხალი ხატება და იმავე დროს განზოგადებული, ისტორიულად დგენილი ნახათი ქართველი ქალიშვილისა. გოგონა — [illegible]ლი, კდემამოსილი, გულსმტკივნი, შეურყეველი, სწორედ ნატები დედაბუნების. მატასისთან დაკავშირებული ეპიზოდები, მისი ურთიერთობა არჩიბალდთან, პოთიერზი ამ ურთიერთობისა — თავი „მატასი ცხენზე“ — სიმშვენიერით სადარია დიდი ტოლსტოის ეპიკური ტილოს ყველაზე პოეტური ადგილებისა, ნადირობის სცენებისა ნატაშა როსტოვას მონაწილეობით და ნატაშას ურთიერთობისა ანდრეი ბოლკონსკისთან. ორივე ქალიშვილი იშვიათი ხელოვნებით არის ხორცშესხმული, თუმცა ქართველი და რუსი მწერლის შემოქმედებითი პრინციპები განსხვავებულია. ტოლსტოის ძირითადი მეთოდი ფსიქოლოგიური ანალიზია. გრ. რობაქიძეკი სხვა გზით სახავს, სხვა გზით ქმნის თავის პერსონაჟს. ეტყობა, ქალთა სახეებით გამორჩეული უნდა იყოს სხვა რომანებიც, განსაკუთრებით „ბეგი“. 1932 წელს „მნათობში“ (№ 10-12) დაიბეჭდა გერმანული კრიტიკის გამოხმაურება ამ რომანზე, სადაც, კერძოდ, ნათქვამია: „ბეგის გრძნობის აღმძვრელი სახე ღირსია მსოფლიო ლიტერატურის ქალთა საუკუნო სახეთა შორის შერაცხვისა“.

არიან გარკვეული ტიპის დიდი მწერლები, ვთქვათ, თომას მანის ტიპისანი, რომელნიც გვაცვიფრებენ დიდი ნიჭითაც და დიდი გულმოდგინებითაც, იშვიათი შეუპოვრობით და რუდღუნებით. მათ თითქოს ბარი და წერაქვი უჭირავთ ხელში, მისდგომიან ვრცელ სამადოს და მარცვალ-მარცვალ აგროვებენ ოქროს, რათა ზოდად აქციონ. გრ. რობაქიძეს სხვაფრივ გაეკვს ლელო. მას თითქოს ჯადოსნური კვერთხი უპყრია, და რასაც ამ კვერთხს შეახებს, ოქროდ იქცევა. ამას აღწევს სიტყვის ჯადოთი და ვიზიონერობით. ამ მხრივაც უნიკალურია იგი.

უბრწყინვალეს ეპიზოდი — „ქართული გენია როკვით გაფფენილი“, რომელიც მიძღვნილია ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხალხური ცეკვის ანსამბლისადმი, ვაუთა ცეკვის ერთი მომენტი ასე განხატვნებული: „ავარდნა. გავარდნა. მოვარდნა. შევარდნა“. სულ ოთხი სიტყვაა, ოთხი სახელმწნა. არა მგონია, მათი გადატანა მოხერხდეს სხვა ენაზე ნიუანსთა შენარჩუნებითა და თანაც თითო ბადალი სიტყვით. აქ სიტყვას აღდგენილი აქვს თავდაპირველი ელემენტური სიხალასე. იგი უფრო მეტია, ვიდრე ხატი. არა მხოლოდ გამოხატავს მოქმედებას, უდრის კიდეც, უიგივდება იმავე მოქმედებას. იშლება უკანასკნელი ზღვარი ასახატავსა და ამხატავს (ნიშან-სიმბოლოს) შორის. „ავარდნა. გავარდნა. მოვარდნა. შევარდნა“.

რამდენიმე მაგალითი „გველის პერანგიდან“, მხატვრული სიტყვის ძალისა და სტილის თვისებურების სალესტატაციოდ. ოლგა ბალაშოვა თავს იმეტებს არჩიბალ-

დის მეგობრის ვამეხის გადასარჩენად — ნებდება მოძალადეს. ამაზრზენი ვითარება ასეა გადმოცემული: „ხელშეხება: თითქოს ასფეხას შეხება. ლოშნა: თითქო გომბეშოს ლორწი". არა მგონია, თვით ფლობერს ამაზე უფრო ლაკონიურად მიეღწია შთაბეჭდილების მაქსიმუმისთვის. პრუსტი ადამიანობის შეგინების ამ გრძნობას დიდი ოსტატობით დაშლიდა, დააქუცმაცებდა და აღადგენდა. ოღონდ ანალიზისას მეტ სიძლიერეს გამოამჟღავნებდა, ვიდრე სინთეზისას. და იმ აღდგენილ გრძნობას არ ეკნებოდა პირველადი მთლიანობა, შეუფლალავი იერი. აქ კი შთაბეჭდილება შეულახავია და თანაც ეს მიღწეულია ორიოდე ფრაზით, თავისებური მეტაფორული შედარებით. „ხელშეხება: თითქო ასფეხას შეხება. ლოშნა: თითქო გომბეშოს ლორწი".

კრძალავენ ოლგა ბალაშოვას. მიჰყვებიან კუბოს თავჩაქნილდრაულნი. ნათქვამია: „ნაბიჯები ამ დროს გულს უთუთქავენ მიწას". აქ რომ ყოფილიყო თქმული, მიაბიჯებენ გულდათუთქულნო, ეს იქნებოდა ჩვეულებრივი შტამპი. მაგრამ, ნაბიჯები გულს უთუთქავენ მიწას, ისეთი მეტაფორულ-ხატოვანი თქმაა, მაქსიმალურად რომ აღძრავს გრძნობას. აქაც, ფრაზის მთლიან კონტექსტში მოქცევისას, მიიღწევა ემოციის მაქსიმუმი.

კვდება აქლემი ბეხან, დავარდნილი, უდაბნოში ქარავანს ჩამორჩენილი. აი, სიკვდილის სცენა: „ბეხან ალარ ბღავის. ბეხან ალარ ღმუის. ბეხან არც ტირის. ბეხან იხედება თვალებით...

ჰოო: ეს თვალები მთხოვნელნი სიცოცხლის — პატარა სიცოცხლის — ერთი პეშვი სიცოცხლის..."

მოპასანს ერთგან, აფრიკის კონტინენტზე მოგზაურობის ნარკვევში, აქვს დაახლოებით ამდაგვარივე სურათის მხატვრული აღწერა. უდაბნოში მიტოვებული, ჩონჩხადქცეული აქლემი. თავაღერილი, განწირულის ზზერას მიაყოლებს იგი გამვლელ მგზავრთ, ცოცხალ არსებებს, რომელთაც უკანასკნელად ხედავს. თვალწინ გიდგათ ეს სურათი, სათანადო დეტალებით გაცოცხლებული. შთაბეჭდილება ძლიერია. გრ. რობაქიძეც გვახილვინებს ტრაგიკული აღსახრულის სურათს, ამასთანავე, მიმართავს სხვა საშუალებასაც: ამ გრძნობას ტრაგიკულობასას კიდეც გვინერგავს, „ჩაგვაგონებს" (ე. წ. „სუგესტია.") „ჰოო: ეს თვალები მთხოვნელნი სიცოცხლის — პატარა სიცოცხლის — ერთი პეშვი სიცოცხლის..."

ცალკეული მხატვრული სახის, ცალკეული ეპიზოდისა ან დეტალის მიხედვით, რაგინდ ძლიერიც უნდა იყოს ისინი, ნაწილობრივ წარმოდგენას თუ შევიქმნით გრ. რობაქიძის ამა თუ იმ ქმნილების ღირსებაზე. ქმნილება მისი, უწინარეს ყოვლისა, მთლიანობაა, მკვრივი მთლიანობა, მონოლითი.

ერთი იშვიათი თვისება ცნაურდება ზოგ ქმნილებაში. ორ ტოლძალოვან საწყისს ემყარება ხოლმე ნაწარმოები: წმინდა მხატვრულსა და ფილოსოფიურ-მეცნიერულს. ნაჩვენებია სურათთანად რაიმე მოვლენა, ხოლო თანვე ნაკლევი და წარმოჩენილია იმ მოვლენის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ძირი. ჩვენებას ენივთება ფესვული ანალიზი, და ეს ორივე საწყისი, სახვა და განსჯითი შემეცნება, საკვირველი ბუნებრიობით შეირწყმის, გვევლინება განუყოფელ, ორგანულ მთლიანობად. ზემოხსენებულ ესეში „ქართული გენია როკვით განფენილი" ცეკვები იშლება ფერადოვან სურათებად, ამ ცეკვებთან დაკავშირებით კი ჩენილია ქართული რაობის, ეროვნული ხასიათის არსი. ხედავთ ქართულ ცეკვასაც და სწვდებით მის შინაგან არსსაც.

ნოველა „ენგადში" („კავკასიური ნოველების" ციკლიდან) ნაჩვენებია სიყვარულის ღვთიური გრძნობა, დანახული ხევსურული სწორფერობის ჩვეულებაში. ამბის თხრობას ერწყმის ეროსის სათავეების ჩაჩეკა, სიყვარულის ნამდვილი გაგების საცნაურაფა. ამ თვისების ნათესაურია მეორე თვისებაც მწერლისა. შენიშნავენ, რომ მითოსურ სიუჟეტზე აგებულ რომანებში, მაგალითად, „მეგობა" და „დალში" მოქმედი პირი ერთსა და იმავე დროს რეალური ადამიანიცაა და მითოსური პერსონაჟიც. რეალური ადამიანი გარდაისახება მითოსურ პერსონაჟად, ხოლო მითოსური პერსონაჟი იბრუნებს რეალური ადამიანის სახეს. და ეს ორმაგი სიძნელე ავტორის მიერ დაძლეული ყოფილა დიდი ოსტატობით. მაშასადამე, ამ მხრივაც თავისებურად უნიკალურია მწერლის ნიჭი.

სანდრო ახმეტელმა „რაინდფული რომანგზზმი" უწოდა „ლამარას" ძირეულ ნიშანს. ეს ნიშანი სხვა ქმნილებებსაც გასდევს. რაინდფული შემართება დამახასიათებელია მწერლის მამაკაც პერსონაჟთათვის, ნიშნეულია „ძლიერი პიროვნების" კულტი, ძლიერისა არა ნიცშესეულ ზეკაცად გაგებულის, არამედ „ლამარასეულ" მინდიად სახიერებულის, იმ მინდიად, რომელიც მზად არის თავი გაწიროს, საკუთარი სიცხლი დათხოოს სიყვარულისა და მეგობრობის ამაღლებული გრძნობისათვის. რაინდფული რომანტიზმი ერთი ძირითადი ნიშანთაგანია ჩვენი ეროვნული სამწერლობო ტრადიციისაც და ამჟამადაც აქტუალურია თანადროული ქართული ლიტერატურისათვის. თითქოს განელებულია ამჟამად, თითქოს არ უდგას შესაფერისი ამინდი, მაინც ღვივის მისი სული, ცელკეული მწერლის ნაწარმოებში საჩინოა მისი ყლორტები.

გრ. რობაქიძის შემოქმედებას უკავშირებენ მითოსის აღორძინებას. თანადროულ ქართულ მწერლობაში გზა გაიკვალა მითოლოგიზების ტენდენციამ. მითოსის აღორძინება ოციან წლებში და მითოლოგიზების ტენდენცია ამ ბოლო დროს გარკვეულწილად განსხვავებული

ლიტერატურული პროცესებია, მაგრამ ინტერესი მითისადმი, მხატვრულ საშუალებად მითის გამოყენება საერთო ნიშან-თვისებაა. კიდევ უფრო საგულისხმოა გრ. რობაქიძის შემოქმედება თანადროული ქართული მწერლობისათვის ერთი არსებითი ლიტერატურულ-ესთეტიკური საკითხის თვალსაზრისით. გრ. რობაქიძის შემოქმედების საყრდენი მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალობაა, შინაგანად თავისუფალი პიროვნება. პიროვნება — „ეს უსაზღვრესი მოვლენა", მწერლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ რაც უფრო განვითარებულია პიროვნული საწყისი, რაც უფრო ღრმად ინდივიდუალურია გმირი, მით უფრო საინტერესოა და სიმწიფის უფრო მაღალ დონეზეც დგას ლიტერატურა. მოყოლებული ორმოცდაათიანი წლების ბოლოდან, ქართული მწერლობა ვითარდება სწორედ პიროვნული საწყისის აღორძინების ნიშნით. ეს დღევანდელი ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო მხატვრულ-ესთეტიკური მონაპოვარია. აქ გრ. რობაქიძის შემოქმედება თანადროული ქართული მწერლობის მოკავშირეა. ერთი საგულისხმო ნაკადიც იქცევს ყურადღებას. მხედველობაში მაქვს „კაენის ცოდვის" მხატვრული გააზრება. არავიძე და არვიძეობა, სანამ ფილმში გადავიდოდა, გარკვეულწილად მწერლობაში ისახა. ეს თემა ჯერ არ ამოწურულა, არ დაუკარგავს აქტუალობა. რამდენადაც კრეტიკული გამოხმაურების მიხედვით შეგვიძლია ვიგულვოთ, მწერლის ზოგ რომანში ეს თემაც ყოფილა ასახული. აკი ავტორმა თავის დროზე თვითონ იგრძნო არავიძეობის სუსხი და გაეცალა სარბიელს, მოსწყდა დედასაქართველოს მკერდს. ადვილი შესაძლებელია, რასაც დღეს ვწერთ, რის გარკვევა-შეცნობასაც დღეს ვესწრაფვით და რასაც ვაშშვლებთ, რაზეც ეს ერთი ხანია ყურადღებას გვამახვილებენებს ჩვენი პარტია, მნი შვნელოვანწილად ნათქვამი და წარმოჩენილი ადრევე ჰქონდეს გრ. რობაქიძეს. აქაც იგი დღევანდელი ქართული მწერლობის თანამდგომად უნდა ვიგულვოთ.

არიან მწერლები, არსებობის უფსკრულს ჩასცქერენ უმთავრესად, იშვიათად აიხედავენ მაღლა ანდა სულაც არ აიხედავენ, რათა მზეს შეხედონ. მათ ცხოვრებაზე „არას" მთქმელი მწერლები ეთქმით. არიან ისეთებიც, თავადერილნი სულ მუდამ მზეს შესცინინებენ, ვერ ხედავენ ან არ სურთ დაინახონ წინ გათხრილი უფსკრული. გრ. რობაქიძე სხვა ტიპის ხელოვანთაგანია. უფსკრულს ჩასცქერს, ხოლო ეს ვერ უკარგავს ხალისს, მზერა მიპყრობილი ჰქონდეს მზისკენაც, მზეს შეეხაროდეს (აქ არის სათავე დიონისოს კულტით დაინტერესებისა, აქვს შესანიშნავი ესეიც — „დიონისოს კულტი და საქართველო."). აკი უწოდა კიდეც ალექსანდრე მარჯანიშვილმა „ქურუმი მზისა". მართლაც ცხოვრებაზე მზიური გენიაა, ცხოვრებაზე „ჰოს" მთქმელი. ამ მხრივ გოეთის ტიპის ხელოვანია, მისივე სულიერი მემკვიდრე (მას დამოწოდებული). ოღონდ კიდევ უფრო მეტად კლასიკური ქართული მწერლობის უშუალო მემკვიდრეა. კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ნაბრძანები სიტყვები — „შარეულ წყალივ მისავსს, სენისაკ და ტემზისაკ, მაგრამ ყველაზე მეტი მიმითო

ეგრისის სამეფოს დედაქალაქი

კოლხეთისა და იბერიის ქალაქებზე ქართულ და უცხოურ მატიანეებში შემონახული ცნობები ჯერ კიდევ ამ ხუთი ათეული წლის წინათ ნაწილობრივ ზღაპრად და ლეგენდად მიაჩნდათ. მას შემდეგ კი, რაც ქართული არქეოგრაფია ფეხზე დადგა, წელში გაიმართა, ბევრი „ზღაპარი" სინამდვილედ იქცა. ომის წინა წლებში არმაზისხევის მოულოდნელმა აღმოჩენებმა აკად. ივ. ჯავახიშვილს ათქმევინა: „რამდენ საიდუმლოებას ინახავს ქართული მიწა და კიდევ რამდენი ახალია მოსალოდნელი".

ბოლო წლებში რამდენიმე ქალაქის ისტორიას მოეფინა ნათელი, მაგრამ ზოგიერთ ქალაქთან დაკავშირებული საკითხი დღემდე გაურკვეველი რჩება. ასეთებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია კოლხეთის დედაქალაქი. დღემდე არ არის დადგენილი, რა ერქვა მას ან სად მდებარეობდა (ჩვენში არის შემთხვევები, როდესაც არის ნაქალაქარი და არ ვიცით სახელი, ან ქალაქი ნახსენებია ისტორიულ წყაროებში, მაგრამ არ დგინდება, სად მდებარეობდა იგი).

ხშირად კოლხეთის დედაქალაქად თვლიან ბერძნულ წყაროებში ნახსენებ „აიას", მაგრამ კონკრეტულად არსად არ არის მითითებული, თუ სად იყო ან რას წარმოადგენდა ეს მითიური დედაქალაქი. მით უფრო, არსად არ არის გაიგებებული აია ციხეგოჯთან ან ბიზანტიური წყაროების არქეოპოლისთან. ამიტომ იმის მტკიცება, რომ ნოქალაქევი იგივე აიაა, საფუძველს მოკლებულია.

მკვლევარებიდან ეს ვარაუდი პირველად შვეიცარიელმა ლიუბკე დე მონპერემ გამოთქვა. მან საქართველოში იმოგზაურა მე-18 საუკუნის 30-იან წლებში და შთაბეჭდილებებში წერს: „ბარტვილიდან მეექვსე ვერსის დაშორებით ჩვენ ფოთით გავედით მდინარე ახალაზე. გავიარეთ კიდევ ექვსი ვერსი და აღმოვჩნდით ტეხურის ნაპირას, იქ, სადაც იგი უკანასკნელ მოსახვევს აკეთებს, ფაზისის ფართო დახლობზე გამოსვლამდე. ვინაც იცნობს კეფლების ხუროთი დაფარული ნანგრევებში, ამ სიხრმეზეა და მარტოობაში ლაზების მეფეთა ანტიკურ დედაქალაქს, პროკოპის არქეოპოლისს და არგონავტების აიას?"

ასეთი ვარაუდის დაშვება კიდევ შეიძლებოდა ნოქალაქევში არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე. მიწის წიაღში მეორე ათასეულის შუა ხანებისა არაფერი აღმოჩნდა. მით უმეტეს, ყოვლად შეუძლებელია ამ ადგილას ძველ დროში ქალაქის არსებობაზე ლაპარაკი, ე. ი. ექსპედიციის შედეგების გათვალისწინებით, აიასა და ნოქალაქევის იდენტურობაზე მსჯელობაც კი უნდა შეწყდეს.

ჩვენმა ექსპედიციამ ისტორიული წყაროებიდან სხვა არა ერთი საკითხიც ამოხსნა. კერძოდ, მანამდე დანამდვილებით არავინ უწყოდა, სად იყო ქართველ მატიანეებში ნახსენები ციხეგოჯი და ხამზლუდე. ასევე, მთლად დადგენილი არ იყო ბიზანტიურ წყაროებში ნახსენები არქეოპოლისისა და სამეგრელოში მდებარე ნოქალაქევის საკითხი. ნოქალაქევის გათხრებმა სიეჭვო ხაზები მოხსნა და საბოლოოდ დადასტურა, რომ ქართულ წყაროებში ნახსენები ციხეგოჯი იგივე ხამზლუდეა. ხოლო ორივე ერთად დღევანდელი ნოქალაქევია. ასევე, ბერძნული წყაროების არქეოპოლისი იგივე ნოქალაქევია. საბოლოოდ, სხვადასხვა დროის სახელები: ციხეგოჯი, ნოქალაქევი, არქეოპოლისი, ხამზლუდე ერთი პუნქტის სახელებია. როგორც აღვნიშნეთ, ამის დადგენა ექსპედიციის ერთ-ერთი დიდი მიღწევათაგანია. დავაკი მოდიოდა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან.

ბიზანტიელ ისტორიკოსებთან ბევრი ცნობა გვაქვს არქეოპოლისზე და მის ირგვლივ გაბმულ ომებზე. აი, ერთი მათგანი: პროკოპი კესარიელი, რომელიც აღწერს სპარსეთის ჯარის სარდლის მერმეროესს ლაზეთში ლაზიკაში, წერს, რომ მან პეტრასკენ (ციხისძირისკენ) მიმავალმა მკვეთრად შეცვალა გეზი. იგი „ფაზისის (რიონის) მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის — არქეოპოლისის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში". ამ მოკლე წინადადებით ყველაფერი ნათლად არის ნათქვამი. დასავლეთ საქართველოში მაშინ არსებულ მრავალ ქალაქს შორის არქეოპოლისი — ნოქალაქევი მთავარი და უდიდესია. ამასთან, იმასაც უნდა გვიხვას ხაზი, რომ იგი „ძალიან გამაგრებულია". ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ მაშინ ქალაქი მტერმა ვერ აიღო.

ექსპედიციის მუშაობის გაშლამდე ასევე სხვადასხვა აზრი არსებობდა დასავლეთ საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველოში ქრისტიანობის გავრცელების თარიღზე. ერთი მათგანი, ადრევე ოფიციალურად მიღებული და დაკანონებული, ამტკიცებს, რომ ეგრების (ლაზების) ქრისტიანობა 528 წელს მიუღიათ. ეს თარიღი ეურნალობოდა ბიზანტიელი მწერლის თეოფანე უამთაადმწერლის ცნობას იმის შესახებ, რომ ლაზეთის მეფე წათე სპარსეთს განდგომია, ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში ჩასულა და ქრისტიანობა მიუღია. იმ დროის რთული პოლიტიკური სიტუაციათა გამო წათე ხელახლა ინათლება, ხინამდვილეში კი მისი ქვეყანა ადრე ხნით ადრე იყო მონათლული. ეს მოსაზრება საბოლოოდ დაადასტურა ნოქალაქევში აღმოჩენილმა, ერთმანეთზე დაშენებულმა სამმა ეკლესიამ. პირველი მათგანი, დიდი ზომის დარბაზული ეკლესია აგებული ჩანს IV საუკუნის შუა ან მეორე ნახევარში. მის ნანგრევებზე ასიოდე წლის შემდეგ დაუშენებიათ უფრო დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკა. მტკვრის მალე ეხეკი დაუნგრევია და უკვე VI საუკუნის დასაწყისში იქვე აუგიათ ისევ სამნავიანი ბაზილიკა, მაგრამ შედარებით მცირე ზომისა. როგორც ეტყობა, მტრის შემოსევის შემდეგ ქვეყანას ეკონომიკურად უტირდა და ამიტომ მეფე სჭირდება მომცრო ტაძარს.

საქართველოში უამრავი ნაქალაქარი, ნახალარი და ნაფუძარია. დადიხარ, უყურებ ამ ნანგრევებს და განცვიფრებული რჩები: ვინ ააგო ან რა ძალა და შენებლობის კულტურა ჰქონდა მის ამგებ ხალხს! ისტორიას განვითარების თავისი კანონზომიერებანი გააჩნია. მტრისაგან დანგრეულ ქალაქს ხალხი ისევ აღადგენდა ხოლმე, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, ქალაქისაგან მხოლოდ ნანგრევებიღა შემორჩენილა და მის აღდგენაზე აღარ უზრუნიათ. აი, თუნდაც თბილისი. იგი VI საუკუნიდან დაწყებული XVIII საუკუნის ბოლომდე, ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაანგრიეს და გადაბუგეს, მაგრამ არა და არ გაწყდა აქ სიცოცხლის ძარღვი. ყოველი კატასტროფის შემდეგ თბილისი ფერფლიდან დგებოდა და კვლავ წელში იმართებოდა.

ქალაქების მიტოვებას, ახალი ქალაქების გაჩენას, სხვა მრავალთან ერთად, ერთი კანონზომიერება განსაზღვრავდა. ეს იყო ფორმაციათა მიხედვით წარმოშობილი ქალაქების „გაქრობა“ წარმომშობი მიზეზების მოსპობასთან ერთად. კერძოდ, ე. წ. მონათმფლობელური, ანტიკური პერიოდის ქალაქები ადრეფეოდალური ხანის პირველ პერიოდში თანდათანობით ტოვებენ არენას, ხოლო ფეოდალიზმის გაძლიერებას თან მოჰყვა ახალი ქალაქების გაჩენა. განსაკუთრებით X საუკუნიდან მთელი საქართველო მოიფინა დიდი და პატარა ახალი ქალაქებით. ამ ქალაქებიდან მხოლოდ რამდენიმეს გაუძლო ისტორიის ქარცეცხლს.

ანტიკური პერიოდის იბერიისა და ეგრისის სამეფოს დედაქალაქებსაც იგივე ბედი ეწვათ. იბერიის დედაქალაქის, მცხეთის ადგილზე V საუკუნის ბოლოდან თბილისი იკავებს. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ცხლად“, ერთი მეფის ხელში ხდება: ვახტანგ გორგასალი მცხეთას ტოვებს და თბილისს აშენებს, ანუ, როგორც მემატიანე წერს: „მცხეთა ათხელებრად და ტფილისი აღშენებულ ეგონდა“.

ასე სწრაფად არ მომხდარა ეგრისის სამეფოს დედაქალაქის ციხეგოჯი-ნოქალაქევის აღშენება, დაცემა და ახლით შეცვლა. მისი დედაქალაქისა ემთხვევა ეგრისის (ლაზიკის) სახელმწიფოს არსებობის პერიოდს — IV-VIII საუკუნეებს. შემდეგ ხდება მისი ნელ-ნელა დაქვეითება და ბოლოს ქალაქის გაქრობა. ცოტა მოგვიანებით დასავლეთ საქართველოში ახალი ცენტრი ჩნდება ქუთაისის სახით.

ნოქალაქევი მდებარეობს ძველი სამეგრელოს შუაგულში, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე. ციხე-ქალაქი რთულ რელიეფზეა განლაგებული. ქალაქის ძირითადი ნაწილი მდებარეობს ქვემოთ, მდინარის ხიახლოვეს, ხოლო შუა მონაკვეთი და ციტადელი მაღლა, მთის აყოლებაზე და მის პლატოებზეა განლაგებული. ქალაქისთვის ადგილის შემრჩევი, ცხადია, გამოცდილება და წინდახედულება კარნახობდათ, სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილი ეძებნათ. მდინარის ნაპირი თავის სალი კედლებით და მაღლობზე მდგარი ციტადელით სწორედ შესაფერისი მდებარეობა იყო.

ისტორიულ წყაროებზე დაკვირვება გვაძლევს საშუალებას, რომ ვთქვათ — ეს ადგილი ორჯერ ყოფილა დასავლეთ საქართველოს ცენტრი.

ლეონტი მროველის ცნობით, იბერთა მეფე ფარნავაზი ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის დასაწყისში გადავიდა კოლხეთში „...დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღუთაგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“.

ექსპედიციის მუშაობის გაშლამდე დადგენილი არ იყო, თუ სად მდებარეობდა ეს ციხე-გოჯი. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა ადგილზე ვარაუდობდა მას, ახლა კი უდავოა, რომ ეს პუნქტი ნოქალაქევში იყო. ციხე-გოჯთან დაკავშირებით ერთი მთავარი მომენტიცაა აღსანიშნავი: ელინისტიკურ ხანაში ციხე-გოჯი მთელი კოლხეთისა თუ არა, მისი დიდი ნაწილის (რიონის ჩრდილო მხარის სვანეთის ტერიტორიის ჩათვლით მაინც) უმთავრესი ქალაქი და ცენტრია! ესეც არ არის უმნიშვნელო ფაქტი.

ექსპედიციას, მართალია, ჯერჯერობით არ მიუკვლევია ქუჯის მიერ აგებული ციხისათვის, მაგრამ ნაპოვნია მისი ნანგრევებიდან გაფანტული და წამოღებული ქვები, რომლებიც

შემდეგ, მოგვიანებით სხვა შენობების აგებისას გამოიყენებიათ, რაც თავისთავად მიუთითებს ადრევე ციხის აქ არსებობაზე.

როცა ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ექსპედიციამ აქ მუშაობა დაიწყო, მთელი ნაქალაქარი ტყით იყო დაფარული. ნელ-ნელა ქვედა ტერასა და ციტადელი გაიწმინდა. ასევე ბევრად რთული და საკმაოდ საქმე იყო ეკლესიის მიდამოებში ახალი სასაფლაოს გადატანა. მოსახლეობამ უმტკივნეულოდ მიიღო ექსპედიციის წინადადება. ასეთი დიდი მოცულობის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ უფრო მასშტაბურად წარიმართა გათხრითი სამუშაოები.

რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ საბოლოოდ გაირკვა ქალაქის ირგვლივ გამავალი ციხის კედლების სისტემა, კონსტრუქციები და, რაც მთავარია, მათი თანმიმდევრობა. გალავნების ჩვენეული დათარიღება სრულიად ეწინააღმდეგება სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე მიღებულ თარიღებს. რაც ადრე პირველ კედლად, IV საუკუნეში აგებულად მიიჩნდათ, ის მესამე აღმოჩნდა, ამასთან, რაც მთავარია, ეს თლილი კვადრებით აგებული გალავანი ზოგიერთებს რომაულად მიიჩნდათ. სინამდვილეში ეს კედლიც ეგრის აგებულია, სადაც V საუკუნის ბოლოს ან VI საუკუნის დასაწყისში.

ჩანს, ქალაქის გამაგრებაზე მზრუნველებმა კარგად იცოდნენ ფორტიფიკაციის პრინციპები და მისი მოთხოვნების შესაბამისად აგებდნენ კედლებს. რადგან ქალაქი რთულ რელიეფზე იყო განლაგებული, კედლებიც შესაბამისი უნდა მქონოდა. ქალაქის ქვედა ნაწილს სამი მხრიდან მდინარე უელის და, ამდენად, აქ ერთმანეი კედელი საკმარისი იყო. როგორც ეტაყობა, IV საუკუნის დასაწყისში აგებული ეს კედელი ახიოდე წელს მაინც თავისუფლად იღებს საკუთარ თავზე მტრის დარტყმებს და კარგადაც უძლებს. დროის რომელიღაც მონაკვეთში კი მტრის ჯარმ ძალებს ველარ უმკლავდება და ბზარი უჩნდება.

მეფეს აძლიერებს დაცვის ხაზს იმ მხარეებზე, სადაც მტრის ახალი თავდასხმაა მოსალოდნელი. ასეთებია სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეები. ამ მხარეებზე პირველი კედლის პარალელურად აგებენ მეორეს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი კედელი მეტრნაზევარი სისქისა იყო, ხოლო მეორე — ორი მეტრისა, მტრის ჯარში ძალებისთვის ვერც მათ გაუძლიათ და ქალაქის მესვეურების წინაშე ისევ დამდგარა საკითხი გამაგრების ხაზის გაძლიერების შესახებ. მეფეს გადაუწყვეტია, ქალაქი მიუვალ სიმაგრედ იქცეს, ქალაქის ფართობიც შესაბამისევად გაუზრდია. აღრეული გალავნებისგან განსხვავებით ეს მესამე კედელი დიდი ზომის თლილი ქვით არის ნაგები და მარტო აღმოსავლეთის ხაზზე მდინარიდან ციტადელამდე მისი სიგრძე კილომეტრს აღემატება. სხვა მე იმაშია, რომ ქალაქის დაცვის თვალსაზრისით ყველაზე სუსტად გამაგრებული აღმოსავლეთის მხარე იყო. მთელი ქალაქის გარშემო მხოლოდ ამ მხრიდან შეეძლო მტრის კედლის სანგრევი მანქანების გამოყენება, ამიტომაც ამ ხაზს განსაკუთრებული სიფრთხილით იცავდნენ. გარდა სანგრევი მანქანებისა, დიდ ქვეყნებს და განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებს საბრძოლო სპილოები და აქლემები ჰყავდათ. მათ ზურგებზე აღმართული კოშკურებიდან, თუ გალავანი დაბალი იყო, ეზოში ადვილად ისროდნენ საბრძოლო ისარს. არ არის გამორიცხული, რომ მტრის ნასროლი იყოს შურდულის ქვები და ე. წ. „ქვის ყუმბარები", ანუ ჭურვები, რომლებიც ბლომად არის აღმოჩენილი ნაქალაქარზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს სამი კედელი იცავდა, რომელთა საერთო სისქე უკვე 6 მეტრს აღწევდა, არაბთა ჯარის სიმრავლემ დასძლია და VIII ს-ის 30-იან წლებში ქალაქი დაეცა. მთელ საქართველოში თითო-ოროლა ქალაქი თუ გადაურჩა მურვან-ყრუს შემოსევას. ვახუშტი აღნიშნავს, რომ ნოქალაქევიც „შემუსრა ყრუმ".

ნაქალაქის ცენტრში დიდი ფართობის დამუშავებამ ექსპედიციას საინტერესო სურათი გადაუშალა. აქ აშკარად ჩანს ხალხის პოტენციური ძალა — ეგრი აშენებდა სწრაფად, ძლიერ კედლებს და ტაძრებს, მაგრამ მტერი მოსვენებას არ აძლევდა: მტრის შემოსევის შენობები ვერ უძლებდნენ.

პირველი ეკლესია ქვეყნის დედაქალაქში, როგორც მოსალოდნელი იყო, აუგიათ ქრისტიანობის შემოღების დასაწყისშივე. ეს იყო დიდი ზომის დარბაზული ეკლესია, რომლის მხოლოდ აფსიდია დარჩენილი. იგი თარიღდება IV საუკუნის შუა ხანებით. ტაძრის ზომებს, ალბათ, განსაზღვრავდა ქვეყნის ცენტრის მოთხოვნები. დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ ბიჭვინტაშია აღმოჩენილი ასე ადრეული ხანით დათარიღებული ეკლესია.

ქვეყნის ცენტრი უეკლესიოდ ხომ არ იქნებოდა და სულ მალე მის ნანგრევებზე უფრო დიდი ზომის ახალი ეკლესია აუგიათ. პირველისგან განსხვავებით ეს უკვე ჩამოყალიბებული ფორმის, ტიპიური სამნავიანი ბაზილიკაა. იგი აგებული ჩანს V ს-ის შუა ხანებში. აქედან მოყოლებული ამ ტიპის ბაზილიკები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სხვაგანაც არა ერთი გვხვდება.

მტერს ეს ტაძარიც არ გაუჩერებია დიდხანს და ისე დაუნგრევია, რომ მისი აღდგენა ალარ უცდიათ და მის ნანგრევებზე ჩრდილოეთით, V-VI საუკუნეთა მოჭიანზე ისევ სამნავიანი ბაზილიკა აუგიათ. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მტრის შემოსევის შემდეგ მეფეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ ჭქონია შესაძლებლობა ეგეო უფრო დიდი თუ არა, იმავე ზომის ტაძარი მაინც. იგი გაციალებით მცირე ზომისაა და სიგრძით პირველს ერთი მესამედით ჩამოუვარდება.

ბოლომდე ამ შესაბე ეკლესიასაც ვერ გაუძლია. მაგრამ წინა ეკლესიების მსგავსად ეს ეკლესია ქალაქის შესვეურების სხვადასხვა თაობებს არ მოუტოვებიათ და ოთხჯერ აღუდგენიათ, ბოლოს ჩვენამდე გუმბათოვნად მოაღწია. შემდეგ „ორმოცმოწამეთა" ეკლესია ადგილობრივ დადიანების კიდევ ერთხელ გადაუკეთებიათ, ჩრდილოეთის მხარე გაუგანიერებიათ და საგვარეულო სამარხად უქცევიათ. იმავე დროს, XVI-XVIII სს. მოუხატავთ ინტერიერი. ფრესკული მხატვრობა თავისი ეპოქის კარგი ნიმუშია.

კედლის მხატვრობასთან დაკავშირებით ერთი იშვიათი შემთხვევა უნდა აღვნიშნოთ. ადრეულ ხანაში ეკლესიების მოხატვა აუცილებელი არ იყო, მაგრამ გვხვდება ცალკეული დეტალები. ასეთია აღმოსავლეთით უშუალოდ ქვაზე გამოსახული სხვადასხვა ზომის ფერადი ჯვრები. როგორც ირკვევა, ეს ჯვრები ეკლესიის თანადროულია, რაც უდავოდ ზრდის მის ღირებულებას.

იქვე, ამ ტაძრის დასავლეთით, ასევე ადრეული ხანის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია მდგარა, მისგან მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი.

ამ ეკლესიასთან და დიდ სამნავიან ბაზილიკასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო დეტალი. ეკლესიათა შიგნით მოწყობილია გამდინარე წყლით სანათლავი. ასეთივე სანათლავი გვხვდება ბიკვინტის სამნავიან ბაზილიკაში. როგორც ეტყობა, ეს სისტემა V-VI საუკუნეების დასავლეთ საქართველოში ზოგან მიღებული იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი მაგალითი არ გვხვდება.

სანათლავთან დაკავშირებით საერთოდ უნდა შეენიშნოთ, რომ დასავლეთ ევროპის კათოლიკური ეკლესიისმაგვარად, აღმოსავლეთში გავრცელებულმა მართლმადიდებლობამ არ იცის ეკლესიის სიახლოვეს ცალკე მდგარი სანათლავი, ბაპტისტერიუმი. ადრეულ პერიოდში, რიტუალის ჩამოყალიბების მომენტში, გამოყენებული აღნიშნული გადაწყვეტა შემდეგში აღარ გვხვდება. ჩვეულებრივ ქართულ ეკლესიებში გამოიყენებოდა სანათლავი-ემბაზი, ერთ ქვაში ქვაბივით ამოკვეთილი წყლის ჩასასხმელი.

ნოქალაქევში, ჩამოთვლილი ოთხი ეკლესიის გარდა, კიდევ არის VI ს-ში აგებული ერთი ეკლესია ზემოთ, მაღლა ციტადელზე. მას „მესარონს" ეძახიან და წმინდა გიორგის სახელობისაა. ეს არის საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია. მისი პროპორციები იშვიათი გემოვნებითაა ნაანგარიშევი და დეკორიც გაჩნია „ჭრიზმის" სახით, რომელიც ფაქტიურად ქრისტეს სიმბოლოს წარმოადგენდა.

ELIBRARY.GEORGIAN.GEO

არანაკლებ საინტერესოა ნოქალაქევში მიკვლეული ეგეოთა სასახლეები. საქმე ამაშია, რომ საქართველოში ადრეული საუკუნეების სასახლეებიდან აქამდე მხოლოდ ერთი იყო ცნობილი. ესაა ვახტანგ გორგასლის მიერ V ს-ის ბოლოს უჯარმაში აგებული კოშკური სასახლე. ამის მომდევნოდ გაითხარა ნოქალაქევში IV ს-ის სასახლე, რომელიც ორსართულიანი ყოფილა. მას მეტად საინტერესო დეგენერირება აქვს. შუაში დიდი დარბაზია, ორივე მხარეს განიერი, ხალვათი აივნებით, ბოლოებში კი სამ-სამი სხვადასხვა ზომის ოთახია. ასეთი კომპოზიცია ორსართულად უდავოდ კარგი სანახავი იქნებოდა. ამ სასახლის დანგრევის შემდეგ, V-VI ს-თა მიჯნაზე, ცენტრალურ მონაკვეთზე, სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევებზე დაუდგამთ სასახლე. პირველთან შედარებით ეს ახალი სასახლე დიდი კვადრებით უკეთ არის ნაგები, მაგრამ ზომებით პირველს ჩამოუვარდება. ასეთივე შეფარდებაა ძველ და ახალ ბაზილიკას შორის, რომელიც სასახლის თანადროულადაა ნაგები. თუ პირველი სასახლე ორსართულიანი იყო, მეორე სასახლე სამსართულიანია. აქ პირველი სართული დამხმარე იქნებოდა. მეორე სართულზე მეფის მისაღები დარბაზი და სხვა სათავსოები იქნებოდა განლაგებული, ხოლო მესამეზე საწოლი და მასთან დაკავშირებული სათავსები განლაგდებოდა. ამ სასახლესთან ერთადაა აგებული იქვე აღმოსავლეთით მდგარი კოშკი, რომელიც თავდაპირველად ორსართულიანი იყო. ზედა სართულში, ჩვეულებრივ, საყარაულო თავსდებოდა. ქვემოთ კი დღემდე კარგად მოღწეული თაღოვანი ჭიშკარია. იგი სამეფო უბნის ჭიშკრის კოშკს წარმოადგენდა. როგორც ყველგან, ისე ამ დედაქალაქშიც სამეფო უბანი გამოყოფილი იყო ქალაქისაგან. მონაცემფლობელს თუ ფეოდალს, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, აქაც თავისი საცხოვრებელი გამოყოფილი ჰქონდა მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისგან, რადგან მეფეს თუ დიდებულს ეშინოდა არა მარტო გარეშე მტრის შემოსეკისა, არამედ საკუთარი ქვეშევრდომის აჯანყებისაც. ამიტომ ეს „მაღლა მდგომნი" საკუთარი დაცვით ყოველთვის გამოყოფილნი იყვნენ. ქალაქის გალავნის შიგნით მეფის რეზიდენცია მცირე გალავნით იყო შემოფარგლული. ამ გალავნის შიგნით იყო სასახლე, ეკლესია და სხვა საჭირო ნაგებობები.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებიდან მეტად მნიშვნელოვან შემთხვევასთან გვაქვს საქმე ნოქალაქევში. აქ გათხრებმა გამოავლინა ორი ბანო — ერთი მთავარი კაპიტალური ნაგებობაა, რთული გეგმისაა და მაღალი გემოვნების მქონე, გამოცდილი ოსტატის მიერაა აგებული. მეორე ბანო შედარებით მომცირია და მარტივადაა ნაგები. შენო-

ბების ასეთი მკვეთრი განსხვავებ[illegible] სპედიციამ პირველს პირობით[illegible] ნო" შეარქვა, მეორეს კი „ხამ[illegible] ორივე ბანაო ცენტრალური გამო[illegible] ზეა აგებული. ჯერ კიდევ ანტიკ[illegible] სისტემა გამოიგონეს რომაელებმ[illegible] გავრცელდა მაშინდელ ცივილიზ[illegible] როში.

გვიანანტიკური და ადრეფეოდ[illegible] ასეთი სახის აბანოები საქართველ[illegible] დება. ამ ნაგებობებმა თავიდანვე [illegible] თული ფორმა და სახე. ასეთი [illegible] ლოგების მიერ იბერიისა და [illegible] ფოების ტერიტორიებზე ჯერჯერობ[illegible] ტიდეები აღმოჩენილი. საოცარი [illegible] აქედან ექვსი აბანო ნოქალაქევში [illegible] გვლევ თბუთმეტიოდე კილომეტრის [illegible] განლაგებული. სხვას რომ ყველაზ[illegible] დავანებოთ, ასე მცირე ფართობზ[illegible] ნოთა სიუხვე კმარა ეგრისის საბ[illegible] ნომიკური სიძლიერის საილუსტრა[illegible] ლო მიგიენის საკითხებიც მაღალ [illegible] ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

ნაქალაქარის გათხრებისას მრავ[illegible] დიდძალი მასალა იქნა მოპოვებ[illegible] დიდი ნაწილი, როგორც მოსალ[illegible] ადგილობრივი წარმოშობისაა, [illegible] შემოტანილიც. ამ იმპორტული [illegible] ძლება დავახასიათოთ, თუ რომელ ქვ[illegible] ნდა ციხეგოჯს ურთიერთობა. [illegible] დიდი არეალი. მასალას თუ გა[illegible] ვშირი ჩანს, როგორც ახლო მდ[illegible] ის ქვეყნებთან, ისე ხმელთაშუა [illegible] ლივ განლაგებულ ზოგიერთ ქვ[illegible]

რამდენიმე ნივთი, შემთხვევით [illegible] თარიღდება ძვ. წ. აღრიცხვის [illegible] შუა წლებით, მაგრამ მათ მიხედ[illegible] ვში დასახლების არსებობაზე [illegible] ლია, მაშინ, როცა ძვ. წ. აღრ[illegible] სს. კერამიკული ქანდაკებები აწყ[illegible] ლებს აქ არსებულ დასახლებაზ[illegible] ნოქალაქევში ამ დროის მოსახლ[illegible] რტო ჩვეულებრივ კერამიკას აწარ[illegible] ფილ ქმნიდა შინაური, გარეული [illegible] ტკეური ცხოველებისა და ფრინველ[illegible] რე ზომის ქანდაკებებს. ეს უკვ[illegible] ტურის განვითარების მაღალ დონ[illegible] ლებს.

თანდათანობით იზრდება [illegible] რმოშობის კერამიკული ნივთ[illegible] და შესამჩნევად მაღალ დონ[illegible] წ. აღრიცხვის IV-III სს. მიჯნ[illegible] ერისთავი ჭუკი აშენებს ციხეგოჯ[illegible] ველი ურთიერთობა მყარდება ახლ[illegible] მდებარე ანტიკური სამყაროს [illegible]

ძვ. წ. აღრიცხვის III საუკუნე[illegible] რი სამაროვანი გამოვლენილია [illegible] მახა მეტრის სიგრძეზე. ამ ეპოქ[illegible] ბორც კოლხეთის დასახლებ[illegible] ტერიტორიაზე. [illegible] ზოგად სამარხ ჯურჭლად ავლენენ ქვ[illegible] რებს სწორედ ამ ეპოქ[illegible] ბოდნენ დიდებულებ[illegible] ულები, ხოლო მათ წინ, [illegible] ფულები, ხოლო მათ [illegible] ბიცვალებული [illegible] ეს ეპ[illegible] ფლობს, [illegible] ფოქრობს, [illegible] ფოქრობ[illegible] [illegible] ფოქრობ[illegible] [illegible] ფოქრობ[illegible] [illegible] ფოქრ[illegible] [illegible] ფ[illegible] [illegible] ფ[illegible] [illegible] ფ

ნანგრევებს აძევს, შთამბეჭდავია. საფიქრებელია, რომ ასეთ მასშტაბურ ნგრევაში არაბთა სარდლის მურვან-ყრუს ხელი ურევია. თუ ეს ასეა, მაშინ ამ დიდებულის რეზიდენციაში ცხოვრება VIII საუკუნის 80-იან წლებში ჩამქრალა.

გადის ორიოდე ახეული წელი და ამ ადგილას ხელახლა იწყება ცხოვრება. X ს-ის ბოლოს აქ აშენდა ახალი ტაძარი. უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ტაძრის ტიპი, რომელიც საქართველოში პირველად იქნა გამოვლენილი. ესაა რვაფსიდიანი ეკლესია, რომელიც ქართული არქიტექტურის განვითარების საფეხურს აშკარად აკლდა (მის მაგივრად იყენებდნენ სამხრეთ საქართველოში მდგარ ტაოსკარის ეკლესიას, რომელიც ფაქტიურად რვაფსიდიანი კი არ არის, არამედ რვა სწორკუთხა სხივანია). როგორც ვხედავთ, ასეთი ტიპი უნიკალური მოვლენაა და ექსპედიციის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამას გარდა, ეს ტაძარი იმითაც არის საინტერესო, რომ მის კედლებზე შემორჩენილი ორი გრძელი წარწერიდან 80-ოდე ასომთავრული ასოა შემორჩენილი. ეტყობა, წარწერა ორ რიგად იყო განლაგებული და თუ ერთი რიგი 15 სმ. სიმაღლისაა, მეორე 20-ს აღემატება, როგორც იმ ეპოქის ეპიგრაფიკას ახასიათებს, ასოთა შიდა ზედაპირი წითლად ყოფილა შეღებილი. ასე კარგად შენახული და დათარიღებული წარწერა მეორე არ მოიძებნება იმ ეპოქის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვრიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვერცხლის მონეტების განძი ტრაპიზონის კომნენებისა და რუმის სელჩუკებისა. ეს მონეტები XIII ს-ის შუა ხანებისაა და იმავე საუკუნის ბოლოს ხანძარშია მოხვედრილი. როგორც ეტყობა, მაშინ გადაუწვავთ X ს-ის ტაძარი და მასთან დაკავშირებული ნაგებობები.

XIII ს-ის მეორე ნახევარში ტაძარი მტერს დაუნგრევია და ტერიტორია გადაუბუგავს. კარგა ხანს აქ სიწყნარეს დაუსადგურებია.

ნოჯიხევის სამხრეთ-დასავლეთით, სამიოდე კილომეტრზე, ექსპედიციამ მცირე შემაღლების ქვეშ აღმოაჩინა IX ს-ის ე. წ. გუმბათოვანი დარბაზის ტიპის ეკლესიის ნანგრევი, რომლის მსგავსიც დასავლეთ საქართველოში სხვა არ აღმოჩენილა.

ამათ გარდა, ნოქალაქევის ექსპედიცია კიდევ მრავალ ადგილას მუშაობდა. მათ შორის აღვნიშნავთ იმ ციხეებს, რომლებიც ეგრისის მეფეების მიერ არის აგებული ციხეგოჯი-ნოქალაქევის თანადროულად. ნოქალაქევის სიახლოვეს ასეთებია: დასავლეთით — კოტიანეთი, შხეფი, „საკალანდარაშვილი", ხოლო ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით — აბედათი. იგი ამჟამად ჩიხში მდებარეობს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ადრე ამ მთებში გზა უღელტეხილით ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. ყველა ნიშნით, ეს ის ციხეა, რომელსაც ბიზანტიელები ონოგურის უწოდებენ და ციხეგოჯი — არქეოპოლისის მისადგომებს იცავდა. ბიზანტიელ ისტორიკოსებს აღწერილი აქვთ ომები არქეოპოლისთან მისვლამდე, ონოგურისის კედლებთან. დღემდე მეცნიერები ეძებდნენ ონოგურისის ციხეს, ვარაუდობდნენ სხვადასხვა პუნქტს, მაგრამ ამ ედათისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, ამიერიდან კი ონოგურისის ციხე მოკალეულად უნდა მივიჩნიოთ.

წლების განმავლობაში ეგრისის ციხეებზე დაკვირვებამ მიგვიყვანა ის დასკვნამდე, რომ ამ სახელმწიფოს საკუთარი დაცვის სისტემა შეუმუშავებია და შეიძლება გადაუპარბებლად ითქვას, რომ მისი გადაწყვეტა ძალიან მაღალი დონისაა.

ქვეყნის დაცვის ეს სისტემა შემდეგში მდგომარეობს. კოლხეთის ცენტრალური მონაკვეთი ორი სრულიად განსხვავებული რელიეფისგან შედგება. შუაზე დაბლობია, ხოლო ჩრდილოეთით იწყება მთები. დაცვა სწორედ რელიეფების ამ კონტრასტზეა აგებული.

კოლხეთი-ეგრისი მტერს ძირითადად სამხრეთიდან ელოდა, ან აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. მტერი თუ ძლიერი იყო და ცენტრამდე მოაღწევდა, აქ დაბლობზე მისი შეკავება ძალიან ძნელი იყო. ამიტომ დაცვის ხაზი განლაგდებოდა ბილმოსის საზღვარზე. ციხეებია აღმოჩენილი ხეობების დასაწყისებში ან ცოტა ზემოთ. მტრის სიჯარბის შემთხვევაში მოსახლეობა მთებს აფარებდა თავს, ხოლო ხეობების დასაწყისში აღმართული ციხეები ფარად რჩებოდა მტრის ჯარის წინ. დაცვის ასეთი ხაზია ცხენისწყლიდან კელასურასოხუმამდე. ამ ციხეთა ერთი ნაწილი მიკვლეულია და ასეთ სურათს ვღებულობთ: აბედათი — ონოგურისი, ციხეგოჯი — არქეოპოლისი, კოტიანეთი, შხეფი, „საკალანდარაშვილი", ეკი, ხეთა, ჯაქვინჯი, სკური, სათანჯო, წარჩე, რეკა, წებელდა და სხვა.

თუ სახელმწიფო ძლიერი იყო და სიმაგრეთა ეს ჯაჭვიც კარგად მოქმედებდა, ქვეყნის დაცვა ადვილდებოდა. ამ ჯაჭვის მოქმედება ბევრად იქნებოდა დაკავშირებული სიგნალის მიწოდებაზე. მტრის მოახლოებას ერთი პუნქტიდან მეორეში გადასცემდნენ და ეს იყო დაცვის მომზადების საწინდარი. სიგნალის გადაცემა, ისე როგორც სხვაგან, აქაც ალბათ, კოცონებით ხდებოდა.

როგორც უველაფრიდან ჩანს, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი საქართველოს წარსულის, კერძოდ, ხუროთმოძღვრებისა და, საერთოდ, კულტურის ისტორიის შესასწავლად მრავალსშემცველი ძეგლია, გთხრები ჯერ კიდევ გრძელდება და, ვინ იცის, კიდევ რამდენ საიდუმლოს ინახავს კოლხეთის მიწა...

მაკა მაისურაძე

„მსოფლმხედველობა და პოეტიკა“ უილიამ ბლეიკის ციკლში „უმანკოების ჰანგები“

> უილიამ ბლეიკი (1757–1827) — გამოჩენილი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი და მხატვარია. სიცოცხლეში მისი შემოქმედება ძირითადად შეუფასებელი დარჩა, მაგრამ XIX ს-ის შუა ხანებიდან ინტერესი მისადმი სულ უფრო ძლიერდებოდა. ჩვენს დროში უ. ბლეიკს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ინგლისელ რომანტიკოსად მიიჩნევენ, რომელიც მრავალმხრივ ეხმიანება მისი შემდგომი ეპოქების პოეტთა თუ მოაზროვნეთა შემოქმედებას. უ. ბლეიკის პოეტური მემკვიდრეობიდან ძირითადია: პოეტური ციკლები „უმანკოების ჰანგები“ (1789), „გამოცდილების ჰანგები“ (1794) და, აგრეთვე, მისი ვრცელი პოემები ე. წ. „წინასწარმეტყველებები“, რომლებშიც პოეტმა მთელი საკაცობრიო კულტურული და გონითი ისტორიის ძალზე თავისებური პოეტური ხატი შექმნა.

მიჩნეულია, რომ პოეტური ციკლი, როგორც ჟანრობრივი წარმონაქმნი, თავისი საბოლოო სახით მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა: «Возникла необходимость осмыслить это явление, окончательно сформировавшееся лишь к началу XX века»[1].

წერს ი. ვ. ფომენკო სტატიაში «О поэтике лирического цикла». ამრიგად, მკვლევარი ახლა ისევე უნდა მიუდგეს ლექსთა ციკლს, როგორც ლიტერატურის სხვა ჟანრს ანუ განიხილოს იგი როგორც რაღაც მთლიანი სტრუქტურა ან სისტემა, რომელიც არ წარმოადგენს მისი შემადგენელი ელემენტების (ლექსების) უბრალო არითმეტიკულ ჯამს.

«...Содержание цикла (книги стихов) не сводится к сумме содержании отдельных стихотворений, отличается от нее качественно».[2]

ამავე სტატიაში ავტორი გამოყოფს ციკლის, როგორც ჟანრის, რამდენიმე შინაარსობრივ-ფორმალურ ნიშან-თვისებას: 1. „ციკლი მუდამ საავტორო ციკლია, რომლის მთლიანობა ავტორის ჩანფიქრითაა განპირობებული; 2. ციკლს გააჩნია ავტორისეული სათაური და მისი შემადგენლობა სხვადასხვა გამოცემაში რამდენადმე უცვლელია. 3. მიმართება ცალკეულ ლექსსა და მთელ ანსამბლს შორის ესაა მიმართება ელემენტსა და მთლიან სისტემას შორის, (მეოთხე ნიშან-თვისება — ის, რომ ციკლი შინაარსობრივად არაა მის შემადგენელ ლექსთა უბრალო ჯამი, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და ბოლოს კი, „პრინციპულად მნიშვნელოვანია ციკლური კავშირები ცალკეულ ლექსებს შორის; ეს კავშირები ქმნიან დამატებით (სიღრმისეულ) მნიშვნელობებს...“

ციკლის კომპოზიციის პრინციპებზე საუბრისას ი. ვ. ფომენკო, ლ. ე. ლეპინას დებულებათა მოშველიებით, გამოყოფს ორ ძირითადს: კომპოზიცია დაფუძნებული აღწერილ სინამდვილეზე ან კომპოზიცია დაფუძნებული ავტორის სუბიექტური ცნობიერების კანონზომიერებაზე“.[3]

და აი, ციკლის კიდევ ერთი თავისებურება: „ლექსი, ერთი მხრივ, დასრულებულია და თითქოს არავითარ გაგრძელებას, განვითარებას აღარ გულისხმობს, მაგრამ, მეორე მხრივ, გარკვეული თანმიმდევრობით განლაგებული ციკლში შემავალი ლექსები დიალოგურ ურ-

[1] Фоменко И. В. «О поэтике лирического цикла», стр. 38.

[2] Фоменко И. В. «О принципах композиции лирических циклов», «Серия литературы и языка», т. 45, № 2, 1986, ст. 130.

[3] Фоменко И. В. о принципах композиции лирических циклов». «Серия литературы и языка», т. 45, 1986, № 2, стр. 13[illegible]

თიერთმიმართებაში იმყოფებიან ერთმანეთთან“.[4]

აქვე გვინდა განსაკუთრებით გამოვყოთ ციკლის ზემოხსენებულ შინაარსობრივ-ფორმალურ ნიშან-თვისებათაგან მეზუთე: ციკლური კავშირები ცალეულ ლექსებს შორის. რა კავშირებია ეს? უფრო ზუსტად, რა ქმნის ამ კავშირებს? ლირიკულ ციკლში, ჩვეულებისამებრ, შეინიშნება ერთი ან რამდენიმე სიტყვა, ე. წ. საყრდენი სიტყვები, რომლებიც მეორდებიან სხვადასხვა ლექსებში... მაგრამ ციკლში მეორდებიან არა მარტო ცალკეული სიტყვები; განმეორებადია, ასევე, თემა, მოტივი, განწყობილება[5] ყოველივე ეს ერთ სისტემად ჰკრავს ციკლის ლექსებს და წარმოქმნის იმ განსაკუთრებულ ჟანრს, რომელსაც ლირიკული ციკლი ეწოდება.

როგორ შეიძლება დახასიათდეს უ. ბლეიკის ციკლი „უმანკოების ჰანგები“ ციკლის, როგორც ჟანრის ყველა ზემოთჩამოთვლილი ნიშან-თვისების მიხედვით?

„უმანკოების ჰანგები“, როგორც ამას თვით ციკლის სათაურიც გვიჩვენებს, წარმოშვა იმ მნიშვნელობის საფუძველზე, რომელსაც უ. ბლეიკი აქსოვდა სიტყვაში „უმანკოება“.

ის, რომ ციკლის ძირითადი თემა უმანკოებაა, მინიშნებულია სათაურშივე. საბოლოო ანგარიშში ციკლი მთელი თავისი უანრობრივი სტრუქტურით ემსახურება უმანკოების ბლეიკისეული იდეის გამოხატვას.

რასაკვირველია, უმანკოების იდეას ბლეიკისთვის არა აქვს თავისთავადი მნიშვნელობა. ამ იდეას მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც მეორე, მასთან პოლარულად დაპირისპირებულ გამოცდილების იდეასთან ერთად იგი წარმოგვიდგენს ადამიანს მთელი მისი სისავსითა და წინააღმდეგობით. ამიტომ, უმანკოება, როგორც თემა, უნდა გავიგოთ როგორც ადამიანის თემა, რასაკვირველია, გაშლილი არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ერთი გარკვეული ასპექტით. უმანკოება ამ პოეტისათვის ის მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი ყოველგვარი განსჯის, ამა თუ იმ მოვლენის განზოგადებისა თუ ანალიზის გარეშე, უშუალოდ სწვდება მას, მთელ სამყაროს და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. უმანკო ადამიანი არაა გულგრილი გარემოს სინამდვილის მიმართ. იგი ხედავს ადამიანური ცხოვრების მანკიერებებს (სოციალურს [და სხვ), მაგრამ არ განსჯის, თითქოს არც კი გმობს მათ. არა იმიტომ, რომ ისინი მას არ ეხება, ან არ აწუხებს, არამედ იმიტომ, რომ იგი (შესაძლოა ქვეცნობიერადაც), რაღაც უფრო მნიშვნელოვანის, უფრო დიდი არსის ნაწილად მიიჩნევს თავს.

უმანკოების არსზზე მსჯელობისას. ა. მ. ზვერევი წერს: «Скорее это некое духовное качество, подспудно хранящее память о том, каким является в мир — «взрослый» мир, неизбежный для него... Каждый человек, каким он создан по законам веры и любви»...

ალბათ, სწორედ ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა ბლეიკი „უმანკოების“ ციკლის შექმნისას, ეს უნდა ყოფილიყო მისი ჩანაფიქრის არსი.

თუმცა მთელი ციკლი ემსახურება უმანკოების თემის გაშლას, ეს თემა არაა ერთადერთი. ციკლის თემატურ-მოტივური სტრუქტურა გაცილებით უფრო რთულია. უმანკოების ცენტრალურ თემას ექვემდებარება სხვა თემები — მშობლის და შვილის ურთიერთდამოკიდებულება, ადამიანისა და ღმერთის თემა და სხვ., რომლებიც ცენტრალურ თემასთან მუდმივი ურთიერთქმედების გზით იძლევიან უმანკოების ბლეიკისეული იდეის შინაგანად დაბალანსებულ ხატად ქცევის შესაძლებლობას.

ციკლის ზემოხსენებულ ნიშან-თვისებათაგან ერთ-ერთი ციკლური კავშირებია. რა სახით წარმოგვიდგებიან ეს კავშირები უ. ბლეიკის ციკლში „უმანკოების ჰანგებში?“ პირველ რიგში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ახეთ კავშირებს გამოხატავენ საყრდენი სიტყვები child (ბავშვი) lamb (ბატკანი) father (მამა, ღმერთი), რომელთაც ჩვენ განვიხილავთ მათი ფუნქციონირების ორ განზომილებაში: 1. პროცესულ-დინამიურად და 2. იერარქიული სისტემის სახით.

„უმანკოების ჰანგების“ საყრდენი სიტყვების (სიტყვა-სიმბოლოების) ფუნქციონირების პროცესულ-დინამიური განზომილების გამოსაკვეთად ჩვენ მოგვიხდება თვალი გავადევნოთ, თუ რა თანმიმდევრობით შემოდიან ესინი ბლეიკისეულ ტექსტში და რა დამატებით მნიშვნელობებს, რა შტრიხებს იძენენ ციკლის სხვადასხვა ლექსში. ხოლო, რაც შეეხება იერარქიულ სისტემას, იგი შემდეგს გულისხმობს: სიტყვა — სიმბოლოთაგან ერთ-ერთი უთუოდ ცენტრალურია, დანარჩენები კი მას ექვემდებარებიან.

„უმანკოების“ ციკლის შესავალშივე ჩნდება სიტყვა — „სიმბოლო“ (ბავშვი) და მასთან დაკავშირებული ბავშვობის თემა, რომელიც მთელ ციკლს წვიფელ ზოლად გასდევს. ამ დიალოგური სტრუქტურის მქონე ლექსში (დიალოგში) მონაწილეობენ მესტვირე (piper) და ბავშვი (child). ამ უკანასკნელს წამყვანი როლი ენიჭება. იგი, ასე ვთქვათ, სტიმულის მიმცემია

[4] Лепина Л. Е. «Лирический цикл в русской поэзии 1840—1860-х г.г.». Автореф. канд. дисс., Л., 1977, стр. 14.

[5] Фоменко И. В. «Сюжетосложение в русской литературе». Даугавпилс, 1980. Ст. Сапогова В. А. «Сюжет в лирическом цикле».

დიალოგის მეორე მონაწილისათვის — მესტვირისათვის:

(დაუკარი სიმღერა კრავზე;

და მე სიხარულით დავუკარი)

(პწკარედური თარგმანი აქ და შემდგომ ჩვენია — მ. მ.).

როგორც ვხედავთ, უკვე შესავლშივე ჩნდება — „უმანკოების" ციკლის მეორე საყრდენი სიტყვა (Lamb) კრავი, რომლის დიდი ასოთი დაწერა მკითხველის გონებაში უმალ ქრისტეს ასოციაციას გამოიწვევს; მაგრამ მასთან გამოყენებული განუსაზღვრელი არტიკლი (a) მკვეთრად ცვლის არა მარტო თვით Lamb-ის), არამედ სიტყვა — სიმბოლო „child"-ის მნიშვნელობასაც, უკიდურესად აღრმავებს მას. „შესავლის" კონტექსტში ბავშვი ქრისტის უტოლდება და ქრისტეს სახელთან დაკავშირებული ფარული შინაარსობრივი კონტექსტი ბავშვზე გადადის. ხოლო „Lamb", ჩვენი დაკვირვებით, ამ ლექსში უნდა ნიშნავდეს ბავშვს, როგორც ასეთს, ყოველ შესაძლო ბავშვს.

ამრიგად, „უმანკოების მანგების" „შესავლში" გამოკვეთილი ორი სიტყვა — სიმბოლოდან („child" და „Lamb") ამ შემთხვევაში მეორე უფრო ფართო აღმოჩნდა, ისე, რომ თავისი სპეციფიური მნიშვნელობის გარდა პირველის მნიშვნელობა მოიცავა: (ყოველი შესაძლო ბავშვი, ისევე როგორც ქრისტე).

ლექსში „მწყემსი" სიტყვები „მწყემსი", „კრავი" და ღმერთი" ერთ სემანტიკურ მწკრივში თავსდებიან, მათ შორის არსებული მჭიდრო შინაარსობრივ-საზრისობრივი კავშირის გამო, რომელიც ამავე დროს არ გულისხმობს მათ იგივეობას. ეს უფრო მრავალსახეობის ერთიანობაა.

რაც შეეხება სიტყვა-სიმბოლო „Lamb"-ს the Lambs innocent call"" — ეკითხულობთ „მწყემსში" პირველ, „შესავალში" აღმოჩენილ მნიშვნელობას, აქ ემატება ახალი — იგი აღნიშნავს ყველა იმას, ვინც მზრუნველობას საკერეოს, უხმობს თავის მწყემსს. ამ ორი მნიშვნელობის მაკავშირებელად, მათ შორის გადებულ ხიდად ჩვენ მივიჩნიეთ სიტყვა „innocent", რომელიც ამ ორი ლექსის მთლიანი კონტექსტიდან და, საერთოდ, ციკლიდან გამომდინარე შუალედური რგოლია პირველი ლექსის „Lamb"-სა და მეორის „Lamb"-ს შორის. სწორედ მისი მეშვეობით იქმნება შემდეგი სახით წარმოდგენილი სემანტიკური მწკრივი: ბავშვი — ქრისტე (მამა, მწყემსი) — კრავი.

ლექსში „კრავი" ეს სიტყვა-სიმბოლო, რომელიც „შესავალში" და „მწყემსში" გამონთქვამის ობიექტი იყო, ახლა მიმართვის სუბიექტად წარმოგვიდგა. („Little lamb who made thee") საინტერესოა ლექსი სტრუქტურულადაც: ეს არის ბავშვის ავტოდიალოგი. ბავშვი ხვამს კითხვებს და თვითონვე პასუხობს მათ. აქ ჩვენ ვხვდებით ხამივე სიტყვა-სიმბოლოს: ბავშვი, ბატკანი და ქრისტე; ამასთანავე, ქრისტე მოხსენიებულია ხან ბატკანად, ხანაც ბავშვად. ამ ლექსის არსი კონცენტრირებულია შემდეგ სტრიქონებში:

(მე — ბავშვს და შენ — კრავს

ჩვენ მისი სახელი გვქვია).

ე. ი. ვღებულობთ ბავშვისა და ბატკნის თანხვედრას ქრისტესთან მიმართებაში. (ამ სტრიქონებითვე გადმოცემულია ლექსის არსობრივი, საზრისეული დროის მიღმა არსებული განზომილება: ქრისტეს პირველადობა, უფრო სწორად, „ბავშვობისა" და „ბატკნობის" შემცველი მისი ბუნების ასპექტების პრიმატი.

შეიძლება ითქვას, რომ ციკლის თემატური სტრუქტურა დაფუძნებულია საყრდენ სიტყვათა სისტემით. „უმანკოების მანგებში" წარმოდგენილ თემათა ურთიერთმიმართება აისახება საყრდენ სიტყვათა ურთიერთმიმართებაში და პირიქით. მაგრამ ციკლის თემატურ სტრუქტურასთან დაკავშირებულია არა მარტო საყრდენ სიტყვათა სისტემა, არამედ ციკლის მოტივთა სისტემაც, მისი მოტივური სტრუქტურაც. თუ ციკლის პოეტიკის ორი ზემოხსენებული მომენტი — თემატური სტრუქტურა და საყრდენ სიტყვათა სისტემა უშუალოდ მიმართულია უმანკოების, როგორც ადამიანური საწყისის გამოხატვისკენ, ციკლის მოტივური სტრუქტურა აქ ადამიანური საწყისის შინაგან შინაარსს გვიჩვენებს სამყაროს, როგორც ერთიანი კოსმოსის ფონზე. „უმანკოების" ციკლში გამოიყოფა ორი მოტივი, რომლებიც თავიანთი ურთიერთდაპირისპირებულობით გამოხატავენ უ. ბლეიკის წარმოდგენილ კოსმოსზე. როგორც ციკლის პოეტიკა გვიჩვენებს, ამ პოეტისათვის სამყარო არის ორი დაპირისპირებული საწყისის — დღისა და ღამის ანუ ნათელისა და ბნელის მარადი ჭიდილი. მაგრამ „უმანკოების" ციკლში მოცემულია არა მარტო ამ მოტივთა დაპირისპირება, (ასეთი უბრალო დაპირისპირება მათ ურთიერთმიმართებას დაგვანახებედა მხოლოდ მორიზონტალურ პლანში, მხოლოდ სტატიკურად), არამედ ამ დაპირისპირების გარკვეული განვითარებაც. სხვაგვარად, ციკლი იძლევა ხსენებულ მოტივთა ურთიერთმიმართებას ვერტიკალურ კრილშიც — იგი წარმოდგენილია ციკლის მოტივური რიტმით.

ხსენებული დღისა და ღამის მოტივი, ჩვენი აზრით ციკლში შემოდის მცირე ზომის, მაგრამ საკმაოდ რთული ლექსით „კოკორი". ლექსის ინტერპრეტატორთა მიერ შემოთავაზებულ მრავალგვარ წაკითხვათაგან შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი: ერთი, რომელიც ლექსს სქესთა ურთიერთობის სიმბოლურ გამოხატულებად მიიჩნევს (მაგალითად, დ. ჯ. გილმი) და მეორე, რომელიც უარყოფს ამგვარ წაკითხვას (ი. დ. ჰირში), მაგრამ, ამჯერად, ჩვენ

ეს ლექსი გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი აშკარად დღის მოტივის გამომხატველია. მართალია, არც დღეს და არც ღამეს პოეტი აქ არ ახსენებს, მაგრამ ლექსის, ასე ვთქვათ, „დღისეულობა“ ეჭვგარეშეა. მასში მოხსენებული ბეღურა, მეეოლია თუ კოკორი რაღაც პრინციპულად ერთი რეალობის განუყოფელი ნაწილებია და ერთმანეთთან დინამიურ კავშირში იმყოფებიან.

„კოკორის“, როგორც თუნდაც სქესთა ურთიერთობის გამომხატველი ლექსის ინტერპრეტაციის შემთხვევაში კი იგი დღის სფეროში რჩება, ვინაიდან სქესთა ურთიერთობას უ. ბლეიკი ჭეშმარიტი, „ოთხმაგი ხედვის“ მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად, ერთ-ერთ საფეხურად მიიჩნევდა.

დღის ამ მოტივს უპირისპირდება ღამის მოტივი, რომელიც საფუძვლად უდევს ციკლის მომდევნო ლექსს „საკვამლე მილების მწმენდავი“, რომელიც კვლავ განგრძობს ბავშვისა და ბავშვობის თემას. ამ ლექსში პირველად ხდება იმ შინაარსული კონტექსტის გაფართოება, რომელშიც მოხვედრილია ბავშვი, როგორც ბლეიკისეული სახე-სიმბოლო, ბავშვი ახლა სრულიად აშკარად ხვდება ისეთ სასიცოცხლო გარემოში, ისეთ სამყაროში, რომლის არსიც გადმოიცემა სიტყვით „night“ (ღამე). ღამის მოტივი ამ ლექსში ბავშვობის თემასთან ერთად გამოიკვეთება და სწორედ ამ მოტივის ფონზე იშლება მამობრივ და დედობრივ საწყისებს შორის განსხვავების თემაც. ბავშვის ყველა უბედურების წყაროდ, ასე ვთქვათ, ღამის საუფლოში მისი მოხვედრის ძირითად მიზეზად დედის გარდაცვალებაა ნაჩვენები. ამასთანავე, ღამე, როგორც სამყაროსა და არსებობის უარყოფითი მოდუსი და ხორციელი მამა მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან ერთმანეთთან. რომ არა მამა, რომელმაც მცირეწლოვანი ბავშვი საკვამლე მილების მწმენდავად გაყიდა, ბავშვისთვის ღამე არ დადგებოდა. მაგრამ ღამე და სიკვდილი (ამ მხრივ, სიტყვები „coffins of black“ ღამისეულობის გაგრძელება-გაღრმავებად, მის ლოგიკურ დაბოლოებად მიგვაჩნია), სამყაროს ის ნეგატიური გამოვლინებაა, რომელიც უთუოდ უნდა დაიძლიოს, გადაიალახოს. ღამის წყვდიადის გაფანტვა კი მხოლოდ სინათლეს ძალუძს, რომლის მომტანად ლექსში ბრჭყვიალა გასაღებით აღქურვილი ანგელოზი გვევლინება.

„საკვამლე მილების მწმენდავი“ საგულისხმოა თემატურადაც. ესაა პირველი ლექსი „უმანკოების ჰანგებში“, რომელშიც ადამიანი აშკარად ქალაქურ გარემოშია მოცემული. ლექსის კონტექსტზე დაკვირვება წარმოაჩენს ამ ორი რეალობის, ადამიანი და ქალაქი, — მკვეთრ დაპირისპირებულობას. ქალაქი ლექსში წარმოგვიდგება იმ ადამიანისათვის მტრულ გარემოდ, რომლიდან თავის დაღწევა მისთვის რეალურ პლანში თითქოს შეუძლებელია, მაგრამ თავის დაღწევას ქალაქიდან, ღამიდან, სიკვდილიდან ადამიანი შეძლებს თავის შინაგან ძალთა სრული გამოვლენით, იმით, რომ გადალახავს ბოროტებას სიკეთით, თანადგომით. სწორედ ასე უნდა გავიგოთ ლექსის უკანასკნელი, თითქოსდა სრულიად ბანალური სტრიქონი მოვალეობის შესრულების შესახებ.

(თუ ყველა შეასრულებს თავის მოვალეობას,
არ უნდა ეშინოდეთ ვნებისა).

საკვამლე მილების პატარა მწმენდავი მართლაც აღასრულებს თავის მოვალეობას იმით, რომ თანაუგრძნობს მეორე, მასავით პატარა ბავშვს და სწორედ ამიტომ მას აღარ სცივა სუსხიან დილით.

ციკლის მომდევნო ორ ლექსში „დაკარგული ბიჭი“ და „ნაპოვნი ბიჭი“ უ. ბლეიკი კვლავ ათავსებს „უმანკოების“ ცენტრალურ სახე-სიმბოლო „ბავშვს“ ღამის არეალში. და აქაც ღამე დაკავშირებულია მამობრივ საწყისთან. „საკვამლე მილების მწმენდავთან“ შედარებით „დაკარგულ ბიჭში“ მამობრიობა უფრო მკვეთრად გამოყოფილი, უფრო მძლავრი ნეგატიური ძალაა, ვინაიდან ბავშვი აქ მარტოდმარტოა მის წინაშე, დედობრივი საწყისი ლექსში სრულიად აღარ ფიგურირებს.

(მამა, დაელპარაკე, დაელპარაკე შენს
პატარა ბიჭს, თორემ დავიკარგები!)

— ამბობს ბავშვი და მკითხველს წარმოუდგება, რომ თითქოს მამასთან დიალოგის უქონლობაა სწორედ ბავშვის მთელი უბედურების არსი.

ლექსში „ნაპოვნი ბიჭი“ აღიქმება წინა ლექსის ლოგიკურ დაგვიანებად. ორივე ლექსი — „დაკარგული ბიჭი“ და „ნაპოვნი ბიჭი“ თითქოს ერთ მთლიანობას წარმოადგენს თემისა და მოტივის თვალსაზრისით. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ბლეიკს შეუძლებლად მიაჩნდა ღამის დაუძლეველობა და „ნაპოვნი ბიჭის“ შექმნაც თითქოს სწორედ ამით უნდა იყოს ნაკარნახევი. ამ ლექსში ბიჭს ღმერთი მამის სახით წარმოუდგება. აქვე ჩნდება დედის სახეც. ამრიგად, ღამისა და მამობრივი საწყისის დაძლევა ხდება მამის სახით წარმოდგენილი ღმერთისა და, ასევე, რამდენადმე დედობრივი საწყისის ურთიერთქმედების შედეგად: ღმერთს ბავშვი დედასთან მიჰყავს.

„საკვამლე მილების მწმენდავი“, „დაკარგული ბიჭი“ და „ნაპოვნი ბიჭი“ ჩვენს აზრით, ქმნიან თავისებურ მიკროციკლს „უმანკოების ჰანგების“ ფარგლებში. რას ეფუძნება ჩვენი ეს მოსაზრება? პირველ ყოვლისა, ამას გვაფიქრებინებს ამ ლექსებს შორის არსებული მოტივური კავშირი, მათში მკვეთრად გამოყოფილი ღამის მოტივი. აქ პატარა ბიჭის გარდა მთავარ პერსონაჟად გვევლინება მამაც. მართალია, „ნაპოვნ ბიჭში“ ხორციელი მამა არაა მოხსენიებული, მაგრამ მამა როგორც ასეთი,

მაინც მეტად მნიშვნელოვან კონტექსტშია მოთავსებული:

(მაგრამ მუდამ მახლობლად მყოფი ღმერთი
გამოჩნდა მის თვალწინ ფერფლებში მყოფი
სახით).

„საკვამლე მილების მწმენდავსა“ და „დაკარგულ ბიჭში“ მამა გვევლინება იმ არსებად, რომლისგანაც გამოწვეულია ბავშვის მთელი უბედურება. ბოლო ლექსი კი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ამისა, მამა ბავშვის თვალში მაინც ინარჩუნებს მიმზიდველობას, მაინც სასურველია. სწორედ ამიტომაა, რომ მას თავისი მხსნელი მამის სახის წარმოუდგება.

ლექსი „ნაპოვნი ბიჭი“ საგულისხმოა იმითაც, რომ მასში სრულიად აშკარად გამყღავნდა სპეციფიურად ბლეიკისეული კონცეფცია ღმერთკაცის, ქრისტეს, ერთადერთი თაყვანისცემის ღირსი ღმერთის შესახებ. მაშინ, როდესაც ვთქვათ „პატარა ზანგ ბიჭში“ მოხსენიებული ღმერთი სადღაც ადამიანებისგან შორს, მათ მიღმა არსებობდა, „საკვამლე მილების მწმენდავსა“ და „ნაპოვნ ბიჭში“ იგი, ან მისი წარგზავნილი (ანგელოზი) უშუალოდ ადამიანების გვერდით არის, აკიტურად ერევა მათ საქმეებში.

„მოცინარი სიმღერის“ ადგილი „უმანკოების ჰანგებში“ უ. ბლეიკის მკვლევართა აზრით (ი. დ. ჰირში) თავიდანვე მდგრადი არ ყოფილა, მაგრამ ის ფაქტი, რომ პოეტს იგი საბოლოოდ მაინც ამ ციკლში დაუტოვებია მიგვანიშნებს აუცილებლობაზე განვიხილოთ იგი „უმანკოების“ ციკლის პოეტური სტრუქტურის გათვალისწინებით. როგორც ადვნიშნეთ, უკვე „ნაპოვნ ბიჭში“ ღამის მოტივი აღარა გვაქვს. ღამე ამ ლექსში უკვე დაძლეულია. „მოცინარე სიმღერის“ განწყობილება კი მთლიანად მაფორფილი, მხიარულება ყველას და ყველაფერს დაუფლებია. ამ ერთიან მხიარულ ფერხულში ჩაბმულია ადამიანიც, თუმცა ძნელი სათქმელია, რომ ლექსის კონტექსტში მას რაიმე უპირატესობა ენიჭება სხვა არსებებთან შედარებით.

ციკლის მომდევნო რამდენიმე ლექსში ჩვენს მიერ გამოყოფილი ღამის მოტივი გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდის.

სახეცვლილება შეიმჩნევა ციკლის ცენტრალურ სახე — სიმბოლო „ბავშვისა“ და კრავის შემოხვევაშიც. თუ აქამდე ისეთ ლექსებში, როგორიცაა „საკვამლე მილების მწმენდავი“, „დაკარგული ბიჭი“ და „ნაპოვნი ბიჭი“ ღამე მოქცეული იყო, ერთი მხრივ, გამოკვეთილად ქალაქურ გარემოცვაში („საკვამლე მილების მწმენდავი“) ხოლო მეორე მხრივ, ღამის არეალში მხოლოდ ადამიანები იმყოფებოდნენ, ლექსში „ღამე“, ღამის მოტივი მოქმედებს თითქოსდა დაპირისპირებულ გარემოცვაში — ბუნებაში. როგორც ჩვენს მიერ „უმანკოების“ ციკლის ფარგლებში გამოყოფილი მიკროციკლის ანალიზმა დაგვანახვა, ბლეიკისეული ღამე მუდამ მოითხოვს დღეს, უფრო ზუსტად, ღამე ის ნეგატიური ძალა, რომელიც მუდამ დღით უნდა გადაილახოს. გადალახვის ეს მომენტი უცვლელადაა მოცემული „ღამეშიც“ და აქაც გადალახვის იმქვეყნიური ძალები — ანგელოზები ახორციელებენ. მაგრამ თვით გადალახვის აქტი აქ სხვაგვარი შინაარსითაა დატვირთული:

(როცა მგლები და ვეფხვები ღმიანთ
ნადავლის ძებნაში,
ისინი სიბრალულით აღვსილნი ტირიან).

ეს კი ნიშნავს, რომ არსებულ სამყაროსეულ სინამდვილეს არ ძალუძს ბოლომდე უზრუნველყოს ბლეიკისეული „Mercy, Pity, Peace and Love“ (წყალობა, შებრალება, მშვიდობა და სიყვარული) ჩვენს სამყაროში გარდუვალია ამ სტიქიებით გადმოცემული რეალობა. მაგრამ ამ უარყოფით ღამისეულ სინამდვილეს უპირისპირდება ნათლით აღვსილი (ამ შემთხვევაში იმქვეყნიური) დღისეული განზომილება. სწორედ ამ დაპირისპირების გარდუვალობა გულისხმობს უკვე ხსენებულ გადალახვას.

ახლა, რაც შეეხება ციკლის სახე — სიმბოლოთა სახეცვლილებას. ლექსში „დიდი ხუთშაბათი“ უ. ბლეიკს პირველად „უმანკოების ჰანგებში“ შემოპყავს არა ცალკეული ბავშვი, არამედ ბავშვთა სიმრავლე. მართალია, მუხედავად ამ სახეცვლილებისა, უცვლელია ბავშვისა და ბავშვობის ბლეიკისეული ხედვა (ეს ხედვა ამ შემთხვევაში უფრო გაღრმავებულია), მაგრამ აქ აშკარაა ამ ორი ძირითადი სახე — სიმბოლოს — ბავშვისა და „კრავის“ თანხვედრა, თითქოს იგივეობაც კი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ხსენებული სახე-სიმბოლოებთან დაკავშირებით რამდენიმე განზოგადებული დასკვნის გაკეთება: 1. უ. ბლეიკის ყოველი ბავშვი თითქოს თავის თავში ხელახლა ბადებს იმას, ვინც თავისი ბუნების ერთი გარკვეული ასპექტით ბავშვობას განასახიერებს — იესო ქრისტეს. 2. ლექსის („დიდი ხუთშაბათი“) კონტექსტში ბავშვებისა და ბატკნების სიმრავლე, ამ ორი არსის თანხვედრა, შესაძლოა, მიგვითითებდეს ბლეიკის რწმენაზე, რომ ბავშვთა სიმრავლე ამქვეყნად მეტყველებს იმაზე, რომ სამყარო აღსავსეა ჭეშმარიტი ადამიანებითა და ადამიანობით — „True Men“.

ლექსი „გაზაფხული“ სტრუქტურულად, თავისი ზედაპირული შრით ყველაზე მარტივი, ბავშვებისათვის ყველაზე უფრო განკუთვნილი ლექსია „უმანკოების ჰანგებში“. ბუნების განახლებისადმი მიძღვნილი ამ ლექსის ყველა „პერსონაჟი“, — ფრინველები, ცხოველები, ბავშვები, — ძალზე აქტიურია, მთლიანად ჩაბმულია განახლების დინამიკაში. დაისმის კითხვა, რა როლს ასრულებს ლექსი „უმანკოების ჰანგების“ პოეტიკაში? ისიც მოქცეულია ამ პოე-

ტურ ქარგაში, რომელსაც, ჩვენი აზრით, დღისა და ღამის მოტივი განაპირობებს? ვფიქრობთ, ლექსის მთლიანი განწყობა, მისი დინამიკა ნებას გვაძლევს ამ კითხვაზე დადებითად ვუპასუხოთ და განვაცხადოთ, რომ „გაზაფხულში“ აშკარად შენარჩუნებულია „უმანკოების“ ფარგლებში ჩვენს მიერ გამოყოფილი დღისა და ღამის მოტივის რიტმი, რომელიც, ალბათ, შეიძლება მივიჩნიოთ ამ ციკლის პოეტიკის ერთ-ერთ ძირითად მომენტად. ადრევე შევნიშნეთ, რომ ამ რიტმს ციკლში დღისა და ღამის მონაცვლეობა ქმნის. ამასთანავე, ეს მონაცვლეობა ისეთია, რომ ერთ ლექსში გამოსახული ღამე განსხვავდება ამავე სახელწოდების მქონე ლექსში აღწერილი ღამისაგან. ასევე, ლექსი „კოკორის“ დღე სხვაა, ვიდრე „გაზაფხულის“ დღე. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ ლექსი „გაზაფხული“ დღის მოტივის ის განხორციელებაა, რომელიც შეესაბამება ღამის მოტივის განხორციელებას ლექსში „ღამე“ — ორივეში ხსენებული მოტივები ბუნებრივ გარემოში ხორციელდება.

„უმანკოების ჰანგების“ ბოლო სამი ლექსი „სიზმარი“, „ბავშვის სიხარული“ და „სხვისი მწუხარების გამო“ ჩვენ მიგვაჩნია თხზულებად, რომლებშიც კონცენტრირებულია მთელი ამ ციკლის იდეა, უმანკოების არსი, ისე როგორც ეს ესმოდა უ. ბლეიკს. გარდა იმისა, რომ სამივე ლექსი ერთსა და იმავე მზრუნველობის თემაზეა შექმნილი, მათში რელიეფურად გადმოიცა პოეტის შეხედულება, ერთი მხრივ, ბავშვზე, ხოლო, მეორე მხრივ, ღმერთისა და ადამიანის და ერთი ადამიანის მეორესთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

დიალოგური სტრუქტურის მქონე ლექსი „ბავშვის სიხარული“ ყველაზე უფრო ორი ძირითადი მომენტითაა საგულისხმო. პირველი ის, რომ ბავშვი, ბავშვობა აქ უკიდურესი ფორმითაა გადმოცემული. ბავშვი მხოლოდ ორი დღისაა. და მეორე: თუ აქამდე „უმანკოების“ ციკლის ლექსებში ბედნიერება, სიხარული ბავშვის, ბავშვობის ატრიბუტებად იყო ასახული, აქ ბავშვი თვითაა ბედნიერება, სიხარული:

მე არ მაქვს სახელი
მე მხოლოდ ორი დღისა ვარ
რა დაგარქვა?
მე ვარ ბედნიერება
სიხარულია ჩემი სახელი
ტკბილი სიხარული დაგბედებოდეს!

ამრიგად, სიხარული და ბედნიერება იმდენად განუყოფელია ბავშვისაგან, რომ იგი თვით წარმოგვიდგება მათ განსახიერებად. მაგრამ აქვე, გაფრთხილებასავით ყურეს მოზრდილის (დედის) მიერ წარმოთქმული ბოლო სტროფი:

ბავშვის ბედნიერება არაა სამუდამო ბედნიერება. იგი შესაძლოა დაირღვეს, მას გაფრთხილება, მზრუნველობა, დაცვა სჭირდება. მაგრამ მზრუნველობა, თანადგომა მარტო ადამიანს როდი ესაჭიროება, ურთიერთმზრუნველობის გარეშე ჭიანჭველაც კი ვერ იარსებებს ამქვეყნად („სიზმარი“).

ლექსში „სხვისი მწუხარების გამო“ თავი მოიყარა, გაიკვანძა „უმანკოების ჰანგებში“ გამოხატული უ. ბლეიკის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური შეხედულებები. პირველ ყოვლისა, ურთიერთმზრუნველობის, თანადგომის იდეა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მთელ ციკლს. აქ უკვე არა აქვს მნიშვნელობა, რომ ციკლში შესულ ლექსებში მამა — ნეგატიური, დამთრგუნველი ძალაა. აქ ისიც დედაზე არანაკლებ ზრუნავს ბავშვზე. მაგრამ ყველაზე ერთად — ბავშვზე, ფრინველებზე, მწერებზე ზრუნავს ის, ვისაც ყველა ოხვრა ესმის, ყველას ცრემლს ხედავს:

(არ გეგონოს, რომ ამოიოხრო
და შენი შემქმნელი შენთან არ იყოს
არ გეგონოს, რომ ცრემლი ჩამოგვარდეს
და შენი შემქმნელი არ იყოს შენს
მახლობლად)

ამრიგად:

1. უ. ბლეიკის „უმანკოების ჰანგები“ არის ციკლი ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი ყველა შინაარსულ-ფორმალური ნიშნით.

2. „უმანკოების ჰანგების“ საყრდენი სიტყვა — სიმბოლოები ქმნიან სტრუქტურულ იერარქიას, რომლის სათავეშია — სიტყვა-სიმბოლო „lamb“ (ბატკანი), ვინაიდან მისი სემანტიკა გამოხატავს უმანკოების იდეას. 3. „უმანკოების“ ციკლის ძირითადი თემა არის უმანკოება, როგორც ადამიანის არსისა და ბუნების ერთ-ერთი ძირითადი განზომილება. თვით ადამიანი კი ციკლში წარმოგვიდგება ორი ასპექტით: როგორც იდეა და როგორც პოეტური ხატი.

თავისი პირველი განზომილებით ბლეიკისეული „უმანკო“ ადამიანი მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანობის ბლეიკისეულ გაგებას (ქრისტე, როგორც ერთადერთი თაყვანისცემის ღირსი ღმერთი ქრისტე — პირველყოფილისა კაცი, ერთი ჩვენთაგანი).

ხოლო, რაც შეეხება „უმანკო“ ადამიანის პოეტურ ხატს მას წარმოგვიდგენს „უმანკოების“ ციკლის პოეტიკა — მისი თემატურ-მოტივური და სიმბოლური სტრუქტურა.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გაგებისათვის

არის ხოლმე შემთხვევა, როცა წაკითხულ ტექსტში ყველაფერი თავის ადგილზეა, ყველაფერი გასაგებია, სადავო არაფერია. მაგრამ ასეთი ტექსტი ზოგჯერ ეჭვს აღძრავს და ამ ეჭვის შემოწმებისას აღმოჩნდება, თურმე ყველაფერი ისე ნათელი როდი ყოფილა, ჩვენ რომ გვეგონა. ქვემოთ განვიხილავთ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ სტროფს, რომელიც, ვფიქრობთ, ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება.

ტარიელის ძებნისას ავთანდილი ხატაელ მონადირეებს, სამ ხატაელ ძმას გადაეყარა, რომელთაგან ერთ-ერთი ვიღაც რაინდს მათრახით დაეჯეჯა, დაეჭრა, თვითონ კი მშვიდობით წასულიყო. შავ ტაიჭზე ამხედრებული რაინდი ჯერაც კიდევ მოჩანდა შორს. ავთანდილი მიხვდა, რომ შავტაიჭოსანი ტარიელი უნდა ყოფილიყო, ხატაელებს მადლობა მოახსენა, დალოცა, თავისი სადგომი მოისწავლა...

...ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაქუსლა
დეზითა,
ვითა გავაზი გაფრინდა, არ-გაშვებული
ხეზითა,
ან მთვარე, მზისა შემყრელი, მზე
სინათლითა ზეზითა...
(215,3/214,3).

ეჭვს აღძრავს მეორე სტრიქონის ტრადიციული გაგება: ხეზიდან (თოკიდან) არ-გაშვებული, ე. ი. დამშული გავაზი როგორ გაფრინდება? ს. იორდანიშვილისეული პწკარედი — Полетел подобно соколу отпущенному без привязи, спущенному без веревки — რეალურ ვითარებას არ ასახავს. „არ-გაშვებული“, რაც არ გაუშვიათ, იმას ნიშნავს და მეტს არაფერს. შდრ.: არ-მალული („დაუმალავი“): შე-რასმე-ჴყეს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არ-მალული (896, 1/895,1); არ-მოსრული („მოუსვლელი“): „ვის ძალ-უც პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ-მოსრულისა?“ (275,3/274,3); არ-გახსნილი („დაუხსნელი“): ...შიგან ერთი კიდოსანი დაბეკედილი, არ-გახსნილი (136Z,4); არ-დამზრალი („დაუზრობელი“): „მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვჩან არ-დამზრალი“ (1485,4/1436,4). ასევე არ-გაშვებულიც გაუშვებელს, დაბმულს ნიშნავს. ხელნაწერებში ვარიანტი არ არის. მ. წერეთელმა გააკეთა კონიექტურა: „რა გაშვებული ხეზით ა“, მაგრამ იგი, სრულიად სამართლიანად, არავინ გაიზიარა, როგორც არასარწმუნო.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში სადაო მუხლის შესახებ ასეთი მსჯელობა გამართულა: „ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაეპში ნაცვლად წაკითხვისა არგაშვებული ხეზითა უნდა მივიღოთ მართ გაშვებული ხეზითა.

მ. კარტოზიამ და ს. ცაიშვილმა აღნიშნეს, რომ წაკითხვა **მართ გაშვებული** კონიექტურაა, რისი საჭიროებაც ტექსტში არ ჩანს. ტექსტი ისედაც გასაგებია: „გაფრინდა როგორც გავაზი, რომელიც მანამდე ხეზით იყო დაბმული“ (მაცნე, 1974, № 4, გვ. 212). მანამდე ხეზით რომ იყო დაბმული და ახლა რომ აუშვეს, ეს არსაიდან არა ჩანს და ჩვენ უფლება არა გვაქვს ტექსტს ჩვენი სურვილი თუ ვარაუდი მოვახვიოთ თავს. ასეთი შინაარსის გადმოცემა რომ სდომებოდა რუსთველს („დაბმული, რომელიც ახლა აუშვეს“), უბრალოდ იტყოდა: „**აწ გაშვებული**“, ან „**მართ გაშვებული**“ და აზრი სრულიად ნათელი იქნებოდა. ეგება მართლა იყო დედანში რომელიმე მათგანი (მაგ. „მართ გაშვებული“, როგორც ამას ივ. გიგინეიშვილი ვარაუდობდა)? გამორიცხულია ამის შესაძლებლობა, რადგან სრულიად მარტივი და გასაგები „აწ გაშვებული“ და „მართ გაშვებული“ ვერაფრით ვერ გარდაიქმნებოდა **ერთი შეხედვით** სრულიად შეუსაბამო „არ-გაშვებულად“.

არ-გაშვებული უდავოდ ავტოგრაფისეული ფორმაა, ოღონდ რუსთველი აქ (და ქვემოთაც), ქმნის ვიზუალურ ხატს, რასაც სხვაგვარი ახსნა სჭირდება. ჩვენ ვფიქრობდით (იხ. „ვეფხისტყაოსნის“ ნ. ნათაძისეული გამოცემა, 1974 წ. გვ. 74) და ახლაც ვფიქრობთ, რომ რუსთველი გვიხატავს ასეთ სურათს: დაბმულ გავაზს (მიმინოს, ქორს...) თოკს რომ მიუშვებენ, ის აფრინდება, მაგრამ დაბმულია, „არ-გაშვებულია“ და ისევ ძირს დაეშვება, კვლავ ავარდება ჰაერში და კვლავ ძირს

დაეშვება... ავთანდილის ცხენი ისე „შეეტოტავა“ ბაერს (წინა ფეხები ასწია და დაეშვა), [illegible] „ეტოტავება“ ხოლმე.

ვიზუალური ხატი მესამე სტრიქონშიაც გრძელდება, [illegible] ამის გაშიფვრამდე, საჭიროა ავხსნათ სარითმო სიტყვა ზეზითა.

გვაქვს ზეზის ასეთი განმარტებები: «ესე არს ორფერი ძაფი და (თუ β) ძაფი და სირმა ერთად შესთულია (საბა), „ოქროქსოვილი“ (ა. შან.), „ძვ. „ესე არს ორფერი ძაფი, თუ ძაფი და სირმა ერთად შესთულია“ (საბა). ||ერთგვარი სამოსი (ამგვარი ძაფისა). «ფერად-ფერადი და ფეხვედი ოქროანი ბისონი და ზეზი (ივ. ჯავახ.)“ (ქეგლ).

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ წერია: „ზეეზ-ი, ზეზ-ი „ბისონი“, „ზეჰეზი“: „იმოსებოდა ძოწეულითა და ზეზითა“C, — „იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა (ДЕ, ლ. 16, 19). რუსულში ზეზს შეესატყვისება виссон. „კარავი იგი ჰქმნე ეზოედად ზეზისაგან ძახილისა“ (0, გამოსლ. 26,1) — რუსულში — крученного виссона. იუსტ. აბულაძემ განსახილველი მუხლი ასე ახსნა: „ზეზი ბისონი, გინა პორფირი. — მზე-სინათლითა ზეზითა, ე. ი. მზე უბრწყინვალესი სინათლით მოსილი, ვითა ზეზითა, ანუ მზე პორფირცმული. ან და ზესი — მაღალი, უზენაესი, ზეციური და სხვა“ „ვეფხისტყაოსნის“ 1926 წ. გამოც., ლექსიკ.). აქ არ არის ერთი გარკვეული ახსნა, არც ბისონისა და პორფირის გაიგივებაა მართებული, რადგან პორფირი „ვეფხისტყაოსანში“ (და საზოგადოდ) არის „ძოწეული (მეფეთა წითელი სამოსელი)“ (ა. შან.), ხოლო ბისონი ანუ ზეზი თეთრი ფერის ქსოვილი ან ძაფია. ამდენად, არც „პორფირცმული მზე“ გამოდგება ამ კონტექსტში.

სადავო მუხლს ნ. ნათაძე ასე ხსნის: „...ზეზი — ქათქათა თეთრი ტილო. მზე სინათლითა ზეზითა — მზე უბრწყინვალესი შუქით შემოსილი“ (გვ. 74). ტექსტის დამდგენი კომისიის ოქმი: „ი. გიგინეიშვილს მიაჩნია, რომ მესამე ტაეპში ზეზი შინაარსობრივად შეუსაბამოა, უნდა ზესითა (ასეა რიგ ხელნაწერებში). ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ შენიშნეს, რომ ამგვარი სწორება არღვევს სტროფის იდეტურ რითმას (ეზითა). ზეზი, რომელიც ჩვეულებრივ პორფირისა და ბისონის გვერდით იხმარება ძველ ტექსტებში, სავსებით შესაძლებელია მზის სინათლის ეპითეტად ყოფილიყო გამოყენებული (შდრ. მ. უორდროპი“) -ო (მაცნე, 1974, № 4, გვ. 212). კომისიამ დადოვა წაკითხვა ზეზითა (ცხადია, იმ მნიშვნელობით, რაც მას აქვს, როცა იგი „პორფირისა და ბისონის გვერდით იხმარება ძველ ტექსტებში“).

ზეზი მხოლოდ ამ კონტექსტში დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ ეგ არაფერია, მთავარი ის არის, რომ ყოველად წარმოუდგენელია რუსთველს მზისა თუ მზის სინათლის ეპითეტად ზეზი (თეთრი ქსოვილი), წარმოუდგენელია ისევე, როგორც წარმოუდგენელია „თოვლივით თეთრი მთვარე“, „ბრილივით ბრჭყვიალა მზე“ და მისთ. სხვა საკითხია, როცა რუსთველი ამბობს თინათინზე „თინათინ მზესა სწუნობდა“ ანდა ნესტანზე „არცა მზე ჭვავნდა, არც მთვარე...“

მაგრამ დავუტოვოთ ზეზ-ს ტრადიციული გაგება და ვეცადოთ სტრიქონის გაშიფვრა: რას უკავშირდება „მზე სინათლითა ზეზითა“? ნუთუ აქ ის არის ნათქვამი, ზეზივით თეთრი მზე რომ გარბის, ავთანდილიც ისე გარბოდაო? ნუთუ ჯერ ნათქვამია — როგორც მთვარე მზესთან შეხვედრილი, ისე გარბოდა, მერე კი ნათქვამია: ისე გარბოდა, როგორც ზეზივით ქათქათა მზეო? არა!

„მზე სინათლითა ზესითა“ ათ ხელნაწერში დასტურდება და ივ. გიგინეიშვილის ნათქვამი „ზეზითა“-ს მაგიერ „ზესითა“ დავწეროთო, ტექსტის სწორება კი არ არის, არამედ ხელნაწერებში დადასტურებული ორი სიტყვიდან ერთ-ერთის (მისი აზრით, უფრო შესაფერისის) არჩევის საკითხია.

ამ კონტექსტში რომ სინათლითა ზესითა ბუნებრივია, ეს „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ადგილადანაც ჩანს. თინათინზე ამბობს რუსთველი: პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა (687,3/685,3). მაგრამ ძირითად ხელნაწერებში ზეზითა იკითხება, რაც რითმის იდენტურობასაც არ არღვევს. შეიძლებოდა თუ არა ზესითა-ს მოეცა ზეზითა? შეიძლებოდა.

ძველ ქართულში არის სიტყვა ზესთ(ა)-მჩენობა|| ზეთ(ა)-მჩენობა, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „მაღლად თავის გამოჩენა ამპარტავნულად“, სიტყვა ძველ ქართულ ძეგლებში დასტურდება: „...ეგრეთვე არცა მღდელნი, რომელნი იოქუნედ მაჩუენებლობადცა და ...ზესთმჩენობაზედ... რომელთაცა, ვითარ ზესთ-მჩენთა წინაადგომილი ღმერთი არა უტევებს მადლსა მას მოქმედებად თჳსთა“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IX, 1963, გვ. 171, 42-172, 1-2). აქედან არის გაკეთებული ტერმინი საზეზთ-მჩენო, რაც გვხვდება ფორმით საზეზთ-მჩენო: „ერთმან პატარონთა თჳსთა წყალობაჲ მათ ზედა საისრელად აღმასუა, ხოლო მეორემან ღმერთსადა (ღმერთისადა? ა. ჯ.) გაკჳთვენთა (გაკჳთვნილი? ა. ჯ.) ეკლესიებ საზეზთ-მჩენოდ თჳსდა მიიტაცა“ (ანდერძი დავით ალმაშენებლისა შიომდვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 18).

მაშასადამე, ზეს-ს გასჩენია ვარიანტი ზეზ (შდრ. აგრეთვე: ზესთა — ზეზთა — ძეძთა: „ზეგარდამომავალი ყოველთა ძეძთა არს“, ი., 3,31). ზეზ-ფორმა (რა გზითაც არ უნდა ყოფილიყო იგი მიღებული) პოეტს შეეძლო გამო-

ეყენებინა, როგორც ზეს-ის ფონეტიკური ვარიანტი და გამოუყენებია კიდეც სარითმო სიტყვად: „სინათლითა ზეზითა“. ამრიგად, ზეზის ტრადიციული გაგება (виссон, галун) ამ კონტექსტიდან გამოირიცხა, ზეზითა ნიშნავს ზესითა.

ახლა კვლავ გავაგრძელოთ იქიდან, სადაც რუსთველური ხატზე გვქონდა საუბარი: ვითა გბავაზი გაფრინდა, არ-გაშვებული ხეზითა ან მთვარე მზისა შემყრელი, მზე სინათლითა ზეზითა... მეორე სტრიქონის ვითა („როგორც“) მესამე სტრიქონშიაც იგულისხმება: ან [ვითა] მთვარე მზისა შემყრელი.

ვვარაუდობთ, რომ მზე სინათლითა უნდა დავწეროთ კომპოზიტად: მზე-სინათლითა ზეზითა. სტრიქონის აზრი ეს არის: ან ისე გაფრინდა, როგორც მთვარე მზეს შეყრილი გაფრინდება უზენაესი მზე-სინათლით (განდევნილი).

მზესთან „შემყრელი“(-შეხვედრილი) მნათობები „გარბიან“, „ქრებიან“, „უჩინარდებიან“: მზე უჩინო იქმს მნათობთა, რა ახლოს შეეყრებიან (989,3); მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცაღა ნათლად ხომნია (1410, 3/1411,3); „მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, და-ცა-ქნების (127,2/126,2) ხოლო — „მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორვება გაანათლებს“ (832,1/830,1).

რუსთველური ვიზუალური ხატი მესამე სტრიქონშიც გრძელდება: გაშორებული ავთანდილის მოძრაობას ის სისწრაფე, რაც ახლოს ყოფნისას (პირველად „გაფრენისას“) ჰქონდა, ცხადია, აღარ ეტყობა, ახლა იგი ისე უჩინარდება სივრცეში, როგორც აისისას, მზის ამოსვლისას მთვარე უჩინარდება, „მიფრინავს“ „მზე-სინათლითა ზეზითა“. მეორე და მესამე სტრიქონებში მიზეზ-შედეგობრივი კავშირიც ერთნაირად არის გამოხატული: ავთანდილი ისე გაფრინდა, როგორც ბაბაზი — არ-გაშვებული ხეზითა, ანდა ისე, როგორც მთვარე — მზე-სინათლითა ზეზითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ქართული ნარმართული ღვთაების გამო

კოლხური წარმართული პანთეონის ერთ-ერთ ღვთაებას ᲐᲜᲗᲐᲠᲘ ერქვა [ამ ღვთაების შესახებ იხ. И. Кобалия, Из мифической Колхиды, СМОМПК, вып. XXXII, Тиорл, 1903, стр. 99-100]. ამ ღვთაების ადრეული ფუნქციისა და მისი სახელწოდების შედგენილობა-რაობის საკითხი დღემდის გადაუწყვეტელია.

ᲐᲜᲗᲐᲠᲘ როგორც ირკვევა, ადრეულ ფუნქციადაკარგული, მოგვიანებით მხოლოდღა მესაქონლეობისად ქცეული ღვთაებაა.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა მეგრელთა ღვთაება ᲐᲜᲗᲐᲠᲘ დაუკავშირა ხევსურთა ᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ და აფხაზთა ᲐᲫᲗᲐᲠᲡ. ამასთან შეეცადა ამ ღვთაების სახელწოდების ახსნას ᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ საფუძველზე, რომელიც მან ამ სახელთაგან უძველესად მიიჩნია. მისი აზრით, ᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘ ორნაწილედ სიტყვა ჩანს. პირველი სიტყვა ᲐᲜ აფხაზურ ᲐᲜ-სა [ღმერთი, დედა] და შუმერთა ცის ღვთაება ან-ს უნდა უკავშირდებოდეს, ᲢᲝᲠᲘ კი არამეული საკუთარი სახელი უნდა იყოს [ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 82-84].

თუკი ივ. ჯავახიშვილისეული ახსნა ᲐᲜ სიტყვისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ სწორია, ამას ვერ ვიტყვით მეორე სიტყვაზე [სავსებით გაუგებარია ღვთის სახელთან ჩვეულებრივი მოკვდავის არამეული სახელის შეზრდის მიზეზი!].

პროფ. ს. მაკალათიას მეგრული ᲐᲜᲗᲐᲠᲘ და მისი აფხაზურ-ხევსურული შესატყვისები [ᲐᲫᲗᲐᲠᲘ, ᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘ] გაიგივებული აქვს ცეცხლის, ოჯახისა და კერის მფარველ ირანულ ღვთაება ᲐᲗᲐᲠ-თან, რომელიც ავესტაში იაზატა ათარ-ის სახელითაა მოხსენიებული [ს. მაკალათია, ჯეგე მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 10-11]. ამ აზრს იზიარებს მკვლევარი მზია მაკალათიაც [იხ. მისი მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში, კრებ.: «სამეგრელო», თბ., 1979, გვ. 88]. ᲐᲗᲐᲠ-ის ᲐᲜᲗᲐᲠ-ად გადაქცევა ფონეტიკურად სავსებით დასაშვებია, რადგან ნარის განვითარება ერთი ყველაზე დამახასიათებელი ოვისებათაგანია მეგრულისათვის, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ᲐᲜᲗᲐᲠ-ს, არავითარი კავშირი არა აქვს ავესტის ᲐᲗᲐᲠ-თან.

საყურადღებოა აგრეთვე აკად. ბ. კუფტინის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ანთარ//ანატორ//ᲐᲫᲗᲐᲠᲘ შეიძლება უკავშირდებოდეს შუმერული თქმულების თამუზის იდეოგრამა AN-TUR-ZI-ს [Б. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1949, стр. 253].

აფხაზურ ᲐᲫᲗᲐᲠ-ს ხეთების ჰექა-ჭუნილის ღვთაება ᲗᲐᲠᲨ-სთან აიგივებს პროფ. შ. ინალიფა [Ш. Инал-ипа, вопросы этно культурной истории Абхазов, Сух., 1976, стр. 201].

ამ ათიოდე წლის წინათ ნაშრომში „ქართული ასომთავრული“ ამ საკითხს შეეხო მკვლევარი რამაზ პატარაძე. მან სემურ-ფინიკიური დედაანბანის გამოყენებით ქართულ ასომთავრულ ანბანში გამოავლინა აზრჩადებული მოხაზულობის მქონე რამდენიმე ასონიშანი და ერთი მათგანის ᲐᲜ-ის მნიშვნელობაც დაადგინა.

ქართული ანბანის პირველი ასო[Ⴑ]ან-ად იწოდება, ხოლო ბოლო [და არა დამამთავრებელი] ასონიშანი კ კარად. ამ უკანასკნელი ბგერის მთავრული ასონიშანი, პროფ. ბარდაველიძის აზრით, მთვარის ღვთების წმინდა ხაზვარაკო ცხოველის ხარის [ძვ. ქართული კარის] თავის პირობითი გამოსახულებაა [В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тб., 1957, стр. 202, 203]. რ. პატარაძის დაკვირვებით ასეთივე მდგომარეობაა სემურ-ფინიკიურ დედაანბანში. ამ ანბანის პირველი ასონიშანი ისევე როგორც ქართულის ბოლო ასონიშანი ხარის თავის პირობით გამოსახულებას წარმოადგენს და ამ ასონიშნის სახელი „ალეფ“-იც ხარს ნიშნავს ფინიკიურად. სემურ-ფინიკიური დედაანბანის ბოლო [და არა დამამთავრებელი] ასონიშანი ს მთვარის [ნახევრამთვარის] პირობითი გამოხატულებაა და ამ ასონიშნის სახელი სᲘნ მართლაც მთვარეს ნიშნავს ფინიკიურად. სავსებით ცხადია, რომ საქმე გვაქვს ასონიშნებში ჩადებულ სარწმუნოებრივ აზრთან. თუკი ფინიკიურ

ანბანს ხარი იწყებს და მთვარე ამთავრებს, ქართულ ანბანს ანი იწყებს და ხარი ამთავრებს. ასომთავრული ანი [Ⴑ] კი რ. პატარიძის აზრით, თუ ფინიკიურის მონაცემებს გავითვალისწინებთ, მთვარის ღვთაების სახელი უნდა იყოს, რადგან ის მარილაც მთვარის [ნახეკარმთვარის] პირობით გამოსახულებას წარმოადგენს [რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 95]. რ. პატარიძემ ძალიან დიდი სიფრთხილით სცადა ქართული ასომთავრულის ან დაეკავშირებინა შუმერული ცის ღვთაების სახელი ან-თან. გარდა ამისა, მისი აზრით, ან-თან დაკავშირებით კვლავ განსახილველია მეგრული ანთარი, ხევსურული ანატორი და აფხაზური ᲐᲜᲒᲯᲐ [იქვე, გვ. 99].

ამრიგად არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქართველურ ტომთა მთვარის ღვთაებას ან უნდა რქმეოდა. ცხადია, თუკი ეს მოსაზრება სწორია, ბევრად უფრო ადვილი ხდება ღვთაება ანთარისა და მისი ხევსურულ-აფხაზური ტაუპისცალების სახელწოდებათა მნიშვნელობის ახსნა და აქედან გამომდინარე მათი თავდაპირველი ბუნების გარკვევაც. მაგრამ სანამ მთვარის ღვთაება ან-ს, უფრო უტყუარი, ეთნოგრაფიული წყაროთი აღარ დავადასტურებთ ქართველურ სამყაროში, ყოველგვარი დასკვნა ᲐᲜ-ისა და ᲐᲜᲗᲐᲠᲘᲡ შესახებ სათუო მოსაზრებაღა იქნება. ამიტომ, ვნახოთ, შემორჩა თუ არა ქართველურ ტომთა მეხსიერებას მთვარის ღვთაება ᲐᲜ-ის შესახებ ხსოვნა.

პროფ. ვ. ბარდაველიძემ გამოავლინა და შეისწავლა ერთი ღვთაება, რომელსაც სვანები ᲐᲜ უწოდებენ. ხანგრძლივ დღესასწაულ ᲔᲜᲨᲘ ᲔᲠ-ᲨᲘ შემავალ ერთ-ერთ დღეს ᲐᲜᲛᲐ ᲚᲐᲓᲔᲚ-ს [ᲐᲜᲛᲐ დღეს] ეძახიან. ამ დღეს „ფუხდ ᲐᲜ“-ს [უფალ ᲐᲜᲜ] ეევდრებიან ფეტვის უხვმოსავლიანობას, მისი დაჯვარვის არდაᲕᲬყებას, კაცის სულადობის სიმრავლეს და თვალის სისაღეს... [ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, IV, ᲐᲜ დეცეᲨ, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, V, თბ., 1951, გვ. 55-56]. აშკარაა, რომ მისი სახით საქმე გვაქვს ნაყოფიერებისა და შვილიერების ღვთაებასთან, რომელსაც გვიან ფეტვის ღვთაების ფუნქციაღა შერჩენია.

პროფ. ვ. ბარდაველიძემ დაადგინა ისიც, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, სვანებს წარმართული ღვთაება ᲐᲜ გაუიგივებიათ მსგავსი ყღერადობის სახელის მქონე ბიბლიურ წინასწარმეტყველ იონასთან.

ჩვეულებრივ, წარმართულ ღვთაებას ისეთი ქრისტიანული წმინდანი ჩაენაცვლებოდა ხოლმე, რომლის სახელიც წარმართული ღვთაების სახელის მსგავსად ყღერდა. ქართველთა სარწმუნოების ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის ამისა [ბოსლო — წმ. ბასილი; ბარბარი — წმ. ბარბალე; ელია — ილია წინასწარმეტყველი; სოლანი — სოლომონ წინასწარმეტყველი]. ᲗᲘᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

Зоргкер мат Зоирки багде сахелта мсгавсиа ყღერადობისა, არაფერია საერთო, მაგრამ არის შემთხვევები, როცა წარმართული ღვთაება და მისი თანამოსახელე ქრისტიანული წმინდანი ფუნქციურადაც ფარავენ ერთმანეთს. აი, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, პროფ. ვ. ბარდაველიძის აზრით, ᲐᲜ-ᲝᲜᲘᲡᲐᲡ მიმართაც. საქმე ისაა, რომ იონა წინასწარმეტყველს უკავშირებენ შუმერულ მითს ოანესის შესახებ, რომელიც თავის „ხალდაიკა არხაილოგია“-ში მოთხრობილი აქვს ბაბილონელ ჭურუმს ბერროსოსს [დაახლ. ძვ წ. 350-280]. ამ მითის თანახმად ოანესი მეცნარეთა წარმომშობია, მისგან ისწავლა ადამიანთა მოდგმამ თესვა და ნაყოფის მომკა [Hans Schmidt, Jona, Götting, 1907, გვ. 73-87].

პროფ. ვ. ბარდაველიძის მონაცემებით, სვანებს თვალის სისაღის მფარველად ან კიდევ დამასნეულებლად ᲐᲜᲝ-ს დარად მთვარეც მიაჩნდათ. ამასთან გაირკვა, ზოგადად მარცვლეულობისა და კერძოდ ფეტვის სიუხვის, როგორც ᲐᲜᲝᲜᲘᲡᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲝᲒᲐᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲑᲨᲘ [ᲗᲐᲠᲗᲐᲚᲘᲫᲔ, ᲓᲐᲡᲐᲮ. ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ, ᲒᲕ. 63-64].

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲨᲔᲛᲝᲗᲛᲭᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲠᲔᲚᲘ ᲐᲜ-ᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲘᲒᲘᲗᲝᲛᲝᲡ, ᲠᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲪᲣᲛᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲑᲨᲘ [ᲗᲐᲠᲗᲐᲚᲘᲫᲔ, ᲓᲐᲡᲐᲮ. ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ, ᲒᲕ. 63-64].

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲨᲔᲛᲝᲗᲛᲭᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲠᲔᲚᲘ ᲐᲜ-ᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲘᲒᲘᲗᲝᲛᲝᲡᲗᲐᲜ, რაც თავის მხრივ იძლევა სრულ საფუძველს იმ დასკვნისა, რომელიც პროფ. ვ. ბარდაველიძემ გაკეთა: ᲐᲜ მთვარის ღვთაების სვანური სახელი უნდა იყოს.

გარდა ამისა, პროფ. ვ. ბარდაველიძემ დასვა სვანური ღვთაება ᲐᲜ-ის რომაელთა ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲗᲣᲚᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘ ღვთაების — ᲐᲜᲔᲡᲘᲡ-ის ურთიერთობისა და მათი ეტრუსკულ ᲐᲜᲔᲡᲘᲡ-თან და ᲐᲜᲘᲝ-სთან მიმართების საკითხი.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდია გავლენა ეტრუსკული წარმართული სარწმუნოებისა რომაულ წარმართობასა და მითოლოგიაზე, ამიტომ რომაელი ღვთაების „ᲐᲜᲔᲡᲘ“-ის ნათესაობრივი კავშირი ცის აღმნიშვნელ ეტრუსკულ სიტყვა ᲐᲜᲔᲡᲘ-თან არ უნდა იყოს გასაკვირი. ეტრუსკული ᲐᲜᲔᲡᲘᲝ [ცა], შუმერული ᲐᲜ [ცის ღმერთი] და სვანური ᲐᲜ ᲓᲔᲪᲔᲨ [ᲐᲜᲔ ᲪᲘᲡᲐ] კრავენ წრეს, რომელიც ყღერადობრივი და სემანტიკური ერთიანობით ხასიათდება. სვანური ᲐᲜᲔ თავდაპირველად სწორედ ცის ღვთაება უნდა ყოფილიყო და მთვარის ღვთაების ფუნქცია მას გვიან უნდა შეეძინა.

როგორც გაირკვა, ᲐᲜᲔ წარმართული სარწმუნოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე სვანთა მთვარის ღვთაება ყოფილა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ᲐᲜ-ს პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს გენეტური თვალსაზრისით იმ ᲐᲜ-თან, რომელიც ქართველთა მთვარის ღვთაებად მიაჩნია რ. პატარიძეს. ამის სასარგებ-

ლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ ᲐᲜᲔ ფონეტიკური სახეცვლილება ჩანს ან-ის და ისიც სვანური ენისეული ერთი ფონეტიკური თვისების ნიადაგზე. სვანურში, თავკიდურა ᲐᲜ-ის წინ გვაქვს ჰაეს განვითარების მაგალითები [ადიში — ჰადიში]. ამასთან ცნობილია ისიც, რომ თავკიდური ხმოვნის ფშვინვიერი შემართვის ნიადაგზე მის წინ გაჩენილი ჰე ჩვეულებრივ Ა-ში გადადის. მაგალითად ალი [ელდ] ბალს ქვემოურ სვანურში თუ ჰელვეს გვაძლევს, ლაშურში ის ალევე-ს სახითაა წარმოდგენილი. ქვემო სვანური ჰანდურ [წვიმის წყალი], ლაშურში ᲐᲜᲔᲜᲓᲣᲠ-ᲐᲓᲐ ᲥᲔᲣᲚᲘ... [მ. ქალდანი, Ა-ს გენეზისისათვის სვანურში, „ქართველური ენათა სტრუქტურის საკითხები", I, თბ., 1959, გვ. 92].

ამ ფონეტიკური კანონზომიერების გათვალისწინებით შუმერული ᲐᲜ-ის სვანურ ᲐᲜ-ად გადაქცევა სავსებით შესაძლებელი ჩანს [ᲐᲜ→ᲐᲜ].

ღვთაება ᲐᲜ-ის ქართველურ წარმართულ პანთეონში არსებობის შესაძლებლობის ერთ-ერთი მადასტურებელი ფაქტია აფხაზურში დღემდის დაცული სიტყვა ᲐᲜᲒᲨᲐ, რომელიც ღმერთს აღნიშნავს. უნდა ითქვას, რომ ამ აფხაზურმა სიტყვამ, ნამდვილი თავსატეხი გაუჩინა მეცნიერებს იმის გამო, რომ მის მეორე ნაწილს [—ᲒᲨᲐ] თითქოს ყველა მრავლობითობის მაწარმოებელ აფხაზურსავე ბოლოსართთან აიგივებდა, მაშინ, როდესაც უკლებლივ ყველა სწორად ხსნიდა ამ სიტყვის პირველი ნაწილის ᲐᲜ-ის მნიშვნელობას.

ამ რამდენიმე წლის წინათ პროფ. შ. ინალიფამ გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ანᲒᲨᲐ უნდა შესდგებოდეს ორი სიტყვისაგან ᲐᲜ — ღმერთი და ᲒᲨᲐ — ხარი [შ. ინალიფა, დასახ. ნაშრომი, გვ. 201]. თუკი შ. ინალიფასეული მოსაზრება სწორია, მაშინ ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ღვთის აფხაზური სახელი ᲐᲜᲒᲨᲐ შეიცავს მთვარის ღვთაების სახელს [ᲐᲜ] და მთვარის ღვთაების ცხოველური ხატის, ხარის სახელს — ᲒᲨᲐ.

მას შემდეგ, რაც გაირკვა მთვარის ღვთაება ᲐᲜ-ის არსებობა სვანთა და აფხაზთა წარმართულ პანთეონში, სრული უფლება გვაქვს ამ ღვთაების სახელი დავინახოთ მეგრელთა ᲐᲜ-ᲗᲐᲠ, ხევსურთა ᲐᲜᲐᲗᲝᲠ-სა და აფხაზთა ᲐᲛᲗᲐᲠ-ში.

ᲐᲜᲗᲐᲠᲘ — სახელი მეგრელთა ერთ-ერთი წარმართული ღვთაებისა ორნაწილედ [illegible] ჩანს. თუ მისი პირველი ნაწილი ᲐᲜ მთვარის ღვთაების სახელია, თარი ამ ღვთაების ეპითეტი უნდა იყოს. მაშასადამე, ᲐᲜ საზღვრულს, თარი კი მსაზღვრელს უნდა წარმოადგენდეს. [მსაზღვრელ — საზღვრულის ამგვარი განლაგება უცᲑო არაა მეგრულისათვის. მაგ. ბადიდი, ჯიმადი, ზუგიდი...]

ᲗᲐᲠᲘ დღესაც ცოცხალი სიტყვაა მეგრულში და ნიშნავს „დიდს", „უპირველესს", „ძლიერს". მეგრელები გამოჩენილ კაცზე იტყვიან „თარ კოჩ"-ს [დიდ კაცს]. სიტყვა ᲗᲐᲠᲘ უეჭველად ქართული სიტყვა „მთავარ"-ის შესატყვისია მეგრულში. ამ აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს ᲛᲗᲐᲕᲐᲠ სიტყვის სვანურში ᲗᲐᲠ-ად ქცევის მაგალითი [მთავარ ანგელოზი — თარანგზელი] აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ურარტულშიც არის მსგავსი ყღერადობისა და მნიშვნელობის სიტყვა tara(g)i||tara(g)e, რაც ძლიერს, ძლევამოსილს, ბევრს აღნიშნავს ამ მკვდარ ენაში. [Г. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, М., 1960, стр. 409].

მაშასადამე, ანთარი უნდა ნიშნავდეს „ᲐᲜ „დიდს"-ს ან „უპირველეს"-ს. ანთარის ფონეტიკური ვარიანტები ჩანან აფხაზური ᲐᲛᲗᲐᲠ [ნ→ლ→Მ ხშირია მეგრულში] და ხევსურული ანატორი, მართალია ანატორი ადგილის სახელია და არა ხატისა, მაგრამ ეს სრულებით არ უარყოფს ანატორის კავშირს ღვთაება ანთარის სახელთან, როგორც ეს ალ. ჭინჭარაულს ჰგონია [ᲐᲐ. ჭინჭარაული, მთას ვიუაკ, თბ., 1980, გვ. 176-177] რადგან თემმორფული სახელების ტოპონიმიზაცია საკმაოდ ხშირია].

დასასრულს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ღვთაება ანი, რომელიც მთვარის ღვთაების ნიშნებს ატარებს, ადრე ცის ღვთაება უნდა ყოფილიყო. რომ არაფერი ვთქვათ შუმერულ და ეტრუსკულ მონაცემებზე (შუმერ. ᲐᲜ — ცის ღმერთი; ეტრუსკ. ᲐᲜᲕᲐ — ცა) ამაზე აშკარად მიუთითებს სვანური ღვთაება ᲐᲜᲜᲘ ზედწოდება „ᲔᲪᲘᲔᲠ" (ცისა, ციური). სხვათა შორის ღვთაება ანთარს, მკვლევარი ნ. აბაკელიაც, ცის ძველკოლხურ ღვთაებად მიიჩნევს (ნ. აბაკელია, ცის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში „მაცნე", ისტორიის... სერია, 1983 წ. № 2, გვ. 141-151).

ირლანდიურ კრიტიკას ახლა, როგორც მი მომხილველები აღნიშნავენ, კრიტიკული რევო ლუციის პერიოდი დაუდგა. ოლსტერის კრიზი სმა, რომელმაც თანამედროვე ირლანდიის მტკი ვნეული პრობლემები წინა პლანზე წამოსწია, გაძლიერა ინტერესი ქვეყნის კოლონიალური წარსულისადმი, რომელშიც ირლანდიის დღევა ნდელი არახასრბიელო მდგომარეობის სათავე იმალება. ასევე გაძლიერდა ინტერესი ლიტერა ტურისადმი, რომელიც მხატვრულად ასახავდა ქვეყნის ისტორიას. ამით აიხსნება იმ წიგნების სიმრავლე, რომელიც ირლანდიაში გამოიცა ბოლო წლებში და სადაც გაანალიზებულია ირ ლანდიური ლიტერატურის განვითარება, არის ცდები მისი ახლებურად წაკითხვისა. ამ მხრივ მკითხველის ინტერესს იწვევს სტატიათა კრებული „მემკვიდრეობა და თანამედროვეობა. ირლანდიური ლიტერატურა ინგლისურ ენაზე" ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანს გამოსული წიგნები გაცილებით პრობლემატუ რნი არიან. ავტორები ყურადღებას მიაქცევენ თანამედროვე ლიტერატურის წინაალმდეგობრივ მოვლენებზე, გადაუწყვეტ პრობლემებზე და თავის ამოცანას ისტორიის დემითოლოგიზაცია- ში ხედავენ.

ერთერთ გადაუწყვეტ საკითხს თვით საკვ ლევი საგნის განსაზღვრება წარმოადგენს. ტე რმინით „ანგლო-ირლანდიური ლიტერატურა" აღნიშნავენ ინგლისურენოვან ირლანდიურ ლიტერატურას. რა განსხვავებაა თვით ინგლი სურსა და ირლანდიურენოვან ლიტერატურას შორის, რომელიც იმავე ნიადაგზე აღმოცენდა, როგორია მისი კანონები, ქრონოლოგიური ჩა რჩოები, საზოგადოებრივი სტატუსი — აი, ის საკითხები, რომელიც განუწყვეტლივ დგას ლი ტერატურის ისტორიკოსსა და კრიტიკოსს შორის.

ცნობილი ირლანდიელი პოეტის, ნაციონალ- ური უნივერსიტეტის პროფესორის შეიმას დი ნის პოზიცია მისი წიგნის სათაურიდანაც ჩანს: „ირლანდიური ლიტერატურის მოკლე ისტო რია". ტერმინის „ანგლო-ირლანდიური ლიტე რატურა, წინაალმდეგობრიობას შ. დინი ხსნის იმ წინააღმდეგობებით, რომელიც გარდაუვა ლია კოლონიალური და ნეოკოლონიალური კუ ლტურისათვის. შ. დინს შესანიშნავად ესმის, რომ ეს საკითხი მხოლოდ ლიტერატურათმცოდ ნეობას არ ეკუთვნის. იგი პოლიტიკური ხასია თისა, რამეთუ ერის ისტორიასთან, მის ბედ თანაა დაკავშირებული.

ირლანდიის ლიტერატურას შ. დინი განი ხილავს როგორც მისი სოციალური და პოლი ტიკური ისტორიის ორგანულ ნაწილს. ირლან დიის პირობებში, აღნიშნავს შ. დინი თითქმის ყველა პრობლემა პოლიტიკურია. მაგ. ირლან დიელების მშობლიური ენა პრაქტიკულად გაა ნადგურეს სამხედრო და ეკონომიური იძულე ბის კერებით, უცხოური კი, კერძოდ ინგლისუ რი, თავს მოახვიეს განათლებისა და მმართვე ლობის იძულებითი სისტემის მეშვეობით. ამ ფაქტმა განაპირობა ირლანდიელი მწერლების განსაკუთრებული დამოკიდებულება ინგლისუ რი ენისადმი, ერთდროულად მშობლიურისა და უცხოსადმიც. ირლანდიურ თვითშეგნებაში გადახარბულმა მან განსაკუთრებული გამომხა ტველობა შეიძინა.

შ. დინი დიდ ყურადღებას უთმობს ირლა- ნდიური ნაციონალიზმის ანალიზს, რომლის გა ვლენითაც ფორმირდებოდა თანამედროვე ლი ტერატურა. „გამოეყო რა სოციალიზმს, იგი იდეოლოგიურად უხერხულო აღმოჩნდა" — სამართლიანად აღნიშნავს შ. დინი. ამის შედე გად ნაციონალისტური კონცეფციის ნიადაგზე შეუღლებელი შეიქნა ახალი სახელმწიფოს აშე ნება.

სტატიაში „ჯოისი და ნაციონალიზმი" შ. დინ ი აკრიტიკებს ჯოისის შემოქმედებაზე გავრცელე ბულ კონცეფციას, რომლის თანახმადაც მისი ხელოვნება ანალიტიკურია. ავტორის აზრით ჯოისმა ბევრად გაუსწრო ნაციონალისტებსაც, იმით, რომ თვით ხელოვნება ჯერ კიდევ ჩა მოუყალიბებელი „ირლანდიური სულის" სამ სახურში ჩაეყენა. ჯოისისეული მითოლოგიზა ციის ხერხი ავტორის წინააღმდეგობას არ იწ ვევს.

თანამედროვე ირლანდიელი მწერლების შე მოქმედებას შ. დინი მათი ისტორიისა და ტრა დიციებისადმი დამოკიდებულებისდა მიხედვით განიხილავს. იმით, თუ როგორაა ასახული ქვე ყნის წარსული, როგორ თავისუფლდება იგი მითებისა და ლეგენდებისაგან შ. დინი განსაზ ღვრავს ახალ შეხედულებებს ლიტერატურის როლზე.

ირლანდიის ლიტერატურის კავშირმა ის ტორიასთან, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტი კურ ცხოვრებასთან უფლება მისცა კრებულის შემდგენელებს გაეერთიანებინათ სრულიად სხვადასხვა მიმართულების სტატიები ერთი სათაურის ქვეშ: „ირლანდიელი მწერლები და საზოგადოება". ავტორ-მწერალთა წრე ძლიერ ფართოა: ჯ. ჯონსტონი, ჯ. ფაოლეინი, უ. ბ. იეტსი, მაკნისი, ბრ. ფრიდი, ე. ბოენი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით საინტერესოა ჯ. ოსტროვინის სტატია ოლსტროის პოეტებზე.

„ორი კულტურის" პრობლემა მთელი სიმწვავით წამოიჭრა, მაგრამ ახლა უკვე რელიგიური კონფორმიზმის სახით. ოლსტონი განიხილავს ქართველურ და პროტესტანტულ მსოფლმხედველობას შორის განსხვავებას ოთხი პოეტის ისტორიისადმი დამოკიდებულების ფონზე. და აღნიშნავს, რომ ქართველები შ. ბერი და ჯ. მონტეგ�ეს „ბატალიებში" არიან ნაციონალური მითების შექმნის, იმ დროს როცა დ. მეპონი და ტ. ოლსტონი ტრადიციულად განიცდიან ისტორიისგან „ბედნიერ გაგრძელებას", რაც ასევე მითოლოგიზმის კონსტრუქციაა, საბოლოო ჯამში ნაციონალისტური იდეოლოგიით წარმოქმნილი.

ოლსტერის კონფლიქტი პირობებში, როდესაც ძლიერ გადავიდა წინააღმდეგობა პროტესტანტებსა და ქათოლიკეებს შორის, ლიტერატურულმა კრიტიკამ, რელიგიური თვითშეგნების ბუნების, ლიტერატურაში მისი გამოვლინების შესწავლის მიზეზ ხელი, ამ პრობლემას ეძღვნება კრებული „ქარის ხმაურში". ოლსტერის თანამედროვე სიტუაციების ტრაგიკულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური, ნაციონალური და რელიგიური წინააღმდეგობანი ვერ „ამოდგებიან ჩარჩოში: ქათოლიკე-იერლანდიელები პროტესტანტ-ინგლისელების წინააღმდეგ. განსხვავა ბაეთვალისწინებით „სოციალურად-პოლიტიკურ-რელიგიური ხასიათის" ეროვნულობა გამოხატულებელი დარჩა. ავტორები უმეტესად პროტესტანტები, ოლსტერელ ავტორებად განხილვით შემდეგ: ელენა: ეიეტსი, ჯ. ჯ. სინგი, ს. ბეკეტი, ჯ. ჯოისი, ე. ბოუენი და სხვ. ამ მწერალთა ციკლში, რომლებიც, ვერ მოხვდა ტომ პოლინი, ცნობილი პოეტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, რომელიც მკვეთრად ამხელს თანამედროვე ოლსტერელ პროტესტანტებს მათი რესპუბლიკანური პრინციპებისათვის. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, არც იან პეისელი, პროტესტანტი ეკუმენიზმის იდეოლოგი იმსახურებს სიმპატიას, მიუხედავად იმისა, რომ იგი სასულიერო პირია.

კრებულის „ქარის ხმაურში" ავტორებმა დასახეს, ეროვნული ვერ შეასრულეს. მაგრამ მათ ეროვნულმა მიაპყრეს ქათოლიკური და პროტესტანტული საზოგადოების ეთიკურ და ესთეტიკურ პრობლემებს.

ბოლო წლებში გამოსული წიგნები იმაზე მეტყველებენ, რომ „კრეტიული რევოლუციაა", რომელიც ნაციონალურ ლიტერატურაში ისტორიის პრობლემათა გადასინჯვას ისახავდა მიზნად ხდ უფრო მეტად ეკრების ძალებს. ლიტერატურული კრიტიკა აქტიურად ჩაება ოდენ ეროვნულ ბრძოლაში, რომელიც ოლსტერის ... ...

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ